რისმაგ გორდეზიანი
მაია დანელია

# კლასიკური ფილოლოგიის შესავალი

მესამე შესწორებული გამოცემა

ლოგოსი
თბილისი 2012

რედაქტორი: მაგდა მჭედლიძე

რეცენზენტები: ნანა ტონია
ირინე დარჩია

© რ. გორდეზიანი, მ. დანელია, 2004, 2007, 2012
© პროგრამა „ლოგოსი", 2004, 2007, 2012

ISBN 978-9941-437-30-4

პროგრამა „ლოგოსი"
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,
თბილისი 0179
ტელ. 225-02-58, ფაქსი 222-11-81
ელ. ფოსტა: logos@greekstudies-tsu.ge

---

*გარეკანზე: ანტიკური სკოლის სცენები. დურისის წითელფიგურული თასი.*
*ძვ. წ. V ს. ბერლინი. სახელმწიფო მუზეუმი*

## სარჩევი


ნინასიტყვაობა ..... 7
კლასიკური ფილოლოგია როგორც მეცნიერების დარგი და მისი შესწავლის ისტორია ..... 8
**კლასიკური ფილოლოგიის საგანი** ..... 8
**ფილოლოგია ანტიკურ სამყაროში** ..... 10
**ბიზანტია და შუა საუკუნეები** ..... 20
**ახალი დრო** ..... 22
ა) იტალიური ჰუმანიზმისა და რენესანსის პერიოდი ..... 23
ბ) ფრანგულ-ნიდერლანდური პერიოდი ..... 25
გ) რიჩარდ ბენტლისა და მისი მიმდევრების, ანუ ინგლისური პერიოდი ..... 26
დ) გერმანული პერიოდი ..... 27
ე) უახლესი პერიოდი ..... 29
კლასიკური ფილოლოგია საქართველოში ..... 30
**უმნიშვნელოვანეს მეცნიერთა ანოტირებული ნუსხა** ..... 32
ტექსტის კრიტიკა ..... 38
როგორ ხდება ანტიკური ტექსტების ციტირება? ..... 42
წერილობითი ფიქსაციის ხელოვნება ..... 46
დამწერლობა. ..... 46
ეგეოსური დამწერლობები ..... 47
ბერძნული ფონეტიკური და ლათინური დამწერლობა ..... 50
სანერი მასალა და წიგნის გამოცემის საქმე ..... 53
**პალეოგრაფია** ..... 58
**ეპიგრაფიკა** ..... 61
**პაპიროლოგია** ..... 63
კლასიკური ენები ..... 66
ბერძნული ენა და მისი დიალექტები ..... 68
ლათინური ენა ..... 73
ანტიკური ლიტერატურა ..... 82
**ბერძნული ლიტერატურა** ..... 85
გეომეტრიული რენესანსის პერიოდი ..... 85
არქაიკის პერიოდი ..... 89
კლასიკის პერიოდი ..... 96
ელინისტური პერიოდი ..... 105
რომაული ბატონობის ანუ კეისრების ეპოქის ბერძნული ლიტერატურა ..... 109
გვიანანტიკურობა ..... 112
**რომაული ლიტერატურა** ..... 115
რესპუბლიკური ხანა ..... 116
ავგუსტუსის ეპოქა ანუ „ოქროს ხანა“ ..... 118
კეისრების ეპოქა ..... 121
გვიანანტიკურობა ..... 124
**ანტიკური ლექსთწყობა** ..... 126
ანტიკური სამყაროს ისტორია ..... 131
**ეგეოსური სამყარო** ..... 131
**საბერძნეთი** ..... 134
ელინური პერიოდი ..... 134
ელინისტური სამყარო ..... 145
**რომი** ..... 149
მეფეთა ხანა ..... 149
რესპუბლიკის ეპოქა ..... 152

კეისრების ეპოქა ..... 158
ანტიკური ხელოვნება ..... 166
ეგეოსური სამყარო ..... 166
მინოსური ხელოვნება ..... 166
მიკენური ხელოვნება ..... 169
ბერძნული ხელოვნება ..... 171
გეომეტრიული პერიოდი ..... 171
არქაული ეპოქა ..... 172
კლასიკის ეპოქა ..... 175
ელინისტური ეპოქა ..... 181
რომაული ხელოვნება ..... 184
რელიგია და მითოლოგია ..... 193
საბერძნეთი ..... 193
მითი და რელიგია ..... 198
რომი ..... 205
ფილოსოფია და მეცნიერება ..... 211
ბერძნული ფილოსოფია ..... 211
რომაული ფილოსოფია ..... 218
მეცნიერება ..... 219
კანონმდებლობა და სამართალი ..... 223
ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი ..... 229
მოქალაქეობა ..... 229
სახელი ..... 231
ოჯახი ..... 232
აღზრდა და განათლება ..... 234
ქორწინება და ქორწილი ..... 243
დაკრძალვა და დატირება ..... 248
ომი და შეიარაღება ..... 251
ფული და საფინანსო სფერო ..... 256
მონობა ..... 258
სანახაობები, აგონები ..... 261
გართობა, მოგზაურობა ..... 266
სახლი, ავეჯი ..... 273
თერმები, აბაზანები ..... 278
გასტრონომია, კერძები, წვეულებები ..... 282
თმის ვარცხნილობა, ჩაცმულობა ..... 286
ანტიკური ავტორები, ნაწარმოებები ..... 291
რჩეული სამეცნიერო პერიოდიკა კლასიკურ ფილოლოგიაში ..... 311
ცნობილი ენციკლოპედიური ლიტერატურა ..... 315
საკუთარ სახელთა საძიებელი ..... 322

# წინასიტყვაობა

კლასიკური ფილოლოგია მსოფლიო საუნივერსიტეტო განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მრავალ უნივერსიტეტში, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებები. მეცნიერების ეს დარგი კომპლექსურია, იგი მოიცავს დისციპლინების საკმაოდ ფართო სპექტრს, რომლებიც აშკარად ვერ მოექცევა თანამედროვე გაგებით ფილოლოგიის ფარგლებში. სწორედ ამიტომ ახალგაზრდობის სწორი ორიენტაცია კლასიკურ ფილოლოგიაში გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ნებისმიერი ფილოლოგიური პროფილის დარგში. აქედან გამომდინარე, კლასიკური ფილოლოგიის შესავალი თავისი შინაარსით ერთობ ტევადია და ბევრ ისეთ სფეროს მოიცავს, რომელიც, ერთი შეხედვით, შეუძლებელია რაიმე კავშირში იყოს ფილოლოგიასთან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მრავალი წლის განმავლობაში იკითხება კლასიკური ფილოლოგიის შესავალი, თუმცა ჯერჯერობით არ შექმნილა შესაბამისი სახელმძღვანელო. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა ენაზე გამოდიოდა და უკანასკნელ ხანებშიც გამოდის მრავალი სახელმძღვანელო, რომელთაც დარგში შესავლის ფუნქცია აკისრიათ. საკმარისია აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული მხოლოდ გერმანულ ენაზე არაერთი ასეთი სახელმძღვანელო გამოვიდა.

საკმარისია მათზე ერთი თვალის გადავლებაც კი, რომ აშკარად შევნიშნავთ ამ წიგნებს შორის სხვაობას მოცულობისა და შინაარსის თვალსაზრისით. ა. მ., თუკი 1997 წელს გამოცემული Einleitung in die griechische Philologie, Heinz-Günther Nesselrath (გამომც.) მოიცავს 773 გვერდს, ხოლო Einleitung in die lateinische Philologie, Fritz Graf (გამომც.) კი – 725 გვერდს და ორივე ტომი, ფაქტობრივად, კლასიკური ფილოლოგიის შესავლის ფუნქციას ასრულებს, პეტერ კრაფტის მიერ 2001 წელს გამოცემული წიგნი Orientierung. Klassische Philologie. Was sie kann, was sie will მცირე ფორმატის არის და მხოლოდ 151 გვერდს შეიცავს.

ჩვენი მიზანია ქართულ ენაზე ისეთი სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც გარკვეულწილად საუნივერსიტეტო სწავლების პროგრამაში ამ კურსის მოცულობის შესაბამისი იქნება. მაქსიმალურად შევეცდებით, მასში აისახოს დარგის თანამედროვე დონე და მისდამი მიდგომის თანამედროვე ტენდენციები. შევეცდებით ასევე, რომ წიგნის ე. წ. ბიბლიოგრაფიული ნაწილი სასარგებლო იყოს არა მარტო სტუდენტებისათვის, არამედ სპეციალისტებისა და დარგით დაინტერესებული ფართო წრისათვის.

მადლობა გვინდა მოვახსენოთ წიგნის რედაქტორს, ქალბატონ მაგდა მჭედლიძეს, აგრეთვე რეცენზენტებს, ქალბატონ ნანა ტონიასა და ირინე დარჩიას საყურადღებო შენიშვნებისა და რჩევებისათვის. ავტორები მადლიერებით მიიღებენ ყველა შენიშვნასა და სურვილს მკითხველისაგან და გაითვალისწინებენ წიგნის შემდგომი გამოცემისას.

# კლასიკური ფილოლოგია როგორც მეცნიერების დარგი და მისი შესწავლის ისტორია

**კლასიკური ფილოლოგიის საგანი.** პირველი კითხვა, რომელსაც უნდა ვუპასუხოთ ჩვენს სახელმძღვანელოში, ამგვარი იქნება: რას შეისწავლის კლასიკური ფილოლოგია? მასზე მოკლედ შეიძლება ვუპასუხოთ შემდეგნაირად: ძველი საბერძნეთისა და რომის ცივილიზაციებს. თავად ტერმინი *კლასიკური* თანამედროვე მეცნიერებაში სხვადასხვაგვარად გამოიყენება და დღეს მისი ყველაზე გავრცელებული და ზოგადი მნიშვნელობა არის „საუკეთესო, უმაღლესი, ყველაზე სრულყოფილი". შესაბამისად, დღეს სიტყვა *კლასიკური* შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა ხალხმა მისი ლიტერატურის თუ საერთოდ მხატვრული კულტურის ისტორიის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ეპოქის აღსანიშნავად. კლასიკოსი შეიძლება ვუწოდოთ ნებისმიერ ხელოვანს თუ ინტელექტუალურ ასპარეზზე მომუშავე ადამიანს, რომელიც თავისი შემოქმედების სფეროში უდიდეს ავტორიტეტად ითვლება. მაგრამ როდესაც ტერმინით *კლასიკური* კაცობრიობის ცივილიზაციის პერიოდს აღნიშნავენ, ამ შემთხვევაში უთუოდ იგულისხმება ძველი საბერძნეთი და ძველი რომი. ეს მნიშვნელობა ტერმინმა საკმაოდ მოგვიანებით მიიღო. იგი წარმოიშვა ლათინური სიტყვისაგან classis. ძველ რომში მოსახლეობას ქონებრივი ცენზის მიხედვით ექვს კლასად ყოფდნენ, შემდგომ ტერმინის გამოყენების არეალი შეიზღუდა „უმაღლესი კლასის" აღნიშვნით. ახალ ევროპაში *კლასიკა, კლასიკური* უკვე თავად ძველი საბერძნეთისა და რომის მიმართ იქნა გამოყენებული. ამის პარალელურად, როგორც უკვე ითქვა, ტერმინმა საკმაოდ გაიფართოვა მნიშვნელობა და იგი „უმაღლესის, საუკეთესოს" სინონიმად იქცა.

დღეს ძველი საბერძნეთისა და რომის აღსანიშნად კლასიკურის პარალელურად გვხვდება სხვა ტერმინებიც, რომელთაგან ყველაზე პოპულარულია ასევე ლათინური სიტყვიდან antiquus („ძველი") ნაწარმოები ტერმინი *ანტიკური*. მაგრამ თუკი სიტყვათშეთანხმებაში: კლასიკური სამყარო და ანტიკური სამყარო არავითარი განსხვავება არ არის, დიდი სხვაობაა სიტყვათშეთანხმებაში: კლასიკური ფილოლოგია და ანტიკური ფილოლოგია, რადგან კლასიკური ფილოლოგია გულისხმობს მეცნიერებას ძველი საბერძნეთისა და რომის შესახებ, ხოლო ანტიკური ფილოლოგია კი – საერთოდ ფილოლოგიას ანტიკურ სამყაროში. კლასიკური ფილოლოგიის სინონიმად შეიძლება გამოყენებულ იქნას *ბერძნულ-რომაული ფილოლოგიაც*. უკანასკნელ ხანებში იმდენად გაიზარდა ცალკე ბერძნული და ცალკე რომაული ცივილიზაციების კვლევის მოცულობა, რომ საკმაოდ ხშირად მათაც მიჯნავენ ერთმანეთისაგან და გვხვდება ტერმინები: *ბერძნული ფილოლოგია* და *რომაული ფილოლოგია*. და მაინც, მსოფლიო მეცნიერების პრაქტიკაში ყველაზე მიღებულ და დაკანონებულ ფორმულად შეიძლება მივიჩნიოთ *კლასიკური ფილოლოგია* ან *კლასიკური სიძველეთმცოდნეობა*.

თანამედროვე მეცნიერებაში კლასიკური ფილოლოგიის ორგვარი გაგება არსებობს: ვიწრო და ფართო. პირველ შემთხვევაში მეცნიერები იფარგლებიან არსებითად ფილოლოგიასთან დაკავშირებული დისციპლინებით და მიიჩნევენ, რომ კლასიკური ფილოლოგია მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: პალეოგრაფია, ტექსტის კრიტიკა, ჰერმენევტიკა, გრამატიკა,

რიტორიკა, ბერძენი და რომაელი ავტორების ესთეტიკური ანუ ლიტერატურული კრიტიკა. ფართო გაგებით, კლასიკური ფილოლოგია მოიცავს, არსებითად, ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციასთან დაკავშირებულ ყველა დისციპლინას, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ უმთავრესნი: ენის ისტორია, ლინგვისტიკა, რიტორიკა, მეტრიკა, ლიტერატურა, ისტორია, რელიგია, მითოლოგია, კულტურის ისტორია, კერძო, სახელმწიფო და სამხედრო სიძველეები, გეოგრაფია, ქრონოლოგია, მეტროლოგია, ნუმიზმატიკა, ეპიგრაფიკა, ხელოვნების ისტორია, არქეოლოგია.

რამდენადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტთა მომზადება უფრო ამ დარგის ფართო გაგებით მიმდინარეობს, ჩვენი შესავალიც ამ პრინციპზე იქნება აგებული და ჩვენ არ შემოვიფარგლებით მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ფილოლოგიური დისციპლინების შესახებ მსჯელობით. როგორც ვხედავთ, ის პიროვნება, რომელიც ირჩევს ამ სპეციალობას, უნდა განეწყოს იმისთვის, რომ ფილოლოგიურ-ისტორიულ დისციპლინათა საკმაოდ ფართო სპექტრთან ექნება საქმე. კლასიკური ენების – ძველი ბერძნულისა და ლათინურის – შეთვისების გარდა მას მოეთხოვება ძველი სამყაროს ცივილიზაციის თითქმის ყველა სფეროს საფუძვლიანი შესწავლა. ეს, ერთი მხრივ, საკმაო სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აფართოებს პიროვნების თვალსაწიერს და მას საშუალებას აძლევს წარმატებით იმუშაოს ერთი შეხედვით სულ სხვადასხვა დარგში.

რამ განაპირობა კლასიკური ფილოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის, ესოდენ კომპლექსური ხასიათი? უპირველეს ყოვლისა, იმან, რომ კლასიკური ფილოლოგიის სფეროში მუშაობა აუცილებლად გულისხმობს კვლევის პროცესში მთელი ამ მრავალმხრივი ინფორმაციის გამოყენებას. ა. მ., შეუძლებელია დღეს კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტმა დაწეროს ნაშრომი ანტიკური ეპოქის რომელსამე მწერალზე, რომ მას სერიოზული ჩაღრმავება არ მოუხდეს არა მარტო ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხებში, არამედ ანტიკური ისტორიის, ენათმეცნიერების და ა. შ. პრობლემატიკაში. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, მაგალითად, ჰომეროსის ეპოსის მკვლევარს რამდენი დისციპლინის ინფორმაციისა და მეთოდების გათვალისწინება უხდება კვლევის პროცესში.

რასაკვირველია, ყოველივე ამის შემდეგ დგება ქრონოლოგიური საკითხი: როგორ შეიძლება მოვაქციოთ დროში მთელი ის მასალა, რაც კლასიკური ფილოლოგიის შესწავლის საგანს წარმოადგენს? ეს, ფაქტობრივად, იმის განსაზღვრას ნიშნავს, თუ ბერძნულ-რომაული სამყაროს განვითარების რა ქრონოლოგიურ ფარგლებს მოიცავს ცნება *ანტიკური* და *ანტიკურობა*. ამ საკითხზე უფრო დეტალურად მსჯელობა შემდეგ თავებში გვექნება, აქ კი მხოლოდ მოკლედ შევეხებით მას. დიდი ხნის განმავლობაში ტერმინით *ანტიკური* აღინიშნებოდა ძველი ბერძნული და რომაული კულტურა, რომელსაც იწყებდნენ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაბამით და ასრულებდნენ ახ. წ. V-VI საუკუნეთა მიჯნით. დღეს პერიოდიზაციისადმი დამოკიდებულება რამდენადმე შეიცვალა, რადგან XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებულმა ბრწყინვალე არქეოლოგიურმა გათხრებმა ეგეოსის ზღვის აუზში გამოავლინა მაღალი დონის კულტურები, რომელთაც თავიანთი ასახვა ბერძნულ მითებში ჰპოვეს. სწორედ ამიტომ, მეცნიერთა უმეტესობა დღეს გვთავაზობს, ანტიკური კულტურის ციკლი დავიწყოთ ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან ანუ დიდი მინოსური კულტურის დასაბამიდან და დავასრულოთ ახ. წ. V-VI საუკუნეთა მიჯნით. დროის მთელი ეს ვეებერთელა მონაკვეთი, რომელიც 25 საუკუნეზე მეტს მოიცავს, ბუნებრივია, იყოფა პერიოდებად, რომელთაც პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ ეგეოსური (ძვ. წ. II ათასწლეული), ელინური (ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისი – ძვ. წ. IV საუკუნის მიწურული), ელინისტური (ძვ. წ. IV საუკუნის მიწურული – ძვ. წ. I საუკუნე), რომაული

ბატონობის (ძვ. წ. I საუკუნე – ახ. წ. V-VI საუკუნეთა მიჯნა). ამ პერიოდებში ბერძნებთან და რომაელებთან ერთად ანტიკური კულტურის არეალში მრავალი სხვა ხალხიც ექცეოდა, მაგრამ უშუალოდ ანტიკური ცივილიზაციის ძირითად მატარებლებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ბერძნები და რომაელები და, გარკვეულწილად, წინაბერძნული მოსახლეობა და ეტრუსკები. რასაკვირველია, ამ ხნის განმავლობაში ისტორიულ არენაზე მათ პარტნიორობას უწევდნენ სხვადასხვა ხალხები, მათ შორის ანტიკური ეპოქის საქართველოს მკვიდრნიც, დაწყებული ლეგენდარული კოლხიდიდან, დამთავრებული ეგრისითა და იბერიით.

როგორც ცნობილია, მეცნიერება შესასწავლი ობიექტის შესახებ იქმნება იმაზე უფრო გვიან, ვიდრე ჩნდება თვითონ ეს ობიექტი. სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, სერიოზულ ფილოლოგიურ კვლევაზე უკვე ანტიკურ ეპოქაში, თუმცა შედარებით გვიანდელი პერიოდიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ. და მაინც, ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს, რომ ფილოლოგიური კვლევის ცალკეული ელემენტები უკვე ანტიკური კულტურის საწყის სტადიებზეც ვლინდებოდეს, რის წარმოჩენასაც ქვემოთ შევეცდებით.

**ფილოლოგია ანტიკურ სამყაროში.** ყველა ის ტერმინი, რომლითაც დღეს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში მოღვაწე სპეციალისტს აღვნიშნავთ, თავისი წარმოშობით ისევ და ისევ ანტიკურ სამყაროს უკავშირდება და ბერძნული ენის საფუძველზე არის აღმოცენებული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა რამდენიმე ტერმინი. φιλόλογος, როგორც ლექსიკური ფორმატივი, პირველად პლატონთან (ძვ. წ. 427-347) გვხვდება, თუმცა მასთან ამ ტერმინის მნიშვნელობა არ შეესაბამება იმას, რაც მან მოგვიანებით მოიპოვა. ეს ლექსიკური ფორმატივი კომპოზიტია და იგი ორი ნაწილისაგან შედგება: φίλος შეიცავს „მოყვარულის, ახლობლის, მეგობრის" მნიშვნელობას, ხოლო λόγος ნიშნავს „სიტყვას" ვიწრო გაგებით, ფართო გაგებით კი მას შეიძლება ჰქონდეს ძალზე ბევრი მნიშვნელობა დაწყებული „აზრიდან", დამთავრებული თვით „უზენაესი პრინციპით". ამდენად, რომ მოვინდომოთ ამ ტერმინის თარგმნა, იგი ასეთ სახეს მიიღებდა: „სიტყვის მეგობარი, მოყვარული". იგი იწარმოება ისე, როგორც სხვა მრავალი ბერძნული ტერმინი, მათ შორის φιλόσοφος, φιλάνθρωπος და ა. შ.

პლატონთან ამ ტერმინს ჯერ კიდევ არ აქვს ჩამოყალიბებული სემანტიკა და იგი მართლაც საკმაოდ ზოგადად შეიძლება აღნიშნავდეს სიტყვის მოყვარულს, ამ ცნების ყველაზე უფრო ფართო გაგებით. პირველად კი ეს ლექსიკური ფორმატივი, ჩვენთვის ცნობილი მნიშვნელობით, რომელიც მეტ-ნაკლებად შეესაბამება ფილოლოგიის თანამედროვე გაგებას, გამოიყენა ერატოსთენესმა (ძვ. წ. 276-195). ბერძნული ენიდან ტერმინი გადავიდა ლათინურში (philologus) და იქ მან, ძირითადად, ერატოსთენესის მიერ შემოთავაზებული მნიშვნელობა შეინარჩუნა.

მეორე ტერმინი, რომელიც ასევე ხშირად გამოიყენებოდა იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც საქმე ტექსტთან ჰქონდა, არის κριτικός („კრიტიკოსი", შდრ. ლათ. criticus), რომელიც ნაწარმოებია სიტყვიდან κριτική („გარჩევა", „განხილვა"). იგი პირველად, როგორც ტერმინი, გვხვდება პლატონის სახელით მოღწეულ ანუ ფსევდო-პლატონის, უცნობი ავტორის თხზულებაში „აქსიოქოსი".

მესამე ტერმინია γραμματικός („გრამატიკოსი", შდრ. ლათ. grammaticus), რომელიც ასევე ხშირად გვხვდება და დაკავშირებულია ზმნა γράφω-დან („ვწერ") ნაწარმოებ ფუძესთან γράμμα („წერილი, დაწერილი"). ამ ტერმინს, ფაქტობრივად, ფილოლოგის და კრიტიკოსის სინონიმური მნიშვნელობა ჰქონდა და, ამასთანავე, აღნიშნავდა იმასაც, რა აზრსაც ვდებთ ჩვენ დღეს ცნებაში *გრამატიკა* (γραμματική). საყურადღებოა, რომ დიონისიოს თრაკიელმა (ძვ. წ. 170-90) ბერძნული ენის გრამატიკას უწოდა τέχνη γραμματική.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ტერმინოლოგიურ დონეზე ფილოლოგიის, როგორც დარგის, ყველა ძირითადი განსაზღვრება უკვე ანტიკურ ეპოქაში შეიქმნა. ამასთანავე, შეიძლება ითქვას, რომ ანტიკურ ეპოქაში ჩამოყალიბდა თავად ფილოლოგიაც, როგორც მეცნიერება, ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო გაგებით. რასაკვირველია, ყველა მეცნიერების აღმოცენება წარმოადგენს რაღაც პროცესის შედეგს და იგი წარმოიქმნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მკაფიოდ გამოიკვეთება შესასწავლი ობიექტი. ასევე იყო ფილოლოგიის შემთხვევაშიც. ფილოლოგია, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შედეგად შეიქმნა ელინისტური სამყარო, თუმცა ამ დარგის ფორმირებას წინ უძღოდა მრავალსაუკუნოვანი ფილოლოგიური ხასიათის კვლევები. რამდენადაც ფილოლოგიამ ყველაზე დიდ სიმაღლეს ალექსანდრიაში მიაღწია, ხშირად მეცნიერებაში ნაცვლად ელინისტურისა გამოიყენებენ ტერმინს *ალექსანდრიული ფილოლოგია*. სრულიად ნათელია, რომ თანამედროვე ეპოქისგან განსხვავებით, ფილოლოგია ანტიკურობაში კლასიკური ფილოლოგიის (ჩვენი გაგებით) სინონიმიც იყო, ძველი ფილოლოგები ხომ, ძირითადად, ბერძნული და ლათინური ტექსტების კვლევის ფარგლებს არ სცილდებოდნენ. ამდენად, მათი მოღვაწეობა შეიძლება შევაფასოთ, როგორც კლასიკური ფილოლოგიის საწყისი ეტაპი, რომელმაც შემდეგ საერთოდ თანამედროვე ფილოლოგიის განვითარებას მისცა ბიძგი, მაგრამ, რასაკვირველია, ფილოლოგიური კვლევის ელემენტები შეიძლება გაცილებით უფრო ადრეულ ეპოქებშიც აღმოვაჩინოთ.

აქ არ შევეხებით ამგვარ ცდებს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც ტექსტების გამოცემა, ლექსიკონების და გლოსარების შედგენა და ა. შ. ჩვეულებრივი მოვლენა იყო. შემოვიფარგლებით მხოლოდ ანტიკური სამყაროთი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე კუნძულ კრეტაზე პირველი ეგეოსური დამწერლობების აღმოცენების ფაზაში (ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი), ის მუშაობა, რაც ეგეოსური დამწერლობის შემქმნელებმა ჩაატარეს, გარკვეულწილად, მოიცავდა ფილოლოგიურ ასპექტსაც, რადგან მათ ანტიკურ სამყაროში პირველებმა შემოგვთავაზეს ფონემების და ფონემათა ჯგუფების არა მარტო გრაფიკული გამოსახულებები, არამედ გადმოცემის გარკვეული წესებიც. რასაკვირველია, გარკვეულ „ფილოლოგიურ" მუშაობასთან იყო დაკავშირებული იმ მრავალრიცხოვან გადამწერთა მოღვაწეობა, რომელთაც დაადგინეს მიკენური ეპოქის (ძვ. წ. XVI-XII სს.) ბერძნულის ანუ B-ხაზოვანის ორთოგრაფიული წესები. დღეს ძნელია იმის თქმა, არსებობდა თუ არა ეგეოსურ სამყაროში ლექსიკონების შედგენის ცდები, მაგალითად, მინოსურ-ბერძნულის და ა. შ. ასევე ძნელია იმის თქმაც, რამდენად მრავალმხრივი იყო დამწერლობის გამოყენება ინფორმაციის ტექსტუალური ფიქსაციის სფეროში.

თუკი ეგეოსური სამყარო ბევრ კითხვას აღძრავს, სამაგიეროდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბერძნული ფონეტიკური ანბანის აღმოცენების შემდეგ, სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება ე. წ. „ფილოლოგიური ტენდენციების" გაძლიერება ბერძნულ ცივილიზაციაში. თავად დამწერლობის ფონეტიკური სისტემის შექმნა უკვე ძალზე მნიშვნელოვანი ფილოლოგიური სამუშაოს ჩატარებასთან იყო დაკავშირებული და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვინც ეს რევოლუცია მოახდინა დამწერლობის ისტორიაში, იგი საკმაოდ ადეკვატურად აღიქვამდა ბერძნული ენის ფონოლოგიურ სისტემას. რასაკვირველია, ფილოლოგიური ელემენტები უნდა დავინახოთ იმაშიც, რომ უკვე ჰომეროსის ეპოქიდან პოეზიაში შემოდის და მკვიდრდება სხვადასხვა მეტრული სისტემა და აზრის მეტრულად ჩამოყალიბების წესები. გარკვეული შეთანხმების გარეშე, რომელიც უნდა არსებულიყო მომღერალთა მთელ თაობებში, შეუძლებელი იქნებოდა იმ ერთიანობის მიღწევა, რაც ჰექსამეტრით გამართულ უძველეს ნაწარმოებებში შეინიშნება. მაგრამ პირველი ბერძენი მწერლები ამ მიმართულებით უფრო შორს წავიდნენ და ეს სავსებით გასაგებია, რადგან, როგორც ქვემოთ დავი-

ნახავთ, თავად ეგეოსური კულტურის ბერძნულ მოდელში იყო ჩადებული ანალიტიკური აზროვნების განვითარების აუცილებლობა. თავი რომ დავანებოთ ეპიკური ნაწარმოებების აგების ძალზე საინტერესო პრინციპებს, რაც აშკარად გულისხმობდა, რომ ძველი პოეტები სერიოზულად ფიქრობდნენ თხზულების კომპოზიციის კანონებზე, უკვე ჰომეროსის (ძვ. წ. VIII ს.) ეპოსში და უფრო მეტად ჰესიოდესთან (ძვ. წ. VII ს.) გვხვდება ე. წ. ხალხური ეტიმოლოგიის შემთხვევები. ანუ პოეტი გვთავაზობს ამა თუ იმ საკუთარი სახელის მნიშვნელობის ახსნის ცდას.

ფილოლოგის თვალისათვის შესამჩნევი ბევრი ელემენტი შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ბერძენ ლირიკოსთა შემოქმედებაშიც. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ლექსთწყობის სისტემის საოცარ გამრავალფეროვნებას, ლიტერატურული დიალექტების ნორმათა მკაცრ დაცვას. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ანაკრეონის ერთ-ერთ ფრაგმენტში სახელ კლეობულოსის სხვადასხვა ბრუნვაში გადმოცემის შეგნებული ცდაც კი შეგვიძლია დავადასტუროთ. მაგრამ, რასაკვირველია, პირველი სერიოზული ნაბიჯი ფილოლოგიის ჩამოყალიბებისაკენ გადაიდგა მაშინ, როდესაც პოეტური ნაწარმოებების შესახებ სპეციალური ნაშრომების წერა დაიწყო. კვლევისა და დაკვირვების ობიექტად იქცა ლიტერატურული შემოქმედების პროდუქტი. ალბათ, გარკვეული სამუშაო ჰომეროსის ტექსტის წესრიგში მოსაყვანად უკვე ძვ. წ. VI საუკუნეში ჩატარდა პისისტრატოსის დროს, რომლის მიერ შექმნილ ე. წ. „სარედაქციო კოლეგიაზე" მიგვითითებს ზოგიერთი ანტიკური წყარო. ფაქტია, რომ ის ტექსტები, რომლებიც პანათენეებზე სისტემატურად შესასრულებლად დადგინდა, მის ჩამწერთა თუ გადამწერთა მიერ გარკვეული მუშაობის ჩატარებას მაინც გულისხმობდა, თუნდაც ორთოგრაფიის დონეზე, რისი შედეგიც, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ჰომეროსის ეპოსში დადასტურებული ატიციზმის შემთხვევები უნდა იყოს.

რასაკვირველია, ჩვენთვის უფრო საინტერესოა ის სახელები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან პროცესთან, რასაც ლიტერატურული ტექსტის კვლევა შეიძლება ვუწოდოთ. პირველი ჩვენთვის ცნობილი ასეთი ფიგურა უნდა ყოფილიყო თეაგენეს რეგიონელი (ძვ. წ. VI ს.), რომელსაც შეუქმნია ნაშრომი ჰომეროსის შესახებ.

ლიტერატურის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი ფილოსოფოსთა წრეში გამოიკვეთა, უპირველეს ყოვლისა, სოფისტებთან, რომლებმაც ძვ. წ. V საუკუნეში აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი ცნობილი მოძრაობა შექმნეს. ისინი, როგორც წყაროები გვაუწყებენ, ამა თუ იმ გარემოებასთან დაკავშირებით, საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ ლიტერატურული ტექსტების ანალიზს. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა პროტაგორას აბდერელი (ძვ. წ. 481-411); ასევე ცნობილი უნდა ყოფილიყო ვინმე ჰიპიას ელისელი (პროტაგორასზე ახალგაზრდა), რომელსაც განსაკუთრებით აინტერესებდა ჰომეროსის ეპოსი.

და მაინც, პირველი ჭეშმარიტად სერიოზული ლიტერატურული კრიტიკა ისევ და ისევ მწერლის შემოქმედებაში დასტურდება. კომედიოგრაფოსი არისტოფანე (ძვ. წ. V ს.) ქმნის პიესას „ბაყაყები", სადაც კომედიის ფორმით წარმოდგენილია ორი გენიალური ტრაგიკოსის, ესქილესა და ევრიპიდეს შემოქმედების შეფასება. ამ კომედიაში გადმოცემული მრავალი თვალსაზრისი ბერძნული ტრაგედიის მკვლევართათვის დღესაც ფუნდამენტურად ითვლება.

ძალზე საყურადღებოა ამ მხრივ პლატონის თხზულებები, რომლებშიც მწერალი გვთავაზობს ლიტერატურის მრავალი კუთხით კვლევას, რაც მყარ საფუძველს უქმნის ჭეშმარიტი ფილოლოგიის აღმოცენებას. პლატონის მოსაზრებები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ იმდენად მრავალმხრივია, რომ მათ ანალიზს თანამედროვე მეცნიერებაში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. ზოგიერთი მკვლევარი შესაძლებლად თვლის შექმნას მონოგრაფია პლატონის ლიტერატურული თეორიის შესახებაც კი, თუმცა ამ უკანასკნელს არსად არ უცდია ცალკე ჩამოეყალიბებინა ლიტერატურის თეორია.

ამასვე ვერ ვიტყვით მის მოწაფესა და უმცროს თანამედროვეზე, არისტოტელეზე (ძვ. წ. 384-322), რომლისგანაც დაგვრჩა საყოველთაოდ ცნობილი „პოეტიკა“ (περὶ ποιητικῆς), პირველი თეორიული ტრაქტატი პოეტური ხელოვნების შესახებ. მართალია, ეს არის არისტოტელეს ლექციების კონსპექტური და არასრული ჩანაწერები, რის გამოც მასში ბევრი რამ ძალზე მოკლედ არის თქმული და ტექსტს ზოგიერთი ნაწილი აშკარად აკლია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელეს „პოეტიკა“ დღესაც ლიტერატურის თეორიაში შექმნილ ერთ-ერთ უბრწყინვალეს ნაშრომად ითვლება. არისტოტელემ თავის ნაშრომში წარმოგვიდგინა იმ ცნებების დიდი ნაწილი, რომელთაც დღესაც იყენებს ლიტერატურათმცოდნეობა, პირველად შემოგვთავაზა ლიტერატურის არსის გაგება, მისი ჟანრებად დაყოფის პრინციპები და ცალკეულ მწერალთა შემოქმედების შეფასების კრიტერიუმებიც. „პოეტიკის“ გარდა, არისტოტელეს უნდა ჰქონოდა „დიდასკალიები“ (διδασκαλίαι) ანუ თეატრალურ ფესტივალებში გამარჯვებულთა ნუსხა, რომელსაც შემდეგ გამოიყენებდა ყველა, ვინც ანტიკურ სამყაროში კლასიკური თეატრის ისტორიის საკითხებს შეისწავლიდა. ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებული არაერთი საკითხია განხილული არისტოტელეს „რიტორიკაში“, ხოლო ჰომეროსზე განსაკუთრებული მსჯელობა მას ჰქონია ჩვენამდე არმოღწეულ ნაშრომში „ჰომეროსის პრობლემები“.

ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში ათენის კულტურულ ცხოვრებაში საკმაოდ საყურადღებო მოვლენა ხდება. ცნობილი მოღვაწე ლიკურგოსი მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს იმით, რომ სამი გენიალური ტრაგიკოსის: ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიების ტექსტის ე. წ. „ათენურ სახელმწიფო ვარიანტს“ ადგენს. ამ ფაქტის მნიშვნელობა ნათელი გახდება, თუკი გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას. ძვ. წ. V ს-ში, როდესაც ეს ტრაგიკოსები მოღვაწეობდნენ, ათენის თეატრალურ ფესტივალებზე ერთი ტრაგედიის მხოლოდ ერთხელ გამოტანა იყო წესად. გამონაკლისი დაუშვეს თავდაპირველად მხოლოდ ტრაგედიის მამის – ესქილეს მიმართ ძვ. წ. 456 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ. ხოლო მას შემდეგ, რაც გარდაიცვალნენ სოფოკლე და ევრიპიდე (ძვ. წ. 406 წელს), ამგვარი გამონაკლისი დაუშვეს სამივე ტრაგიკოსის მიმართ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ დრამატურგთა ნაწარმოებები საბერძნეთის თეატრებში შეიძლებოდა მრავალგზის წარმოდგენილიყო. ამ პროცესში, ბუნებრივია, სხვადასხვა რეჟისორი პირვანდელ ტექსტს თავისი შეხედულებისამებრ ცვლიდა, ამოკლებდა ან შეჰქონდა მასში დამატებები. ასე რომ, ძვ. წ. IV საუკუნეში, ალბათ, დიადი სამეულის ტრაგედიების უამრავი „რედაქცია“ არსებობდა. საჭირო იყო ორიგინალური ტექსტების გადარჩენა ამგვარი შერყვნისაგან. ეს მიზნად დაისახა ლიკურგოსმა და სწორედ მისი წყალობით შეიქმნა ამ ტრაგიკოსთა ტექსტების ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული ვარიანტები. ბუნებრივია, ეს სამუშაო ვერ განხორციელდებოდა ფილოლოგიური ჩარევის გარეშე.

უნდა აღინიშნოს ასევე არისტოტელეს მოსწავლეების, ე. წ. პერიპატეტიკოსთა მოღვაწეობა. ჰერაკლიდეს პონტოელმა (ძვ. წ. 388-310) შექმნა ნაშრომები როგორც ცალკეული მწერლის – ჰომეროსის, ევრიპიდეს, ასევე თხზულებები ორი მწერლის შემოქმედების შედარების მიმართულებითაც, ა. მ. არქილოქოსის და ჰომეროსის, ჰომეროსის და ჰესიოდესი და ა. შ. ცნობილი ყოფილა ქამელეონის (ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარი) ნაშრომებიც ძველი კომედიის, ჰესიოდეს, სტესიქოროსის, საფოს, ანაკრეონის, ალკეოსის და ა. შ. შესახებ. თეოფრასტოს ერესოსელმა (ძვ. წ. 372-287/6), არისტოტელეს უდიდესმა მოწაფემ სახელი გაითქვა თავისი ნაშრომებით ესქილეზე. დიკეარქოსს მესენედან (ძვ. წ. IV-III) შეუქმნია ნაშრომები საბერძნეთის კულტურის ისტორიის შესახებ: „ელადის ცხოვრება“ (Βίος Ἑλλάδος), „მუსიკალური აგონების შესახებ“ (Περὶ μουσικῶν ἀγώνων), აგრეთვე „ჰიპოთესისები სოფოკლესა და ევრიპიდესათვის“ (Ὑποθέσεις τῶν Εὐριπίδου καὶ Σοφοκλέους μύθων), პითაგორას, ქსენოფანესის, პლატონის, სავარაუდოდ, აგრეთვე შვიდი ბრძენის

ცხოვრება (Βίοι φιλοσόφων). დემეტრიოსი ფალერონიდან (დაახლ. ძვ. წ. 350-280) ათენში ცნობილი რიტორი და მეცნიერი იყო. მას ჰქონია ნაშრომები: „რიტორიკის შესახებ" (Περὶ ῥητορικῆς), ჰომეროსისა და კომედიოგრაფოს ანტიფანესის შესახებ. მასვე შეუდგენია შვიდი ბრძენის გნომების ანუ გამონათქვამების კრებულიც (Γνῶμαι τῶν ἑπτὰ σοφῶν), რომელსაც, სავარაუდოდ, თან ერთოდა მათი ავტორების ბიოგრაფიებიც (Βίοι). პერიპატეტიკოსთაგან ასევე ცნობილები იყვნენ პრაქსიფანეს როდოსელი, ანტიგონოსი კარისტოსიდან, ფილოქოროსი ათენიდან, კრატეროსი. მათი უმეტესობა ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა და, ამდენად, ისინი წარმოადგენდნენ როგორც კლასიკური, ასევე ელინისტური ეპოქის მეცნიერებას.

იმ ცვლილებების შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს მოჰყვა, განსაკუთრებით დიდ სიმაღლეს მიაღწია ფილოლოგიურმა კვლევა-ძიებამ. შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, ფილოლოგია თავისი ნამდვილი სახით სწორედ ამ ეპოქიდან აღმოცენდა. ამას თავისი მრავალი მიზეზი ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა კი ის, რომ ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაპყრობილ ვეებერთელა სივრცეზე გადაჭიმული სამყაროსათვის აუცილებელი იყო სულიერი საზრდოს ინტენსიურად მიწოდება. ამ პროცესში, რასაკვირველია, ერთ-ერთ წამყვან როლს ბერძნული ლიტერატურა ასრულებდა. ბუნებრივია, დაისვა ავტორთა ახალი გამოცემების მომზადების და მათი შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლის საკითხი.

ამ ეპოქაში მრავალი კულტურული ცენტრი შეიქმნა. თავისი მნიშვნელობით გამორჩეული იყო ალექსანდრია და პერგამონი. უკვე ელინისტური დინასტიის ეგვიპტეში აღმოცენების პირველსავე პერიოდში პტოლემაიოს I-მა (დაახლ. ძვ. წ. 366-283) დიდი ძალისხმევა მიმართა იქითკენ, რომ ალექსანდრია უდიდეს კულტურულ ცენტრად ექცია. მრავალ სხვა მოვლენასთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანი იყო მუსეიონის (დაახლოებით ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ტიპის დაწესებულების) და ალექსანდრიის ცნობილი ბიბლიოთეკების შექმნა. ბიბლიოთეკის მუშაობის პირველსავე წლებში მასში 280000-მდე გრაგნილი იქნა თავმოყრილი. მათმა რაოდენობამ ძვ. წ. I საუკუნისათვის უკვე 700000-ს მიაღწია. დღეს არავის შეუძლია ზუსტად თქვას, რამდენი მილიონი ნაწარმოები იყო ფიქსირებული ამ გრაგნილებზე. ესოდენ გრანდიოზული ბიბლიოთეკის მუშაობის წარმართვა, რასაკვირველია, დიდ ძალისხმევას მოითხოვდა და მხოლოდ მაღალი ორგანიზაციის პირობებში შეიძლებოდა ბიბლიოთეკას წარმატებით ემუშავა.

კლასიკური ეპოქის დიად ბერძნულ ლიტერატურაზე მოთხოვნილების განუხრელმა ზრდამ წარმოქმნა ბერძენ ავტორთა ნაწარმოებების ახალი გამოცემების მომზადების აუცილებლობა. თავის მხრივ ამან ბიძგი მისცა ფილოლოგიური კვლევა-ძიების მანამდე არნახულ, სავსებით ახალ დონეზე აყვანას. დღესაც კი გაოცებას იწვევს ელინისტური ეპოქის დიდი ფილოლოგების შრომისმოყვარეობა და პროდუქტიულობა. მრავალი მათგანი სპეციალურ ფილოლოგიურ გამოკვლევებსა და ნაშრომებთან ერთად ახერხებდა რამდენიმე ბერძენი ავტორის კრიტიკული გამოცემის მომზადებას. ამგვარი პუბლიკაცია კი მართლაც ტიტანურ შრომას მოითხოვდა, რადგან, ერთი მხრივ, საჭირო იყო მკვლევრის მიერ უამრავი ხელნაწერის შეჯერება და ისეთი ტექსტის დადგენა, რომელიც, მისი აზრით, მაქსიმალურად მიახლოებული იყო ორიგინალთან, ხოლო, მეორე მხრივ, ამ გამოცემებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი კომენტარებისა და კვლევითი ნაწილის დართვა, რომლითაც ელინისტური ეპოქის მკითხველისათვის უნდა განემარტათ მრავალი ისეთი რამ, რაც მათთვის უკვე უცნობი იყო და, ამასთანავე, სწორი მიმართულებით წარემართათ მათი მომზადება მაღალ ლიტერატურასთან ზიარებისათვის.

ალექსანდრიელ ფილოლოგთა შორის ქრონოლოგიურად პირველად მოიხსენიებენ ფილეტასს კოსიდან (ძვ. წ. 325-285), პტოლემაიოს ფილადელფოსის მასწავლებელს, რომელ-

საც შეუდგენია პირველი მეცნიერული ლექსიკონი (Ἄτακτα ანუ Ἄτακτοι γλῶσσαι. Γλῶσσαι), რომელიც შემდგომ სხვადასხვა დამატებებით გამოიცემოდა ხოლმე.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის პირველი ბიბლიოთეკარი იყო ძენოდოტოს ეფესელი (დაახლ. ძვ. წ. 325-260). მას მიაწერენ ეპიკოსთა შემოქმედების წესრიგში მოყვანას და ჰომეროლოგიის სფეროში საყურადღებო ნაშრომის თუ ნაშრომების შექმნას (Γλῶσσαι Ὁμηρικαί. Διόρθωσις Ὁμήρου). მასვე უნდა შეექმნა ე. წ. συγγράμματα („ნარკვევები") ჰესიოდეს „თეოგონიისათვის", ანაკრეონისათვის, პინდაროსისათვის და მოემზადებინა ამ ავტორების პირველი კრიტიკული გამოცემები. ძალზე მნიშვნელოვანი იყო ბიბლიოთეკაში ლიკოფრონ ქალკისელის (ძვ. წ. IV-III სს.) მოღვაწეობაც. მას ეკუთვნის ვრცელი ნაშრომი „კომედიის შესახებ" (Περὶ κωμῳδίας).

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მეორე ბიბლიოთეკარი იყო ცნობილი მეცნიერი და პოეტი კალიმაქოს კირენელი (დაახლ. ძვ. წ. 310-240). მას, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, 800-ზე მეტი წიგნი დაუწერია. იგი იყო პინაკების (Πίνακες – საბიბლიოთეკო ჩანაწერები დაფებზე ანუ ბარათები) ძირითადი განმგებელი და მომწესრიგებელი. როგორც ჩანს, სწორედ მის დროს დალაგდა ეს პინაკები დარგების მიხედვით: I – პოეტები, II – კანონმდებლები, III – ფილოსოფოსები, IV – ისტორიკოსები, V – მჭევრმეტყველები და რიტორები, VI – სხვადასხვა. კალიმაქოსზე, როგორც მწერალ-ნოვატორზე, ჩვენ ლიტერატურისადმი მიძღვნილ თავში ვიმსჯელებთ.

ერატოსთენეს კირენელი, როგორც აღვნიშნეთ, პირველი იყო, ვინც თავისი საქმიანობა განსაზღვრა ტერმინით φιλόλογος. ის, ალბათ, ყველა დროის მეცნიერთა შორის ყველაზე უფრო მრავალმხრივი იყო. მას ჰქონდა არა მხოლოდ ფილოლოგიური ხასიათის ნაშრომები, არამედ იგი ითვლება მეცნიერული გეოგრაფიის და ქრონოლოგიის ფუძემდებლად (Γεωγραφικά. Περὶ χρονογραφιῶν). მასვე შეუქმნია მონოგრაფია „ძველი კომედიის შესახებ" (Περὶ τῆς ἀρχαίας κωμῳδίας). იგი იყო მესამე ბიბლიოთეკარი.

არისტოფანე ბიზანტიონელი (დაახლ. ძვ. წ. 257-180) ერთხმად იყო და არის აღიარებული ანტიკურობის უდიდეს ფილოლოგად. იგი იყო მეოთხე ბიბლიოთეკარი. მას ფილოლოგიის მეცნიერების განვითარებისათვის მრავალ მნიშვნელოვან საქმეს მიაწერენ. მას შემოუღია პირველად პროსოდიის, მახვილის, სპირიტუსის ნიშნები, რისი საჭიროებაც უკვე წარმოიქმნა ელინისტურ ეპოქაში, რადგან ბერძნულ ენაში მიმდინარეობდა არსებითი ფონოლოგიური ცვლილებების პროცესი. მაგრამ განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევს მისი, როგორც კრიტიკული გამოცემების განმხორციელებლის, მოღვაწეობა. მას, ძირითადად, სასწავლო მიზნით კრიტიკული ნიშნებით, შესავლებით, სათანადო კომენტარებით გამოუცია ჰომეროსი, ჰესიოდე; ლირიკოსები: ალკმანი, ალკეოსი, ანაკრეონი, სიმონიდესი, პინდაროსი, არქილოქოსი; ტრაგიკოსები და კომედიოგრაფოსები. მას შეუქმნია ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომები, აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის ლექსიკონები და ენციკლოპედიური ცნობარები. მასვე ეკუთვნის, როგორც ჩანს, ე. წ. ალექსანდრიული კანონის (Canon Alexandrinus) შექმნა. ეს იყო, ფაქტობრივად, ჟანრების მიხედვით იმ მწერლების ჩამონათვალი, რომლებიც შესაბამისი ჟანრებისათვის ჭეშმარიტ კლასიკოსებად შეიძლება ჩაგვეთვალა. თვალსაჩინოებისათვის აქვე მოვიტანთ ამ ავტორთა ნუსხას:

**Canon Alexandrinus**

*ეპიკოსები:* ჰომეროსი, ჰესიოდე, პეისანდროსი, პანიასისი, <ანტიმაქოსი>.[1]
*იამბიკოსები:* სემონიდეს ამორგოსელი, არქილოქოსი, ჰიპონაქსი.

---

[1] < > – მოგვიანებით ჩამატებული ავტორები.
(?) – არ არის ზუსტად ცნობილი, იყვნენ თუ არა ეს ავტორები ნუსხაში.
[ ] – კანონის სავარაუდო ნაწილი.

*ტრაგიკოსები:* ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, <იონი, აქეოსი>.

*კომიკოსები: ძველი კომედია:* ეპიქარმოსი, კრატინოსი, ევპოლისი, არისტოფანე, ფერეკრატესი (?), კრატესი (?), პლატონი (?); *საშუალო კომედია:* ანტიფანესი, ალექსისი; *ახალი კომედია:* მენანდროსი, ფილიპიდესი (?), დიფილოსი, ფილემონი, აპოლოდოროსი (?).

*ელეგიკოსები:* კალინოსი, მიმნერმოსი, <ფილიტასი, კალიმაქოსი>.

*ლირიკოსები:* ალკმანი, ალკეოსი, საფო, სტესიქოროსი, პინდაროსი, ბაკქილიდესი, იბიკოსი, ანაკრეონი, სიმონიდესი.

*ისტორიკოსები:* ჰეროდოტოსი, თუკიდიდესი, ქსენოფონი, ფილისტოსი (?), თეოპომპოსი, ეფოროსი, <ანაქსიმენესი, კალისთენესი, ჰელანიკოსი, პოლიბიოსი>.

[*რიტორები:* დემოსთენესი, ლისიასი, ჰიპერეიდესი, ისოკრატესი, ესქინესი, ლიკურგოსი, ისაიოსი, ანტიფონი, ანდოკიდესი, დეინარქოსი].

არისტოფანეს მოწაფეთა შორის უდიდესი ფილოლოგი იყო არისტარქოს სამოთრაკიელი (ძვ. წ. 217/5-145/3), მეხუთე ბიბლიოთეკარი. ის მთელი ანტიკურობისათვის ითვლებოდა კრიტიკოსად κατ᾽ ἐξοχήν, ანუ სხვათა წინაშე უპირატესობის მქონედ. მას დიდი წვლილი მიუძღვის ფილოლოგთა მთელი თაობის აღზრდის საქმეში. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, არისტარქოსს 40-ზე მეტი დიდი ფილოლოგი აღუზრდია, რომლებიც მისი მეთოდებით მუშაობდნენ ტექსტების კრიტიკული გამოცემის დროს.

ამონიოსი (ძვ. წ. II ს.) მეექვსე და უკანასკნელი ცნობილი ბიბლიოთეკარი იყო ალექსანდრიაში. გარდა ამისა, ალექსანდრიაში მოღვაწეობდა ისეთი ცნობილი ფილოლოგი, როგორიც იყო აპოლოდოროსი (დაახლ. ძვ. წ. 170-90). განსაკუთრებით უნდა გამოიყოს არისტარქოსის მოწაფის, დიონისიოს თრაკიელის მოღვაწეობა, რომელსაც კრიტიკული გამოცემების გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეუქმნია ბერძნული ენის პირველი გრამატიკა (τέχνη γραμματική). დიდ ფილოლოგთა ტრადიციებს ძვ. წ. I საუკუნის და ახ. წ. I საუკუნეთა მიჯნაზე აგრძელებდა დიდიმოს ალექსანდრიელი (დაახლ. ძვ. წ. 65 – ახ. წ. 10), რომლის საგამომცემლო და მეცნიერულ-ფილოლოგიური კვლევის მასშტაბები ასევე განსაცვიფრებელია. ალექსანდრიელი ფილოლოგებისათვის ცდილობდნენ ტოლი არ დაედოთ პერგამონელ მოღვაწეებსაც. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ქრისიპოსი სოლოსიდან (ძვ. წ. 280-206), კრატესი მალოსიდან (ძვ. წ. II ს.). ფილოლოგიური მუშაობა ელინისტურ ეპოქაში დაარსებულ ცენტრებში გრძელდებოდა ელინისტური სახელმწიფოების დაქვეითების შემდგომაც, როდესაც ელინისტური სამყარო რომის იმპერიის ფარგლებში აღმოჩნდა.

ფილოლოგთა მრავალრიცხოვანი თაობების შრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო სქოლიოების ანუ განმარტებების შედგენა სხვადასხვა ავტორებისათვის. სქოლიოები, ფაქტობრივად, წარმოადგენდნენ უნივერსალური ხასიათის განმარტებებს ამა თუ იმ ნაწარმოებისათვის თუ ავტორისათვის, რომელშიც მკითხველი ნახავდა როგორც ლინგვისტურ, ასევე ლიტერატურულ-თეორიულ, ისტორიულ, კულტურულ-ისტორიულ და ა. შ. ხასიათის კომენტარებს. შეიძლება ითქვას, რომ სქოლიოები შედგენილი იყო ყველა მნიშვნელოვანი ავტორისათვის: ჰომეროსი, ჰესიოდე, პინდაროსი, ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, არისტოტელე, თუკიდიდესი, პლატონი, არისტარქოსი, დემოსთენესი, ესქინესი, ლიკოფრონი, აპოლონიოს როდოსელი, კალიმაქოსი, არატოსი, თეოკრიტოსი, ნიკანდროსი. ზოგიერთმა ამ სქოლიოებიდან მეტ-ნაკლებად სრული ან ტრანსფორმირებული სახით ჩვენამდეც მოაღწია. მაგალითად, ცნობილია ჰომეროსის და სხვათა სქოლიოები.

ბუნებრივია, ფილოლოგიური მუშაობის წარმართვამ ორი მიმართულებით – ტექსტების გამოცემა და ენობრივი ანალიზი – ფილოლოგები მიიყვანა, ერთი მხრივ, კრიტიკული ნიშ-

ნების სისტემის შექმნამდე, ხოლო, მეორე მხრივ, გრამატიკული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებამდე. ტექსტის კრიტიკულ აპარატში კრიტიკულ ნიშანთა შემომტანად ითვლება ძენოდოტოს ეფესელი. არისტოფანე ბიზანტიონელი და არისტარქოს სამოთრაკიელი მნიშვნელოვნად ამრავალფეროვნებენ კრიტიკულ ნიშანთა სისტემას. ჩვენ აქ არ შევუდგებით ყველა კრიტიკული ნიშნის აღნუსხვას და მათი კომბინაციების ჩვენებას, ჩამოვთვლით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს:

## კრიტიკული ნიშნები

**ὀβελός (–)**

მოკლე ჰორიზონტალური ხაზი. განთავსებული იყო ტექსტის მარცხენა მხარეს. ამ ნიშნით აღინიშნებოდა ის ადგილი ტექსტში, რომელიც არაავთენტურად იყო მიჩნეული. მას გამოიყენებდა ძენოდოტოს ეფესელი ჰომეროსის ტექსტის კრიტიკული გამოცემისას არაპოეტისეული ან შერყვნილად მიჩნეული ადგილების აღსანიშნავად.

**ἀστερίσκος καθ' ἑαυτόν (※)**

არისტარქოს სამოთრაკიელი ამ ნიშანს სტრიქონის განმეორებისას იყენებდა. იგი ასტერისკოსს სვამდა იქ, რა ადგილსაც მართებულად მიიჩნევდა, ხოლო ინტერპოლირებულ ადგილს იგი ასტერისკოსითა და ობელოსით უთითებდა. კრიტიკულ გამოცემებში ასტერისკოსი ოდის დასასრულს აღნიშნავდა. ალკეოსის გამოცემაში არისტოფანე ამ ნიშნით საზომის მონაცვლეობას, არისტარქოსი კი – ერთი ლექსიდან შემდეგზე გადასვლას აღნიშნავდა.

**διπλῆ ἀπερίστικτος / καθαρά (>) / (<)**

განსაკუთრებით ხშირად იყენებდა არისტარქოსი. ამ ნიშანს სულ სხვადასხვა ფუნქცია შეიძლებოდა ჰქონოდა. მაგალითად, ამ ნიშნით შეიძლება აღნიშნული ყოფილიყო როგორც ერთხელ გამოყენებული სიტყვა, ასევე ის ლექსიკური ფორმატივი, რომელსაც მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა.

**ὀβελὸς μετὰ ἀστερίσκου (—※)**

ობელოსი ასტერისკოსთან ერთად იხმარებოდა versus iteratus-ის შემთხვევაში, ანუ როცა სტრიქონი არა მარტო შეუსაბამო ადგილას იყო განთავსებული, არამედ ამასთანავე ინტერპოლაციის შედეგად (ან გვიანდელ ჩანართად) იყო მიჩნეული.

**ὀβελὸς περιεστιγμένος (÷)**

გამოიყენებოდა იმ ადგილების მისათითებლად, რომლებიც უმართებულოდ იყო უარყოფილი.

**διπλῆ περιεστιγμένη (?)**

ამ ნიშნით არისტარქოსი აღნიშნავდა იმ ადგილებს, სადაც ძენოდოტოსს ეწინააღმდეგებოდა.

**ἀντίσιγμα σίγμα (:)**

ანტისიგმა განთავსებული იყო იმ სტრიქონებთან, რომელთა თანამიმდევრობა შეცვლილი იყო. არისტოფანე აღნიშნავდა ამ ნიშნით ერთი და იმავე შინაარსის ერთმანეთს მიყოლებულ სტრიქონებს.

**ἀντίσιγμα περιεστιγμένον (;)**

გამოიყენებოდა მსგავსი შინაარსის ორი სტრიქონის საჩვენებლად, ანუ ტავტოლოგიის დროს, როცა ერთი და იმავე აზრის მქონე ორი სტრიქონის არსებობის შემთხვევაში საეჭვო იყო, თუ რომლის დატოვება სჯობდა.

**κεραύνιον (Τ)**

დაახლოებით იმას აღნიშნავდა, რასაც ობელოსი, ანუ, როცა საეჭვო იყო ამა თუ იმ სტრიქონის ავთენტურობა.

**χρήσιμον (χ)**

ქრესიმონი შეესაბამება არისტარქოსის მიერ დიპლეს გამოყენების შემთხვევებს. გამოიყენებოდა ტრაგიკოსების და არისტოფანეს სქოლიოებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ელინისტურ ეპოქაში ჩამოყალიბებული სახე მიიღო გრამატიკულმა ტერმინოლოგიამ. აქვე მოვიტანთ სქემას, სადაც წარმოდგენილი იქნება, თუ რომელ ავტორს ეკუთვნის ამა თუ იმ ტერმინის შემოტანა ბერძნულში ან ლათინურში. ასევე ასახული იქნება ერთი და იმავე ტერმინის სხვადასხვა ავტორთან დამოწმებული განსხვავებული სახელდების შემთხვევებიც.

უმთავრესი გრამატიკული ტერმინები

| ბერძნული | ლათინური | ქართული მნიშვნელობა |
|---|---|---|
| I. Ὄνομα | I. Nomen | I. სახელი |
| 1. Γένος<br>τὸ ἄρρεν, θῆλυ, σκεῦος<br>(არისტოტელე – τὰ μεταξὺ ὀνόματα; სტოიკოსები – οὐδέτερον); ალექსანდრიელი სწავლულები + κοινόν (ὁ / ἡ βοῦς), ἐπίκοινον (ὁ ἀετός) | I. Genus<br>virile, muliebre, neutrum, commune (canis), promiscuum (aquila);<br>კვინტილიანუსი – masculinum, femininum;<br>ვარონი – mas, femina / virile, muliebre | I. სქესი<br>მამრობითი, მდედრობითი, საშუალო, საერთო |
| 2. Ἀριθμός<br>ἑνικός, πληθυντικός, δυϊκός | 2. Numerus<br>ვარონი, კეისარი – singularis, multitudo; კვინტილიანუსი – pluralis; გელიუსი – plurativus | 2. რიცხვი<br>მხოლობითი, მრავლობითი, ორობითი |
| 3. Κλίσις, Πτώσεις<br>a) ὀνομαστική, εὐθεῖα, ὀρθή | 3. Declinatio, casus:<br>a) ვარონი – nominativus; ნიგიდიუსი – rectus | 3. ბრუნება, ბრუნვები<br>სახელობითი |
| b) γενική, πατρική, κτητική | b) ნიგიდიუსი – casus interrogandi; ვარონი – patricus, communis; კვინტილიანუსი – paternus, patrius, possessivus, genetivus | ნათესაობითი |
| c) δοτική, ἐπισταλτική | c) ნიგიდიუსი, ვარონი – casus dandi; კვინტილიანუსი – commendativus, dativus | მიცემითი |
| d) αἰτιατική | d) casus accusandi – ვარონი, incusativus, accusativus | ბრალდებითი |
| e) κλητική, προσαγορευτική | e) casus vocandi – ვარონი, salutatorius, vocativus | წოდებითი |
| | f) sextus, Latinus casus – ვარონი: "quia Latinae linguae proprius est", ablativus | აბლატივუსი |
| II. Ῥῆμα, Συζυγία<br>a) Διαθέσεις<br>არისტოტელე – ποιεῖν, πάσχειν (ἐνέργεια, πάθος); სტოიკოსები – ὀρθόν, ὕπτιον, | II. Verbum, Coniugatio<br>a) Genera, adfectus, significatio activum, passivum, neutrum, commune, deponens / simplex;<br>ვარონი – verba faciendi et patiendi | II. ზმნა, უღლება<br>ა) გვარი<br>მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი |

| | | |
|---|---|---|
| οὐδέτερον (გარდაუვ. მედიუმი), μέση (მედიუმი); დიონისიოსი — ἐνέργεια, πάθος, μεσότης; გვიანდელი ავტორები — ἐνεργετική, παθητική, μεσότης | | |
| b) Ἐγκλίσεις<br>დიონისიოსი — ὁριστική, προστατική, εὐκτική, ὑποτακτική, ἀπαρέμφατος | b) Modi, qualitates, status, inclinatio<br>finitus, indicativus, imperativus, optativus, subiunctivus, infinitus, infinitivus | ბ) კილო<br>თხრობითი, კავშირებითი, ნატვრითი, ბრძანებითი განუსაზღვრელობითი |
| c) Χρόνοι<br>პლატ. (სოფ. 262ᶜ) — περὶ τῶν ὄντων ἢ γιγνομένων ἢ γεγονότων ἢ μελλόντων; არისტ. (ტოპ. 2, 4) — τὸ μὲν γὰρ τοῦ παρεληλυθότος χρόνου ἐστί, τὸ δὲ καὶ τοῦ παρόντος καὶ τοῦ μέλλοντος; სტოიკოსები — ἐνεστῶτα, παρῳχηκότα, μέλλοντα; დიონისიოსი — ἐνεστώς, παρεληλυθώς, μέλλων. ὁ παρεληλυθὼς ἔχει διαφορὰς τέσσαρας: παρατατικόν (imperf.), παρακείμενον (τέλειον), ὑποσυντελικόν (ὑπερτέλειον), ἀόριστον | c) Tempora<br>praesens (instans), futurum, practeritum / imperfectum, perfectum, plusquamperfectum; futurum exactum და consecutio temporum (არ არის ანტიკური ტერმინები) | გ) დროები<br>აწმყო, მომავალი, წარსული, ნამყო წარსული, ნამყო წინარე წარსული |
| d) Πρόσωπα<br>πρῶτον, δεύτερον, τρίτον | d) Personae<br>prima, secunda, tertia | დ) პირი<br>პირველი, მეორე, მესამე |

ბუნებრივია, ანტიკურ სამყაროში ფილოლოგიური მეცნიერება არ ვითარდებოდა მხოლოდ საბერძნეთში. საკმაოდ მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდებოდა ამ მხრივ რომშიც. აქ, ისევე როგორც საბერძნეთში, მკვლევრები არ იფარგლებოდნენ ოდენ ფილოლოგიური მოღვაწეობით. ისინი იმავდროულად ცნობილი მწერლები და ენციკლოპედისტები იყვნენ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ფილოლოგიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს პოეტებმა, მჭევრმეტყველებმა, ფილოსოფოსებმა, რომელთა მოღვაწეობაში წმინდა ფილოლოგიური მუშაობა მხოლოდ ერთი, ალბათ, არცთუ მნიშვნელოვანი მიმართულება იყო.

პირველი დიდი ენციკლოპედისტი და ფილოლოგი, რომლის მუშაობის მასშტაბები აშკარად უტოლდება დიდი ალექსანდრიელების მუშაობის მასშტაბებს, იყო ტერენციუს ვარონი (ძვ. წ. 116-27), რომელსაც ჰქონია როგორც ისტორიული ხასიათის თხზულება „ადამიანურ და ღვთიურ საქმეთა სიძველეები" (Antiquitates rerum humanarum et divinarum), ასევე ლიტერატურის ისტორიის შესახებ ნაშრომები: „ბიბლიოთეკების შესახებ" (De bibliothecis), „პლავტუსის საკითხები" (Quaestiones Plautinae), გრამატიკა „ლათინური ენის შესახებ" (De Lingua Latina). საინტერესო ფიგურა იყო ჰიგინუსი, ალექსანდრე პოლიჰისტორის მონაფე (ძვ. წ. 60 – ახ. წ. 10), რომელსაც შეუქმნია სხვადასხვა ხასიათის კომენტარები და ნაშრომები. ბრწყინვალე ფილოლოგიურ ნაშრომად უნდა ჩავთვალოთ ცნობილი პოეტის, ჰორაციუსის (ძვ. წ. 65 – ახ. წ. 8) „პოეტური ხელოვნება" (Ars poetica), რომელშიც არისტოტელესგან განსხვავებით, პოეტური ფორმით არის ჩამოყალიბებული მწერლის ძირითადი მოსაზრებები პოეტიკის შესახებ. ლიტერატურათმცოდნეობის ისტო-

რიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კვინტილიანუსის (ახ. წ. 35-95) „ორატორების აღზრდას" (Institutio oratoria), რომლის X წიგნში იგი, ფაქტობრივად, ანტიკური ლიტერატურის საინტერესო მიმოხილვას გვთავაზობს.

ბუნებრივია, რომაელი ფილოლოგების წინაშე იდგა ლათინურ და ბერძნულენოვან სამყაროებს შორის ლიტერატურული პროცესების შედარების საკითხი. თუკი გავითვალისწინებთ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში განათლებული რომაელები ბერძნულს ფლობდნენ და ორიგინალის ენაზე კითხულობდნენ ბერძნულ ლიტერატურას, ნათელი გახდება, თუ რამდენად მდიდარ მასალას იყენებდნენ ისინი თავიანთი ფილოლოგიური კვლევისა თუ თეორიებისათვის. ბერძნების მსგავსად, რომაელებმაც შექმნეს სქოლიოები ყველა ძირითადი ავტორისათვის: ვერგილიუსი, ოვიდიუსი, ჰორაციუსი, ნევიუსი, პლავტუსი, ტერენციუსი, ლუკილიუსი, ლუკრეციუსი, ციცერონი, სალუსტიუსი, გერმანიკუსი, ლუკანუსი, იუვენალისი, სტაციუსი.

თუკი რამდენიმე სიტყვით შევაჯამებთ ფილოლოგიური მეცნიერების მიერ განვლილ გზას ანტიკურ სამყაროში, შეიძლება ითქვას, რომ ბერძენმა და რომაელმა მოღვაწეებმა კაცობრიობას უდიდესი მემკვიდრეობა დაუტოვეს კლასიკური ლიტერატურის შესწავლის სფეროში. ლიტერატურული ტექსტის გამოცემის, ინტერპრეტირების, მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით, მათ უთუოდ შექმნეს ერთგვარი პარადიგმა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ფილოლოგიური მუშაობა. რასაკვირველია, მომდევნო საუკუნეებმა ბევრი მიიღო ამ მემკვიდრეობიდან და, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ დღესაც, ხშირ შემთხვევაში, ანტიკური ფილოლოგიის საფუძველს ვეყრდნობით.

**ბიზანტია და შუა საუკუნეები.** შუა საუკუნეებში კლასიკური ფილოლოგიის ისტორიაში ორი ტენდენცია შეიძლება გამოვყოთ: ერთი დაკავშირებულია ბიზანტიასთან და იგი ძველი ბერძნული ცივილიზაციის, კერძოდ, ძველი ბერძნული ენისა და ლიტერატურის საკმაოდ ღრმა და ინტენსიური შესწავლით აღინიშნა. მეორე — დასავლეთ ევროპას უკავშირდება, სადაც, თუკი ე. წ. კაროლინგური რენესანსის პერიოდს არ გავითვალისწინებთ, ამ მიმართულებით მუშაობა თითქმის სრულიად შეჩერებულია.

ბიზანტიაში ანტიკური ბერძნული ცივილიზაციის შესწავლას საკმაოდ მყარი საფუძველი ჰქონდა. ჯერ ერთი, ბიზანტიური ეპოქის ლიტერატურული ბერძნული ენა კლასიკური და ელინისტური ეპოქის ნაწარმოებების საფუძვლიანი შესწავლის გარეშე ვერ შეინარჩუნებდა თავის პოზიციებს. როგორც ცნობილია, ბიზანტიურ ეპოქაში ლიტერატურული ენა საკმაოდ დაშორებული იყო იმ ენას, რომელზეც ხალხი ლაპარაკობდა. მეორეც, რომის იმპერიის იმ გადარჩენილი ნაწილისათვის, რომელსაც ბერძნულენოვანი ბიზანტია წარმოადგენდა, გარკვეული პრესტიჟის საკითხი იყო იმის ჩვენება, რომ ბიზანტიური კულტურა თავისი ფესვებით დიად ბერძნულ წარსულს უკავშირდებოდა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისეთი განვითარებული იმპერიის ფარგლებში, როგორიც ბიზანტია იყო, განათლებულ ადამიანთა ფორმირებისათვის აუცილებლად მიაჩნდათ სკოლებში ძველ ბერძენ ავტორთა თხზულებების კითხვა და შესწავლა. ეს და სხვა ფაქტორები განაპირობებენ იმას, რომ გვიანანტიკურობის შემდეგ შექმნილი ერთგვარი პაუზის შემდგომ, ახ. წ. IX საუკუნიდან მაინც „კლასიკური ფილოლოგია" ბიზანტიაში წარმატებულად ფუნქციონირებს. არ შევეხებით ამ ეპოქის ყველა ფილოლოგსა და ენციკლოპედისტს, ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ რამდენსამე მნიშვნელოვან ფიგურაზე და მათ როლზე ძველი ბერძნული ცივილიზაციის შესწავლის საქმეში.

უპირველეს ყოვლისა, ამ მხრივ აღსანიშნავია კონსტანტინოპოლისის პატრიარქი ფოტიოსი (დაახლ. 820-891), რომელიც ქმნის ფასდაუდებელ ნაშრომს „ბიბლიოთეკა" (Βιβλιοθήκη), სადაც იგი იძლევა 280 წიგნის მიმოხილვას და, ამასთან, არცთუ იშვიათად მოაქვს

საკმაოდ ვრცელი ექსცერპტები ძველი ავტორების ტექსტებიდან. „ბიბლიოთეკას“ უნდა ვუმადლოდეთ არაერთი ნაწარმოების შესახებ ინფორმაციის შემონახვას, ა. მ., თითქმის არაფერი გვეცოდინებოდა ე. წ. კიკლიკური პოემების შესახებ, რომ არა ფოტიოსის „ბიბლიოთეკის“ ის ნაწილი, რომელმაც შემოგვინახა პროკლოსის „ქრესტომათიის“ შესაბამისი ნაწილები. ფოტიოსს შეუქმნია მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული ნაშრომიც (Λέξεων συναγωγή), რომელშიც მას მოუხდენია ანტიკური ეპოქის ლექსიკოგრაფთა შრომების საკმაოდ საინტერესო კომპილაცია.

ასევე მნიშვნელოვანია ბიზანტიელი კეისრის, კონსტანტინე VII პორფიროგენეტოსის (912-959) მოღვაწეობაც. მის მრავალ თხზულებათა შორის აღსანიშნავია ენციკლოპედიური ხასიათის დიდი ნაშრომი, რომელსაც, პირობითად, ისტორიის ენციკლოპედია შეიძლება ვუწოდოთ. იგი შეიცავდა 53 ნაწილს, რომელთაგან ჩვენთვის ცნობილია 26-ის სახელწოდება, ხოლო ჩვენამდე შემორჩა მხოლოდ 4 ნაწილი (მთლიანად ან ნაწილობრივ).

სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლექსიკონ „სვიდას“, რომელიც შექმნილი უნდა იყოს 876-1028 წლებს შორის. ეს არის გრანდიოზული საცნობარო ნაშრომი, რომელიც მოიცავს უნიკალურ ინფორმაციას ძველი ბერძნული ცივილიზაციის შესახებ. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა მასშტაბების იყო ეს ლექსიკონი, მოვიტანთ ზოგიერთ მონაცემს. სვიდა შეიცავს დაახლოებით 12000 სალექსიკონო სტატიას, მათგან 900 ბიოგრაფიული ხასიათისაა. ყველაზე დიდი სტატია, მისი ბეკერისეული გამოცემის მიხედვით, სამ-ნახევარ გვერდს შეიცავს, ხოლო უმცირესი – რამდენიმე წინადადებით შემოიფარგლება. მოტანილია დაახლოებით 400 მწერლის ციტატა, მათ შორის ზოგიერთის – მრავალგზის. ლექსიკონი ეფუძნება აშკარად ანტიკურ და ბიზანტიურ ნაშრომებს ლექსიკოგრაფიის სფეროში: სქოლიასტებს და კომენტატორებს, ისტორიკოსებს, ლიტერატურის ისტორიკოსებს. რომ არა სვიდა, ჩვენი ინფორმაცია მრავალი ბერძენი მწერლისა და მოღვაწის შესახებ ბევრად უფრო ღარიბი იქნებოდა, ვიდრე ეს დღეს არის.

აღსანიშნავია იოანე ცეცეს (დაახლ. 1110-1185) მოღვაწეობაც, რომელსაც ანტიკვარულ-ისტორიული ხასიათის მრავალი ნაშრომი შეუქმნია, ასევე სხვადასხვა ანტიკური ავტორის კომენტარები და სქოლიოები. განსაკუთრებით ცნობილია მისი განმარტება ანტიკური პოეტის, ლიკოფრონის საკმაოდ ბუნდოვანი ლექსისა „ალექსანდრა“.

ცნობილ ბიზანტიელ ფილოლოგთა რიცხვს მიეკუთვნება თესალონიკის ეპისკოპოსი ევსტათიოსი (მოღვაწ. 1175-1195). მას შეუქმნია სქოლიოები „ილიადისა“ და „ოდისეასათვის“, რისთვისაც ეყრდნობოდა ანტიკური ეპოქის ცნობილი ფილოლოგების კომენტარებსა და ნაშრომებს. ასევე, მას დაუწერია კომენტარები პინდაროსის შემოქმედებისათვის.

მაქსიმუს პლანუდესი (1260-1310) თავდაპირველად საერო პირი, 1283 წლიდან ბერად აღიკვეცა. 1296 წელს იგი წარგზავნილ იქნა ვენეციაში. ის იყო ერთ-ერთი პირველი ბიზანტიელი ფილოლოგი, რომელიც ლათინურს ფლობდა. მას მიეწერება არაბული ციფრების სისტემის ევროპაში შემოტანა. ცნობილია მისი ნაშრომები გრამატიკის სფეროში, სინტაქსის შესახებ, სქოლიოები სხვადასხვა ანტიკურ ავტორზე, ანდაზებისა და აფორიზმების კრებულები, რომლებშიც ანტიკური ეპოქის მოაზროვნეთა მრავალი სენტენცია იყო შეკრებილი. მას ეკუთვნის აგრეთვე ბერძნული ეპიგრამების კრებული, რომელსაც ჩვენ Anthologia Planudea-ს სახელწოდებით ვიცნობთ. იგი 1606 წელს Anthologia Palatina-ს აღმოჩენამდე, ალბათ, ამ ჟანრის ყველაზე მნიშვნელოვან კრებულად ითვლებოდა. მასვე განუხორციელებია ბერძნულ ენაზე რომაელ ავტორთა თარგმანები, რაც ესოდენ იშვიათი იყო ბერძნულენოვანი ბიზანტიის კულტურულ ცხოვრებაში.

პლანუდესის მოწაფე იყო მანუელ მოსხოპულოსი (დაბ. დაახლ. 1265). მას, დიონისიოს თრაკიელის შესაბამისი ნაშრომის გათვალისწინებით, შეუქმნია სასკოლო გრამატიკა (Ἐρωτήματα), რომელმაც შემდეგ დიდი გავლენა მოახდინა ბერძნული ენის გრამატიკების

ავტორებზე. თომას მაგისტერი ასევე პლანუდესის თანამედროვე იყო. იგი ცნობილია თავისი ნაშრომებით, რომელთაც შემოგვინახეს ციტატები მრავალი დაკარგული ანტიკური ნაწარმოებიდან. და ბოლოს, სახელგანთქმულ ბიზანტიელ ფილოლოგთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ დემეტრიოს ტრიკლინიოსი (XIV ს-ის პირველი ნახევარი), რომელსაც XIX-XX საუკუნეების ერთ-ერთმა უდიდესმა ფილოლოგმა, ვილამოვიც-მოლენდორფმა პირველი თანამედროვე ტექსტოლოგი უწოდა. მისგან შემოგვრჩა პინდაროსის სქოლიოები, ორი მეტრული ტრაქტატითა და პარაფრაზით, სქოლიოებით სოფოკლესა და ესქილესათვის და ანტიკურ ავტორთა სხვა ნაწარმოებთათვის.

როგორც აღვნიშნეთ, მთელი ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ უფერულად გამოიყურებოდა „კლასიკური ფილოლოგია" დასავლეთ ევროპაში. აქ შუა საუკუნეებს, ჩვეულებრივ, სამ პერიოდად ყოფენ: პირველი პერიოდი VI-VIII საუკუნეებს მოიცავს, როდესაც კულტურის საოცარი დაქვეითება შეინიშნება და, შესაბამისად, შეუძლებელია ფილოლოგიის რაიმე განვითარებაზე ლაპარაკი. მეორე პერიოდს, რომელიც გარკვეულწილად XI საუკუნემდე აღწევს, კაროლინგური რენესანსის პერიოდს ვუწოდებთ. ამ დროს აღმავლობას განიცდიან მონასტრები და სამონასტრო სკოლები, რომლებშიც მოხდა ჩვენამდე მოღწეული ლათინი ავტორების უძველეს ხელნაწერთა გამოვლენა (ამ დროისათვის, როგორც ჩანს, დაკარგული იყო რომაული ტექსტების უდიდესი ნაწილი). მესამე პერიოდი — XI-XIV სს. — სქოლასტიკის მეუფების ხანად ითვლება, როდესაც ძალზე პოპულარული ხდება არისტოტელე. მას XII საუკუნემდე მხოლოდ არაბული ვერსიების მიხედვით შესრულებული ლათინური თარგმანების წყალობით იცნობდნენ. გარკვეული გამონათებების მიუხედავად, არც ეს პერიოდი ყოფილა ძალზე მნიშვნელოვანი კლასიკური ფილოლოგიისათვის, თუკი არ ჩავთვლით ლათინურენოვან ავტორთა ტექსტების მექანიკურ გამრავლებას. შესაბამისად, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ პერიოდში გაკეთდა, ეს იყო სწორედ ამ ტექსტების შუასაუკუნეობრივი მრავალრიცხოვანი გამოცემების მომზადება. დასავლეთ ევროპისათვის ანტიკური მხატვრული ლიტერატურა ამ პერიოდში, ძირითადად, რომაელი ავტორებით შემოიფარგლებოდა და აქ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ბერძნული ლიტერატურის სიმაღლეებზე.

**ახალი დრო.** კლასიკური ფილოლოგიის და საერთოდ ანტიკური ფილოლოგიის შესწავლის ისტორიის პერიოდებად დაყოფისას შუა საუკუნეების შემდგომ ეპოქას თანამედროვეობამდე აღნიშნავენ ტერმინით *ახალი დრო*. ეს არის მართლაც ჭეშმარიტი გარდატეხის პერიოდი კლასიკური ფილოლოგიის განვითარებაში, რაც არსებითად რამდენიმე უმთავრესმა ფაქტორმა განაპირობა: 1. კონსტანტინოპოლისის დაცემის შემდგომ მთელი ის ინფორმაცია, რაც ბერძნულენოვან ბიზანტიაში იყო დაგროვებული ანტიკური სამყაროს შესახებ, ბიზანტიელი სწავლულების მეშვეობით დასავლეთ ევროპაში, უპირატესად იტალიაში ინაცვლებს. ეს ანტიკური სამყაროს, უპირველეს ყოვლისა, ძველი საბერძნეთის ხელახალი აღმოჩენის საფუძველი ხდება; 2. სქოლასტიკის შემდგომ პერიოდში თავად დასავლეთ ევროპაში მომწიფდა სიტუაცია ანტიკურ ცივილიზაციასთან სრულმასშტაბიანი კავშირების აღსადგენად, ამ ცივილიზაციისაგან განვითარების ახალი მნიშვნელოვანი იმპულსების მისაღებად. ძველი საბერძნეთის შესახებ ბიზანტიიდან შესულმა ინფორმაციამ და რომაულ სიძველეთა მიმართ თავად ევროპაში გაძლიერებულმა ინტერესმა საზოგადოების წარმოდგენაში კვლავ გაამთლიანა ანტიკური სამყარო და იგი აღქმული იქნა როგორც ბერძნული და რომაული კულტურის ერთიანობა. ახალ დროში, ჩვეულებრივ, რამდენიმე პერიოდს გამოყოფენ: ა) იტალიური ჰუმანიზმისა და რენესანსის; ბ) ფრანგულ-ნიდერლანდურს; გ) რიჩარდ ბენტლისა და მისი მიმდევრების; დ) გერმანულს; ე) უახლესს, რომელიც XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისს მოიცავს.

იტალიური პერიოდისათვის დამახასიათებელია რევოლუციური გარდატეხა ევროპულ აზროვნებაში და ახალი კულტურის შექმნის პროცესში ანტიკური სამყაროსათვის სავსებით შეგნებულად პარადიგმატული მნიშვნელობის მინიჭება. ძველი საბერძნეთი და რომი ხდება, გარკვეულწილად, ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება ცივილიზაციის ყურადღების ცენტრში მოექცეს ადამიანი, იგი იქცეს ხელოვნებაში ასახვის უმთავრეს ობიექტად და, ამასთანავე, თავად ხელოვნების ესთეტიკურ ღირსებათა უმთავრეს შემფასებლად. იტალიური რენესანსის იმპულსები, ბუნებრივია, ევროპის სხვა ქვეყნებსაც გადაეცემოდა და ამ შემთხვევაში ანტიკურობასთან შეხვედრა, ძირითადად, ორი მიმართულებით ვითარდებოდა: კლასიკური ტრადიციის შემოქმედებითად ათვისებისა და მისი მეცნიერული შესწავლის მიმართულებით. პირველ შემთხვევაში ეს მუშაობა ახალი რენესანსული მხატვრული კულტურის, ხოლო მეორე შემთხვევაში – ახალი ევროპული მეცნიერების, მათ შორის, კლასიკური ფილოლოგიის ფორმირების საფუძველი ხდებოდა. იტალიის შემდეგ ანტიკურობისადმი დაინტერესებამ საკმაოდ მასშტაბური გამოძახილი თავდაპირველად ფრანგულ-ჰოლანდიურ არეალში პოვა, რამაც აქ კლასიკური ფილოლოგიის აღმოცენებას შეუწყო ხელი. დარგის განვითარებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ინგლისურენოვანი სამყარო. კლასიკური ფილოლოგიის განვითარებაში გარკვეული რეგიონის თუ ქვეყნის პრევალირების ტენდენცია გერმანიამ დაასრულა და მან შეიტანა ერთობ მნიშვნელოვანი წვლილი ამ დარგის იმ სახით ჩამოყალიბებაში, რომლითაც იგი დღესაც განაგრძობს თავის არსებობას. ამის შემდგომ, XX საუკუნიდან, შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური ფილოლოგია მსოფლიო მეცნიერება ხდება და ამ დარგის აღიარებული ცენტრები უკვე მთელ განათლებულ მსოფლიოში ყალიბდება. მათ შორის დასავლეთიდან ისეთ დაშორებულ ქვეყნებშიც კი, როგორიც არის იაპონია და ჩინეთი. იმისათვის, რომ უფრო კონკრეტული წარმოდგენა შევიქმნათ თითოეული ამ პერიოდის უმნიშვნელოვანეს მიღწევებზე კლასიკური ფილოლოგიის სფეროში, შევეცადოთ, მოკლედ წარმოვადგინოთ კლასიკური ფილოლოგიის ისტორია რენესანსიდან დღემდე ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით.

*ა) იტალიური ჰუმანიზმისა და რენესანსის პერიოდი.* იმ ფაქტორებთან ერთად, რომლებზედაც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება, ანტიკური კულტურის მიმართ ინტერესის ზრდის თვალსაზრისით არსებით გარდატეხას რენესანსულ იტალიაში, რასაკვირველია, ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორიც განაპირობებდა. რომი ჭეშმარიტად იყო ის ქალაქი, სადაც დიდი იმპერიის არსებობის ვიზუალური კვალი გრანდიოზული ნანგრევების სახით ესოდენ ცოცხლად იყო შემონახული. როგორც კი ევროპაში ჰუმანიზმმა წარმოქმნა ინტერესი საერთოდ კაცობრიობის მიერ შექმნილი უმნიშვნელოვანესი ღირებულებების მიმართ და დაპირისპირება: წარმართობა – ქრისტიანობა ამ ინტერესის რეალიზაციას აქ უკვე ველარ უქმნიდა არსებით დაბრკოლებას, იტალიელთა თვალში სულ სხვა მნიშვნელობა მოიპოვა კოლოსეუმის, რომის ფორუმის და სხვა ცნობილ ძეგლთა ნანგრევებმა. თავდაპირველად რენესანსულ იტალიაში უმთავრესი მამოძრავებელი ფაქტორი იყო ანტიკურობის შემოქმედებითად ათვისებისაკენ სწრაფვა და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ რენესანსის პირველი ფილოლოგები იყვნენ ამ ეპოქის ცნობილი მწერლებიც. ანტიკურობისადმი ამ ლტოლვამ, რასაკვირველია, პირველ რიგში ძველ ავტორთა ხელნაწერების ინტენსიურ შეგროვებაში იჩინა თავი. შეიძლება ითქვას, რომ ამ ხელნაწერებზე ნადირობა დაიწყო. ა. მ., ჩვენ ვიცით, რომ ცნობილი იტალიელი მწერალი პეტრარკა (1304-1374) იყო ციცერონის მრავალი ნაშრომის აღმომჩენი. თავის კოლექციაში იგი ბერძნულ ხელნაწერებსაც ინახავდა, ა. მ., ჰომეროსის ტექსტის ხელნაწერებს, თუმცა თავად ძველი ბერძნული არ იცოდა. ბოკაჩო (1313-1375) ცდილობდა თავისი ჯერ კიდევ არასრულყოფილი ცოდნის სა-

ფუძველზე შეექმნა ნაშრომები ანტიკურ მითოლოგიასა და გეოგრაფიაზე, ხოლო ფრანჩესკო ბრაჩოლინიმ (1380-1459) აღმოაჩინა კვინტილიანუსის Institutio oratoria-ას ტექსტი და ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკის" ხელნაწერი. ფლორენციის ქალაქ-სახელმწიფოს კანცლერმა, კოლუჩიო სალუტატიმ (1331-1406), რომელიც ცნობილი იყო როგორც ანტიკურ ავტორთა ხელნაწერების ცნობილი კოლექციონერი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ევროპაში ბერძნული კულტურისათვის კარის გასახსნელად. იგი კონსტანტინოპოლისიდან იწვევს სწავლულს, მანუელ ხრისოლორასს (1350-1415) და როგორც თავის ქალაქში, ასევე პავიასა და ვენეციაში ბერძნული ენის შესწავლას უყრის საფუძველს. მანუელ ხრისოლორასის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა მრავალი ბერძენი სწავლულისათვის და XV საუკუნის დასაწყისიდან იტალიაში, თანდათანობით, გადასახლებას იწყებენ ისეთი ცნობილი ფიგურები, როგორებიც იყვნენ: თეოდოროს გაზა (1400-1475), გეორგიოს ტრაპეზუნტიოსი (1395-1484), იოანეს არგიროპულოსი (1416-1486) და დემეტრიოს ხალკონდილესი (1424-1511).

კონსტანტინოპოლისის დაცემის შემდეგ (1453 წ.) ამ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, სწავლულების გადმოსახლებასთან ერთად ევროპაში ფართოდ დაიწყო ბერძნული ხელნაწერების შემოტანა. ბიზანტიელ ემიგრანტ სწავლულებს თან მოჰქონდათ ძველ ავტორთა ყველაზე უფრო ძვირფასი ტექსტები. ეს კი იტალიაში ხელნაწერების უდიდესი წიგნსაცავების გაფართოების თუ დაფუძნების საფუძველი ხდებოდა. თუ რა მასშტაბები ჰქონდა ბერძნული ხელნაწერების შეტანას ევროპაში, ამაზე რამდენიმე მაგალითიც აშკარად მიგვანიშნებს. ბესარიონმა (1395/1403-1472) 900-მდე ტომი ჩამოიტანა თან და ვენეციაში მარკუსის ბიბლიოთეკის პირველი სართული მთლიანად შეავსო. იტალიელმა მოგზაურმა ჯოვანი ავრისპამ (1370-1459) იტალიაში 238 ტომი შემოიტანა. იგივე გააკეთა ფრანჩესკო ფილელფომ (1398-1481), რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა კონსტანტინოპოლისში და ცოლად ბერძენი ქალი ჰყავდა. მას შემდეგ, რაც ევროპელებმა კარგად შეისწავლეს ძველი ბერძნული ენა, დაიწყო ბერძენ ავტორთა ლათინურ ენაზე საკმაოდ ინტენსიური თარგმნა. მოკლე დროში ითარგმნა მრავალი ბერძენი მწერლის ნაწარმოები. გაჩნდა ძველ ბერძენ ავტორთა თაყვანისმცემლების მთელი არმია. ა. მ., ლორენცო მედიჩიმ, რომლის სახელს უკავშირდება ფლორენციის აკადემია, ფაქტობრივად, პლატონის კულტი აღადგინა და საზეიმოდ აღნიშნავდა პლატონის ყოველ დაბადების დღეს. ძველ ავტორთა შემსწავლელი ცენტრები გაიხსნა იტალიის სხვა მრავალ ქალაქშიც, მათ შორის, ნეაპოლსა და რომში. მაგრამ ანტიკურობისადმი ინტერესი მალე გასცდა ტექსტების საზღვრებს და ჩნდებიან პიონერები უკვე არქეოლოგიის სფეროშიც. ა. მ., ფლავიო ბიონდომ (1388-1463) შემოგვთავაზა რომსა და მთელს იტალიაში ანტიკური ნანგრევების აღწერის პირველი ცდა. ჩირიაკო პიზიკოლიმ (1391-1450), რომელსაც რენესანსის ეპოქის შლიმანსაც კი უწოდებენ, ანტიკური ხელოვნების ნიმუშებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების გასაცნობად აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის არაერთი რეგიონი მოიარა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რასაკვირველია, იმას, რომ ორი გერმანელის – სვეინჰეიმისა და პანარტცის მიერ რომთან გაიხსნა პირველი ტიპოგრაფია. წიგნების ბეჭდვის გუტენბერგის მიერ აღმოჩენილმა სიკეთემ გადატრიალება მოახდინა ანტიკური ავტორების გამოცემის საქმეში. მოკლე ხანში ამან, არსებითად, ბევრად შეამცირა ახალი რედაქციული ვარიანტების წარმოქმნის საფრთხე, რადგან ნაბეჭდი წიგნი უკვე ერთი ფიქსირებული ხელნაწერის ტირაჟირებას ახდენდა. მართალია, ნაბეჭდი წიგნის პირველი გამომცემლები მაინცდამაინც კრიტიკულნი არ იყვნენ მათ განკარგულებაში არსებულ ხელნაწერთა მიმართ, მაგრამ მათ მაინც ძალზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ანტიკური ავტორების პირველი გამოცემების (editiones principes) განხორციელებაში.

1465-1551 წლებში, არსებითად, განხორციელდა ყველა მნიშვნელოვანი რომაელი თუ ბერძენი ავტორის პირველი ტიპოგრაფიული გამოცემა. ლათინურენოვან ავტორთაგან

პირველი თხზულებები, რომლებიც დაიბეჭდა, იყო ციცერონის (De officiis და De oratore), ხოლო საერთოდ პირველი ბერძნული ნაბეჭდი წიგნი იყო კონსტანტინოს ლასკარისის (1434-1501/3) ბერძნული ენის სასკოლო გრამატიკა, ჩვეულებრივ, ცნობილი შემოკლებული სათაურით Ἐρωτήματα. ჩვენ მიერ აღნიშნულ სულ რაღაც ერთი საუკუნის განმავლობაში გამოიცა 66 ლათინურენოვანი და 90 ბერძნულენოვანი ავტორი. არსებითად, XVIII საუკუნემდე ამ გამოცემებში არავითარი ცვლილება არ შესულა. ანტიკურობის მიმართ რენესანსულმა ინტერესმა მალე გადალახა იტალიის საზღვრები, რის შედეგადაც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში კლასიკური ენებითა და ავტორებით დაინტერესება სწრაფად გაიზარდა. მას შემდეგ, რაც პაპის, პიუს II-ის თანადგომით ბაზელის უნივერსიტეტმა დაიწყო ფუნქციონირება, ენეას სილვიო პიკოლომინი აქ სასწავლო პროგრამის განუყოფელ ნაწილად აქცევს ანტიკური ლიტერატურის შესწავლას. იოჰანეს როიხლინი (1455-1522), რომელმაც ფლორენციაში შეისწავლა ბერძნული ენა, გერმანიაში აფუძნებს კლასიკურ შტუდიებს, ხოლო ამ დარგში თავისი გამორჩეული პედაგოგიური საქმიანობის გამო ფილიპ შვარცერდმა (მელანხთონი 1497-1560) praeceptor Germaniae-ს ტიტულიც მოიპოვა. რენესანსული კლასიკური ფილოლოგიის ჭეშმარიტ გვირგვინს წარმოადგენდა ერაზმუს როტერდამელი (1466/7-1536). ეს სავსებით არაორდინარული პიროვნება, რომელმაც განათლება იტალიაში მიიღო, უდიდესი რეფორმატორი იყო. მისი მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო და იგი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით წარიმართა. აქედან შეიძლება აღინიშნოს ლათინური და ბერძნული ტექსტების გამოცემა (მათ შორის ტერენციუსი, სენეკა, არისტოტელე, ახალი აღთქმა, რომელიც ლუთერის თარგმანის საფუძველი გახდა) და სხვადასხვა სახელმძღვანელოს შექმნა. ცნობილია მისი ნაშრომი ლათინურისა და ბერძნულის სწორი გამოთქმის შესახებ (De recta Latini Graecique sermonis pronuntiatione). რომელმაც, ფაქტობრივად, ევროპის უმეტეს ქვეყანაში კლასიკური ენების გამოთქმის საკითხი გადაწყვიტა. იგი მომხრე იყო ძველი ბერძნული ტექსტები წაკითხულიყო კლასიკური ფონოლოგიური კანონების გათვალისწინებით და არა ახალი ბერძნული ენის გამოთქმის შესაბამისად. ერაზმულ გამოთქმას, მიუხედავად იმისა, რომ მას ე. წ. როიხლინური ტრადიცია დაუპირისპირდა, თუკი საბერძნეთს არ ჩავთვლით, ევროპაში აშკარა გამარჯვება ხვდა წილად. შესაბამისად, ეტაცისტურმა ტენდენციამ გამოდევნა იტაცისტური ტრადიცია.

ამდენად, ანტიკურობის აღორძინება იტალიაში მთელი ევროპისათვის გახდა გადამდები და მან კულტურული პროცესების განვითარება ევროპაში ახალი გზით წაიყვანა.

*ბ) ფრანგულ-ნიდერლანდური პერიოდი.* კლასიკური ფილოლოგიის სფეროში XVI საუკუნეში წამყვან ადგილს იკავებს საფრანგეთი. ცალკეული ცნობილი ფილოლოგის მუშაობის გარდა, აქ ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიუდეს (1468-1540) თაოსნობით მეფე ფრანსუა I-ის მიერ კოლეჟ როიალის (Collège Royal), მეფის კოლეგიუმის დაარსებას, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, წარმოადგენდა ალექსანდრიის მუსეიონის ფრანგულ ორეულს. ბიუდე, ავტორი ფუნდამენტური ნაშრომებისა რომაულ მეტროლოგიასა და ნუმიზმატიკაში, იურიდიულ ტერმინოლოგიაში, ძალზე მაღალ დონეზე აიყვანს ფილოლოგიას და ახერხებს ბერძნულ ენას, რომელიც მანამდე „ერეტიკოსების ენად" მიიჩნეოდა, მიანიჭოს ლათინურსა და ებრაულთან ერთად გამორჩეული მნიშვნელობა მუსეიონის საქმიანობაში. მუსეიონში მოღვაწეობდნენ ისეთი გამოჩენილი ფილოლოგები, როგორებიც იყვნენ: ჟან დორატი (1508-1588), ადრიენ ტურნებუსი (1512-1565), დენის ლამბინუსი (1520-1572). პირველი ორი, ძირითადად, ბერძნული პოეზიის შესწავლით იყო დაკავებული, ხოლო უკანასკნელი ითვლებოდა რომაელი პოეტების სანიმუშო გამომცემლად. ძალზე ცნობილია სტეფანუსების (ესტიენების) ოჯახი: ენრი, რობერი, შარლი, ენრი II, პოლი, ანტონი. მათ მრავალი ლათინი და ბერძენი ავტორის გამოცემა, მათ შორის editio princeps,

განახორციელეს. დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა და თავისი დროის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლექსიკოგრაფიულ გამოცემას წარმოადგენდა რობერის მიერ 1531-1543 წლებში შექმნილი Thesaurus linguae Latinae, რომელიც მხოლოდ XVIII საუკუნეში იქნა განვრცობილი და ანრი II-ის Thesaurus Graecae linguae (5 ტომად) (1572), რომელიც ფორჩელინის ლექსიკონამდე ლათინური ენის ყველაზე სრულყოფილ ლექსიკონად ითვლებოდა. გარდა ამისა, რობერმა განახორციელა პლავტუსის, ტერენციუსის, ციცერონის, ჰორაციუსის, დიონისიოს ჰალიკარნასელის, აპიანოსის, კასიუს დიოს, ევსებიოსის, ახალი აღთქმის გამოცემები, ხოლო ენრი II-მ – ქსენოფონის, თუკიდიდესის, პლატონის, თეოკრიტოსის, დიოდოროსის, ანთოლოგიის და სხვა გამოცემები. საყურადღებოა, რომ პლატონის თხზულებების ციტირება დღემდე მასთან დადასტურებული გვერდების ნომრებით ხდება. სხვა მკვლევართაგან გამოიყოფა: მარკ ანტუან მურე (1526-1585), ფრანგი, რომელსაც შემდეგ მოუხდა სამშობლოს დატოვება და რომელიც ლათინური ტექსტების ცნობილ ინტერპრეტატორად ითვლებოდა; ისააკ კასავბონი (1559-1614), რომელიც გამოირჩეოდა პედანტური და ასკეტური მეცნიერული შრომით. მნიშვნელოვანია, რომ იგი უძღვნის ნაშრომებს ანტიკური ლიტერატურის ცალკეულ პრობლემებს, მაგალითად, როგორიც არის ბერძნული სატირული დრამა და რომაული სატირა (De satyra Graecorum poesi et Romanorum satira). ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ფილოლოგად ითვლებოდა იუსტუს სკალიგერი (1540-1609), ასევე ცნობილი ფილოლოგის, ცეზარ სკალიგერის (1484-1558) შვილი. იუსტუსმა შექმნა ძველი სამყაროს ისტორიის მთლიანი ქრონოლოგიური მიმოხილვა ძველი აღმოსავლეთის ჩათვლით და ამით საფუძველი ჩაუყარა ანტიკური სამყაროს თანამედროვე ისტორიოგრაფიას. მან საინტერესო მუშაობა ჩაატარა ანტიკური ეპიგრაფიკის მეცნიერული შესწავლის საქმეშიც და, რაც მთავარია, 1593 წელს, ლაიდენში მისი გადასვლის შემდეგ, დიდ აღმავლობას განიცდის კლასიკური ფილოლოგია უკვე ჰოლანდიაშიც. ლაიდენში იქმნება ძალზე მნიშვნელოვანი ცენტრი, რომელსაც თავისი მოღვაწეობით უკავშირდება იუსტუს ლიპსიუსი (1547-1606), ახალი დროის ერთ-ერთი გენიალური ტექსტის კრიტიკოსი. თავის მხრივ, წარმატებით გრძელდება მუშაობა საფრანგეთში, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევა შარლ დუ კანჟი (1610-1688), რომლის ლექსიკონებს: Glossarium ad scriptores mediae et infimae Latinitatis და Glossarium ad scriptores mediae et infimae Graecitatis (ანტიკურობის შემდგომი ეპოქის ბერძნულის და ლათინურის ლექსიკონები) დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. ბერძნული პალეოგრაფიის და ხელნაწერების ერთ-ერთ ცნობილ სპეციალისტად ითვლებოდა ბერნარ მონტფაუკონი (1655-1741).

*გ) რიჩარდ ბენტლისა და მისი მიმდევრების, ანუ ინგლისური პერიოდი.* მთელი ამ ხნის განმავლობაში ევროპის სხვა ქვეყნებში კლასიკური ფილოლოგიის დონე ბევრად ჩამოუვარდებოდა ჩვენ მიერ აღნიშნულ რეგიონებს, მაგრამ სიტუაცია იცვლება XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც ერთი კაცის, რიჩარდ ბენტლის (1662-1742) ძალისხმევის წყალობით კლასიკური ფილოლოგიის ინგლისური სკოლა აშკარად მოწინავე ხდება ევროპაში. ამ ერთ-ერთი უდიდესი ფილოლოგის მრავალრიცხოვანი ნაშრომიდან ცნობილია Epistula ad Millium და Dissertation upon the Epistles of Phalaris, რომელიც ვრცელი ფორმით 1699 წელს გამოვიდა. აქ იგი ბრწყინვალე ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე ასაბუთებს იმას, რომ ვინმე ტირან ფალარისის წერილები ფალსიფიკაციაა და სინამდვილეში იგი არ არსებულა. გარდა ამისა, ბენტლი ეწევა ძალზე მნიშვნელოვან მუშაობას სხვადასხვა ფილოლოგიური პროექტების განსახორციელებლად. ჰომეროსის კვლევისას მან აღმოაჩინა, რომ ჰომეროსის ტექსტში აღსადგენია დიგამა, რომელიც შემდგომ ტრადიციაში გაქრა. მასვე გამოსაცემად მოუმზადებია ახალი აღთქმა. ტექსტის მისეული კრიტიკა ეფუძნებოდა იმ რწმენას, რომ ანტიკური მხატვრული ლიტერატურის თითოეული ძეგლი ჰარ-

მონიულ ერთიანობას წარმოადგენდა და ორიგინალთან ყველაზე ახლოს ის ტექსტი იქნებოდა, რომელიც გაიწმინდებოდა ყველა იმ ჩამატებისგან, რაც ამ ჰარმონიულობას უშლიდა ხელს. ბენტლის მერე ინგლისური სკოლისათვის ტექსტის კრიტიკა ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იქცა. ამ მხრივ გამოირჩევა რიჩარდ პორსონი (1759-1808), რომელმაც იამბურ ტრიმეტრში ე. წ. პორსონის ხიდი აღმოაჩინა. ინგლისელი ფილოლოგები საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ ნიდერლანდურ სკოლაზეც. მაგრამ ტექსტის კრიტიკისა და ანალიზის ბენტლისეულმა პრინციპმა ზოგიერთი ფილოლოგი გაუმართლებელ უკიდურესობამდე მიიყვანა. ა. მ., ნიდერლანდელი პეტერ ჰოფმან-პირლკამპი (1786-1865) ჰორაციუსის ოდების გამოცემის დროს ამ პრინციპის აბსოლუტიზაციამ იძულებული გახადა, მათი ერთი მეოთხედი მაინც არაავთენტურად მიეჩნია.

*დ) გერმანული პერიოდი.* კლასიკური ფილოლოგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარდატეხას, რაც ამ მიმართულებით მოხდა გერმანიაში XVIII საუკუნიდან. შეიძლება ითქვას, რომ XVIII ს-ისა და XIX ს-ის განმავლობაში გერმანული კლასიკური ფილოლოგია აშკარად წამყვანი იყო მსოფლიოში. რასაკვირველია, უკვე XVIII საუკუნემდე გერმანიაში არაერთი მეცნიერი მოღვაწეობდა, რომელსაც გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი კლასიკური ფილოლოგიის განვითარების საქმეში. XVIII საუკუნიდან გერმანიაში მანამდე არნახული მასშტაბებით დაიწყო კლასიკური ფილოლოგიის განვითარება. ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ იოჰან იოახიმ ვინკელმანისა (1717-1768) და ქრისტიან გოტლობ ჰეინეს (1729-1812) მოღვაწეობას. პირველი გვევლინება ანტიკური ხელოვნების ისტორიისა და არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების დამფუძნებლად. მისი ორტომეული ნაშრომი „ძველი სამყაროს ხელოვნება" და აგრეთვე Monumenti antichi inediti ჭეშმარიტად გარდატეხის საფუძველი გახდა საერთოდ ანტიკური კულტურის გააზრების სფეროში. ხოლო ჰეინემ ხელოვნების ისტორიასა და არქეოლოგიასთან ერთად ანტიკური ლიტერატურის კვლევისას თავისი ყურადღება მიაპყრო როგორც ესთეტიკურ ასპექტებს, ასევე ანტიკურ მითოლოგიას. მას ეკუთვნის ისეთი ფუნდამენტური ნაშრომები, როგორიც არის Tibullus (1755), Epiktet (1756), Vergil (1775), Pindar (1799), Ps. Apollodori Bibliotheca (1782).

აქედან მოყოლებული გერმანიაში ტარდება ახალი ევროპისათვის მანამდე უპრეცედენტო მუშაობა ანტიკური მხატვრული კულტურის, კლასიკური ენების ყველა მიმართულებით კვლევისა და შესწავლის საქმეში. ფილოლოგიაში ჭეშმარიტად რევოლუციური იყო ფრიდრიხ ავგუსტ ვოლფის (1759-1824) მოღვაწეობა, რომელმაც თავისი Prolegomena ad Homerum-ით (1795), არსებითად, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ჰომეროლოგიას. იგი შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე ფილოლოგიის ჭეშმარიტ ფუძემდებლად, რაც მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომებისა და ანტიკური ავტორების ტექსტების კრიტიკული გამოცემების გარდა, სავსებით ნათელი ხდება მისი ლექციების საფუძველზე მომზადებულ „ფილოლოგიის ენციკლოპედიაში".

XIX საუკუნის დასაწყისისათვის კლასიკური ფილოლოგიის შესწავლა უფრო დიფერენცირებულ ხასიათს იღებს და მის ფარგლებში მთელი მიმართულებები ყალიბდება. ბრწყინვალე ენათმეცნიერის, ფრანც ბოპის (1791-1867) შტუდიებმა ენათა ოჯახების მიხედვით კლასიფიკაციის საშუალება შექმნეს. ამან კლასიკური ენები, ბუნებრივია, შედარებითი ენათმეცნიერების ყურადღების ცენტრში მოაქცია. ვოლფის შემდეგ დაიხვეწა ფილოლოგიური დარგების მეთოდები და უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო ანტიკური ტექსტების კრიტიკულმა და კომენტირებულმა გამოცემებმა. გაიზარდა ინტერესი ანტიკური მხატვრული კულტურის მიმართ, რისი ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი ნიშანი იყო ვილჰელმ ფონ შლეგელის (1767-1845) მოღვაწეობა ბერძნული პოეზიის თარგმნისა და შეს-

წავლის საქმეში. მისი ლექციები დრამატულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში ამ მხრივ ძალზე ბევრ საყურადღებო მოსაზრებას შეიცავდა. მისმა ძმამ, ფრიდრიხ შლეგელმა (1772-1829) მკვდარი ენის, სანსკრიტის შესწავლით წინ წასწია ინდოევროპეისტიკა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მთარგმნელობითი საქმიანობისათვის, არამედ ტექსტის გაგებისთვისაც ფრიდრიხ შლაიერმახერის (1768-1834) მიერ პლატონის თხზულებათა თითქმის სრულ თარგმანსა და განმარტებას.

კლასიკური ფილოლოგიის მეთოდთა თანდათანობითი დახვეწა იწვევს კვლევის პროცესში ახალი მიმართულებების გაჩენას. ა. მ., ფილოლოგმა ავგუსტ ბოეკჰმა (1785-1867) პირველმა შემოიტანა ფილოლოგიაში ისტორიული პროცესის გათვალისწინებით კვლევის მეთოდი. მისთვის ანტიკურობის ხატი არ იყო რაღაც სტატიკური იდეალი, არამედ იგი იყო დროში ცვალებადი ოდენობა და, შესაბამისად, საჭირო იყო თავად ანტიკური კულტურის, როგორც პროცესის განვითარების კანონზომიერების გათვალისწინება. მისი პრინციპები სრულყოფილად არის ასახული მის ფილოლოგიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიასა და მითოლოგიაში. იგი უპირისპირდება ფილოლოგიური მეცნიერების იმ მიმართულებას, რომლისთვისაც მთავარია ტექსტის სიტყვასიტყვითი გადმოცემა. შესაბამისად, თუკი ადრე ანტიკური ავტორების გამოცემისას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ ტექსტის კრიტიკას, ამ პერიოდიდან მოყოლებული იწყება სერიოზული ფიქრი იმ პრინციპზე, რომლის მიხედვითაც უნდა დადგინდეს კრიტიკული ტექსტის გამოცემის კრიტერიუმები. ანტიკურ ავტორთა გამოცემის თვალსაზრისით გამოირჩეოდა გოტფრიდ ჰერმანი (1772-1848), რომელიც De emendanda ratione linguae Graecae-ში წარმოგვიდგენს ტექსტის კრიტიკის პრინციპებს. ტექსტის კრიტიკაში განსაკუთრებით ცნობილია იმანუილ ბეკერი (1785-1871), რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ანტიკურ ავტორთა გამოცემაში. მან ანტიკური და ბიზანტიური ეპოქის მრავალი ბერძენი მწერლის ტექსტი გამოსცა, მათ შორის პლატონი (4 ტომად), ატიკელი ორატორები (4 ტომად), ფოტიოსი (4 ტომად), Corpus scriptorum Byzantinorum (24 ტომად) და სხვა მრავალი. კარლ ლახმანი (1793-1851) ქმნის საინტერესო ნაშრომებს ჰომეროლოგიაში და გვთავაზობს ტექსტის გამოცემაში ხელნაწერების მიმართ ე. წ. გენეალოგიური პრინციპით მიდგომის მეთოდს. ტექსტების გამოცემასთან ერთად სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძველი სამყაროს წყაროების მაქსიმალურად გათვალისწინების საფუძველზე შექმნილ ძველი სამყაროს ისტორიებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით არიან ცნობილნი: გეორგ ნიბური (1776-1831), რომის ისტორიის ავტორი, კარლ ოტფრიდ მიულერი (1797-1840), რომელიც ქმნის ბერძნული ლიტერატურის პირველ ისტორიას დასაბამიდან ალექსანდრე მაკედონელამდე და ასევე საყურადღებო ნაშრომებს მითოსისა და ისტორიის ურთიერთმიმართების საკითხებში. აღსანიშნავია აგრეთვე ფრიდრიხ ველკერი (1784-1868), რომელიც ბერძნული რელიგიის ფუნდამენტურ გამოკვლევას გვთავაზობს. ისტორიოგრაფიაში აშკარად მწვერვალს წარმოადგენდა თეოდორ მომზენის (1817-1903) შრომები, ხოლო ისტორიისადმი პოზიტივისტური მიდგომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ილუსტრაცია არის ცნობილი სიძველეთმცოდნის, ულრიხ ფონ ვილამოვიც-მოლენდორფის (1848-1931) შრომები კლასიკური ფილოლოგიის თითქმის ყველა სფეროში. იგი უაღრესად ნაყოფიერად იკვლევდა როგორც ზოგადად ანტიკურ ცივილიზაციას და მის ცალკეულ სფეროებს, ძველ ავტორებს, ისტორიას, ასევე თანაბარი წარმატებით გამოსცემდა ტექსტებს და თარგმნიდა ძველ ავტორებს.

XIX საუკუნეში გერმანულმა მეცნიერებამ დიდი ყურადღება მიაქცია ისეთი ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებას, როგორიც არის ბერძნული და ლათინური წარწერების კორპუსის გამოცემა: Corpus inscriptionum Graecarum (CIG, 1828-1877), Corpus inscriptionum Latinarum (CIL, 1863 წლიდან); ბერძნული წარწერები Inscriptiones Graecae (IG, 1868 წლიდან); სახელმძღვანელოების მთელი სერია Handbuch der Altertumswissen-

schaft (HDA, 1886 წლიდან); ანტიკური ტექსტების გამოცემის დიდი პროექტი Bibliotheca Teubneriana (BT, 1850 წლიდან); ასევე მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოღწეული ნაწარმოებების გამოცემები. ამ მხრივ ცნობილია ავგუსტ მაინეკეს (1790-1870) კომედიოგრაფოსთა ფრაგმენტების გამოცემა Fragmenta Comicorum Graecorum; ავგუსტ ნაკის (1822-1892) ტრაგიკოსთა ფრაგმენტების გამოცემა Tragicorum Graecorum Fragmenta; ჰერმან დილსის (1848-1922) სოკრატემდელი ფილოსოფოსების ფრაგმენტების გამოცემა. ლექსიკოგრაფიის სფეროში ძალზე მნიშვნელოვანი იყო ისეთი ფუნდამენტური ლექსიკონების გამოცემა, როგორიც არის პაპეს ბერძნულ-გერმანული, გერმანულ-ბერძნული და ბერძნული საკუთარი სახელების ლექსიკონები, თავისი დროისათვის პასოვის ყველაზე დიდი ორენოვანი გერმანულ-ბერძნული ლექსიკონი და ა. შ. საკმაოდ პროდუქტიული იყო ეს პერიოდი მნიშვნელოვანი კონცეფციებისა და თეორიების წარმოდგენის თვალსაზრისითაც. ზოგიერთ მათგანს ქვემოთ შევეხებით, აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ფრიდრიხ ნიცშეს (1844-1900) სახელს არაერთი ასეთი კონცეფციის წამოყენება უკავშირდება.

თუკი მოვინდომებთ იმის მოკლედ შეჯამებას, რაც XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის დასაწყისში გააკეთა გერმანულმა კლასიკურმა ფილოლოგიამ, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს იყო დიდი სისტემატიზაციის, დიდი ენციკლოპედისტების საუკუნე, რომელთაც მოუმზადეს ნიადაგი მომდევნო პერიოდში ვეებერთელა, უკვე სისტემატიზებული და შესწავლილი მასალის ღრმა და სერიოზულ ინტერპრეტაციას.

*ე) უახლესი პერიოდი.* XIX-XX საუკუნეთა მიჯნა კლასიკური ფილოლოგიის განვითარებაში ახალი ტენდენციების გამოკვეთით აღინიშნა. უმთავრესი ამ შემთხვევაში იყო ის, რომ კლასიკური ფილოლოგიის განვითარება უკვე რომელიღაც ერთი ქვეყნის ცენტრებთან და მეცნიერებთან კი აღარ არის დაკავშირებული, არამედ, ფაქტობრივად, მოხდა ამ დარგის სრული ინტერნაციონალიზაცია. დღეს ძნელია ზუსტად ითქვას, თუ რომელი ქვეყანა არის კლასიკურ ფილოლოგიაში წამყვანი, რადგან ამ დარგის მძლავრი ცენტრები არსებობს არა მხოლოდ ისეთ დიდ ქვეყნებში, როგორიც არის ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, რუსეთი, არამედ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში და ასევე აზიის და ლათინური ამერიკის მრავალ სახელმწიფოშიც. რასაკვირველია, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დარგში მუშაობის მოცულობა საოცრად გაფართოვდა. ამან ანტიკურ კულტურას XX საუკუნიდან მოყოლებული ცივილიზაციის განვითარებაში ახალი ფუნქცია დააკისრა. თუკი იგი საუკუნეების განმავლობაში, ძირითადად, ევროპული კულტურის განვითარებაში მონაწილეობდა, ახლა მისი როლი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებისათვის გახდა მნიშვნელოვანი. ეს ზოგიერთ მკვლევარს აძლევს შესაძლებლობას მესამე ჰუმანიზმის ეპოქის დაწყებაზე იმსჯელოს. კლასიკური ფილოლოგიის ახალ აღმავლობას მრავალწილად მისცა ბიძგი ახალი დარგების განვითარებამ, როგორიც არის პაპიროლოგია, ეგეოსური არქეოლოგია, პროგრესი თავად კლასიკურ არქეოლოგიაში, ინფორმატიკა და ა. შ. პაპიროლოგიის განვითარებამ გამოიწვია მრავალი ახალი ნაწარმოების აღმოჩენა, ძირითადად, ბერძენი ავტორებისა. ამან შესაძლებელი გახადა ანტიკური ლიტერატურის მთელი ჟანრების გააზრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხის შეტანა. ეგეოსურმა არქეოლოგიამ, რომელიც ჰაინრიხ შლიმანიდან (1822-1890) იღებს დასაბამს, კაცობრიობას მოუტანა ამ რეგიონში პირველ ათასწლეულამდე არსებულ დიდ ცივილიზაციებთან ზიარების შესაძლებლობა. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა კიკლადური, მინოსური, მიკენური კულტურები. მას შემდეგ, რაც 1952 წელს გაიშიფრა B-ხაზოვანი დამწერლობა, ნათელი გახდა, რომ ბერძნები ეგეიდაში გაცილებით უფრო ადრე დამკვიდრებულან, ვიდრე მანამდე ეგონა მეცნიერებას. ამასთანავე, ეგეოსურმა არქეოლოგიამ ცხადყო, რომ ბერძნული მითების ინფორმაცია ლეგენდარული დიადი წარსულის შესახებ ისტორიულ რეალობას არეკლავდა. თავად

არქეოლოგიაში მრავალი ახალი აღმოჩენა მოხდა და მისმა სწრაფი ტემპებით განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ჩვენი წარმოდგენა ეგეოსურის შემდგომი ანტიკური კულტურის შესახებ. ინფორმატიკის გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ანტიკური ტექსტების მანქანური დამუშავება და მათი კომპიუტერული გამოცემების მომზადება. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ანტიკური ეპოქის ბერძნული და, გარკვეულწილად, ლათინური ტექსტები იშვიათი სისრულით არის ჩაწერილი კომპიუტერულად, რაც ნებისმიერ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, ძალზე მოკლე დროში მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ამ ტექსტებიდან, წუთების განმავლობაში ჩაატაროს ლექსიკოსტატისტიკური თუ სტილური ანალიზისათვის აუცილებელი პროცედურები, რასაც ადრე ძალზე დიდი დრო სჭირდებოდა. ამ პროგრესს, რასაკვირველია, ხელი არ შეუშლია კლასიკური ტექსტების ახალი კრიტიკული გამოცემების წიგნის ფორმით განხორციელებისათვის. დღეს მსოფლიოს მრავალი გამომცემლობა გვთავაზობს კლასიკური ავტორების კრიტიკულ გამოცემებს, როგორც მხოლოდ ორიგინალის ენაზე, ასევე პარალელური თარგმანით (არაფერს ვამბობთ თარგმანებზე, რომლებიც ესოდენ ინტენსიურად გამოიცემა მთელს მსოფლიოში). ა. მ., ინგლისსა და ამერიკაში მხოლოდ ორიგინალის ენაზე გამოიცემა ბერძენი და რომაელი ავტორები სერიაში ოქსფორდის კლასიკური ტექსტები Oxford Classical Texts, ხოლო ორენოვანი (კლასიკური და ინგლისური) ტექსტების ძალზე მნიშვნელოვანი გამოცემა ხორციელდება Loeb Classical Library-ის სახით. გერმანიაში კვლავ მნიშვნელოვანია Teubner-ის ცნობილი გამომცემლობა, რომელიც დღემდე ინტენსიურად ახორციელებს ანტიკური ავტორების კრიტიკულ გამოცემებს. გერმანიაში ორენოვან გამოცემათაგან აღსანიშნავია Tusculum-ის გამოცემები. საფრანგეთში თავისი მნიშვნელობა შეინარჩუნა ბიუდეს Budé-Belletre-ის ორენოვანმა გამოცემებმა. ფუნდამენტური მუშაობა მიმდინარეობს უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში იტალიაშიც. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მიწურულიდან კლასიკური ფილოლოგიის სფეროში დღემდე სამი ენციკლოპედიის გამოცემა განხორციელდა, მათგან გრანდიოზული პროექტის, RE-ს გამოცემა მრავალი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა (დაიწყო 1893 წელს და დამთავრდა 2000 წელს). სულ გამოიცა 86 ტომი. ამის შემდეგ 5 ტომად გამოვიდა Kleine Pauly, ხოლო XX საუკუნის მიწურულიდან გამოცემა დაიწყო და დასრულდა ახალი დიდი ენციკლოპედია Der Neue Pauly (გამოცემულია 15 ტომად, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი ტომი ორ ნაწილად გამოვიდა, ეს გამოცემა, ფაქტობრივად, 18 ტომს შეადგენს). ეს ენციკლოპედია უკანასკნელ წლებში ითარგმნა ინგლისურ ენაზე. ქვემოთ ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ცალკეულ თავში უფრო დეტალურად შევეხოთ თანამედროვე კლასიკური ფილოლოგიის მიღწევებს და ცნობილ მეცნიერთა წვლილს ამა თუ იმ სფეროში. XX და XXI საუკუნეებს პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ კლასიკურ სიძველეთა ანალიტიკური ინტერპრეტაციის, კლასიკური კულტურის მსოფლიო ცივილიზაციისათვის მარადიული მნიშვნელობის ახლებური და საფუძვლიანი გააზრების ეპოქა.

**კლასიკური ფილოლოგია საქართველოში.** ანტიკური კულტურის მიმართ საქართველოში ოდითგანვე დიდი ინტერესი იყო და ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქართველო, მისი დასავლეთი ნაწილი – კოლხეთი და აღმოსავლეთი – იბერია, მრავალი საუკუნის განმავლობაში ანტიკური საბერძნეთისა და რომის პარტნიორი იყო ისტორიის ასპარეზზე. ეს ურთიერთობები გრძელდებოდა ბიზანტიურ ეპოქაშიც. ანტიკური ბერძნული კულტურის მიმართ ბიზანტიისათვის დამახასიათებელი ინტერესი, გარკვეულწილად, ასევე ნიშანდობლივი იყო შუა საუკუნეების საქართველოსთვისაც. ის, რომ ანტიკური ეპოქის საქართველოში, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ბერძნულენოვან სამყაროსთან, საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად ეუფლებოდნენ კლასიკური აღზრდის შესაბამის სასწავლო პროგრამებს, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამაზე მეტყველებს ანტიკური ეპოქის ფაზისის ცნობილი

რიტორიკული სკოლის არსებობა. სულ უკანასკნელ ხანებში მცხეთაში აღმოჩნდა გვიანანტიკური ეპოქის მცხეთელი მოსწავლის სასწავლო მონყობილობა, რომელზეც მუზებთან ერთად მოცემულია ჰომეროსის, დემოსთენესის და მენანდროსის გამოსახულებები. მართალია, ქრისტიანობის გავრცელებამ ჩვენში იგივე პროცესები გამოიწვია ანტიკურობასთან მიმართებაში, რაც ბიზანტიისათვის იყო დამახასიათებელი და ადრეულ შუა საუკუნეებში გარკვეულად შესუსტდა ინტერესი ანტიკურობის მიმართ, მაგრამ საკმაოდ მალე ვითარება შეიცვალა და საქართველოში კლასიკური კულტურისადმი ინტერესი აღმავალი ხაზით წარიმართა. დღეს ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ანტიკური მითების, ანტიკური ეპოქის მწერლების შესახებ განათლებულ ქართველებს, შუა საუკუნეების პირობაზე საკმაოდ სრული წარმოდგენა უნდა ჰქონოდათ, რაც ესოდენ ნათლად გამოსჭვივის როგორც ქართველი ფილოსოფოსების (უპირველეს ყოვლისა, იოანე პეტრინის), ასევე ისტორიკოსებისა და პოეტების თხზულებებში. ანტიკურობის შესახებ ცოდნას, უნდა ვიფიქროთ, იღებდნენ შუა საუკუნეების საქართველოს ცნობილი საგანმანათლებლო სკოლების — გელათისა და იყალთოს — მსმენელები. კლასიკურობის მიმართ ინტერესის გარკვეული დაქვეითება შეინიშნება ქართულ ლიტერატურაში აღორძინების ეპოქაში. მართალია, ქართულ კულტურაში ე. წ. „ბნელი წლების" შემდეგ ანტიკურობის მიმართ ერთგვარი „გაცივების" ტენდენცია თანდათანობით დაიძლია, მაგრამ ანტიკურ სამყაროსთან ნამდვილი მიახლოება მხოლოდ XIX საუკუნიდან იწყება, როდესაც უკვე რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეულ საქართველოს გიმნაზიებში ფართოდ ინერგება კლასიკური ენების სწავლება. თუმცა, რასაკვირველია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა კლასიკური ფილოლოგიის დამკვიდრებას ქართულ მეცნიერებაში. საქართველოში ამ მხრივ ახალი ეტაპი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების (1918 წელი) შემდგომ დაიწყო, როდესაც ამ დარგს უნივერსიტეტში სათავეში ჩაუდგა პეტერბურგიდან ჩამოსული, იმ დროს მსოფლიო აღიარების მქონე მეცნიერი, გრიგოლ წერეთელი. მისი თაოსნობით სულ მალე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კლასიკური ფილოლოგიის აღიარებულ ცენტრად იქცა. სწორედ აქ მომზადდა გრიგოლ წერეთლის ავტორობით არაერთი ისეთი გამოცემა, რომელიც ჭეშმარიტად შეიძლება მივიჩნიოთ ეპოქალურ მოვლენად მეცნიერებაში; უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მისი პაპირუსების კოლექციის გამოცემას 5 ტომად და პირველ ფუნდამენტურ ბერძნული ლიტერატურის ისტორიას. გრიგოლ წერეთლის საქმე წარმატებით გააგრძელა სიმონ ყაუხჩიშვილმა, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა კლასიკური ფილოლოგიის სფეროში ქართულ ენაზე. ფაქტობრივად, ამ ორმა მეცნიერმა საქართველოში ჩამოაყალიბა კლასიკური ფილოლოგიის ცნობილი სკოლა, რომელმაც მნიშვნელოვანი მსოფლიო აღიარება მოიპოვა. კლასიკური ფილოლოგიის კათედრასთან 1972 წლიდან ფუნქციონირებას იწყებს ე. წ. ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა, 1982 წელს — ხმელთაშუაზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორია, რომლის მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება არის კლასიკურ სიძველეთა კვლევა. ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, კლასიკური ფილოლოგიის სფეროში ყველა საუნივერსიტეტო დანაყოფის გაერთიანება და გაფართოება მოხდა 1997 წელს უნივერსიტეტში შექმნილ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში, რომელიც დღეს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს წარმოადგენს მსოფლიოში.

ანტიკური წყაროები უკვე ჰომეროსიდან მოყოლებული მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდიან საქართველოს უძველესი ისტორიის შესახებ. მათი შესწავლა, კომენტირება, ქართულად თარგმნა და გამოცემა კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს.

# უმნიშვნელოვანეს მეცნიერთა ანოტირებული ნუსხა

რამდენადაც ჩვენს მიმოხილვით თავში შეუძლებელი იყო კლასიკურ ფილოლოგიაში ყველა მნიშვნელოვანი მეცნიერის წვლილის აღნიშვნა, საჭიროდ მიგვაჩნია, წარმოვადგინოთ თუნდაც ბალზე მოკლე ინფორმაცია XIX-XX საუკუნეების იმ ყველაზე უფრო ცნობილ მეცნიერთა შესახებ, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ბოლო ორი საუკუნის კლასიკურ ფილოლოგიაში. აღნიშნულ ნუსხაში შევიტანეთ ორი ქართველი მეცნიერის სახელიც, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კლასიკური ფილოლოგიის განვითარებაში.

John Davidson Beazley (1885-1970)

ინგლისელი სიძველეთმცოდნე. მისი მოღვაწეობის ძირითადი სფერო იყო კლასიკური ხელოვნება და არქეოლოგია. განსაკუთრებით მრავლად აქვს მას ნაშრომები ბერძნული კერამიკული ფერწერის სფეროში.

Franz Bopp (1791-1867)

გერმანელი მეცნიერი. შედარებითი ინდოევროპული ენათმეცნიერების ფუძემდებელი. ინდოევროპულ ენათა ცნობილი მკვლევარი, რომელმაც განსაზღვრა შედარებითი ენათმეცნიერების მთელი შემდგომი განვითარება.

Ernst Buschor (1886-1961)

გერმანელი არქეოლოგი და ხელოვნების ისტორიკოსი. განსაკუთრებით წარმატებით მუშაობდა ბერძნული პლასტიკისა და ფერწერის სფეროში.

Charles Gabriel Cobet (1813-1889)

დანიური წარმომავლობის ფრანგი მკვლევარი, რომელიც მუშაობდა ტექსტის კრიტიკის სფეროში.

Francis Macdonald Cornford (1874-1943)

მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია კემბრიჯთან. მოღვაწეობის სფერო არის ბერძნული ლიტერატურა, ფილოსოფია, აზროვნების ისტორია.

Ernst Curtius (1814-1896)

გერმანელი მეცნიერი, ანტიკურობის მკვლევარი, ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო გაგებით. მას ძირითადი ნაშრომები ისტორიოგრაფიის, ისტორიის, გეოგრაფიისა და ტოპოგრაფიის სფეროში აქვს.

Gaetano De Sanctis (1870-1957)

იტალიელი მეცნიერი. მისი მოღვაწეობის ძირითადი სფერო არის ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია.

Hermann Diels (1848-1922)

გერმანელი მეცნიერი. მუშაობდა ანტიკური ფილოსოფიის და მეცნიერების სფეროში. სოკრატემდელ ფილოსოფოსთა ფრაგმენტების მისეული გამოცემა დღემდე შეუცვლელ სამაგიდო წიგნს წარმოადგენს კლასიკურ ფილოლოგიაში.

Arthur Evans (1851-1941)

არქეოლოგი, რომელსაც სახელი გაუთქვა კუნძულ კრეტაზე წარმოებულმა გათხრებმა, მინოსური კულტურის აღმოჩენამ და მისმა შესწავლამ.

Eduard Fränkel (1888-1970)

გერმანელი მეცნიერი, რომელიც მოღვაწეობდა გერმანიასა და ინგლისში. აწარმოებდა საკმაოდ მრავალმხრივ კვლევას ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სფეროში.

Tenney Frank (1876-1939)

მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია ამერიკის ჰოპკინსის უნივერსიტეტთან. მას აქვს ნაშრომები როგორც ფილოლოგიის, ასევე ისტორიის სფეროში. მისი თაოსნობით რამდენიმე წლის განმავლობაში გამოდიოდა ცნობილი American Journal of Philology.

James George Frazer (1854-1941)

ინგლისელი მკვლევარი. მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია კემბრიჯის უნივერსიტეტთან. მას შეუქმნია ნაშრომები რელიგიის ისტორიის და ფილოლოგიის სფეროში.

Adolf Furtwängler (1853-1907)

გერმანელი არქეოლოგი, რომელიც ასევე წარმატებით მუშაობდა ლიტერატურისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების სფეროში.

Basil Lanneau Gildersleeve (1831-1924)

ამერიკელი მკვლევარი, რომელმაც თავისი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი პერიოდი დაუკავშირა ვირჯინიის უნივერსიტეტს. მას აქვს მნიშვნელოვანი ნაშრომები კლასიკურ ენებში.

George Grote (1794-1871)

ინგლისელი მეცნიერი, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი შრომებით საბერძნეთის ისტორიოგრაფიასა და ფილოსოფიის ისტორიაში.

Jane Ellen Harrison (1850-1928)

მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა კლასიკურ ფილოლოგიაში ძალზე ნაყოფიერი იყო და მას საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა მეცნიერებაში. მისი მოღვაწეობა მრავალ ცენტრთან იყო დაკავშირებული, მათ შორის კემბრიჯსა და ოქსფორდთან. მას აქვს ფუნდამენტური ნაშრომები მითოლოგიაში, ხელოვნების ისტორიაში, ანტიკურ რელიგიაში.

Johannes Hasebroek (1893-1957)

გერმანელი მეცნიერი, რომელსაც მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს ანტიკური ქვეყნების ისტორიასა და სოციალურ ცხოვრებაში.

Johan Ludvig Heiberg (1854-1928)

მისი მოღვაწეობა დაიწყო კოპენჰაგენში და იგი ითვლებოდა დანიის ერთ-ერთ აღიარებულ მეცნიერად. მისი ძირითადი ნაშრომები ეძღვნება ანტიკური ეპოქის მეცნიერებას, კერძოდ, მათემატიკოსებს და ბუნებისმეტყველებს.

Gottfried Hermann (1772-1848)

გერმანელი მეცნიერი. ე. წ. ესთეტიკურ-ფორმალური მიმართულების მომხრე კლასიკურ ფილოლოგიაში. ცნობილია მისი ნაშრომები ბერძნულ დრამაში, კერძოდ, ტრაგედიაში, ბერძნული გრამატიკისა და მეტრიკის სფეროში.

Gilbert Arthur Highet (1906-1978)

მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებთან. მას აქვს ნაშრომები კლასიკური ფილოლოგიის მრავალ სფეროში, განსაკუთრებით გაითქვა მან სახელი თავისი წიგნით კლასიკური ტრადიციის შესახებ ევროპულ ლიტერატურაში.

Alfred Edward Housman (1859-1936)

მას მიიჩნევენ ბრიტანეთის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს მკვლევრად კლასიკური ფილოლოგიის სფეროში, მისი მუშაობა დაკავშირებული იყო ბრიტანეთის ცნობილ საუნივერსიტეტო ცენტრებთან. მას ეკუთვნის ნაშრომები ანტიკური ასტრონომიის, ლათინური ლიტერატურის სფეროში.

Felix Jacoby (1876-1959)

გერმანელი მეცნიერი, რომელსაც კლასიკურ ფილოლოგიაში ერთ-ერთ ავტორიტეტულ ფიგურად მიიჩნევენ. ცნობილია მისი ნაშრომები ბერძნული ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურის სფეროში, განსაკუთრებით გაუთქვა მას სახელი ბერძენ ისტორიკოსთა ფრაგმენტების გამოცემამ.

Werner Jaeger (1888-1961)

გერმანელი სიძველეთმცოდნე. ანტიკური მემკვიდრეობის შესწავლაზე ზრუნვის მიზნით მან დააფუძნა ე. წ. მესამე ჰუმანიზმი. ცნობილია მისი ნაშრომები ბერძნული ფილოსოფიის და კულტურის ისტორიის სფეროში. განსაკუთრებული დიდება მოუტანა მას მისმა სამტომიანმა Paideia-მ, რომელიც დღესაც სამაგიდო წიგნად ითვლება.

Otto Jahn (1813-1869)

გერმანელი სიძველეთმცოდნე. მან შექმნა ნაშრომები კლასიკური ფილოლოგიის სხვადასხვა სფეროში: ეპიგრაფიკა, ბერძნულ-რომაული ლიტერატურა, ფილოსოფია.

Ricard Claverhouse Jebb (1841-1905)

დიდი ბრიტანეთის კლასიკური ფილოლოგიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი. მას აქვს მრავალრიცხოვანი ნაშრომი და თარგმანი, ძირითადად, ძველი ბერძნული ლიტერატურის სფეროში. ასევე განახორციელა ანტიკურ ავტორთა ტექსტების კრიტიკული გამოცემები.

Karl Lachmann (1793-1851)

გერმანელი მეცნიერი, რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი სიახლეების შეტანა ტექსტების გამოცემის სფეროში. მას ეკუთვნის ცნებების recensio, emendatio და ტექსტის ისტორიის კვლევის შეტანა გამოცემაში. მასვე აქვს მრავალი ნაშრომი ლიტერატურის ისტორიაში. ცნობილია მისი „სიმღერათა თეორია" ჰომეროლოგიაში. მასვე თვლიან გერმანისტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

Albin Lesky (1896-1981)

ავსტრიელი მეცნიერი. XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა კლასიკურ ფილოლოგიაში. მას განსაკუთრებით გაუთქვა სახელი ფუნდამენტურმა ნაშრომებმა ბერძნული ლიტერატურის ისტორიასა და ბერძნულ ტრაგედიაში.

Johan Nicolai Madvig (1804-1886)

სკანდინავიელი ლათინისტი და ლათინურენოვანი ტექსტების კრიტიკული გამოცემების ავტორი. ტექსტების გამოცემასთან ერთად მრავალი საინტერესო ნაშრომით არის ცნობილი. აღსანიშნავია მისი ლათინური ენის გრამატიკა, რომელიც მსოფლიოს არაერთ ენაზე ითარგმნა.

Eduard Meyer (1855-1930)

მსოფლიო ისტორიის ყველაზე უფრო ცნობილი გერმანელი მკვლევარი. მას აქვს შექმნილი ფუნდამენტური ნაშრომები ანტიკური სამყაროს ისტორიაში, ასევე ქრისტიანობის საწყისებზე და ძველი ეგვიპტის ქრონოლოგიის შესახებ. ცნობილია მისი კონცეფცია ძველი სამყაროს, ყველაზე უფრო ფართო გაგებით, ერთიანობის შესახებ.

Arnaldo Momigliano (1908-1987)

იტალიელი მეცნიერი, რომლის მოღვაწეობა დაკავშირებული იყო პიზის, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებთან. მისი კვლევის სფერო, ძირითადად, ანტიკური სამყაროს ისტორიკოსებსა და ისტორიას მოიცავს.

Theodor Mommsen (1817-1903)

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი. განსაკუთრებით გაუთქვა მას სახელი მისმა რომის ისტორიამ, რომელიც დღემდე სამაგიდო წიგნად ითვლება და რომელმაც 1902 წელს ნობელის პრემია მოიპოვა. მისი ფუნდამენტური ნაშრომები მოიცავს, ძირითადად, რომისა და ძველი სამყაროს ისტორიას, ეპიგრაფიკას.

Karl Otfried Müller (1797-1840)

გერმანელი ფილოლოგი, რომელმაც, ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, მრავალი საყურადღებო ნაშრომი შექმნა კლასიკური ფილოლოგიის სფეროში. იგი თანაბარი წარმატებით მუშაობდა როგორც ზოგადად კულტურის ისტორიის, ასევე ლიტერატურის ისტორიის სფეროში. მას ეკუთვნის ძველი ბერძნული ლიტერატურის პირველი ფუნდამენტური ისტორია ახალ ეპოქაში.

Gilbert Murray (1866-1957)

ბრიტანელი ელინისტი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში მრავალი ნაშრომი შექმნა ბერძნული ფილოლოგიის სფეროში. განახორციელა ძველ ავტორთა არაერთი ნაწარმოების კრიტიკული გამოცემა და ინგლისურ ენაზე თარგმანი. ცნობილია მისი ნაშრომები ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში და ძველ ბერძნულ რელიგიაში.

Martin Persson Nilsson (1874-1967)

თანამედროვეობის უდიდესი შვედი მკვლევარი ბერძნული რელიგიის სფეროში. მას ეკუთვნის არაერთი ნაშრომი როგორც მინოსური და მიკენური ეპოქის, ასევე ელინური და ელინისტური ეპოქების ბერძნულ რელიგიაში. განსაკუთრებით გაუთქვა მას სახელი ფუნდამენტურმა ნაშრომებმა ბერძნულ რელიგიაზე.

Eduard Norden (1868-1941)

გერმანელი მეცნიერი, რომელმაც, ძირითადად, სახელი ლათინისტიკის სფეროში შექმნილი ნაშრომებით გაითქვა. მას ეკუთვნის რომაული ლიტერატურის კომპაქტური კურსი, რომელიც დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს და არაერთგზის გამოიცა.

William Abbott Oldfather (1880-1945)

სპარსეთში დაბადებული, მამის მხრიდან ავსტრიელი და დედის მხრიდან ამერიკული წარმოშობის მეცნიერი, რომლის მუშაობა შემდეგ დაუკავშირდა არაერთი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრს, უპირველეს ყოვლისა კი, მას შემდეგ, რაც იგი ამერიკაში გადასახლდა, ჰარვარდის უნივერსიტეტს. მას აქვს ნაშრომები, ძირითადად, რომაული ლიტერატურის სფეროში. დიდი წვლილი მიუძღვის მას Loeb Classical Library-ის სერიის მრავალი ტომის მომზადებასა და გამოცემაში.

Denys Lionel Page (1908-1978)

XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ინგლისელი ფილოლოგი, რომლის მუშაობაც დაკავშირებული იყო ინგლისის ცნობილ საუნივერსიტეტო ცენტრებთან. მან განახორციელა ბერძენ ლირიკოსთა, ბერძნული ეპიგრამების, ბერძნულ პაპირუსებზე შემორჩენილი ტექსტების არაერთი გამოცემა, რომლებიც დღეს საუკეთესოდ არიან აღიარებულნი. მასვე ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომები ჰომეროსის ეპოსისა და ბერძნული ლირიკის სფეროში.

Milman Parry (1902-1935)

ამერიკელი მეცნიერი და ფოლკლორისტი, რომელმაც გადატრიალება მოახდინა ჰომეროსის საკითხის კვლევაში. მის სახელს უკავშირდება ე. წ. ზეპირი პოეზიის Oral Poetry-ის თეორიის დამკვიდრება თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში, რომელმაც ბიძგი მისცა მრავალწლიანი დისკუსიის წარმოქმნას იმის თაობაზე, ზეპირი გზით არის ჩამოყალიბებული ჰომეროსის ეპოსი თუ წერილობით.

Giorgio Pasquali (1885-1952)

კლასიკური ფილოლოგიის იტალიური სკოლის წარმომადგენელი, რომელმაც ფუნდამენტური განათლება მიიღო ცნობილ გერმანელ მეცნიერებთან სწავლის პერიოდში. მას აქვს შექმნილი ნაშრომები როგორც გრეცისტიკის, ასევე ლათინისტიკის სფეროში ფილოლოგიისა და ისტორიის, როგორც დარგების მიმართების შესახებ.

Richard Porson (1759-1808)

ბრიტანეთის ერთ-ერთი უდიდესი ფილოლოგი. ძველი ანტიკური ავტორების ცნობილი გამომცემელი და ბერძნული ლექსთწყობის შესწავლის სფეროში მნიშვნელოვანი აღმოჩენის ავტორი.

Friedrich Ritschl (1806-1876)

გერმანელი ლათინისტი, რომელსაც ძველი ლათინური ფილოლოგიის ერთ-ერთ პიონერად მიიჩნევენ, კერძოდ, პლავტუსის შემოქმედების შესწავლის სფეროში.

Erwin Rohde (1845-1898)

გერმანელი მეცნიერი, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი ფუნდამენტური ნაშრომებით ანტიკური რომანისა და ბერძნული რელიგიის შესწავლის სფეროში.

Michael Rostovtzeff (1870-1952)

ცნობილი მეცნიერი, რომელიც დაიბადა უკრაინაში. მისი მოღვაწეობა უკავშირდება კიევს, პეტერბურგს. რევოლუციის მერე რუსეთის დატოვების შემდგომ იგი მუშაობას განაგრძობს ბრიტანეთსა და ამერიკაში. როსტოვცევი ითვლება ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს ისტორიკოსად, რომლის რუსულად დაწერილი არაერთი ნაშრომი ითარგმნა უცხო ენებზე. ამასთან ერთად იგი აქვეყნებდა ნაშრომებს გერმანულ ენაზე, ხოლო რუსეთიდან გადასახლების შემდეგ – ინგლისურად. განსაკუთრებული სახელი მოუპოვა მას ფუნდამენტურმა ნაშრომმა „ელინისტური სამყაროს სოციალური და ეკონომიკური ისტორია".

Wolfgang Schadewaldt (1900-1974)

გერმანელი მეცნიერი. ანტიკური მწერლობის მკვლევარი, ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო გაგებით. მას ეკუთვნის ცნობილი ნაშრომები ჰომეროლოგიაში, რომელთაც კლასიკური ფილოლოგიის დარგის განვითარებისათვის რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდათ. აგრეთვე ცნობილია მისი შრომები ბერძნული დრამის, ისტორიოგრაფიის, ლირიკის სფეროში და ბერძნული მემკვიდრეობის შემოქმედებითად ათვისების შესახებ თანამედროვე ევროპაში.

Heinrich Schliemann (1822-1890)

ცნობილი გერმანელი არქეოლოგი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ეგეოსურ არქეოლოგიას. მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი ჰისარლიკის მაღლობზე გათხრებით და ტროას აღმოჩენით. ფასდაუდებელია მისი გათხრები მიკენური ეპოქის კონტინენტურ საბერძნეთში.

Paul Shorey (1857-1934)

ამერიკელი მკვლევარი. მან საფუძველი ჩაუყარა ცნობილი ჟურნალის, Classical Philology-ს გამოცემას, რომელსაც ის სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. მას სახელი მოუტანა ძირითადად ნაშრომებმა პლატონსა და ჰორაციუსზე.

Bruno Snell (1896-1986)

გერმანელი მეცნიერი, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი შრომებით ბერძნული კულტურის ისტორიაში, ძველი ავტორების ტექსტების კრიტიკული გამოცემებით. ცნობილია მისი კონცეფცია „სულის აღმოჩენის" შესახებ ძველ ბერძნულ კულტურაში.

Lily Ross Taylor (1886-1969)

ამერიკელი მეცნიერი, რომელსაც სახელი მოუპოვა რომის ისტორიისა და რომაულ-ეტრუსკული რელიგიის სფეროში შექმნილმა ნაშრომებმა.

Hermann Usener (1834-1905)

კლასიკური ფილოლოგიის და რელიგიის ისტორიის გერმანელი მკვლევარი. მას აქვს ნაშრომები რიტორიკის, ფილოსოფიის სფეროში. მას მიიჩნევენ რელიგიის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მკვლევრად თანამედროვე მეცნიერებაში.

Jacob Wackernagel (1853-1938)

შვეიცარული წარმომავლობის უდიდესი ლინგვისტი. ფასდაუდებელია მისი წვლილი ინდოევროპული ენათმეცნიერების სფეროში. ცნობილია მისი ფუნდამენტური ნაშრომები კლასიკური ენათმეცნიერების სფეროში.

Ulrich von Wilamowitz-Moellendorff (1848-1931)

მას ერთხმად მიიჩნევენ კლასიკური ფილოლოგიის, კერძოდ, ელინოლოგიის სფეროში ახალი ევროპის უდიდეს მკვლევრად. ძნელია კონკრეტულად განისაზღვროს ის სფეროები, რომელთა შესწავლაშიც შეიტანა მან თავისი წვლილი, რადგან, ფაქტობრივად, არ დარჩენილა ძველი ბერძნული ცივილიზაციის არც ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელშიც მკვლევარს ფუნდამენტური, საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომები არ შეექმნა. სწორედ ამიტომ მისი ნაშრომების დიდი ნაწილი დღესაც თანამედროვე ევროპაში არაერთგზის გამოიცემა განმეორებით.

Friedrich August Wolf (1759-1824)

გერმანელი მეცნიერი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე კლასიკური ფილოლოგიის ჭეშმარიტ ფუძემდებლად, რადგან მისმა ნაშრომებმა განსაზღვრეს ბერძნულ-რომაული ფილოლო-

გიის სფეროში კვლევის მეთოდიკა, რომელსაც XIX-XX საუკუნეში ემყარებოდა კლასიკური ფილოლოგია. განსაკუთრებით პოპულარულია ვოლფის თეორია ჰომეროსის ეპოსის შესახებ, რომელმაც, ფაქტობრივად, წარმოქმნა „ჰომეროსის საკითხი" და დღემდე საფუძველს უქმნის დავას ჰომეროსის პოემების ერთიანობის შესახებ.

Алексей Федорович Лосев (1893-1988)

რუსი მეცნიერი, ენციკლოპედისტი, რომელმაც საოცრად დიდი და მრავალმხრივი მემკვიდრეობა დატოვა არა მარტო კლასიკურ ფილოლოგიაში, არამედ საერთოდ ევროპული კულტურის ისტორიაში. ცნობილია მისი შრომები ჰომეროლოგიაში, ანტიკურ მითოლოგიაში, ანტიკური ესთეტიკის ისტორიასა და ფილოსოფიაში.

გრიგოლ ნერეთელი (1879-1938(?))

კლასიკური ფილოლოგიის სკოლის შემქმნელი, XX საუკუნის კლასიკურ ფილოლოგიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა. მან სახელი გაითქვა რუსეთსა და ევროპაში თავისი ცნობილი ნაშრომებით პაპიროლოგიის სფეროში. საქვეყნოდ არის აღიარებული მისი პაპირუსების კოლექციის ხუთტომიანი გამოცემა, რომელიც თბილისში განხორციელდა. იგი არის ფუნდამენტური ბერძნული ლიტერატურის ისტორიის ავტორი, რომელიც მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში ბერძნული მწერლობის პირველ ორიგინალურ აკადემიურ გამოცემად ითვლება.

სიმონ ყაუხჩიშვილი (1895-1986)

ქართული კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა დარგის განვითარებასა და კლასიკური ფილოლოგიის სფეროში თაობების აღზრდის საქმეში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები ბერძნული ლიტერატურის ისტორიის, კლასიკური ენების, საქართველოზე არსებული ანტიკური და ბიზანტიელი ავტორების ცნობების შესახებ.

## ლიტერატურა


- A. Gudeman, Grundriß zur Geschichte der klassischen Philologie, Leipzig, Berlin 1909[2].
- Einleitung in die griechische Philologie, H.-G. Nesselrath (Hrsg.), Stuttgart, Leipzig 1997.
- P. Riemer, M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Gräzistik, München 2000.
- Einleitung in die lateinische Philologie, F. Graf (Hrsg.), Stuttgart, Leipzig 1997.
- P. Riemer, M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Latinistik, München 1998.
- G. Jäger, Einführung in die Klassische Philologie, München 1990[3].
- P. Krafft, Orientierung. Klassische Philologie. Was sie kann, was sie will, Hamburg 2001.
- Einleitug in die klassische Altertumswissenschaft, J. Irmscher (Hrsg.), Berlin 1986.
- R. Pfeiffer, History of Classical Scholarship. From the Beginning to the End of the Hellenistic Age, Oxford 1968; History of Classical Scholarship 1300-1850, Oxford 1976.
- Classical Scholarship. A Biographical Encyclopedia, W. W. Briggs, W. M. Calder III (ed.), New York, London 1990.
- С. И. Радциг, Введение в классическую филологию, Москва 1965.
- R. Gordesiani, Georgien, DNP, 14, 132 შმდ.
- ვ. ასათიანი, ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისი 1996.
- თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბილისი 1976.
- Ρ. Γκορντεζιάνι, Σ. Σιαμανίδου, Ελληνικές Σπουδές στη Γεωργία, Πρόγραμμα *Λόγος*, 2000[3].

როგორც აღვნიშნეთ, ანტიკური ტექსტების აბსოლუტური უმეტესობა ჩვენამდე მოღწეულია შუა საუკუნეების ხელნაწერების სახით. სხვადასხვა ავტორის, სხვადასხვა ნაწარმოების მიხედვით, ამ ხელნაწერთა რაოდენობა განსხვავებულია, ისევე როგორც განსხვავებულია მათი წარმომავლობა და შექმნის თარიღი. ზოგ შემთხვევაში ერთი ნაწარმოები ასობით ხელნაწერით შეიძლება იყოს წარმოდგენილი, სხვა შემთხვევაში – მხოლოდ რამდენიმეთი. თავისთავად ცხადია, თანამედროვე მეცნიერის წინაშე, რომელმაც ტექსტის კრიტიკული გამოცემა უნდა მოამზადოს, საკმაოდ ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორ უნდა ასახოს მან ის განსხვავებები, რომლებიც ამ ხელნაწერების ტექსტებში შეინიშნება, რა პრინციპით უნდა მიუდგეს იგი მათი ურთიერთშეჯერების პროცესს? ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, თუკი ჩვენ უშუალოდ ტექსტის ორიგინალი არ მოგვეპოვება, ტექსტების შესწავლა ვერ დაეფუძნება ამგვარ კანონზომიერებას: რაც უფრო ძველია ხელნაწერი, მით უფრო ახლოა იგი ორიგინალთან. საკმაოდ შესაძლებელია, რომ უფრო გვიანდელი ხელნაწერი ტექსტის გაცილებით მეტად სანდო ვარიანტს გვინახავდეს, ვიდრე უფრო ადრეული, რადგან იგი, თავის მხრივ, შესაძლოა, მისი წინამორბედი სანდო ხელნაწერიდან მომდინარეობს. ტექსტის კრიტიკის დღევანდელი სპეციალისტის ამოცანაა სხვადასხვა ხელნაწერთა გათვალისწინებით და ზოგჯერ რეკონსტრუქციის საკუთარი ალღოს კარნახით დაადგინოს ტექსტის ის ვარიანტი, რომელიც, სავარაუდოდ, ყველაზე ახლოს შეიძლება იყოს თავდაპირველ ტექსტთან ანუ ორიგინალთან. ბუნებრივია, ეს მოითხოვს ძალზე შრომატევად მუშაობას და ტექსტის ანალიზის მეთოდების სრულყოფილად ფლობას. ამასთან ერთად, კრიტიკული გამოცემა მით უფრო ფასეულია, თუკი იგი ითვალისწინებს ყველა ხელნაწერში მოცემულ ვარიანტს და მათ წარმოგვიდგენს მის მიერ დადგენილი ტექსტის კომენტარებსა თუ სქოლიოებში.

რასაკვირველია, ტექსტის დადგენა, რაც მიღებული საერთაშორისო ტერმინოლოგიით აღინიშნება ლათინური ფორმულით constitutio textus, თავის მხრივ გარკვეულ საფეხურებს მოიცავს. ჩვეულებრივ, გამოყოფენ მუშაობის სამ ძირითად საფეხურს: პირველ საფეხურზე ხდება მკვლევრის თვალსაწიერში მოხვედრილი ყველა ტექსტის შესწავლა, რათა გაირკვეს, თუ რამდენ რედაქციას ვფლობთ. ამ ეტაპს ეწოდება recensio, როდესაც მკვლევრის ხელში ექცევა ე. წ. ძირითადი და მეორეხარისხოვანი ვარიანტები. პირველში იგულისხმება ისინი, რომელნიც ტექსტს ან მის ნაწილებს სრულად გვთავაზობენ, იქნება ეს ხელნაწერები თუ პაპირუსები, ხოლო მეორეხარისხოვან ვარიანტში ერთიანდება ის მონაცემები, რომელთაც ტექსტთან აქვთ გარკვეული მიმართება მისი ციტირების, პერიფრაზირების, თარგმანის, კომენტარების თუ სალექსიკონო სტატიების სახით. ა. მ., ზოგ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება ბერძნული ტექსტის დადგენაში დაგვეხმაროს მისი ლათინური, არაბული ან სირიული თარგმანები. ამ პროცესის შემდეგ ხდება კარგად შესწავლილი და ერთმანეთთან შედარებული ტექსტებიდან მათი შერჩევა ან გამოყოფა, რომელნიც ტექსტის დადგენისათვის უვარგისნი არიან, რამდენადაც არ შეიცავენ ამ ტექსტის რაიმე დამოუკიდებელ ვარიანტს ან ვერსიას და წარმოადგენენ, ფაქტობრივად, მხოლოდ რომელიმე გამოცემის ასლს. ამ ეტაპს ეწოდება eliminatio codicum descriptorum. ამის შემდეგ იწყება ხელნაწერთა თანამიმდევრობის დადგენა და გენეალოგიური ხის აგება, რომელიც გულისხმობს იმის განსაზ-

ღვრას, თუ რა მიმართებებია უფრო ადრეულსა და შედარებით მოგვიანო ხელნაწერებს შორის. ამ პროცესს ეწოდება stemma codicum. ბერძნულად στέμμα „საგვარეულო შტოს“ ნიშნავს. ამ გადამწყვეტ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვარიანტების დადგენას, მნიშვნელოვანი შეცდომების (errores significativi) ფიქსაციას. ამ შემთხვევაში იგულისხმება იმ ფორმების, წინადადებების და ზოგჯერ მთელი წიგნების გამოყოფაც კი, რომლებშიც წარმოდგენილია ტექსტის იმგვარი ვარიანტები, რომელთა არსებობაც ორიგინალში გამორიცხულია.

განვიხილოთ სტემას დადგენის პროცესი, როგორც ეს დღეს არის მიღებული ტექსტის კრიტიკაში. მაგალითად, ავიღოთ ტექსტი, რომელიც ექვსი ხელნაწერით არის ჩვენამდე მოღწეული და თითოეული აღვნიშნოთ ლათინური ასოებით A, B, C, D, E, F. კვლევას შეუძლია მიგვიყვანოს შემდეგ შედეგებამდე:

ექვსსავე ხელნაწერს აქვს ერთნაირი და საერთო შეცდომები, რაც მათ ერთ ჯგუფად აერთიანებს და რაც მხოლოდ ორგვარი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა: ა) ყველა ისინი მომდინარეობენ ერთი ხელნაწერიდან, რომელიც ჩვენამდე არ შემორჩა, მაგრამ რომელიც ყველა ამ შეცდომას შეიცავდა; ბ) ამ ექვსი ხელნაწერიდან ერთ-ერთი არის ყველა სხვა ხელნაწერის წყარო.

ყველა ცალკე აღებული ხელნაწერი შეიცავს საკუთარ შეცდომებს, რომლებიც სხვა ხელნაწერში არ დასტურდება და რომელთაც გადამწერი უბრალოდ გვერდს ვერ აუვლიდა. ამ შემთხვევაში გამოირიცხა უკვე ის, რომ ამ ექვსიდან რომელიღაც ერთი ხელნაწერი არის სხვების წყარო და იძულებული ვართ, დავუშვათ ის შესაძლებლობა, რომ არსებობდა რაღაც ერთი, ჩვენამდე არმოღწეული ხელნაწერი, რომლიდანაც გადმოწერილია ექვსივე და თითოეულმა გადამწერმა გადაწერის პროცესში თავისი საკუთარი შეცდომები დაუშვა. ამ სავარაუდო ხელნაწერს შეიძლება არქეტიპი ვუწოდოთ. სქემატურად ეს ამგვარად შეგვიძლია გამოვსახოთ:




ექვსი ხელნაწერიდან ხუთს B, C, D, E, F აქვს ერთნაირი შეცდომები, რომლებიც A-ს არ გააჩნია. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ ხუთ ხელნაწერსა და არქეტიპს შორის არსებობდა კიდევ [α]-დან მომდინარე რაღაც საშუალედო [β] ხელნაწერი, რომელიც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო B, C, D, E, F ხელნაწერებს. ამ ე. წ. ბეტა [β] ხელნაწერს შეიძლება ეწოდოს ჰიპარქეტიპი. ამ შემთხვევაში სქემა ამგვარ ხასიათს მიიღებს:




ხელნაწერებს B და F-ს აქვთ საერთო ურთიერთდამაკავშირებელი შეცდომები, რომელნიც C, D, E-ს არ ახასიათებს. გარდა ამისა, F გვიჩვენებს დამატებით სხვა შეცდომებსაც. ამ შემთხვევაში ხელნაწერების წარმოქმნის სქემა შემდეგ სახეს მიიღებს:




შეიძლება D და E-ს საკუთარი საერთო შეცდომები ჰქონდეთ, რომელნიც B, C და F-ს არ ახასიათებს. ე. წ. განმასხვავებელი შეცდომების არსებობა D და E-ში ისეთია, რომ გამორიცხულია მათგან ერთ-ერთი მეორის წყარო იყოს. ამ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებით, დავუშვათ კიდევ ერთი [γ] ჰიპარქეტიპის არსებობა, რომელიც ბეტა ხელნაწერამდე ადის, მაგრამ არ წარმოადგენს ამოსავალს B და C-სათვის. ამ შემთხვევაში სქემა ასეთ სახეს მიიღებს:




ამგვარად მიღებული სტემა შესაძლებლობას იძლევა შევიქმნათ წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სავარაუდო არქეტიპი და შემდეგ ამ არქეტიპთან თუ ჰიპარქეტიპთან სხვადასხვა ხელნაწერების მიმართება. რასაკვირველია, მთელი ეს მუშაობა ტექსტის საბოლოო ვარიანტის დადგენამდე ძალზე ბევრი ოპერაციის ჩატარებას მოითხოვს, რომელიც დაკავშირებულია უამრავი ენათმეცნიერული, სტილური, მეტრული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ისტორიული და სხვა ფაქტორების გათვალისწინებასთან.

მთელი ამ მუშაობის ჩატარების შემდგომ მზადდება თანამედროვე კრიტიკული გამოცემა. იგი განსხვავდება სასკოლო გამოცემისაგან, რომელიც არ შეიცავს ტექსტის დადგენასთან დაკავშირებულ შენიშვნებს. რაც შეეხება კრიტიკულ გამოცემას, მას აქვს, ჩვეულებრივ, რამდენიმე აუცილებელი ელემენტი. ეს არის წინასიტყვაობა praefatio, რომელშიც არის მოცემული recensio-სთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი. ეს არის უმნიშვნელოვანესი ტექსტების ჩამოთვლა, აღწერა, დაჯგუფება, იმ პრინციპების გადმოცემა, რომელთა საფუძველზეც მოხდა ტექსტის დადგენა, ზოგიერთ შემთხვევაში გათვალისწინებულია ტექსტის უფრო ადრეული სხვა კრიტიკული გამოცემები და მინიშნებულია მათგან განსხვავებების შემთხვევები და მიზეზები. ამ შესავალს თან ერთვის შემოკლებების ნუსხა და უკანასკნელ ხანებში ძალზე ხშირად სრული ბიბლიოგრაფიაც. რაც შეეხება თავად კრიტიკულ აპარატს, ამ შემთხვევაში სხვადასხვა კრიტიკულ გამოცემაში შეიძლება გარკვეული განსხვავებები გვქონდეს. იგი შეიძლება დაერთოს მთელ ტექსტს ბოლოში, ან ყოველ გვერდს სქოლიოების სახით. ამ კრიტიკულ აპარატში მითითებულია მაქსიმალურად ყველა სხვა ვარიანტი, რომელიც დადგენილ ტექსტთან განსხვავებით შეინიშნება ხელნაწერებში, ყველა ლინგვისტური თუ სხვა ხასიათის შენიშვნა, რომელიც აუცილებელია იმის გასაგებად, თუ რა პრინციპებს იყენებდა ტექსტის დადგენისას ესა თუ ის მკვლევარი.

ძირითადი ტექსტის გამოცემას შეიძლება თან ერთოდეს ე. წ. ტესტიმონია ანუ ამ ავტორზე თუ ნაწარმოებზე არსებული მთელი ანტიკური ინფორმაციის ამსახველი ტექსტები, ასევე აღჭურვილი კრიტიკული აპარატით (კრიტიკული აპარატი, მათ შორის, praefatio, ჩვეულებრივ, კეთდება ლათინურ ენაზე). კრიტიკულ გამოცემას ასევე თან ერთვის საკუთარ სახელთა საძიებელი.

კრიტიკული გამოცემის უფრო გავრცობილ ვარიანტს წარმოადგენს გამოცემა, აღჭურვილი თანდართული დეტალური და საფუძვლიანი კომენტარებით. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, თანამედროვე გამომცემელი მთელ მეცნიერულ აპარატს (იგულისხმება შესავალი, კომენტარები, უშუალოდ ტექსტთან დაკავშირებული კრიტიკული გამოცემისათვის აუცილებელი შენიშვნების გარდა) გვთავაზობს უკვე იმ ქვეყნის ენაზე, სადაც გამოიცემა ეს წიგნი.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს, თუ როგორ შეიძლება ვისარგებლოთ ამგვარი კრიტიკული გამოცემით, განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევები. ავიღოთ, მაგალითად, ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენის" მ. ლ. ვესტისეული კრიტიკული გამოცემა შესავლითა და კომენტარებით (ინგლისურ ენაზე). წარმოდგენის შესაქმნელად, თუ როგორ გამოიყურება თანამედროვე კრიტიკული გამოცემის ტექსტი, იმავე გვერდზე აპარატის დართვით, მოვიყვანთ ამ გამოცემიდან ერთ-ერთ გვერდს. აქ წარმოდგენილ ტექსტში აღწერილია კაცობრიობის 5 საუკუნე.

100 *ΕΡΓΑ ΚΑΙ ΗΜΕΡΑΙ*

105 *οὕτως οὔ τί πῃ ἔστι Διὸς νόον ἐξαλέασθαι.*
*εἰ δ' ἐθέλεις, ἕτερόν τοι ἐγὼ λόγον ἐκκορυφώσω,*
*εὖ καὶ ἐπισταμένως, σὺ δ' ἐνὶ φρεσὶ βάλλεο σῇσιν,*
*ὡς ὁμόθεν γεγάασι θεοὶ θνητοί τ' ἄνθρωποι.*
*χρύσεον μὲν πρώτιστα γένος μερόπων ἀνθρώπων*
110 *ἀθάνατοι ποίησαν Ὀλύμπια δώματ' ἔχοντες.*
*οἱ μὲν ἐπὶ Κρόνου ἦσαν, ὅτ' οὐρανῷ ἐμβασίλευεν·*
*ὥστε θεοὶ δ' ἔζωον, ἀκηδέα θυμὸν ἔχοντες,*
*νόσφιν ἄτερ τε πόνου καὶ ὀιζύος· οὐδέ τι δειλόν*
*γῆρας ἐπῆν, αἰεὶ δὲ πόδας καὶ χεῖρας ὁμοῖοι*
115 *τέρποντ' ἐν θαλίῃσι κακῶν ἔκτοσθεν ἁπάντων·*
*θνῆσκον δ' ὥσθ' ὕπνῳ δεδμημένοι· ἐσθλὰ δὲ πάντα*
*τοῖσιν ἔην· καρπὸν δ' ἔφερε ζείδωρος ἄρουρα*
*αὐτομάτη πολλόν τε καὶ ἄφθονον· οἱ δ' ἐθελημοί*
*ἥσυχοι ἔργ' ἐνέμοντο σὺν ἐσθλοῖσιν πολέεσσιν.*
120 *{ἀφνειοὶ μήλοισι, φίλοι μακάρεσσι θεοῖσιν.}*
*αὐτὰρ ἐπεὶ δὴ τοῦτο γένος κατὰ γαῖα κάλυψεν,*
*τοὶ μὲν δαίμονές εἰσι Διὸς μεγάλου διὰ βουλάς*

106 (ἕτ.–) Et$_{Z}$ s. *ἐκκορυφώσω*, cf. Et$_{GM}$, Eu. 1850. 30 109–10 Tz. *Ch.* 10. 294 111–20 Diod. 5. 66. 6; 111–16 cf. Eu. 1786. 2; 113 (–ἀζ.) 'Hdn.' *de fig.* iii. 102. 12 Sp.; 116 (–δεδμ.) Eu. 1849. 43; (*ἐσθλὰ–*)–119 Porph. *abst.* 4. 2 e Dicaearcho (fr. 49 W.); 117 (*καρπόν–*)–118 (–ἄφθ.) Porph. *abst.* 3. 27; 118 (*οἱ–*)–119 Et$_{GOMS}$ s. *ἐθελημοί* (ex *ε*); (–*ἀνέμ.*) Et$_{dO}$ s. *θέλημοι/–ος* 121–3 Pl. *Crat.* 397e (unde Aristid. 46 (ii. 229 D.)), exscribit Theodoret. *Graec. aff. cur.* 8. 47; 122–3+126 Macr. in *Somn. Scip.* 1. 9. 7 (Latine), cf. Plut. 361b, 417b; 122–3 Pl. *R.* 468e (quem exscribunt Eus. *PE* 13. 11. 1, Hermog. *π. ἰδεῶν* 2. 4 p. 337 R.), Aristid. l.c., Olymp. in Pl. *Alc. I* p. 16. 4, Lact. *div. instit.* 2. 14. 7; 123 Plut. 431e, cf. Them.

---

105 *ποι* $\psi_4\psi_{14}$: *που* Tr *ε]ξελαασ[θαι* $\Pi_{41}$: *ἐξαλέεσθαι* $\phi_5$ 106 *ἐθέλοισ* D *σοι* Et$_{Z}$ *ἐκκορυφώσω* ΣPrεTzΦψt: *-ήσω* CD 111 *ἐμβασίλευεν* $\psi_4\psi_9\psi_{10}{}^{a}\psi_{12}$: *ἐβασ-* CDΦψ$^{\bullet}$ Diod. 112 δ' *ἔζων ὁς* Diod.$_{D}$, *ζώοισιν* Diod.$_{G}$ 113 *τε* om. DTzΦ($\phi_4{}^{ma}$)$\psi_7\psi_9\psi_{10}$ 'Hdn.': *γε* $\psi_{12}$ Diod.$_{D}$ *πόνου* $\Pi_9$ 'Hdn.': *πόνων ο* Eu.: *κακῶν καὶ ἄτερ χαλεποῖο πόνοιο νούσων τ' ἀργαλέων καὶ ἀνήμονες οὐδὲ μέλεσσι* Diod. pro *πόνου–δειλόν* *οὐδ' ἔτι* $\phi_4\phi_5$ 115 *ἀπάντων*: *ἐόντες* Diod. 116 δ' $\Pi_{58}$D$^{c}$Φψt: θ' Ω: om. D$^{ac}$ *ὥσθ'* $\Pi_{58}$ (θ ex τ, et mscr. τ') CD$\phi_5$ Diod.$_{D}$: *ὡς* Φψt$^{\bullet}$ *Or. Sib.* 1. 70, 301 *ἄλλα τε πολλά* Diod. 117 δ' $\Pi_{58}$*οι*$^{\bullet}$: τ' Diod.$_{D}$ 118 *ἐθέλημοι* (proparox.) D Et$_{d}$ s. *θέλ.*: *ἐνὶ γαίῃ* Diod. 119 *ἥσυχοι Σο* Porph. Et: *σύφρονες* Diod.: *ἥσυχα* Bentley *ἐνέμοντο* $\Pi_{58}$*οι*$^{\bullet}$: *νέμοντο* $\omega_4{}^{ac}$ Et$_{d}$ 120 solus praebet Diod.: om. $\Pi_{58}{}^{uv}$, prorsus neglexit Dicaearchus 121 *δὴ* Plato Pr$^{\lambda}$, quasi gl. $\psi_4\psi_{14}$: *κε(ν)* ο (*καὶ* $\phi_4{}^{a}\phi_5$) *μοῖρ' ἀκάλυψεν* Plato 122 *οἱ* Plato-bis Aristid. Lact.$^{v1}$ Olymp. *εἰσι*: *ἐγκοι* Plato-bis Plut. 361b$^{uv}$ Aristid. Olymp. *Διὸς–βουλάς* Pro Lact. Macr.: *ἐπιχθόνιοι καλέονται* Pl. *Crat.* (cod. W, Theodoret.: *ὑποχθ.* BT, Aristid.) Olymp.: *ἐπιχθόνιοι τελέθουσιν* Pl. *R.* (*καλέονται* Hermog.)

როგორც ვხედავთ, ვესტის მიერ დადგენილ ტექსტს თან ახლავს ორ სეგმენტად განაწილებული კრიტიკული აპარატი. პირველ სეგმენტში მოცემულია ის საყრდენები ტექსტის დადგენისას, რომლებსაც, ძირითადად, ანტიკური ეპოქის სხვა ავტორთა ტექსტები გვთავაზობენ. ხოლო მეორე სეგმენტში გამომცემელი, ძირითადად, გვთავაზობს ხელნაწერებში დაცულ ვარიანტებს. ა. მ., აქ III-ე სტრიქონში ვესტი გვიდასტურებს, რომ მის მიერ შერჩეული ფორმა ἐμβασίλευεν დასტურდება შემდეგ ხელნაწერებში $\psi_4\psi_9\psi_{10}{}^2\psi_{12}$, ხოლო ἐβασίλευεν ვარიანტს გვთავაზობენ სხვა რედაქციები CDΦψ* Diod. კომენტარების ნაწილში აქ მოტანილი 105-123 სტრიქონების დეტალურ ანალიზს (იგულისხმება, რომ განხილულია თითოეული სტრიქონის თითოეული ლექსიკური ფორმატივი, რომელიც ყურადღებას იმსახურებს) ეთმობა 172–183 გვერდები.

ის, თუ რამდენად დაზიანებული შეიძლება იყოს პაპირუსებზე აღმოჩენილი ტექსტი, რომელიც დღეს მაინც ექცევა ხოლმე კრიტიკულ გამოცემებში, კარგად გვიჩვენებს დ. ლ. პეიჯისეული ბერძენ ლირიკოსთა ფრაგმენტების გამოცემა, რომელშიც ალკმანის მესამე ფრაგმენტის ერთ-ერთი ნაწილის კრიტიკული გამოცემა ამგვარად გამოიყურება:

**ALCMAN 3 frr. 4–12**

**fr. 4**

]ν[.]κ.[
]φάλᾱ..[
]τακομά[ν-
]γράνῃ[
5 ].νῆδυ.[
]νυμφᾱ[
α]είσεν[
]ρατῶν[
].ον.[

3 fort. -λέν

**fr. 5**

]..[
]σᾶω[
].ἄλα.[
].ιπαλ[
5 ]χορη[
].οῖ[

5 ο[]κ ἀφη[?

**fr. 6**

[
[
.[
α[
5 .[

**fr. 7**

].ναασ[
]μυχ.[

**fr. 8**

]ρα[
]υρεστ[

**fr. 9**

] [
].ηχερ[
]ιῶνᾱ.[
].ανῦβ[
5 ] [

2 ]εν possis

**fr. 10**

].[
].σαα[
].αθ[
].οσ[
5 ]θον[
]ση[
].σ.[

3 ]ρα· possis
4 ]λοτ, ]λοτ, alm.

**fr. 11**

]αφιλοπτ[
].ονταπή.α[
]στενρυστερν[
]τοναμενοα[
5 ]θαδη[
]..[

2–3 fort. πήρατα . . .
εἰρυστέρνα sc. γᾶς (e.p.)

**fr. 12**

].[
] [
]ᾱσάᾱσο[
]..ερ.[
5 ] [
]δόιαν[
].ιστῶν[
]κ· [
]ναοιδ[

4 ναιο possis
7 ].: α vel ᾱ
9 col. fin.

**როგორ ხდება ანტიკური ტექსტების ციტირება?** თანამედროვე მკითხველი მიჩვეულია, რომ ამა თუ იმ ნაწარმოების ან ნაშრომის შესაბამისი ადგილის ციტირებისას იგი უთითებს ამ ნაშრომის შესაბამის გამოცემას და გვერდს, სადაც მისთვის საინტერესო

ადგილია დადასტურებული. ანტიკურ ავტორთა ნაწარმოების ციტირებისას პრინციპი სავსებით განსხვავებულია. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ციტაციის უნიფიცირებული პრინციპები, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევენ ჩვენთვის საინტერესო ადგილი მივუთითოთ არა ამა თუ იმ გამოცემის გვერდის დასახელებით, არამედ უფრო განზოგადებული და უნივერსალური საშუალებით. ამ შემთხვევაში შეიძლება დავასახელოთ კლასიკურ ფილოლოგიაში დამკვიდრებული ციტაციის რამდენიმე წესი. ჩვენამდე სრულად ან მეტ-ნაკლებად სრულად მოღწეული ეპიკური ნაწარმოებების ციტირებისას, რომლებიც რამდენიმე სიმღერისა თუ თავისაგან შედგება, ჯერ მიეთითება ნაწარმოების სახელწოდება, შემდეგ სიმღერისა თუ თავის ნომერი, რომაული ან არაბული ციფრებით და შემდეგ სტრიქონები არაბული ციფრებით. ა. მ., თუკი ჩვენ გვსურს მივუთითოთ „ილიადაში" ანდრომაქეს სიტყვა ჰექტორის მიმართ, ეს ასე უნდა გავაკეთოთ: ილ., VI, 407-439. თუკი ნაწარმოები არ არის დაყოფილი წიგნებად ან სიმღერებად, ამ შემთხვევაში ვუთითებთ ნაწარმოების სახელწოდებას სრულად ან შემოკლებით, შემდეგ კი სტრიქონთა ნუმერაციას. თუკი ვახდენთ ფრაგმენტებად მოღწეულ ლირიკოსთა ნაწარმოების ციტაციას, მაშინ უნდა დავეყრდნოთ ლირიკოსების ერთ-ერთ აღიარებულ კრიტიკულ გამოცემას და მივუთითოთ ჯერ ანტიკური ავტორის სახელწოდება, შემდეგ ფრ. (=ფრაგმენტი), შემდეგ ნომერი და შემდგომ გამომცემლის ან გამომცემელთა შემოკლებული გვარი მიღებული ტრადიციის შესაბამისად. ა. მ., თუკი გვსურს მივუთითოთ საფოს ცნობილი ჰიმნი აფროდიტესადმი, ეს ამგვარად შეიძლება შესრულდეს: საფო, ფრ. 1 ლპ. ეს ნიშნავს, რომ ცნობილ გამოცემაში E. Lobel, D. L. Page, Poetarum Lesbiorum Fragmenta, Oxford 1955, ჩვენთვის საინტერესო ლექსი შესულია პირველ ნომრად. თუკი გვსურს მივუთითოთ ალკმანის ერთ-ერთი ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი, რომელშიც გადმოცემულია მოხუცებულობაში შესული პოეტის განცდები, შეგვიძლია შემდეგნაირად მივუთითოთ: ალკმანი, ფრ. 56 პ, რაც ნიშნავს, რომ ცნობილ გამოცემაში D. L. Page, Poetae Melici Graeci, Oxford 1952, ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი სწორედ ამ ნომრით არის აღნიშნული.

ზოგიერთი პროზაიკოსი ავტორის მითითების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას ორგვარი პრინციპი: ერთი ძალზე ზუსტი, როდესაც ჩვენთვის საინტერესო სტრიქონსაც კი ვუთითებთ და შედარებით ზოგადი, როდესაც ვუთითებთ მხოლოდ შესაბამის წიგნს, თავს ან პარაგრაფს. პირველ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ავტორთა ერთი ნაწილის გამოცემებში გათვალისწინებულია არა მარტო მათი თხზულებების წიგნებად, თავებად და, შესაძლოა, პარაგრაფებად დაყოფის პრინციპი, არამედ მათი პირველი ან ერთ-ერთი პირველი გამოცემის გვერდების ნომრითაც. ეს ორივე წესი შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგალითად, პლატონისა და არისტოტელეს შემთხვევაში. ა. მ., თუკი ჩვენ გვსურს მივუთითოთ ადგილი არისტოტელეს „პოეტიკაში", სადაც იგი პირველად ახსენებს ლიტერატურის მისთვის ცნობილ ჟანრებს, ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ ამგვარი სახითაც: არისტ. (არისტოტელე), პოეტ. 1447ª13 შმდ., მაგრამ შეგვიძლია მივუთითოთ ასევე: არისტოტელე, პოეტიკა, თავი I. პირველ შემთხვევაში პირველი ციფრი აღნიშნავს უნიფიცირებული გვერდის ნომერს, ასო a აზუსტებს ადგილს, ხოლო უკანასკნელი ციფრი აღნიშნავს სტრიქონს. მეორე შემთხვევაში ჩვენ ვიფარგლებით მხოლოდ იმ თავის მინიშნებით, რომელშიც მოტანილია ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია. პროზაიკოს ავტორთა უმეტესობის შემთხვევაში ჩვენ ვეფუძნებით ნაწარმოების წიგნებად, თავებად (და პარაგრაფებად) მითითების პრინციპს. ა. მ., ჰეროდოტოსის შემთხვევაში ჩვენ ვუთითებთ წიგნის ნომერს რომაული ან არაბული ციფრით და შესაბამისი თავის ნომერს, მაგალითად: I, 3.

ანტიკური დრამების შემთხვევაში ვუთითებთ ავტორის და შემდეგ დრამის სახელწოდებას ქართულად ან ლათინურად (მიუხედავად იმისა, ავტორი ბერძენია თუ რომაელი) და შემდეგ ჩვენთვის საინტერესო შესაბამისი სტრიქონის ნომერს. ა. მ., ესქ. აგ. 25. ან Aesch.

Ag. 25. ეს ნიშნავს: ესქილე, აგამემნონი, სტრიქონი 25. კლასიკურ ფილოლოგიაში საკმაოდ პოპულარულია ციტაციისას ავტორთა და ნაწარმოებთა სახელების მითითება ლათინური ვარიანტით, მიუხედავად იმისა, ავტორი ბერძენია თუ რომაელი. ჩვენ წიგნს დაერთვის ანტიკური ეპოქის ავტორთა და ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი ნუსხა ქართულ და კლასიკურ ენებზე, როგორც სრულად, ასევე შემოკლებით, დღეს მიღებული წესის შესაბამისად.

## ლიტერატურა


კლასიკური ტექსტების გამოცემათა უმნიშვნელოვანესი თანამედროვე სერიები

- გერმანიაში: Bibliotheca Teubneriana (BT), Leipzig, Stuttgart – გამოიცემა 1850 წლიდან. ტექსტების კრიტიკული გამოცემა ორიგინალის ენაზე ლათინურენოვანი აპარატით; Tusculum Bücherei, München – ტექსტები ორიგინალის ენაზე, პარალელური გერმანული თარგმანითა და აპარატით ასევე გერმანულ ენაზე;

  ინგლისსა და აშშ-ში: Bibliotheca Oxoniana: Oxford Classical Texts (OCT), Oxford – ტექსტების კრიტიკული გამოცემა ორიგინალის ენაზე ლათინურენოვანი აპარატით; Loeb Classical Library (LCL), London, Cambridge – ტექსტი ორიგინალის ენაზე პარალელური ინგლისური თარგმანით და ინგლისურენოვანი აპარატით;

  საფრანგეთში: Collection des Universités de France („Collection Budé"), Paris – ტექსტის კრიტიკული გამოცემა ორიგინალის ენაზე და პარალელური თარგმანი ფრანგულენოვანი აპარატით;

  იტალიაში: Corpus Scriptorum Latinorum Paravianum – ლათინურენოვან ტექსტთა კრიტიკული გამოცემა;

  საბერძნეთში: „კაკტოსი" – ორენოვანი (ძველი ბერძნული და ახალი ბერძნული) გამოცემა;

  საქართველოში ამგვარ სერიას გამოსცემს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეგიდით: „ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა".

ბერძნული ქრისტიანული ლიტერატურის სრული გამოცემები

- Patrologiae cursus completus, series Graeca (PG), ed. J.-P. Migne, Paris 1857-1866 (161 ტომი, Conspectus auctorum, 1882; Indices, 2 ტომი, 1912/1932) (არ შეიძლება ჩაითვალოს კრიტიკულ გამოცემად).
- Corpus Christianorum. Series Graeca (CCG), Turnhout 1977 შმდ.; Fontes Christiani (გერმანული თარგმანით), Freiburg, Wien 1990 შმდ.; Sources Chrétiennes (SC, ფრანგული თარგმანით), Paris 1941 შმდ.; Cambridge Patristic Texts (CPT), Cambridge 1899 შმდ.

გვიანანტიკური ეპოქის ლათინი ავტორების კრიტიკული გამოცემები

- Monumenta Germaniae Historica (MGH), განსაკუთრებით მნიშვნელოვანია Auctores Antiquissimi, 15 ტომი, Berlin 1877-1919.

ლათინური ქრისტიანული ლიტერატურის სრული გამოცემები

- Patrologia Latina (PL), ed. J.-P. Migne, Paris 1844-1855 (222 ტომი + 5 Suppl.) Conspectus auctorum, 1882; Indices, 2 ტომი, 1912/1932) (არ შეიძლება ჩაითვალოს კრიტიკულ გამოცემად).
- Corpus Scriptorum Ecclesiasticorum Latinorum (CSEL), Wien 1866 შმდ.; Corpus Christianorum, Series Latina (CCL), Turnhout 1954 შმდ.; Fontes Christiani (გერმანული თარგმანით), Freiburg, Wien 1990 შმდ.; Sources Chrétiennes (SC, ფრანგული თარგმანით), Paris 1941 შმდ.; Cambridge Patristic Texts (CPT), Cambridge 1899 შმდ.

კომპიუტერული ტექსტები

- Thesaurus Linguae Graecae (TLG) – მთელი ძველი ბერძნული ლიტერატურის (დასაწყისიდან ახ. წ. VI საუკუნემდე) კომპიუტერული ჩანაწერი.
- ამჟამად მიმდინარეობს Thesaurus Linguae Latinae-ს (TLL) მომზადება.

ბერძნული ლიტერატურის ფრაგმენტების ცნობილი გამოცემები

- H. von Arnim, Stoicorum veterum fragmenta (SVF), 4 ტომი, Leipzig 1903-1924.

- A. Bernabé, Poetarum epicorum Graecorum testimonia et fragmenta, Stuttgart, Leipzig 1987 (შესწორებული გამოცემა 1996).
- W. Bühler, Zenobii Athoi proverbia, აქამდე გამოცემულია 3 ტომი, Göttingen 1982 შმდ.
- M. Davies, Epicorum Graecorum Fragmenta, Göttingen 1988.
- H. Diels, W. Kranz, Die Fragmente der Vorsokratiker (DK), 3 ტომი, Berlin, Zürich 1951[6]/52.
- B. Gentili, C. Prato, Poetae elegiaci, 2 ტომი, Leipzig 1988, 1985.
- A. Hilgard, A. Lentz, R. Schneider, G. Uhlig, Grammatici Graeci (GG), 4 ტომი, Leipzig 1867-1910.
- F. Jacoby, Die Fragmente der griechischen Historiker (FGrH), 3 ნაწილი 14 ტომად, Berlin, Leiden 1923-1958.
- R. Kassel, C. Austin, Poetae Comici Graeci (PCG), Berlin, New York 1983 შმდ.
- E. L. Leutsch, F. G. Schneidewin, Corpus Paroemiographorum Graecorum (CPG), 2 ტომი, Göttingen 1839-1851 (Hildesheim 1958); L. Cohn, Supplementum, Breslau 1887 (Hildesheim 1961).
- H. Lloyd-Jones, P. Parsons, Supplementum Hellenisticum (SH), Berlin, New York 1983.
- C. Müller, Geographi Graeci minores, Paris 1855-1861.
- D. L. Page, Poetae Melici Graeci (PMG), Oxford 1962; D. L. Page, Supplementum Lyricis Graecis (SLG), Oxford 1974; M. Davies, Poetarum Melicorum Graecorum Fragmenta, Oxford 1991 შმდ.
- I. U. Powell, Collectanea Alexandrina, Oxford 1915 (Chicago 1981).
- B. Snell, R. Kannicht, St. Radt, Tragicorum Graecorum Fragmenta (TrGF), Göttingen 1981 შმდ.
- M. L. West, Iambi et elegi Graeci ante Alexandrum cantati, 2 ტომი, Oxford 1989[2], 1992[2].

ლათინური (რომაული) ლიტერატურის ფრაგმენტების ცნობილი გამოცემები

- E. Courtney, The Fragmentary Latin Poets, Oxford 1993 (კომენტარებით).
- H. Funaioli, Grammaticae Romanae fragmenta I, Leipzig 1907.
- H. Keil, Grammatici Latini, 7 ტომი, Leipzig 1857-1880.
- W. Morel, K. Büchner, J. Blänsdorf, Fragmenta poetarum Latinorum, Stuttgart, Leipzig 1995[3].
- E. Malcovati, Oratorum Romanorum fragmenta, 3 ტომი, Torino 1930/1933.
- A. Mazzarino, Grammaticae Romanae fragmenta aetatis Caesarum, Torino 1955.
- H. Peter, Historicorum Romanorum reliquiae, 2 ტომი, Leipzig 1914[2], 1906[1] (უცვლ. გამოც. 1993).
- O. Ribbeck, Scaenicae Romanorum poesis fragmenta, 2 ტომი, Leipzig 1871/73 (უცვლ. გამოც. Hildesheim 1962).

ტექსტის კრიტიკა

- P. Maas, Textkritik, Leipzig 1960[4].
- M. L. West, Textual Criticism and Editorial Technique, Stuttgart 1973.
- K. J. Dover, Textkritik, in: H.-G. Nesselrath (Hrsg.), Einleitung in die griechische Philologie, Stuttgart, Leipzig 1997, 45-58.
- M. Weißenberger, Vom Autograph zur modernen Edition, in: P. Riemer, M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Gräzistik, München 2000, 52-82.
- J. Delz, Textkritik und Editionstechnik, in: F. Graf (Hrsg.), Einleitung in die lateinische Philologie, Stuttgart, Leipzig 1997, 52-73.
- M. Weißenberger, Vom Autograph zur modernen Edition, in: P. Riemer, M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Latinistik, München 1998, 53-83.

ანტიკურ სამყაროში ინფორმაციის წერილობით ფიქსაციას ისეთი მასშტაბები ჰქონდა, როგორიც უცნობი იყო ძველი აღმოსავლეთისათვის. ამას ბევრად შეუწყო ხელი ყველაზე უფრო მოხერხებული და ადვილად აღსაქმელი დამწერლობის სისტემის შექმნამ და ინფორმაციის რაც შეიძლება უფრო ოპერატიულად და სრულად წერილობითი ფორმით ფიქსაციისაკენ ლტოლვამ. შევეცადოთ, განვიხილოთ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია წერილობითი ფიქსაციის ხელოვნებასთან.

ფილოლოგიური სამუშაო უპირატესად ტექსტებთან არის დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით ანტიკურობამ საკმაოდ დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელიც, პირობითად, შეიძლება ორ დიდ ჯგუფად დავყოთ: ა) ტექსტები, რომლებმაც ჩვენამდე თავდაპირველი სახით მოაღწიეს ანუ ორიგინალები და ბ) ტექსტები, რომელნიც წარმოადგენენ ორიგინალების მოგვიანებით გადაწერილ ვარიანტებს. თავად ეს ტექსტები სულ სხვადასხვა ხასიათისაა, უბრალო მინაწერიდან დაწყებული, სრულყოფილი ლიტერატურული ძეგლით დამთავრებული. ტექსტების აბსოლუტური უმრავლესობა შესრულებულია ძველ ბერძნულსა და ლათინურ ენებზე. ჩვენამდე ასევე მოღწეულია ეტრუსკული ტექსტები და ეგეოსური ეპოქის ჯერ გაუშიფრავი ტექსტები. მათი ფიქსაციისათვის გამოყენებულია დამწერლობის რამდენიმე სისტემა. ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია ბერძნული ფონეტიკური ანბანი და მისგან წარმოქმნილი ლათინური დამწერლობა, ასევე ბერძნული ფონეტიკური ანბანის რამდენადმე მოდიფიცირებული ეტრუსკული ვარიანტი. ყველა ეს სისტემა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის შემდგომ პერიოდში ექცევა. რაც შეეხება ეგეოსურ სისტემებს, აქ გამოყენებულია, ძირითადად, იეროგლიფური და მარცვლოვანი დამწერლობები. ფუნქციონალური თვალსაზრისით ეს ტექსტები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად: ა) ლიტერატურული ტექსტები, ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო გაგებით; ბ) არალიტერატურული ტექსტები, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა ხასიათის რელიგიურ, საყოფაცხოვრებო თუ კანცელარულ ჩანაწერებს და გ) დაუდგენელი ფუნქციის ტექსტები. თუკი ბ და გ ჯგუფის ტექსტებმა ჩვენამდე უმეტესწილად ორიგინალების სახით მოაღწიეს, ა ჯგუფის ტექსტები, არსებითად, გვიანდელი ხელნაწერების სახით არიან წარმოდგენილნი. შესაბამისად, ანტიკურ ტექსტუალურ მემკვიდრეობაში შეიძლება გამოვყოთ ისეთი ტექსტები, რომლებიც, ძირითადად, ერთჯერადი ფიქსაციისათვის იყო გათვალისწინებული და შემდგომ პერიოდებში მათი მრავალგზის გადაწერის არავითარი საჭიროება არ დამდგარა, და ტექსტები, რომელთა შემონახვას ანტიკურობისათვის იმდენად გამოკვეთილი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მათი სისტემატური გადაწერა ხდებოდა.

**დამწერლობა.** ანტიკურობაში დამწერლობის განვითარებამ უმაღლეს დონეს მიაღწია, რის შემდეგაც, თუკი ინფორმატიკის საუკუნისათვის დამახასიათებელ ციფრული ჩაწერის პრაქტიკას არ გავითვალისწინებთ, დამწერლობის სისტემების სრულყოფის მიმართულებით კაკობრიობას არაფერი პრინციპულად ახალი აღარ შეუქმნია. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სწორედ ანტიკურ საბერძნეთსა და რომში შექმნილი დამწერლობის სისტემების საფუძველზე აღმოცენებული ნაციონალური ანბანებით

სარგებლობენ. უმრავლეს შემთხვევაში საქმე გვაქვს ანტიკური კულტურიდან არა მხოლოდ ზოგადად ფონეტიკური დამწერლობის, არამედ ასევე გრაფიკული ნიშნების გადმოღებასთანაც. თუმცა ზოგიერთმა ხალხმა მხოლოდ ფონეტიზაციის პრინციპი გადაიღო და ამის საფუძველზე შექმნა დამწერლობის საკუთარი ანბანური გრაფიკული სისტემა.

ესოდენ სრულყოფილი დამწერლობის სისტემის შექმნისაკენ ანტიკურობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიდიოდა. საწყისებზე მსჯელობისას, ბუნებრივია, ვგულისხმობთ, უპირველეს ყოვლისა, ანტიკური ცივილიზაციის ე. წ. ეგეოსურ ანუ წინაბერძნულ პერიოდს. მართალია, ბალკანეთში აღმოჩენილია ნიშნები, რომელთაც მკვლევართა ერთი ნაწილი ბალკანურ დამწერლობად მიიჩნევს, რომელიც ძვ. წ. VI-IV ათასწლეულებით თარიღდება, მაგრამ დღეს ძნელია ითქვას რაიმე ამ ნიშნების გამოყენების მასშტაბებსა და პრინციპებზე. ყველაზე გვიან ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჯერ მესოპოტამიაში, ხოლო შემდეგ ეგვიპტეში ჩნდება დამწერლობათა ახალი სისტემები, რომელთაც ძველ სამყაროში უკვე განვითარების უწყვეტი ხაზი ახასიათებთ. მესოპოტამიურ (პროტოშუმერულ და შუმერულ) მიმართულებას მივყავართ მთელ ძველ აღმოსავლეთში შემდგომ ესოდენ გავრცელებული ლურსმული მარცვლოვანი დამწერლობის, ხოლო ეგვიპტეში იეროგლიფური სისტემის ჩამოყალიბებამდე.

**ეგეოსური დამწერლობები.** ანტიკური წერილობითი ტრადიცია, როგორც აღვნიშნეთ, ეგეოსური ეპოქიდან იწყება. ამ ეპოქის ტექსტები აღმოჩენილია მთელს ეგეიდაში, კონტინენტურ საბერძნეთში, კუნძულებზე, მცირე აზიის დასავლეთ რეგიონებში. ანტიკურ სამყაროში დამწერლობა პირველად კუნძულ კრეტაზე უნდა აღმოცენებულიყო. ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან კუნძულ კრეტაზე ახალი, ე. წ. ეგეოსური ანუ მინოსური დამწერლობების შექმნის საკმაოდ ინტენსიური პროცესი დასტურდება. კრეტამ სწრაფად განვლო პიქტოგრაფიული (იეროგლიფური) დამწერლობის ფაზა და უკვე ძვ. წ. XVIII საუკუნიდან ამ კუნძულზე ჩამოყალიბდა ე. წ. A-ხაზოვანი დამწერლობა, რომელიც, როგორც ჩანს, მარცვლოვანი უნდა ყოფილიყო. A-ხაზოვანი ნიშნებით ე. წ. მინოსურ წინაბერძნულ ენაზე შესრულებულია რამდენიმე ასეული ტექსტი, როგორც თიხის ფირფიტებზე, ასევე სხვადასხვა საგნებზე. დამწერლობის ეს სისტემა გაშიფრული არ არის. ამდენად, ჩვენთვის დღეს ძნელია კონკრეტულად რაიმე ითქვას A-ხაზოვანით შესრულებული ტექსტების შესახებ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი უმეტესობა წარმოადგენდა ე. წ. საკანცელარიო ხასიათის ჩანაწერებს, რომელთა შემონახვას თიხის ფირფიტებზე უნდა ვუმადლოდეთ მინოსურ სასახლეებში მომხდარ ხანძარს, რის შედეგადაც თიხა გამოინვა. A-ხაზოვანის გავრცელება, როგორც ჩანს, საკმაოდ სწრაფად ხდებოდა და დღეს შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში იგი ეგეიდაში დამწერლობის წამყვან სისტემას წარმოადგენდა.



ვერცხლის თმის სამაგრი (ან ქინძისთავი) A-ხაზოვანი ნიშნებით

A-ხაზოვანიდან განვითარებული ჩანს B-ხაზოვანი დამწერლობა, რომელიც, როგორც მ. ვენტრისისა და ჯ. ჩედვიკის შრომებმა დაადასტურეს, დამწერლობის ხაზოვანი სისტემის ბერძნულ ენაზე მორგების ცდას წარმოადგენდა. შესაბამისად, B-ხაზოვანი დოკუმენტები შეიძლება განვიხილოთ როგორც ბერძნული ენის გადმოსაცემად დამწერლობის გარკვეული სისტემების გამოყენების პირველი ცდა.




B-ხაზოვანი მარცვლოვანი ნიშნები

ამგვარად, ეგეიდაში საკმაოდ მოკლე პერიოდის განმავლობაში მოხდა დამწერლობის ერთი პრინციპიდან მეორეზე გადასვლა. უფრო ადრეული იეროგლიფური ან პიქტოგრაფიული სისტემა ეფუძნება ამა თუ იმ ენის წიაღში ჩამოყალიბებული ინფორმაციის გადმოცემას არა ფონოლოგიური, არამედ სურათოვან-აზრობრივი მეთოდით. შესაბამისად, იეროგლიფური დამწერლობისათვის არსებითია აზრის გადმოცემა ნიშან-სიმბოლოების საშუალებით, რაც, ბუნებრივია, ვერ ასახავს ენის ფონოლოგიურ თავისებურებებს. მართალია, ამ სისტემის განვითარებამ და ინფორმაციის სრულყოფილად და ნიუანსირებულად გადმოცემის აუცილებლობამ უკვე ეგვიპტელები მიიყვანა იეროგლიფურ სისტემაში ისეთი

ელემენტების შეტანამდე, რომელნიც დღეს გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან იმაზე, თუ როგორ გამოითქმოდა ძველეგვიპტურ ენაში ცალკეული სიტყვები თუ ფრაზები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყო ფონოლოგიური პრინციპისაგან. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს ამა თუ იმ ენის ინფორმაცია გადმოცეს იმ ნიშან-სიმბოლოებით, რომლებიც გარკვეულ ფონემებს გამოხატავენ. ეგეოსურ სამყაროში, ისევე როგორც კულტურათა მესოპოტამიურ წრეში, ამ მხრივ ყველაზე მისაღები აღმოჩნდა დამწერლობის მარცვლოვანი სისტემა, რომლის არსი მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება გადმოვცეთ: დამწერლობის თითოეული ნიშანი ასახავს კომპლექსს: თანხმოვანი და ხმოვანი (მხოლოდ ხმოვნების შემთხვევაში შეიძლება ერთმა ნიშანმა გადმოცეს ერთი ფონემა). ამდენად, ხაზოვანი დამწერლობით შესრულებული ტექსტის კითხვისას, დღეს თუ ცნობილი არ არის, როგორ ეღერდა ესა თუ ის ლექსიკური ფორმატივი ამა თუ იმ ენაში იმ შორეულ წარსულში, ვერ ვიქნებით დარწმუნებული, რომ სიტყვის რეალურ ფორმას ადეკვატურად აღვადგენთ. ყოველთვის იქნება საფრთხე, რომ თანხმოვნის თანმხლები ხმოვანი შეიძლება ზედმეტი იყოს ან „მიკენური ორთოგრაფიის" წესების გათვალისწინებით ზოგიერთი თანხმოვანი საერთოდ არ აისახოს B-ხაზოვანით გადმოცემულ ტექსტში. ა. მ., ლექსიკური ფორმატივი χαλκός („ბრინჯაო, სპილენძი") B-ხაზოვანში გადმოიცემოდა როგორც ka-ko, ποιμήν („მწყემსი") წარმოდგენილი იყო როგორც po-me და ა. შ. B-ხაზოვანი ტექსტების გადმოცემისა და კვლევისას თანამედროვე მეცნიერებაში მიღებულია (ისევე, როგორც ეს ლურსმული დამწერლობის შემთხვევაში ხდება) ლათინური ანბანის ნიშნების გამოყენება, ანუ მარცვლოვანი ნიშნებით შესრულებული ტექსტების ტრანსლიტერაცია ლათინური ასოების საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ B-ხაზოვან ნიშანთა საკმაოდ დიდი ნაწილის ფონოლოგიური მნიშვნელობა დღეს დადგენილია, მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, ჰქონდათ თუ არა A-ხაზოვან დამწერლობაში იდენტურ ან მსგავს ნიშნებს იგივე ფონოლოგიური მნიშვნელობა. მეცნიერთა უმეტესობა იქითკენ იხრება, რომ ამ ე. წ. მსგავს ნიშანთა ფონოლოგიური მნიშვნელობა დაახლოებით იდენტური უნდა იყოს.

A-ხაზოვანი დაედო საფუძვლად კვიპროსის ე. წ. კვიპროსულ-მინოსურ C-ხაზოვან მარცვლოვან დამწერლობას. ამ ხაზოვანი დამწერლობის სისტემას თვით ფონეტიკური ანბანის აღმოცენების შემდეგაც საკმაოდ დიდხანს იყენებდნენ კვიპროსზე ძვ. წ. XII საუკუნიდან გადმოსახლებული ბერძნებიც. იგი ასევე არ არის ჯერჯერობით გაშიფრული, უფრო სწორად, არ არის დადგენილი კუნძულ კვიპროსის წინაბერძნული მოსახლეობის ენის წარმომავლობა, თუმცა ცნობილია, რომ ამ კუნძულზე ბერძნებმა მარცვლოვანი ხაზოვანი დამწერლობის სისტემა იქ მისვლის შემდეგ არამც თუ შეითვისეს, არამედ მრავალი საუკუნის განმავლობაში დაიტოვეს და გარკვეული პერიოდის მანძილზე თვით ფონეტიკური დამწერლობის პარალელურად გამოიყენებდნენ. რასაკვირველია, უძველესი კვიპროსული ტექსტების შესახებ დღეს გარკვევით არაფერი შეგვიძლია ვთქვათ.

ეგეოსური დამწერლობის განსაკუთრებულ ტიპს წარმოადგენს ფესტოსის დისკოზე დადასტურებული წარწერა, რომლის თაობაზეც დღეს მეცნიერებაში თითქმის ყველაფერი დავას იწვევს. მკვლევართა უმეტესობის აზრით, დისკო ძვ. წ. XVI საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული, თუმცა, უკანასკნელ ხანებში, ზოგიერთები მას გაცილებით უფრო გვიანდელ ეპოქას მიაკუთვნებენ. არ არის ერთიანობა იმაზეც, თუ რა პრინციპია რეალიზებული ფესტოსის დისკოს აშკარად სურათოვან ნიშნებში: იეროგლიფური, მარცვლოვანი თუ სულაც ანბანური.



A გვერდი

B გვერდი

ფესტოსის დისკო

**ბერძნული ფონეტიკური და ლათინური დამწერლობა.** დამწერლობების ფონეტიზაციის მიმართულებით ხმელთაშუაზღვისპირეთში აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი იყო ე. წ. კონსონანტური დამწერლობის შექმნა. ამ პროცესის საწყისებს უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოდის პალესტინაში და განსაკუთრებით უგარიტულ დამწერლობაში ხედავენ, რომელიც ფინიკიური დამწერლობის საფუძველს წარმოადგენდა. II ათასწლეულის მიწურულის ფინიკიაში ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებში უკვე გამოიყენებოდა კონსონანტური დამწერლობა, რომელიც დაახლოებით 27-დან 30-მდე ნიშანს შეიცავდა. ე. წ. ფინიკიური დამწერლობის სისტემა დროთა განმავლობაში იხვეწებოდა. ძვ. წ. X საუკუნეში ბიბლოსზე აღმოჩენილი მასალა უკვე 22 ნიშანს გვიდასტურებს. ეს სისტემა სხვადასხვა რეგიონშიც ვრცელდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი გადაღება არამეელების მიერ ძვ. წ. XI-X საუკუნეებში. კონსონანტური დამწერლობის თავისებურება ის არის, რომ იგი გამოიყენებს ნიშნებს მხოლოდ თანხმოვნების აღსანიშნავად, მაგრამ თუკი გახმოვანება თავის დროზე ენის მცოდნისათვის ადვილი საქმე იყო, დღეს იგი მეცნიერთა ვარაუდზეა დამოკიდებული. სავსებით აშკარაა, რომ ბერძნებმა თავიანთი ტრადიციული დამწერლობის სისტემა ფინიკიელებისაგან გადმოიღეს, რასაც ადასტურებს როგორც გრაფიკული ასპექტი, ასევე თავად ანბანის ასოთა დასახელებაც, მაგრამ ბერძნებმა, ფინიკიელებისაგან განსხვავებით, შექმნეს ნიშნები ხმოვნებისთვისაც, რითაც მათ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგეს ფონეტიკური ანბანის ჩამოყალიბებისაკენ.

როდის გადმოიღეს ბერძნებმა ფინიკიური ანბანი? ამ საკითხზე მეცნიერებაში დღეს ერთიანი აზრი არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ თვით ბერძნული ტრადიციის მიხედვით, მათ დამწერლობას „ფინიკიური" ანუ „კადმოსური" დამწერლობა ეწოდებოდა. თუკი მივიჩნევთ, რომ ლეგენდარული კადმოსის სახელთან ამ ანბანის საბერძნეთში შემოტანის დაკავშირება გარკვეულ ისტორიულ რეალობას ასახავს, მაშინ ანბანის გადმოღების პერიოდი, სავარაუდოდ, ლეგენდარული კადმოსის ცხოვრების პერიოდს უნდა მივუსადაგოთ, რაც ე. წ. მითოლოგიური ქრონოლოგიის მიხედვით, დაახლოებით ძვ. წ. XV საუკუნეში ექცევა. რამდენადაც არ მოგვეპოვება ზუსტი მონაცემები ბერძნული ანბანის შექმნის თარიღის დასადგენად, თანამედროვე მეცნიერებაში ფინიკიურიდან ბერძნული ანბანის გადმოღების დრო მერყეობს ძვ. წ. XV საუკუნიდან ძვ. წ. 800 წლამდე. სავსებით აშკარაა, რომ 800 წლიდან მოყოლებული საბერძნეთში უკვე უნდა არსებულიყო ახალი ანბანი, რასაც გვიდასტურებენ ძვ. წ. VIII საუკუნის ბერძნული წარწერები და ეტრუსკების მიერ დაახლოებით 800 წლისათვის უკვე ბერძნული ფონეტიკური ანბანის გადაღების ფაქტი. ასევე ძვ. წ. VIII საუკუნეში ვრცელდება ფონეტიკური ბერძნული დამწერლობის სისტემა ხმელთაშუაზღვისპი-

რეთის მრავალ რეგიონში. შესაბამისად, მრავალრიცხოვანი ჰიპოთეზის ანალიზის საფუძველზე, ერთ უცილობელ დასკვნამდე შეგვიძლია მივიდეთ: ფინიკიური კონსონანტური დამწერლობის საფუძველზე ბერძნული ფონეტიკური ანბანის შექმნა ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებზე გვიანდელი არ უნდა იყოს. აქედან მოყოლებული ევროპის რეგიონთა უმეტესობისათვის ანბანის მოდელად საკუთრივ ბერძნული დამწერლობის სისტემა იქცა.

ბერძნული ანბანის ნიშანთა რაოდენობა რეგიონებისა და პერიოდების მიხედვით მცირეოდენ ცვლილებებს გვიჩვენებს, მაგრამ საბოლოოდ, თავისი კლასიკური ფორმით ბერძნულ ანბანში 24 ნიშანი დაფიქსირდა.




არქაული ბერძნული ანბანის სახეები და მისი ფინიკიური პროტოტიპები

აშკარაა, რომ ბერძნული ანბანი დაედო საფუძვლად ლათინურ ანბანსაც (ისევე, როგორც იტალიაში მცხოვრები არაერთი ხალხის დამწერლობას), რომლის შექმნის თარიღი ასევე არ არის დღეს ზუსტად განსაზღვრული მეცნიერებაში. ვარაუდობენ, რომ ლათინურ ანბანს საფუძვლად დაედო როგორც იტალიაში გავრცელებული დამწერლობის ბერძნული სისტემები, ასევე საკუთრივ ბერძნულისაგან განვითარებული ეტრუსკული დამწერლობა. ლათინური ანბანი დაახლოებით ძვ. წ. VII საუკუნეში უნდა წარმოქმნილიყო. რასაკვირველია, ნიშნების ფონეტიკურმა მნიშვნელობებმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, რაც ენის სპეციფიკიდან გამომდინარეობდა. დღეს ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ბერძნულისა და ლათინურის საფუძველზე შექმნილი დამწერლობის სისტემების მატარებელი ხალხები წერენ მარცხნიდან მარჯვნივ, თუმცა ეს პრინციპი თავად ბერძნულში არ იყო თავიდანვე დამკვიდრებული. გამოიყენებოდა მარჯვნიდან მარცხნივ წერის პრინციპიც (რაც დღეს არაბული დამწერლობის სისტემის მქონე ხალხებისათვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს) ე. წ. ბუსტროფედონი, რომელიც გულისხმობდა სტრიქონების მიმარ-

თულების ცვლას (ერთი სტრიქონი მარჯვნიდან მარცხნივ იწერებოდა, მისი მომდევნო კი პირიქით და ა. შ.). როგორც ჩანს, უკვე არქაიკაში დამკვიდრდა საბერძნეთში მარცხნიდან მარჯვნივ წერის პრინციპი და ეს ტენდენცია დაახლოებით ძვ. წ. V საუკუნიდან ასევე წამყვანი გახდა ლათინური დამწერლობისათვის.

ძვ. წ. I საუკუნემდე ლათინური ანბანი შეიცავდა 21 ნიშანს. ამას დროთა განმავლობაში თანდათანობით დაემატა ახალი ნიშნები: y შეესაბამებოდა υ-ს – „ი ფსილონს" („ი გრეკუსს"), z („ზეტა") ბერძნულ ζ-ს გადმოსცემდა, ასო u ადრე აღნიშნავდა როგორც ხმოვანს „უ", ასევე თანხმოვანს – „ვ". j-ს ხმოვნების წინ ჰქონდა ნახევარხმოვნის ფუნქცია. რაც შეეხება ისეთ ბერძნულ ასპირირებულ თანხმოვნებს, რომელთაც არ ჰქონდათ ეკვივალენტები ლათინურში, მათ გადმოსაცემად ანბანში არავითარი ცვლილებები არ შეუტანიათ. გამოიყენებოდა მხოლოდ თანხმოვანთა კომპლექსები: φ-ს გადმოსაცემად ph, θ – th, ῥ – rh, χ – ch.

ლათინური ანბანი

| 1* | 2* | 3* | 4* | განმარტებები |
|---|---|---|---|---|
| A | a | ა | ა | |
| B | b | ბე | ბ | |
| C | c | ცე | კ | შუა საუკუნეებიდან e, i, ae, oe, y-ს წინ გამოითქმოდა, როგორც "ც": Cicero [ციცერო] – ციცერონი |
| D | d | დე | დ | |
| E | e | ე | ე | |
| F | f | ეფ | ფ | |
| G | g | გე | გ | n-ს წინ და n-ს შემდეგ გამოითქმის როგორც ნაზალური ბგერა „ⁿg": magnus [maⁿgnus] – დიდი; lingua [liⁿgua] – ენა |
| H | h | ჰა | ჰ | |
| I | i | ი | ი | გამოითქმის როგორც j, თუ ის შემდეგ ხმოვანთან ერთ მარცვალს ქმნის: Iulius [Julius] – იულიუსი |
| K | k | კა | კ | გამოიყენება მხოლოდ ორ სიტყვაში Kalendae – კალენდები და Kaeso – კესო (საკუთარი სახელი) |
| L | l | ელ | ლ | |
| M | m | ემ | მ | |
| N | n | ენ | ნ | |
| O | o | ო | ო | |
| P | p | პე | პ | |
| Q | q | კუ | კ | qu გამოითქმის როგორც „კუ", მაგ.: qui [კუი] – ვინც |
| R | r | ერ | რ | |
| S | s | ეს | ს | შუა საუკუნეებიდან s ორ ხმოვანს შორის გამოითქმოდა როგორც „ზ", დანარჩენ შემთხვევებში – როგორც „ს" |
| T | t | ტე | ტ | შუა საუკუნეებიდან ti + ხმ. გამოითქმოდა როგორც „ცი" გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას წინ მიუძღვის s, t ან x. მაგ.: iustitia [იუსტიცია] – მართლმსაჯულება; bestia [ბესტია] – ცხოველი |
| U | u | უ | უ | უმახვილო u ng-ს შემდეგ და sua, sue კომპლექსებში (როდესაც u უმახვილია) გამოითქმის როგორც ŭ: lingua [ლინგŭა]; persuādeō [პერსŭადეო] – ვარწმუნებ |
| V | v | ვე | ვ | |
| X | x | იქს | ქს | |
| Y | y | იფსილონ | ი | გვხვდება მხოლოდ ბერძნ. წარმოშობის სიტყვებში |
| Z | z | ზეტა | ზ | გვხვდება მხოლოდ ბერძნ. წარმოშობის სიტყვებში |

1 = მთავრული
2 = ნუსხური
3 = სახელწოდება
4 = გამოთქმა

დამწერლობის ეს ორი სისტემა — ბერძნული და ლათინური — საფუძვლად დაედო მრავალი ხალხის მოგვიანებით შექმნილ დამწერლობას: ლათინური ანბანი, ძირითადად, დასავლეთ ევროპაში, ხოლო ბერძნული — აღმოსავლეთ ევროპაში. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ქართული დამწერლობა, ანბანის ასოების კლასიფიკაციის თვალსაზრისით (მაგრამ არა გრაფიკულ დონეზე), ასევე ითვალისწინებს ბერძნულ დამწერლობას.

**საწერი მასალა და წიგნის გამოცემის საქმე.** ძვ. წ. VIII საუკუნიდან მოყოლებული ჩვენ გვაქვს ცნობები იმის თაობაზე, რომ ასპარეზზე გამოდიან ცნობილი მწერლები, იქმნება ბერძნული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებიც, სავარაუდოდ, უკვე ძვ. წ. VIII საუკუნეშივე ჩაიწერა. სამწუხაროდ, იმ შორეული პერიოდიდან ჩვენამდე არ მოულწევიათ ლიტერატურული ძეგლების ხელნაწერებს, შემოგვრჩა მხოლოდ სხვადასხვა სახის ნარწერა კერამიკაზე. ზოგიერთი მათგანი სალექსო საზომით გამართული მოკლე ეპიგრამა იყო. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იმ პერიოდში უფრო ვრცელი ტექსტების ჩაწერა ხდებოდა უძველეს წიგნებში, რომლებიც, ძირითადად, ტყავის „ფურცლებისაგან იკინძებოდა". წიგნების ამგვარად დამზადების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ძველი ბერძენი ავტორები. ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ იწარმოებოდა ძველ საბერძნეთში წიგნის „გამოცემის" საქმე?

თავდაპირველად შევეხოთ საწერ მასალას. პაპირუსის შემოტანამდე ელადაში საწერ მასალად გამოიყენებოდა როგორც არაორგანული (ქვა, სხვადასხვა ლითონი, თიხა), ასევე ორგანული მასალა (ხის, ძვლის ფირფიტები, ტყავი). ვრცელი ლიტერატურული ტექსტების ფიქსაციისათვის გამოიყენებოდა მხოლოდ პაპირუსი და პერგამენტი. პაპირუსი (ὁ χάρτης, ἡ βύβλος, ὁ / ἡ πάπυρος) გრძელღეროიანი წყლის მცენარეა, რომელიც ევფრატისა და ნილოსის მიმდებარე ჭაობებში იზრდებოდა.



პაპირუსის ფურცლის დამზადება

საინტერესოა, თუ როგორ ხდებოდა ამ მცენარისგან საწერი მასალის დამზადება. თავდაპირველად პაპირუსს აცლიდნენ ქერქს და ათავისუფლებდნენ ბოჭკოვან ღეროს. შემდეგ თხელ და ფართო ზოლებად ჭრიდნენ და დასველებულ ხის დაფებზე აწყობდნენ ერთმანეთის მიყოლებით ჰორიზონტალურად (recto-მხარე), ზემოდან კი მეორე ფენას ადებდნენ, რომლის ზოლებიც ქვედა ფენასთან მიმართებაში ვერტიკალურად (verso-მხარე) იყო განთავსებული. შემდეგ ძალიან ფრთხილად ამუშავებდნენ ხის ჩაქუჩით ან გლუვი და სწორი ქვებით, რის შედეგადაც ეს ორი ფენა ერთმანეთს ყოველგვარი წებოს გარეშე ეკვროდა. მზეზე გაშრობის შემდეგ პემზის (მინქაფას) ქვით ასწორებდნენ.

ამგვარად მილებული „ფურცლების" (κόλλημα, ლათ. plagula, pagina) გადაბმის შედეგად აკეთებდნენ პაპირუსის გრაგნილებს (κύλινδρος, ლათ. rotulus), რომელიც უმეტესად 6, ხოლო ზოგჯერ შეიძლებოდა 8 მეტრი სიგრძისაც კი ყოფილიყო. გრაგნილად დახვევის პროცესში ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ საწერად განკუთვნილი recto-მხარე შიგნით მოქცეულიყო. გრაგნილს ახვევდნენ ჯოხზე (ὄμφαλος, ლათ. umbilicus), რომელიც დამაგრებული იყო გრაგნილის ბოლო ფურცელზე. გრაგნილის ზედა და ქვედა ნაწილში ცარიელ ადგილს ტოვებდნენ (ἄγραφον).



პაპირუსის გრაგნილი

პაპირუსის გრაგნილის შესანახად გამოიყენებოდა სპეციალური ხის ყუთები (κιβώτιον).

საწერ მასალად, როგორც აღვნიშნეთ, ასევე გამოიყენებოდა ტყავი (სახედრის, ხბოს, ცხვრის, თხის). ამაზე არაორაზროვნად მიგვანიშნებს „ისტორიის მამა" ჰეროდოტოსი: „ბერძნები ძველთაგანვე წიგნებს ტყავებს უწოდებდნენ, რადგანაც ოდესღაც პაპირუსის ნაკლებობის გამო ისინი თხისა და ცხვრის ტყავებს ხმარობდნენ საწერად. ჯერაც ჩემს დროს, ბევრი ბარბაროსი ამისთანა ტყავებზე წერს" (ჰერ. V, 58). ელინისტური ეპოქიდან პაპირუსს თანდათანობით ძლიერ კონკურენციას უწევს პერგამენტი – ტყავის საწერი მასალა, რომელსაც თავდაპირველად აღნიშნავდნენ ტერმინით (ἡ διφθέρα, ლათ. membrana), მაგრამ მან საბოლოოდ სახელწოდება მცირე აზიაში მდებარე ქ. პერგამონისაგან მიიღო. იგი გაცილებით უკეთესად დამუშავებული და გამძლე, თუმცა პაპირუსზე ძვირი საწერი მასალა იყო. ტყავი უფრო მოსახერხებელი იყო როგორც საწერად, ასევე საკითხავადაც. მას სერიოზული დამუშავება ესაჭიროებოდა. რამდენიმე დღით ტყავს დებდნენ კირქვაში, რაც მას ასუფთავებდა ხორცის ნარჩენებისაგან, თმისაგან. შემდეგ მას სპეციალური საფხეკით წმენდდნენ, აშრობდნენ და ჭიმავდნენ. გარეთა მხარე ხორკლიანი და ყვითელი ფერის იყო, შიგნითა მხარე კი – თეთრი და გლუვი.



კოდექსი

წიგნის გავრცელებული ფორმა იყო კოდექსი (codex). ამ ტიპის წიგნები ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში ადრიდანვე იყო საკმაოდ გავრცელებული. კოდექსის „ფურცლები" შეიძლებოდა ყოფილიყო ხის ან სხვა მასალის დაფებისაგან. ფირფიტას შიგნითა მხარეს ჩაღრმავებული ზედაპირი ჰქონდა, რომელიც ცვილით იფარებოდა. ასე მომზადებულ დაფაზე (ceratae) წერდნენ ლითონის წვერწამახული შტიფტით (stilus). არსებობდა გაცილებით თხელი დაფებიც ცვილის საფარველის გარეშე (non ceratae), მასზე მელნითა და „კალმით" (calamus) წერდნენ.

მოგვიანებით კოდექსი იკინძებოდა პაპირუსის ფურცლებისაგანაც, რომლებსაც თანაბრად ჭრიდნენ გრაგნილებისაგან. ამ მიზნით ასევე გამოიყენებოდა პერგამენტი. ფურცლები, ჩვეულებრივ, იკინძებოდა წყვილ დიპტიქონებად (ლათ. კვატერნიონად), უფრო მეტი ფურცელი ტრიპტიქონებად ან პოლიპტიქონებად. დიპტიქონი მოიცავდა ოთხ-ოთხ ფურცელს, ანუ წიგნის 16 გვერდს (თუ გავითვალისწინებთ, რომ ფურცლის ორივე მხარე იყო გამოყენებული). გრაგნილთან შედარებით კოდექსს შემდეგი უპირატესობა ჰქონდა: საწერად გამოყენებული იყო ფურცლის ორივე მხარე. ამდენად, უფრო ეკონომიურიც იყო და სასურველი ადგილების მოსაძებნადაც გაცილებით მოსახერხებელი, რაკი შესაძლებელი

იყო მისი წიგნივით „გადაფურცვლა". ასევე შესაძლებელი იყო მასში ილუსტრაციების განთავსება. კოდექსი შეიძლებოდა ჩასმული ყოფილიყო ამოტვიფრულ და შემკულ ყდაში.

ტექსტების წერილობითი ფიქსაციის მასშტაბების ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეგვიპტიდან საბერძნეთში პაპირუსის იმპორტის დაწყებამ, რაც, როგორც ვარაუდობენ, ძვ. წ. VII საუკუნეზე ადრე არ უნდა მომხდარიყო. პაპირუსი, როგორც იაფი საწერი მასალა, მალე იპყრობს ბერძნული „წიგნის ბაზარს" და დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პერიოდიდან საბერძნეთში წიგნების წერა და მათი ტირაჟირება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან მოყოლებული ხდებოდა როგორც ახალი ტექსტების ჩაწერა, ასევე უკვე არსებულთა გადაწერა. მართალია, ჩვენ ერთობ ცოტა ცნობები მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ რა მასშტაბები ჰქონდა ელინური ეპოქის საბერძნეთში წიგნების გამოცემისა და ტირაჟირების საქმეს, მაგრამ თუკი ზოგიერთ ცნობას გავითვალისწინებთ, ამ მხრივ საკმაოდ შთამბეჭდავი სურათი წარმოგვიდგება. ა. მ., პლატონის „სოკრატეს აპოლოგიაში" სასამართლოს წინაშე გამოსული სოკრატე იმის დასადასტურებლად, რომ ადრეულ ფილოსოფოსთა ტექსტების წაკითხვა ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო, შემდეგს ამბობს: რა იდეების ქადაგებასაც სდებენ მას ბრალად, შეიძლება ფილოსოფოს ანაქსაგორასის ნაშრომებში უხვად ნახოს კაცმა, რომელთა ყიდვა ახალგაზრდებს, ყველაზე მეტი, ერთ დრაქმად შეუძლიათ ორქესტრაში ანუ აგორაზე გამოყოფილ სპეციალურ ადგილას (26 d-e). რასაკვირველია, ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ წიგნის მოყვარულთ ასევე დაუბრკოლებლად შეეძლოთ შეეძინათ მხატვრული ლიტერატურაც. წიგნის ბაზრის გარდა, როგორც ჩანს, გარკვეული ფორმით არსებობდა ბიბლიოთეკებიც. ყოველი შემთხვევისათვის, ჩვენამდე მოაღწია ცნობებმა ზოგიერთი კერძო ბიბლიოთეკის არსებობის შესახებ. სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ელინურ ეპოქაში პაპირუსებზე ჩაიწერა ყველა იმ ნაწარმოებისა თუ დოკუმენტის ტექსტი, რომლის ფიქსაციასაც საჭიროდ თვლიდნენ ძველი ბერძნები.

მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შედეგად წარმოიქმნა ელინისტური სამყარო, ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულიდან ბერძნული კულტურის, მათ შორის, ლიტერატურის გავრცელებამ მანამდე არნახული მასშტაბები მიიღო. ბერძნული „წიგნის ბაზარი" ჭეშმარიტად საერთაშორისო ხასიათს იღებს და იგი მოიცავს ეგვიპტეს, მცირე აზიას და აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანას, ისევე როგორც ხმელთაშუაზღვის დასავლეთით განლაგებულ ქვეყნებს.

ბუნებრივია, ჩვენს ინტერესს იწვევს, თუ როგორ ხდებოდა იმ ეპოქაში წიგნების ძალზე დიდი რაოდენობით გამოცემა და ტირაჟირება. როგორც ვარაუდობენ, ამისათვის იყო სპეციალური სკრიპტორიუმები, სადაც ერთდროულად მრავალი ასეული და, შესაძლოა, ათასეული გადამწერი კარნახით იწერდა ამა თუ იმ ნაწარმოებების ტექსტებს და ამზადებდა მათ „წიგნების ბაზარზე" გასატანად. სავსებით დასაშვებია, რომ ამ შემთხვევაში აქტიურად გამოიყენებოდა მონური შრომა. თუკი ელინური ეპოქიდან მოღწეული პაპირუსები თითზე ჩამოსათვლელია, ელინისტური ეპოქის პაპირუსები დღეს მეცნიერებას საკმაოდ მრავლად მოეპოვება და მათ ბევრი საინტერესო აღმოჩენის მოწმე გაგვხადეს. „წიგნის ბაზრის" პარალელურად, ამ პერიოდში ფართო გასაქანი მიეცა საბიბლიოთეკო საქმეს. საყოველთაოდ ცნობილი იყო გრანდიოზული ბიბლიოთეკა ალექსანდრიაში, რომელშიც 700000 გრაგნილი ანუ წიგნი ინახებოდა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში დაცული იყო მხოლოდ ბერძნულენოვანი ლიტერატურა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოცულობის ტექსტუალური ინფორმაცია იყო მასში მოქცეული. XXI საუკუნეში ბიბლიოთეკა, რომელშიც 3-4 მილიონი დასახელების წიგნი ინახება მსოფლიოს ყველა ენაზე, საკმაოდ მდიდარ წიგნსაცავად ითვლება, შესაბამისად, ადვილი წარმოსადგენია, რა მასშტაბები უნდა ჰქონოდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკას. როგორც ცნობილია, აქ

დაცული თითქმის მილიონამდე წიგნი ასახავდა არსებითად ბერძნული ლიტერატურის ისტორიას ჰომეროსიდან (ძვ. წ. VIII საუკუნიდან) ელინისტურ ეპოქამდე ანუ სულ 4-5 საუკუნის განმავლობაში შექმნილ პროდუქციას. შედარებით ნაკლები, მაგრამ მაინც შთამბეჭდავი მოცულობის ბიბლიოთეკები არსებობდა ელინისტური სამყაროს სხვა კულტურულ ცენტრებშიც.

საკმაოდ ადრე, ამჟამად ძნელი სათქმელია ზუსტად რომელი საუკუნიდან, იწყება ტექსტების ჩაწერა ლათინურ ენაზეც. ბერძნულის საფუძველზე ლათინური დამწერლობის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, დღეს არ არის ერთიანი აზრი. ლეგენდარული ტრადიცია ლათინური ანბანის შექმნას რომის მითიურ დამაარსებლებს მიაწერს და, შესაბამისად, ძვ. წ. VIII საუკუნეში აქცევს. დღეს სრული დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომაელების მიერ ძვ. წ. V-IV საუკუნიდან ტექსტების ლათინურად ჩაწერა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამის პარალელურად, უკვე ძვ. წ. VIII საუკუნიდან იტალიის ტერიტორიაზე მრავალი ტექსტი იწერებოდა ეტრუსკულ ენაზეც. რომის თანდათანობით გაძლიერების კვალდაკვალ სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა ძველ სამყაროში ლათინურ ენაზე ჩაწერილი ტექსტები. შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ რომის იმპერიაში წიგნის გამოცემის საქმე კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიდა და კიდევ უფრო დიდი მასშტაბები მიიღო. ეს ეხება როგორც ბერძნულენოვან, ასევე ლათინურენოვან ლიტერატურას. წიგნის ფორმის შეცვლის თვალსაზრისით, აშკარად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტექსტების ჩაწერის პრაქტიკაში პერგამენტის შემოსვლას. ტექსტის ჩაწერის საქმეს მნიშვნელოვნად აადვილებდა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც მოხდა თავად ბერძნულსა და ლათინურ დამწერლობაში. მთავრულ ასოებთან (majusculum) ერთად შემოდის ნუსხური ასოები (minusculum). ეს გადასვლა ლათინურ პალეოგრაფიაში მოხდა უკვე გვიანანტიკურობაში, ხოლო ბერძნულში მან ჩამოყალიბებული სახე მხოლოდ ახ. წ. VIII და, ძირითადად, IX საუკუნეებში მიიღო.

მას შემდეგ, რაც ანტიკურობა დაქვეითდა და მთელი ძალით იწყო განვითარება ქრისტიანულმა კულტურამ, ინტერესი კლასიკური ტექსტებისადმი, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, ჯერ საგრძნობლად შესუსტდა, შემდეგ კი გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ფაქტობრივად, გაქრა. დასავლეთ ევროპის მონასტრებსა და ლავრებში მოკალათებული ქრისტიანი გადამწერები ხშირად მხოლოდ იმიტომ იჩენდნენ ძველი ტექსტების მიმართ „ყურადღებას", რომ უკეთ ესწავლათ კლასიკური ლათინური ენა, ხოლო ბიზანტიაში – ძველი ბერძნული, ან კიდევ იმისათვის, რომ პერგამენტზე წაეშალათ უკვე არსებული წარმართული ტექსტი და დაეწერათ ქრისტიანული შინაარსისა. რასაკვირველია, ამ გარემოებამ ბევრად შეუწყო ხელი იმას, რომ ანტიკური ტექსტების უდიდესი ნაწილი დაკარგულიყო. შედარებით მეტი იყო ინტერესი ბერძნული ლიტერატურის მიმართ ბიზანტიაში და, შეიძლება ითქვას, რომ აქ, გარკვეული პერიოდიდან მაინც ხდებოდა სავსებით მიზანმიმართულად ძველი ტექსტების გადაწერა და ძველი ავტორების ნაწარმოებთა გამოცემა. ამან განაპირობა ის, რომ დღეს ჩვენამდე, მართალია, ძალზე არასრულად, მაგრამ მაინც საკმაოდ მასშტაბურად მოაღწია ანტიკური ეპოქის ბერძნულმა ლიტერატურამ. იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ნაწარმოები ან პოპულარული, იგი მეტად ან ნაკლებად ხშირად გადაიწერებოდა. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია ამა თუ იმ ტექსტის შუა საუკუნეების ხელნაწერთა რაოდენობაც. საკმაოდ დრამატული აღმოჩნდა ბერძნული ტექსტების ბედი ბიზანტიის დაცემის მომენტისათვის. ცნობილ ბიზანტიელ მოღვაწეებს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ მათ მრავალი მნიშვნელოვანი ხელნაწერი გადაიტანეს დასავლეთში და საიმედოდ დააბინავეს იქაურ წიგნსაცავებში. ამ პერიოდისათვის დასავლეთ ევროპა უკვე მომზადებული იყო ანტიკურ კულტურასთან ჩატეხილი ხიდის აღსადგენად და ამ კულტურისათვის გზის ფართოდ გასახსნელად, რათა მას სტიმ-

ული მიეცა ევროპულ ცივილიზაციაში არსებითი გარდატეხებისათვის. და მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ანტიკურ ტექსტებთან ზიარება იყო ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელმაც ბიძგი მისცა რენესანსული კულტურის აღმავლობას.

წიგნის გამოცემის საქმეში რადიკალური გარდატეხა ხდება გუტენბერგის აღმოჩენის შემდგომ. როგორც ბერძენ, ასევე ლათინურენოვან ავტორთა უკვე პოლიგრაფიულად გამოცემამ სრულიად ახალი შესაძლებლობები შექმნა. დღეს ანტიკური ლიტერატურის ტექსტები გამოიცემა, უპირველეს ყოვლისა, შუა საუკუნეების ხელნაწერების და, გარკვეულწილად, იმ პაპიროლოგიური აღმოჩენების გათვალისწინებით, რომელთაც დასაბამი XIX საუკუნის მიწურულიდან დაედო. იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო გავხადოთ ის, თუ როგორ შეეძლო მოეღწია ესოდენ შორეულ ეპოქაში შექმნილ ვრცელ ლიტერატურულ ტექსტებს ჩვენს დღეებამდე, განვიხილოთ ჰომეროსის პოემების ჩვენამდე მოღწევის სავარაუდო ისტორია.

ძვ. წ. VIII საუკუნეში, როდესაც, მკვლევართა უმეტესობის აზრით, უნდა შექმნილიყო „ილიადა" და „ოდისეა", მომზადდა ამ პოემების პირველი ავტორისეული, წერილობით ფიქსირებული ტექსტი. მაშინ ისინი ჩაწერეს ტყავის „ფურცლებზე". როგორც ჩანს, არსებობდა ამ პოემების ერთი ეგზემპლარი ან ეგზემპლართა საკმაოდ შეზღუდული რაოდენობა, რადგან იმ ეპოქაში ეპიკურ ნაწარმოებთა აუდიტორიამდე მიტანა, ძირითადად, ზეპირად ხდებოდა. ჰომეროსის შთამომავლებს და მიმდევრებს, როგორც ჩანს, შემონახული ჰქონდათ ამგვარი ეგზემპლარები. არ არის გამორიცხული, რომ ისინი დროთა განმავლობაში მათ გადაწერდნენ ხოლმე. ასე უნდა მოეღწია ჰომეროსის ტექსტებს იმ ეპოქამდე, როდესაც საბერძნეთში ეგვიპტიდან პაპირუსის მასობრივი იმპორტი დაიწყო. ბუნებრივია, პოემების პირველად ჩაწერიდან, ძვ. წ. VIII საუკუნიდან, მათი პაპირუსზე გადატანის შესაძლებლობის შექმნის ეპოქამდე, ძვ. წ. VI საუკუნემდე, ჰომერიდების და რაფსოდების წრეში სულ სხვადასხვა დროს გადაწერილი ტექსტები იარსებებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ რაფსოდები, რომლებიც, ალბათ, ძვ. წ. VI საუკუნემდე არასოდეს არ ასრულებდნენ ჰომეროსის ტექსტებს ერთიანად (ისინი ამა თუ იმ აუდიტორიის წინაშე მხოლოდ ამ პოემათა ნაწილებს წარმოადგენდნენ), გარკვეულად ცვლიდნენ ავტორისეულ ტექსტს. მას შემდეგ, რაც ძვ. წ. 502 წელს, ათენში ჰიპარქოსმა დააკანონა ჰომეროსის პოემების სრულად შესრულება პანათენეების დიდ სახალხო დღესასწაულზე, ბუნებრივია, დადგა ათენელთათვის დაკანონებული ერთიანი ტექსტის ჩაწერის საკითხიც. ამის პარალელურად დღითი დღე იზრდებოდა ჰომეროსის პოპულარობა კონტინენტურ საბერძნეთში და იგი ძირითად სასკოლო ავტორად იქცა, რამაც მისი ტექსტების საკმაოდ ინტენსიური ტირაჟირება განაპირობა. ელინისტური ეპოქის ფილოლოგების განკარგულებაში ჰომეროსის ტექსტის უამრავი ეგზემპლარი იარსებებდა, რომლებიც, ბუნებრივია, ერთმანეთისაგან გარკვეულ განსხვავებებს გვიჩვენებდნენ. ამან დასვა ცნობილი ფილოლოგების წინაშე ჰომეროსის ტექსტების კრიტიკული გამოცემების მომზადების საკითხი. აღსანიშნავია, რომ ელინისტურ ეპოქაში ჰომეროსის ტექსტის მრავალი ასეთი გამოცემა მომზადდა. ამის პარალელურად, რასაკვირველია, კვლავ გრძელდებოდა ჰომეროსის პოემების სასკოლო გამოცემების პრაქტიკა. ახ. წ. IV-VI საუკუნეებში გადამწერთა ხელში, ალბათ, ჰომეროსის პოემების უამრავი გამოცემა ცირკულირებდა. მას შემდეგ, რაც IX-X საუკუნიდან ბიზანტიაში გაძლიერდა ინტერესი ძველი ბერძნული ლიტერატურის მიმართ, განახლდა ჰომეროსის ტექსტის გადაწერისა და გამოცემის პრაქტიკაც. დღეისათვის შემორჩენილია შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქიდან „ილიადის" დაახლოებით 200 და „ოდისეას" 70 აღრიცხული ხელნაწერი. დანარჩენები, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდია, ჯერ კიდევ არ არის აღნუსხული. დღევანდელი ჩვენი გამოცემები სწორედ ამ ტექსტებს და მათი კრიტიკული ანალიზის შედეგებს ეყრდნობა.

# პალეოგრაფია

წერილობითი ფიქსაციის ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა პალეოგრაფია. თავად ეს სიტყვა კომპოზიტია და ორი ბერძნული ლექსიკური ფორმატივისაგან წარმოდგება: παλαιός („ძველი") და γραφία („წერა"). ეს უკანასკნელი ნაწარმოებია ზმნიდან γράφω („ვწერ") და არის, ძირითადად, კომპოზიტებში გამოყენებული სუბსტანტივირებული ფორმა. პალეოგრაფია არის მეცნიერება ძველი წერილობითი დოკუმენტების, ფაქტობრივად კი, ხელნაწერების შესახებ. თუკი ანბანი, ჩვეულებრივ, ერთი პიროვნების მიერ იქმნება და იგი არ წარმოადგენს კოლექტიური შემოქმედების ნაყოფს, ხელნაწერებს სხვადასხვა შემსრულებლები ჰყავთ, რისი კვალიც უთუოდ ჩანს მათი შრომის შედეგში. იმის მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ ხელნაწერის გრაფიკული თავისებურებები, ხშირად შესაძლებელი ხდება, გარკვეული ნიშნების გათვალისწინებით, ამ ხელნაწერთა შექმნის ადგილის, დროის, კალიგრაფის ვინაობის და ა. შ. განსაზღვრა. ბერძნულ პალეოგრაფიას შეგვიძლია თვალი გავადევნოთ უკვე ძვ. წ. VIII საუკუნიდან, რომლითაც თარიღდება ფონეტიკური დამწერლობით შესრულებული უძველესი ბერძნული წარწერები. ამის შემდგომ, ბერძნული პალეოგრაფია, არსებითად, უწყვეტ ისტორიას გვიჩვენებს. რასაკვირველია, ადრეული საუკუნეებით დათარიღებული პალეოგრაფიის ჩვენს ხელთ არსებული ნიმუშები უფრო ნაკლებია, გვიანდელი ეპოქების პალეოგრაფიული მასალა კი უფრო მასშტაბურია. ბუნებრივია, პოლიგრაფიის გამოგონებამ, არსებითად, ზღვარი დაუდო ხელნაწერების სახით ინფორმაციის გავრცელებას, რის შედეგადაც პალეოგრაფთა კვლევის სფეროში უკვე იშვიათად თუ მოექცევიან ის მწერლები, რომელთა შემოქმედების ფიქსაცია ტექსტის ჩაწერის თანამედროვე საშუალებების მიხედვით ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული დამწერლობის საწყისები მიკენურ ეპოქამდე ადის, ხოლო არქაულსა და კლასიკურ პერიოდებში შეიქმნა ბერძნული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, ჩვენს ხელთ არსებული ყველაზე ადრეული პაპირუსის წიგნი ბერძნულ ენაზე მხოლოდ ძვ. წ. IV საუკუნიდან მოგვეპოვება (ე. წ. დერვენის პაპირუსი). შესაბამისად, ბერძნული პალეოგრაფიის ისტორიაზე ამ დროიდან შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

ბერძნული პალეოგრაფიის ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი ფაზა: პირველი ფაზა მოიცავს მთლიანად ანტიკურ ეპოქას და ადრე შუა საუკუნეებს. ამ დროს ხელნაწერები მხოლოდ მთავრული ასოებით სრულდებოდა.



ტიმოთეოსის „სპარსელების" პაპირუსის გრაგნილი



„მკაცრი სტილი“. ბაკქილიდესი
(ახ. წ. III ს.)

ამ დამწერლობის ტიპისათვის დამახასიათებელია ის, რომ ყველა ასო-ნიშანი იწერება რეალურ ან წარმოსახვით ორ ხაზს შორის. ასევე უკიდურესად იშვიათია სხვადასხვა ასოების გადაბმა-გაერთიანება ანუ ლიგატურების გამოყენება.

მხოლოდ ახ. წ. IV საუკუნიდან შემოდის, ისიც შეზღუდულად, ნუსხური შრიფტი. იგი გამოყენებული იყო მხოლოდ მოკლე შეტყობინებების ჩასაწერად. ე. წ. გადახრილ (კურსივი( შრიფტს იყენებდნენ საქმიან მიმოწერაში. რაც შეეხება მთავრულ ასოებს, ისინი, თავიანთი ფუნქციონირების მრავალი საუკუნის განმავლობაში, სხვადასხვა ვარიანტული ფორმებით წარმოგვიდგებიან. უფრო ადრეული ანტიკური წიგნები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, იყენებენ ეპიგრაფიკულ წარწერებთან მიახლოებულ კუთხოვანი ფორმის შრიფტს. დაახლოებით ძვ. წ. III საუკუნიდან ვხვდებით სწრაფვას ასოების მომრგვალებისაკენ. ზოგიერთი მეცნიერი ლაპარაკობს ე. წ. პაპირუსის უნციალებზე, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ადრეულ (ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრამდე) და გვიანდელ (ახ. წ. II საუკუნემდე) ტიპებად. ახ. წ. II-III საუკუნეებიდან ხელნაწერებისათვის იყენებენ ესთეტიკური თვალსაზრისით ძალზე დახვეწილ შრიფტს, რომელშიც მკაფიოდ არის ფიქსირებული მახვილისა და სასვენი ნიშნებიც. ამ პერიოდის ბერძნული პალეოგრაფიისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი არ იყენებს სიტყვათა გამყოფ ნიშნებს. ხელნაწერები მაიუსკულებით საკმაოდ გვიანობამდე, დაახლოებით XII საუკუნემდე სრულდებოდა.



მინუსკულუსი (X ს.)

მეორე ფაზა მოიცავს IX საუკუნის პირველ ათწლეულს და გრძელდება XVI საუკუნემდე, იმ პერიოდამდე, როდესაც ხელნაწერი წიგნების გავრცელებას, არსებითად, პოლიგრაფიამ დაუდო ზღვარი. IX-X საუკუნეები, როდესაც ანტიკური ეპოქის ბერძენ ავტორთა ნაწარმოებებისა და ხელნაწერთა კოპირების მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზარდა, სულ უფრო და უფრო აქტიურად მკვიდრდება ნუსხური შრიფტი. უკვე მასობრივად ხდება ძველი ხელნაწერების გადაწერა. ამ პროცესს μεταχαρακτερισμός-ს უწოდებდნენ. ანტიკური ბერძნული ლიტერატურული მემკვიდრეობის გადარჩენის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ პატრიარქი ფოტიოსი და მისი მონაფე მიტროპოლიტი არეთასი. ჩვენამდე მოღწეული მინუსკულუსით შესრულებული უძველესი წიგნი არის ე. წ. Codex Uspenscij (853 წ.), რომელიც ამჟამად დაცულია პეტერბურგში. X-XIII საუკუნეებში ნუსხური შრიფტის გამოყენებაში სტილის სხვადასხვა მიმართულებები დასტურდება:



„მძივისებრი“ შრიფტი



„კუთხოვან-მოკაუჭებული“ შრიფტი



„ქინძისთავისებური“ შრიფტი

ყველა ეს შრიფტი, არსებითად, წარმოადგენდა უფრო ადრეული მინუსკულური ტრადიციიდან გადახვევის ცდას. XIV საუკუნეში კვლავ უფრო ადრეული მკაცრი სტილისაკენ

დაბრუნების ტენდენციები შეინიშნება. სწორედ ეს სტილი დაედო საფუძვლად ჰუმანისტური ეპოქის ტიპოგრაფიულ შრიფტებს.

ლათინურმა პალეოგრაფიამ განვითარების ასევე საკმაოდ ვრცელი გზა განვლო, რომელიც მოიცავს ანტიკურობას და შუა საუკუნეებს. ამ ხნის განმავლობაში გამოიკვეთა სხვადასხვა შრიფტის ფორმები, რომლებიც შემდეგნაირად შეიძლება დავახარისხოთ:

ABCDEFGHILMNOPQRSTVXY

კაპიტალისი (მთავრული) კვადრატული

A B C D E F G Ç H I L M N O P Q R S T U X Y Z

კაპიტალისი (მთავრული) უბრალო

ABCDEFGHILMNOPQRSTUXYZ

უნციალები

a b c d e f g h i l m n o p q r s t u x

კაროლინგური მინუსკულუსი

aab c d e f g h i l m n o p q r2 ſs t u x y z

გოთური შრიფტი

a b c d e f g h i l m n o p q r ſs t u v x

ალდინების შრიფტი

ლათინური პალეოგრაფიის ფუძემდებელმა, ჟან მაბილონმა თავის ნაშრომში De re diplomatica (1681 წ.) ლათინურ პალეოგრაფიაში გამოყო 5 ეპოქა: I. ე. წ. ანტიკური, რომელიც მოიცავს პერიოდს ახ. წ. IV საუკუნემდე. ამ დროიდან ჩვენამდე მოღწეულია ლათინური წიგნების მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები. II. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ (ახ. წ. V ს.) ლათინურენოვანი ხელნაწერების პრაქტიკაში შემოდის შემოკლებების მთელი წყება, ე. წ. ლიგატურები. წარმოიქმნა რეგიონალური, გარკვეულწილად ერთმანეთისაგან განსხვავებული შრიფტის ტიპები: კუნძულის insulare (ირლანდიურ-ანგლოსაქსური რეგიონი), დასავლეთ-გოთური (ესპანეთი), ბენევენტანური და მეროვინგული (ყოფილ გალიაში). III. კაროლინგური რენესანსის დროს განვითარებას იწყებს შრიფტის ახალი ტიპი – კაროლინგური მინუსკულუსი. IV. კაროლინგური მინუსკულუსის ტრანსფორმაციის შედეგად XII საუკუნეში წარმოიქმნა ე. წ. გოთური შრიფტი, რომელიც საკმაოდ თვალსაჩინო მიმართებას გვიჩვენებს გოთურ არქიტექტურასთან. იგი წარმოგვიდგებოდა ორი სახით: ე. წ. textura (წიგნის შრიფტი) და notula (კურსივი). V. მას შემდეგ, რაც ჰუმანისტურ ეპოქაში გოთური შრიფტი ჩაითვალა დახვეწილი ლათინური შრიფტის ერთგვარი დეფორმირების ნიმუშად, დაუბრუნდნენ კვლავ კაროლინგურ მინუსკულუსს, რომელსაც სავსებით უსაფუძვლოდ მიიჩნევდნენ ანტიკური პალეოგრაფიის ნიმუშად. სწორედ ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად პირველ ლათინურ ტიპოგრაფიულ შრიფტს.

## ეპიგრაფიკა

კლასიკური ფილოლოგიის ე. წ. დამხმარე დისციპლინათა შორის გამოყოფენ ეპიგრაფიკას. ტერმინი წარმოდგება ბერძნული ზმნიდან ἐπιγράφειν („წარწერა", შდრ.: ἐπιγραφή). შეიძლება

ითქვას, რომ რამდენადაც მწირია ჩვენი ინფორმაცია ძველი ბერძნული და ლათინური პალეოგრაფიის შესახებ, იმდენად უხვად მოგვეპოვება ეპიგრაფიკული ძეგლები. თუკი გამოვრიცხავთ ეგეოსურ პერიოდს, ბერძნული ეპიგრაფიკის ისტორია, არსებითად, ძვ. წ. VIII საუკუნიდან მოგვეპოვება. ამ პერიოდში არის შექმნილი ე. წ. ნესტორის სასმისი, რომელსაც ცნობილი ჰექსამეტრული წარწერა ამშვენებს. ამის შემდგომ ჩვენამდე მოღწეული ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლების რაოდენობა განუხრელად მატულობს. განსაკუთრებით მდიდარია ამ მხრივ კონტინენტური საბერძნეთი და საკუთრივ ათენი. ეპიგრაფიკული ძეგლების შინაარსი ძალზე მრავალფეროვანია და ზოგადად ეს ძეგლები შემდეგ ჯგუფებად შეგვიძლია დავყოთ:

– წარწერები, რომლებიც პიროვნების პატივსაცემად არის შესრულებული. ეს შეიძლება იყო პროზაული ან პოეტური ფორმით დაწერილი ეპიგრამები ან წარწერები ამა თუ იმ პიროვნებისადმი მიძღვნილ ქანდაკებაზე და ა. შ.

– ე. წ. საამშენებლო წარწერები, რომელნიც სხვადასხვა მოცულობის ინფორმაციას შეიცავენ ხოლმე, ამშენებლიდან დაწყებული აშენების მიზნით დამთავრებული.

– ე. წ. წმინდა წარწერები, რომელთაც რელიგიური ან იდეოლოგიური (ამა თუ იმ ფილოსოფიური დოქტრინის წარმოსაჩენი) მნიშვნელობა აქვთ.

– ე. წ. საკანონმდებლო წარწერები, რომელნიც, არსებითად, ამა თუ იმ პოლისის კონსტიტუციის ეპიგრაფიკულ ფიქსაციას წარმოადგენდნენ. განსაკუთრებით ცნობილია ჩვენამდე მოღწეული კრეტის გორტინის წარწერები.

– წარწერები, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ კატალოგიზაციის, ინვენტარიზაციის, ანგარიშის და ა. შ. სფეროებში.

რასაკვირველია, ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს მათ დათარიღებას, რეკონსტრუქციას, თუკი ისინი ფრაგმენტის სახით არიან მოღწეულნი და ა. შ. ბერძნული წარწერებით მოფენილია მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი. მათ შესწავლას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი სამყაროს ისტორიის, გეოგრაფიის, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის კვლევისათვის. მნიშვნელოვანი რაოდენობით ბერძნული წარწერები დადასტურებულია საქართველოშიც. ბერძნული წარწერების არაერთი გამოცემა განხორციელდა და ხორციელდება დღემდე. განსაკუთრებით ცნობილია 1828-1877 წლებში გამოცემული ავგუსტ ბიოკჰის მიერ დაფუძნებული 4 ტომიანი კორპუსი Corpus Inscriptionum Graecarum (CIG), რომელშიც ეპიგრაფიკული მასალა უმეტესწილად გეოგრაფიული თვალსაზრისით არის მოწესრიგებული, ასევე მნიშვნელოვანია ამ მხრივ Inscriptiones Graecae (IG), Tituli Asiae Minoris (TAM), Inscriptiones Graecae Urbis Romae (IGUR) და სხვ. საქართველოში არსებული ბერძნული წარწერების კორპუსი სრულად გამოსცა აკადემიკოსმა თინათინ ყაუხჩიშვილმა 1999-2000 წლებში.

ბუნებრივია, ასევე მნიშვნელოვანია ლათინური ეპიგრაფიკული ძეგლები. მათი რაოდენობა 300000-ს აღემატება და ეს რიცხვი ყოველ ახალ აღმოჩენასთან ერთად იზრდება. ამ წარწერების ფუნქცია დაახლოებით იგივე იყო, რაც ბერძნული ეპიგრაფიკის შემთხვევაში გვქონდა. უკვე ანტიკურ ეპოქაში მოღვაწეობდნენ ფილოლოგები, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს წარწერების შეგროვებისა და კოპირების საქმეში. თანამედროვე ეპიგრაფიკას რენესანსის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი, თუმცა ამ მხრივ გადამწყვეტი ნაბიჯი XIX საუკუნეში გადაიდგა. 1863 წელს გამოიცა თეოდორ მომზენის პირველი ტომი Corpus Inscriptionum Latinarum (CIL). ამ მნიშვნელოვან და მუდმივად განახლებად გამოცემას, მოგვიანებით, ახალი ორი ტომი დაერთო.

# პაპიროლოგია

კლასიკური ფილოლოგიის დამხმარე დისციპლინებს შორის ასახელებენ პაპიროლოგიასაც. ჩვენი ნაშრომის სხვადასხვა თავში ამა თუ იმ ასპექტით გვქონდა ან გვექნება მსჯელობა პაპირუსების შესახებ. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ჩვენამდე მოღწეული პაპირუსები ძალზე პირობითად ასახავენ იმ მასშტაბებს, რაც ამ საწერი მასალის გამოყენების პრაქტიკას ჰქონდა ანტიკურ სამყაროში. ა. მ., დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაზე გვიან ძვ. წ. VI საუკუნიდან საბერძნეთში ტექსტების ჩაწერა პაპირუსებზე ხდებოდა, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტულად მოაღწია რამდენიმე პაპირუსმა ძვ. წ. IV საუკუნიდან და შემდგომი პერიოდიდან. აქ იგულისხმება უძველესი ლიტერატურული პაპირუსები ბერძნულ ენაზე დერვენიდან (მდებარეობს თესალონიკთან), რომელიც 1963 წელს იქნა აღმოჩენილი და ვეზუვის ფერფლით დაფარული იტალიური ქალაქიდან ჰერკულანეუმიდან. განსაკუთრებით მდიდარია პაპირუსებით ეგვიპტის მიწა, სადაც ჩვენს ხელთ არსებული პაპირუსების უმეტესობა იქნა აღმოჩენილი. დაახლოებით XVIII საუკუნიდან დაიწყო მათი შეძენა ევროპელების მიერ და ეს პაპირუსები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ევროპის სხვადასხვა საუნივერსიტეტო თუ მეცნიერულ ცენტრებში ინახებოდა. არქეოლოგთა ინტენსიური აღმოჩენები, არსებითად, XIX საუკუნის მიწურულიდან იწყება, ხოლო XX საუკუნიდან ხდება მათი მასშტაბური შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენილი პაპირუსების დაახლოებით 90-95 პროცენტი არალიტერატურულ ტექსტებს წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, რომ პაპირუსებმა მრავალი საინტერესო ტექსტი შეგვძინა ბერძნული მწერლობის ისტორიისთვისაც. სისტემატურად მიმდინარეობს პაპირუსების გამოცემა. XX საუკუნეში ჩამოყალიბდა მთელი დარგი – პაპიროლოგია, რომლის მიზანია თანამედროვე მკითხველამდე პაპირუსების გრაგნილებზე შემორჩენილი ინფორმაციის მიტანა. მათ ამოკითხვასა და რეკონსტრუქციას დიდი პროფესიონალიზმი და შრომა სჭირდება. სწორედ პაპიროლოგიური აღმოჩენების წყალობით, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჩვენი ცოდნა ჰესიოდეს, ალკეოსის, საფოს, არქილოქოსის, ალკმანის, სტესიქოროსის და სხვა მრავალი ანტიკური მწერლის შესახებ. მენანდროსი კი, როგორც უკვე აღინიშნა, როგორც დრამატურგი მთლიანად პაპიროლოგიური აღმოჩენების წყალობით გახდა ჩვენთვის ცნობილი. პაპირუსების აღმოჩენის უმთავრესი პუნქტები და რეგიონებია: ფაიუმი, აბუსირელ მელექი, ოქსირინქოსი, ანტინუპოლისი, ჰერმუპოლისი, პანოპოლისი, ელეფანტინე (ეგვიპტე), ჰერკულანეუმი (იტალია). პაპირუსების უმნიშვნელოვანესი კოლექციები დღეს დაცულია: ბერლინში, ქაიროში, ლონდონში, ოქსფორდში, პარიზში, ვენაში. საქართველოში პაპირუსების ცნობილი გამოცემა დაკავშირებულია გრიგოლ წერეთლის სახელთან. მან პეტერბურგიდან თბილისში ჩამოიტანა თავისი პაპირუსების უმდიდრესი კოლექცია და განახორციელა მათი 5 ტომად გამოცემა, რომელიც დღესაც პაპიროლოგიის სფეროში ერთ-ერთ თვალსაჩინო პუბლიკაციად ითვლება.

პაპიროლოგიამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ლათინისტიკის სფეროშიც, თუმცა წმინდად ლიტერატურული ტექსტების შემცველ პაპირუსთა რაოდენობა უმნიშვნელოა. შესაბამისად, ე. წ. რომაული პაპიროლოგიის აღმოჩენები თავისი მოცულობით ბევრად ჩამოუვარდება ბერძნულ პაპიროლოგიას, მაგრამ ლათინური ფილოლოგიის სფეროში პაპიროლოგიას როგორც დისციპლინას მაინც ყოველთვის გამოყოფენ.

## ლიტერატურა


დამწერლობა

- თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა, თბილისი 1989.

- ლ. ჩოთალიშვილი, ეგეოსურ დამწერლობათა სისტემები, თბილისი 2003.
- H. Jensen, Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart, Berlin 1969[3].
- B. B. Powell, Homer and the Origin of the Greek Alphabet, Cambridge 1991.
- G. Pfohl (Hrsg.), Das Alphabet, Darmstadt 1968.


პალეოგრაფია


- ჟ. მოსე, ლექციების კურსი ბერძნულ პალეოგრაფიაში, თარგმნ. მ. მჭედლიძემ, ლოგოსი, 2009.
- W. Schubart, Griechische Palaeographie, München 1925.
- H. Hunger, Handschriftliche Überlieferung in Mittelalter und früher Neuzeit; Paläographie, in: H.-G. Nesselrath (Hrsg.), Einleitung in die griechische Philologie, Stuttgart, Leipzig 1997, 17-44.
- M. Steinmann, Römisches Schriftwesen, in: F. Graf (Hrsg.), Einleitung in die lateinische Philologie, Stuttgart, Leipzig 1997, 74-91.
- B. Bischoff, Paläographie des römischen Altertums und abendländischen Mittelalter, Berlin 1986[2].
- R. Merkelbach, H. van Thiel, Lateinisches Leseheft zur Einführung in die Paläographie und Textkritik, Göttingen 1969.


ეპიგრაფიკა


- თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ეპიგრაფიკა, ლოგოსი, 2002.
- თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I ტ., დასავლეთ საქართველო, თბილისი 1999; II ტ., აღმოსავლეთი საქართველო, 2000; III ტ., სახელთა საძიებელი, 2000.
- Е. Федорова, Латинская эпиграфика, Москва 1976.
- Inscriptiones Graecae (IG), (1873-1981 წლებში გამოცემულია 14 ტომი, ზოგიერთი ტომი კი შემდეგ გამოიცა).
- Sylloge Inscriptionum Graecarum, Leipzig 1915-1924 (მესამე გამოცემა, ლათინური კომენტარებით).
- R. Meiggs, D. Lewis, A Selection of Greek Historical Inscriptions, Oxford 1969.
- E. Meyer, Einführung in die lateinische Epigraphik, Darmstadt 1973.
- M. Weißenberger, Epigraphik, in: P. Riemer, M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Gräzistik, München 2000, 83-85.


წიგნი, საწერი მასალა


- W. Schubart, Das Buch bei den Griechen und Römern, Berlin 1962[3].
- H. Blanck, Das Buch in der Antike, München 1992.
- T. Kleberg, Buchhandel und Verlagswesen in der Antike, Darmstadt 1967.
- C. H. Roberts, T. C. Skeat, The Birth of the Codex, London 1983.
- E. G. Turner, Athenian Books in the Fifth and Fourth Centuries B. C., London 1977[2].
- Die Textüberlieferung der antiken Literatur und der Bibel, hg. v. M. Bodmer, H. Hunger, O. Stegmüller, H. Erbse, M. Imhof, K. Büchner, H. G. Beck, H. Rüdiger, München 1998.
- E. Pöhlmann, Einführung in die Überlieferungsgeschichte und in die Textkritik der antiken Literatur, Bd. I, Darmstadt 1994.
- T. Dorandi, Tradierung der Texte im Altertum; Buchwesen, in: H.-G. Nesselrath (Hrsg.), Einleitung in die griechische Philologie, Stuttgart, Leipzig 1997, 3-16.
- H. Hunger, O. Stegmüller u. a., Geschichte der Textüberlieferung der antiken und mittelalterlichen Literatur, Bd. I, Zürich 1961 (München 1975).
- L. D. Reynolds, in: N. G. Wilson, Scribes and Scholars: A Guide to the Transmission of Greek and Latin Literature, Oxford 1991[3].
- L. D. Reynolds, Texts and Transmission. A Survey of Latin Classics, Oxford 1983.

- Th. Birt, Kritik und Hermeneutik nebst Abriß des antiken Buchwesens, München 1913 (HDA, I, 3).
- M. A. Hussein, Vom Papyrus zum Codex. Der Beitrag Ägyptens zur Buchkultur, Leipzig 1970.


პაპიროლოგია


- G. Zereteli, O. Krüger, P. Jernstedt, Tiflis 1925-35, Repr. 1965:
  - Vol. I, Literarische Texte, ed. G. Zereteli, O. Krüger, 1925.
  - Vol. II, Ptolemäische und Frührömische Texte, ed. O. Krüger, 1929.
  - Vol. III, Spätrömische und Byzantinische Texte, ed. G. Zereteli, P. Jernstedt, 1930.
  - Vol. IV, Die Kome-Aphrodito Papyri der Sammlung Lichacov, ed. P. Jernstedt, 1927.
  - Vol. V, Varia, ed. G. Zereteli and P. Jernstedt, 1935.
- E. G. Turner, Greek Papyri (An Introduction), Oxford 1980.
- E. G. Turner, P. J. Parsons, Greek Manuscripts of the Ancient World, London 1987[2].
- H.-A. Rupprecht, Kleine Einführung in die Papyruskunde, Darmstadt 1994.
- D. Hagedorn, Papyrologie, in: H.-G. Nesselrath (Hrsg.), Einleitung in die griechische Philologie, Stuttgart, Leipzig 1997, 59-71.
- M. Weißenberger, Papyrologie, in: P. Riemer, M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Gräzistik, München 2000, 85-88.
- D. Hagedorn, Papyrologie, in: F. Graf (Hrsg.), Einleitung in die lateinische Philologie, Stuttgart, Leipzig 1997, 59-71.
- M. Weißenberger, Papyrologie, in: P. Riemer, M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Latinistik, München 1998, 85-88.

# კლასიკური ენები

კლასიკური ფილოლოგიის შესწავლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტს, ბუნებრივია, კლასიკური ენები – ძველი ბერძნული და ლათინური წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ამ ენას განვითარების საკუთარი ისტორია ჰქონდა, მათ ბევრი რამ აერთიანებდათ, უპირველეს ყოვლისა, საერთო წარმომავლობა. ბერძნული და ლათინური ანტიკური სამყაროს ყველაზე უფრო გავრცელებულ საერთაშორისო ენებს წარმოადგენდნენ, რომელთაც ერთმანეთთან ძალზე მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ. მართალია, ანტიკურ ეპოქაში კლასიკური ენების გვერდით ფუნქციონირებდა ზოგიერთი სხვა ენაც, როგორც საბერძნეთში, ასევე იტალიაში, მაგრამ მათი უმეტესობა დღეს ჩვენთვის უცნობია, ან არ არის გაშიფრული. ა. მ., როგორც უკვე აღინიშნა, არ არის დღეს გაშიფრული კუნძულ კრეტის წინაბერძნული მოსახლეობის ენა, რომელსაც, პირობითად, მინოსურს ვუწოდებთ და რომელსაც ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ჩამოყალიბებული A-ხაზოვანი დამწერლობის სისტემა გადმოცემდა. თავად ბერძნები ასახელებენ მრავალ ტომს, რომელსაც საკუთარი ენა ჰქონია და რომელიც ბერძნების ჰეგემონობამდე წამყვან როლს ასრულებდა ეგეიდაში. ამ მხრივ განსაკუთრებით ცნობილი იყვნენ პელასგები. მათი ენის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას ისევ და ისევ ბერძნულში შემონახული პელასგიზმები გვიქმნიან. რაც შეეხება იტალიას, აქ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წინალათინურ ენად შეიძლება მივიჩნიოთ ეტრუსკული. მასზე ჩვენ შედარებით მეტი ვიცით, ვიდრე მინოსურისა და პელასგურის შესახებ, რადგან ეტრუსკული ენა, რომელიც ასპარეზზე ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ჩნდება და უკვე ძვ. წ. VIII საუკუნიდან წერილობით ფიქსირდება, გამოიყენებდა ბერძნების მიერ შექმნილ დამწერლობის სისტემას მცირეოდენი მოდიფიკაციით. შესაბამისად, მრავალრიცხოვან ეტრუსკულ ტექსტებს (ძირითადად ეპიგრაფიკულ ძეგლებს) ვკითხულობთ და გარკვეულწილად ვწვდებით კიდეც ამ ტექსტების აზრს, მაგრამ ბოლომდე გაშიფრულად ვერც ეტრუსკულ ენას ჩავთვლით. დღეს მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წინაბერძნული და ეტრუსკული ენები მონათესავე ენათა გარკვეულ ჯგუფს ქმნიდნენ, რომლებიც ხმელთაშუაზღვისპირეთში ვრცელდებოდნენ ბერძნების, ლათინების თუ სხვა ინდოევროპელი ხალხების იქ დამკვიდრებამდე.

იმისათვის, რომ ამ საკითხებს უფრო მეტად მოეფინოს ნათელი, საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ იმაზე, თუ რას გულისხმობს ცნება *ენათა ნათესაობა, მონათესავე ენები.* ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიოში მრავალი ენა ცირკულირებს, რომლებიც მეცნიერებას კლასიფიცირებული აქვს მონათესავე ენათა ოჯახების თუ ჯგუფების მიხედვით. გამოყოფენ ინდოევროპულ, ფინურ-უნგრულ, სემიტურ, იბერიულ-კავკასიურ და სხვა ოჯახებს. აზრი იმის თაობაზე, რომ ამა თუ იმ ენას შორის შეიძლება არსებობდეს გარკვეული ნათესაობა, უკვე ძველთაგანვე ჰქონდათ შემჩნეული ენობრივი დაკვირვებებით გატაცებულ ავტორებს, მაგრამ მეცნიერებას არ გააჩნდა ზუსტი კრიტერიუმები ნათესაობის განსასაზღვრად. ხშირად ენათა შორის მიმართებებზე მსჯელობდნენ ზედაპირული დაკვირვებებით ამა თუ იმ ენაში მსგავსი მნიშვნელობის მქონე მსგავსი სიტყვების არსებობის საფუძველზე. თუმცა ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ მსგავსებები შეიძლებოდა სხვადასხვა ხასიათის ყოფილიყო: ერთი ენიდან მეორეში ნასესხები, ან ორსავე ენაში რომელიმე მესამე ენიდან შესული ლექსიკური ფორმატივები და ა. შ. მხოლოდ XIX საუკუნის

დასაწყისში გერმანელმა მეცნიერმა, ფრანც ბოპმა, კაცობრიობას შესთავაზა მეთოდი, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა მონათესავე ენათა ოჯახში შემავალი ენების დადგენა. ბოპის აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა შედარებით ენათმეცნიერებას, ხოლო ამ უკანასკნელმა კი შესაძლებელი გახადა მსოფლიოში ენათა სხვადასხვა ოჯახის ფიქსაცია. მართალია, დღეს არსებული ენები, ძირითადად, განაწილებულნი არიან ამ ოჯახების მიხედვით, მაგრამ თუკი საკითხს ისტორიული თვალსაზრისით შევხედავთ, გვაქვს არაერთი ცნობილი მკვდარი თუ ცოცხალი ენა, რომელთაც ჯერჯერობით ვერ მიუჩინეს ადგილი ენათა ამა თუ იმ ოჯახში. რას ეფუძნება ენათა შორის ნათესაობის კონცეფცია? ძალზე ზუსტ ლინგვისტურ კრიტერიუმებს. როგორც ცნობილია, კაცობრიობა უკვე რამდენიმე მილიონი წელია, რაც არსებობს. სავარაუდოა, რომ მისთვის კომუნიკაციის ერთ-ერთი პირველი ინსტრუმენტი, რომელიც აითვისა, ენა იყო. ადამიანთა მიგრაციებთან ერთად, ბუნებრივია, ვრცელდებოდა ენებიც და, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ადამიანთა საზოგადოებებისა და, შესაბამისად, ენების აღმოცენებას ერთობ ხანგრძლივი ისტორია აქვს, ძალზე ცოტა შეგვიძლია ვთქვათ იმ ენების შესახებ, რომლებიც ძვ. წ. VI-V ათასწლეულზე უფრო ადრე არსებობდნენ ანუ რომლებზეც ლაპარაკობდნენ ადამიანები ნეოლითის ეპოქამდე. ენათა ოჯახებზე მსჯელობისას ჩვენ ამოვდივართ იქიდან, რომ დაახლოებით ძვ. წ. VIII-VII ათასწლეულებიდან ან უფრო გვიან ამ დროისათვის უკვე არსებულმა ენებმა დაშლა დაიწყეს სხვადასხვა ენებად. როდესაც დღეს ენათა ოჯახებზე ვლაპარაკობთ, ძირითადად, ვგულისხმობთ სწორედ ამ წინარე ენებს, რომლებმაც დაშლის შედეგად ბიძგი მისცეს ენათა სხვადასხვა ოჯახების წარმოქმნას. რასაკვირველია, ეს იმას არ გამორიცხავს, რომ კიდევ უფრო ადრე ეს წინარე ენები თავისთავად რაღაც სხვა ენების დაშლის შედეგად წარმოიქმნენ და, რომ ბოლოს და ბოლოს დღეს არსებული ყველა ენა შეიძლება ადიოდეს რაღაც ერთ, სავსებით ჰიპოთეტურ პირველ ენამდე. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ის, რაც ნეოლითის ეპოქიდან მოყოლებული ხდება და რაც საფუძველს უდებს ენათა ჩვენთვის ცნობილი ოჯახების წარმოქმნას.

ენათა ოჯახების წარმოქმნის სურათი დაახლოებით ამგვარი შეიძლებოდა ყოფილიყო. წარმოვიდგინოთ, რომ რაღაც რეგიონში ცირკულირებდა რომელიღაც ენა, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ A ენა. გარკვეული მიზეზების გამო ამ რეგიონიდან მოსახლეობის ცალკეულმა ნაწილებმა სხვადასხვა მიმართულებით იწყეს მიგრაცია. შესაბამისად, მოხდა A ენის მატარებელთა გადაადგილება და, ფაქტობრივად, მოწყვეტა თავისი წინარე სამშობლოდან, მიგრაციის შემდეგ ეს ტომები სულ სხვადასხვა რეგიონებს აღწევენ, რომელთაგან ზოგი, შესაძლოა, უკაცრიელი იყო, ზოგი კი – რაღაც სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებული. პირველ შემთხვევაში A ენა ვითარდებოდა თავისი საკუთარი კანონზომიერების შესაბამისად, ყოველგვარი გარეგანი ჩარევის შედეგად, ხოლო მეორე შემთხვევაში მოხდებოდა A ენის მატარებელთა შერევა B, C და სხვა ენების მატარებლებთან. შერევის პროცესში შედეგი შეიძლებოდა ორგვარი ყოფილიყო: ან A ენა ახდენდა B, C ან სხვა ენათა ასიმილაციას ან პირიქით, თავად ხდებოდა ასიმილაციის ობიექტი. ბუნებრივია, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში გამარჯვებულ ენაში ასიმილირებული ენა თავის გარკვეულ კვალს ტოვებდა. წარმოვიდგინოთ, რომ გამარჯვებულის როლში აღმოჩნდა A ენის მატარებელი ტომი. ბუნებრივია, მისი ენა, ძირითადად, შენარჩუნებული იქნებოდა, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდებოდა ახალ რეგიონში მცხოვრებთა ენიდან შესული ელემენტების წყალობით. ბოპის მიერ შემოთავაზებულმა და შემდგომ განვითარებულმა ლინგვისტურმა თეორიამ ნათელი გახადა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი წინარე სამშობლოს მოწყვეტილი ენა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის მიუხედავად, ძირითადად, ინარჩუნებს თავის სახეს, იგი წინარე ენასთან გვიჩვენებს საკმაოდ მკაცრ შესატყვისობას ბგერათა სისტემის დონეზე. კერძოდ, თუკი ამ ენის გარკვეული ფონემა შერევის თუ

განვითარების პროცესის შედეგად რომელსამე ერთ სიტყვაში გადადიოდა სხვა ფონემაში, იგი მსგავს პოზიციაში ყველა სიტყვაში იმავე ფონემად გადაიქცეოდა. ამ კანონზომიერების საფუძველზე ხდება თანამედროვე ლინგვისტიკაში ე. წ. სავარაუდო ფუძე-ენის, ჩვენ შემთხვევაში A ენის აღდგენა, ასევე ენათა იმ ჯგუფის განსაზღვრა, რომლებიც ამ ფუძე-ენიდან უნდა წარმოქმნილიყო. ერთ-ერთ ასეთ ყველაზე უფრო ცნობილ ჰიპოთეტურ ფუძე-ენას წარმოადგენს საერთო ინდოევროპული, რომლისგანაც უნდა წარმომდგარიყო ჩვენთვის ცნობილი ინდოევროპული ენები. მათ რიცხვს განეკუთვნებიან: ხეთური, ბერძნული, ლათინური, ოსკურ-უმბრული, ვენეტური, ალპების ენები და გერმანული, კელტური, ლიტვური, სლავური, ალბანური, ირანული, სომხური, ინდური და ტოხარული. რასაკვირველია, ენათა განვითარების პროცესში ენათა ოჯახიდან გამოიყოფოდა ქვეჯგუფები თუ ქვეოჯახები, რომელნიც ასევე ფუძე-ენიდან წარმოქმნილი ერთ-ერთი ენის დიფერენციაციის შედეგად ჩამოყალიბდნენ. ა. მ., იბერიულ-კავკასიურ ოჯახში დღეს სამი ასეთი ჯგუფი თუ ოჯახი გამოიყოფა: ქართველური, აფხაზურ-ადიღეური და ნახურ-დაღესტნური. რაც შეეხება ინდოევროპულ ენებს, აქ ამგვარი დიფერენციაციის საუკეთესო ნიმუშია მრავალრიცხოვანი რომანული ენები, რომლებიც ლათინურის ბაზაზე წარმოიქმნენ, სლავური ენები, რომლებიც ჰიპოთეტური საერთო სლავურის დონეზე ჩამოყალიბდნენ და ა. შ.

რამდენადაც კლასიკური ენები – ბერძნული და ლათინური – ინდოევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნის, კლასიკური ენათმეცნიერებისათვის, ბუნებრივია, საინტერესოა, თუ როგორ მოხდა ამ ენების გავრცელება იმ ტერიტორიებზე, რომლებზედაც მათ ისტორიულად ვადასტურებთ. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ თავდაპირველად ეს ენები „შედიოდნენ" საერთო ინდოევროპულ ენაში, რომლის გავრცელების უძველეს რეგიონთან დაკავშირებით დღეს მეცნიერებაში კამათია. მრავალრიცხოვან თეორიათა შორის საერთო ინდოევროპული ენის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით პოპულარულია რამდენიმე: ა) თამაზ გამყრელიძისა და ვიაჩესლავ ივანოვის აზრით, ინდოევროპელების წინარე სამშობლოდ უნდა მივიჩნიოთ წინა აზია, ამჟამინდელი ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონი. ბ) რობერტ შმიტ-ბრანდტი ფიქრობს, რომ ინდოევროპელთა წინარე სამშობლო სადღაც ურალსა და კავკასიას შორის უნდა ვივარაუდოთ. გ) მარია გიმბუტასი წინარე ინდოევროპელებს ჩრდილოეთ კასპიისპირეთსა და შავიზღვისპირეთს შორის ათავსებს. უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში ინდოევროპელთა წინარე სამშობლოს ლოკალიზაციისას უფრო სამხრეთ რუსეთსა და უკრაინის რეგიონებისაკენ იხრებიან. აქედან მიმდინარეობდა ინდოევროპული ტომების გადაადგილება ყველა მიმართულებით. რასაკვირველია, ეს ხანგრძლივი პროცესი იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო ინდოევროპულის დაშლა უნდა დაწყებულიყო არა უგვიანეს ძვ. წ. IV-III ათასწლეულებისა. უკვე ანტიკურ ეპოქაში მათი განლაგება ევრაზიის კონტინენტზე დასრულებული უნდა ყოფილიყო. ევროპელთა ახალი საკოლონიზაციო მოძრაობის დაწყების შემდეგ ინდოევროპული ენები გავრცელდა სხვა კონტინენტებზეც (ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია). ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ მოხდა ბერძნული და ლათინური ენების გავრცელება და ჩამოყალიბება საბერძნეთისა და იტალიის ტერიტორიებზე. თავდაპირველად ამ კლასიკურ ენათაგან ისტორიულ ასპარეზზე ჩნდება ბერძნული.

**ბერძნული ენა და მისი დიალექტები.** დღეს მეცნიერებაში საკამათოა, თუ როდის უნდა მომხდარიყო ბერძნების შესვლა ბალკანეთსა და ეგეოსის ზღვის აუზში. თუკი ამ შემთხვევაში ყველაზე ადრეული თარიღის განსაზღვრა ერთობ ძნელია, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არ უნდა მომხდარიყო ძვ. წ. XVII საუკუნეზე უფრო გვიან. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ მიკენი კონტინენტურ საბერძნეთში სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს აღმავლობას და რომ A-ხაზოვანიდან განვითარებული B-ხაზოვანი წარწერები,

რომლებიც დაახლოებით ძვ. წ. XIV-XII საუკუნეებით თარიღდება, ბერძნულ ენაზეა შესრულებული.

ბუნებრივია, ბერძნული ენის ფორმირება მას შემდეგ, რაც ე. წ. პროტო-ბერძნები თავიანთ წინარე სამშობლოს გამოეყვნენ, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხდებოდა, მაგრამ საბოლოოდ ეს პროცესი სწორედ ბერძნების ისტორიულ სამშობლოში დასრულდა. ბერძნებთან ერთად და, ალბათ, ბერძნებამდე ეგეიდის არეალში, ბალკანეთში, მცირე აზიასა და კუნძულებზე მოსახლეობდნენ ე. წ. წინაბერძნული ტომები. მეცნიერება დღეს მიიჩნევს, რომ ბერძნულმა ენამ ამ ხალხების ენების საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა განიცადა, რამაც თავისი ასახვა პოვა როგორც ონომასტიკის, ასევე, საზოგადოდ, ლექსიკის და, შესაძლოა, გარკვეულწილად ფონოლოგიის დონეზეც. ამ გავლენის კვალი შეგვიძლია ნათლად დავინახოთ ძველ ბერძნულში დადასტურებულ მრავალ ათას სიტყვაში, რომელთა ეტიმოლოგია უცნობია. რას ნიშნავს იმის აღიარება, რომ რომელიღაც ბერძნული სიტყვის ეტიმოლოგია უცნობია? იმას, რომ იგი არ აღდგება საერთო ინდოევროპულის დონეზე ან არ გვიჩვენებს კანონზომიერ შესატყვისობებს ამა თუ იმ სხვა ინდოევროპულ ენასთან. ასეთი სიტყვები, ჩვეულებრივ, ბერძნულში ენათა სხვა ოჯახებიდან შემოსულად მიაჩნიათ, ყველაზე მეტად კი წინაბერძნული ენიდან თუ ენებიდან. როგორც ჩანს, ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში წინაბერძნულ ენებს დომინანტური პოზიცია ეკავათ არეალში და ისინი განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე იყვნენ. მარტო ის ფაქტი, რომ კუნძული კრეტა და ერთ-ერთი სავარაუდო წინაბერძნული ენა, დღევანდელი ტერმინოლოგიით – მინოსური, ეგეოსური დამწერლობის სისტემების აღმოცენების და განვითარების სტიმული გახდა, აშკარას ხდის ამ ენათა როლის მნიშვნელობას მთელს ეგეიდაში. ისმის კითხვა: რა ჯგუფს ეკუთვნოდნენ, სავარაუდოდ, ეს წინაბერძნული ენები. რამდენადაც მინოსურის ე. წ. A-ხაზოვანის ენა დღემდე არ არის გაშიფრული, ხოლო ბერძნულში შესული წინაბერძნული ლექსიკა მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა, მეცნიერებაში ამ მხრივ მრავალი ჰიპოთეზაა წამოყენებული. მათ შორის, ცნობილია ქართველური ან კავკასიური ჰიპოთეზა. წინაბერძნულ ენობრივ სამყაროში არსებითი ქართველური კომპონენტის გამოვლენის შემდეგ ზოგიერთმა მკვლევარმა უკანასკნელ ხანებში წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში დაახლოებით ძვ. წ. VI-V ათასწლეულებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში განლაგებული რეგიონიდან, სადაც დღეს უკანასკნელ ხანებში არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი ცნობილი ნეოლითური დასახლება ჩათალ ჰუიუკი (თანამედროვე თურქული დასახელება) მდებარეობს, გავრცელება დაიწყო ე. წ. სამხრეთ-აღმოსავლურმა ანატოლიურმა ენამ და კულტურებმა. დროთა განმავლობაში მათ მიაღწიეს დასავლეთით ხმელთაშუაზღვისპირეთის მრავალ რეგიონს: საბერძნეთს, იტალიას, ესპანეთს, ჩრდილოეთით – ანატოლიის გავლით კავკასიას, ხოლო აღმოსავლეთით და სამხრეთით – მესოპოტამიას. ამან წარმოქმნა გარკვეული ენობრივ-კულტურული ერთიანობა, რომელიც რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში ყალიბდებოდა. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ სწორედ ამ ერთიანობის შედეგია ის ენობრივი პარალელები, რომლებიც თავს იჩენს შუმერულ, ქართველურ, წინაბერძნულსა და სხვა ენებს შორის. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ნათელი გახდა, რომ ე. წ. წინაბერძნულ ენობრივ მასალაში აშკარად შეგვიძლია გამოვავლინოთ იმგვარი ენობრივი ელემენტები, რომლებიც აშკარად გვიანქართველურ ენობრივ შრეს განეკუთვნებიან და მათი ეგეიდაში გაჩენა ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნამდე არ არის სავარაუდო. შესაბამისად, წამოყენებულია ჰიპოთეზა, რომლის თანახმად, კავკასიის რეგიონიდან სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო კავკასიურ, ძირითადად, ქართველურ ტომთა ერთი ნაკადის დასავლეთით, ეგეიდისაკენ მიგრაცია, რამაც აქ არსებულ ენებში ძლიერი ქართველური კომპონენტი შეიტანა. შესაბამისად, სავარაუდო უძველეს ენობრივ

მიმართებებს, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიური კულტურის დიფუზიის შედეგი უნდა იყოს, დაემატა ახალი, უკვე ქართველურ-კავკასიური მიგრაციის შედეგად წარმოქმნილი. ამ ელემენტებმა წინაბერძნულიდან შეაღწიეს ბერძნულ ენაშიც და სწორედ ამიტომ დღეს ესოდენ აშკარა პარალელებს ვავლენთ ბერძნულის უძველეს ლექსიკურ ფორმატივებს, სახელწოდებებს და ქართველურ დონემდე ამავალ ენობრივ მონაცემებს შორის.

როგორც უკვე აღინიშნა, ბერძნები არა უგვიანეს ძვ. წ. XVII საუკუნისა უკვე ეგეოსური სამყაროს შემადგენელი ნაწილი არიან, ხოლო ძვ. წ. XV საუკუნიდან ისინი აშკარად წამყვან ძალად იქცევიან. თანდათანობით იწყება წინაბერძნული მოსახლეობის ასიმილაციის პროცესი. როგორც B-ხაზოვანი წარწერებით შესრულებული დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, ძვ. წ. II ათასწლეულის ბერძნული ენა საკმაოდ განვითარებული იყო. არსებობდა რაღაც ერთიანი, ე. წ. ლიტერატურული ანუ სამწერლობო ნორმა, რომელსაც მიკენური ეპოქის ბერძნული შეგვიძლია ვუწოდოთ. იგი, როგორც სხვადასხვა რეგიონებში აღმოჩენილი დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, არ ავლენდა დიალექტურ განსხვავებებს. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბერძნულის დიალექტური დიფერენციაციის პროცესი შედარებით გვიან დაიწყო. ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს, როგორც ისტორიული მიმოხილვისადმი მიძღვნილ თავში ვნახავთ, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს მოიცავს კატასტროფები, რომელნიც ხალხთა დიდი მოძრაობების შედეგად წარმოიქმნა, რასაც მსხვერპლად ძველი სამყაროს არაერთი ცივილიზაცია შეეწირა. კატასტროფებმა მიკენური საბერძნეთის ნგრევაც გამოიწვია, თუმცა ბერძნულმა ტომებმა აქ თავიანთი წამყვანი მდგომარეობა შეინარჩუნეს. თანდათანობით ჩრდილოეთიდან ახალ-ახალი ბერძნული ტომების ე. წ. დორიელების შემოსვლა ხდება და თავად საბერძნეთში ბერძნული ტომების გადაადგილების და ინტენსიური დიალექტური დიფერენციაციის პროცესი იწყება.

როგორც ჩანს, ე. წ. „ბნელი წლების" პერიოდში, ძვ. წ. XI-X საუკუნეებში, უკვე ჩამოყალიბებულია ძირითადი ბერძნული დიალექტები: იონიური, ეოლიური, დორიული, მოგვიანებით კი ატიკური. ამ დიალექტების არსებობას თავად ანტიკურ საბერძნეთში აღიარებდნენ. მათ, რასაკვირველია, ჰქონდათ თავიანთი გავრცელების არეალები და დამახასიათებელი ნიშნები, ასევე, მრავალი ე. წ. ქვედიალექტი. შესაბამისად, ზოგიერთი მკვლევარი, ყველა დიალექტური ვარიაციის გათვალისწინებით, ანტიკურ საბერძნეთში მიკენურიდან დაწყებული ელინისტური ეპოქის ჩათვლით, 16 დიალექტის არსებობას ადასტურებს, რომელნიც, თავის მხრივ, რასაკვირველია, ზემოთ აღნიშნულ ე. წ. დიდ დიალექტებთან არიან დაკავშირებულნი. იონიური დიალექტი მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში და მიმდებარე კუნძულებზე ვრცელდებოდა. იონიელები იქ ხალხთა მოძრაობის შედეგად უკვე ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნაზე გადასახლდნენ და დამკვიდრდნენ. თუმცა მათი ნაწილი კონტინენტურ საბერძნეთშიც დარჩა, განსაკუთრებით, ათენსა და მის შემოგარენში. იონიური დიალექტიდან განვითარდა ატიკური დიალექტი, რომელიც ათენის დიდი პოპულარობის წყალობით, ძვ. წ. VI საუკუნიდან მოყოლებული ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დიალექტად იქცა. ეოლიური დიალექტი მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპირო ზოლსა და მიმდებარე კუნძულებზე ვრცელდებოდა, ამასთანავე კონტინენტურ საბერძნეთში, თესალიასა და ბეოტიაში. ამ დიალექტის სახეობა იყო ლესბოსური. ეოლიელების მცირე აზიაში გადმოსახლებაც იმავე მიზეზებთან არის დაკავშირებული, რაც იონიელებისა. დორიული დიალექტი ვრცელდებოდა პელოპონესოსზე, მის სამხრეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებში, ე. წ. სარონიული ყურის სანაპირო ზოლში, კუნძულ კრეტაზე, მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე, იონიელთა სამხრეთით და ეგეოსის ზღვის სამხრეთით მდებარე კუნძულებზე. დორიულის ახლო მონათესავე დიალექტი იყო ჩრდილო-დასავლური ბერძნული, რომელიც პელოპონესოსის ჩრდილოეთითა და ცენტრალური




ძირითადი ბერძნული დიალექტების გავრცელების არეალი

და ჩრდილოეთ საბერძნეთის აღმოსავლეთ ნაწილებში ვრცელდებოდა. გარდა ამისა, მართალია, ანტიკური ეპოქის ავტორები ამ დიალექტს, რომელიც, როგორც ჩანს, მიკენურთან იყო ახლოს, არ ითვალისწინებდნენ, მაგრამ თანამედროვე მეცნიერებაში გამოყოფენ ასევე არკადიულ-კვიპროსულ ანუ აქეურ დიალექტს, რომელიც ვრცელდებოდა კვიპროსზე და პელოპონესოსის ცენტრალურ ნაწილში.

ბერძნული საკოლონიზაციო მოძრაობის დაწყების შემდეგ ეს დიალექტები ვრცელდებოდა მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში. იმის მიხედვით, თუ რომელ დიალექტზე ლაპარაკობდა მეტროპოლიის მოსახლეობა, იმავე დიალექტზე ლაპარაკობდა ე. წ. კოლონიის მოსახლეობაც.

მიკენური ეპოქისგან განსხვავებით ბერძნებს არ შეუქმნიათ ერთიანი სალიტერატურო ენა. სამაგიეროდ, მათ ენობრივი უნიფიკაციის სხვა ფორმა აირჩიეს. ესა თუ ის დიალექტი ნორმატიული ხდებოდა ლიტერატურის ამა თუ იმ ჟანრისათვის. შესაბამისად, სასაუბრო დიალექტებთან ერთად ჩამოყალიბდა ე. წ. ლიტერატურული დიალექტები. ეს, ფაქტობრივად, იძულებულს ხდიდა ბერძენ მწერლებს მათ მიერ არჩეული ჟანრის მიხედვით შეერჩიათ ლიტერატურული დიალექტიც. რასაკვირველია, ლიტერატურული დიალექტის ამა თუ იმ ჟანრთან კავშირს არ ჰქონია აბსოლუტური ხასიათი, იყო არაერთი გადახვევაც, მაგრამ ბერძენი ავტორები, როგორც წესი, იცავდნენ ლიტერატურული დიალექტების ჟან-

რებად განაწილების პრინციპს. ეს იმას მოასწავებდა, რომ ნებისმიერ განათლებულ ბერძენს, თუკი მას სურდა სცოდნოდა ბერძნული ლიტერატურა ან თავად მიეღო მონაწილეობა მისი შექმნის პროცესში, უნდა შეესწავლა ყველა ლიტერატურული დიალექტი, რადგან სავსებით შესაძლებელი იყო ერთ დიალექტურ გარემოში აღზრდილ პოეტს ნაწარმოები შეექმნა იმ ჟანრში, რომლისთვისაც სხვა დიალექტი იყო ნორმატიული. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ზოგადად ლიტერატურული დიალექტების ჟანრებად განაწილების ამგვარი სურათი წარმოვიდგინოთ: ეპოსისათვის ნორმატიული გახდა ე. წ. ეპიკური ზედიალექტი, რომლის საფუძველს ქმნიდა იონიური, მაგრამ მას საკმაოდ ჭარბად ჰქონდა ეოლიური მინარევებიც. იონიური დიალექტი ეპიკური ზედიალექტის ელემენტების ჭარბად გათვალისწინებით გამოყენებული იყო ლირიკის ჟანრებში: ელეგიასა და იამბში, თუმცა ზოგ შემთხვევაში იმის მიხედვით, თუ სად მოღვაწეობდა პოეტი, ამ დიალექტს შეიძლებოდა შესაბამისი დიალექტური შეფერილობა მიეღო. პიროვნული მელოსი ანუ მონოდია იყენებდა ლესბოსურს (= ეოლიურს) ან იონიურ დიალექტს. საგუნდო ლირიკა გამოიყენებდა დორიულს ეპიკური დიალექტების გარკვეული მინარევებით. საინტერესო სინთეზს გვთავაზობდა დრამა, რომელშიც სადიალოგო პარტიები ატიკური დიალექტით იყო გამართული, ხოლო საგუნდო – დორიულით. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ ატიკურ დრამას, რადგან უძველესი სიცილიელი კომედიოგრაფოსები და მიმოსების ავტორები დორიულ დიალექტს გამოიყენებდნენ. რაც შეეხება პროზას, აქ ორი დიალექტი დომინირებდა: იონიური და ატიკური. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ დიალექტს თავისი დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა, ისინი არ იყვნენ ერთმანეთისაგან ისე დაშორებული, რომ ბერძენს გასჭირვებოდა რომელიმე დიალექტზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოების გაგება.

მართალია, დიალექტური დიფერენციაციის დაწყების პერიოდიდან ელინისტური ეპოქის დადგომამდე ბერძნულმა ენამ გარკვეული ცვლილებები განიცადა, მაგრამ მან მაინც შეინარჩუნა თავისი ძირითადი ნიშნები. ბერძნული ენის ფონოლოგიურ თავისებურებებს საკმაოდ კარგად ასახავდა ფონეტიკური ანბანი, რომელიც ბერძნებმა შექმნეს არა უგვიანეს ძვ. წ. IX საუკუნისა.

ამ პერიოდის ბერძნულს ჩვენ აღვნიშნავთ ტერმინით *კლასიკური ბერძნული.* მას შემდეგი ძირითადი მომენტები განასხვავებდა კლასიკურის შემდგომი და, განსაკუთრებით, თანამედროვე ბერძნულისაგან: კლასიკურ ბერძნულში ხმოვნები განირჩეოდა სიგრძე-სიმოკლის მიხედვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა ხმოვანს ჰქონდა წარმოთქმის ორი ვარიანტი: მოკლე და გრძელი ხანგრძლივობის შემცველი. გრძელი ხანგრძლივობის დრო მოიცავდა ორ მოკლე ხანგრძლივობას. გრძელი ა, რომელიც თანამედროვე ენათმეცნიერებაში გრაფიკულად ასე გამოიხატება: (ā), ორ მოკლე ა-ს (ă + ă) უდრიდა. ბერძნულში არსებობდა ხშულ თანხმოვანთა სამეულებად დაყოფის სისტემა: (β, π, φ; γ, κ, χ; δ, θ, τ). მახვილი ძველ ბერძნულში მუსიკალური იყო და იგი გამოიხატებოდა არა გარკვეულ მარცვალზე ხმის აწევით, არამედ ტონალობის შეცვლით დაახლოებით ერთი კვინტით. მუსიკალური მახვილი სამი ტიპის იყო: აღმავალი ტონალობის შემცველი – მკვეთრი (´), დამავალი ტონალობის – ბლაგვი (`) და ამავალ-დამავალი – შემოსილი (ˆ). კლასიკურ ბერძნულში დიფთონგების ჩამოყალიბებული სისტემა არსებობდა. დიფთონგს ქმნიდა ისეთი შეხამება, რომელშიც მეორე ხმოვნად წარმოგვიდგებოდა მოკლე ι ან υ.

კლასიკურის შემდგომ ბერძნულში თანდათანობით იწყება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც ბერძნული ენის საკმაოდ დიდ არეალში გავრცელებით იყო გამოწვეული. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შედეგად შეიქმნა მსოფლიო სახელმწიფო, შემდეგ კი ჩამოყალიბდა რამდენიმე ელინისტური სახელმწიფოსაგან შექმნილი ელინისტური სამყარო. დაისვა ერთიანი სალიტერატურო ნორმის შექმნის საკითხი. ატიკური დიალექტის ბაზაზე

ასეთ ნორმად ჩამოყალიბდა ე. წ. საერთო დიალექტი (κοινὴ διάλεκτος), რომელსაც შემდგომ უბრალოდ კოინეს ვუწოდებთ. ამ ტერმინმა მოგვიანებით უფრო განზოგადებული ხასიათი მიიღო და დღეს მეცნიერებაში გამოიყენება არა მარტო ბერძნული სალიტერატურო ენობრივი ნორმის, არამედ საერთოდ გარკვეული კულტურული თუ ისტორიული ერთიანობის აღსანიშნავადაც. კოინე საკმაოდ არასასურველი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მას უნდა შეენარჩუნებინა კლასიკური ბერძნულის ძირითადი ნიშნები, ხოლო, მეორე მხრივ, ანგარიში უნდა გაეწია ხალხური ბერძნულის განვითარების კანონზომიერებისათვის. ამ უკანასკნელში კი ენობრივი პროცესები საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობდა. თანდათანობით დაიწყო მოშლა ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის სისტემამ, დიფთონგები გადაიქცნენ დიგრაფებად, შესაბამისად, თუკი დიფთონგში ორივე კომპონენტი გამოითქმოდა, დიგრაფი, ფაქტობრივად, ერთ მარტივ ხმოვანს უთანაბრდება. მოიშალა ხშულთა სამეულების სისტემა, გაქრა ასპირაცია, მუსიკალური მახვილი გადაიქცა ექსპირატორულ მახვილად. შესაბამისად, მახვილმა დაკარგა თავისი ოდინდელი ფუნქცია და ა. შ.

ელინისტური ეპოქის ფილოლოგები შეეცადნენ შემოეღოთ მახვილის, ასპირაციის, ასევე სხვა ნიშნები იმისათვის, რომ არ დაკარგულიყო კლასიკური ლიტერატურის ტრადიციები, რაც შესაძლებელს გახდიდა ლიტერატურული ენის დონეზე შეენარჩუნებინათ კლასიკური გამოთქმა. ენობრივი გარდაქმნები განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნიდა პოეტებს, რადგან კლასიკური ბერძნული ლექსთწყობა მეტრულ სისტემას ეფუძნებოდა, რომელშიც მარცვალთა სიგრძე-სიმოკლე იყო წამყვანი. კლასიკურის შემდგომ დროის პოეტებს, ბუნებრივია, საკმაოდ დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ იმისათვის, რომ ახალ ენობრივ სიტუაციაში მათ ლიტერატურული ენის დონეზე მოეხდინათ ძველ ენობრივ კანონზომიერებათა კონსერვაცია და დაცვა.

ბერძნული ენის შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ ცვლილებების პროცესი შეუქცევადი იყო. მართალია, ბიზანტიაში ჯერ კიდევ ცდილობდნენ კლასიკური ატიკური ნორმების დაცვას, მაგრამ პოსტბიზანტიური პერიოდის საბერძნეთში ეს უკვე შეუძლებელი ხდება. ბერძნულ ენაში ჭიდილი, ერთი მხრივ, კლასიკური ნორმების და, მეორე მხრივ კი, ხალხური ენის მომხრეებს შორის უკანასკნელ ხანებამდე გრძელდებოდა. ამის დამადასტურებელია დღემდე საბერძნეთში ორი ენობრივი ნორმის, კათარევუსას და დიმოტიკის არსებობა. მართალია, ეს უკანასკნელი დღეს აღიარებულია დომინანტურ ლიტერატურულ ნორმად, მაგრამ არაერთ სფეროში ჯერ კიდევ აქტიურად გამოიყენება ძველბერძნულთან ახლოს მდგომი კათარევუსა.

**ლათინური ენა.** ლათინური ენა, ისევე როგორც ბერძნული, ინდოევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნის და მისი ჩამოყალიბება აპენინის ნახევარკუნძულზე მოხდა. როგორც ფიქრობენ, დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ინდოევროპული ტომები გარკვეულ ტალღებად თანამედროვე იუგოსლავიის და უნგრეთის ტერიტორიიდან იტალიაში უნდა შესულიყვნენ. პირველ ტალღას უნდა შეეტანა ჩრდილოეთ ადრიატიკის გავლით ვენეტური და ლათინთა წინაპრების ენა. მეორემ ზღვის გავლით დალმატინური სანაპიროებიდან იტალიაში ოსკურ-უმბრული ენა გაავრცელა. ამ ენაზე მოლაპარაკენი განთავსდნენ ვენეტელებსა და მათი შემოსვლის შედეგად სამხრეთ-დასავლეთით გადაადგილებულ ლათინთა წინაპრებს შორის, მდინარეებს – პოს და გარგანოს შორის. მესამეს ალბანეთიდან ასევე ზღვის გავლით ანტიკურ კალაბრიაში შეჰყვნენ მესაპურ ენაზე მოლაპარაკე ტომები. რაც შეეხება თავად ლათინურ ენას (Lingua Latina), რომელმაც სახელი ლატიუმის (ლაციუმის) რეგიონიდან მიიღო, თავდაპირველად ძალზე მცირე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა და, ფაქტობრივად, მხოლოდ რომის საზღვრებში თავსდებოდა. ამ ტერიტორიულმა შეზღუდულობამ განაპირობა მრავალწილად ის, რომ ლათინურს ბერძნულის

მსგავსად არ დაუწყია დიალექტებად დიფერენციაცია. თუმცა რომის ჩრდილოეთით მოსახლე ფალისკელები, რომელთა ქალაქი ფალერიი (Falerii) ძვ. წ. III საუკუნის შუა ხანებში დაანგრიეს რომაელებმა, როგორც ჩანს, ლათინურის ახლო მონათესავე ენასა თუ დიალექტზე ლაპარაკობდნენ.

ამ ენების გარდა იტალიის ტერიტორიაზე ლათინურის ჩამოყალიბების პროცესზე ძალზე დიდი გავლენა მოახდინა ორმა ენამ: იტალიის უძველეს მკვიდრთა ეტრუსკებისა და იტალიაში საკოლონიზაციო მოძრაობის შედეგად გადმოსახლებულ ბერძენთა ენამ. ეტრუსკები, როგორც ჩანს, არაინდოევროპელი ხალხი, რომის აღმავლობამდე რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იტალიაში დომინანტურ მოსახლეობას წარმოადგენდნენ. მათ პირველებმა გადმოიღეს და საკუთარი ენისათვის გამოიყენეს ბერძნული ფონეტიკური დამწერლობის სისტემა. შექმნეს საკმაოდ მაღალი კულტურა და პოლიტიკური თვალსაზრისით იტალიაში წამყვან ძალად იქცნენ. როგორც ჩანს, ლათინურმა ენამ სწორედ ეტრუსკულის საშუალებით მიიღო დამწერლობა არა უგვიანეს ძვ. წ. VI საუკუნისა. ეტრუსკული ენიდან ლათინურში მრავალი ლექსიკური ფორმატივი შევიდა. მათ შორის ისეთი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვები, როგორიც არის: ხალხი – populus < ეტრუსკ. pupli, ნიღაბი – persona < ეტრუსკ. fersu და ა. შ. რასაკვირველია, ლათინურში ეტრუსკულიდან შესული მრავალი სიტყვა, შესაძლოა, თავად ეტრუსკულმა ისესხა ბერძნულიდან.



ენების გავრცელების რეგიონები
ანტიკურ იტალიაში

ლათინური ენის ჩამოყალიბების პროცესში თავისი „წვლილი შეიტანეს" ოსკურ-უმბრულმა, მესაპურმა, ვენეტურმა, სიკულურმა, ლიგურულმა და იტალიაში მცხოვრები სხვა ტომების ენებმა. დიდი უნდა ყოფილიყო ამ პროცესში კელტების მიგრაციის კვალიც, რომელნიც ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში დაიძრნენ ევროპის ცენტრიდან და ესპანეთსა და ბრიტანეთს მიაღწიეს. გარკვეული ჯგუფები კი ბალკანეთში, მცირე აზიასა და იტალიაშიც შევიდნენ.

კელტური ექსპანსია თავად რომამდე აღწევს, თუმცა შემდგომ რომის თანდათანობით გაძლიერების კვალდაკვალ იტალიაში შესული კელტები ან მთლიანად ითქვიფებიან ადგილობრივ მოსახლეობაში ან სხვა მიმართულებით გადაადგილდებიან. კელტური ენიდან ლათინურმა ასევე შეითვისა ლექსიკური ფორმატივები: ა. მ., ambactus – მონა, braca – შარვალი და ა. შ. ყველაზე დიდი გავლენა ლათინურზე, რასაკვირველია, ბერძნულმა ენამ

მოახდინა. ამას რამდენიმე ძირითადი მიზეზი ჰქონდა: ა) ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგად სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში ბერძნული დასახლებების იმდენად მჭიდრო ქსელი იქმნება, რომ იტალიის ამ რეგიონს Magna Graecia ანუ დიდი საბერძნეთიც კი ეწოდა. ბუნებრივია, ამის შედეგად ლათინები და ბერძნები საუკუნეების განმავლობაში ძალზე მჭიდრო კონტაქტში იყვნენ ერთმანეთთან; ბ) ლათინურ-ბერძნული კონტაქტების დაწყების მომენტისათვის, არა უგვიანეს ძვ. წ. VII-VI საუკუნეებისა, ბერძნებს უკვე საკმაოდ განვითარებული ლიტერატურა ჰქონდათ. ამ მხრივ მათ ძველ სამყაროში კონკურენტი არ ჰყავდათ. ლათინური კულტურისათვის ბერძნული გავლენა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება და, რასაკვირველია, თავად ლათინური ენისათვის იგივე მნიშვნელობას მოიპოვებს ბერძნული ენაც. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ლათინურმა არა მარტო შეითვისა მრავალი ბერძნული ლექსიკური ფორმატივი, სპეციალური ტერმინები, არამედ ბერძნული სიტყვების სწორად გადმოცემისათვის გარკვეული ფონოლოგიური და მორფოლოგიური ცვლილებებიც კი განიცადა.

ლათინური ენის არსებობის უძველესი წერილობითი დადასტურება დღეს ძვ. წ. VI საუკუნის ფარგლებს არ სცილდება და უძველეს ლათინურენოვან ეპიგრაფიკულ ძეგლებში ჰპოვებს თავის ასახვას. ა. მ., ეს ძეგლებია: კიპუსი (საფლავის სვეტი) რომაელთა ფორუმიდან ე. წ. „Lapis niger"; წარწერა ე. წ. დუენოსის სასმისზე, ლათინურ წყაროებში მოხსენიებული carmen Saliare და carmen Arvale; ასევე დაახლ. ძვ. წ. 490 წლით დათარიღებული თორმეტი დაფის კანონების ფრაგმენტები და ა. შ.

ლათინური ენა თანდათან ყალიბდებოდა და დღეს ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ მიაღწია მან თავის კლასიკურ ფორმას. საკმარისია შევადაროთ ძვ. წ. IV-III საუკუნეების ლათინური იმ ენას, რომელიც ციცერონის ეპოქიდან არის ცნობილი, რომ შევნიშნავთ ზოგიერთ საკმაოდ მნიშვნელოვან განსხვავებას. ა. მ., ძველი ლათინურის განვითარების უფრო არქაულ სტადიაზე ექსპირატორული ძლიერი მახვილი სიტყვას პირველ მარცვალზე მოუდიოდა, ძვ. წ. IV საუკუნიდან იწყებს ჩამოყალიბებას და სულ მალე საბოლოო სახეს იღებს ლათინურ ენაში ე. წ. სამი მარცვლის კანონი, რაც იმას გულისხმობს, რომ მახვილი სიტყვას (ბუნებრივია, არაერთმარცვლიანს) მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე, თუკი იგი გრძელია, ან ბოლოდან მესამე მარცვალზე, თუ ბოლოდან მეორე მოკლეა. ძველ ლათინურში სიტყვის ბოლოს s და m, ჩვეულებრივ, სუსტი იყო. ბერძნულის გავლენამ ამ თანხმოვნების პოზიცია სიტყვის ბოლოს გააძლიერა. ამავე დროს, საერთოდ დაიკარგა ასევე სუსტი თანხმოვანი d სიტყვის ბოლოს, მაგალითად, აბლატივუსის ბრუნვაში sententiad ფორმის მაგივრად კლასიკურ ლათინურში გვაქვს sententia. მეცნიერთა უმეტესობის აზრით, კლასიკური ეპოქის ლათინურმა თავისი ჩამოყალიბებული სახე მიიღო ძვ. წ. 81 წელსა (როდესაც ციცერონმა შექმნა სიტყვა Pro Quinctio) და ახ. წ. 14 წლებს შორის (ავგუსტუსის გარდაცვალების წელი). ამის შემდგომ კლასიკური ლათინური ნორმატიულ ლიტერატურულ ენად იქცა რომაული ლიტერატურის ყველა ჟანრისათვის, თუმცა პარალელურად ვითარდებოდა ე. წ. ხალხური ლათინური ანუ ვულგარული ლათინური, რომლის გარკვეული ნიშნებიც ამა თუ იმ დოზით ასახვას პოულობდა ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში.

ქრისტიანობის შემოღებისა და ბიბლიის თარგმნის მომენტში, ბუნებრივია, აპოლოგეტები და ეკლესიის მამები კლასიკურ ლათინურს იყენებდნენ, თუმცა მას ბერძნული ქრისტიანული ტექსტების გავლენით უფრო მეტად ჰქონდა ელინური შეფერილობა, ვიდრე ეს თუნდაც რომაული ლიტერატურის კლასიკურ პერიოდში შექმნილ ძეგლებს ახასიათებდათ, როდესაც ძალზე დიდი იყო ბერძნული ლიტერატურის გავლენა. როგორც ცნობილია, რომაული იმპერია, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა, ენობრივი თვალსაზრისით, ფაქტობრივად, გაყოფილი იყო ორ ნაწილად: დასავლეთში დომი-

ნანტური იყო ლათინური, ხოლო საბერძნეთში, მცირე აზიასა და აღმოსავლეთით — ძველი ბერძნული ენა, რომელმაც აქ ალექსანდრე მაკედონელის შემდგომ მოიპოვა საერთაშორისო ენის სტატუსი.

გვიანანტიკურ და შუა საუკუნეების ლათინურს შორის ზღვარი გადის სადღაც ახ. წ. 600 წელზე. მართალია, ამ პერიოდიდან დასავლეთ ევროპაში სულ უფრო და უფრო ინტენსიურად ვითარდება ადგილობრივი ხალხების ნაციონალური ენები, მაგრამ ლათინური დიდი ხნის განმავლობაში ითვლება ძირითად სამწერლობო ენად, ხოლო მოსახლეობის გარკვეული ფენებისათვის მშობლიურ ენადაც კი. ამ პერიოდისათვის კულტურის დაქვეითებამ გამოიწვია ის, რომ ლათინურის სამწერლობო ენად გამოყენება, ძირითადად, საეკლესიო სფეროებით შემოიფარგლა, თუმცა იგი თითქმის VIII საუკუნის შუა პერიოდამდე გასაგები იყო მოსახლეობის საკმაოდ ფართო წრეებისთვისაც. თავის მხრივ, ლათინური ენა უკვე ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ბიძგს აძლევს საკმაოდ ფართო ტერიტორიების ავტოხთონური ენების რომანიზაციის პროცესს, რის შედეგად წარმოიქმნა რომანული ენები: ფრანგული, იტალიური, პორტუგალიური, რუმინული, ესპანური, კატალანური, პროვანსალური, რეტორომანული, სარდული. ლათინურის პოპულარობა, ბუნებრივია, საკმაოდ დიდი იყო, პირველ რიგში, ამ რომანულ ქვეყნებში, თუმცა იგი საკმაოდ ფართოდ გავრცელდა არარომანულ არეალებშიც. კაროლინგური რენესანსის წარმომადგენლები შეეცადნენ სწავლის პროცესში კლასიკური ლათინურის პოზიციების გამყარებას და ამისათვის ანტიკური ავტორების ნაწარმოებთა ნორმად გამოყენებას. X საუკუნისათვის რომანული წარმომავლობის ხალხთა ცნობიერებაში ლათინური ენა, როგორც ნამდვილი დედაენა, თანდათანობით ქრება და მის ადგილს იკავებს უკვე მათი ჭეშმარიტად მშობლიური ენები.

რენესანსისა და ჰუმანიზმის ეპოქაში ლათინური ენისათვის საკმაოდ არაორდინარული ვითარება შეიქმნა. ამ ეპოქაში იყო კლასიკური ლათინურის კვლავ აღორძინების ცდა, რაც მას უფრო მეტად აშორებდა უკვე განვითარებულ ნაციონალურ ენებს. ლათინური, როგორც ძირითადი ენა, თანდათანობით თმობს პოზიციებს: XVI საუკუნიდან – მხატვრულ ლიტერატურაში, XVII საუკუნიდან – პოლიტიკაში, XVIII საუკუნიდან – საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში, XIX საუკუნიდან – საზოგადოებრივ მეცნიერებებში. 1962/65 წლებში თავად ვატიკანიც იძულებული გახდა ნება დაერთო სხვადასხვა ქვეყნების ეკლესიებისათვის ღვთისმეტყველება ნაციონალურ ენებზე შეესრულებინათ, თუმცა ლათინური დღემდე ვატიკანის ოფიციალურ ენად რჩება. ვატიკანის გარდა, ლათინური განაგრძობს ფუნქციონირებას ტოიბნერის და ოქსფორდის მიერ გამოცემულ ანტიკურ ავტორთა გამოცემებში, რომელთათვისაც ლათინური დღესაც ძირითად სამუშაო ენად რჩება.

დღემდე არ დაუკარგავს მომხრეები ლათინურის, როგორც მსოფლიო ენის, აღორძინების იდეას. ამ მიზნით გამოდის მრავალი წიგნი, თანამედროვე ლათინურის ლექსიკონები, სასაუბროები. საყურადღებოა, რომ ვატიკანმა XX საუკუნეში მოამზადა და 90-იან წლებში 2 ტომად გამოსცა ფუნდამენტური ლექსიკონი Lexicon recentis Latinitatis, რომელშიც შესულია 15000-მდე ახლად შექმნილი სიტყვა, ა. მ., alergia < ბერძნ. ἄλλο და ἔργον, cafaeum < არაბ. qahvé. და ა. შ.

ძველი ბერძნული და ლათინური ენების ისტორია გვიჩვენებს როგორც ბევრ მსგავსებას, ასევე არსებით განსხვავებასაც. რაც შეეხება მსგავსებას, აქ შეიძლება ყურადღება რამდენიმე მომენტს მივაქციოთ:

ა) როგორც ძველი ბერძნული, ასევე ლათინურიც დღეს მკვდარ ენებად ითვლებიან, რადგან არც ერთი მათგანი არ გამოიყენება საკომუნიკაციო ენად რომელიმე კონკრეტული ეთნოსის მიერ, თუმცა კაცობრიობისათვის მათი ძალზე დიდი მნიშვნელობის გამო ისინი

დღემდე შეისწავლებიან და სასკოლო თუ საუნივერსიტეტო პროგრამების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

ბ) ორივე ენა წარმოგვიდგება ძალზე განვითარებული და დიდი ლიტერატურის ენებად და, ამდენად, თუკი მათ სიმდიდრეს მხოლოდ ერთი პარამეტრით, ამ ენების ლექსიკონების მოცულობით განვსაზღვრავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც ძველი ბერძნულის, ასევე ლათინურის ლექსიკონები თავიანთი მოცულობით ბევრად აღემატება მრავალი ცნობილი სალიტერატურო ენის ლექსიკონებს. ბერძნულისა და ლათინურის დიდი პოპულარობა და საერთაშორისო მასშტაბით გავრცელება განაპირობებს იმას, რომ თანამედროვე სამეცნიერო ტერმინთა აბსოლუტური უმეტესობა ამ ენების ბაზაზე იწარმოება. ჩვენ დღეს შეგვიძლია ნებისმიერ ენაზე შევადგინოთ საკმაოდ ვრცელი ტექსტი, რომლის ლექსიკის თითქმის 95 პროცენტი ბერძნული და ლათინური ენებიდან შემოსული თუ ნაწარმოები სიტყვებისაგან იქნება წარმოდგენილი. მას ნებისმიერ ენაზე მოლაპარაკე ხალხი აღიქვამს, როგორც მშობლიურ ენაზე დაწერილ ტექსტს და მისთვის ყველაფერი გასაგები იქნება.

გ) ორივე კლასიკური ენა მრავალი საუკუნის განმავლობაში და დღესაც ევროპული განათლებულობის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად ითვლება და ამიტომ, მათი სწავლების შეზღუდვის არაერთი ცდის მიუხედავად, ძველი ბერძნული და ლათინური დღემდე ისწავლება არა მარტო სპეციალურ განყოფილებებზე უნივერსიტეტებში, არამედ ჰუმანიტარულ, სამედიცინო თუ სხვა ფაკულტეტებზეც. შეიძლება ითქვას, რომ ამ ენების მეტნაკლები ცოდნა დღეს აუცილებელია მთელი რიგი დარგების სპეციალისტებისათვის, მაგალითად, იურისპრუდენციის, მედიცინის და სხვა სპეციალობებისათვის.

ამგვარი მსგავსებების მიუხედავად, როგორც ვთქვით, არსებით განსხვავებებზეც შეგვიძლია ლაპარაკი:

ა) კლასიკური ბერძნული ენა არ წარმოადგენს ერთიან სალიტერატურო ენას, იგი გვევლინება ლიტერატურული დიალექტების ერთობლიობად. შესაბამისად, კლასიკური ბერძნული ენის სწავლებისას, ძირითადად, ეყრდნობიან ატიკურ დიალექტს და ასწავლიან ატიკური დიალექტის გრამატიკას, ხოლო სხვა დიალექტების თავისებურებების შესახებ დამატებით ინფორმაციას აწვდიან კლასიკური ბერძნულის შემსწავლელებს, რამდენადაც მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მრავალი ბერძენი ავტორის გაგება.

ბ) ლათინური ენა კლასიკური სახით ჩამოყალიბების შემდეგ, ფაქტობრივად, აღარ განვითარებულა. იგი უბრალოდ დაიშალა მრავალრიცხოვან რომანულ ენად. შესაბამისად, მან საფუძველი დაუდო ახალი ენების აღმოცენებას. როდესაც დღეს გამოვიყენებთ სიტყვათშეთანხმებას ლათინური ენა, ყველასათვის ნათელია, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმება კლასიკური ლათინური, რომელზეც დღეს არც ერთი ხალხი არ ლაპარაკობს. განსხვავებული ვითარება გვაქვს ბერძნული ენის შემთხვევაში. ცნებით *ბერძნული ენა* ჩვენ აღვნიშნავთ გარკვეულ ენას მისი განვითარების მთელი ისტორიის განმავლობაში. თუკი დღეს ლათინები აღარ არიან, არსებობს ეთნოსი, რომელიც თავის თავს უწოდებს ბერძენს და რომელიც ლაპარაკობს ბერძნულ ენაზე. მართალია, ბერძნულმა ენამ, როგორც აღვნიშნეთ, განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, მაგრამ იგი მაინც დარჩა ბერძნულ ენად. და დღეს, თუკი ვინმე იტყვის, რომ ადამიანმა იცის ბერძნული ენა, მხოლოდ დამატებითი დაზუსტების შემდეგ შევძლებთ იმის გაგებას, მან იცის ახალი ბერძნული ენა თუ ძველი ბერძნული. სწორედ იმან, რომ მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში ბერძნულ ენას არ დაუკარგავს ე. წ. თვითიდენტიფიკაციის უნარი, არ დაშლილა სხვადასხვა ენად (დღეს უცნობია რომანული ენების მსგავსად ე. წ. ელინური ენების არსებობა), შესაძლებელი გახდა, რომ ამ ენამ დღემდე მოიტანა თავი, ძირითადად, ორი ნორმის სახით: კლასიკური მკვდარი ენის და მისი ტრანსფორმირებული ვარიანტის – ცოცხალი ბერძნული ენის საშუალებით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე,

შეიძლება ითქვას, რომ ცნება *ლათინური ენა*, მიუხედავად კლასიკურსა და შუა საუკუნეების ლათინურს შორის მცირე განსხვავებისა, აღნიშნავს ერთ ენას, ხოლო ცნება *ბერძნული ენა* მოიცავს, ფაქტობრივად, ორ – ძველსა და ახალ ბერძნულ ენას.

## ლიტერატურა


ეგეოსური და ეტრუსკული ენები

- რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბილისი 1985.
- R. Gordesiani, Etruskisch-vorgriechisch-kartwelische Etymologien, Georgica, 8, Jena-Tbilisi, 1985.
- რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური, თბილისი 1980.
- რ. გორდეზიანი, MEDITERANEA-KARTVELICA მედიტერანულ-ქართველური მიმართებები, ტ. I: საწყისები; ტ. II: წინაბერძნული; ტ. III: ეტრუსკული. დასკვნითი კომენტარები, თბილისი 2007.
- ლ. ჩოთალიშვილი, ეგეოსურ დამწერლობათა სისტემები, თბილისი 2003.
- L. R. Palmer, The Interpretation of Mycenaean Greek Texts, Oxford 1963.
- M. Ventris, J. Chadwick, Documents in Mycenaean Greek, Cambridge 1973[2].
- J. T. Hooker, Linear B. An Introduction, Bristol 1983.
- S. Hiller, O. Panagl, Die frühgriechischen Texte aus mykenischer Zeit. Zur Erforschung der Linear B-Tafeln, Darmstadt 1986[2].
- GORILA – L. Godart, J.-P. Olivier, Recueil des inscriptions en linéaire A, 5 Vol., Libraire orientaliste Paul Geuthner, Paris 1976-1985.
- J. Raison, M. Pope, Index du linéaire A, Incunabula Graeca 41, Roma 1971.
- J. Chadwick, L. Godart, J. T. Killen, J.-P. Olivier, A. Sacconi, I. A. Sakellarakis, Corpus of Mycenaean Inscriptions from Knossos (COMIK), 4 Vol., Cambridge, Rome 1986, 1990, 1997, 1998.
- J. T. Killen, J.-P. Olivier, The Knossos Tablets (KT 5). Suplementos a Minos 11. Salamanca 1989.
- E. L. Bennett, J.-P. Olivier, The Pylos Tablets Transcribed (PTT), Part I: Texts and Notes, Roma 1973; Part II: Hands, Concordances, Indices, Roma 1976.
- The Tablets and Nodules in Linear B from Tiryns, Thebes and Mycenae. A Revised Transliteration by J. L. Melena and J.-P. Olivier. Suplementos a Minos 12, Salamanca 1991.
- V. Aravantinos, L. Godart, A. Sacconi, Thèbes. Fouilles de la Cadmée, I. Les tablettes de la Odos Pelopidou, Pisa, Roma 2001.
- E. Hallager, M. Vlasakis, The First Linear B Tablet(s) from Khania, Kadmos 29, 1990, 24-34; New Linear B Tablets from Khania, Kadmos 31, 1992, 61-87.
- E. J. Furnée, Die wichtigsten konsonantischen Erscheinungen des Vorgriechischen, Haag 1972.
- A. J. Pfiffig, Die etruskische Sprache, Graz 1969.
- M. Pallottino, Etruscologia, Milano 1984[7].
- M. Pallottino (ed.), Testimonia linguae etruscae (TLE), Firenze 1968[2].
- Corpus inscriptionum Etruscorum (CIE), Leipzig, Firenze 1970.
- Thesaurus linguae Etruscae, M. Pallottino, M. P. Angeletti (ed.), Roma 1978 შმდ.

ბერძნული ენათმეცნიერება

- თ. გიორგობიანი, ი. გაგუა, ბერძნული ენა, ლოგოსი, 2007.
- ივ. ნიჟარაძე, ძველი ბერძნული ენა, თბილისი 1965.
- ა. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბილისი 1987.
- რ. გორდეზიანი, ი. დარჩია, ს. შამანიდი, ძველი და ახალი ბერძნული, შედარებითი გრამატიკა, თბილისი 2001, 2004[2].
- E. Bornemann, E. Risch, Griechische Grammatik, Frankfurt am Main 1978[2].

- W. Brandenstein, Griechische Sprachwissenschaft, I (Einleitung, Lautsystem, Etymologie), Sammlung Göschen, Bd. 117, Berlin 1954; II (Wortbildung und Formenlehre), Sammlung Göschen, Bd. 118/118a, Berlin 1959; III (Syntax I), Bd. 924/924a, Berlin 1966.
- R. Kühner, F. Blass, Ausführliche Grammatik der griechischen Sprache, Erster Teil: Elementar- und Formenlehre, 2 Bde., Hannover 1966[3].
- R. Kühner, B. Gerth, Ausführliche Grammatik der griechischen Sprache, Zweiter Teil: Satzlehre, 2 Bde., Hahnsche Buchhandlung, Hannover 1955[3].
- M. Meier-Brügger, Griechische Sprachwissenschaft, Bd. 1: Bibliographie, Einleitung, Syntax; Bd. 2: Wortschatz, Formenlehre, Lautlehre, Indizes, Sammlung Göschen, Berlin 1992.
- E. Schwyzer, Griechische Grammatik, Bd. 1, München 1968[3].
- E. Schwyzer, Griechische Grammatik, Bd. 2, München 1966[3].
- E. Schwyzer, Griechische Grammatik, Bd. 3, München 1968[4].
- E. Schwyzer, Griechische Grammatik, Bd. 4, München 1971.

ბერძნული ენის ისტორია, ისტორიული გრამატიკა, დიალექტოლოგია

- О. С. Широков, История греческого языка, Издательство Московского университета, 1983.
- A. Debrunner, Geschichte der griechischen Sprache, II, Grundfragen und Grundzüge des nachklassischen Griechisch, A. Scherer (Hrsg.), Berlin 1969[2].
- O. Hoffmann, A. Debrunner, A. Scherer, Ιστορία της ελληνικής γλώσσας, Τόμοι Α – Β, Α. Ως το τέλος της κλασικής εποχής, Β. Βασικά ζητήματα και γνωρίσματα της μετακλασικής Ελληνικής, Εκδοτικός οίκος Αδελφών Κυριακίδη, 1997.
- P. Kretschmer, Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache, Göttingen 1970[2].
- V. Pisani, Storia della lingua greca, Torino 1959.
- V. Pisani, Manuale storico della lingua greca, Paideia Editrice, Brescia 1973.
- H. Rix, Historische Grammatik des Griechischen (Laut- und Formenlehre), Darmstadt 1992[2].
- Н. Н. Казанский, Диалекты древнегреческого языка, Ленинград 1983.
- A. Thumb, Handbuch der griechischen Dialekte, Erster Teil: hg. v. E. Kiekers, Heidelberg 1932; II Teil: hg. v. A. Scherer, 1959.
- R. Schmitt, Einführung in die griechischen Dialekte, Darmstadt 1977.
- W. S. Allen, Vox Graeca. A Guide to the Pronounciation of Classical Greek, Cambridge 1974[2].
- R. Browning, Von der Koine bis zu den Anfängen des modernen Griechisch, in: H.-G. Nesselrath (Hrsg.), Einleitung in die griechische Philologie, Stuttgart, Leipzig 1997, 156-168.
- C. W. Müller, K. Sier, J. Werner (Hrsg.), Zum Umgang mit fremden Sprachen in der Antike, Stuttgart 1992.
- H. Poeschel, Die griechische Sprache. Geschichte und Einführung, München 1968[5].
- F. Sommer, Sprachgeschichtliche Erläuterungen für den griechischen Unterricht, Leipzig 1927[3] (უცვლ. გამოც. Darmstadt 1961).
- K. Strunk, Vom Mykenischen bis zum klassischen Griechisch, in: H.-G. Nesselrath (Hrsg.), Einleitung in die griechische Philologie, Stuttgart, Leipzig 1997, 135-155.
- P. Riemer, Sprachgeschichte, in: P. Riemer, M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Gräzistik, München 2000, 42-52.

ლექსიკონები

- ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშვილი, ტ. I – α, 2002; ტ. II – β-ε, 2003 თბილისი (ეს ლექსიკონი წარმოადგენს ვრცელ დოკუმენტირებულ ბიზანტიური ეპოქის ბერძნულ-ქართულ ლექსიკონს, რომლის გამოცემაც გათვალისწინებულია რამდენიმე ტომად).
- თ. გიორგობიანი, ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, ლოგოსი, 2012[2].
- В. П. Казанскене, Н. Н. Казанский, Предметно-понятийный словарь греческого языка (Критомикенский период), Ленинград 1986.

- И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, 2 т., Москва 1958.
- А. Д. Вейсман, Греческо-русский словарь, Москва 1991.
- N. G. L. Hammond, H. H. Scullard (ed.), Oxford Classical Dictionary, Oxford 1970[2].
- P. Chantraine, Dictionnaire étymologique de la langue grecque, I-IV$_{1,2}$, Paris 1968-1980.
- E. Buasacq, Dictionnaire étymologique de la langue grecque, Paris, Heidelberg 1950[4].
- H. Frisk, Griechishes etymologisches Wörterbuch, 3 Bde, Heidelberg 1960-1972.
- J. B. Hoffmann, Etymologisches Wörterbuch des Griechischen, München 1950.
- R. Beekes, Etymogical Dictionary of Greek, V. 1-2, Leiden, Brill, 2010.
- A. F. Jorro, Diccionario Griego-Español, I, Anejo Diccionario micenico, I-II, Madrid, I: 1985, II: 1993.
- F. R. Adrados, Diccionario Griego-Español, V. I, 1985, V. II, 1993.
- G. W. H. Lampe, A Patristic Greek Lexicon, Oxford 1984[7].
- W. Bauer, Griechisch-deutsches Wörterbuch zu den Schriften des Neuen Testaments, neu bearb. v. K. u. B. Aland, Berlin, New York 1988[6].
- H. G. Liddell, R. Scott, H. St. Jones, R. McKenzie, A Greek-English Lexicon, Oxford 1940[9], Supplement by E. A. Barber, Oxford 1968; Revised Supplement by P. G. W. Glare, A. A. Thompson, 1996.
- H. G. Liddell, R. Scott, Μέγα λεξικόν της ελληνικής γλώσσης, 5 τ., Μεταφρασθέν εκ της Αγγλικής εις την Ελληνικήν υπό Ξενοφώντος Π. Μόσχου. Διά πολλών δε βυζαντινών ιδίως λέξεων και φράσεων πλουτισθέν και εκδοθέν επιστασία Μιχαήλ Κωνσταντινίδου, Ανατύπωσις, Εκδοτικός οίκος „Ι. Σιδέρης", Αθήναι 1997.
- W. Pape, Handwörterbuch der griechishen Sprache, 4 Bde., 3 Aufl. von M. Sengebusch, Braunschweig. Bd. I, Bd. 2: Griechisch-deutsches Handwörterbuch, 1880; Bd. 3: Wörterbuch der griechischen Eigennamen von G. E. Benseler, 1863-1870; Bd. 4: Deutsch-griechisches Wörterbuch, 1872.
- G. E. Benseler, K. Schenkl, Griechisch-Deutsches und Deutsch-Griechisches Wörterbuch, 2 Bde., 1858-1866, bearb. v. A. Kaegi, A. Claussing, Leipzig, Berlin, (უცვლ.გამოც.) 1981[15].
- F. Passow, Handwörterbuch der grieschishen Sprache, V. Ch. F. Rost (Hrsg.), Leipzig 1841-1857[5].
- H. Stephanus, Thesaurus Graecae Linguae, C. B. Hase (Hrsg.), 8 Bde., Paris 1831-1865[3].
- Du Cange, Glossarium ad scriptores mediae et infimae Graecitatis, 2 Bde., Leiden 1688, (უცვლ. გამოც. Paris 1943).
- E. A. Sophocles, Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods, Boston 1887, New York 1957.
- F. Dornseiff. B. Hansen, Rückläufiges Wörterbuch der griechischen Eigennamen, Berlin 1957.
- P. Kretschmer, E. Locker, Rückläufiges Wörterbuch der griechischen Sprache, Göttingen 1977[3].
- Δ. Δημητράκος, Μέγα λεξικόν όλης της ελληνικής γλώσσης, 9 τ., Αθήνα 1964[2].

ლათინური ენა

- ი. გაგუა, ე. გამყრელიძე, ლათინური ენა, ლოგოსი, 1998[2], 2002[3].
- W. S. Allen, Vox Latina. A Guide to the Pronounciation of Classical Latin, Cambridge 1978[2] (ლათინური ენის გამოთქმის ისტორიის ყველაზე სრული სახელმძღვანელო).
- A. Bammesberger, Lateinische Sprachwissenschaft, Regensburg 1984 (ლათინური ენის ლინგვისტური კომენტარებით გამორჩეული სახელმძღვანელო).
- J. Kramer, Geschichte der lateinischen Sprache, in: F. Graf (Hrsg.), Einleitung in die lateinische Philologie, Stuttgart, Leipzig 1997, 115-165.
- P. Riemer, Sprachgeschichte, in: P. Riemer, M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Latinistik, München 1998, 42-53.
- R. Kühner, Ausführliche Grammatik der lateinischen Sprache: Teil I: Elementar-, Formen- und Wortlehre, neu bearb. v. Fr. Holzweissig, Hannover-Leipzig 1912[2] (უცვლ. გამოც. Darmstadt 1982);

Teil II: Satzlehre, neu bearb. v. C. Stegmann, 2 Bde., Hannover 1912-14[2], Darmstadt 1976[5] (უცვლ. გამოც. 1982) (ლათინური ენის ერთ-ერთი ყველაზე სრული გრამატიკა).

- M. Leumann, J. B. Hofmann, A. Szantyr, Lateinische Grammatik (HdA II $_2$): Bd. I: M. Leumann, Lateinische Laut- und Formenlehre, Neuausgabe München 1977; Bd. II: J. B. Hofmann, A. Szantyr, Lateinische Syntax und Stilistik, München 1965 (უცვლ. გამოც. München 1972); Bd. III: F. Radt, St. Radt, A. Westerbrink, Stellenregister, München 1979 (ლათინური ენის საუკეთესო მეცნიერული გრამატიკა).
- F. Sommer, R. Pfister, Handbuch der lateinischen Laut- und Formenlehre, Bd. I: Einleitung und Lautlehre, Heidelberg 1977[4].
- F. Sommer, Handbuch der Lateinischen Laut- und Formenlehre. Eine Einführung in das sprachwissenschaftliche Studium des Latein, Heidelberg 1914 (მიჩნეულია ერთ-ერთ საუკეთესო გრამატიკად სხვა ინდოევროპულ ენებთან ლათინურის შეპირისპირების თვალსაზრისით).
- A. Scherer, Handbuch der lateinischen Syntax, Heidelberg 1975 (ლათინური ენის სინტაქსის სრულყოფილი სახელმძღვანელო).

ლექსიკონები

- ს. ყაუხჩიშვილი, ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი 1961.
- И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, Москва 1976.
- P. G. W. Glare (ed.), Oxford Latin Dictionary (OLD), Oxford 1982 (გათვალისწინებულია ახ. წ. აღ. 200 წლამდე მასალა).
- K. E. Georges, Ausführliches lateinisch-deutsches Handwörterbuch, Hannover 1913[8] (= 1976[14]). (ლათინური ენის ყველაზე სრული ორენოვანი ლექსიკონი: 2 ტომი ლათინურ-გერმანული, 2 ტომი გერმანულ-ლათინური).
- Thesaurus Linguae Latinae (ThLL) (გამოცემა დაიწყო 1900 წელს და გრძელდება დღემდე. მას გამოსცემს დიდი საერთაშორისო კომისია გერმანიაში. დასრულების შემდეგ იქნება ლათინური ენის ყველაზე დიდი ლექსიკონი. მასალა მოიცავს წერილობით წყაროებს ახ. წ. 600 წლის ჩათვლით).
- E. Forcellini, Lexicon totius Latinitatis, 6 ტომი, Prato 1858-1875 (ლათინური ენის ყველაზე დიდი განმარტებითი ლექსიკონი).
- A. Walde, J. B. Hofmann, Lateinisches Etymologisches Wörterbuch, 3 Bde., Heidelberg 1938-1956 (ლათინური ენის ყველაზე სრული ეტიმოლოგიური ლექსიკონი).
- A. Ernout, A. Meillet, Dictionnaire étymologique de la langue latine, 2 ტომი, Paris 1959-1960[4].
- M. de Vaan, Etymological Dictionary of Latin and other Italic Languages, Leiden, Boston, Brill, 2008.

# ანტიკური ლიტერატურა

კლასიკური ფილოლოგიის შესწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი, ბუნებრივია, არის ყოველივე ის, რაც შეიქმნა კლასიკურ ენებზე, უპირველეს ყოვლისა კი, ადამიანური შემოქმედების ის სფერო, რომელსაც ჩვენ აღვნიშნავთ ცნებით *ლიტერატურა*. ყველა ჩვენთაგანისათვის, ერთი შეხედვით, თითქოს სავსებით ნათელია, თუ რა იგულისხმება ამ ცნებაში, მაგრამ როდესაც საქმე მის დეფინიციაზე მიდგება, საკმაოდ ძნელია ზუსტად იმის განსაზღვრა, თუ წერილობითი წყაროების რომელ ტიპს შეიძლება ვუწოდოთ ლიტერატურა და რომელს — არა. თავისთავად, ლათინური ტერმინი littera / lettera სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა „ასოს, ნაწერს". როგორც ცნობილია, ნაწერად ჩაითვლება ყველაფერი, რაც ინფორმაციას წერილობითი გზით გადმოგვცემს. ამდენად, უზოგადესი გაგებით, ლიტერატურა შეიძლება იყოს ყველაფერი, რაც დაწერილია. მაგრამ ამავე დროს ბუნებრივად ისმის კითხვა, სადღა მოთავსდება დამწერლობის უცოდინარ მთქმელთა მთელი თაობების მიერ შექმნილი პოეტური თუ პროზაული პროდუქცია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და რომელსაც დღეს ჩვენ ყოვლისმომცველი ტერმინით — ფოლკლორით ანუ ხალხური შემოქმედებით — აღვნიშნავთ. როგორც ცნობილია, მრავალი ხალხის ისტორიაში ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც ძალზე დიდტანიანი პოეტური ქმნილებები თაობიდან თაობას მხოლოდ ზეპირი გზით გადაეცემოდა. ა. მ., ცნობილია, რომ მსოფლიოში ყველაზე ვრცელი ეპოსი, ყირგიზული „მანასი", რომლის ბოლომდე ჩაწერა დღემდე არ მომხდარა, მთქმელთა წრეში თაობებს გადაეცემოდა და დღემდე არის შემონახული ზეპირი ტრადიციით. ან მაგალითად, ცნობილია, რომ ანტიკური საბერძნეთის ისეთ გამოჩენილ ფილოსოფოსს, როგორიც იყო სოკრატე, თავისი მოძღვრების შესახებ არც ერთი სტრიქონი არ დაუწერია, მაგრამ არავის მოუვა თავში, ილაპარაკოს ბერძნული ფილოსოფიის ისტორიაზე და არ ახსენოს სოკრატე. რა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს სოკრატეს ნააზრევს? უნდა იქნეს იგი განხილული, თუ არა, როგორც ლიტერატურული აზროვნების რაღაც ტიპი?

როგორც ჩანს, საკითხს დიფერენცირებულად უნდა მივუდგეთ. ლიტერატურაში, ისევე როგორც კულტურის შემთხვევაში, შეიძლება ადამიანური შემოქმედების რამდენიმე ტიპი გამოიყოს; თუკი კლასიფიკაციას დამწერლობასთან მიმართების თვალსაზრისით მოვახდენთ, ადამიანურ ლიტერატურულ შემოქმედებაში შეიძლება ორი დიდი ჯგუფი გამოიყოს: წერილობითი და ზეპირად ჩამოყალიბებული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რასაკვირველია, იგულისხმება, რომ შემოქმედების ამ ტიპის შესახებ ინფორმაციამ ჩვენამდე რაღაც გზით მოაღწია: მეტწილად ვიღაცის მიერ ამგვარი თხზულებების ჩაწერის ან თავის თხზულებებში პერიფრაზირების და ა. შ. შედეგად. თუკი საკითხს თავად ამ შემოქმედების პროდუქტის კვალიფიკაციის თვალსაზრისით მივუდგებით, აქ შეიძლება გამოვყოთ მხატვრული შემოქმედება, მეცნიერული ანუ კრიტიკულ-ანალიტიკური შემოქმედება და შემოქმედება, რომელიც პრაქტიკულ-გამოყენებით სფეროს არ სცილდება. რა იგულისხმება მხატვრულ შემოქმედებაში? უპირველეს ყოვლისა ის, რასაც ლიტერატურის შემთხვევაში შემოქმედი ქმნის პოეტური აღმაფრენის წყალობით (სულერთია, ეს არის პოეტური თუ პროზაული ნაწარმოები). შემოქმედების ეს სფერო დაკავშირებულია უფრო ინტუიციურთან, ვიდრე რაციონალურთან და მისი ზემოქმედების ძალას, ძირითადად, განსაზღვრავს

შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის ძალა. რაც შეეხება მეცნიერულ შემოქმედებას, ამ შემთხვევაში აშკარად პრევალირებს ratio და ადამიანი გადმოგვცემს ძირითადად იმას, რაც მისი რაციონალური აზროვნების შედეგს წარმოადგენს ისე, რომ მას შეიძლება სრულიადაც არ ჰქონდეს მიზნად აუდიტორიაზე ესთეტიკური ზემოქმედების მოხდენა. მისი ძირითადი ამოცანაა აუდიტორიასთან ამგვარი მიმართების დამყარება: გადამცემი გადასცემს ინფორმაციას, რომელმაც ესთეტიკური ტკბობა კი არ უნდა მიანიჭოს მიმღებს, არამედ მას უნდა ჩამოუყალიბოს წამოყენებული მსჯელობის მიმართ მხოლოდ პოზიტიური ან ნეგატიური დამოკიდებულება. რასაკვირველია, ამ დონეზეც გადაცემის მანერა შეიძლება თავისი გამომსახველობით მიუახლოვდეს მხატვრული შემოქმედების დონეს და მაშინ მეცნიერული შემოქმედების ნაყოფი აშკარად შეიძენს ესთეტიკური ზემოქმედების თვისებასაც. რაც შეეხება მესამე დონეს, იგი მთლიანად გამოყენებით-პრაქტიკული მნიშვნელობის არის და, თუკი ადამიანმა საგანგებოდ არ მიმართა ამ ტიპის ინფორმაციის გადმოცემისას რაღაც ხელოვნურ მხატვრულ საშუალებებს, ამ ინფორმაციამ შეიძლება დაკმაყოფილოს მხოლოდ ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკული ცნობისმოყვარეობა. ამ შემთხვევაში იგულისხმება, მაგალითად, რაღაც დანადგარის ინსტრუქცია. რასაკვირველია, შეიძლება ვიღაცას თავში მოუვიდეს, რომ ეს ინსტრუქცია ლექსის ფორმით ჩამოაყალიბოს, მაგრამ მხოლოდ ამის გამო იგი ვერ გასცდება თავისი ძირითადი ჟანრის დანიშნულების ფარგლებს.

შესაბამისად, თუკი საკითხს ფართოდ განვიხილავთ, შემოქმედების ყველა ამ ტიპის პროდუქცია შეიძლება ლიტერატურად მივიჩნიოთ. მაგრამ, რასაკვირველია, დღეს არავის არ მოუვა თავში ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურის ისტორიის შექმნისას ასახოს ადამიანური სიტყვიერი შემოქმედების მთელი ეს მრავალფეროვნება. და მაინც, თუკი გვინდა ვუპასუხოთ კითხვას: რა არის ლიტერატურა? შეიძლება ამგვარი დეფინიცია გავიზიაროთ: „ლიტერატურა არის ყოველივე ის, რაც იქმნება სიტყვიერი შემოქმედების სფეროში, ფიქსირდება (ზეპირად ან წერილობით) და განკუთვნილია მსმენელის ან მკითხველის ინფორმაციული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ინდივიდის ან ადამიანთა საზოგადოების მნიშვნელოვან ნებისმიერ ფენომენთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით ლიტერატურა შეიძლება იყოს რელიგიური, მეცნიერული, მხატვრული და ა. შ., იმის მიხედვით, თუ რა არის მასში მოცემული ინფორმაციის უმთავრესი ფუნქცია. რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, მით უფრო დიფერენცირებულია ადამიანის ლიტერატურული შემოქმედების სფეროები და, პირიქით, რაც უფრო ნაკლებად არის იგი განვითარებული, უფრო შეზღუდულია სიტყვიერი თვითგამოხატვის ფორმები". თანამედროვე სამყაროში, როდესაც იწერება ლიტერატურის ისტორია, ჩვეულებრივ, ეს არის მხატვრული ლიტერატურის ისტორია და იგი არ ასახავს სხვა ტიპის ნაწარმოებებს. ა. მ., დღეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორიის შექმნისას ავტორს თავში არ მოუვა მასში შეიტანოს ქართველი ისტორიკოსების, მათემატიკოსების, მეცნიერების თუ ხელოვნების სხვა დარგთა წარმომადგენლების თეორიული ნაშრომები. ანტიკური ლიტერატურის ისტორიისადმი მიდგომა განსხვავებულია. იმის მიხედვით, თუ რამდენად ამომწურავ ლიტერატურის ისტორიას გვთავაზობს ესა თუ ის ავტორი, მასში მეტ-ნაკლებად სრულად აისახება ბერძნული და რომაული მწერლობის ფაქტები. სწორედ ამიტომ, ჩვენი გაკვირვება არ უნდა გამოიწვიოს იმან, როდესაც ასეთ ლიტერატურის ისტორიებში ეპოსის, ლირიკის, დრამის, რომანის ჟანრებთან ერთად სპეციალური თავები მიეძღვნება ისტორიოგრაფიას, ფილოსოფიას, მჭევრმეტყველებას, სამეცნიერო ლიტერატურას და ა. შ.

მართალია, კაცობრიობა დამწერლობის შემოღებისთანავე ცდილობდა სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციის წერილობით ფიქსაციას, მაგრამ დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიტერატურა, როგორც ადამიანური შემოქმედების ავტონომიური სფერო, რომელიც საკუ-

თარი კანონზომიერებით განვითარდა და რომელმაც თავადვე შეუქმნა საფუძველი ლიტერატურის თეორიის ანუ ლიტერატურის, როგორც მეცნიერული შესწავლის ობიექტის ჩამოყალიბებას, პირველად ძველ საბერძნეთში აღმოცენდა. რასაკვირველია, დღეს არაერთი წიგნი მოგვეპოვება ძველეგვიპტური, შუამდინარული ლიტერატურის შესახებ, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის პროცესი, რომელმაც ჭეშმარიტი ლიტერატურის ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანა, უპირველეს ყოვლისა, ძველ საბერძნეთთან არის დაკავშირებული. რას ვგულისხმობთ ამ შემთხვევაში? მართალია, შუამდინარეთში, ძველ ეგვიპტესა და ანატოლიაშიც საკმაოდ იყო გავრცელებული მითების, სხვადასხვა ზღაპრების თუ ამბების, პოეტური ქმნილებების შექმნისა და ჩაწერის ტრადიცია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მათ არ ჰქონდათ მოპოვებული ადამიანური შემოქმედების სხვა სფეროებიდან დამოუკიდებლობის ის ხარისხი, რომელიც ლიტერატურას საკუთარი კანონზომიერებით განვითარების ფართო შესაძლებლობებს აძლევდა. ლიტერატურის ფუნქციაში აქ არ ყოფილა დომინანტური ადამიანებისათვის ესთეტიკური ტკბობის მინიჭება. ამ შემთხვევაში მთავარი იყო გარკვეული ინფორმაციის შემონახვა. შესაბამისად, ძირითადი იყო ტექსტის ინფორმაციული მნიშვნელობა, მისი საკულტო, რიტუალური თუ მითოლოგიური დანიშნულება და არა აუდიტორიაზე ესთეტიკური ზემოქმედების ეფექტი. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ტექსტში გამორიცხული იყო მხატვრულობის მომენტი, მაგრამ აშკარაა, რომ ეს მათთვის არ ყოფილა განმსაზღვრელი. რაც შეეხება ბერძნულ სამყაროს, აქ პროცესები სხვაგვარად წარიმართა. უკვე ძველი ბერძნული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე პოემებში — „ილიადა" და „ოდისეა" — სიამოვნების მინიჭება მიჩნეულია ლიტერატურული ნაწარმოების და საერთოდ ხელოვნების ნაწარმოების უმთავრეს ფუნქციად, თუმცა, რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს თავად მასში გადმოცემული ინფორმაციის ისტორიული, ეთიკური და ა. შ. მნიშვნელობის იგნორირებას. სწორედ ამიტომ ანტიკურ სამყაროში ლიტერატურამ ადამიანური შემოქმედების სხვა სფეროებს შორის დამოუკიდებლობის გაცილებით მეტი ხარისხი მოიპოვა, ვიდრე მას ძველ აღმოსავლეთში ჰქონდა. ეს კი, თავის მხრივ, მისი ინტენსიური და სწრაფი განვითარების, ძირითადი ლიტერატურული ჟანრების ჩამოყალიბებისა და, არსებითად, ლიტერატურული შემოქმედების და აზროვნების მთელი სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა, რაც მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად იქცა კულტურის ისტორიაში.

შევეცადოთ, ძალზე მოკლედ გავადევნოთ თვალი იმას, თუ როგორ წარიმართა ანტიკური ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესი. თავდაპირველად შევეხოთ სისტემატიზაციისათვის ისეთ აუცილებელ საკითხს, როგორიც არის ანტიკური ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაცია. გარკვეულწილად, იგი თანხვდება საერთოდ ანტიკური კულტურის ისტორიის პერიოდიზაციას, მაგრამ, რასაკვირველია, აქვს თავისი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებიც. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი სამყაროს ამა თუ იმ რეგიონში ანტიკური კულტურის არსებობა თავისთავად არ გულისხმობს აქ ანტიკური ლიტერატურის არსებობასაც. ა. მ., დღეს ეგეოსურ კულტურას, ყოველი შემთხვევისათვის, ძვ. წ. II ათასწლეულის მინოსურ კულტურას ანტიკური ცივილიზაციის ფარგლებში განვიხილავთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში წინაბერძნულ მოსახლეობას და ბერძნებსაც ჰქონდათ დამწერლობა, ჯერჯერობით არ გვაქვს იმის დამადასტურებელი ნიშნები, რომ მათ ასევე ჰქონდათ წერილობით ფიქსირებული მხატვრული ლიტერატურა. ასევე ეჭვს არ იწვევს ძვ. წ. I ათასწლეულში იტალიის ტერიტორიაზე განსახლებული ეტრუსკების საკმაოდ მაღალი კულტურა, მათ მიერ დამწერლობის ინტენსიურად გამოყენება, მაგრამ დღემდე არ მოგვეპოვება სანდო ინფორმაცია, რომ მათ ჰქონდათ ასევე მხატვრული ლიტერატურაც.

**გეომეტრიული რენესანსის პერიოდი (ძვ. წ. IX-VIII სს.).** ანტიკურ საბერძნეთში იმ პროცესის დასაწყისად, რომელსაც შეგვიძლია წერილობითი ლიტერატურული შემოქმედება ვუწოდოთ, ძვ. წ. VIII საუკუნე უნდა დავასახელოთ, საიდანაც შემოგვრჩა ეპიგრაფიკულ ძეგლებში დადასტურებული პირველი პოეტური ფორმით ჩამოყალიბებული ეპიგრამები და, რაც მთავარია, ჰომეროსის პოემები: „ილიადა" და „ოდისეა". რასაკვირველია, ძნელია იმის მტკიცება, თითქოს ჰომეროსის პოემები უცბად, ცარიელ ნიადაგზე აღმოცენდნენ. ბუნებრივია, მათ წინ უძღოდა პოეტური, ძირითადად, ზეპირი პოეტური შემოქმედების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. მაგრამ ერთი ფაქტია, თავად ძველი ბერძნები პირველ პოეტად, რომლის თხზულებებსაც ისინი იცნობდნენ და აღიარებდნენ ლიტერატურად, მიიჩნევდნენ ჰომეროსს. სწორედ ამიტომ, როდესაც ლიტერატურის პერიოდებზე ვმსჯელობთ, იძულებული ვართ, მთლიანად გამოვტოვოთ მხედველობიდან მრავალი საუკუნე, რომელიც წინ უძღოდა ჰომეროსს და პერიოდიზაცია დავიწყოთ გეომეტრიული, ან როგორც დღეს ხშირად ამბობენ, გეომეტრიული რენესანსის პერიოდიდან. ის, თუ რითი იყო ეს პერიოდი მნიშვნელოვანი საბერძნეთის ისტორიისა და კულტურისათვის, ამ საკითხზე მომდევნო თავში შევჩერდებით უფრო დეტალურად. აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ეს პერიოდი მოიცავს ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებს და სწორედ ჰომეროსის წყალობით, საერთოდ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდად ითვლება. თავად ანტიკური ეპოქის მწერლები, ფილოსოფოსები, ლიტერატურის თეორეტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ჰომეროსმა, არსებითად, განსაზღვრა ზოგადად ანტიკური და გარკვეულწილად მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ძირითადი პრინციპები. ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ანტიკურობის ყველაზე უფრო მომთხოვნი და ცნობილი მოაზროვნენი ჰომეროსს მიიჩნევდნენ პირველ პოეტად არა მარტო ქრონოლოგიური თვალსაზრისით, არამედ სხვებზე აღმატებულ პოეტად. ა. მ., ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ არისტოტელე, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნეში მოღვაწეობდა და რომელსაც ჰომეროსისაგან სულ ცოტა ოთხი საუკუნე მაინც აშორებდა, ანუ ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეიქმნა ძველი ბერძნული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ძეგლთა აბსოლუტური უმეტესობა, თავის ცნობილ „პოეტიკაში" ამგვარ დასკვნას აკეთებდა: ლიტერატურის ჟანრებს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და გამორჩეული არის დრამა, მაგრამ პოეტებს შორის ყველაზე გამორჩეული არის ეპიკოსი ჰომეროსი.

შევეცადოთ, მაქსიმალურად მოკლედ გადმოვცეთ ის ძირითადი მომენტები, რომელთა წყალობითაც ჰომეროსი არა მარტო მხატვრული ლიტერატურის მამად, არამედ მის ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენლად შეიძლება მივიჩნიოთ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჰომეროსი არის მნიშვნელოვანი ჟანრის – ეპოსის პარადიგმატული ფორმის შემქმნელი. რასაკვირველია, ჰომეროსამდე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში იქმნებოდა პოემები, რომლებიც დღეს შეიძლება ეპიკურ ჟანრს მივაკუთვნოთ, მაგრამ ეპოსის მოდელი, ეპოსის კონცეფცია და ანტიკურობაში მისი ყველაზე უფრო ოპტიმალური მხატვრული რეალიზაცია სწორედ ჰომეროსის პოემებში მოხდა. უპირველეს ყოვლისა, ჰომეროსმა თავის პოემებში გამოკვეთა ეპოსის, როგორც ლიტერატურული ჟანრის, ძირითადი ფუნქცია – სამყაროს პოეტური მოდელირება თავისი მრავალფეროვანი და მრავალმხრივი რელაციებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მან დაუსახა ეპიკოსებს გზა, ამ ჟანრის ნაწარმოებში პოეტური საშუალებებით შეძლებისდაგვარად სრულყოფილად და სისტემატიზებულად აესახათ უკვდავებით და მოკვდავებით დასახლებული სამყარო. და მართლაც, საინტერესოა, რომ მთელი ბერძნული ტრადიცია ჰომეროსს თითქმის ყველა ლიტერატურული ჟანრის მამამთავრად მიიჩნევდა. მას, როგორც ერთ-ერთ

ძირითად ავტორიტეტს, იმოწმებდნენ ადამიანთა ურთიერთობების საკვანძო მომენტების შესახებ მსჯელობისას. მასში ხედავდნენ ფილოსოფიური აზროვნების საწყისებს და, რაც მთავარია, სქემატური ტრადიციული ამბებისა და პერსონაჟებისათვის საოცარი მხატვრული დამაჯერებლობის მიმნიჭებელს, მათი მსოფლიო ლიტერატურის უკვდავ სიუჟეტურ სისტემებად და ფიგურებად გარდამქმნელს. მიუხედავად იმისა, თუ რა გზით წარიმართა შემდგომ ეპოსის განვითარება — ჰესიოდეს გენეალოგიური თუ დიდაქტიკურ-კატალოგური, შედარებით მომცროტანიანი უსიუჟეტო პოემების, თუ ისტორიული ამბების ეპიკური ხორცშესხმის გზით და ა. შ. — ამ ჟანრის ყველა ნაწარმოებს აერთიანებდა ერთი პრინციპი. ისინი ახდენდნენ იმ მოვლენებისა და იმ ურთიერთმიმართებების პოეტური ფორმით სისტემატიზებას, რაც ქმნის სამყაროს. რასაკვირველია, ზოგ ნიუანსში ეს უფრო წარმატებულად ხორციელდებოდა, ზოგში ნაკლებად, მაგრამ ამ ჟანრის ყველა ნაწარმოებისათვის უნივერსალურობა უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი იყო.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის პრინციპი, რომელსაც ჰომეროსი გამოიყენებდა ტრადიციული ამბის ანუ მითის გადმოცემისას. იგი, როგორც ცნობილია, თავის პოემებში ასახავს ტროას ციკლის თქმულებებს. მითების ეს ციკლი მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენების ერთობლიობას მოიცავს და ასობით გმირს თუ პერსონაჟს აერთიანებს. ჰომეროსმა მონახა ამ თქმულებების გადმოცემის ახალი გზა, რომელსაც, პირობითად, დრამატული შეგვიძლია ვუწოდოთ. მან „ილიადაში" ათ წელს გაგრძელებული ტროას ომის ამბებიდან მეათე წლის მხოლოდ რამდენიმე დღის ამბავი შეარჩია, ასევე მოიქცა ოდისევსის დაბრუნების ამსახველ „ოდისეას" შემთხვევაშიც. აქაც გმირის მრავალწლიანი ხეტიალის ამბები რამდენიმე დღის მომცველ რეალურ მოქმედებაში ჩაატია. ამით მან ტრადიციული ამბების ნარატიული, დესკრიფციული გადმოცემის პრინციპს მათი დრამატულ-მხატვრული ხორცშესხმის პრინციპი დაუპირისპირა. ჰომეროსს მხოლოდ ამ მხრივ არ გამოუჩენია ნოვატორობა. მან მოახერხა გახსენებების, წინასწარმეტყველების, მომხდარის შესახებ თხრობის საშუალებით თავის დრამატული თვალსაზრისით ერთიან პოემებში გადმოეცა ინფორმაცია ტროას ომის მთელი თქმულების შესახებ. სწორედ ამიტომ, თუმცა „ილიადასა" და „ოდისეაში" მხოლოდ რამდენიმე დღის ამბებია აღწერილი, პოემები რეალურად გვაძლევენ ინფორმაციას ყველა იმ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, რომელსაც მთელი ტროას ომის განმავლობაში და მის შემდეგ გმირთა დაბრუნებების პერიოდში ჰქონდა ადგილი. ამ თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ჰომეროსმა ბიძგი მისცა მითოლოგიური სიუჟეტების დრამატული დამუშავების შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, შემდგომი დროის პოეტებს ვრცელი პოემების საშუალებით მოქმედების თვალსაზრისით შეკრული სიუჟეტების გადმოცემის გზა უჩვენა.

ჰომეროსმა, როგორც ჩანს, ასევე უდიდესი წვლილი შეიტანა მითოლოგიური სახის მხატვრულ სახედ, ხშირ შემთხვევაში ხასიათად ქცევის პროცესში. პერსონაჟები, რომლებიც მითოლოგიური ტრადიციიდან უკვე ჰომეროსამდე იყვნენ ცნობილნი, ფაქტობრივად, წარმოადგენდნენ უბრალოდ რაღაც ამბის, თუნდაც თხრობისათვის ძალზე მნიშვნელოვანის, აუცილებელ მოქმედ პირებს. ჰომეროსმა კი ეს გმირები ჭეშმარიტ ხასიათებამდე აღამაღლა და მათი ინდივიდუალიზაციის სავსებით გამოკვეთილი პრინციპები მოგვცა. ამან განაპირობა ის, რომ ყველა გმირი, რომელიც ჰომეროსის ეპოსში არის წარმოდგენილი, პარადიგმატული გახდა არა მარტო ანტიკური, არამედ მთელი მსოფლიო ლიტერატურისათვის. ამ მხრივ ჰომეროსის დიდი დამსახურება არის ისიც, რომ მასთან საკმაოდ ნათლად იკვეთება გმირთა რანჟირების პრინციპი მათი მნიშვნელოვნების მიხედვით. მასთან საკმაოდ ჩამოყალიბებულია ცენტრალური გმირის, მთავარი თუ მეორეხარისხოვანი გმირების და ე. წ. შეუმჩნეველი პერსონაჟების კონცეფცია. ეს უკანასკნელნი შესამჩნევნი ხდებიან სწორედ თავიანთი შეუმჩნევლობით. და მართლაც, თუკი თვალს გადავავლებთ მსოფლიო

ლიტერატურას, ვნახავთ, რომ ჰომეროსის გავლენით პოპულარული არიან სხვადასხვა ხასიათის რეცეფციებში არა მარტო ისეთი ცნობილი გმირები, როგორებიც არიან: აგამემნონი, აქილევსი, ოდისევსი, პენელოპე, ელენე, არამედ ე. წ. უმნიშვნელო პერსონაჟებიც – თერსიტესი, ელპენორი და ა. შ.

ჰომეროსმა საინტერესო ნოვატორული სული გამოავლინა თავად კონფლიქტის სტრუქტურის გააზრებაშიც. ქვემოთ გვექნება მსჯელობა იმაზე, თუ კონფლიქტის როგორი სტრუქტურა ახასიათებს ტრადიციულ ამბავს. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში იგი შეესაბამება ტრადიციულ ამბებს ანუ მითების აგების ე. წ. მყარ პროგრამებს. მათგან ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული გულისხმობს უარყოფითი და დადებითი ფუნქციების მქონე არგუმენტების დაპირისპირებას და შემდეგ მათ ურთიერთშენაცვლებას. ჰომეროსი არ ამბობს უარს ამ პრინციპზე, თუმცა მას პარალელურად კონფლიქტის განვითარების საკუთარი პრინციპიც აქვს: ღვთაებრივი ნებით დაწყებული კონფლიქტი სრულდება ღვთაებრივი შერიგებით. მისი ეს პრინციპი, როგორც ჩანს, საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა და მას რამდენიმე საუკუნის შემდეგ გენიალურ ესქილეს სახით ბრწყინვალე მიმბაძველი აღმოაჩნდა.

ჰომეროსთან, როგორც ჩანს, თავისი სრულყოფილი სახე მიიღო ეპოსის სალექსო საზომმა (დაქტილურმა ჰექსამეტრმა) და ეპიკური პოეზიის ენამ, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო გამეორებები, ეპიკური ფორმულები და ა. შ. ჰომეროსის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ეპოსისათვის ჰექსამეტრი გადაიქცა მთელი ანტიკურობის განმავლობაში ძირითად საზომად, ხოლო მისი ენა – ეპიკური პოეზიის ენად.

ჰომეროსის ეპოსი იმის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს, თუ როგორ შეიძლება აირეკლოს პოეზიაში კონკრეტული ეპოქის მიდრეკილებები, გამოიხატოს ისინი გარკვეული კანონზომიერების მქონე ფორმებითა და სტრუქტურებით. გეომეტრიზმის სული „ილიადასა" და „ოდისეაში" სტრუქტურული სიმეტრიის პრინციპების თანამიმდევრულად გამოყენებით გამოვლინდა პოემათა აგების ყველა დონეზე, დაწყებული ისეთი მიკროსტრუქტურიდან, როგორიც არის ცალკეული გმირის სიტყვა, დამთავრებული პოემების მთლიანი, ერთიანი სტრუქტურებით. ამის შედეგად ჰომეროსის პოემები ისეთ სიმეტრიულობასა და კომპოზიციურ მთლიანობას ავლენენ, რომელიც ძალზე ემსგავსება ამ ეპოქის მონუმენტურ გეომეტრიულ ვაზებს და მათ შემკობას გეომეტრიული ორნამენტებით. როგორც ჩანს, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჰომეროსი კომპოზიციური ორგანიზაციის დიდოსტატად მიაჩნდათ ანტიკურ სამყაროში და თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაშიც ასე თვლიან.

უსაზღვროა ის პრობლემატიკა, რომელსაც ჰომეროსის ეპოსი სვამდა და სვამს თანამედროვე მეცნიერების წინაშე. შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური ფილოლოგიის ფარგლებში ჰომეროლოგიას – როგორც ერთი ავტორის შემოქმედებასთან დაკავშირებულ კვლევათა ერთობლიობას – ცენტრალური ადგილი უჭირავს. ალბათ, ძნელია მოინახოს სხვა ისეთი ავტორი, რომლის კვლევამ მეცნიერება მიიყვანა ამ ავტორის შემოქმედების ისეთ მრავალპლანიან და დისკუსიებით აღსავსე პრობლემის ჩამოყალიბებამდე, როგორიც არის ჰომეროსის საკითხი. მართალია, უკვე ანტიკურობაში საკმაოდ ინტენსიურად იკვლევდნენ ჰომეროსს, მაგრამ ახალ ევროპაში პირველად მოხდა ამ ავტორთან დაკავშირებული საყოველთაოდ მიღებული ჭეშმარიტებების საფუძვლიანი გადასინჯვა. სწორედ ამიტომ თავად ცნება *ჰომეროსის საკითხი* ახალ ევროპულ მეცნიერებაში აღმოცენდა და იგი სამი პრობლემის ერთობლიობას გულისხმობს: ა) *ჰომეროსის ეპოსის ერთიანობა.* ამ შემთხვევაში ძირითადი კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემას ცდილობს მეცნიერება, შემდეგნაირად ფორმულირდება: არსებობს თუ არა ერთი პოეტის მიერ შექმნილი ერთიანი პოემები – „ილიადა" და „ოდისეა", თუ ისინი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მთქმელების თუ პოეტთა მიერ შექმ-

ნილი ეპიკური ნაწილების გაერთიანებას წარმოადგენენ რომელიმე პოეტის ან რედაქტორ-კომპილატორის მიერ. ეს საკითხი ყველაზე უფრო ძველია. მას გარკვეულწილად უკვე ალექსანდრიელი ფილოლოგებიც ეხებოდნენ, მაგრამ მისი წამოჭრა ახალ მეცნიერებაში დაკავშირებულია ჯერ დ'ობინიაკის სახელთან (მისმა რამდენადმე დილეტანტურმა ნაშრომმა არ დატოვა სათანადო კვალი მეცნიერებაში), ხოლო, არსებითად კი, ახალი ფილოლოგიის ფუძემდებელთან, ფრიდრიხ ავგუსტ ვოლფთან (1795). ბ) *ჰომეროსი და ისტორია.* XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც შლიმანმა ჰისარლიკის მაღლობზე დაიწყო გათხრები და მიაკვლია ჰომეროსის ტროას, ჰომეროლოგიაში წამოიჭრა ახალი პრობლემა, რომელიც ისტორიასთან ჰომეროსის მიმართების ასპექტს მოიცავდა. მისი არსი ამგვარი კითხვით შეიძლება გადმოიცეს: ის, რასაც ჰომეროსი ასახავს უპირატესად „ილიადაში", რამდენად შეესაბამება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის ეგეიდაში განვითარებულ მოვლენებს? ყოველივე ეს წარმოადგენს პოეტური ფანტაზიის ნაყოფს თუ ისტორიული რეალობების სანდო არეკვლას? გ) *პოემების ფორმირება.* XX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც მილმან ფერიმ წამოაყენა ზეპირი პოეზიის თეორია, ჰომეროსის საკითხის შემადგენელ ნაწილად იქცა პოემების ფორმირების პრობლემა, რომლის არსი ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს: ზეპირი შემოქმედების ნაყოფია „ილიადა" და „ოდისეა" თუ წერილობითისა.

ჰომეროსის საკითხის შემადგენელი თითოეული ამ პრობლემის კვლევა საკმაოდ მასშტაბურია და მასში თითქმის მთელი მსოფლიოს მრავალი ფილოლოგი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, ენათმეცნიერი არის ჩართული. ამის შედეგად ჰომეროსის საკითხმა გარკვეულად თავისთავადი ხასიათი მიიღო. მან მძლავრი ბიძგი მისცა კლასიკურ ფილოლოგიას და ფილოლოგიურ მეცნიერებაში ნაწარმოებთა ერთიანობის კვლევის მეთოდთა შემუშავებას, არქეოლოგიური და ლიტერატურული მონაცემების შედარებითი განხილვის მეთოდიკის ჩამოყალიბებას, წერილობითი და ზეპირი კონცეფციის საფუძველზე შექმნილი ნაწარმოებების შეფასების კრიტერიუმთა გამომუშავებას. სწორედ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ლიტერატურაზე და საერთოდ მეცნიერებასა და კულტურაზე უდიდესი გავლენა მოახდინეს არა მარტო ჰომეროსის პოემებმა, როგორც თვალსაჩინო მხატვრული ღირებულებების მქონე ნაწარმოებებმა, არამედ თავად ჰომეროსის საკითხმაც, როგორც მხატვრული კულტურის კომპლექსური კვლევის სანიმუშო მაგალითმა.

თუკი კვლავ ანტიკურ ლიტერატურას მივუბრუნდებით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსმა განსაზღვრა, ერთი მხრივ, ეპოსის, როგორც ჟანრის უმნიშვნელოვანესი ნიშნები, მეორე მხრივ, კი საერთოდ ანტიკური ლიტერატურის განვითარების უმთავრესი მიმართულებები. ეპოსი, როგორც ჟანრი, ყველაზე უფრო პროდუქტიული და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ანტიკურ ლიტერატურაში, რადგან იგი ყველა ეპოქაში აგრძელებდა არსებობას. საინტერესოა, რომ ანტიკურმა ლიტერატურამ, ფაქტობრივად, ფუნქციონირება დაიწყო (ჰომეროსის პოემები) და დაასრულა ვრცელი ეპიკური ნაწარმოებებით (ნონოს პანოპოლისელის „დიონისიაკა"). ლიტერატურის პერიოდებზე მსჯელობისას შევეცდებით ყურადღება შევაჩეროთ იმაზე, თუ რა ფორმით გამოიხატა ეპიკური შემოქმედება ანტიკური ლიტერატურის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გეომეტრიული ეპოქა მისი მომდევნო არქაული ეპოქის ფარგლებში უნდა შევიდეს და, შესაბამისად, ბერძნული ლიტერატურის პირველ პერიოდად არქაიკას გვთავაზობს. სხვანი გეომეტრიულ და არქაულ პერიოდებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვან განსხვავებებს ხედავენ. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ არქაული ეპოქიდან განვითარებას იწყებს და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდება ე. წ. პოლისური ანუ ქალაქ-სახელმწიფოებრივი კულტურა. ამიტომ, ჩვენც ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილია გეომეტრიული ეპოქის ცალკე პერიოდად გამოყოფა.

**არქაიკის პერიოდი.** გეომეტრიულ პერიოდს მოსდევს არქაული პერიოდი, რომელიც როგორც ბერძნულ, ასევე საერთოდ კაცობრიობის კულტურის განვითარებაში ჭეშმარიტად რევოლუციურ ეპოქად უნდა მივიჩნიოთ. მის განმსაზღვრელ ნიშნებზე სხვა თავებშიც გვექნება მსჯელობა, აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ არქაულ პერიოდში მოხდა პოლისის მოქალაქის, როგორც პიროვნების წინა პლანზე წამოწევა. ამ პროცესს მეცნიერებაში ხშირად მოიხსენიებენ ფორმულით „პიროვნების გამოღვიძება". ამ მოვლენას შედეგად მოჰყვა მწერლობაში ისეთი ჟანრის ჩამოყალიბება, როგორიცაა ლირიკა. რასაკვირველია, ლირიკული ხასიათის ნაწარმოებები იქმნებოდა ჰომეროსის ეპოქაშიც და მანამდეც, მაგრამ ეპოსის მეუფების ეპოქაში მათ არ ჰქონდათ მოპოვებული ლიტერატურული სტატუსი. საზოგადოებისათვის ბევრად უფრო საინტერესო იყო დიად წარსულზე თუ ანმყოზე ეპიკური პოეტური ინფორმაციის მონუმენტური გადმოცემა, ვიდრე ცალკეული პიროვნების თუ პიროვნებათა ჯგუფის ლექსად გამოხატული რეაქცია რაღაც ერთჯერად მოვლენაზე.

არქაიკის ეპოქაში, როდესაც პიროვნულისა და პიროვნების მიმართ ინტერესი გაიზარდა, ლირიკული „მე"-ს პოეზიაში გამოვლინება საზოგადოებისათვის ერთობ საინტერესო გახდა და მცირე ფორმის სუბიექტური პოზიციის გამომხატველი პოეზია დომინანტურად გადაიქცა. მაგრამ მანამდე, ვიდრე უშუალოდ ლირიკაზე ვილაპარაკებდეთ, საინტერესოა აღინიშნოს, რომ პიროვნულობის ელემენტებმა საკმაოდ აშკარა გამოვლენა ჰპოვეს თავად ეპოსშიც. გეომეტრიულიდან არქაულ პოეზიაზე გარდამავალ ეპოქაში მოღვაწე ჰესიოდე ქმნის გენეალოგიურ ეპოსს „თეოგონიას" და დიდაქტიკური ხასიათის პოემას „სამუშაონი და დღენი", რომელშიც იგი მოიხსენიებს საკუთარ სახელს და გვაწვდის ინფორმაციას საკუთარი ბიოგრაფიის შესახებ. შესაბამისად, ჰესიოდე ჰომეროსის სიუჟეტური ე. წ. საგმირო ეპოსისათვის დამახასიათებელი ეპიკური ობიექტურობიდან (ასეთ ეპოსში თავად ავტორი და მისი პოზიცია არ არის განცხადებული) გადადის ისეთ ეპოსზე, რომელშიც უკვე ლირიკული პოემის გარკვეული ელემენტები შეინიშნება. ჰესიოდემ, ფაქტობრივად, უარი თქვა სიუჟეტურ პოემებზე და მან ეპიკური სისტემატიზაციის ანუ სამყაროს პოეტური მოდელირების სხვა გზა აირჩია. „თეოგონიის" შემთხვევაში იგი გვთავაზობს პოეტურად ხორცშესხმულ და ბრწყინვალედ სისტემატიზებულ სამყაროსა და ღმერთთა წარმოშობის საკმაოდ შთამბეჭდავ სურათს, ხოლო „სამუშაონი და დღენის" შემთხვევაში — იმ რჩევებისა და შეგონებების ასევე ოსტატურად სისტემატიზებულ კრებულს, რომლებსაც ჰესიოდე, ალბათ, ფიქტიური ადრესატის, მისი საკუთარი ძმის, პერსესის სახით აძლევს თავის თანამედროვეებს.

ჰესიოდეს პოეტურმა გენიამ ბერძნებისათვის ცხადი გახადა, რომ ეპოსის განვითარებაში ჰომეროსის ხაზთან ერთად მისაღებია ჰესიოდეს მიმართულებაც. სწორედ ამიტომ, არქაულ ეპოქაში, რომელიც ძვ. წ. VII-VI საუკუნეებს მოიცავს, იქმნება პოემები, ერთი მხრივ, სიუჟეტური ანუ ჰომეროსის პრინციპების შესაბამისი, ხოლო, მეორე მხრივ, უსიუჟეტო: დამრიგებლობითი, კატალოგისებური და გენეალოგიური. საყურადღებოა, რომ ჩნდება საერთოდ მთელი მითოლოგიური ინფორმაციის ან გარკვეულ მითოლოგიურ ციკლებთან დაკავშირებული ინფორმაციის თანმიმდევრული ეპიკური დამუშავების სურვილი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ე. წ. წრიული ანუ კიკლიკური (ციკლური) პოემები. მათი ერთი ნაწილი ჰომეროსის პოემების გარშემო კრავდა წრეს ანუ აღწერდა იმას, რაც მოხდა „ილიადასა" და „ოდისეაში" გადმოცემულ ამბებამდე და მათ შემდგომ. თუმცა ციკლურობის სტიქია არ შემოიფარგლებოდა ჰომეროსით და, როგორც ვთქვით, მან მოიცვა მთელი ბერძნული მითოლოგია სამყაროს შექმნის, მთავარი გმირებისა და მოვლენების ჩათვლით.

არქაულ ეპოქაში, როგორც ჩანს, სერიოზულ ეპოსთან ერთად ერთგვარი „ანტიეპოსის" შექმნის ტენდენციები ჩნდება, რაც კომიკურსა და პაროდიულ ეპიკურ ნაწარმოებებში გა-

მოიხატა. საკმაოდ ადრეა შექმნილი კომიკური პოემა „მარგიტესი", რომლის ცენტრალური გმირი იყო სულელი მარგიტესი, აშკარად, ჰომეროსის პოემების ცნობილი სახელოვანი გმირების ანტიპოდი. პაროდიულ პოემაში „ბატრაქომიომაქია" პერსონაჟები უკვე გმირების ნაცვლად თაგვებისა და ბაყაყების სახით წარმოგვიდგებიან. ჰომეროსის ეპოსის პათოსის პაროდირება ბაყაყებსა და თაგვებს შორის წარმოქმნილი ამბების აღწერისას, რასაკვირველია, ერთი მხრივ, აუდიტორიაში მხოლოდ სიცილს იწვევდა, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ეპოსის განვითარებაში, ეპიკურ პროდუქციაში სერიოზულის არასერიოზულით განეიტრალების მუდმივ ექსპერიმენტებს უქმნიდა საფუძველს.

რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს არქაული ეპოქის პოეტთა ეპიკური შემოქმედება, რომლისგანაც, ფაქტობრივად, უმნიშვნელო ფრაგმენტების გარდა არაფერს მოუღწევია ჩვენამდე (შემორჩა ჰესიოდე), არქაიკის პერიოდის ლიტერატურაში დომინანტური აშკარად ლირიკა ხდება. ძველ ბერძნებს არ ჩამოუყალიბებიათ კონცეფცია საერთოდ ლირიკული ჟანრის შესახებ, თავად ტერმინი *ლირიკაც* ანტიკურ სამყაროში მოგვიანებით ჩნდება და იგი, ძირითადად, გამოიყენება ლირის ანუ მუსიკალური ინსტრუმენტის თანხლებით შესრულებული პოეტური, შედარებით მცირე ზომის ნაწარმოების მიმართ. ამდენად, როდესაც არქაული ეპოქის ლირიკაზე ვმსჯელობთ, ამოვდივართ, ერთი მხრივ, ამ ჟანრის თანამედროვე გაგებიდან, ხოლო, მეორე მხრივ, კლასიკურ ფილოლოგიაში გამომუშავებული პრინციპიდან, რომ მთელი ის პოეტურ-მხატვრული პროდუქცია, რაც არ მიეკუთვნება ეპოსსა და დრამატულ ჟანრს, უნდა განვიხილოთ როგორც ლირიკა.

რასაკვირველია, არქაული ბერძნული ლირიკის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტების ნიმუშების გაცნობის შემდგომ თანამედროვე მკითხველს შეიძლება მრავალი კითხვა გაუჩნდეს. ერთი მხრივ, მისთვის სავსებით ნათელი იქნება, თუ რატომ ექცევა ლირიკის ჟანრში რამდენიმე სტრიქონიანი თუ რამდენიმე სტროფის შემცველი პოეტური ნაწარმოები, რომელიც გადმოგვცემს პოეტის დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. მეორე მხრივ, მკითხველისათვის საკმაოდ ძნელი იქნება იმის ახსნა, შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ სტესიქოროსის (ძვ. წ. VII საუკუნის მეორე ნახევარი) დაახლოებით 1500 სტრიქონის შემცველი ნაწარმოები ლირიკული ჟანრის კუთვნილებად, მაშინ, როცა ჰესიოდეს ამაზე ბევრად ნაკლები მოცულობის პოემები ეპოსის ჟანრს განეკუთვნებიან. შევეცადოთ, გავარკვიოთ ძირითადი საკითხი: რა შემთხვევაში შეიძლება ჩავთვალოთ ლექსი ლირიკის კუთვნილებად, რა არის მისი ლირიკულობის განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმი. ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა, რომ ეპოსი წარმოადგენს სამყაროს პოეტური მოდელირების ცდას, ლირიკული პოეზია კი სამყაროს ასახვისას სხვა პრინციპს მიმართავს. მას აინტერესებს სამყარო არა როგორც ურთიერთმიმართებათა რაღაც უნივერსალური სისტემა, არამედ სამყაროს რაღაც ერთი წერტილის აკიაფება, რაღაც ერთ მომენტთან დაკავშირებული გრძნობებისა და რეაქციების გადმოცემა, რომელთა უკანაც ლირიკული სუბიექტი მოიაზრება. ა. მ., ჩვენთვის რომ ნათელი გახდეს ნათქვამის აზრი, შევადაროთ ერთმანეთს პაროდიული ეპოსი „ბატრაქომიომაქია" და პინდაროსის IV პითიური ოდა. პირველი შეიცავს 303 სტრიქონს, ხოლო მეორე – 300 სტრიქონს. პირველი განეკუთვნება, მართალია, პაროდიულ, მაგრამ ეპიკურ ჟანრს, ხოლო მეორე – ლირიკულს. რატომ? იმიტომ, რომ პირველში ხდება პოეტურად მოდელირებული სამყაროს პაროდირება, რაც არ არის დაკავშირებული რეალური ცხოვრებიდან პროვოცირებულ რაღაც ერთ მომენტთან, რაღაც ერთ ლირიკულ სუბიექტთან კავშირის მქონე ფაქტთან. რაც შეეხება პინდაროსის IV პითიურ ოდას, იგი ინსპირირებულია პითიურ შეჯიბრებებში კონკრეტული პირის კონკრეტული „სპონსორის" თანადგომით მოპოვებულ კონკრეტულ გამარჯვებასთან. ეს გამარჯვება კი არის მხოლოდ ერთი მომენტი, სამყაროს ერთი წერტილის აკიაფება. სხვა საკითხია, რომ ამ მომენტით შთაგონებულმა პოეტმა შეიძლება საკმაოდ ვრცელი ინფორ-

მაცია გადმოგვცეს, ბევრი ისეთი რამ გაიხსენოს, რაც თითქოს ამ გამარჯვებასთან არ არის კავშირში. და მაინც, მისი ნაწარმოების პათოსის განმსაზღვრელი სწორედ ეს საგანგებო, კონკრეტულ აგონში კონკრეტულ გამარჯვებასთან დაკავშირებული მომენტი იქნება.

ჩვენ ვთქვით, რომ ბერძნებს ლირიკა თანამედროვეების მსგავსად არ გამოუყვიათ რაღაც ერთიან ჩამოყალიბებულ ჟანრად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ არ შემოგვთავაზეს იმ პოეტური პროდუქციის კლასიფიკაციის გარკვეული პრინციპები, რომლებიც ექცეოდა ეპოსსა და დრამას შორის. პირიქით, მათ შემოგვთავაზეს კლასიფიკაციის საინტერესო მეთოდი. მათ ერთმანეთისაგან განასხვავეს პოეზია, რომელიც დეკლამაციით ითქმებოდა და პოეზია, რომელიც უპირატესად სიმღერით სრულდებოდა. როდესაც ჩვენ ვიყენებთ სიტყვას „უპირატესად", ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ იმას, რომ დეკლამაციური შესრულებისათვის განკუთვნილი ნაწარმოები შეიძლებოდა სიმღერითაც შესრულებულიყო, სიმღერისათვის განკუთვნილი კი — დეკლამაციით. მაგრამ ეს შედარებით იშვიათად ხდებოდა და, ალბათ, უფრო მეტად მაშინ, როდესაც ლირიკული ნაწარმოების შესრულება დროში რამდენიმე საუკუნით იყო დაშორებული მისი შექმნის პერიოდს, თავისი ეპოქის სოციალურ კონტექსტს. და მაინც, დაყოფის ეს პრინციპი, ძირითადად, ყველას მიერ იყო გაზიარებული. დეკლამაციური და სასიმღერო პოეზია ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა არა მარტო შესრულების ტექნიკით, არამედ სალექსო საზომთა გამოყენების პრინციპითაც. თუკი დეკლამაციურ ლირიკაში გამოყენებული იყო ე. წ. გამყოლი მეტრის (κατὰ μέτρον) პრინციპი ანუ ნაწარმოების ტიპის სახელდებისას ამოსავალი იყო მისთვის განმსაზღვრელი მეტრული სტრუქტურა. სასიმღერო ლირიკაში მთავარი იყო ის, ერთი პიროვნების მიერ (სოლო) სრულდებოდა ნაწარმოები თუ გუნდის მიერ. შესაბამისად, როდესაც დეკლამაციურ ლირიკაზე ვმსჯელობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძველი ბერძნებისათვის ეს მხოლოდ ელეგიები და იამბები იყო. პირველი ყოველთვის გამოიყენებს ელეგიურ დისტიქს, ორი სალექსო სტრიქონის შემცველ ფიქსირებულ ლექსს, რომლის პირველი ნაწილი არის დაქტილური ჰექსამეტრი, ხოლო მეორე — პენტამეტრი. ხოლო იამბი გამოიყენებდა იამბური ან ტროქეული მეტრით გამართულ სალექსო სტრიქონებს. შესაბამისად, ანტიკური ლიტერატურის თეორიაში გამოყოფდნენ იამბოგრაფოსებს, ელეგიკოსებს. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იამბოგრაფოსს არ შეეძლო დაეწერა ელეგია ან სულაც სასიმღერო ხასიათის ნაწარმოები. რაც შეეხება მელიკას, ე. ი. ჩვენი გაგებით სასიმღერო ლირიკას, აქ გამოყოფენ მონოდიას — პიროვნულ და ქორიკას — საგუნდო სიმღერებს. სასიმღერო პოეზიაში მეტრული სტრუქტურები არ იყო განსაზღვრული და პოეტს შეეძლო შეექმნა და გამოეყენებინა ის სტრუქტურები, რაც მას უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა. პიროვნული და საგუნდო ლირიკა ერთმანეთისაგან არა მარტო შემსრულებელთა ოდენობით განსხვავდებოდა, არამედ თავიანთი ფუნქციითა და მოცულობითაც. თუკი მონოდია, ძირითადად, კამერული შესრულებისათვის იყო განკუთვნილი და სიმებიანი ინსტრუმენტის თანხლებით სრულდებოდა, საგუნდო ლირიკა ფართო აუდიტორიაზე იყო ორიენტირებული და მას სასულე ინსტრუმენტთა თანხლება ჰქონდა. პიროვნული სასიმღერო ლირიკა, შესაბამისად, მეტწილად უფრო მცირე მოცულობის ლექსებით იყო წარმოდგენილი, ხოლო საგუნდო — უფრო ვრცელით. რასაკვირველია, განსხვავება იყო ლექსთწყობის თვალსაზრისითაც. თუკი პიროვნული ლირიკა გამოიყენებდა, ძირითადად, სალექსო სტრიქონის ან ისეთი სტროფების პრინციპს, რომელთა სალექსო სტრიქონების რაოდენობა ჩვეულებრივ არ აღემატებოდა ოთხს, საგუნდო ლირიკაში სტროფული სისტემა ბევრად უფრო კომპლექსურ ხასიათს ატარებდა და თითოეული სტროფის მოცულობა შედარებით მეტი იყო. ზემოთ აღნიშნული მომენტების გარდა, დეკლამაციურსა და სასიმღერო ლირიკას ერთმანეთისაგან ერთი არსებითი ნიშანიც განასხვავებდა. პირველი უფრო მეტად იყო ორიენტირებული პოეტური ინფორმაციის გადმოცემის ე. წ. რიტორიკულ პრინციპზე, ამ

შემთხვევაში იგულისხმება, რომ პოეტი ლექსის საშუალებით ახდენდა გარკვეული აზრის პოეტური ფორმით გადმოცემას, შეიძლება ვთქვათ, რაღაცის მტკიცებას. მელოსში კი უფრო სჭარბობდა წმინდა ლირიკული პრინციპი. აქ, შესაძლოა, ყოფილიყო ნარატიული პარტიები, განსაკუთრებით საგუნდო ლირიკაში, მაგრამ მათში ლირიზმის ხარისხი აშკარად დომინანტური იყო. ამან, ბუნებრივია, თავისი ასახვა პოვა თვით პოეტურ ენაშიც. დეკლამაციური ლირიკის ენა არ გამოირჩევა ხაზგასმული ხატოვანებით, რაც ერთობ დამახასიათებელია სასიმღერო ლირიკის ენისათვის. ბუნებრივია, სასიმღერო ლირიკის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი იყო მუსიკა, რომელიც ტექსტის აკომპანემენტს წარმოადგენდა. მუსიკის ტიპისა და ფუნქციის მიხედვით, თანამედროვე მეცნიერებაში ვარაუდობენ ბერძნულ მელიკაში სამი ჯგუფის სიმღერების არსებობას: ა) სიმღერები და მუსიკა ღმერთებისათვის: ჰიმნი, პეანი, ნომოსი, დითირამბი, პროსოდიონი, პართენიები, ჰიპორქემა; ბ) მუსიკა და სიმღერები მოკვდავთათვის: ჰიმენაიოსები, ეპითალამიები, თრენოდია, ეპინიკიები და ენკომიები, სკოლიონი და სოლოსი; შერეული ტიპები: საბრძოლო სიმღერები, ხალხური სიმღერები; გ) ამას დრამის წარმოშობის შემდეგ, ბუნებრივია, დაემატა მუსიკა და სიმღერები დრამის საგუნდო პარტიებისათვის.

ლირიკული პოეზიის ჩვენ მიერ ჩამოთვლილ სახეებში არქაიკის ეპოქაში მრავალი ცნობილი პოეტი მოღვაწეობდა, რომელთაგან ჩვენამდე ყველაზე კარგად საგუნდო ლირიკის უდიდესი წარმომადგენლის, პინდაროსის შემოქმედებამ მოაღწია. პაპიროლოგიური აღმოჩენების შედეგად დღეს შედარებით სრულ წარმოდგენას ვიქმნით ქორიკოს ბაკქილიდესის შემოქმედებაზეც. როგორც ჩანს, მრავალრიცხოვანი ჩამატებებისა და ტრანსფორმაციის მიუხედავად, მეტ-ნაკლებად სრულად მოაღწია თეოგნისის ელეგიურმა გნომურმა პოეზიამ, ასევე ცალკეულ პოეტთა თითო-ოროლა ლექსმა თუ სიმღერამ, მეტწილად კი ჩვენამდე შემორჩა მხოლოდ ლირიკოსთა ფრაგმენტები. სწორედ ამიტომ, როდესაც დღეს ლირიკოსებზე გვაქვს მსჯელობა, მათი ნაწარმოებების დამოწმებას ვახდენთ ცნობილი და აღიარებული გამოცემის ფრაგმენტის ნომრის მიხედვით. მიუხედავად მასალის სიმწირისა, ჩვენ მაინც შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმის შესახებ, თუ რა კანონზომიერებით ვითარდებოდა ლირიკული პოეზია არქაიკის ეპოქაში. ამ შემთხვევაში პირველ რიგში ვგულისხმობთ იმ ძირითად ნიშნებს, რომელთა საფუძველზეც იკვეთებოდა არა მარტო ამა თუ იმ პოეტის პიროვნულობა, არამედ მისი აზროვნებისა და პოეზიის ინდივიდუალურობაც. თავდაპირველად შევეხოთ იმ პოეტებს, რომელნიც უპირატესად ელეგიასა და იამბის ჟანრში მოღვაწეობდნენ.

არქაული ხანის პირველი პოეტი, რომლის ცხოვრების დროის განსასაზღვრად კონკრეტული თარიღი მოგვეპოვება, არის არქილოქოს პაროსელი. მის პოეზიაში მოხსენებულია მზის დაბნელება, რომელიც ასტრონომთა აზრით, ძვ. წ. 648 წელს უნდა მომხდარიყო. არქილოქოს პაროსელიდან იწყება ლირიკული პოეზია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან მან შეძლო თავისი პოეტური „მე"-ს არა მარტო მკაფიოდ გამოკვეთა, არამედ ხშირად საზოგადოებაში აღიარებული ღირებულებების მიმართ მკვეთრი დაპირისპირებაც. ლირიკოსების შემოქმედების თანამედროვე მკვლევართა წინაშე უკვე არქილოქოს პაროსელიდან იკვეთება პრობლემა, რომლის გადაწყვეტა მეცნიერებისათვის ყოველთვის ადვილი არ არის. რასაც პოეტი აღწერს თავის ელეგიებსა და იამბებში ან ეპოდებში, არის ემპირიულ-ბიოგრაფიული ანუ ცხოვრებაში რეალურად განცდილი თუ მხოლოდ წარმოსახვით-ბიოგრაფიული. ა. მ., მისი ლექსების მიხედვით, არქილოქოსი წარჩინებული მამისა და მდაბიო ქალის შვილია, რის გამოც არ შეიძლება სრულუფლებიან მოქალაქედ ითვლებოდეს და იძულებულია დაქირავებულ მებრძოლად გაატაროს მთელი ცხოვრება. თითქოს ამ მიზეზით უნდა ეთქვა მისთვის უარი ლიკამბოსს თავისი ქალიშვილის, ნეობულეს მითხოვებაზე. თანამედროვე მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, შესაძლოა,

არქილოქოსი თავის პოეზიაში ამგვარი ადამიანის ნიღბით გვევლინებოდეს, სინამდვილეში კი იგი საკმაოდ გავლენიანი პიროვნება უნდა ყოფილიყო. ამჟამად, ჩვენს ყურადღებას იპყრობს მისი პოეზიის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა. იგი უპირისპირდება ე. წ. ომის რომანტიკას, ვაჟკაცობის ტრადიციულ გაგებას. გვიჩვენებს იმას, თუ როგორ შეუძლია საკუთარი ლექსებით იმდენად დამცინავი იყოს, რომ ადამიანები (ანეკდოტური ბიოგრაფიული ცნობების თანახმად, ლიკამბოსი და ნეობულე) თვითმკვლელობამდე მიიყვანოს. არქილოქოსი გვევლინება პირველ ლირიკოსად, რომელმაც ბერძნული აზროვნებისათვის ესოდენ დამახასიათებელი ზომიერების ანუ ორ უკიდურესობას შორის საშუალის არჩევის პრინციპი იქადაგა.

თუკი არქილოქოსთან, მიუხედავად მისი მკაფიოდ გამოკვეთილი გამკილავი, მეამბოხე პათოსისა, მაინც საკმაოდ მრავალფეროვანია „ლირიკული თემატიკა", დანარჩენ ელეგიკოსებთან და იამბოგრაფოსებთან უფრო მეტად ექცევა ყურადღება ადამიანური ცხოვრებისა და მოღვაწეობის რომელიმე კონკრეტულ სფეროს.

ელეგიკოს კალინოსისათვის, რომელიც არქილოქოსის თანამედროვეა, მთავარია პოლისური პატრიოტიზმი და მოქალაქეთა მოწოდება სიმამაცისაკენ, რადგან, მისი აზრით, უკვდავება ადამიანმა შეიძლება მოიპოვოს არა თავისი წარმომავლობის წყალობით, არამედ მხოლოდ სამშობლოსათვის, თავისი მშობლიური პოლისისათვის თავდადებით.

სემონიდეს ამორგოსელი (VII საუკუნის პირველი ნახევარი) იამბოგრაფიის ერთ-ერთი უპირველესი წარმომადგენელი, ორი ძირითადი ასპექტით წარმოგვიდგება: როგორც პოეტი-პესიმისტი, რომელიც ნათლად ხედავს ცხოვრების ამაოებას და იმის მომხრეა, რომ კაცი მოცემული წამით დატკბეს, ასევე ყურადღებას იპყრობს პოეტის მისოგინური ანუ ქალთმოძულე ტენდენციები. იგი ფიქრობს, რომ ცოლების ყველა ტიპს შორის, რომელთაც ათი წინაპარი ცხოველი ჰყავთ (მაიმუნი, ღორი, ძაღლი და ა. შ.), მხოლოდ ფუტკრისაგან წარმოქმნილი ქალები შეიძლება ჩავთვალოთ საუკეთესო ცოლებად. ხოლო დანარჩენები მხოლოდ გაიცხვას იმსახურებენ.

ტირტეოსი (ძვ. წ. VII საუკუნის მეორე ნახევარი) ბერძნული ტრადიციის მიხედვით, დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ხეიბრად, რომელიც ათენიდან სპარტაში გადავიდა და თავისი საბრძოლო ელეგიებით დაეხმარა სპარტელებს რომ მესენიელებზე საბოლოო გამარჯვება მოეპოვებინათ. დღეს ნათელი ხდება, რომ ტირტეოსი სპარტელი წარჩინებული უნდა ყოფილიყო, რომლის ძალზე საინტერესო ელეგიები ერთობ დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ როგორც სპარტაში, ასევე მთელ ანტიკურ სამყაროში. მის პოეზიას ახასიათებს საბრძოლო მოწოდებასთან ერთად საკმაოდ თავისებური ე. წ. რეპორტაჟული გადმოცემა იმისა, რაც ბრძოლის ველზე ხდება.

მიმნერმოსს (ძვ. წ. VII საუკუნის მეორე ნახევარი) ლირიკაში შემოაქვს ორი მნიშვნელოვანი თემა: 1. სიყვარულის (მის კრებულს ეწოდებოდა „ნანო", ალბათ, პოეტის საყვარელი ჰეტერას სახელის მიხედვით); 2. კაცის სიკვდილის ოპტიმალური ასაკის განსაზღვრის თემა. მიმნერმოსი თვლიდა, რომ კაცის ცხოვრებას მხოლოდ 60 წლამდე აქვს აზრი ანუ ვიდრე კაცს ძალუძს უყვარდეს (იგულისხმება ხორციელი სიყვარული).

საყურადღებოა ის წვლილი, რაც ლირიკაში შეიტანა სოლონმა (დაახლ. ძვ. წ. 640-560), ბრძენმა, ცნობილმა პოლიტიკოსმა და პოეტმა. მან თავისი ლექსების თემად აქცია საკუთარი კანონების აპოლოგია და ტირანიასთან მკვეთრი დაპირისპირება. ამის გარდა, იგი გვთავაზობს იმ სოციალური და პოლიტიკური პრობლემატიკის უაღრესად საინტერესო პოეტურ ანალიზს, რომელიც საზოგადოებას ყოველთვის აღელვებს: რატომ არ უნდა ესწრაფოდეს ადამიანი უკანონოდ გამდიდრებას, რატომ არის ტირანია დამღუპველი ქვეყნისათვის, რატომ არის გარდაუვალი კორუმპირებული პოლისისათვის დაღუპვა და ა. შ. სოლონმა მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა მიმნერმოსის „კონცეფციაში" და ლექსით

ურჩია თავის კოლეგას, რომ 60 წლის მაგივრად 80 წელი მიეჩნია სიკვდილისათვის შესაფერის ასაკად, რადგან ადამიანის ცხოვრებას მანამდე აქვს აზრი, ვიდრე იგი აზროვნებს და შეუძლია რაღაც ახლის სწავლა და შეცნობა. ადამიანის ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვების შემდეგ, სოლონმა შექმნა ელეგია, რომლის მიზანია დაყოს მოკვდავის ცხოვრება შვიდნლეულებად და აჩვენოს, თუ რა ხდება ყოველ ეტაპზე, რომელიც შვიდ წელს მოიცავს, როგორ ყალიბდება და ვითარდება ადამიანი და როდის და რატომ შეიძლება წავიდეს იგი ამ ცხოვრებიდან.

თეოგნის მეგარელი (ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ძვ. წ. VII, ზოგის კი – VI საუკუნის პოეტი) ვრცელ ელეგიურ ნაწარმოებში, რომელიც „თეოგნიდეას" სახელით არის ცნობილი, არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვადასხვა ეპოქის პოეტთა მიერ ელეგიური ფორმით გამოთქმული ბრძნული აზრების საოცრად მრავალფეროვან ნაკრებს გვთავაზობს.

საკმაოდ საინტერესო იყო პოეტი ჰიპონაქსი (ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარი) „ლუმპენპროლეტარული", მანანწალური პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელი, რომელიც დიდხანს მიაჩნდათ თავადაც სილარიბით გატანჯულ პოეტად, რამდენადაც მან თავად სილარიბე აქცია პოეტური განდიდების ობიექტად. ბოლო ხანებში მეცნიერება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჰიპონაქსიც თავის პოეზიაში მხოლოდ „ლუმპენპროლეტარის" ნიღბით წარმოგვიდგება. სინამდვილეში კი იგი წარჩინებული, საკმაოდ მდიდარი და გავლენიანი კაცი უნდა ყოფილიყო.

რამდენადმე განსხვავებულ სამყაროში გადავყავართ ბერძნული მონოდიის ბრწყინვალე წარმომადგენლებს, რომელთაგან, უპირველეს ყოვლისა, გამოიყოფა ერთსა და იმავე კუნძულზე, ლესბოსზე მოღვაწე ალკეოსი (ძვ. წ. VII საუკუნის მეორე ნახევარი) და საფო (ძვ. წ. VII საუკუნის მეორე ნახევარი) – პოეტი და პოეტესა, რომელთა პიროვნული ბედი ძალზე ჰგავდა ერთმანეთს, მაგრამ რომელთა პოეზია საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ორივენი არისტოკრატიული წარმომავლობის ოჯახიდან წარმოდგებოდნენ, ორივემ კუნძულ ლესბოსზე, მიტილენეში მომხდარი პოლიტიკური ბატალიების შედეგად ტირანების სათავეში მოსვლის შემდეგ, რეპრესიები განიცადა. ორივემ ბოლოს და ბოლოს კვლავ თავის კუნძულზე განაგრძო ცხოვრება და მოღვაწეობა. მაგრამ, თუკი პირველის ლექსებში ჩანს პოეტის პოლიტიკური ვნებები, პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი იმედგაცრუება, ცხოვრებისაგან ღვინისა და დროსტარების საშუალებით გაქცევის ნადილი, პოეტი ქალი საფო თითქოს მთლიანად გაემიჯნა პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროს. მისი პოეზია იმ ქალთა ცხოვრებით სუნთქავს, რომლებიც საფოს წრეს ქმნიდნენ, წრეს, რომლის ხელმძღვანელიც საფო იყო. სწორედ ამიტომ, საფოს პოეზიას მარადიული მშვენიერების სამყაროში გადავყავართ, სადაც არ არის ადგილი პოლიტიკური ვნებათაღელვისათვის. საფოს ლექსები იმდენად შემოსაზღვრულია ქალწულთა წრის ცხოვრებით, რომ მომდევნო საუკუნეებში საფოს ბრალიც კი დასდეს იმაში, თითქოს იგი სტიმულის მიმცემი იყო ქალთა შორის სიყვარულისა, რომელსაც ამის გამო შემდგომში ლესბოსური სიყვარული ეწოდა. ბოლო ხანების გამოკვლევები აჩვენებენ, რომ საფოს წრე ოდენ მუსიური ინტერესებით შეკრულ ქალწულთა ჯგუფი კი არ იყო, არამედ წარმოადგენდა ერთგვარ სააღმზრდელო ცენტრსაც, სადაც იზრდებოდნენ მომავალი ოჯახის ქალები. საყურადღებოა, რომ ყველაზე უფრო მდიდარ და ცნობილ პირებს სწორედ ამ წრიდან მოჰყავდათ ცოლებად საფოს აღზრდილები. რასაკვირველია, ძნელი საფიქრებელია, რომ ამ წრის წევრთა ცხოვრების პრინციპების მიმართ რაიმე ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მას სასიძოებს შორის ასეთი პოპულარობა ჰქონოდა. საფო არის პირველი პოეტთა შორის, რომელმაც ლირიკული აზროვნების სფეროში მრავალი სიახლე შემოგვთავაზა. მან პირველმა აღიარა, რომ მშვენიერება სუბიექტური ცნებაა, რომ ბედნიერება არ არის მატერიალური კეთილდღეობა. ყველაზე დიდი ბედნიერება არის მშვენიერებასთან მარა-

დიული ზიარების შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ მისი პოეზია საოცრად ოპტიმისტურია, რადგან თავად პოეტს სწამს, რომ მუზის წყალობით ისიც, როგორც პოეტი, უკვდავია. საფოს პოეზიამ ქალთა პოეტური შემოქმედების ერთგვარი მოდელი შექმნა, რომელმაც ნეგატიურად იმოქმედა ქალთა პოეზიის განვითარებაზე ანტიკურ სამყაროში. გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული, როცა საფო პოპულარული ხდება, ქალები, არსებითად, საფოს შემოქმედებაში წარმოდგენილი თემატიკით იფარგლებიან, თუმცა ისინი საკმაოდ შორს არიან საფოს პოეტურობისა და ქალთა გრძნობების ესოდენ მომხიბვლელი განზოგადებისაგან.

უაღრესად თავისებურია ანაკრეონის (ძვ. წ. VI ს.) პოეზია. პოეტი, რომელმაც პირად ცხოვრებაში, ალბათ, ყველა სხვა პოეტზე მეტად ნახა ცხოვრების ამაოება, პოეტი, რომელსაც საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება ყველაზე მეტად აძლევდა საბაბს, რომ პესიმისტი ყოფილიყო, სინამდვილეში კი მარადიული ოპტიმიზმისა და უზრუნველობის სიმბოლოდ იქცა. მისი პოეზია ვარდისფერი სათვალეებით დანახული სამყაროა. ეს არის მუდმივი ხალისი და სიამოვნებისაკენ ლტოლვა, რომელსაც ვერ აბრკოლებდა ვერც სიბერე, ვერც ავადმყოფობა, ვერც ცხოვრებისეული უბედურება. ანაკრეონი სიძნელეებითა და უბედურებით აღსავსე ცხოვრებას უპირისპირდება თავისი პოეზიის ზედაპირული, ჰედონისტური ხასიათით. ამიტომ მას თავად პლატონი თვლიდა ერთ-ერთ ყველაზე უფრო ბრძენ პოეტად. მისთვის უდარდელობა, ჰედონიზმი ცხოვრებისეული ფილოსოფიაც იყო და ცხოვრების დარტყმათაგან თავის დაცვის უებარი საშუალებაც.

ბერძნული სამყაროსათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ქორიკის წარმომადგენელთა შემოქმედება. ქორიკა არის პოეტური ფორმით გამოხატული და გუნდის სიმღერით წარმოდგენილი დამოკიდებულება ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, ოჯახის, პოლისის, ღმერთის და ა. შ. მიმართ. მართალია, აქ საკმაოდ კარგად ჩანს პოეტური „მე“, მაგრამ მეტწილად ქორიკა ასრულებს იმ საზოგადოების დაკვეთას, რომლისთვისაც იწერება საგუნდო სიმღერა. სწორედ ამიტომ გამოირჩევა ალკმანის (ძვ. წ. VII ს.) ქალწულთა ქოროები საოცარი ინტიმურობით და მხოლოდ ქალთა გარკვეული წრისათვის გასაგები მინიშნებებით.

სტესიქოროსის პოეზია თავისი მასშტაბურობითა და მითოლოგიური მასალის საკმაოდ საინტერესო ინტერპრეტაციით გამოირჩევა. ცნობილია მისი პალინოდია. ანეკდოტური გადმოცემის მიხედვით, ერთ-ერთ საგუნდო სიმღერაში ელენეს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების დაფიქსირების გამო ღმერთს პოეტისთვის სიბრმავე მოუვლენია. მაშინ სტესიქოროსს შეუქმნია ამ ოდის საპირისპირო ოდა, რომელშიც იგი საფუძველს უდებს ელენეს შესახებ არსებული მითის ერთ-ერთ ვერსიას, რომლის მიხედვითაც, პარისს ტროაში ელენე კი არა, მხოლოდ ამ მშვენიერი ქალის ღმერთების მიერ შექმნილი ლანდი გაპყოლია, ხოლო თავად ელენე ეგვიპტეში აღმოჩენილა, სადაც თავისი ქმრის ერთგული დარჩა.

ქორიკოსი იბიკოსი (დაიბადა, ალბათ, ძვ. წ. 576 წელს) დიდი ხნის განმავლობაში იმ პოეტთა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომლის შემოქმედებას თანამედროვე ევროპის საზოგადოება ძალზე ცუდად ან თითქმის არ იცნობდა, თუმცა იგი უაღრესად პოპულარული იყო. ამ გარემოებას განსაზღვრავდა ანეკდოტური გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, იგი ყაჩაღებმა მოკლეს გაძარცვის მიზნით. სიკვდილის წინ მის თავზე წეროებმა გადაიფრინეს, რომელთა დანახვისას იბიკოსმა წამოიძახა: „წეროები იძიებენ შურს“. რაკი თავი სამშვიდობოზე ეგონათ, ქალაქში წეროების დანახვაზე ყაჩაღებმა წამოიძახეს: „იბიკოსის წეროები“. ეს ფრაზა მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ყველაფერი გაირკვა და მათ სასტიკად გაუსწორდნენ. ეს ლეგენდა მშვენიერ ბალადად დაამუშავა შილერმა, რომლის წყალობითაც „ღვთაებრივი იბიკოსის“ სახე სამუდამოდ ჩარჩა აზროვნებაში ასიათასობით ევროპელ მოსწავლეს. ახალმა პაპიროლოგიურმა აღმოჩენებმა ნათელყვეს, რომ იბიკოსი წარმოადგენს ჭეშმარიტად გარდამავალ საფეხურს ძველ ქორიკოსებს – ალკმანსა და სტე-

სიქოროსს და ახალ ქორიკოსებს – სიმონიდეს კეოსელს, პინდაროსსა და ბაკქილიდესს შორის.

ამ უკანასკნელთაგან უდიდესი სახელი და პატივი პინდაროსს (უნდა დაბადებულიყო ძვ. წ. 522 ან 518 წელს) ხვდა, რომლის პოეზიას ბერძნები ჰომეროსის გვერდით აყენებდნენ და რომლის ღირსებების შეფასებისასაც საკმაოდ პარადოქსულია თანამედროვე ლიტერატურის ისტორიკოსთა დამოკიდებულება. ბევრი აღიარებს, რომ პინდაროსი, რომელიც განადიდებს ოლიმპიურ და სხვა თამაშობებში გამარჯვებულებს, ფაქტობრივად, ყველა ოდაში ერთსა და იმავეს უმღერის მსგავსი ფორმით. ამასთან, უკიდურესად ასოციაციური აზროვნების გამო, ძალზე ძნელია მისი ყველა მინიშნებისა და სიმბოლოს წვდომა. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ პინდაროსი თითქოს ასეთი „ბანალური" და „გაუგებარია", ყველანი ერთხმად აღიარებდნენ და დღესაც აღიარებენ, რომ იგი უდიდესი პოეტია. საგუნდო ლირიკამ, განსაკუთრებით, მისი განვითარების დამაგვირგვინებელ ეტაპზე, ძალზე მაღალ დონეზე აიყვანა პროფესიონალიზმი პოეზიაში. პოეტი თავისი წრის ან თავისი მფარველის დასატკბობად კი არ ქმნიდა სიმღერებს, არამედ შეკვეთით, გარკვეული საზღაურის ფასად. მისი დამკვეთნი იყვნენ გამარჯვებული გმირების ქალაქები, გარდაცვლილთა ახლობლები, საკულტო დღესასწაულის მომწყობნი და ა. შ. შეკვეთით ერთობ შეზღუდულ პოეტს უნდა მოეხერხებინა მაქსიმალურად გამოევლინა თავისი პოეტური შესაძლებლობანი. დღეს ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეიძლება პოეტმა მიიღოს შეკვეთა მისთვის სრულიად უცნობი ათლეტის გამარჯვებასთან დაკავშირებით ოდის შესაქმნელად და მოახერხოს იმ რანგის პოეტური ნაწარმოების შექმნა, რომელიც ნაციონალური პოეზიის სიამაყედ გადაიქცევა. ბერძნულმა საგუნდო ლირიკამ ეს შეძლო და, რაც მთავარია, მაღალი პოეტური განზოგადების წყალობით მან შეძლო მოეხდინა შეკვეთის კონკრეტულობის ნეიტრალიზაცია.

საგუნდო ლირიკის უკანასკნელი სამი წარმომადგენელი არქაიკისა და კლასიკის მიჯნაზე მოღვაწეობდა. ამდენად, ისინი ორ ეპოქასთან არიან დაკავშირებულნი. იგივე ითქმის ისეთი კომპლექსური და პოპულარული ჟანრის შესახებ, როგორიც არის დრამა. იგი შეიქმნა არა უგვიანეს ძვ. წ. VI საუკუნისა, მაგრამ უმაღლეს განვითარებას კლასიკის ეპოქაში მიაღწია.

**კლასიკის პერიოდი.** კლასიკის ეპოქად დღეს ძვ. წ. V-IV საუკუნეებს მიიჩნევენ. ისტორიისადმი მიძღვნილ თავში მსჯელობა გვექნება იმაზე, თუ რა როლი შეასრულა კლასიკური პერიოდის ბერძნული კულტურის ჩამოყალიბებაში ბერძენ-სპარსელთა ომებში მოპოვებული გამარჯვებით გამოწვეულმა აღმაფრენამ. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ, როგორც საერთოდ მხატვრული კულტურისათვის, ასევე, კერძოდ, კულტურისათვის კლასიკური ეპოქა იყო უმაღლესი გაფურჩქნის ხანა. ყოველივე იმან, რამაც განვითარება დაიწყო და ძალა მოიკრიბა არქაიკის ეპოქაში, თავის კულმინაციურ საფეხურს კლასიკაში მიაღწია. სწორედ ამ ეპოქაში ჩამოყალიბდა დიდი და მნიშვნელოვანი ლიტერატურული თუ პოეტური ფორმები, როგორც სრულყოფილი სისტემები. ამ თვალსაზრისით, ლიტერატურის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბერძნული დრამა.

გარკვეული სანახაობის, წარმოდგენის პრაქტიკა სხვადასხვა ხალხსა და რეგიონში ჯერ კიდევ კლასიკურ ბერძნულ კულტურამდეც არსებობდა. ცნობილია, რომ მინოსური კრეტის სასახლეების კომპლექსებში, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი არქიტექტურული ელემენტი, შედიოდა ნაგებობები, რომლებშიც აშკარად რაღაც ტიპის წარმოდგენები იმართებოდა, რადგან იქ იყო მაყურებელთა დასაჯდომი ადგილები და მოედანი. დღეს ძნელია იმისი თქმა, თუ რა ხასიათის სანახაობები იმართებოდა იქ, სამაგიეროდ, სრულიად გარკვევით შეგვიძლია იმის მტკიცება, რომ თეატრი, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით,

პირველად სწორედ საბერძნეთში აღმოცენდა, ალბათ, ძვ. წ. VI საუკუნეში. აქვე შეიქმნა თეატრთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, პირველი დრამატული ჟანრები – ტრაგედია და კომედია, პირველი წერილობით ფიქსირებული პიესები; ამ საუკუნიდან არიან ცნობილნი პირველი დრამატურგები და, რაც მთავარია, ამ დროს მიეცა დასაბამი პირველი თეატრალური ფესტივალების მოწყობის პრაქტიკას. დღეს დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველი ტრაგიკული აგონი თესპისის სახელთან არის დაკავშირებული და იგი ძვ. წ. 534 წელს გაიმართა. კომედია, შესაძლოა, უფრო ადრე წარმოიქმნა, მაგრამ თეატრალურ ფესტივალებში იგი ძვ. წ. 487-6 წლიდან ჩართეს. დღეს მეცნიერებაში არ არის ერთიანი აზრი იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოიქმნა ტრაგედია და კომედია, მაგრამ არავინ არ დავობს იმაზე, რომ ორივე მათგანი თავისი წარმოშობით მჭიდროდ არის დაკავშირებული დიონისეს კულტთან.

ტრაგედიის წარმოშობისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიონისესადმი მიძღვნილ ე. წ. ტრაგიკული ქოროების დითირამბებს, ხოლო კომედიისათვის – ამავე ღმერთის კულტთან დაკავშირებულ სამხიარულო პროცესიებს – კომოსებს. სწორედ ამიტომ დრამასთან ესოდენ ორგანულად არიან დაკავშირებულნი ის ატრიბუტები და არსებები, რომლებიც დიონისეს კულტის განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენენ: სატირები, სილენოსი, მენადები და ა. შ. თავად ტერმინი *ტრაგედია* ხომ ოდითგანვე გააზრებული იყო როგორც „თხის სიმღერა", ხოლო თხაში, შესაბამისად, დიონისეს კოსტიუმირებული გუნდის წევრი იგულისხმება. იმავე პრინციპით არის ნაწარმოები ტერმინი *კომედიაც*, რომელშიც, როგორც ფიქრობენ, პირველი ნაწილი აშკარად „კომოსი" უნდა ყოფილიყო. დიონისეს კულტთან ტრაგედიის კავშირს ისიც გვიჩვენებს, რომ საკმაოდ ადრე თეატრალურ ფესტივალებში დამკვიდრდა შემდეგი ტრადიცია: თითოეული ტრაგიკოსი შეჯიბრებაზე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სამი ტრაგედიითა და ერთი სატირული დრამით ანუ სამი სერიოზული, ცრემლის აღმძვრელი პიესითა და ერთი, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, ქარაფშუტული, სიცილის გამომწვევი ნაწარმოებით, რომლის პერსონაჟთა შორის აუცილებელი იყო სატირების ყოფნა, როგორც დრამის დიონისესთან ორგანული კავშირის სიმბოლოებისა.

მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო დრამის თითოეული ამ სახის, ტრაგედიისა და კომედიის წარმოშობისა და ჩამოყალიბების გზა, აშკარაა, რომ მათ მრავალი თვალსაზრისით უდიდესი გადატრიალება მოახდინეს კაცობრიობის მხატვრული კულტურის განვითარებაში. შევეხოთ ამ რევოლუციური გარდატეხის ზოგიერთ მომენტს: ა) თუკი დრამის წარმოქმნამდე ლიტერატურულ პროდუქციაში სამი ტიპის ინფორმაცია მონაცვლეობდა — სერიოზული, არასერიოზული და ნეიტრალური — ტრაგედიისა და კომედიის ჩამოყალიბებამ მოახდინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ შორის ინფორმაციის ტიპების განაწილება; ტრაგედიაში კონცენტრირებული იქნა სერიოზული, ცრემლის მომგვრელი ინფორმაცია, ხოლო კომედიაში – არასერიოზული, სიცილის გამომწვევი; ბ) თუკი მანამდე ნებისმიერი ლიტერატურული ჟანრი სარგებლობდა უპირატესად ტექსტის შესრულების გარკვეული პრინციპით, დეკლამაციით ან სიმღერით, დრამამ შემოგვთავაზა პიესის მოქმედებაში როლის შესრულება თამაშის საშუალებით. ადვილი წარმოსადგენია, რა ეფექტს მოახდენდა პოეტური ფესტივალების მომსწრე ბერძენ მაყურებელზე ის, რომ მის წინ გამოდიოდა არა რაფსოდი ან პოეტი ან სულაც გუნდი რაღაც ნაწარმოების შესრულებით, არამედ პიროვნება, რომელიც რომელიღაც მითოლოგიურ ან ისტორიულ პიროვნებაში იყო გარდასახული. ამ შემთხვევაში მაყურებლის წინ სცენაზე წარსდგებოდნენ თავად აგამემნონი, აქილევსი, მედეა და სხვა; გ) დრამამ მოახდინა ხელოვნების თითქმის ყველა სფეროს სინთეზირება. აქ იყო ეპოსისათვის ნიშანდობლივი ნარატიული მომენტი, ლირიკისათვის ნიშანდობლივი მუსიკა და სიმღერა, ქოროს თანმხლები ცეკვა და ფერხული, სკულპტურის პლასტიკურობა, ფერწერისათვის დამახასიათებელი ფერადოვანი კოსტიუმები და ნიღბები,

ადამიანის ვოკალური თუ გარეგნული გარდასახვის შესაძლებლობები (ბერძნულ დრამაში მამაკაცები ასრულებდნენ ქალების როლებსაც).

დრამამ შვა იმ სპეციალური ნაგებობების აშენების საჭიროება, რომელთაც თეატრი ეწოდა. θέατρον ბერძნული სიტყვაა და იგი წარმოდგება ზმნისაგან θεάομαι („ვუყურებ"). დღესაც გაოცებას იწვევს ბერძნული თეატრის არქიტექტონიკა და მისი სრულიად უნიკალური აკუსტიკური შესაძლებლობანი. ბერძნებმა შექმნეს, ერთი მხრივ, სტაციონარული, ხოლო, მეორე მხრივ კი, ე. წ. მოძრავი თეატრები. გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ თესპისის დროის თეატრებს (ძვ. წ. VI ს.) მოძრავი პლატფორმები ჰქონდათ. უკვე ძვ. წ. V საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული თეატრები არსებულა არა მარტო ხალხმრავალ ქალაქებში, არამედ — სოფლადაც. გარკვეული პერიოდიდან კი ბერძნული სამყარო იმდენად დაიფარა თეატრების ქსელით, რომ მოძრავი თეატრის საჭიროება აღარ იყო. თეატრალური ფესტივალი, თავისი კლასიკური სახით, ათენში იშვა და არც არის გასაკვირი, რომ სწორედ ათენმა აჩუქა კაცობრიობას უდიდესი დრამატურგები.

თეატრალური ფესტივალი თავისი კლასიკური სახით, თუ უშუალოდ პიესების წარმოსადგენი დღეების რაოდენობას გავითვალისწინებთ, ხუთ დღეს მოიცავდა. პირველი იყო გუნდების გრანდიოზული გამოსვლის დღე, მეორე დღეს ხდებოდა ხუთი კომიკოსის პიესის წარმოდგენა. ბოლო სამი დღის განმავლობაში კი ტრაგიკოსთა აგონები იმართებოდა. თითოეული ტრაგიკოსი გამოდიოდა სამი ტრაგედიითა და ერთი სატირული დრამით. მარტო ათენში წელიწადში სულ ცოტა სამი ასეთი ფესტივალი იმართებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დიდი დიონისიები, რომელიც აკროპოლისის ძირში განლაგებულ დიონისეს თეატრში ტარდებოდა. ასევე ცნობილი იყო ლენეები და, როგორც ჩანს, თეატრალური პროდუქციის წარმოდგენას გარკვეულად უკავშირდებოდა სოფლის დიონისიებიც. და, მაინც, შეიძლება ითქვას, როდესაც ცნობილ ათენელ დრამატურგთა წარმატებებზე ლაპარაკობენ, ძირითადად, ფიქსირდება ის, თუ ვინ რომელი ადგილის მფლობელი გახდა და როდის მოიპოვა გამარჯვება დიდ დიონისიებსა თუ ლენეებზე.

ბერძნული ცივილიზაციის ერთ-ერთ არსებით თავისებურებად თანამედროვე მეცნიერები მის აგონისტურ სულს მიიჩნევენ. აქ ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეჯიბრს ადამიანური შემოქმედების ყველა სფეროში. ეს სული, შეიძლება ითქვას, მთელი თავისი ბრნყინვალებით დრამატულ ფესტივალებში გამოვლინდა. აქ ხდებოდა სპეციალური „ჟიურის" მიერ თეატრალურ აგონში მონაწილე დრამატურგთათვის ადგილების განსაზღვრა, რამდენადაც ტრაგიკულ ფესტივალში სამი წინასწარ შერჩეული დრამატურგი იღებდა მონაწილეობას. გამარჯვება ეკუთვნოდა პირველი ადგილის მფლობელს, მესამე ადგილზე გასული კი დამარცხებულად ითვლებოდა. რაც შეეხება კომედიების ავტორებს, გამარჯვებულად პირველ ადგილზე გასული ითვლებოდა, მაგრამ საპატიო ოყო მეორე ადგილზე გასვლაც, რადგან შეჯიბრებაში ხუთი დრამატურგი მონაწილეობდა.

ჯერ ათენში, ხოლო შემდეგ კი მთელს ელინურ სამყაროში თეატრი პოლისის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენდა და ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ მის ორგანიზაციას კლასიკურ ათენში უმაღლეს სახელმწიფო მოხელეს ე. წ. არქონ-ეპონიმს აკისრებდნენ. თეატრალური შეჯიბრებების შედეგები სპეციალურ დიდასკალიებში ფიქსირდებოდა. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამის წყალობით ხშირად უფრო ზუსტი ინფორმაცია გვაქვს იმის შესახებ, თუ როდის და რომელი პიესით მოიპოვა ამა თუ იმ დრამატურგმა გამარჯვება კლასიკურ ათენში, ვიდრე იმაზე, თუ როგორი იყო თეატრების რეპერტუარი თანამედროვე ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

რასაკვირველია, დრამის ორი ძირითადი ჟანრის – ტრაგედიისა და კომედიის — გამოკვეთამ დასვა მათი დეფინიციის საკითხი. ჭეშმარიტებაა, რომ ტრაგედიის არსს ტრაგიკული სული განსაზღვრავს, მაგრამ ის, თუ როგორ უნდა გავიგოთ დრამის ამ სახეობის ეს

თავისებურება, მეცნიერთა შორის ბევრ კამათს იწვევს. დღეს მეცნიერებაში მიაჩნიათ, რომ კლასიკური ტრაგედია ისეთ უბედურებას წარმოაჩენს, რომელიც ხდება ან შეიძლება მოხდეს და რომელიც თავისი უჩვეულობით, არაორდინარულობით ზარავს ადამიანს. ა. მ., ის, რომ ახლობლის სიკვდილი ოჯახის წევრებისა და ნათესავებისათვის ძნელი გადასატანია, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ რაოდენ რეალისტურადაც არ უნდა აღწეროს პიესამ ხანდაზმული ადამიანის სიკვდილი, რაოდენ ცრემლის აღმძვრელიც არ უნდა იყოს მისი ნათესავებთან განშორება, ეს პიესა ვერ ჩაითვლება ტრაგედიად, რადგან იგი არ არღვევს იმ წესრიგს, რომელიც სამყაროში არსებობს და რომლის კანონებსაც ადამიანები შეგუებულნი არიან: მოკვდავი ხანდაზმულობის ან მძიმე ავადმყოფობის შედეგად შეიძლება გარდაიცვალოს. როგორც კი ამგვარ უბედურებას, რომელსაც ადამიანები შეგუებულნი არიან და რომელშიც არაფერს არაორდინარულს არ ხედავენ, ჩაენაცვლება ის, რაც არ არის ჩვეულებრივი, მაგალითად, მშობლები კლავენ შვილებს ან, პირიქით, შვილები ასალმებენ სიცოცხლეს მშობლებს, ეს უკვე გადის ჩვეულებრივის ფარგლებიდან და განსაკუთრებულ ძრწოლას იწვევს. ანტიკურ სამყაროში არისტოტელემ ძალზე საინტერესოდ განსაზღვრა ამ ძრწოლის ეფექტი. ეს არის ტრაგიკული კათარსისი.

თავისთავად ცნება *კათარსისი* აღნიშნავს განწმენდას, გასუფთავებას, მაგრამ მეცნიერებისათვის, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია, ვის და ამასთანავე რისგან განწმენდას გულისხმობს არისტოტელე. უკანასკნელ ხანებში მეცნიერებაში უფრო მეტად მიღებულია ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ცნება *ტრაგიკულ კათარსისს* აქვს სამედიცინო დატვირთვა. ეს გულისხმობს ადამიანის დაცლას ყველა სხვა ემოციისაგან შიშისა და ძრწოლის მომენტში, როდესაც იგი ტრაგედიის წყალობით სწორედ იმ არაორდინარული უბედურების თანაზიარი ხდება, რომელზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

რაც შეეხება კომედიას, ძველ საბერძნეთში კომედიამ განვითარების რამდენიმე ფაზა განვლო. კლასიკურ ეპოქაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ძველი ატიკური კომედია (ძირითადად, ძვ. წ. V საუკუნითა და IV საუკუნის დასაწყისით შემოიფარგლება), რომელსაც ახასიათებდა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი „სამიზნეების" შერჩევა და მათი გაკილვა. შემდეგი ფაზა იყო საშუალი ატიკური კომედია (ძირითადად, ძვ. წ. IV საუკუნის 80-იანი წლებიდან ამავე საუკუნის მეორე ნახევრამდე), როდესაც კომედია კარგავს პოლიტიკურ პათოსს და მასში შემოდის ყოფითი ელემენტები. დამასრულებელი ფაზა იყო ახალი ატიკური კომედია (ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულიდან ძვ. წ. 120 წლამდე), რომელიც უკვე გულისხმობს საბოლოოდ უარის თქმას შეგნებულ პოლიტიკურ „სამიზნეებზე" და კომედიის თითქმის მთლიანად ყოფით, ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების წარმომჩენ კონტექსტში გადმოტანას.

კომედიურობის მუხტის ყველაზე მკაფიო მატარებელი, როგორც ჩანს, მაინც ძველი ატიკური კომედია იყო. არისტოტელეს სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, კომედია არის მანკიერების ისეთი დაცინვა, რომელიც არ იწვევს ტკივილს. კლასიკური ეპოქის კომედიოგრაფოსებმა მშვენივრად აუღეს ალღო იმას, თუ რა შეიძლება გახდეს სიცილის საფუძველი კომიკურ სიუჟეტში. მრავალ სხვა მომენტთან ერთად მათ შემოგვთავაზეს პრინციპი: კომედიაში სერიოზული მიზანი წყდება არასერიოზული საშუალებით ან, პირიქით, არასერიოზული მიზანი წყდება სერიოზული საშუალებით. ეს სხვა მომენტებთან ერთად არის სიცილის ძირითადი მაპროვოცირებელი. შესაბამისად, მანკიერებაზე სიცილის ძირითადი შედეგი იყო კომიკური კათარსისი ანუ განწმენდა სიცილის საშუალებით.

კლასიკურ ეპოქაში მრავალი ასეული დრამატურგი მოღვაწეობდა. ტრაგიკოსებიდან ჩვენამდე სრულად შემორჩა ესქილეს 7 ტრაგედია: „სპარსელები", „შვიდნი თებეს წინააღმდეგ", „მავედრებელი ქალები", „მიჯაჭვული პრომეთე", ტრილოგია „ორესტეა": „აგამემნონი", „ქოეფორები", „ევმენიდები". სოფოკლეს 7 ტრაგედია: „აიასი", „ანტიგონე",

„ტრაქისელი ქალები“, „ოიდიპოს მეფე“, „ელექტრა“, „ფილოქტეტესი“, „ოიდიპოსი კოლონოსში“. ევრიპიდეს 17 ტრაგედია და 1 სატირული დრამა: „ალკესტისი“, „მედეა“, „ჰიპოლიტოსი“, „ჰეკაბე“, „ანდრომაქე“, „ჰერაკლიდები“, „მავედრებელი ქალები“, „ჰერაკლე“, „ტროელი ქალები“, „ელექტრა“, „იფიგენია ტავროსელებში“, „ელენე“, „იონი“, „ფინიკიელი ქალები“, „ორესტესი“, „იფიგენია ავლისში“, „ბაკქი ქალები“; სატირული დრამა „კიკლოპი“. რაც შეეხება კიდევ ერთ ტრაგედიას „რესოსს“, მეცნიერთა უმეტესობის აზრით, იგი უცნობ ავტორს ეკუთვნის. ყველა დანარჩენ შემთხვევაში შემოგვრჩა მხოლოდ დრამატურგთა სახელები და პიესების მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ფრაგმენტები. რაც შეეხება კლასიკურ კომედიას, ჩვენამდე სრული სახით მოაღწია არისტოფანეს 11 კომედიამ. ხოლო სხვა მრავალი კომედიოგრაფოსის შემოქმედების შესახებ ძალიან ზოგადი მსჯელობა შეგვიძლია ოდენ მათი სახელებისა და ნაწარმოებთა ფრაგმენტების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე მოღწეული დრამები იმ რეალური დრამატული პროდუქციის მხოლოდ ერთობ უმნიშვნელო ნაწილია, რაც კლასიკურ ეპოქაში შეიქმნა, მათი გათვალისწინებით მაინც შეიძლება გარკვეული აზრი შევიქმნათ ბერძნული ტრაგედიისა და კომედიის შესახებ მათი უმაღლესი გაფურჩქნის პერიოდში.

უკვე ანტიკურობაში მიღებული იყო აზრი, რომ ბერძნული ტრაგედიის მუზამ თავისი კულმინაციური გამოხატულება სწორედ ჩვენამდე მოღწეულ ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს შემოქმედების სახით პოვა. ძვ. წ. 406 წელს, როდესაც გარდაიცვალნენ ევრიპიდე და სოფოკლე, მათი უმცროსი თანამედროვენი ტრაგედიის „გარდაცვალების“ წლად მიიჩნევდნენ. თუმცა შემდგომ, ანტიკურობის დაქვეითებამდე, უამრავი ახალი ტრაგედია შეიქმნა. და მაინც, ამგვარ დამოკიდებულებას, როგორც ჩანს, რეალური საფუძველი აქვს ტრაგედიის ფორმირების თვალსაზრისით. ესქილემ, სოფოკლემ და ევრიპიდემ შექმნეს და სრულყვეს კლასიკური ტრაგედიის ის მოდელი, რომლის რეალური ტრანსფორმაცია შემდეგი თაობების დრამატურგებმა ვეღარ შეძლეს და, შესაბამისად, ტრაგედიის განვითარების პროცესი, ფაქტობრივად, შეჩერდა. მას, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ ტექნიკურ და გარეგან მომენტებს, აღარ განუცდია ანტიკურ საბერძნეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ ტრაგიკოსს ტრაგედიის სტრუქტურის, მისი წარმოდგენის, მსახიობებისა და გუნდის მოქმედებაში ჩართვის დონეზე მრავალი საერთო ახასიათებთ, მათი შემოქმედება ერთმანეთისაგან მრავალი არსებითი, პრინციპული მომენტით განსხვავდება.

ესქილემ (ძვ. წ. 525/4-458) პირველმა ჩართო ტრაგედიის მოქმედებაში 2 მსახიობი, ეს იმას ნიშნავს, რომ, თუმცა ნებისმიერ პიესაში მოქმედ პირთა რაოდენობა შეიძლება ბევრი იყოს, ერთ სამოქმედო ეპიზოდში ორზე მეტი არ მონაწილეობს. მან ტრაგედიის გუნდის რაოდენობა 12 კაცის შემადგენლობით განსაზღვრა. სოფოკლემ მსახიობთა რაოდენობა სამამდე აიყვანა, რაც თავისი შემოქმედების ბოლო პერიოდში ესქილემაც მიიღო და გაიზიარა. სოფოკლემვე გუნდის რაოდენობა 15 შემსრულებლამდე გაზარდა.

თითოეული ამ ტრაგიკოსის პიესა გარკვეულ სტრუქტურას შეიცავდა. ეს იყო პროლოგი, რომელიც, ჩვეულებრივ, გუნდების სცენაზე გამოსვლას უძღოდა წინ და ერთი მსახიობის ე. წ. შესავალ პარტიას წარმოადგენდა დრამისათვის. ამას მოსდევდა პაროდოსი, ანუ გუნდის შემოსვლა. შემდეგ მიმდინარეობდა მოქმედება ეპისოდიონების საშუალებით, ხოლო ეპისოდიონებს შორის იყო სტასიმონები ანუ გუნდის პარტიები მსახიობების გარეშე. პიესა მთავრდებოდა ექსოდოსით (ფინალური ნაწილით, რომელსაც ტრაგედიაში აღარ მოსდევს გუნდის სიმღერა).

ტრაგედიისათვის თითქმის კანონიკური იყო მითოლოგიური თემატიკა და ძალზე იშვიათი იყო სიუჟეტისათვის თანამედროვე ისტორიული ამბების გამოყენება. რამდენადაც

მითოლოგიური სიუჟეტების რაოდენობა, განსაკუთრებით მათი, რომელნიც ტრაგედიისათვის შესაფერის ფაბულას შეიცავდნენ, არ იყო განუსაზღვრელი, ხოლო ტრაგედიების რაოდენობა კი ერთობ დიდი იყო, ძალზე ხშირად სხვადასხვა ტრაგიკოსი ერთსა და იმავე ფაბულას ირჩევდა. ამგვარი შემთხვევა ჩვენამდე მოღწეულ ტრაგედიებშიც კი შეგვიძლია გამოვავლინოთ. სწორედ ამიტომ, თუკი ტრაგიკოსთა შემოქმედებას მხოლოდ ფორმალური ნიშნებით შევაფასებთ, მათ შორის ძალზე დიდი იქნება მსგავსება, მაგრამ საკმარისია, ტრაგედიებს კონცეპტუალური თვალსაზრისით მივუდგეთ, რომ აქ საკვანძო აშკარა იქნება არსებითი განსხვავება კლასიკური ეპოქის სამ გენიოსს შორის. ა. მ., ესქილეს ტრაგედიებში კონფლიქტის განვითარების სრულიად გარკვეული პრინციპი იყო რეალიზებული. ტრილოგიები შინაარსობრივად ერთმანეთს აგრძელებდნენ: ტრილოგიის შემადგენელ ორ პირველ ტრაგედიაში აღწერილი იყო ჭეშმარიტად ტრაგიკული კონფლიქტი, მესამე ტრაგედიაში ხდებოდა განმუხტვა და გადმოცემული იყო ღვთაებრივი შერიგების ეპიზოდი. შესაბამისად, ესქილესთან კონფლიქტი, რომელიც სტიმულირებული იყო ღვთაებრივი ნებით, მთავრდებოდა ღვთაებრივი შერიგებით. აქედან გამომდინარე, ესქილეს ჰქონდა ადამიანის თავისეული კონცეფცია: მისი პერსონაჟები, ფაქტობრივად, ძალზე უახლოვდებოდნენ ზეადამიანებს, რომლებიც თავიანთ მოქმედებას ღვთაებრივ ნებასთან შეთანხმებით წარმართავდნენ. საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი ტრილოგია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია – „ორესტეა" („აგამემნონი", „ქოეფორები", „ევმენიდები") – ესქილეს შემოქმედების ერთ-ერთი ბოლო ქმნილება, სრულად წარმოგვიდგენს როგორც კონფლიქტის განვითარების ჩვენ მიერ მოხსენიებულ პრინციპს, ასევე გმირის მისეულ კონცეფციას. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ, არსებითად, ესქილემ შექმნა გარკვეული სიუჟეტების ტრაგიკული ტრანსფორმაციისათვის ფაბულის განვითარების ერთგვარი სქემები, რომლებიც შემდგომ სხვა ტრაგიკოსებისათვის ხდებოდა ამოსავალი. ა. მ., „ქოეფორები" აშკარად ამგვარ პარადიგმატულ მნიშვნელობას იძენს სოფოკლესა და ევრიპიდესათვის ელექტრას სახის დამუშავებისას. ისტორიულ თემაზე შექმნილი ტრაგედიებიდან მხოლოდ ესქილეს ერთადერთი ტრაგედია „სპარსელები" შემოგვრჩა, რომელიც საკმაოდ კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება ისტორიული მოვლენის გარკვეული მითოლოგიზაციის პრინციპით კონკრეტულ-ისტორიულის ტრაგიკულამდე ამაღლება. ესქილემ პრომეთეს სახე, რომელიც ჰესიოდესთან ზევსთან დაპირისპირებულ კულტურულ გმირად წარმოგვიდგება, გადააქცია ჭეშმარიტად მეამბოხე, ადამიანებისათვის სიკეთის მომტან, ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლ სახე-სიმბოლოდ.

სოფოკლე (ძვ. წ. 497/6-406) უარს ამბობს ტრაგედიების ერთიან კონფლიქტურ სქემაში მოქცევის ესქილესეულ პრინციპზე. მასთან ტრილოგიები სიუჟეტურად დამოუკიდებელ პიესებს წარმოადგენენ. ძირეულად არის შეცვლილი ადამიანის კონცეფციაც. უკვე ანტიკურობაში მიიჩნეოდა, რომ იგი ადამიანებს გვიხატავს ისეთებად, როგორებიც ისინი უნდა იყვნენ. ამ შემთხვევაში, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, საქმე ეხება არა იდეალურ გმირს, არამედ პროტაგონისტს, რომლის მიერ დათმენილი ტანჯვა ადამიანებში ჰუმანიზმის, ურთიერთსიყვარულის, ურთიერთგაგების გრძნობის განვითარებას ემსახურება. სოფოკლეს მრავალი სახიდან მსოფლიო ლიტერატურისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ოიდიპოსისა და მისი ასულის, ანტიგონეს სახეები.

ევრიპიდეს (ძვ. წ. 485/480-408) ტრაგედიაში, არსებითად, არაფერი სიახლე არ შემოუთავაზებია სტრუქტურულ დონეზე, მაგრამ კონცეპტუალურად და კონფლიქტის განვითარების პრინციპების მუდმივი ძიების თვალსაზრისით, იგი ჭეშმარიტ ნოვატორად გვევლინება. ანტიკური ტრადიციის მიხედვით, იგი ადამიანებს გვიხატავს ისეთებად, როგორებიც ისინი არიან. შესაბამისად, ევრიპიდესთან ყოველივე, რაც ხდება, უფრო მეტად არის დამოკიდებული თავად გმირზე. გარდა ამისა, ევრიპიდე მუდმივი ძიების პროცესში იყო.

საინტერესოა, რომ მას მიიჩნევდნენ, ცალკეული ტრაგედიის გათვალისწინებით, ყველაზე უფრო ტრაგიკულად ბერძენ ტრაგიკოსთა შორის და ამავე დროს მასთან ყველაზე მეტად იყო წარმოდგენილი ისეთი დრამები, რომლებიც მხოლოდ პირობითად შეიძლებოდა ჩათვლილიყო ტრაგედიად, ხოლო სინამდვილეში კი უფრო მეტად მელოდრამის, ტრაგიკომედიის ნიშნებს გვიჩვენებდნენ. ევრიპიდეს სახეებიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ: მედეა, ალკესტისი, იფიგენია, ჰეკაბე, პენთეესი და სხვა მრავალი.

კომედიურმა სულმა საოცარი ძალით პოვა გამოვლინება არისტოფანეს (უნდა დაბადებულიყო დაახლოებით ძვ. წ. 450 წელს) შემოქმედებაში. იგი თავისი პიესების სამიზნედ მისი თანამედროვე ათენის ინტელექტუალებს ირჩევს და ყურადღებას ყველაზე უფრო საჭირბოროტო პრობლემებზე ამახვილებს: ომი და მშვიდობა, დემოკრატიული ინსტიტუტები, უტოპიური ოცნებები და ა. შ. შემოგვრჩა მისი 11 კომედია: „აქარნელები", „მხედრები", „ღრუბლები", „კრაზანები", „მშვიდობა", „ფრინველები", „თესმოფორიაძუსები", „ლისისტრატე", „ბაყაყები", „ქალთა სახალხო კრება", „პლუტოსი".

როგორც არისტოფანეს შემოქმედება გვიჩვენებს, ძველ ატიკურ კომედიას არც ამა თუ იმ მოვლენების, არც ამა თუ იმ ინსტიტუტის, არც ცალკეული პოლიტიკური ლიდერის, არც ყველაზე უფრო აღიარებული ინტელექტუალებისა და მწერლების გაკილვისას არ უცდია რამდენადმე მაინც შეეკავებინა თავი სრულიად ულმობელი და გამანადგურებელი დაცინვისაგან. ამისათვის, ზოგიერთი მცდელობის მიუხედავად, არც ერთი კომედიოგრაფოსი არ დასჯილა ან არ აღმოჩენილა „შურისგების" მსხვერპლი. როდესაც არისტოფანეს კომედიებს ვკითხულობთ, ჩვენ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყველაფერს, რასაც იგი დასცინის, იმავდროულად უპირისპირდება კიდევაც და ებრძვის. მიუხედავად იმისა, რომ არისტოფანე ულმობელია ათენის დემოკრატიის, პოლიტიკის, ძმათა შორის ომის მიმართ, ესოდენ უმოწყალოდ განაქიქებს სოკრატეს, მას არასოდეს უფიქრია ათენის დატოვება და საცხოვრებლად სხვა ადგილის შერჩევა. დემოკრატიულ სახელმწიფოში კომედიოგრაფოსის მიერ ამა თუ იმ მოვლენის გაკილვა აღიქმებოდა არა როგორც რაღაც ანტიპატრიოტული, მტრული აქცია, არამედ, როგორც სურვილი, სიცილის საშუალებით დემოკრატიული საზოგადოება გაეთავისუფლებინა ამა თუ იმ მანკიერების შეუზღუდავი მეუფებისგან. სწორედ ამიტომ, დღეს ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს ის, რომ ათენელი მაყურებელი, რომელიც ასე გულიანად იცინოდა თეატრალურ ფესტივალზე ომის აბსურდულობის მაჩვენებელი არისტოფანეს კომედიების ყურებისას, ფესტივალის დამთავრების შემდეგ გადიოდა ბრძოლის ველზე და აგრძელებდა ომს. იგივე მაყურებელი, რომელიც ესოდენ მოწონებით ხვდებოდა არისტოფანეს მიერ ათენის მოღვაწის, კლეონის მინასთან გასწორებას, თეატრალური ფესტივალის დამთავრების შემდეგ, ამ ლიდერს ენდობოდა და განადიდებდა. ძველი ატიკური კომედია, თავისი შინაარსისა და სულის გარდა, ტრაგედიისაგან ერთი არსებითი ნიშნით განსხვავდება. აქ დომინანტური არის კომედიის სიუჟეტი, რომელიც აღებულია თანამედროვე ცხოვრებიდან და არა მითოლოგიიდან. ამიტომ ძველი ატიკური კომედია გაცილებით უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული კონკრეტულ სოციალურ კონტექსტთან, კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან, ვიდრე კლასიკური ტრაგედია. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ისტორიული პროცესების განვითარებასთან ერთად კომედია უფრო ადვილად დაექვემდებარა ტრანსფორმაციის კანონებს და მონახა განვითარების ახალი გზები. საკმარისია შევადაროთ არისტოფანეს და მენანდროსის კომედიები, რომ განვითარების ეს გზა აშკარად დავინახოთ.

ძვ. წ. VIII-IV საუკუნეებში ბერძნულ ლიტერატურაში უკვე ჩამოყალიბებულია ძირითადი ლიტერატურული ჟანრები, თუმცა მათ გვერდით იქმნებოდა სხვებიც, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი ჟანრების ვარიაციებს ან მცირე ფორმებს წარმოადგენდნენ: ა. მ., ეპიგრამები, ფლიაკები, მიმოსები.

საკმაოდ პოპულარული იყო ლიტერატურული იგავ-არაკის ჟანრი, რომლის მამამთავრად ითვლება ნახევრად ლეგენდარული ესოპე (ძვ. წ. VI ს.) არა მარტო ბერძნულ, არამედ საერთოდ ევროპულ ლიტერატურაში. ამ ჟანრის და, კერძოდ, მისი ფუძემდებლის ძალზე სტაბილურ წარმატებაზე ანტიკურობაში მიუთითებს ის გარემოება, რომ ესოპეს იგავ-არაკებს მრავალი მიმბაძველი აღმოაჩნდა და მოგვიანებით მისი არაკების ლექსის ფორმით გადმოცემის მაგალითები მოგვეპოვება როგორც ბერძნულ, ასევე რომაულ ლიტერატურაში.

ამის გვერდით წარმოიქმნა ისეთი ჟანრები, რომელთაც, ჩვეულებრივ, ანტიკური ლიტერატურის ფარგლებში განიხილავენ, თუმცა, ამასთანავე ისინი კავშირში არიან ანტიკური სამყაროს მეცნიერული აზრის განვითარებასთანაც. ამგვარ ძირითად ჟანრებად შეიძლება მივიჩნიოთ: ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, მჭევრმეტყველება. ამ ჟანრებს წარმოვადგენთ მხოლოდ იმ ასპექტით, რომლითაც ისინი მხატვრულ ლიტერატურას უკავშირდებიან და რის გამოც მათ ბერძნული ლიტერატურის ისტორიის ყველა სახელმძღვანელოში განიხილავენ.

ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ევროპის კონტინენტზე, კერძოდ, საბერძნეთში, ლიტერატურული აზროვნება აღმოცენდებოდა, ძველი სამყაროს მრავალ ხალხში იყო ცნობილი ისტორიული მოვლენების წერილობითი ფიქსაციის შემთხვევები. ა. მ., მრავლად მოგვეპოვება ძვ. წ. III-II ათასწლეულების ძველი აღმოსავლური დოკუმენტები, რომლებიც ისტორიული მოვლენების შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას. როგორც წესი, ეს დოკუმენტები წარმოადგენენ ქრონიკალური ხასიათის ჩანაწერებს და ისინი საკმაოდ შორს არიან საკუთრივ ისტორიოგრაფიისაგან, სადაც ხდება არა მარტო რეალურად მომხდარი ფაქტის ფიქსაცია, დათარიღება, არამედ მისი აღწერა და ანალიზი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი განხილვა და ინტერპრეტაცია ფართო ისტორიულ კონტექსტში. გარკვეული თვალსაზრისით, ისტორიული ამბების შემონახვის სურვილი შეიძლება დავინახოთ ბერძნულ ეპოსშიც, რომელიც ლეგენდარული ამბების თუ მითების გადმოცემის ცდას წარმოადგენს. თუმცა ბერძნული ეპოსი, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება ისტორიულ თხზულებად, რადგან მასში დომინანტური ელემენტი არის პოეზია, მხატვრული აზროვნება და არა ისტორიული მოვლენების თანმიმდევრული გადმოცემისაკენ სწრაფვა. საბერძნეთში, უკვე არქაიკის ეპოქაში, აღმოცენდა ტრადიცია, პროზაული ფორმით შექმნილიყო ამ ლეგენდარული ამბების შესახებ კვაზი თუ ფსევდო-ისტორიოგრაფიული ხასიათის თხზულებები. პირველი ნაბიჯი ჭეშმარიტი ისტორიოგრაფიისაკენ მაშინ გადაიდგა, როდესაც საბერძნეთის ისტორიის შესახებ სისტემური ხასიათის ნაშრომების შექმნა დაიწყო, სადაც ამბები და მოვლენები გადმოცემულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, დაწყებული უძველესი დროიდან მწერლის თანამედროვე ეპოქით დამთავრებული.

თუ ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციით ვიმსჯელებთ, პირველი ასეთი სერიოზული ნაბიჯი გადაუდგამს ჰეროდოტოსს (ჰეროდოტე) (დაახლ. ძვ. წ. 484-424), რომელმაც ძველ სამყაროში პირველი უნივერსალური ისტორია შექმნა. იგი იწყება ლეგენდარული ეპოქიდან და ძვ. წ. V საუკუნის ყველაზე უფრო დრამატულ მოვლენებს, ბერძნულ-სპარსული ომების ამბებსაც კი მოიცავს. საინტერესო საკითხია, თუ რატომ ითვლებოდა უკვე ძველთაგანვე ჰეროდოტოსის ისტორია არა მარტო ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომად, არამედ მხატვრულ ნაწარმოებად, რომლის შესრულებაც პოეტური ქმნილებების მსგავსად საჯაროდ ხდებოდა ხოლმე. დღეს უთუოდ გაოცებას გამოიწვევს ვინმემ რომ მოინდომოს რომელიმე თანამედროვე ისტორიოგრაფოსის თხზულების ცალკეული ნაწილების დეკლამაციით შესრულება ფართო აუდიტორიის წინაშე, რომლის მიზანიც იქნება არა მხოლოდ მსმენელთა ისტორიული ინტერესის დაკმაყოფილება, არამედ აუდიტორიისათვის ესთეტიკური სიამოვნების მინიჭება. ძველ საბერძნეთში კი ჰეროდოტოსის

სახით ისეთი ისტორიოგრაფიის აღმოცენებას მიეცა დასაბამი, რომელშიც საკმაოდ დიდი იყო ე. წ. ბელეტრისტული კომპონენტი. ამას ისტორიოგრაფოსი მრავალი გზით აღწევდა. მოვიტანთ მათგან ერთ ყველაზე უფრო ცნობილ საშუალებას, რომელსაც ჩვენ ხშირად ჰეროდოტოსის „ნოველისტიკას" ვუწოდებთ ხოლმე. ჰეროდოტოსი გარკვეული ისტორიული ამბის ან პირის წარმოდგენისას ხშირად მიმართავს თხრობაში იმ ამბის (ლეგენდარულის, ანეკდოტურის თუ რეალურის) ჩართვის პრინციპს, რომელიც ისტორიულ მოვლენას აცოცხლებს თავისი ნოველისტური სულით. ა. მ., დღემდე ნოველისტიკის ბრწყინვალე ნიმუშებად ითვლება ჰეროდოტოსთან გადმოცემული ლიდიის ძლევამოსილი მეფის, კროისოსისა და სოლონის თავგადასავალი, ეგვიპტის ფარაონის რამფსინიტესის საგანძურისა და პოლიკრატესის ბეჭდის ამბები და მრავალი სხვა. ასეთი „ნოველისტური ჩანართებით" გაცოცხლებული ისტორია საკმაოდ დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა მსმენელს თუ მკითხველს.

მართალია, წმინდა ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით ჰეროდოტოსის პრინციპისგან განსხვავდებოდნენ მისი მომდევნო ისტორიკოსები — თუკიდიდესი და ქსენოფონი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მათ მემკვიდრეობად მიიღეს ისტორიოგრაფიულ თხზულებებში მხატვრული პასაჟების ჩართვის ტრადიცია. ა. მ., საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს დღესაც თუკიდიდესის (დაახლ. ძვ. წ. 455-400) ისტორიაში აღწერილი ჭირის ეპიდემიის ამბავი ათენში, მის ისტორიაში გადმოცემული დემოკრატიის მამის, პერიკლესის და სხვათა სიტყვები. ხოლო რაც შეეხება ქსენოფონს (სავარაუდოდ, ძვ. წ. 440/426-355 წლის შემდეგ), იგი დღესაც სანიმუშო სტილის მაგალითად ითვლება, რომლის ენაზეც მთელი თაობები იზრდებოდნენ და დღესაც ძველი ბერძნულის შესწავლისას მისი ლიტერატურული ატიკური დიალექტით შესრულებული ტექსტები პარადიგმატულად ითვლება.

რაც შეეხება ფილოსოფიას, ამ შემთხვევაში ვითარება რამდენადმე განსხვავებულია. დღეს, თუკი არ ჩავთვლით პარმენიდესს, სხვა ფილოსოფოსებიდან, რომელნიც არქაულ ეპოქაში მოღვაწეობდნენ, მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები მოგვეპოვება. შეიძლება ითქვას, რომ ქსენოფანესის (ძვ. წ. 570-475) გარდა, რომელიც პოეტური ფორმით აყალიბებდა თავის ფილოსოფიურ მოძღვრებას, ამ ადრეულ ფილოსოფოსთა თხზულებებში ძალზე ძნელია დავინახოთ მხატვრული აზროვნების მკაფიო ნიმუშები. ასევე ძნელია ვილაპარაკოთ ძვ. წ. V საუკუნის ფილოსოფოსთა თხზულებების მხატვრულ ღირსებებზე. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მრავალი სოფისტი, ალბათ, თავისი სიტყვების მხატვრული დონით უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე.

ფილოსოფოსთა შორის ჭეშმარიტ მწერლად უნდა მივიჩნიოთ პლატონი (დაახლ. ძვ. წ. 427-347), რომლის დიალოგები, რომ არაფერი ვთქვათ მათ უდიდეს მნიშვნელობაზე ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში, შესანიშნავ მხატვრულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ. როგორც ცნობილია, პლატონს მიაწერდნენ ასევე მისი სახელით ცნობილ მშვენიერ ეპიგრამებს და იმასაც, რომ იგი თავისი თხზულებების შექმნისას ითვალისწინებდა არა მარტო ფილოსოფოსთა ნააზრევს და ფილოსოფიური არგუმენტაციის ასპექტებს, არამედ მხატვრული ლიტერატურის შექმნის თავისებურებებსაც და დიალოგების ჩამოყალიბებისას ხშირად ბაძავდა სწორედ მხატვრული სიტყვის დიდოსტატებს. პლატონმა ჩინებულად იცოდა ბერძნული ლიტერატურა და ხელოვნება, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის მრავალი ციტატა, რომელიც მას სხვადასხვა ნაწარმოებებიდან მოაქვს თავისი ფილოსოფიური დებულებების გასამყარებლად.

მხატვრულობის თვალსაზრისით არისტოტელე (ძვ. წ. 384-322) ბევრად ჩამოუვარდებოდა პლატონს, რადგან მას არსად არ უცდია თავისი თხზულებების ბელეტრისტული ელემენტებით შემკობა. და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელეც გამოირჩეოდა თავისი ლიტერატურული გემოვნებით, რისი საუკეთესო მაგალითიც არის მისივე თხზულე-

ბები, განსაკუთრებით, „რიტორიკა“, მისი ნაშრომები ეთიკასა და ლოგიკაზე. რასაკვირველია, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის „პოეტიკას“, რომელიც მხატვრული აზროვნების თავისებურებების საკითხებს განიხილავს და რომელიც ამ სფეროში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე უფრო საყურადღებო თეორიულ ნაშრომად ითვლება.

ბერძნული მწერლობის ისტორიაში ცალკე ლიტერატურულ ჟანრად გამოიყოფა მჭევრმეტყველება. როგორც ცნობილია, მასში თავისთავად ჩადებულია ესთეტიკური ზემოქმედების ანუ მხატვრულობის პრინციპი. ორატორობის შესანიშნავ ნიმუშებს უკვე ჰომეროსის ეპოსის გმირები გვთავაზობენ თავიანთ სიტყვებში. როგორც ჟანრი, მჭევრმეტყველება, ფაქტობრივად, ძვ. წ. V საუკუნეში აღმოცენდა და მისი მძლავრი განვითარება დაკავშირებულია ათენის დემოკრატიული სახელმწიფოს აღმავლობასთან. თავად დემოკრატიული სახელმწიფოს სტრუქტურა ითხოვდა თითქმის ყველა მოქალაქისაგან მჭევრმეტყველების ჩვევებს, რადგან მათ ხშირად უხდებოდათ გამოსვლა სასამართლო პროცესებზე, სახალხო კრებაზე, საზეიმო შეხვედრებზე, დღესასწაულებზე და ა. შ. შესაბამისად, ფუნქციონალური თვალსაზრისიდან გამომდინარე, შეიქმნა მჭევრმეტყველების სხვადასხვა სახეები, როგორიც არის: სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვები, რომელთა დიდოსტატადაც გვევლინებოდა ლისიასი (დაახლ. ძვ. წ. 445-380); ეპიდეიქტური მჭევრმეტყველება ანუ ოფიციალურ ზეიმებთან თუ ღონისძიებებთან დაკავშირებული სიტყვები, რომლის უდიდესი წარმომადგენელი იყო ისოკრატესი (ძვ. წ. 436-338). ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში და მთელს ანტიკურ სამყაროში ერთ-ერთ უდიდეს მჭევრმეტყველად ითვლებოდა დემოსთენესი (ძვ. წ. 384/83-322). ასევე ბრწყინვალე ორატორები იყვნენ სოფისტები, რომელთაც, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარეს ამ ჟანრის აღმოცენებას: გორგიასი (დაახლ. ძვ. წ. 480-380), პროტაგორასი (დაახლ. ძვ. წ. 485-415). ჩვენამდე მოღწეული ლისიასის, ისოკრატესის და დემოსთენესის სიტყვები მჭევრმეტყველების ხელოვნებას მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოაჩენენ. როდესაც სიტყვა იძენს არა მარტო დამარწმუნებელ ძალას, არამედ იგი ჭეშმარიტი ესთეტიკური ტკბობის წყაროც ხდება.

ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორიის ზემოთ განხილული პერიოდები შეგვიძლია მოვაქციოთ ანტიკური ლიტერატურის განვითარების ერთ დიდ ეპოქაში, რომელსაც ელინურს ვუწოდებთ. მისთვის დამახასიათებელია ის, რომ ამ დროს მთელი ანტიკური ლიტერატურა, ძირითადად, ბერძნების მიერ შექმნილი ბერძნულენოვანი ლიტერატურით არის წარმოდგენილი.

**ელინისტური პერიოდი.** ბერძნული ლიტერატურის შემდეგი პერიოდი თანამედროვე მეცნიერებაში აღინიშნება როგორც ელინისტური. თავად ტერმინი *ელინისტური* გერმანელი მეცნიერის, ი. გ. დროიზენის (1808-1884) შემდეგ აღნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებიდან და მთავრდება ძვ. წ. I საუკუნეში, როდესაც დაეცა უკანასკნელი ელინისტური სახელმწიფო. ალექსანდრე მაკედონელის მიერ განხორციელებული ლაშქრობების შედეგად ძალზე დიდი კულტურულ-ენობრივი და პოლიტიკურ-სოციალური სივრცე წარმოიქმნა, რომელიც მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის იდეის რეალიზაციის შედეგი იყო. თუმცა იმ ფორმით, როგორც ალექსანდრე მაკედონელს ესახებოდა, ეს სახელმწიფო ვერ შედგა. მთელს ტერიტორიაზე მაკედონიიდან და საბერძნეთიდან მოყოლებული ვიდრე ცენტრალური აზიის ჩათვლით, ფაქტობრივად, დომინანტური ხდება ბერძნული ენა და ლიტერატურა. ელინისტურ სახელმწიფოებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი ფილოლოგიური ცენტრები წარმოიქმნა, რომლებიც ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ, ემსახურებოდნენ არა მარტო ელინისტური ეპოქის ბერძნული მწერლობის შესწავლისა და კრიტიკული გამოცემის საქმეს, არამედ ხელს უწყობდნენ თავად ელინისტურ სამყაროში ახალი ლიტერატურული პროცესების აღმო-

ცენებას. თუკი ზოგადად მოვინდომებთ ამ ეპოქის მწერლობის დახასიათებას, შეიძლება შემდეგი ითქვას: მან შეინარჩუნა ყველა არსებითი ჟანრი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა, თუმცა ამის პარალელურად წარმოიქმნა ცალკეული ლიტერატურული ფორმები, რომლებიც ტრადიციული ჟანრების გარკვეულ მოდიფიკაციას წარმოადგენდა.

ალექსანდრიელ ფილოლოგთა და საერთოდ ელინისტური ეპოქის მწერალთა წინაშე სავსებით ბუნებრივად დაისვა საკითხები: როგორი უნდა ყოფილიყო მათი მიმართება ელინური ეპოქის უდიდესი ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი, რა გზა უნდა აერჩიათ მათ ამ მემკვიდრეობის შემოქმედებითად ათვისების პროცესში: გაყოლოდნენ იმ გზას, რომელიც მათ გენიალურმა ბერძენმა წინამორბედებმა დაუსახეს თითოეული ჟანრის განვითარებაში თუ გარკვეულად დაპირისპირებოდნენ მათ თავიანთი შემოქმედებით. არავინ არ დავობდა იმაზე, რომ ლიტერატურის სფეროში მათი წინამორბედები უდიდესი ავტორიტეტები იყვნენ, რომ მათი შემოქმედება თაობიდან თაობას უნდა გადასცემოდა, მაგრამ სადავო იყო ის, თუ თავად ელინისტური ეპოქის მწერლებს როგორ და რაში შეეძლოთ გამოემჟღავნებინათ ნოვატორობა. ამ შემთხვევაში ლიტერატურაში იკვეთება ორი ტენდენცია: 1. უკვე არსებულის შენარჩუნებისა და მის ფარგლებში განვითარების ახალი გზების მონახვის; 2. ტრადიციასთან აშკარა დაპირისპირებით ნოვატორობის ახალი ფორმებისა და გამოსახვის ახალი საშუალებების ძიების.

რამდენადაც ბევრ რამეს ელინისტური ლიტერატურიდან ჩვენამდე არ მოუღწევია, ძალზე ძნელია იმის მთელი მასშტაბით წარმოდგენა, თუ როგორ მიმდინარეობდა ამ ეპოქაში ლიტერატურული პროცესი. და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციისადმი დამოკიდებულების მიუხედავად, მწერლებს ერთი საერთო თვისება აერთიანებდათ: მხატვრულ შემოქმედებაში ე. წ. მეცნიერული ინტერესის რაც შეიძლება ჭარბად შემოტანა, ინფორმაციის ხვედრითი წონის გაზრდისაკენ ლტოლვა და ნებსით თუ უნებლიეთ უარის თქმა იმ ჰარმონიაზე, რაც ელინური ეპოქის ლიტერატურას ახასიათებდა. ეს სავსებით გასაგებია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ელინისტური სამყაროს მკითხველი, რომლისთვისაც ბერძნული ენა იყო ლიტერატურასთან ზიარების საშუალება, ეთნიკურად საკმაოდ ჭრელი და განვითარების თვალსაზრისით არაერთგვაროვანი იყო და მას უთუოდ ესაჭიროებოდა ბევრი რამის სწავლა, მეცნიერული ხასიათის ინფორმაციის მიღება იმისათვის, რომ გაეგო ის, რაც არქაული თუ კლასიკური ეპოქის ბერძენისათვის სრულიად ნათელი იყო.

თავდაპირველად შევეცადოთ, შევეხოთ იმ ჟანრებს, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და ვნახოთ, თუ რა ტენდენციებმა იჩინეს თავი მათ ფარგლებში.

ელინისტურ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჟანრად რჩებოდა ეპოსი. ასევე უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა ეპიკურ პოეზიაში ჰომეროსისა და ჰესიოდეს ტრადიციების საფუძველზე შექმნილ სხვადასხვა მიმართულებებს.

პირველი სერიოზული ლიტერატურულ-თეორიული ხასიათის კამათი ე. წ. სიუჟეტური ეპოსის შემქმნელთა შორის წარმოიშვა. ცნობილი ფილოლოგი და პოეტი კალიმაქოსი (დაახლ. ძვ. წ. 320-245) მიიჩნევდა, რომ ტრადიციულ სიუჟეტურ ეპოსს უკვე ამოწურული ჰქონდა თავისი შესაძლებლობები, რომ შეუძლებელი იყო ამ მიმართულებით იმაზე მნიშვნელოვანი რამის შექმნა, ვიდრე ჰომეროსის პოემები იყო. ამიტომ საჭიროდ თვლიდა გარკვეულ ცვლილებას ე. წ. ნარატიული ეპოსის კონცეფციაში. კალიმაქოსმა შემოგვთავაზა ეპოსის ახალი ტიპი, რომელსაც შემდგომ დაუმკვიდრდა სახელი — ეპილიონი. იგი წარმოადგენდა მეტწილად მცირეტანიან პოემას, რომელიც კონცეპტუალური თვალსაზრისით განსხვავდებოდა ტრადიციული ეპოსისაგან. ეპილიონში წინა პლანზე ისეთი ასპექტები იყო წამოწეული, რომლებსაც ტრადიციულ ეპოსში შეიძლებოდა მხოლოდ რაღაც ეპიზოდური მნიშვნელობა ჰქონოდა. ა. მ., მართალია, კალიმაქოსის 1200 სტრიქონის შემცველი პოემა

„ჰეკალე“ ჰესიოდეს თითოეულ პოემას აღემატება მოცულობით, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მასში გადმოცემულ ამბავს, აშკარად ვერ ჩაითვლება იგი სამყაროს პოეტური მოდელირების უნივერსალურ ცდად, რამდენადაც მასში გადმოცემულია ერთი კონკრეტული ეპიზოდი: მოხუცი ქალი ჰეკალე საოცრად გულთბილად მასპინძლობს საგმირო საქმეთა აღსასრულებლად მიმავალ გმირს, თესევსს. როდესაც თესევსი უკან ბრუნდება, ჰეკალე მას ცოცხალი აღარ ხვდება. თესევსი არ დაივიწყებს ჰეკალეს სიკეთეს და მის პატივსაცემად დღესასწაულს დაადგენს.

როგორც ვთქვით, ეპილიონში, ერთი მხრივ, სიუჟეტური ეპოსისათვის დამახასიათებელ მოვლენათა მნიშვნელოვნებაზე უარის თქმა ხდება, ხოლო, მეორე მხრივ, წინა პლანზე იწევს ეტიოლოგიური ინტერესი ანუ სურვილი იმისა, აიხსნას, თუ რატომ აქვს ამა თუ იმ დღესასწაულს, ადგილს, მოვლენას და ა. შ. ესა თუ ის სახელწოდება. ამგვარმა ეტიოლოგიურმა ტენდენციებმა მთელი ძალით იჩინა თავი კალიმაქოსის ელეგიური დისტიქებით გამართულ ნაწარმოებში „აიტია“ („[ამბები] მიზეზებზე“), რომელიც ჰესიოდეს სტილში გადმოგვცემდა მრავალ ამბავს ამა თუ იმ კულტის, დღესასწაულის, ტრადიციის წარმოშობის შესახებ.

კალიმაქოსის პრინციპს უპირისპირდება აპოლონიოს როდოსელი (დაახლ. ძვ. წ. 300-246 წლის შემდეგ) თავისი „არგონავტიკით“. იგი, არსებითად, ნარატიულ ეპოსში ჰომეროსის ტრადიციების გაგრძელების მომხრეა და იგი ქმნის პოემას, რომელიც გადმოგვცემს კოლხიდაში არგონავტთა ექსპედიციისა და ოქროს საწმისის უკან დაბრუნების ამბავს. ფაქტობრივად, ეს არის ჩვენამდე მოღწეული პირველი პოემა, რომელშიც სრულად არის გადმოცემული არგონავტების ლაშქრობის ამბავი და რომელმაც პინდაროსის IV პითიურ ოდასთან ერთად პარადიგმატული მნიშვნელობა შეიძინა შემდგომი ეპოქების მწერლებისათვის, რომლებიც ამ თქმულებას ამუშავებდნენ. აპოლონიოს როდოსელის პოემა აღწერს არგონავტების ლაშქრობის ამბავს დასაწყისიდან მის დასასრულამდე. შესაბამისად, პოემა მრავალ სამოქმედო დღეს მოიცავს. აღარაფერს ვამბობთ მოქმედების გეოგრაფიულ არეალზე, რადგან დეტალურად არის გადმოცემული არგონავტთა კოლხიდაში ლაშქრობისა და მათი უკან დაბრუნების საკმაოდ ხანგრძლივი მარშრუტი და ყველა ის ამბავი, რომელიც ესოდენ ორგანულად დაუკავშირდა არგონავტებს. აშკარაა, რომ აპოლონიოს როდოსელზე დიდი გავლენა მოახდინა ჰომეროსის ეპოსმა, კერძოდ „ოდისეამ“. მისი ეპიკური ენა, ფაქტობრივად, ჰომეროსის ეპოსის ენას იმეორებს, მაგრამ, რასაკვირველია, „არგონავტიკაში“ ძალიან ბევრია ისეთი მომენტიც, რომელიც მას აშორებს ჰომეროსის ეპოსს და ელინისტური ლიტერატურის კონტექსტში აქცევს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ეპოსში ე. წ. მეცნიერულ-ეტიოლოგიური ინტერესის რაც შეიძლება ფართოდ ასახვა, გარდა ამისა, მოქმედების ერთიანობის ჰომეროსისეული პრინციპის, ფაქტობრივად, იგნორირება.

როგორც აღვნიშნეთ, ფართო გასაქანი მიეცა ეპიკური ფორმით დიდაქტიკური ინფორმაციის გადმოცემას. ეს სავსებით შეესაბამებოდა ელინისტური ეპოქის საზოგადოების ლტოლვას მეცნიერული თუ ე. წ. სასწავლო ინფორმაციისაკენ. მაგალითად შეიძლებოდა დაგვესახელებინა არატოსის (დაახლ. ძვ. წ. 310/300-250) „ფაინომენა“ („ციური მოვლენები“).

ელინისტური ეპოქის სულიდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ ნარატიული ეპოსის გარდა მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ე. წ. კატალოგისებურ ეპოსს, სადაც პოეტის ინტერესი მიმართულია არა რაღაც ერთი ფაბულის, ერთი ამბის გადმოცემისაკენ, არამედ მრავალი ამბის ერთ ნაწარმოებში თავმოყრისაკენ. ამის ნათელი ნიმუშია: ჰერმესიანაქსის „ლეონტიონი“ – ელეგიური ფორმით გადმოცემული უბედური დასასრულის მქონე ამბები, ფანოკლესის „ეროტესი ან კალოი“ – ელეგიური დისტიქებით გამართული ლამაზი ბიჭების ამბები, ნიკანდროსის „ჰეტეროიუმენა“ („გარდასახვები“), რომელიც, ფაქტობრივად, ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ ერთგვარ პროტოტიპს წარმოადგენდა და ა. შ.

ელინისტურ ლიტერატურაში უთუოდ განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს თეოკრიტოსი (ძვ. წ. III საუკუნის პირველი ნახევარი), რომელიც ახერხებს თავისი იდილიებით დიდი ქალაქების დაძაბული ცხოვრების რიტმით გადაღლილი ადამიანების ყურადღება სოფლის და მწყემსების მშვიდი ცხოვრების სურათებზე გადაიტანოს და, ამდენად, მის პოეზიას ერთგვარად თერაპიული ხასიათი აქვს. თეოკრიტოსი, ალბათ, უნდა ჩავთვალოთ ელინისტური ხანის იმ პოეტად, რომელმაც ყველაზე მეტად შეძლო პოეზიაში თავისი ნოვატორობით მიეღწია კლასიკური ეპოქის გენიოსი პოეტების სიმაღლემდე.

ელინისტური ეპოქის ინტენსიური დრამატული ცხოვრებიდან ჩვენამდე, არსებითად, მხოლოდ სახელებმა მოაღწიეს. ამ მხრივ საინტერესოა ლიკოფრონის (ძვ. წ. III საუკუნე) „ალექსანდრა", რომელშიც, როგორც ჩანს, საინტერესოდ იყო შეზავებული დრამატული და ეპიკური სტილი.

რასაკვირველია, ელინისტურმა დრამატურგიამ ყველაზე დიდ წარმატებას ახალ ატიკურ დრამაში მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ ახალი ატიკური კომედია ამ ჟანრის განვითარების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს და, ალბათ, იმის ერთგვარ ნიმუშს, თუ როგორ შეიძლება სულ რაღაც ორი საუკუნის განმავლობაში კომედიას ტრანსფორმაციის ის გზა გაევლო, რომელმაც შესაძლებელი გახადა პოლიტიკური ძველი ატიკური კომედიიდან მიგველო ახალი ატიკური კომედია. მის შესახებ ჩვენი ცოდნა დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ შეზღუდული იყო და დასკვნებს, ძირითადად, რომაელ კომედიოგრაფოსთა პიესების გათვალისწინებით ვაკეთებდით, რომლებიც ფართოდ იყენებდნენ ახალი ატიკური კომედიის წარმომადგენლების პიესებს საკუთარი ნაწარმოებების პროტოტიპებად. XIX საუკუნის მიწურულიდან პაპიროლოგიური აღმოჩენების შედეგად თანდათან ფართოვდება ჩვენი ცოდნა ახალი ატიკური კომედიის უდიდესი წარმომადგენლის, მენანდროსის (ძვ. წ. 342/1-293/0) შესახებ. ფაქტობრივად, ამ აღმოჩენების წყალობით ჩვენ თვალწინ თავიდან იშვა მრავალი საუკუნის განმავლობაში „დაკარგული" დრამატურგი. მართალია, მენანდროსის კომედიათაგან სრული სახით პაპირუსებმა ერთადერთი კომედია „დისკოლოსი" შემოგვინახეს, რომელიც XX საუკუნის 50-იან წლებში იქნა აღმოჩენილი, მაგრამ გამოვლინდა სხვა მრავალი კომედიის მნიშვნელოვანი ფრაგმენტებიც, რომლებიც საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვიქმნიან ამ კომედიოგრაფოსის შემოქმედებაზე. შეიძლება ითქვას, რომ მენანდროსმა უდიდესი როლი შეასრულა დრამის განვითარებაში ადამიანური ვნებების, ხასიათების წარმოჩენის თვალსაზრისით და კლასიკური დრამის მკვეთრად გამოხატულ ტრაგიკულ თუ კომედიურ პათოსს დაუპირისპირა დრამატული ნაწარმოების ის ფორმა, რომელსაც პირობითად თუ ვუწოდებთ კომედიას, რამდენადაც იგი უფრო ყოფითი დრამაა, რომლის ფინალი ყოველთვის ბედნიერია.

დრამებთან ერთად ყურადღებას იპყრობს ე. წ. პარადრამატული პოეზია. ამ შემთხვევაში იგულისხმება მცირე დრამატული ან კვაზიდრამატული ფორმები, რომელნიც საუბრებით, ანეკდოტების, მიმიამბების საშუალებით გადმოგვცემენ გარკვეულ სცენებს, სერიოზულს თუ არასერიოზულს, სახალისოს თუ სხვადასხვა შთაბეჭდილების აღმძვრელს. მაგალითად, ცნობილი იყო მახონის „ხეირაი" (ანეკდოტები), რომლის 470-მდე იამბური ტრიმეტრით გამართული სტრიქონი შემოგვინახა ათენაიოსმა (დაახლ. ახ. წ. 200) თავის „დეიპნოსოფისტაიში" („სოფისტების ნადიმი"). ჰეროდასი (ჰერონდასი) (ძვ. წ. III საუკუნის პირველი ნახევარი) წარმატებით აგრძელებს ამ ხაზით მოღვაწეობას და პაპიროლოგიური აღმოჩენების შედეგად მოღწეული მისი მიმიამბები სულ სხვადასხვა ხასიათის სცენებს წარმოგვიდგენენ ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებიდან.

გარკვეული თვალსაზრისით პარადრამატულ პოეზიად უნდა მივიჩნიოთ თეოკრიტოსის უკვე მოხსენიებული იდილიები. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი „სირაკუზელი ქალები ადონისის დღესასწაულზე".

უაღრესად დიდი პოპულარობით სარგებლობდა ელინისტურ ეპოქაში ეპიგრამატული ჟანრი. თუკი კლასიკურ ეპოქაში ეპიგრამები ამა თუ იმ ჟანრში მომუშავე პოეტისათვის მხოლოდ მისი შემოქმედების ერთგვარ „დამატებას" წარმოადგენდა, ამ პერიოდში ჩნდებიან პოეტები, რომელთა შემოქმედებაშიც ეპიგრამა დომინანტურ ფუნქციას იძენს. სწორედ ამიტომ ბერძნული ეპიგრამების კრებული ე. წ. Anthologia Palatina ესოდენ უხვად შეიცავს ელინისტური ეპოქის ეპიგრამატისტების: მელეაგროს გადარელის, ასკლეპიადეს სამოსელის, ლეონიდას ტარენტელის და სხვათა ეპიგრამებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ელინისტურ ეპოქაში განსაკუთრებით განვითარდა მეცნიერება, წარმოიქმნა ცნობილი მიმართულებები ფილოსოფიურ აზროვნებაში, რასაც შესაბამის თავში შევეხებით. აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ პერიოდის ე. წ. პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან პოსეიდონიოსი (დაახლ. ძვ. წ. 135-51), რომელმაც სამეცნიერო-ფილოსოფიური და ისტორიოგრაფიული ნაშრომებით გაითქვა სახელი. ასევე ცნობილნი იყვნენ ანტიკურობის აღიარებული ისტორიკოსები: პოლიბიოსი (დაახლ. ძვ. წ. 200-120) და დიოდოროს სიცილიელი (ძვ. წ. I ს.).

ელინისტური ეპოქა ანტიკური ლიტერატურისათვის იმით არის ნიშანდობლივი, რომ იგი ანტიკურ სამყაროში არსებითად ზღვარს უდებს ბერძნულენოვანი ლიტერატურის მონოპოლიურ მდგომარეობას. ამ ეპოქაში ანტიკურ რომშიც საკმაოდ ინტენსიურად იწყებს განვითარებას ლიტერატურული პროცესი ლათინურ ენაზე. სწორედ ამიტომ ელინისტური ეპოქის მეცნიერთა, ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა თვალსანიერში გაცილებით უფრო მასშტაბურად ექცევა მსოფლიო, ვიდრე ეს წინამავალი ისტორიკოსების თხზულებებში გვქონდა. არსებითად, იხსნება ელინური ეპოქისათვის დამახასიათებელი დაპირისპირება: ელინი – ბარბაროსი და სხვადასხვა რეგიონებს შორის ურთიერთობების ახალი სისტემა ყალიბდება. ამ მხრივ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რომის იმპერიის წარმოქმნა, რომელმაც, არსებითად, პოლიტიკურად დაიქვემდებარა მთელი მაშინდელი მსოფლიო და „გადაყლაპა" ელინისტური სამყარო. მართალია, ბერძნულენოვანმა სახელმწიფოებმა დაკარგეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ მათ შეინარჩუნეს მხატვრული კულტურისა და ლიტერატურის თვითმყოფადობა. უფრო მეტიც, თავად რომაელთა აღიარებით, მართალია, ბერძნული სამყარო პოლიტიკურად რომს დაექვემდებარა, მაგრამ კულტურის თვალსაზრისით მან დაიმორჩილა მთელი რომის იმპერია. ამ აზრს შესანიშნავად გამოხატავს რომაელი პოეტის, ჰორაციუსის ცნობილი გამოთქმა: „Graecia capta ferum victorem cepit et artis intulit agresti Latio" (Epistulae 2, 1, 156) – „დაპყრობილმა საბერძნეთმა დაატყვევა გაუთლელი (ველური) გამარჯვებული და შეიტანა ხელოვნებანი სოფლურ ლაციუმში". შესაბამისად, ძვ. წ. I ათასწლეულიდან ბერძნული ლიტერატურის განვითარებაში ახალი პერიოდი იწყება.

**რომაული ბატონობის ანუ კეისრების ეპოქის ბერძნული ლიტერატურა.** რომაული ბატონობის ანუ კეისრების ეპოქის ბერძნული ლიტერატურა განვითარების საკმაოდ არაორდინარულ სურათს გვიჩვენებს. ფაქტობრივად, ამ ეპოქაში ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად გაერთიანებულ რომაულ იმპერიაში ორი სრულუფლებიანი სალიტერატურო ენა თანაარსებობდა. ბერძენი ავტორები ამ ეპოქაში საკმაოდ ხშირად ბერძნულად წერენ რომის კულტურასა და ისტორიასთან დაკავშირებულ თხზულებებს. ბერძნულ ენას იყენებს არაერთი რომაელი მოღვაწე, რისი კლასიკური მაგალითიც არის მარკუს ავრელიუსის (ახ. წ. 121-180) „ფიქრები". ყოველივე ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ანტიკური კულტურის ნიაღში აღმოცენდა ახალი ქრისტიანული იდეოლოგია, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ძველი სამყაროს განვითარებაში. შეიქმნა ლიტერატურა, რომელსაც ქრისტიანულს ვუწოდებთ.

იმდენად მჭიდრო იყო კავშირი რომაულ და ბერძნულ ლიტერატურას შორის, რომ ხშირ შემთხვევაში ცნებები *ბერძნული ლიტერატურა* და *რომაული ლიტერატურა*, საკმაოდ პირობითად გამოიყენება და ამ შემთხვევაში აღინიშნება მხოლოდ ის, თუ რა ენაზე არის შექმნილი ესა თუ ის ნაწარმოები. განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ურთიერთობის ეს პროცესი გვიანანტიკურ ეპოქაში, როდესაც აღმოსავლეთით რომს თითქმის მთლიანად ბერძნულენოვანი მოსახლეობის ფარგლებში მოქცეული კონსტანტინოპოლისი უწევს მეტოქეობას. და მაინც, ვერ ვიტყვით, რომ ამ ეპოქაში ლიტერატურის რომელიმე ჩვენთვის ცნობილმა ჟანრმა: ეპოსმა, ლირიკამ, დრამამ საბერძნეთში მნიშვნელოვანი აღმავლობა განიცადა, თუმცა თითოეული მათგანი აგრძელებდა არსებობას.

თუკი მოვინდომებთ, ძალზე მოკლედ დავახასიათოთ ამ პერიოდის ბერძნული ლიტერატურა, შეიძლება ვთქვათ, რომ მისთვის ნიშანდობლივი იყო კლასიცისტური და ატიცისტური ტენდენციების შენარჩუნებისაკენ ლტოლვა, რამაც საინტერესო გამოვლენა პოვა ახ. წ. I-III საუკუნეებში რიტორიკული ჟანრის საგრძნობ გააქტიურებაში, რაც უკვე ანტიკური ეპოქის მოღვაწემ, ფილოსტრატოსმა (დაახლ. ახ. წ. 170-245) აღნიშნა ტერმინით „მეორე სოფისტიკა".

პირველი ბერძენი ავტორი, რომელიც ამ პერიოდის დასაწყისში მოღვაწეობდა და რომლის „ისტორიამაც" ჩვენამდე სრულად მოაღწია, არის დიონისიოს ჰალიკარნასელი (ძვ. წ. I ს.). მას ასევე შეუქმნია მრავალი თხზულება, მათ შორის, ძველ რიტორთა შესახებ, თუკიდიდესის სტილისტიკისა და სხვათა შესახებ.

საკმაოდ საინტერესოა ე. წ. ფსევდო-ლონგინოსის (სავარაუდოდ, ახ. წ. I საუკუნე) მშვენიერი ლიტერატურულ-ესთეტიკური ტრაქტატი „ამაღლებულის შესახებ".

რიტორიკის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო მინუკიანოსის, ჰერმოგენესის, დიონ პრუსელის ანუ ქრისოსტომოსის, ფავორინუსის, ელიუს არისტიდესის მოღვაწეობა. II-III საუკუნეთა ცნობილი ავტორი, ზემოთ უკვე ხსენებული მოღვაწე, ფილოსტრატოსი ცნობილი იყო თავისი „აპოლონიოს ტიანელის ცხოვრებით" და მშვენიერი თხზულებით „სურათები", რომელშიც მეტწილად აღწერილია ანტიკურობაში შექმნილი მითოლოგიური შინაარსის შემცველი ხელოვნების ნიმუშები.

ე. წ. თავშესაქცევი ლიტერატურის სფეროს შეიძლება მივაკუთვნოთ ლუკიანოს სამოსატელის (დაახლ. ახ. წ. 120-180 წლის შემდეგ) ბრწყინვალე სატირული თხზულებები, რომლებიც მაღალმხატვრული ფორმით გვთავაზობენ როგორც მითოლოგიური სიუჟეტებისა და სახეების, ასევე მწერლის თანამედროვე მოვლენების სატირულ ინტერპრეტაციას. მან შეძლო სატირულ პოეზიაში საკმაოდ სკეპტიკურად მიდგომოდა არა მარტო ანტიკურ რელიგიურ თუ ეთიკურ ღირებულებებს, არამედ თავად აღმავლობის გზაზე მდგარ ქრისტიანულ იდეოლოგიასაც.

და მაინც, თუკი წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით მივუდგებით ამ ეპოქის ბერძნულ მწერლობას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი არის ახალი ჟანრი, რომელსაც განმაზოგადებელი სახელი მხოლოდ ახალ ევროპაში მიეცა – ეს არის რომანი. ამ ჟანრის აღმოცენება საუკუნეების განმავლობაში მზადდებოდა საბერძნეთში, მაგრამ მისი ჩამოყალიბება ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნიდან იწყება.[2] განსაკუთრებით ცნობილია აქილევს ტატიოსის (ახ. წ. II ს.) „ლევკიპესა და კლიტოფონის ამბავი", ლონგოსის (ახ. წ. II ს.) „დაფნისი და ქლოე", იამბლიქოსის (ახ. წ. II ს.) „ბაბილონიაკა", ქსენოფონ ეფესელის (ახ. წ. II-III სს.) „ეფესიაკა", ჰელიოდოროსის (ახ. წ. III ან IV ს.) „ეთიო-

[2] რომანის ამგვარ წინამორბედებად შეიძლება მივიჩნიოთ ჰეკატეოს აბდერელის (ან ტეოსელის) (ძვ. წ. 300 წლის ფარგლებში) ე. წ. ეთნიკური უტოპია „ჰიპერბორეელთა შესახებ", ევჰემეროსის (დაახლ. ძვ. წ. 340-260 წწ.) „წმინდა წარწერა" და სხვ.

პიკა". ანტიკურმა რომანმა, ეპოსისაგან განსხვავებით, ნარატიული ფორმით მხატვრული ინფორმაციის გადმოცემისათვის პროზაული გზა აირჩია, ხოლო თემატიკა კი, ძირითადად, არამითოლოგიური, სასიყვარულო-ავანტიურისტული, სათავგადასავლო ფაბულებით შემოფარგლა. საზოგადოების ინტერესს სხვადასხვა ხასიათის ამბების კრებულების მიმართ მშვენივრად გამოხატავს ათენაიოსის ხსენებული ნაწარმოები „დეიპნოსოფისტაი" და განსაკუთრებით ელიანეს (დაახლ. ახ. წ. 170-230) „ჭრელ-ჭრელი ამბები".

განსაკუთრებულ სიმაღლეს აღწევს ისტორიოგრაფია არიანოსის, აპიანოსის, კასიუს დიონის, ჰეროდიანოსის თხზულებებში.

ბერძნულ სამყაროში საკმაოდ ადრე იწყებს განვითარებას ბიოგრაფიული ლიტერატურა. იწერებოდა სხვადასხვა მწერლების, მოღვაწეების ბიოგრაფიები, მაგრამ ამ ჟანრმა თავის უმაღლეს განვითარებას პლუტარქოსის (დაახლ. ახ. წ. 45-120 წლის შემდეგ) „პარალელურ ბიოგრაფიებში" მიაღწია, სადაც ავტორი სრულიად გარკვეულ კონცეფციას ეყრდნობა, რომელსაც პარალელიზმის კონცეფცია შეიძლება ვუწოდოთ. თავის თხზულებებში იგი იღებს ერთ ბერძენ და ერთ რომაელ მოღვაწეს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ ბიოგრაფიებს კომპარატივისტულად განიხილავს.

ბიოგრაფიული ტრადიცია საინტერესო გარდატეხას პოვებს ე. წ. ბიოგრაფიულ რომანებშიც. როგორც უკვე აღინიშნა, ამ მხრივ ცნობილი იყო ფილოსტრატოსის მიერ აპოლონიოს ტიანელის, ანტიკურობის ცნობილი ფიგურის, რომანის ფორმით დაწერილი ცხოვრება. განსაკუთრებით პოპულარული ხდება ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებული რომანული ლიტერატურის მთელი სერია, რომელსაც „ალექსანდრეს რომანის" სახელით ვიცნობთ.

ე. წ. ანტიკვარული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშია პავსანიასის (დაახლ. ახ. წ. 160-230) „ელადის აღწერილობა", რომელშიც უნიკალური ინფორმაცია არის შემონახული ძველი ელადისა და მისი ძეგლების თუ ლოკალური თქმულებებისა და კულტების შესახებ.

საკმაოდ მრავალფეროვანია ამ პერიოდის ფილოსოფია, მაგრამ იგი, ძირითადად, კლასიკურ და ელინისტურ ეპოქაში ჩამოყალიბებული ფილოსოფიური სისტემების განვითარებას თუ ინტერპრეტაციას გვთავაზობს და, არცთუ იშვიათად, გამოირჩევა თავისი ეკლექტიზმით. ფილოსოფიური აზროვნების სფეროში იმ დროისათვის მიმდინარე პროცესების შესახებ საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პლუტარქოსის ნაშრომების კრებული „მორალია", რომელიც აერთიანებს ფილოსოფიური, დიდაქტიკური და თეორიული ხასიათის ნაშრომებს.

იუდეური სამყაროდან თანდათან შემოღწევას იწყებს ლიტერატურა, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ ძალზე მნიშვნელოვანი გარდატეხის საფუძველი ხდება. ელინისტური ეპოქის ალექსანდრიაში მოხდა პირველად ბიბლიის ბერძნულად თარგმნა და ასე წარმოიქმნა „სეპტუაგინტა". ბერძნულ ლიტერატურაში იუდეური ტრადიციების მნიშვნელოვან დამმკვიდრებლებად ითვლებოდნენ ფილონ ალექსანდრიელი (დაახლ. ძვ. წ. 20/15 – ახ. წ. 42 წლის შემდეგ) და იოსეპოს ფლავიოსი (ახ. წ. 37/8 – 100 წლის შემდეგ), ამ უკანასკნელმა სახელი გაითქვა თავისი თხზულებებით ისტორიოგრაფიის სფეროში.

ამავე პერიოდში ხდება უკვე წმინდად ქრისტიანული ლიტერატურის ფორმირება ბერძნულ ენაზე. ცნობილია, რომ სადღაც 50-58 წლებს შორის უნდა შექმნილიყო მოციქულ პავლეს „წერილები", რომლებიც ქრისტიანთა უძველეს ლიტურგიკულ, ჰიმნურ და სარწმუნოებრივ ფრაზა-ფორმულებს შეიცავენ. 70-90 წლებს შორის უნდა მომხდარიყო ბერძნულ ენაზე ახალი აღთქმის წიგნების: მარკოზის, მათეს, ლუკას, იოანეს სახარებების შექმნა. ამავე პერიოდიდან ეძლევა გასაქანი ბერძნულენოვან აპოკალიპტურ ლიტერატურასაც.

ქრისტიანული ლიტერატურის აღმოცენება დაკავშირებული იყო საეკლესიო და რელიგიური ცხოვრების მონესრიგების იმგვარ ხასიათსა და მასშტაბებთან, რომელიც

სრულიად უცხო იყო ანტიკური სამყაროსათვის. ბუნებრივია, ამან თავად ქრისტიან ავტორებში გამოიწვია ორთოდოქსებსა და ერეტიკოსებს შორის გარკვეული დაპირისპირება. აუცილებელი გახდა ძალზე სერიოზული პოლემიკა მათთანაც, ვინც ქრისტიანობას დამცინავად უყურებდა და ანტიკური ცივილიზაციის პოზიციებიდან აკრიტიკებდა. ამან დასაბამი მისცა ქრისტიანული აპოლოგეტური ლიტერატურის აღმოცენებას. ამ ეპოქის ორი უმნიშვნელოვანესი ავტორია კლემენს ალექსანდრიელი (დაახლ. ახ. წ. 150 – 215 წლამდე) და ორიგენე (დაახლ. ახ. წ. 185-252), რომელთაც მრავალრიცხოვანი მიმდევრები და მოწაფეები ჰყავდათ და რომელთაც ძალზე ბევრი გააკეთეს ანტიკური ღირებულებების ქრისტიანული თვალსაზრისით გაკრიტიკებისა და ქრისტიანული იდეოლოგიის დაცვის მიმართულებით.

ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ რომაული ბატონობის ეპოქის პირველ საუკუნეებში ბერძნული მწერლობა წარმოგვიდგება, ერთი მხრივ, ანტიკური ტრადიციების, პრინციპების, მხატვრული აზროვნების ფორმების ერთგულ დამცველად და განმავითარებლად, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ახალი აზროვნების, იდეოლოგიის თუ მწერლობის საფუძვლის ჩამყრელად, რომელიც პირველის სრულ ოპოზიციას წარმოადენდა. სწორედ ამიტომ, როდესაც ვმსჯელობთ ამ ეპოქის ანტიკურ ლიტერატურაზე, აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ცნება *ანტიკურის* ორგვარი გაგება: 1. არსობრივი და 2. ისტორიულ-ქრონოლოგიური. თუკი საკითხს არსობრივი გაგებით მივუდგებით, ანტიკურ ლიტერატურად ვერ ჩაითვლება ქრისტიანული ლიტერატურა, რადგან იგი თვისობრივად ყოველივე იმის ოპოზიციას წარმოადგენს, რაც ბერძნულ-რომაული ლიტერატურის ანტიკურ ხასიათს განსაზღვრავს. ხოლო თუკი საკითხს ისტორიულ-ქრონოლოგიური თვალსაზრისით მივუდგებით, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ანტიკურობასთან არის დაკავშირებული ქრისტიანული ლიტერატურის აღმოცენებაც და განვითარებაც. თავისთავად ის ფაქტი, რომ რომში პრინციპატის ეპოქის აღმავლობის წლებში ბერძნულ ენაზე იქმნება ახალი აღთქმა, ამის თვალსაჩინო მაგალითია. თუკი ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქრისტიანობა, ძირითადად, თავისი იდეოლოგიის რაც შეიძლება ფართოდ გავრცელების და ანტიკური სამყაროს წარმომადგენლებისაგან თავის დაცვის მიმართულებით ვითარდებოდა, ე. წ. გვიანანტიკურობის ეპოქაში იგი სულ უფრო და უფრო იმყარებს პოზიციებს, სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება მისი პოპულარობის მასშტაბები. ხოლო მას შემდეგ, რაც რომის იმპერიაში ქრისტიანობა ლეგალიზებული იქნა, ქრისტიანული და ანტიკური აზროვნების, მწერლობის განვითარებამ დრამატული ხასიათი მიიღო უკანასკნელისათვის, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანტიკურმა ლიტერატურამ მთლიანად დათმო თავისი პოზიციები. ამას პირველ რიგში ხელს უშლიდა თავად ლიტერატურის არსის გააზრება. ის, რაც ანტიკურობისათვის ითვლებოდა მხატვრულ ლიტერატურად, ქრისტიანობისათვის იყო მიუღებელი და, პირიქით, რაც ქრისტიანობისათვის ითვლებოდა ჭეშმარიტ მწერლობად, ანტიკურობისათვის იყო მიუღებელი. თითქოს პარადოქსულია, მაგრამ ამგვარი შეუთავსებლობა მთელი გვიანანტიკურობის განმავლობაში ქმნიდა იმის საფუძველს, რომ ამ ორ ლიტერატურას თანაეარსება არა მარტო ანტიკური სამყაროს ფარგლებში, არამედ ძალზე ხშირად თვით ერთი მწერლის შემოქმედებაშიც.

**გვიანანტიკურობა.** გვიანანტიკურობა შეიძლება განვიხილოთ როგორც რომაული ბატონობის პერიოდის ბოლო ეტაპი. მისი ცალკე პერიოდად გამოყოფის შესაძლებლობას თანამედროვე მეცნიერებას შემდეგი გარემოება აძლევს: ამ დროს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების კვალდაკვალ, რომაული იმპერიის ისტორიაში დადგა ეტაპი, როდესაც ოპოზიციაში: წარმართობა – ქრისტიანობა სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა ქრისტიანობის უპირატესობა და წარმართობის პოზიციების შესუსტება. და

მაინც, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ოპოზიციის თითოეული ეს „წევრი" ცდილობს საკუთარი უპირატესობის შენარჩუნებას, რაც, ფაქტობრივად, საკმაოდ კარგად აისახა ლიტერატურაშიც. აქ ე. წ. წარმართული და ქრისტიანული პროდუქცია თავისი მოცულობით დაახლოებით თანაბარ ადგილს იჭერს.

შევეცადოთ, ძალზე მოკლედ ვაჩვენოთ ამ ეპოქის ლიტერატურაში წმინდად ანტიკური და ქრისტიანული პრინციპების თანაარსებობისა თუ დაპირისპირების სურათი. III საუკუნიდან დაწყებული რომის იმპერიის კრიზისი კულმინაციას აღწევს IV საუკუნეში. სწორედ ამ დროს ყველაზე რელიეფურად გამოიკვეთა, ერთი მხრივ, ქრისტიანობის მოწინააღმდეგეთა და, მეორე მხრივ, მის დამცველთა პოზიციები. სოფისტიკის ფარგლებში შეიძლება მოვიაზროთ წარმართი რიტორების, ლიბანიოსის (ახ. წ. 314-393) და თემისტიოსის (დაახლ. 317-388) მოღვაწეობა, რომლებიც ანტიკური იდეალების თანმიმდევრულ დამცველებად მოგვევლინნენ. ფილოსოფიაში ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პლატონის მოძღვრების ტრანსფორმაციას ფილოსოფიურ სისტემად, რომელიც პლოტინოსიდან იღებს დასაბამს და რომელსაც თანამედროვე მეცნიერებაში ნეოპლატონიზმს უწოდებენ. ამ პერიოდში შესამჩნევია მუშაობა ანტიკური კულტურისა და, კერძოდ, ლიტერატურის ენციკლოპედიური სისტემატიზაციისაკენ. იქმნება სტობაიოსის (ახ. წ. V ს.) მთელი ანტიკური წარმართული პოეზიისა და პროზის მიმოხილვა თემისტიოსის ჩათვლით. ამგვარი მუშაობა წარმოებს სხვა სფეროებშიც. კერძოდ, ევნაპიოსი (დაახლ. 345-420) ქმნის სოფისტთა ბიოგრაფიების კრებულს, ჰესიქიოსი (ახ. წ. V ან VI საუკუნის დასაწყისი) ე. წ. „ონომატოლოგოსს" („სახელთა კრებული"), რომელიც შემდეგ ბიზანტიურ ეპოქაში შექმნილ ლექსიკონ „სვიდაში" საკმაოდ ფართოდ გამოიყენება. ქრისტიანობისათვის საკმაოდ სახიფათო აღმოჩნდა იულიანე განდგომილის (ახ. წ. IV ს.) მოღვაწეობა, რომელმაც, როგორც კეისარმა, სცადა ისტორიის შემობრუნება და წარმართული კულტურის სტატუსის მთელი უფლებებით აღდგენა. მისი თხზულებები გაჟღენთილია ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართული პათოსით. ისტორიოგრაფიის სფეროში აშკარად წარმართობის მხარდასაჭერი პოზიციებიდან მოღვაწეობდნენ ევნაპიოსი და ოლიმპიოდოროსი. კვლავ აგრძელებს არსებობას დრამის ორი სახე: ტრაგედია და კომედია, მაგრამ ჩვენამდე მათგან, ფაქტობრივად, არაფერი არ არის მოღწეული. სამაგიეროდ, შემოგვრჩა ე. წ. „ორფიკული არგონავტიკა", ასევე „ლითიკა" – პოემა ქვების ძალის შესახებ. ამის გვერდით სულ უფრო და უფრო აქტიურად იკრებს ძალას ქრისტიანული ლიტერატურა. ამ პერიოდის თვალსაჩინო მოღვაწეები არიან ქრისტიანული ჰომილეტიკის კლასიკოსები: იოანე ქრისოსტომოსი (IV საუკუნის მეორე ნახევარი), სამი დიდი კაპადოკიელი მამა: ბასილი დიდი (330-379), გრიგოლ ნოსელი (დაახლ. 335-395) და გრიგოლ ნაზიანზელი (329/30-390), ცნობილია ასევე სინესიოსისა (370-413) და თეოდორეტოსის (V საუკუნის პირველი ნახევარი) ლიტერატურული მოღვაწეობა. ქრისტიანი მწერლები სულ უფრო და უფრო ოსტატურად იყენებენ ანტიკურ ლიტერატურაში გამომუშავებული არგუმენტაციისა და მსჯელობის მეთოდებს ისევ და ისევ ანტიკურობის კრიტიკისა და მის წინაშე ქრისტიანული იდეოლოგიის უპირატესობის წარმოსაჩენად. საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქრისტიანული ისტორიოგრაფიის მიღწევებიც, რომელიც ისტორიის მიმართ ინტერესს უკვე სრულიად ახალი იდეოლოგიის სამსახურში აყენებდა. იქმნება ეკლესიების პირველი ისტორიები, მაგალითად, ევსებიოსის (265-340) „ქრონიკა".

ქრისტიანული ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს პოლემიკურ-დოგმატური მიმართულება წარმოადგენდა. ქრისტიან ავტორებს ესაჭიროებოდათ, თავიანთი თანამედროვე საზოგადოება დაერწმუნებინათ ახალი იდეოლოგიის უპირატესობაში ანტიკური ეკლექტიკური მოძღვრებებისა და აზროვნების კრიტიკის საფუძველზე. დავა ხშირად წარმოებდა არა მარტო ანტიკურ იდეოლოგიასთან, არამედ თავად ქრისტიან მოღვაწეებს

შორის ამა თუ იმ დოგმის ჩამოყალიბების, ინტერპრეტაციისა თუ გაგების საკითხში. სავსებით აშკარა იყო, რომ საზოგადოების გადარწმუნება და მისი ორიენტაციის შეცვლა შეუძლებელი იქნებოდა მძლავრი აპოლოგეტური ლიტერატურის გარეშე, რომელსაც საზოგადოების ფსიქიკასა და შეხედულებებში მნიშვნელოვანი გარდატეხა უნდა მოეხდინა. იქმნება ლიტერატურა, რომელიც ითვალისწინებს, რომ ანტიკური მემკვიდრეობის მთლიანად უარყოფა შეუძლებელია და ახალგაზრდობას განათლებისათვის აუცილებლად სჭირდება იმისი რჩევა, თუ რომელი ანტიკური ავტორის თხზულებების წაკითხვა არის მიზანშეწონილი. ამის საუკეთესო მაგალითია ბასილი დიდის თხზულება „მიმართვა ახალგაზრდებისადმი წარმართული ლიტერატურის მათთვის სასარგებლოდ გამოყენების შესახებ".

ქრისტიან ავტორებს თავიანთი მოძღვრების სისტემური სახით ჩამოსაყალიბებლად დასჭირდათ ტექსტების გამოცემისა და ფილოლოგიური ინტერპრეტაციის იმ მეთოდების საკმაოდ ფართოდ გამოყენება, რომლებიც ანტიკურობაში იყო ცნობილი. პირველ რიგში იქმნება ძველი აღთქმისა და ქრისტიანული ლიტერატურის სათანადო აპარატით გამოცემის პრეცედენტები. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ორიგენეს (185-254), დიდიმოს უსინათლოს (313-398), კირილე ალექსანდრიელის (ახ. წ. V საუკუნე), თეოდორეტოსის და სხვათა მოღვაწეობა ეგზეგეტიკის სფეროში.

ქრისტიანობის გამყარებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი თხზულებების შექმნას, სადაც აღწერილი იყო ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებულ პირთა ცხოვრება ან ის წესები, რომელთა საფუძველზეც უნდა წარემართა ქრისტიანს თავისი ცხოვრება. შესაბამისად, იქმნება ჰაგიოგრაფიული ცხოვრებები, სხვადასხვა ხასიათის ტრაქტატები, სენტენციების კრებულები და ა. შ.

ქრისტიანული პოეზია, ძირითადად, ღვთისმსახურებისა და წმინდა წიგნების ლექსის ფორმით ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. ამ თვალსაზრისით შეიძლებოდა მრავალ სხვა მაგალითთან ერთად მოგვეყვანა პოეტი ქალის, ევდოკიას (ახ. წ. V ს.), კეისარ თეოდოსიუს II-ის მეუღლის მიერ ძველი აღთქმის წიგნების ჰექსამეტრულად გამართვა. ნონოს პანოპოლისელს, რომელიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მთლიანად ანტიკურ სტილში დაწერილი პოემის ავტორი იყო, მიეწერებოდა იოანეს სახარების პოეტური პერიფრაზირება.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, როგორც ვთქვით, პარალელურად აგრძელებს არსებობას წარმართული ლიტერატურა, რომელშიც არცთუ იშვიათად შეიმჩნევა ქრისტიანობით გაღიზიანება და მის წინააღმდეგ გალაშქრება. განსაკუთრებით გამოირჩევა, ამ მხრივ, ათენის ფილოსოფოსთა სკოლა, რომელიც, ფაქტობრივად, ქმნის უკანასკნელ ფილოსოფიურ თხზულებებს ქრისტიანობის წინააღმდეგ პროკლეს (412-485) ხელმძღვანელობით და სავსებით გასაგებია, თუ რატომ დახურა ეს სკოლა იუსტინიანუსმა 529 წელს.

კვლავ გრძელდებოდა ამ პერიოდში ცნობილი ანტიკური ფილოსოფოსების კომენტირება, ა. მ., სიმპლიკიოსი (VI საუკუნის პირველი ნახევარი) ქმნის არისტოტელესა და ეპიკტეტოსის კომენტარებს. წარმართ ისტორიკოსთა შორის გამოირჩევიან პრისკოსი, ძოსიმოსი. სოფისტიკის უკანასკნელი დასაყრდენი იყო მათი სკოლა გაზაში (ღაზაში), რამაც თავისი არეკვლა პოვა VI საუკუნის მწერლების – ენეასისა და პროკოპიოსის თხზულებებში.

იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში არ ნელდებოდა საზოგადოების ინტერესი ე. წ. თავშესაქცევი ლიტერატურის მიმართ, რისი მშვენიერი მაგალითიც არის IV ან, შესაძლოა, V საუკუნეში შექმნილი კრებული „ფილოგელოსი", რომელიც, ფაქტობრივად, ანტიკურ ანეკდოტთა კრებულს წარმოადგენს. ძალზე საინტერესოა, რომ ქრისტიანული ლიტერატურისა და იდეოლოგიის ესოდენ დიდი აღმავლობის პერიოდში იქმნება ლიტერატურა, რომელიც მთლიანად ანტიკური ესთეტიკის კანონებს შეესაბამება. ამ თვალსაზრისით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია ნონოს პანოპოლისელის „დიონისიაკა", ანტი-

კურ სამყაროში შექმნილი ყველაზე დიდი პოემა, რომელიც, არსებითად, აერთიანებს თავის თავში ჰომეროსის, ელინისტური და პოსტელინისტური ანტიკური ეპოსის სულს. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ნონოსი ამასთანავე ცნობილია თავის წმინდად ქრისტიანული ხასიათის თხზულებებით. პოპულარობით სარგებლობდა მუსეოსის ანტიკურობის დასალიერს შექმნილი ასევე წმინდად წარმართული პოემა ჰეროსა და ლეანდროსის სიყვარულის შესახებ და მრავალი სხვა.

თანამედროვე მეცნიერებაში საკმაოდ პრობლემატურია ის საკითხი, თუ რომელ ლიტერატურას უნდა მივაკუთვნოთ გვიანანტიკურობის ეპოქაში შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები, უპირველეს ყოვლისა კი, ქრისტიანული ლიტერატურული ძეგლები: ანტიკურს, გვიანანტიკურს თუ ადრებიზანტიურს. მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ქრისტიანული ლიტერატურა უნდა მივიჩნიოთ არა ანტიკური ლიტერატურის, არამედ — ბიზანტიური ლიტერატურის კუთვნილებად.

ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ ბერძნულმა ლიტერატურამ თავისი განვითარების ხანგრძლივი დროის განმავლობაში, არსებითად, შექმნა ლიტერატურული აზროვნების ყველა ფორმა. რაც მთავარია, მან მსოფლიო კულტურის ისტორიას მისცა ყველა ძირითადი ლიტერატურული ჟანრი: ეპოსი, ლირიკა, დრამა, რომანი; ასევე მნიშვნელოვანია მრავალი ნაწარმოები, რომელიც შემდგომ მთელი ევროპის ლიტერატურისათვის იქცა მოდელად ამა თუ იმ მითოლოგიური სიუჟეტის დამუშავების, ტიპური სიუჟეტებისა თუ ფაბულების კონსტრუირებისას.

## რომაული ლიტერატურა

ტრადიციის თანახმად, ლათინურენოვანი ანტიკური ლიტერატურის მიმართ გამოვიყენებთ ტერმინს *რომაული ლიტერატურა.* ამის საპირისპიროდ ანტიკურობის შემდგომი ეპოქის ლათინურენოვან მწერლობას ლათინურ, კერძოდ, შუა საუკუნეების ლათინურ ლიტერატურას ვუწოდებთ. შეიძლება ითქვას, რომ რომაული ლიტერატურა იმ ფორმით და იმ შინაარსით, რომლითაც მას დღეს ვიცნობთ, ძირითადად, ბერძნული ლიტერატურისაგან არის დავალებული. იტალიკური ტომების კულტურული ცხოვრების ფარგლებში მიმდინარეობდა პროცესები, რომელთაც შეეძლოთ რომი შემდგომში ლიტერატურული შემოქმედების გარკვეული ფორმების ჩამოყალიბებამდე მიეყვანათ, მაგრამ დიდ ბერძნულ ლიტერატურასთან შეხვედრამ, ბერძნულმა ცივილიზაციამ არსებითი გარდატეხა მოახდინა რომაული კულტურის განვითარებაში. შეიძლება ითქვას, რომ მან დააჩქარა რომის კულტურული განვითარების პროცესები. სწორედ ამიტომ, თუკი ბერძნულ ლიტერატურაში შეინიშნება ერთი ლიტერატურული ფორმიდან მეორეზე ლოგიკური გადასვლა, რომაული ლიტერატურა, ამ მხრივ, არ გამოირჩევა განვითარების იმ ტენდენციებით, რომელთაც ბუნებრივი შეიძლება ვუწოდოთ. რომაული ცივილიზაციის დიდი აღმავლობა, არსებითად, მაშინ დაიწყო, როდესაც ელინისტური კულტურა დომინირებდა. თავად იტალიაშიც, ჯერ კიდევ დიდი კოლონიზაციის პერიოდიდან მოყოლებული, უამრავი ბერძნული დასახლება იყო, რომელიც ერთიანი ელინური კულტურის სივრცეს ეკუთვნოდა. შესაბამისად, რომაელები მათი კულტურული აღმავლობის დაწყების პროცესში იტალიის სხვა ხალხებთან ერთად, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, უშუალოდ შეხვდნენ უკვე განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მყოფ ბერძნულ კულტურას. რომაელთა თვალსაწიერში ერთდროულად შემოვიდა ბერძნული ლიტერატურის ყველა ჟანრი, ყველა ცნობილი ბერძენი ავტორი. შესაბამისად, ლიტერატურული პროცესების წარმართვისა თუ ჟანრების ფორმირების სფეროში ბერძნული მწერლობისაგან განსხვავებული სურათი გვქონდა. პირველ ეტაპზე მაინც ყველაზე მეტ გავლენას ახდენდა ის, რაც ყველაზე უფრო ცნობილი იყო ან

რასთანაც ყველაზე უფრო ინტენსიური კონტაქტები არსებობდა ანუ ელინისტური ლიტერატურა.

დღეს, პირობითად, რომაული ლიტერატურის ისტორია შეიძლება სამ დიდ პერიოდად დავყოთ: 1. რესპუბლიკური ხანის რომაული ლიტერატურა (ძვ. წ. IV საუკუნე და ძვ. წ. I საუკუნის პირველი ნახევარი); 2. ე. წ. ავგუსტუსის ეპოქის ანუ „ოქროს ხანის" ლიტერატურა (ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარი და ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისი); 3. კეისრების ეპოქის ლიტერატურა, რომელიც, თავის მხრივ, ორ ქვეპერიოდად შეიძლება დაიყოს: ა) პრინციპატის ეპოქის ლიტერატურა (ახ. წ. I-III სს.) და ბ) გვიანანტიკური ლიტერატურა (ახ. წ. III საუკუნის მიწურული – V ს.).

**რესპუბლიკური ხანა.** თუკი არ გავითვალისწინებთ ე. წ. იტალიკური ტრადიციების წიაღში აღმოცენებულ წინარელიტერატურულ ფორმებს – სხვადასხვა ხასიათის საკულტო სიმღერებს და ე. წ. თორმეტი დაფის კანონებს – ჭეშმარიტი ლიტერატურა იტალიაში იწყება იმ პირთა აქტივობის შედეგად, რომელთაც ბერძნულენოვანი გარემოდან შემოიტანეს და დანერგეს იტალიაში ლიტერატურული შემოქმედების ტრადიციები.

რამდენადაც ამ ეპოქის ბერძნულენოვან სამყაროში ლიტერატურული ხელოვნების ყველაზე პოპულარულ ფორმად დრამა ითვლებოდა, რომაულ ლიტერატურას, ფაქტობრივად, სწორედ დრამით ვიწყებთ. ლივიუს ანდრონიკუსმა (ძვ. წ. 285-204), როგორც ჩანს, პირველმა შესთავაზა რომაულ საზოგადოებას ბერძნული მითოლოგიური ფაბულების საფუძველზე შექმნილი ტრაგედიები. მისი საქმე წარმატებულად გააგრძელა გნეუს ნევიუსმა (ძვ. წ. III ს.), რომელმაც შექმნა ტრაგედიები – ე. წ. პრეტექსტები, რომაული ეპოსი და ა. შ. კვინტუს ენიუსიც (ძვ. წ. 239-169) დრამის ჟანრში მოღვაწეობდა, თუმცა მან შექმნა ასევე დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოები, სატირები, ეპიგრამები და სხვ. მარკუს პაკუვიუსი (ძვ. წ. 220-130) ცნობილია იმით, რომ შემოიფარგლა ერთ ჟანრში – ტრაგედიაში მუშაობით და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ ჟანრის ლიტერატურული ფორმის დახვეწაში. თანდათანობით რომში იკვეთება, თუკი დიომედესის „გრამატიკის ხელოვნების" ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ, ე. წ. fabula praetexta, რომელიც ტრაგედიის ტიპური რომაული ფორმის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. რაც შეეხება კომედიას, აქ მოხდა ძველი რომაული სანახაობებისა და ახალი ატიკური ბერძნული კომედიის საკმაოდ საინტერესო სინთეზი. კომედიების ტიპის კლასიფიკაციისათვის შემოთავაზებული იქნა ტერმინები „მოსასხამის" მიხედვით: fabula togata (ტოგა იყო რომაელი მოხელეების მოსასხამი) და fabula palliata (ლათინური ტერმინი pallium შესაბამისი იყო ბერძნული ἱμάτιον-ის, მოსასხამისმაგვარი სამოსისა, რაც ბერძენთა დამახასიათებელი ჩაცმულობა იყო). შესაბამისად, იგულისხმებოდა დრამების სახეები, რომლებშიც შეიძლებოდა, პირობითად, ერთმანეთისაგან განგვესხვავებინა რომაული და ბერძნული ტიპის ფაბულები. თუკი პირველ შემთხვევაში მოქმედება აღებული იყო, ძირითადად, რომაული ყოველდღიური ცხოვრებიდან, მეორე შემთხვევაში, არსებითად, ხდებოდა ბერძნული კომედიების სიუჟეტების საფუძველზე პიესების შექმნა ბერძნული სახელების გადმოტანით.

რომაულ კომედიოგრაფიაში განსაკუთრებით გამოირჩევა ორი ფიგურა: პლავტუსი და ტერენციუსი. ტიტუს მაკციუს პლავტუსი (ძვ. წ. 250-184), ზოგი წყაროს მიხედვით, 130 კომედიის ავტორი იყო. იგი საკმაოდ მოხერხებულად აერთიანებს სხვადასხვა ბერძნული ყოფითი კომედიის სიუჟეტებს და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ კომედიამ რაც შეიძლება მეტი სიცილი გამოიწვიოს. ტერენციუსი (ძვ. წ. 195/90-159) შედარებით ნაკლები პროდუქტიულობით გამოირჩეოდა. მისგან შემოგვრჩა 6 კომედია, რომლებიც, როგორც ჩანს, მეტად იყვნენ დამოკიდებულნი ბერძნულ პროტოტიპებზე. ტერენციუსი არ მიმართავდა სხვადასხვა სიუჟეტთა კონტამინაციას. მისი კომედიების მიმართ ძნელია

ეპითეტ სასაცილოს გამოყენება. ეს არის უფრო სერიოზული დრამები, რომლებიც წარმოგვიდგენენ ყოფით გაუგებრობებზე აღმოცენებულ ადამიანთა ვნებათაღელვას, თუმცა კომედიასთან მათ საერთო აქვთ ის, რომ ბოლოს ყველაფერი აუცილებლად ბედნიერად მთავრდება.

დრამატული ჟანრის პარალელურად ასევე პოპულარული ხდება ბერძნული ეპოსის „თარგზე აჭრილი" რომაული ეპოსი. უკვე ჩვენ მიერ ხსენებული ლივიუს ანდრონიკუსი ცდილობს ჰომეროსის ეპოსის ლათინური ვერსიის დამუშავებას. რაც შეეხება ნევიუსს, იგი თავისი „პუნიკური ომით" საფუძველს უდებს ნაციონალურ რომაულ ეპოსს. როგორც ტრაგედიის, ასევე ეპოსის სფეროში იგი უპირატესობას ანიჭებს რომაულ სინამდვილესთან დაკავშირებულ ფაბულებს. ენიუსი უფრო შორს მიდის და იგი ქმნის „ანალებს", რაც უკვე რომის ისტორიის გადმოცემის ცდას წარმოადგენს. ამასთანავე იგი ლათინურ ენაში ჰექსამეტრის გადმოტანით გზას უხსნის ბერძნული საზომების შემოსვლას რომაულ ლიტერატურაში.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში რომაულმა ლიტერატურამ საკმაოდ მოკლე დროში შეითვისა, განავითარა და მაღალ დონეზე აიყვანა ყველა ჟანრი, რომელიც ბერძნულმა ლიტერატურამ საუკუნეების განმავლობაში შექმნა. სხვა ჟანრების პარალელურად ასევე ვითარდება ე. წ. პიროვნული პოეზია. მართალია, იგი საკმაოდ ჩამოუვარდება „ბერძნულ სიმაღლეებს", მაგრამ აშკარად გამოირჩევა თავისი ორიგინალობით. გარკვეული წინსვლა შეინიშნება ფილოსოფიის და მჭევრმეტყველების განვითარებაშიც. და მაინც, რომაული ლიტერატურის ჭეშმარიტი აღმავლობა იწყება რესპუბლიკის კრიზისის დაწყების ეპოქიდან. ამ დროს მოღვაწეობდნენ უკვე ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურები, რომლებიც ტოლს არ უდებენ თავიანთ ბერძენ წინამორბედებს. დრამის სფეროში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ლუციუს აკციუსმა (ძვ. წ. 170-80). ისტორიოგრაფიაში ძალზე მნიშვნელოვანი იყო იულიუს კეისრის (ძვ. წ. 100-44) თხზულებები, ისევე როგორც კორნელიუს ნეპოსისა (ძვ. წ. 100-25) და სალუსტიუს კრისპუსის (ძვ. წ. 86-35) ნაშრომები.

არა მარტო რომაული, არამედ საერთოდ ანტიკური და მსოფლიო ლიტერატურისათვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა რომაულ ლიტერატურაში ე. წ. ნეოტერიკული („უფრო ახალი") მიმართულების აღმოცენება, რომელმაც, ფაქტობრივად, გზა გაუხსნა ჭეშმარიტად ლირიკული პოეზიის აღმავლობას რომში. მისი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო კატულუსი (ძვ. წ. 87-54), რომლის ლექსები და ეპილიონები უთუოდ ანტიკური ლიტერატურის თვალსაჩინო მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ.

რომაულ ფილოსოფიაში სწორედ ამ ეპოქაში ხდება ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა. იქმნება ფილოსოფიური პოემა, ლუკრეციუსის (ძვ. წ. 97/4-55) „საგანთა ბუნებისათვის", რომელიც წარმოადგენს ეპიკურეს მოძღვრების გადმოცემას ბრწყინვალე პოეტური ფორმით. ეს, თავად პოემის მიხედვით, განაპირობა იმხანად რომის საზოგადოების ჯერ კიდევ არასათანადო მზადყოფნამ, მიეღო სერიოზული ფილოსოფიური აზროვნების შემცველი ნაწარმოები. პოეზია ამ შემთხვევაში იყო, როგორც „მურაბაშერეული წამალი", ერთგვარი მასტიმულირებელი საშუალება, რითაც ავტორი თავის მკითხველს „იტყუებდა" რთული ფილოსოფიური აზროვნების მორევში.

თავისი უნივერსალიზმით ამ ეპოქის და საერთოდ ანტიკურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურად წარმოგვიდგება ციცერონი (ძვ. წ. 106-43). იგი არის ერთდროულად ბრწყინვალე მჭევრმეტყველი, რიტორიკის თეორეტიკოსი და, ამასთანავე, გარკვეული ეკლექტიკურობის მიუხედავად, ერთ-ერთი უდიდესი რომაელი ფილოსოფოსი. ციცერონმა მჭევრმეტყველების ხელოვნება იმდენად მაღალ დონეზე აიყვანა, რომ მისი სახელი ზოგადად წარმატებული ორატორობის სინონიმად გადაიქცა.

ამავე პერიოდში მოღვაწეობდა მწერალი და მეცნიერი მარკუს ტერენციუს ვარონი (ძვ. წ. 116-27), რომელიც მართლაც გაოცებას იწვევს თავისი მრავალმხრივობით და ენციკლოპედიური უნივერსალიზმით.

შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის პერიოდში რომაულმა ლიტერატურამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა გადაწყვიტა: ა) შემოქმედებითად და მაქსიმალურად სრულად აითვისა ბერძნული ლიტერატურა; ბ) მონახა საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის ახლებურად გამოვლენის შესაძლებლობები; გ) თავად რომაული ლიტერატურის განვითარებას შეუქმნა მძლავრი ფუნდამენტი; დ) ჩამოაყალიბა ძალზე მოქნილი და დახვეწილი ერთიანი სალიტერატურო ლათინური ენა; ე) რომაელებს ჩაუნერგა რწმენა, რომ მათ შეუძლიათ დომინირება არა მარტო პოლიტიკის, არამედ ლიტერატურის სფეროშიც.

**ავგუსტუსის ეპოქა ანუ „ოქროს ხანა“.** შეიძლება ითქვას, რომ სულ რამდენიმე ათწლეულში მიაღწია რომაულმა ლიტერატურამ თავისი განვითარების მწვერვალს, რომელიც, ძირითადად, ავგუსტუსის მმართველობის და რომის იმპერიის შექმნის პერიოდს უკავშირდება. შეიქმნა ის სიმაღლეები, რომელთაც რომაელებს შესაძლებლობა მისცეს ლიტერატურის ამა თუ იმ ჟანრში თავი გაეტოლებინათ თავიანთ ბერძენ წინამორბედებისთვის. ამ პერიოდის ისტორიის და რომის იმპერიის შექმნის საკითხებს სპეციალურ თავში მივუბრუნდებით, აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ისე როგორც არასდროს, რომში ყურადღება მიექცა ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებას. კეისარ ავგუსტუსს გვერდში ედგა მისი ერთგული თანაშემწე მეცენასი (კლასიკური ლათინური გამოთქმით: მეკენასი), რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებდა კულტურისა და ინტელექტუალური ცხოვრების სფეროში იმპერატორის პოლიტიკის გასატარებლად. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ მის სახელს დაუკავშირდა ყველასათვის კარგად ცნობილი ტერმინ *მეცენატის* წარმოშობა. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი იყო სახელმწიფოს მხრიდან ხელოვნებისა და, კერძოდ, ლიტერატურისადმი იმგვარი ყურადღება, როგორიც თავის დროზე პერიკლესის ათენში იყო, მაგრამ განსხვავებით დემოკრატიული ათენისაგან, ამ შემთხვევაში ლიტერატურის და ხელოვნების განვითარება ძალზე მკაცრად კონტროლდებოდა ავგუსტუსის მიერ, რათა კულტურა მთლიანად მოქცეულიყო მისი იდეოლოგიის შესაბამის ჩარჩოებში. ამ საზღვრების გადალახვა მწერლისა და ხელოვანისათვის შეიძლებოდა საკმაოდ საბედისწერო აღმოჩენილიყო. ავგუსტუსის ცენზურის დიდი სიმკაცრისა და მწერლებსა და ხელოვანებზე სახელმწიფოს ძლიერი და აშკარა ზეწოლის მიუხედავად, ამ ეპოქის რომაულმა ლიტერატურამ მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოხატა თავი.

ავგუსტუსის ეპოქის ყველაზე დიდი პოეტი, რომელსაც რომის ჰომეროსი შეარქვეს, ვერგილიუსია (ძვ. წ. 70-19). სწორედ მას შეუკვეთა პრინცეპსმა იმ ეპოსის შექმნა, რომელსაც რომის და თავად ავგუსტუსის ეპოქის უკვდავყოფა შეეძლო და რომელიც თავისი მხატვრული ღირსებებით ჰომეროსის პოემების ტოლფასი იქნებოდა. ვერგილიუსი ამ დაკვეთას ბრწყინვალედ ასრულებს და, მიუხედავად იმისა, რომ თავად ავტორი სკეპტიკურად ყოფილა განწყობილი თავისი პოემის მიმართ და მისი განადგურებაც კი განუზრახავს, „ენეიდა“ რომაულ ლიტერატურას ისეთივე პარადიგმატულ ნაწარმოებად შემორჩა, როგორიც ბერძნული და საერთოდ ანტიკური ლიტერატურისათვის ჰომეროსის პოემები იყო. ვერგილიუსი თავის პოემაში იყენებს პოემების აგების ჰომეროსისეულ პრინციპებს. კერძოდ, „ენეადის“ პირველ 6 წიგნს, ტროადან იტალიამდე ენეასის მგზავრობის ამსახველ ნაწილს „ოდისეას“ გავლენით ქმნის, ხოლო მომდევნო 6 წიგნს, რომლებიც უკვე იტალიაში გამართულ ბრძოლებსა და ენეასის გვარის იქ დამკვიდრებას ასახავს – „ილიადის“ გავლენით. მიუხედავად ამისა, ეს გარემოება ხელს არ უშლის „რომაელ ჰომეროსს“ შექმნას თვი-

სობრივად ახალი პოემა, რომლის ამოცანა არის ასევე თვისობრივად ახალი გმირის კონცეფციის შექმნა, გმირისა, რომელიც ასრულებს თავის ღვთაებრივ მისიას. პოემაში ძირითად კონფლიქტს ქმნის დაპირისპირება გმირის სურვილსა და იმ მოვალეობას შორის, რომელიც მან ამ მისიის თანახმად უნდა აღასრულოს. ყველა შემთხვევაში გმირი თავის მოქმედებას უქვემდებარებს მისიას, რისი შედეგიც არის არა მარტო მრავალი დაბრკოლების გადალახვა რთულ გზაზე იტალიამდე, არამედ ასევე ბევრი პიროვნების ტრაგიკული ბედიც.

ვერგილიუსმა დაგვიტოვა აგრეთვე პოეტური ქმნილებების ორი კრებული: „ბუკოლიკები" თეოკრიტოსის იდილიებით არის შთაგონებული და ავტორის სოფლური ცხოვრებისაკენ პოეტური სწრაფვის განხორციელებას წარმოადგენს; „გეორგიკები", ერთი შეხედვით, მიწათმოქმედთათვის ჰესიოდეს სტილში მიცემულ „რეკომენდაციებს" წარმოადგენს, მაგრამ იგი ბევრად უფრო შორს მიდის და ბრწყინვალე პოეტურ კრებულს გვთავაზობს, რომელშიც გამთლიანებულია როგორც არქაული, ასევე კლასიკური და ელინისტური ხანის ბერძენ პოეტთა ყველაზე უფრო დიდი მიღწევები ამ ჟანრის პოეზიაში. ვერგილიუსის ერთგვარი წინასწარმეტყველება „ბუკოლიკების" IV ეკლოგეში იმის თაობაზე, რომ სამყაროს მოევლინება გმირი, რომელიც მას გარდაქმნის, შემდგომ ქრისტიანობის მიერ აღქმული იქნა როგორც მისი წინასწარმეტყველება ქრისტეს შობის თაობაზე.

თუკი ვერგილიუსი ავგუსტუსის ეპოქის გულწრფელი მომღერალია, მეცენასს საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ ავგუსტუსის მხარდამჭერად ექცია კიდევ ერთი პოეტი — ჰორაციუსი (ძვ. წ. 65-8). მისი პოეზია ცნობილია ავტორის პიროვნული „მე"-ს მედიტაციური და ლირიკულ-ფილოსოფიური გამოხატვით. მისი ოდები, ეპოდები, სატირები და წერილები ე. წ. ეპისტულები ქმნიან იმ კრებულს, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე და რომელიც წარმოგვიდგენს, მართალია, ბერძნული პოეზიით შთაგონებულ, მაგრამ თვითმყოფად რომაელ პოეტს. როდესაც სატირებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ერთადერთი ჟანრი, რაც ბერძნული ლიტერატურისაგან განსხვავებით შექმნა რომაულმა ლიტერატურამ (ყოველი შემთხვევისათვის, უკვე ძველები თვლიდნენ, რომ ეს რომაელების დამსახურება იყო), არის სატირა. ამ შემთხვევაში ეს არ შეიძლება აგვერიოს კლასიკურ ბერძნულ სატირულ დრამაში, რომელიც დაკავშირებული იყო ე. წ. სატირებთან, დიონისეს ამალის განუყრელ წევრებთან. რომაული სატირა საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ფორმით ვითარდებოდა: 1. ე. წ. ნინა-ლიტერატურული, დრამატული სატირა, რომელშიც, როგორც ჩანს, იმპროვიზირებული საუბარი იყო წარმოდგენილი; 2. ე. წ. ლიტერატურული, შესაბამისი საზომით გამართული სატირა (მაგალითად, ენიუსი, პაკუვიუსი), რომელიც მორალურ შეფერილობას შეიცავდა, მაგრამ არ ყოფილა ჩვენი გაგებით სატირული; 3. ე. წ. აგრესიული, თანადროულობის კრიტიკის შემცველი სატირა (ლუკილიუსი, პერსიუსი, იუვენალისი), რომლისთვისაც ნორმატიულ საზომად იქცა დაქტილური ჰექსამეტრი (ფაქტობრივად, ამ ტიპის პოეზიის რომში ფუძემდებლის, ლუკილიუსის წყალობით); 4. ე. წ. მენიპოსის (ან მენიპეური) სატირის რომაული ტრანსფორმაცია, რომელიც, ძირითადად, ვარონის, სენეკას და პეტრონიუსის შესაბამის ნაწარმოებებში შეინიშნება და რომლის არსიც პროზაული და პოეტური თხრობის ერთმანეთთან შერევაში მდგომარეობს. იგი ხშირად გამოიყენებოდა ფესცენინების (დასაცინი ხალხური სიმღერები, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ქალაქ ფესკენიუმთან (ფესცენიუმთან) და, კერძოდ, ჯარისკაცთა მიერ მთავარსარდლის დაცინვისას, ე. წ. ტრიუმფალური პროცესიების დროს.

ცნობილია ჰორაციუსის „წერილები", რომელთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „პოეტურ ხელოვნებას" ანუ „წერილს პიზონებისადმი". ეს ტრაქტატი, გარკვეულწილად, არისტოტელეს „პოეტიკის" (სავარაუდოა, რომ ჰორაციუსი არ იცნობდა არისტოტელეს ნაწარმოებს) ფუნქციას ასრულებდა რომაულ ლიტერატურათმცოდნეობაში. თუმცა ბევ-

რად ჩამოუვარდება მას პოეტიკის საკითხთა ინტერპრეტაციის მრავალფეროვნებითა და სიღრმით.

ამავე ეპოქაში რომაელ ელეგიკოსთა შემოქმედებაში ბერძნული ელეგია ძალზე საინტერესო გაგრძელებას პოულობს. უკვე ანტიმაქოს კოლოფონელმა, რომელიც ძვ. წ. V საუკუნეში მოღვაწეობდა, როგორც ჩანს, შექმნა კრებული სახელწოდებით „ლიდე". იგი ნაღვლიანი ამბების ერთგვარ კრებულს წარმოადგენდა. უფრო ადრე, როგორც ითქვა, ცნობილი იყო მიმნერმოსის მიერ შექმნილი კრებული „ნანო" და მრავალი სხვა ბერძენი პოეტის ელეგიები. რომში ელეგიური პოეზია ბრწყინვალე პოეტების: ტიბულუსის (ძვ. წ. 55-19) და პროპერციუსის (ძვ. წ. 50-15), განსაკუთრებით კი ოვიდიუსის წყალობით ახალ სიმაღლეზე ადის.

ამ პოეტთაგან საკმაოდ საინტერესოა უკანასკნელის ბედი. ოვიდიუს ნაზონი (ძვ. წ. 43-ახ. წ. 17/18) პრინცეპსმა საზოგადოებისათვის არასასურველ პოეტად მიიჩნია, რადგან ოვიდიუსის ლექსები ქარაფშუტულ და საზოგადოების მორალური საფუძვლების შემრყევ ნაწარმოებად ჩათვალა, რის გამოც მას სამუდამო გადასახლება მიუსაჯა შორეულ პონტოში (თანამედროვე რუმინეთის ტერიტორია). ოვიდიუსი გვევლინება პოეტთა იმ თაობის ტიპურ წარმომადგენლად, რომელმაც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ერთგვარი დისტანცირება მოახდინა ავგუსტუსის მიერ შემოთავაზებულ კულტურული ცხოვრების წესებთან და თავისი პოეზიით გარკვეულად „დისონანსი" შეიტანა ამ ეპოქის პოეზიაში. უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზი გახდა მისი სატრფიალო ელეგიები „ტრფობანი", „სიყვარულის ხელოვნება", „სიყვარულის წამალი", „ქალის სახის სილამაზის კოსმეტიკური საშუალებები", რომლებიც, არსებითად, წარმოადგენენ პოეტის სრულიად ფუქსავატურ და ხშირად პორნოგრაფიულობამდე მისულ დამოკიდებულებას ხორციელი ტრფობისადმი, სადაც უგულებელყოფილი იყო ყოველგვარი წმინდა და მყარი გრძნობები. ოვიდიუსს ეკუთვნის აგრეთვე კრებული ე. წ. „ჰეროიდები" — ცნობილი გმირი ქალების წერილები, რომლებშიც გადმოცემულია მითოლოგიურ თუ ისტორიულ ქალთა წერილები თავიანთი შეყვარებულების მიმართ. პოეტის ჭეშმარიტად უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებს წარმოადგენს „მეტამორფოზები", სადაც ოვიდიუსმა გამოიყენა ბერძნულ ლიტერატურაში უკვე არაერთგზის დამუშავებული თემა გარდაქმნებისა თუ გარდასახვებისა. მრავალრიცხოვანი მითოლოგიური ამბების ეპიკურ სტრუქტურაში თავმოყრით მან, ფაქტობრივად, გააერთიანა ორი პრინციპი: 1. სხვადასხვა, ძირითადად, ეტიოლოგიური შინაარსის მქონე უამრავი ამბის თავმოყრისა და 2. გარკვეული ეპიკური კონსტრუქციის შექმნისა, რომელშიც ეს ამბები რაღაც კანონზომიერებით დაიკავებდნენ თავიანთ ადგილს. ამგვარად, მიკროსტრუქტურების ანუ ამბების (მეტამორფოზების) დონეზე ოვიდიუსის პოემა წარმოგვიდგენს „ანტიეპოსს", რადგან ამ ამბებს რეალურად ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ აქვს, გარდა იმისა, რომ ისინი ახდენენ მეტამორფოზების იდეის პოეტურ ილუსტრირებას. მეორე მხრივ, მაკროსტრუქტურების ანუ მთელი პოემის დონეზე „მეტამორფოზები" არის ეპოსი, რომელშიც პოეტი საკმაოდ საინტერესოდ არეგულირებს ამ გარდასახვების პოემაში განლაგებას გარკვეული სტრუქტურული თუ მსოფლმხედველობრივი პრინციპით. ოვიდიუსს ეკუთვნის აგრეთვე კრებული „ფასტები", რომელიც მის სატრფიალო ელეგიებთან შედარებით გაცილებით უფრო სერიოზულია და ეხმიანება ავგუსტუსის ეპოქის მორალურ, რელიგიურ და პოლიტიკურ ტენდენციებს. პოეტის ლტოლვას გადასახლებიდან კვლავ რომში დაბრუნებისაკენ მშვენივრად გადმოგვცემს მისი კრებულები: „ტრისტიები" და „წერილები პონტოდან".

ავგუსტუსის ეპოქის ლიტერატურის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ასევე ანტიკურობის ერთ-ერთი ცნობილი ისტორიოგრაფოსის, ტიტუს ლივიუსის (ძვ. წ. 59 — ახ. წ. 17) მიერ შექმნილი ნაწარმოები „ქალაქ (რომის) დაარსებიდან", რომელიც გვთავაზობს ქა-

ლაქის ისტორიას მისი დაარსებიდან მოყოლებული და სწორედ ამის გამო ამ სახელწოდებამ – ab urbe condita – ერთგვარი სენტენციის მნიშვნელობა მიიღო. სხვა ისტორიკოსებს შორის გამოირჩეოდნენ ასინიუს პოლიო (ძვ. წ. 76 – ახ. წ. 5) და პომპეიუს ტროგუსი (ძვ. წ. I საუკუნის მიწურული). მმართველის მიმართ განსაკუთრებულ ერთგულებას ავლენდნენ ისტორიკოსები: ველეიუს პატერკულუსი (ძვ. წ. 20/19 – ახ. წ. 30 წლის შემდეგ), ვალერიუს მაქსიმუსი (ახ. წ. I საუკუნის პირველი ნახევარი) და კურციუს რუფუსი (ახ. წ. I ს.).

რასაკვირველია, ამ ეპოქაში საკმაოდ განვითარდა აგრეთვე ფილოლოგია და ე. წ. ტექნიკური დისციპლინები, რისი მშვენიერი მაგალითებია ვიტრუვიუსის (დაახლ. ძვ. წ. 84-14) „არქიტექტურის შესახებ". ამ მხრივ საყურადღებოა: კელსუსის (ახ. წ. I ს.) ენციკლოპედიური ნაშრომი, რომლის რვა წიგნი მედიცინის შესახებ ჩვენამდეა შემორჩენილი, კოლუმელას (ახ. წ. I ს.) „სოფლის მეურნეობის შესახებ", რომელიც აგრარულ საკითხებს ეძღვნება და პომპონიუს მელას (ახ. წ. I ს.) „ქრონოგრაფია", რომელიც ხმელთაშუაზღვის მრავალი რეგიონის საკმაოდ საინტერესო ეთნოგრაფიულ აღწერას გვთავაზობს.

**კეისრების ეპოქა.** ავგუსტუსის ეპოქის დიდი აღმავლობის პათოსი რამდენადმე გადაეცა ე. წ. პრინციპატის ეპოქის ანუ კეისრების ეპოქის ლიტერატურას ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. სწორედ ამიტომ კლასიკურ ფილოლოგიაში სპეციალური ტერმინიც კი მოინახა, რომელიც ამ ეპოქის მნიშვნელოვან ლიტერატურულ მიღწევებს შეესაბამებოდა. მას უწოდებენ „ვერცხლის ხანას". პოსტავგუსტუსისეული ადრეული პრინციპატის ეპოქა მოიცავს პერიოდს ტიბერიუსიდან დომიციანუსამდე. მართალია, ამ პერიოდში უკვე შეინიშნება დაღმასვლის გარკვეული ტენდენციები, მაგრამ ამის პარალელურად რომის იმპერია მაინც ახერხებს თავისი პოზიციების გამყარებას. ისტორიულ მიმოხილვაში გვექნება შესაძლებლობა ძალზე მოკლედ მივანიშნოთ იმ გავლენაზე, რაც ავგუსტუსის შემდგომ ამა თუ იმ კეისრის ხასიათმა და მმართველობის სტილმა მოახდინა ზოგადად იმპერიის და, კერძოდ, კულტურის განვითარებაზე. აქ კი მხოლოდ ლიტერატურულ პროცესს შევეხებით.

ამ ეპოქის ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა არის ფილოსოფოსი და მწერალი სენეკა (ახ. წ. 4-65), რომელიც თავისი მსოფლმხედველობით სტოიკოსი იყო. იგი ქმნის მრავალ ფილოსოფიურ ნაწარმოებს, რომლებმაც შემდგომ დიდი გავლენა მოახდინეს ევროპული აზროვნების განვითარებაზე. საკმაოდ ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა დრამატურგიის სფეროში. ცნობილია მისი ტრაგედიები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ბერძნული პროტოტიპების მიხედვით არის შექმნილი: „თიესტესი", „ოიდიპოსი", „მედეა", „ფედრა", „ფინიკიელი ქალები", „ტროელი ქალები", მაგრამ მათ კლასიკური ბერძნული დრამისაგან ბევრი რამ განასხვავებს არა იმდენად ფაბულის, რამდენადაც ტრაგიკული პათოსის გამოხატვის დონეზე. მხოლოდ ერთი ტრაგედია – „ოქტავია" – გამოიყენებს praetexta-ს ანუ რომაული სინამდვილის ამსახველ სიუჟეტს, თუმცა სენეკასთვის ამ ტრაგედიის მიკუთვნება მეცნიერებაში დისკუსიას იწვევს. სენეკას ტრაგედიები, როგორც ჩანს, ძირითადად, საკითხავ დრამებად იყო ჩაფიქრებული და მათი აუდიტორია არ იყო ისეთი მრავალრიცხოვანი, როგორიც ბერძენ დრამატურგთა კლასიკურ ათენში. მაგრამ მანამდე, ვიდრე ევროპა შეძლებდა სრულყოფილად ჩაწვდომოდა კლასიკური ბერძნული ტრაგედიის თავისებურებას და ზიარებოდა მას, სენეკას ტრაგედიებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ევროპულ დრამატურგიაზე. სენეკასაგან ჩვენ დაგვრჩა საკმაოდ საინტერესო თხზულება „გაკვახება", რომელიც იზოლირებულად დგას მის შემოქმედებაში და რომელსაც აშკარად მენიპეური სატირის ხასიათი აქვს. მასში ე. წ. პროსიმეტრიონის (პროზის და პოეზიის ნარევი) საშუალებით პაროდირებულია კეისარ კლავდიუსის აპოთეოზი.

რომში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ე. წ. მცირე პოეზიის ნაკადი, რომელიც წარმოდგენილია გერმანიკუსის (ძვ. წ. 15 – ახ. წ. 19) და მანილიუსის (ახ. წ. I საუკუნის პირველი ნახევარი) შემოქმედებაში. ისინი აგრძელებენ ე. წ. განსწავლული პოეზიის არა მარტო ელინისტურ, არამედ უკვე რომაულ ნეოალექსანდრიულ ტრადიციებს. ცნობილია ვერგილიუსის სახელით მოღწეული ლექსები, რომლებიც „ვერგილიუსის დამატებად" იქნა მიჩნეული.

რომაული იგავ-არაკის ჟანრის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო ფედრუსი (ძვ. წ. 18 – ახ. წ. 55), რომელმაც ესოპეს ტრადიციები გააგრძელა რომში.

ე. წ. ნერონის ეპოქისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გახდა ეპიკური ჟანრის აღორძინება. ლუკანუსი (ახ. წ. 39-65) ქმნის ცნობილ პოემას „ფარსალია", რომელიც წარმოგვიდგენს რომის დიდებას უკვე არა მითოლოგიური წარსულის ჩვენების საშუალებით, არამედ სამოქალაქო ომთან და მის ძირითად ფიგურებთან: იულიუს კეისართან, პომპეიუსსა და კატონთან დაკავშირებული ამბების ჩვენებით.

საინტერესო ფიგურა არის პეტრონიუსი (გარდაიცვ. ახ. წ. 66 წ.), რომლის „სატირიკონიდან" ჩვენამდე ყველაზე კარგად მოაღწია ცნობილმა ეპიზოდმა ტრიმალქიონის ლხინის შესახებ. აქ პეტრონიუსი მსუბუქი ბელეტრისტული ფორმით გვთავაზობს საინტერესო მსჯელობას ლიტერატურისა და ინტელექტუალური ცხოვრების საკითხებზე. პერსიუსი (34-62) და იუვენალისი (60-130) ქმნიან სატირების ცნობილ კრებულებს.

ფლავიელთა ეპოქის ლიტერატურის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ეპიკური ტრადიციების გაგრძელება. სტაციუსი (45-96) ქმნის მრავალ ნაწარმოებს, მათ შორის, ორ ცნობილ პოემას: „თებაისი", „აქილეისი" და ჩვენამდე არმოღწეულ თხზულებას „გერმანული ომის შესახებ". იგი არის, როგორც ჩანს, პანტომიმისათვის შექმნილი ლიბრეტოს „აგავეს" ავტორიც და ასევე თემებითა და საზომებით ჭრელი კრებულისა „ტყეები".

საკმაოდ პოპულარული იყო ეპიკოსი ვალერიუს ფლაკუსი (ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარი), რომელიც ხელს კიდებს არგონავტიკის თემას და თავისი ძირითადი პროტოტიპის, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის" სიუჟეტის არცთუ უმნიშვნელო ცვლილებებით ქმნის იმავე სახელწოდების პოემას არგონავტთა ლაშქრობის შესახებ, რომელშიც საკმაოდ კარგად ირეკლება აღმოსავლეთში განლაგებული ქვეყნების მიმართ რომის პოლიტიკური ინტერესები.

სილიუს იტალიკუსი (26-101) თავის ეპიკურ მუზას პუნიკური ომების, უფრო სწორად, მეორე პუნიკური ომის გადმოცემას უთმობს. საყურადღებოა, რომ რომაელი ეპიკოსებისათვის პოეტური ენისა და პოეტური პრინციპების გამოყენების ძირითადი წყარო უკვე არის არა ჰომეროსი, არამედ ვერგილიუსი. რასაკვირველია, ეს ეხება უფრო მეტად პოეტურ ენასა და ხატოვან ფორმებს და არა ინფორმაციულ საფუძველს.

ეპიგრამატულმა პოეზიამ თავისი ბრწყინვალე გამოხატულება პოვა მარციალისის (40-102) შემოქმედებაში. მისი ეპიგრამები საოცარი იუმორითა და დაცინვის პათოსით, არსებითად, ასახავენ მთელ მის გარემომცველ სამყაროს.

რომში მჭევრმეტყველების ერთ-ერთ აღიარებულ მასწავლებლად შეიძლება მივიჩნიოთ კვინტილიანუსი (35-96), რომლის თხზულება „შესავალი რიტორიკაში" (Institutio oratoria) საკმაოდ საინტერესო ანალიზს გვთავაზობს საერთოდ მჭევრმეტყველების სტილისა და ფუნქციის შესახებ. ლიტერატურის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ნაშრომის IX წიგნი, სადაც კვინტილიანუსი ძალზე საინტერესო კომპარატივისტულ დაკვირვებებს გვთავაზობს ბერძნულ და რომაულ ლიტერატურაზე.

ე. წ. კვაზიმეცნიერული პროზის უდიდეს წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ პლინიუს სეკუნდუსი (უფროსი) (23/24-79). მისი „ბუნების ისტორია" იყო ჭეშმარიტი ენციკლოპედია, რომლის 37 წიგნი წარმოადგენდა ასი ავტორის 2000-ზე მეტი ნაშრომის საოცრად

დიდი მოცულობის ინფორმაციის გადამუშავების შედეგს. ფრონტინუსმა (35-104) შექმნა ნაშრომები: „რომის წყლების შესახებ“ და „ომის ოინები“, ეს უკანასკნელი წარმოადგენს ანეკდოტების კრებულს ჯარის ცხოვრებიდან. ამის საპირისპიროდ პირველი ნაწარმოები საკმაოდ სერიოზულად განიხილავს რომის წყლით მომარაგების პრობლემებს.

II საუკუნე რომის ისტორიაში სტაბილურობითა და მშვიდობიანობით გამოირჩევა, რაც, ბუნებრივია, კულტურის მეტ რაფინირებულობაში აისახა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს პროცესი ყოველთვის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის ძალის შესაბამისი იყო. ამ ეპოქის საინტერესო მოვლენას წარმოადგენს პლინიუს სეკუნდუსი (უმცროსი) (4-65), რომლისგანაც შემოგვრჩა წერილების ათი წიგნი. ამ წერილებს, რომელთაც სხვადასხვა ადრესატი ჰყავთ, არა მარტო ინფორმაციული თვალსაზრისით აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა, არამედ ისინი ლიტერატურული ეპისტოლოგრაფიის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენენ.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის ერთ-ერთ უდიდეს ფიგურას წარმოადგენს კორნელიუს ტაციტუსი (55-117/120). ამ მწერლის თხზულებები „ორატორთა შესახებ“, „იულიუს აგრიკოლას ცხოვრებისა და ხასიათის შესახებ“, „გერმანელების წარმომავლობისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ“ მის საკმაოდ მრავალმხრივ ნიჭზე მეტყველებენ, მაგრამ, რასაკვირველია, ტაციტუსმა სახელი გაითქვა თავისი მთავარი ნაშრომებით: „ისტორიები“ და „ანალები“. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიოგრაფიული თვალსაზრიერის მასშტაბურობით, ისტორიული მოვლენების ანალიზის სიღრმითა და ობიექტურობით ამ ნაშრომებმა მსოფლიო ისტორიოგრაფიისა და ანალისტიკის უმნიშვნელოვანეს ძეგლთა შორის საუკუნოდ დაიმკვიდრეს ადგილი.

ძალზე პოპულარული იყო სვეტონიუსის (75-150) თხზულება „კეისრების ცხოვრების შესახებ“, რომელიც თითქმის მთლიანად არის ჩვენამდე მოღწეული. საინტერესოა აგრეთვე მისი თხზულება „სახელგანთქმულ კაცთა შესახებ“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თხზულების ბოლო ნაწილი „გრამატიკოსებისა და რიტორების შესახებ“.

ცნობილია აპულეიუსის (125-170) რომანი „მეტამორფოზები“ II წიგნად. ადამიანის სახედრად გადაქცევის თემა ჯერ კიდევ ლუკიანოსის ნაწარმოებს „ლუკიოსს“ ედო საფუძვლად. აპულეიუსის ნაწარმოები კი უკვე წარმოგვიდგენს ვრცელ რომანს ადამიანის სახედრად გარდასახვის შესახებ, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ადამიანური გონება და აღიქვამს ყოველივე იმას, რაც ხდება და რასაც ადამიანები მისგან, როგორც სახედრისგან არ მალავენ და რაც მთელი სიშიშვლით წარმოაჩენს ადამიანური ცხოვრების ვერაგობით, გაუტანლობით, ცვალებადობით აღსავსე მოვლენებს.

II საუკუნეში, როდესაც აშკარად იგრძნობა მცირე ფორმების პოეზიის დეფიციტი, რომაულ ლიტერატურაში იწყება მოძრაობა, რომელიც გარკვეულწილად III საუკუნეშიც გადადის. მას ქმნიან ჩვენამდე, სამწუხაროდ, საკმაოდ ცუდად მოღწეული ე. წ. „ახალი პოეტები“ (Poetae novelli). როგორც ცნობილია, უკვე ძვ. წ. I საუკუნეში შეიქმნა პოეზიაში ე. წ. ნეოტერიკული მიმართულება, რომლის ერთგვარი გამოძახილი იყო პოეტთა გააქტიურება II-III საუკუნეებში. როგორც ჩანს, ამ ახალი მიმართულების პოეტებს ჰქონდათ პრეტენზია სიახლე უფრო ფაქიზი, რაფინირებული და, თანამედროვე ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, ავანგარდისტული ფორმითაც კი წარმოედგინათ. ამ მიმართულების მრავალრიცხოვან პოეტთა შორის, როგორც ჩანს, თავისი ადგილი დაიმკვიდრა ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდმა ქომაგმა, იმპერატორმა ჰადრიანუსმა. მას თავადაც შეუქმნია ლექსები, რომელთა მცირე ფრაგმენტებმა ჩვენამდეც მოაღწია. როგორც ჩანს, ამ მცირე პოეტური ფორმებისაკენ ლტოლვა საკმაოდ გადამდები აღმოჩნდა. ამ პროცესს მრავალმა სხვადასხვა ჟანრში მოღვაწე პოეტმა აუბა მხარი. კერძოდ, III საუკუნეში შექმნილა ცნობილი „ვენუსის ღამის დღესასწაული“. ეს 93 კატალექტური ტროქეული ტეტრამეტრის

შემცველი პოეტური ქმნილება გადმოგვცემს ღამის რიტუალს, რომელიც გაზაფხულის დაწყებასა და სიყვარულის ქალღმერთის დაბადებას ეძღვნება. ეს არ არის რელიგიური საკულტო დანიშნულების ლექსი ან ჰიმნი. ეს უფრო პოეტური ნაწარმოებია, რომელიც ეძღვნება სიყვარულის გამოღვიძებას გაზაფხულის ღამეს.

ამ პერიოდში იქმნება მცირე ზომის სხვადასხვა პოეტური ნაწარმოებები, ეპიგრამები, რომელთაც Anthologia Palatina-ში მოიყარეს თავი.

III საუკუნიდან თანდათანობით აღმავლობას იწყებს ლათინურენოვანი ქრისტიანული ლიტერატურა. აპოლოგეტური ლიტერატურის პირველი წარმომადგენლები, რომლებიც ლათინურ ენაზე წერდნენ, არიან ტერტულიანუსი (150-230) და მინუკიუს ფელიქსი (ახ. წ. II ს.). ტერტულიანუსის აპოლოგეტიკა საკმაოდ რადიკალურია და იგი ტოტალურად უპირისპირდება ანტიკური აზროვნებისა და ესთეტიკის პრინციპებს. შედარებით მცირე აპოლოგეტებს შეიძლება მივაკუთვნოთ კიპრიანუსი (200/210-258) და კომოდიანუსი (ახ. წ. IV ს).

**გვიანანტიკურობა.** გვიანანტიკურობა როგორც ლათინურენოვან, ისე ბერძნულენოვან ლიტერატურაში წარმართული და ქრისტიანული ტრადიციების გამოკვეთილი ჭიდილით აღინიშნა. წარმართული ტრადიციების დამცველად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი გრამატიკოსები და კომენტატორ-გამომცემლები, როგორებიც იყვნენ მარკელუსი (ახ. წ. IV ს.), დონატუსი (IV საუკუნის მეორე ნახევარი) და სხვანი.

მაკრობიუსის (ახ. წ. IV ს.) 7 წიგნის შემცველი „სატურნალია" წარმოადგენს სამ დღეზე განაწილებულ დიალოგს, რომელიც მოიცავს რომაელთა რელიგიური თუ ინტელექტუალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს. სიმახუსი ქმნის პანეგირიკებს ანუ სიტყვების კრებულს. იგი, ფაქტობრივად, წარმოგვიდგება IV საუკუნის უდიდეს მჭევრმეტყველად, თავისი რიტორიკული პოტენციალის პრაქტიკაში გამტარებლად.

კეისარ კონსტანტინეს ედიქტის გამოცემის შემდეგ იწყება ე. წ. მეორე აპოლოგეტიკის აღორძინება. აქ თავიანთი ნაშრომებით გამოირჩევიან არნობიუსი (III-IV), ლაქტანციუსი (III-IV), ფირმიკუს მატერნუსი (გარდაიცვ. 384 წლის შემდეგ). ქრისტიანი ავტორები კონსტანტინეს ეპოქამდე, ძირითადად, პროზაული ფორმით ქმნიდნენ თავიანთ ნაშრომებს. ე. წ. რელიგიური თავისუფლების მოპოვების შემდეგ კი, ახ. წ. IV საუკუნეში ასპარეზზე გამოდიან უკვე ქრისტიანული თემატიკის პოეტები: იუვენკუსი, ოპტატიანუსი და ტიბერიანუსი.

IV საუკუნეში, შეიძლება ვთქვათ, რომ ლათინურენოვანი წარმართული ისტორიოგრაფია აღმავლობის ყველა ნიშანს გვიჩვენებს. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ: ავრელიუს ვიქტორი, ევტროპიუსი, ე. წ. Historia Augusta-ს (კეისრების ისტორია) შემქმნელები (ახ. წ. IV ს.). გვიანანტიკურობის ალბათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიკოსია ამიანუს მარკელინუსი (333-395), რომელიც ანტიკური ისტორიოგრაფიის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს. ამ ე. წ. წარმართული ტენდენციების გვერდით სულ უფრო და უფრო გამოკვეთილ ადგილს იკავებს ქრისტიანული ისტორიოგრაფიის საკმაოდ საინტერესო ფორმა – ჰაგიოგრაფია (ქრისტიან წმინდანთა, მონაზონთა, საეკლესიო პირთა ცხოვრების აღწერა).

ამ საკმაოდ ეკლექტიკურ ეპოქაში დიდი წარმატებით სარგებლობდა რომანის შეფერილობის მქონე ამბები, რომელნიც აღმოსავლურ თემებს შეიცავდნენ. მაგალითისათვის, შეიძლებოდა დაგვესახელებინა „ტროის ომის დღიური", „ალექსანდრე დიდის ისტორია" და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიურ თუ იდეოლოგიურ ფრონტზე ვითარება საკმაოდ დაძაბული იყო, კეისრების სასახლეებში აგრძელებდნენ ძველ ტრადიციებს და ისინი, გარკვეული თვალსაზრისით, კულტურულ ცენტრებად გვევლინებოდნენ. აქ კეისრების ინიცია-

ტივით კვლავაც იმართებოდა სხვადასხვა ხასიათის სანახაობები, პოეტთა გამოსვლები. IV საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე ცნობილი პოეტი, ალბათ, არის ავსონიუსი, რიტორიკის მასწავლებელი და კეისარ გრატიანუსის აღმზრდელი და მრჩეველი. იგი თავის „მოზელაში" ბუნების სხვადასხვა სურათების აღწერით საზოგადოებაში ე. წ. ტურისტული ინტერესების გაღვიძებას ისახავდა მიზნად. თავად ქრისტიანი ავსონიუსი სრულიადაც არ თაკილობდა იმას, რომ მისი პოეზია ანტიკური ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელი იყო. წარმოშობით ბერძენი კლავდიანუსი, რომელიც თავდაპირველად მითოლოგიურ თემატიკაზე ბერძნულ ენაზე წერს, შემდეგ მთლიანად გადადის ლათინური ენის გამოყენებაზე და თავისი შემოქმედების ძირითად ჟანრად ირჩევს ისტორიულ ეპოსს. პრუდენციუსი განსაკუთრებით ცნობილი ხდება თავისი ლიტურგიკული ჰიმნებით.

პავლინუსი (ახ. წ. V ს.), ავსონიუსის მოსწავლე, ეპისტოლარულ ჟანრში მუშაობს. იგი ცნობილია სხვადასხვა მეტრით დაწერილი „სიმღერებით", რომლებიც ეძღვნება არა მარტო წმინდანებს, არამედ უბრალო ხალხსა და ხალხურ დღესასწაულებს.

პოეზიისკენ შემობრუნება გარკვეულად ნიშნავდა დრამისაკენ შემობრუნებას. ცნობილია აშკარად პლავტუსისა და ტერენციუსის გავლენით შექმნილი კომედია „ბუზღუნა", რომელიც ვინმე გალიელს უნდა შეექმნა.

როგორც ვხედავთ, IV საუკუნეში წარმართულ და ქრისტიანულ ლიტერატურას არ ჰქონდა ერთმანეთთან შეურიგებელი ხასიათი, უფრო მეტიც, ხშირად ისინი თანაარსებობდნენ ერთი პოეტის, ერთი მოღვაწის შემოქმედებაშიც კი. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ დროს არ ხდებოდა აშკარა აღმავლობა ქრისტიანული კულტურისა და დაღმასვლა წარმართული ანტიკური კულტურისა. გვიანანტიკურობის ბოლო პერიოდი აღინიშნა ასპარეზზე ისეთი ცნობილი ქრისტიანი ავტორების გამოსვლით, როგორებიც იყვნენ: ამბროსიუსი (340-397), ჰიერონიმუსი (345/348-420). ლათინურენოვან ქრისტიან ავტორთა შორის, ალბათ, უდიდესი იყო ავგუსტინუსი (354-430), რომლის თხზულებები ქრისტიანული აზროვნებისა და თეოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენად იქცა. რომის იმპერიის გაყოფა — ანტიკურობის საბოლოო დაცემის ერთ-ერთი ნიშანი — ლათინურენოვან სამყაროში ანტიკური ლიტერატურის დაქვეითების აშკარა მაუწყებელი იყო. მართალია, იქმნება მარციანუს კაპელას (გარდაიცვ. დაახლ. 470 წლისათვის) ენციკლოპედიური თხზულება „ფილოლოგია", მაგრამ, თუკი მისი ნაშრომისა და „ავგუსტუსის ისტორიის" შექმნის პერიოდში, ანუ IV საუკუნეში, ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ წარმართი ისტორიოგრაფოსები დომინირებდნენ, თანდათანობით აქაც წამყვან პოზიციებს უკვე ქრისტიანი ქრონიკოსები და ისტორიკოსები — ოროსიუსი და სალვიანუსი იკავებენ.

ანტიკურობის უკანასკნელ ლათინურენოვან პოეტად მიჩნეულია რუტილიუს ნამაციანუსი (ახ. წ. V საუკუნის პირველი ნახევარი). ამ გალიური წარმოშობის პოეტის ე. წ. სამოგზაურო ხასიათის ნაწარმოებმა „საკუთარი დაბრუნების შესახებ", რომელიც ელეგიური დისტიქებით იყო დაწერილი, არსებითად, ლათინურენოვან სამყაროში ამოწურა ანტიკური პოეზიის მუზა და ამის შემდგომ ლათინურ ენაზე, ფაქტობრივად, აღარაფერი შექმნილა ისეთი, რაც შეიძლება გვიჩვენებდეს ანტიკური წარმართული ტრადიციებისადმი ერთგულებას.

## ანტიკური ლექსთწყობა

ანტიკური ლექსთწყობა თავისი სრული სახით, ფაქტობრივად, ბერძნულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა. შეიძლება ითქვას, რომ რომაულმა ლიტერატურამ იგი მთლიანად გადაიტანა და აითვისა. სწორედ ამიტომ ამ ორ ლიტერატურაში არსებული ლექსთწყობის საკითხებზე, რომლებიც ერთმანეთისაგან ძალიან უმნიშვნელო განსხვავებებს გვიჩვენებენ,

ერთიანად შეიძლება მსჯელობა. ანტიკური ლექსთწყობა გამოირჩევა იმით, რომ იგი ეყრდნობა გრძელი და მოკლე მარცვლების მონაცვლეობით შედგენილ სალექსო სტრუქტურებს. როგორც აღვნიშნეთ, ხმოვნის სიგრძე პირობითად შეიძლება გამოვხატოთ ( – ) ნიშნით, სიმოკლე ( ˘ ) ნიშნით, ხოლო სიგრძე-სიმოკლე ( x ) ნიშნით. იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულ პოზიციაში უფრო ხშირად მოსალოდნელია გრძელი მარცვალი, ვიდრე მოკლე, ეს აღინიშნება ( ˉ ) ნიშნით, ხოლო, თუ უფრო ხშირად მოკლეა, შედარებით იშვიათად კი გრძელი, გამოიხატება შემდეგნაირად (˘). შესაბამისად, ბერძნულმა ლექსთწყობამ გამოიმუშავა სხვადასხვა სტრუქტურული ელემენტები, მარტივი და შედარებით კომპლექსური ტერფები, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ სეგმენტები. მათი გამოყენებით იგება სალექსო სისტემები. ეს სისტემა შეიძლება შეიცავდეს ერთ სალექსო სტრიქონს ანუ იმ მეტრს, რომელიც ერთი სალექსო სტრიქონისათვის არის დამახასიათებელი, რაც მთელს პოეტურ ქმნილებაში მეორდება. ასევე შეიძლება შეიცავდეს ორ სალექსო სტრიქონს და მათგან თითოეულს თავისი მეტრული სტრუქტურა ექნება. შეიძლება შეიცავდეს სამ და უფრო მეტ სალექსო სტრიქონს და მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ სტროფებზე. ამ შემთხვევაში სალექსო სტრუქტურა სტროფის შემადგენელი ყველა სტრიქონის ერთობლიობით არის განსაზღვრული.

ბერძნული ლექსთწყობის ძირითად მცირე სტრუქტურებს ანუ ე. წ. „საშენ მასალებს" (ტერფებს) შემდეგი მეტრული ერთეულები წარმოადგენენ:

დაქტილი – ˘ ˘, სპონდე – –, იამბი ˘ –, ტროქე – ˘, ანაპესტი ˘ ˘ – და სხვ.

ამ მეტრული ერთეულებით იქმნება ორი ტიპის სისტემები: ერთი, რომელიც იგება κατὰ μέτροι'-ის ანუ გამყოლი ტერფის ანუ სალექსო სტრუქტურის პრინციპზე და არა κατὰ μέτροι'-ის პრინციპზე ანუ სადაც არ გამოიყოფა ასეთი გამყოლი სტრუქტურა.

κατὰ μέτροι'-ის პრინციპი მეტწილად გამოიყენება დეკლამაციურ პოეზიაში. ა. მ., დაქტილური ჰექსამეტრი გულისხმობს ექვსი დაქტილის შემცველ კატალექტურ (ბოლომოკვეცილ) სალექსო სტრიქონს:

$\overset{1}{–}$ ⏑⏑ $\overset{2}{–}$ ⏑⏑ $\overset{3}{–}$ ⏑⏑ $\overset{4}{–}$ ⏑⏑ $\overset{5}{–}$ ⏑⏑ $\overset{6}{–}$ ⏑

ელეგიური დისტიქი მოიცავს ორ სტრიქონს, რომელთაგან ერთი გამართულია დაქტილური ჰექსამეტრით, ხოლო მეორე – დაქტილური პენტამეტრით:

– ⏑⏑ – ⏑⏑ – ⏑⏑ – ⏑⏑ – ⏑⏑ – ˉ

– ⏑⏑ – ⏑⏑ – | – ⏑⏑ – ⏑⏑ –

იმის გამო, რომ ერთი სტრუქტურის მონომეტრად აღსაქმელად საჭიროა მას სულ ცოტა 4 ხანგრძლივობა ჰქონდეს, ისეთ სტრუქტურებში, როგორიც არის იამბი და ტროქე, მონომეტრად ითვლება წყვილი იამბის ან წყვილი ტროქეს ერთობლიობა. შესაბამისად, როდესაც ჩვენ ვამბობთ იამბური ტრიმეტრი, ამ შემთხვევაში იგულისხმება არა სამი იამბი, არამედ სამი წყვილი იამბი და მას ამგვარი სტრუქტურა ექნება:

x – ⏑ – | x – ⏑ – | x – ⏑ –

როგორც ცნობილია, იამბური ტრიმეტრი გამოიყენება არა მარტო ლირიკაში, არამედ დრამის სადიალოგო პარტიებშიც.

ამ საზომების გარდა დეკლამაციურ ლირიკაში პოპულარული იყო ტროქეული ტეტრამეტრი, ანუ ოთხი ტროქეული მონომეტრის შემცველი ლექსი:

– ⏑ – x – ⏑ – x – ⏑ – x – ⏑ –

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ეპიკური და ე. წ. დეკლამაციური ლირიკის ყველა ფორმა არსებითად გამოიყენებს: დაქტილურ ჰექსამეტრს, ელეგიურ დისტიქს, იამბურ ან ტროქეულ საზომებს.

ara κατὰ μέτρον-ის პრინციპზე აგებულ საზომებში მეტრის სახელდებისათვის არ მივმართავთ თავად სტრუქტურის სახელწოდებას, რადგან ასეთ შემთხვევაში, იქნება ეს სალექსო სტრიქონი თუ სტრიქონების ერთობლიობით შედგენილი სტროფი, ძნელია ვილაპარაკოთ რაღაც წამყვან მეტრულ სტრუქტურაზე. სწორედ ამიტომ ასეთ შემთხვევებში უფრო ხშირად გამოიყენება სახელწოდებები, რომლებიც ან მარცვალთა რაოდენობით განისაზღვრება, ან რომელიმე პოეტის სახელით, რომელმაც პირველმა შემოიღო ამგვარი სტრუქტურის მქონე სტრიქონი ან სტროფი, ა. მ., ალკეოსური სტროფი, საფოური და ა. შ.

თუკი მონოდიურ ლირიკაში სტროფული სისტემის გამოყენებისას, ძირითადად, რამდენიმე, ჩვეულებრივ, არა უმეტეს 3-4 სტრიქონისაგან შედგენილ სტრუქტურებზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როდესაც საგუნდო ლირიკას ან დრამის საგუნდო პარტიებს ეხება საქმე, აქ სტროფის სტრიქონთა რაოდენობაც გაცილებით მეტი შეიძლება იყოს. შესაბამისად, საგუნდო ლირიკაში სტროფული სისტემა ბევრად უფრო კომპლექსურია. ა. მ., რომ ავიღოთ პინდაროსის პირველი ოლიმპიური ოდა, მისი სტროფი, ანტისტროფი და ეპოდი ამგვარ სტრუქტურას გვიჩვენებს:




ხოლო თუკი ავიღებთ პინდაროსის IV პითიურ ოდას, მისი სტროფი და ანტისტროფი ამგვარ სტრუქტურას გვიჩვენებს:




იგივე შეიძლება ითქვას ტრაგედიის საგუნდო პარტიებზეც. როგორც ვხედავთ, მეტრულ პრინციპზე აგებული ლექსთწყობა, რომელიც არსებითად განსხვავდება მრავალ ევროპულ ენაში არსებული სილაბურ-ტონური (მარცვლოვან-მახვილიანი) სალექსო საზომებისა და ქართული სილაბური საზომებისაგან, ახალ-ახალ საზომთა შექმნის განუსაზღვრელ შესაძლებლობებს შეიცავს, რადგან გრძელი და მოკლე მარცვლის კომბინაციით პრაქტიკულად შესაძლებელია შეიქმნას ურიცხვი საზომი. ეს გარემოება ანტიკური ეპოქის პოეტთა წინაშე სვამდა საკითხს საზომთა გამოყენებისას ისეთნაირად შეერჩიათ სიტყვები რომ გრძელი და მოკლე მარცვლების მონაცვლეობა საზომის შესაბამისი ყოფილიყო. ეს ამოცანა, რასაკვირველია, საკმაოდ რთული შესასრულებელი იყო, თუმცა, როგორც ანტი-

კური ლიტერატურა გვიჩვენებს, ბერძენმა და რომაელმა პოეტებმა ამ სირთულეს საკმაოდ კარგად გაართვეს თავი.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუკი ანტიკური საზომები არსებითად განსხვავდება თანამედროვე ევროპული ლექსთწყობის პრინციპებისაგან, რატომ გამოიყენებენ დღეს ტერმინებს: იამბი, ჰექსამეტრი, ტროქე და ა. შ. აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება. ანტიკური პოეზიის თარგმნის პროცესში ევროპელთა წინაშე სავსებით კონკრეტულად დაისვა კითხვა, როგორი ეკვივალენტები უნდა მოენახათ ანტიკური საზომებისათვის თავიანთ ენებში, სადაც არ არსებობდა ოპოზიცია გრძელ და მოკლე მარცვლებს შორის. ამ შემთხვევაში მათ მიმართეს მახვილიანი და უმახვილო მარცვლების მონაცვლეობის პრინციპს. ა. მ., თუ სამმარცვლიან სიტყვას რომელსამე თანამედროვე ენაში მახვილი მოუდიოდა ბოლოდან მესამე მარცვალზე, იგი შეიძლებოდა ჩაგვეთვალა დაქტილად, შესაბამისად, x́xx სტრუქტურა დაქტილის შესაბამისი იქნება, მაგრამ რამდენადაც დაქტილურ ჰექსამეტრში დაქტილის და სპონდეს მონაცვლეობას რეგულარული ხასიათი აქვს, ორმარცვლიანი სიტყვა ან ორი ისეთი მარცვალი, რომელთაგან პირველს მოუდის მახვილი, შეიძლება მივიჩნიოთ სპონდედ x́x. ისეთი მიმდევრობა, სადაც ჩვენ ორი მარცვლიდან მახვილიანი გვექნება ბოლოდან პირველი მარცვალი, ჩაითვალა ანტიკური იამბის ეკვივალენტად. აქედან გამომდინარე, როდესაც დღეს ვკითხულობთ რუსულ, გერმანულ ან სხვა ევროპულ ენაზე თარგმნილ ძველ ბერძნულ და რომაულ ეპოსს, ვაცნობიერებთ, რომ ვკითხულობთ რუსული ან გერმანული ჰექსამეტრით ანუ ძველი ბერძნული ან რომაული ჰექსამეტრის რუსული ან გერმანული ეკვივალენტით გამართულ ტექსტებს. იგივე ითქმის სხვა საზომებზეც.

უნდა აღინიშნოს ერთიც: რამდენადაც ჩვენი საარტიკულაციო აპარატი არ არის მზად იმისათვის, რომ ანტიკური ტექსტების კითხვისას აღადგინოს ბერძნულის და ლათინურის ულერადობა (გრძელი და მოკლე მარცვლების ამა თუ იმ საზომისათვის კანონზომიერი მიმდევრობა), ფაქტობრივად, როგორც წესი, დღეს ძველი ბერძნული და რომაული პოეზიის ნიმუშებს ვკითხულობთ იმავე პრინციპით, რომლითაც მათ თარგმანს ევროპულ ენებზე ანუ ჩვენთვის ამოსავალი არის მახვილიანი თუ უმახვილო მარცვლების მიმდევრობა.

რაც შეეხება ქართულ ენას, აქ თითქმის შეუძლებელია ანტიკური საზომების ეკვივალენტების მონახვა, რადგან ქართულს არ ახასიათებს არც მარცვალთა სიგრძე-სიმოკლე და არც მახვილით შეგვიძლია დავარეგულიროთ რიტმი, რადგან ქართულ ენაში ექსპირატორული მახვილი, ამ სიტყვის იმ გაგებით, რაც მას აქვს რუსულ და გერმანულ ენებში, არ არსებობს. სწორედ ამიტომ დღეს, როდესაც ცდილობენ ქართულ ენაზე თარგმნონ ანტიკური პოეზიის ესა თუ ის ნიმუში, ჩვეულებრივ, სხვადასხვა მარცვალთა რაოდენობის შემცველი სტრიქონების გამოყენებით ცდილობენ ბერძნული და რომაული პოეზიის მეტრული მრავალფეროვნების გადმოცემას. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ვერ ავიცილებთ თავიდან გარკვეულ ერთფეროვნებას, მაგალითად, 14 მარცვლიანი ლექსით გადმოგვაქვს ხოლმე როგორც ჰომეროსის პოემები, ასევე ტრაგედიის სადიალოგო პარტიებიც.

როგორც ჩანს, ამ მიმართულებით ქართველ მთარგმნელებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიქრი მოუწევთ, რათა ანტიკური პოეზიის ქართულად გადმოტანისას, ერთი მხრივ, ქართული ენის სპეციფიკა გაითვალისწინონ, მეორე მხრივ კი, მაქსიმალურად ასახონ კლასიკური ლექსთწყობის მრავალფეროვნება.

## ლიტერატურა

ანტიკური ლიტერატურა

➢ ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბილისი 1971.

- ანტიკური ლიტერატურა, საუნივერსიტეტო კურსი რ. გორდეზიანისა და ნ. ტონიას საერთო რედაქციით, ლოგოსი, 2005.
- И. М. Тронский, История античной литературы, Москва 1983[4].

ბერძნული ლიტერატურა

- გრ. წერეთელი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი 1927; II, თბილისი 1935.
- ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი 1950[2]; II, თბილისი 1949.
- რ. გორდეზიანი, ბერძნული ლიტერატურა. ელინური ეპოქის ეპოსი, ლირიკა, დრამა, თბილისი 2011 (მესამე გავრცობილი და შესწორებული გამოცემა).
- История греческой литературы, под редакцией С. И. Соболевского, Б. В. Горнунга, З. Г. Гринберга, Ф. А. Петровского, С. И. Радцига, т. I, Москва, Ленинград 1946; т. II, под редакцией С. И. Соболевского, Б. В. Горнунга, М. Е. Грабарь-Пассек, Ф. А. Петровского, Москва 1955, т. III, Москва 1960.
- С. И. Радциг, История древнегреческой литературы, Москва 1969[3].
- A. Dihle, Griechische Literaturgeschichte. Von Homer bis zum Hellenismus, München 1998[3].
- A. Dihle, Die griechische Literatur der Kaiserzeit, München 1989.
- P. E. Easterling, B. M. W. Knox (ed.), The Cambridge History of Classical Literature, Vol. I, Greek Literature, Cambridge 1985.
- A. Lesky, Geschichte der griechischen Literatur (GGL), Bern, München 1971[3] (ძველი ბერძნული ლიტერატურის საუკეთესო ისტორია, თარგმნილია მრავალ ენაზე).
- W. Schmid, O. Stählin, Geschichte der griechischen Literatur. Erster Teil: Die klassische Periode der griechischen Literatur, 5 Bde., München 1929-1948 (უცვლ. გამოც. 1961-1980); Zweiter Teil: Die nachklassische Periode der griechischen Literatur, 2 Bde., München 1920-1924 (უცვლ. გამოც. 1961-1981) (ძველი ბერძნული ლიტერატურის ყველაზე სრული ისტორია).
- E. Vogt (Hrsg.), Griechische Literatur, Wiesbaden 1981.
- L. J. Engels, H. Hofmann (Hrsg.), Spätantike, Wiesbaden 1997.
- Geschichte der griechischen Literatur, Einleitung in die griechische Philologie, H.-G. Nesselrath (Hrsg.), Stuttgart, Leipzig 1997, 171-342.
- M. Weißenberger, Die Gattungen der griechischen Literatur, in: P. Riemer. M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Gräzistik, München 2000, 153-186.
- Handbuch der griechischen Literatur der Antike, hrsg. B. Zimmermann, I Band, Die Literatur der archaischen und klassischen Zeit, München 2011.

რომაული ლიტერატურა

- M. Schanz, C. Hosius, R. Herzog, P. L. Schmidt, K. Sallmann. Geschichte der römischen Literatur (გამოცემა დაიწყო 1914 წელს და დღემდე გრძელდება სერიაში: Handbuch der Altertumswissenschaft. M. Schanz-ისა და C. Hosius-ის მიერ გამოცემულია 5 ტომი, 1914-1927; R. Herzog-ისა და P. L. Schmidt-ის მიერ 1988 წლიდან გამოცემული არის დამატებითი ტომები მერვეს ჩათვლით. გარდა ამისა, გამოვიდა თითო ტომი K. Sallmann-ისა და R. Herzog-ის (რომაული ლიტერატურის ყველაზე დეტალური ისტორია).
- M. v. Albrecht, Geschichte der römischen Literatur, 2 Bde., München 1994[2] (რომაული ლიტერატურის საუკეთესო ისტორია, თარგმნილია მრავალ ენაზე).
- W. S. Teuffel, W. Kroll, F. Skutsch, Geschichte der römischen Literatur, 3 Bde., Leipzig, Berlin 1913-1920 (უცვლ. გამოც. 1965).
- M. Fuhrmann, Geschichte der römischen Literatur, Stuttgart 1999.
- F. Leo, Geschichte der römischen Literatur, Berlin 1913 (უცვლ. გამოც. 1967).
- E. Norden, Die römische Literatur, Leipzig 1961.
- K. Büchner, Römische Literaturgeschichte, Stuttgart 1994[6].
- E. J. Kenney, W. V. Clausen, The Cambridge History of Classical Literature, Cambridge 1982.

- Geschichte der lateinischen Literatur, F. Graf (Hrsg.), Einleitung in die lateinische Philologie, Stuttgart, Leipzig 1997, 165-356.
- M. Weißenberger, Die Gattungen der lateinischen Literatur, in: P. Riemer, M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Latinistik, München 1998, 123-156.

ლექსიკონები, ცნობარები

- P. Kroh, Lexikon der antiken Autoren, Stuttgart 1972.
- Metzler Lexikon der antiken Autoren, hg. v. O. Schütze, Stuttgart,Weimar 1997.
- R. Nickel, Lexikon der antiken Literatur, Düsseldorf, Zürich 1999 (ანბანურ რიგზე განლაგებული ანტიკური ეპოქის ნაწარმოებთა ლექსიკონი).
- Tusculum-Lexikon griechischer und lateinischer Autoren des Altertums und des Mittelalters, bearb. v. A. Buchwald, A. Hohlweg, O. Prinz, München, Zürich 1982[3].
- Hauptwerke der antiken Literaturen. Einzeldarstellungen und Interpretationen zur griechischen, lateinischen und biblisch-patristischen Literatur, E. Schmalzriedt (Hrsg.), München 1976 (ავტორების მიხედვით დაჯგუფებული ნაწარმოებების ლექსიკონი).
- S. Döpp, W. Geerlings (Hrsg.), Lexikon der antiken christlichen Literatur, Freiburg, Basel, Wien 1998.

მეტრიკა

- პ. ბერაძე, ძველი ბერძნული და ქართული ლექსთწყობის საკითხები, თბილისი 1969.
- ა. ურუშაძე, ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები, თბილისი 1980.
- B. Snell, Griechische Metrik, Göttingen 1982[4].
- D. Korzeniewski, Griechische Metrik, Darmstadt 1968.
- M. L.West, Greek Metre, Oxford 1982.
- U. v. Wilamowitz-Moellendorff, Griechische Verskunst, Berlin 1921 (უცვლ. გამოც. Darmstadt 1975).
- W. J. W. Koster, Traité de Métrique Grecque, Suivid'un Précis de Métrique Latine, Paris 1922.
- R. Kannicht, Griechische Metrik, in: Einleitung in die griechische Philologie, H.-G. Nesselrath (Hrsg.), Stuttgart, Leipzig 1997, 343-362.
- B. Zimmermann, Griechische Metrik, in: P. Riemer, M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Gräzistik, München 2000, 88-96.
- F. Grusius, Römische Metrik, neu bearb. v. H. Rubenbauer, Hildesheim, Zürich, New York 1989 (= München 1967[8]).
- H. Drexler, Einführung in die römische Metrik, Darmstadt 1993[5].
- J. W. Halporn, M. Ostwald, Lateinische Metrik, Göttingen 1994[4].
- S. Boldrini, Römische Metrik, in: F. Graf (Hrsg.), Einleitung in die lateinische Philologie, Stuttgart, Leipzig 1997, 357-384.
- B. Zimmermann, Metrik, in: P. Riemer, M. Weißenberger, B. Zimmermann, Einführung in das Studium der Latinistik, München 1998, 88-94.

# ანტიკური სამყაროს ისტორია

უკვე აღინიშნა, რომ ცნება *ანტიკური სამყარო* საკმაოდ დიდ ისტორიულ პერიოდს და მსოფლიოს ვრცელ არეალს მოიცავს, რომ მისი შემადგენელი ცივილიზაციებია: მინოსური, მიკენურ-ელინური, ეტრუსკული და რომაული. ამათგან ჩვენ მინოსური ცივილიზაციის შესახებ, ძირითადად, არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით და ბერძნულ მითოლოგიურ ტრადიციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. შედარებით მეტის თქმა შეიძლება ბერძენთა მიკენური ეპოქის ისტორიაზე, თუმცა აქაც ჩვენთვის ამოსავალი არის, ძირითადად, არქეოლოგიური მონაცემები, გარკვეულწილად B-ხაზოვანი დოკუმენტები და ისევ და ისევ ბერძნული მითოლოგიური ტრადიციის მონაცემები. რაც შეეხება პოსტმიკენურ პერიოდს, ამ შემთხვევაში, რაც უფრო ვშორდებით ე. წ. „ბნელი წლების" ეპოქას, მით უფრო იზრდება იმ მონაცემთა ხვედრითი წონა, რომელთა საფუძველზეც უკვე ნამდვილად შეიძლება საბერძნეთის კონკრეტულ ძველ ისტორიაზე მსჯელობა. ასევე საკმაოდ სრულია ჩვენი წარმოდგენა ანტიკური რომის ისტორიაზე. რაც შეეხება ეტრუსკების ისტორიას, ამ შემთხვევაში ჩვენ ვიცით გაცილებით მეტი, ვიდრე მინოსელთა და მიკენელთა შესახებ, მაგრამ უფრო ნაკლები, ვიდრე ისტორიული ეპოქის ბერძენთა და რომაელთა შესახებ.

შევეცადოთ, ამ წიგნის მიზანდასახულობის შესაბამისად, წარმოვადგინოთ ანტიკური სამყაროს ისტორიის ზოგადი სურათი.

## ეგეოსური სამყარო

ეგეოსური სამყაროს ისტორია აშკარად გამოირჩევა თავისი ხანგრძლივობით, თუმცა მასზე მსჯელობა, ძირითადად, შეგვიძლია, ყოველი შემთხვევისათვის, II ათასწლეულის დასაწყისამდე მაინც, მხოლოდ და მხოლოდ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით.

როგორც ჩანს, უკვე ნეოლითის ეპოქაში, არა უგვიანეს ძვ. წ. V-IV ათასწლეულთა მიჯნისა, ეგეოსის ზღვის აუზში საკმაოდ განვითარებული კულტურები არსებობდა. მათი დონე ამ რეგიონის სხვადასხვა ნაწილში განსხვავებული იყო, მაგრამ მეცნიერები ფიქრობენ, რომ შედარებით პრიმიტიული ავტოხთონური კულტურებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიიდან უძველესი ნეოლითური კულტურების დიფუზიის შედეგად გადმონაცვლებული ემიგრანტების შერწყმამ აქ მძლავრი სტიმული მისცა ცივილიზაციის თანდათანობით აღმავლობას.

III ათასწლეულის პირველი ნახევრიდან კიკლადებზე განვითარებას იწყებს საკმაოდ თვითმყოფადი კულტურა, რომელიც, თუ ძვ. წ. XXVI-XXIII საუკუნეებით დათარიღებული აბსტრაქტული სკულპტურების მიხედვით ვიმსჯელებთ, განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო.

ჭეშმარიტი გარდატეხა ეგეიდაში ძვ. წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე იწყება, მას შემდეგ, რაც კუნძულ კრეტაზე უეცრად ხდება იმ კულტურის აღმავლობა, რომელიც დღევანდელ მეცნიერებაში მინოსურ ცივილიზაციად არის სახელდებული. მას ყველაზე უფრო მკაცრი კრიტერიუმების გათვალისწინებითაც კი შეიძლება ვუწოდოთ მაღალგანვითარებული კულტურა, სადაც დასტურდება: ძველ სამყაროში თავისი სიდიდით აშკარად გამორჩეული სასახლეები და მათ გარშემო განლაგებული დიდი ქალაქები, ბრწყინვალე

კერამიკული პროდუქცია, დამწერლობის განვითარებული სისტემა. მინოსურ კულტურას ნამდვილად გამოარჩევენ ძველი სამყაროს ცივილიზაციათა შორის. სამწუხაროდ, კუნძულზე გავრცელებული A-ხაზოვანი დამწერლობის გაუშიფრაობის გამო, ჯერჯერობით ძნელია კონკრეტულად რაიმეს თქმა მინოსური სამყაროს ისტორიის შესახებ. ფაქტი ის არის, რომ ხუთი საუკუნის განმავლობაში კუნძულზე სრული მშვიდობა სუფევდა, არსად არ ჩანს ანტაგონიზმის კვალი, ვერ ვხედავთ სასიმაგრო ნაგებობებს, ყველგან და ყველაფერში იგრძნობა დახვეწილობისაკენ ლტოლვა. ამგვარი ჰარმონიულობა თანამედროვე მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ კუნძული საკმაოდ საიმედოდ იყო დაცული გარეშე მტერთა შემოსევისაგან, ხოლო თავად მინოსურ სამყაროში კი ისეთი სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობები სუფევდა, რაც სტაბილური, მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობებს იძლეოდა. მეცნიერებაში ასეთი ცნებაც კი დამკვიდრდა – „მინოსური მშვიდობა" – Pax Minoica. თავად ბერძნულ თქმულებებშიც კრეტა იდუმალებით მოცული კუნძულია. მას უკავშირდება მითიური მეფის, მინოსის სახელი, ასევე მრავალი ტექნიკური საოცრება, როგორიც იყო, მაგალითად, სპეციალური ნაგებობა – ლაბირინთი, მითი დედალოსის მიერ საფრენი საშუალების გამოგონებაზე, კრეტის ურყევ მცველზე, რკინის კაც ტალოსზე და ა. შ. როგორც ჩანს, კრეტა – თავისი ძლიერი ფლოტის ან დღესაც უცნობი რაღაც საშუალებით – ახერხებდა, საიმედოდ უზრუნველეყო კუნძულის დაცვა გარეშე ძალებისაგან.

კრეტას საკმაოდ ძლიერი გავლენა უნდა ჰქონოდა მთელ ეგეიდაში. მას, შესაძლოა, ემორჩილებოდა კონტინენტური საბერძნეთის, მცირე აზიის სანაპირო ზოლის, ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი. ამაზე მიგვითითებს მინოსურის ძლიერი გავლენა მიკენური ეპოქის ადრეული ეტაპის ბერძნულ კულტურაზე, რასაც ბოლო ხანებში კრეტის ჩრდილოეთით კუნძულ თერაზე მინოსურის „ფილიალური" კულტურის აღმოჩენა გვიდასტურებს. მინოსური კულტურის ზოგიერთ თავისებურებაზე ხელოვნებისადმი მიძღვნილ თავშიც გვექნება მსჯელობა, აქ კი მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ XX საუკუნის ბოლო ათწლეულებამდე მეცნიერებაში არ იყო საბოლოოდ გარკვეული, თუ რამ გამოიწვია ესოდენ განვითარებული კულტურის უეცარი დაქვეითება ძვ. წ. XV საუკუნეში, რასაც შედეგად მოჰყვა მიკენელ ბერძენთა აღმავლობა და კრეტაზე გაბატონება. მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 70-იანი წლების გათხრებმა კუნძულ თერაზე ნათელყვეს, რომ სწორედ XV საუკუნეში მომხდარა ამ კუნძულზე ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო დიდი ვულკანური ამოფრქვევა – რომელიც დღეს ცნობილია სანტორინის კატასტროფის სახელით – ნათელი გახდა, რომ კრეტის დაქვეითებაში „მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის" ამ გეოლოგიურ კატასტროფას. მან ასახვა პოვა დევკალიონის მითში წარღვნის შესახებ და უნდა ვიფიქროთ, რომ მინოსური მოსახლეობის ისეთი სტრესი გამოიწვია, რომელმაც მინოსურ კრეტას საბოლოოდ დააკარგვინა პოზიციები ეგეიდაში.

ეგეოსური სამყაროს ისტორიაში ახალ ეტაპს იწყებენ მიკენური ეპოქის ბერძნები. ისინი ეგეიდაში, როგორც უკვე ვთქვით, ყველაზე გვიან ძვ. წ. XVIII საუკუნიდან უნდა დამკვიდრებულიყვნენ, თუმცა წამყვან ძალად მინოსური კრეტის დაქვეითების შემდეგ იქცევიან. მიკენი, პილოსი, თებე, კნოსოსი კუნძულ კრეტაზე და მრავალი სხვა დასახლებული პუნქტი მიკენური ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს საყრდენებს წარმოადგენდნენ ეგეიდაში. როგორც ჩანს, ამ ეპოქაში მიკენელმა ბერძნებმა შექმნეს, შესაძლოა, კონფედერაციულ პრინციპებზე დაფუძნებული, მეტ-ნაკლებად ერთიანი სახელმწიფო გაერთიანება, რომელმაც თავისი ძლიერების უმაღლეს მწვერვალს ძვ. წ. XIII საუკუნეში მიაღწია. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, საბერძნეთის ისტორიაში ახ. წ. XIX საუკუნემდე ეს უნდა იყოს ერთიანი ბერძნული სახელმწიფოს არსებობის უნიკალური

შემთხვევა. ამის შემდგომ ანტიკური სამყაროს ბერძნებს აღარასოდეს მიუღწევიათ ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის. მიკენური კულტურა, თუმცა აშკარად გვიჩვენებს მინოსურის ძლიერ გავლენას, არსებითად, განსხვავდება მისგან სხვადასხვა თვალსაზრისით. ჯერ ერთი, მიკენურ საბერძნეთში არ სუფევს მშვიდობიანობის ის სული, რომელიც მინოსური კრეტისათვის იყო დამახასიათებელი. აქ ჩვეულებრივი მოვლენაა დასახლებულ პუნქტებში სასიმაგრო ნაგებობების არსებობა, რაც მიკენელთა აგრესიულობაზე მეტყველებს. როგორც ჩანს, მმართველობის ძირითადი ფორმა უნდა ყოფილიყო უფრო მონარქიულ სტრუქტურასთან მიახლოებული სისტემა, ვიდრე ის, რაც შემდგომ პოლისური ეპოქის ბერძნული ცივილიზაციისათვის იყო დამახასიათებელი. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც კი ფიქრობს, რომ მიკენური სამყაროს სოციალური სტრუქტურა ერთგვარ საშუალედო ფორმას წარმოადგენდა ძველ აღმოსავლურსა და შუა საუკუნეების ფეოდალური ევროპის ფორმაციებს შორის. ბერძნულმა მითებმა შემოგვინახეს ამბები ლეგენდარული ეპოქის ბერძენთა ერთმანეთთან ომების შესახებ (თებეს ციკლის თქმულებები), მათი შორეულ ქვეყნებში ექსპედიციების შესახებ (არგონავტების ციკლი), გაერთიანებული ბერძნული ლაშქრის წარმატებული ომის შესახებ ქვეყნის გარეთ (ტროას ციკლი). არქეოლოგიური მასალა და ძველი აღმოსავლური დოკუმენტების გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ, რომ ამ თქმულებებს მართლაც უნდა ჰქონოდათ რეალური ისტორიული საფუძველი. მეცნიერებაში განსაკუთრებით დიდია ინტერესი ტროას ომის მიმართ, რომელსაც ჰომეროსის ეპოსი და ძველი ბერძენი თუ რომაელი ავტორების არაერთი ნაწარმოები ეძღვნება.

ძვ. წ. XIII საუკუნის მიწურულიდან მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში იწყება პროცესები, რომელთაც ეგეოსური ცივილიზაციების დაქვეითება განაპირობეს. შესაძლოა, რაღაც ეკოლოგიური კატასტროფის თუ სხვა მიზეზების გამო ძვ. წ. XII საუკუნიდან აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს მოიცავს ხალხთა მძლავრი მოძრაობა, რომელიც თანამედროვე მეცნიერებაში ცნობილია „ზღვის ხალხების" მოძრაობის სახით, რასაც ნგრევა და მრავალი ცნობილი ცივილიზაციის დაქვეითება მოყვა შედეგად. ამ მოძრაობის როლი მნიშვნელოვანია იმით, რომ „აღიგავა პირისაგან მიწისა" ისეთი ძლიერი სახელმწიფო მცირე აზიაში, როგორიც იყო ხეთების სახელმწიფო, დაეცა უგარიტი; ეგვიპტელებმა ძლივს შეძლეს ზღვის ხალხთა შემოსევების მოგერიება, თუმცა ამის შედეგად მნიშვნელოვნად შეესუსტდა მათი ძალები. ამ მოძრაობამ ნაკლები სიმწვავით, მაგრამ მაინც მოიცვა საბერძნეთიც, რამაც გამოიწვია მიკენური ცენტრების ნგრევა და მიკენური ცივილიზაციის დაქვეითება. ამის შემდგომ ჩრდილოეთიდან იწყება კიდევ ერთი ბერძნული ტომის, დორიელთა სამხრეთით გადმონაცვლება, რაც კონტინენტურ საბერძნეთში და საერთოდ ანტიკური სამყაროს განვითარებაში მნიშვნელოვანი გარდატეხის საფუძველი გახდა. მიკენური სამყაროს დაქვეითებამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში კულტურის თვალსაზრისით აშკარა უკუსვლა გამოიწვია, რაც საშუალებას აძლევს თანამედროვე მეცნიერებას, დაღმავლობის ეს პერიოდი აღნიშნოს ცნებით *ბნელი წლები*.

წარმოვადგენთ ეგეოსურ კულტურათა ისტორიის ამ უძველესი პერიოდის ქრონოლოგიას:

ძვ. წ. VI-V – III ათასწლეულის დასაწყისი: ნეოლითური კულტურა.

ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი – II ათასწლეულის ბოლო (ძვ. წ. დაახლოებით 1200): ბრინჯაოს ხანა.

ბრინჯაოს ხანაში სამი პერიოდი გამოიყოფა:

ა) III ათასწლეულის დასაწყისი – II ათასწლეულის დასაწყისი: ადრებრინჯაოს ხანა. ამ დროს განსაკუთრებით გამოირჩევა კიკლადური კულტურა. ამ პერიოდის კონტინენტური საბერძნეთის კულტურას უწოდებენ ადრეჰელადურ კულტურას, ხოლო კრეტისას – ადრემინოსურს.

ბ) II ათასწლეულის დასაწყისი – ძვ. წ. 1600: შუაბრინჯაოს ხანა. ამ დროს კონტინენტური საბერძნეთის კულტურას უწოდებენ შუაჰელადურ კულტურას, კრეტის კულტურას კი – შუამინოსურს (მინოსური კულტურის უმაღლესი აღმავლობის პერიოდი).

გ) ძვ. წ. 1600 წ. – 1200 წ.: გვიანბრინჯაოს ხანის კულტურა. ამ პერიოდის კულტურას კონტინენტურ საბერძნეთში უწოდებენ გვიანჰელადურს, იგი თავის მხრივ, თავად მიკენური კულტურის გათვალისწინებით, შეიცავს სამ პერიოდს: ადრემიკენური – 1600-1500, შუამიკენური – 1500-1400 და გვიანმიკენური – 1400-1200.

შესაბამისად, ეგეოსის ზღვის აუზის ზემოთჩამოთვლილ რეგიონებში ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს კულტურების სახელწოდებები და ქრონოლოგია შემდეგია:

კიკლადებზე:
ადრეკიკლადური (2600-1800)
შუაკიკლადური (1800-1500)
კრეტაზე:
ადრემინოსური (2600-2000)
შუამინოსური (2000-1500)
გვიანმინოსური (1500-1200)
კონტინენტურ საბერძნეთში:
ადრეჰელადური (2600-1850)
შუაჰელადური (1850-1600)
გვიანჰელადური ანუ მიკენური (1600-1200)

## საბერძნეთი

**ელინური პერიოდი (ძვ. წ. 1200 – ძვ. წ. 336).** მიკენური სამყაროს დაქვეითების შემდგომ საბერძნეთში კულტურის აშკარა დეგრადაციის პროცესი მიმდინარეობს. XII საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ცენტრალიზებული მიკენური სამყარო ინტენსიური დიფერენციაციის პროცესს განიცდის. როგორც აღინიშნა, ამას ხელი შეუწყო ჯერ ზღვის ხალხების მოძრაობამ, ხოლო შემდეგ – ჩრდილოეთიდან ბერძნულ ტომთა ახალი ნაკადის, დორიელების გადმოადგილებამ. დორიელებმა ანუ ჩრდილოელმა ემიგრანტებმა კონტინენტური საბერძნეთის დიდი ნაწილი დაიკავეს, რასაც შედეგად მოჰყვა მრავალი რეგიონიდან ადგილობრივ ბერძნულ ტომთა გადასახლება. როგორც ჩანს, უკვე ძვ. წ. XI-X საუკუნეებში ხდება ბერძნულ ტომთა მასობრივი მიგრაცია მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე და ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, რაც ეოლიასა და იონიაში ბერძნული დასახლებების ანუ პირველი კოლონიების გაჩენას იწვევს, რომელთაც სულ მოკლე დროში ამ რეგიონების ელინიზაცია შეძლეს და ისინი ორგანულად დაუკავშირეს ბერძნულ სამყაროს. ძვ. წ. XI-X საუკუნეებში ბერძნულ ტომთა გადაჯგუფების პროცესი მეტ-ნაკლებად დარეგულირდა და გამოიკვეთა ანტიკური ეპოქის საბერძნეთის გეოგრაფიული საზღვრები. ანტიკური ელადა განფენილი იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ხმელთაშუაზღვის, ძირითადად, ეგეიდის კუნძულებზე, მცირე აზიის დასავლეთ, ჩრდილო და სამხრეთ სანაპირო ზოლში.

მიკენური კულტურის ტრადიციების დაქვეითების შემდეგ მყარი საფუძველი შეექმნა ანტიკური ბერძნული ცივილიზაციის ახალი ეტაპის აღმავლობას. კულტურის ერთი პერიოდის დასრულება და მეორის დაწყება სათანადო პირობებს ქმნის ძალზე საინტერესო პერიოდისათვის საბერძნეთის ისტორიაში, რომელსაც გეომეტრიული რენესანსის პერიოდს ანუ ჰომეროსის ეპოქას ვუწოდებთ. იგი მოიცავს ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებს. ამ ეპოქაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური დაქუცმაცებულობის ვითარებაში ბერძნული

# ანტიკური საბერძნეთი


ადრიატიკის ზღვა
ილირია
ბალკანეთი
ფრიგია
ქალკიდიკე
ეგეოსი
ეგეოსი
ეგეოსი

სამყაროს კულტურული გაერთიანების საინტერესო გზების მონახვა. ამან ასახვა პოვა სულ სხვადასხვა სფეროებში: 1. ფინიკიური ანბანის საფუძველზე ახალი ფონეტიკური დამწერლობის შექმნა; 2. საერთო ელინური რელიგიური წარმოდგენების ჩამოყალიბება; 3. ოლიმპიური თამაშების დაფუძნება თუ ხელახალი აღდგენა და ქრონოლოგიის ახალი სისტემის შემოღება; 4. ზეპირ პოეტურ პრაქტიკაში მიკენური წარსულის შესახებ მითოპოეტური ტრადიციის სისტემატიზაცია და ზეპირიდან წერილობით ლიტერატურაზე გადასვლა; 5. გეომეტრიული, მკაცრად მოწესრიგებული ხელოვნების აღმავლობა; 6. ბერძნული პოლისური ცხოვრებისა და საკოლონიზაციო მოძრაობის დაწყება და პოლისური თვითშეგნების ჩამოყალიბება; 7. პოლიტიკური სისტემების ახალი მოდელების წარმოქმნა; 8. ლიტერატურული დიალექტების ჩამოყალიბება; 9. შესაძლოა, უკვე ამ პერიოდიდან იღებს სათავეს ომის წარმოების სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც ჯარის ფალანგური წყობიდან შერეულ, ფალანგურ-ჰოპლიტურ ორგანიზაციაზე გადასვლით გამოიხატა. იგი გულისხმობდა სამხედრო სამსახურში მყოფი პოლისის მოქალაქის ქონებრივი ცენზის გათვალისწინებას (პოლისის მოქალაქეები იარაღდებოდნენ მათი ეკონომიური შესაძლებლობების შესაბამისად).

აქედან გამომდინარე, გეომეტრიული რენესანსის ეპოქა შეიძლება მივიჩნიოთ საბერძნეთის ისტორიაში დიდი გარდატეხის ხანად, როდესაც გარკვეულად აღდგა ხიდი ლეგენდარულ მიკენურ წარსულსა და ახალ ბერძნულ სინამდვილეს შორის. პოლიტიკურად დაშლილი საბერძნეთისათვის მნიშვნელოვანი იყო ძალზე მკაფიო ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება და იმ კრიტერიუმთა განსაზღვრა, რომელთაც სულ სხვადასხვა პოლისის მოქალაქეები შეეძლოთ გაეერთიანებინათ ერთი ცნების ქვეშ *ელინი*. ეს ტერმინი მოიცავდა სისხლით ნათესაობას, ენობრივი, კულტურული, რელიგიური ერთიანობის ფაქტორებს.

ელინური პერიოდის ისტორიის მნიშვნელოვანი ფაზა იწყება ძვ. წ. VIII-VII საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც ბერძნული სამყარო ე. წ. საკოლონიზაციო მოძრაობის მძლავრმა სულმა მოიცვა. რა იყო ბერძნული კოლონიზაციის არსი? ძვ. წ. VIII საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ელინური სამყარო თავისი განვითარების იმ ფაზაში შედის, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ საზოგადოების პოლისური ორგანიზაციის პერიოდი. იგი გრძელდება მანამდე, ვიდრე საბერძნეთი მთლიანად მოექცევა ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილ მსოფლიო სახელმწიფოს ფარგლებში. რას წარმოადგენდა პოლისი? ეს იყო ავტონომიური თვითმმართველობის მქონე საბერძნეთის გარკვეული რეგიონი – სახელმწიფო წარმონაქმნი, რომელსაც მეტწილად ჰქონდა ურბანული ცენტრი, თუმცა შეიძლებოდა, რომ არც ჰქონოდა. ა. მ., თუკი ატიკაში ასეთი ურბანული ცენტრი იყო ათენი, ლაკედემონში ამგვარი ცენტრი მკაფიოდ არ იკვეთება, ხოლო მთელ რიგ ოლქებში საერთოდ არ ივარაუდება ქალაქური ტიპის დასახლების არსებობა. პოლისის ანუ ავტონომიური თვითმმართველობის მქონე რეგიონის მოქალაქეობის ძირითადი კრიტერიუმი იყო მიწის საკუთარი ნაკვეთის ფლობის უფლება. შესაბამისად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ გარკვეული პოლისი ანუ რეგიონი დაყოფილი იყო მიწის ნაკვეთებად იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მოქალაქე ჰყავდა მას. ეს, ერთი შეხედვით, საკმაოდ კარგი საფუძველი იყო მოქალაქეთა შორის სოციალური თანასწორობისათვის, მაგრამ მალე იჩინა თავი პოლისის ორგანიზაციის ამ უმთავრესი პრინციპის სისუსტეებმა. კერძოდ, საკმარისი იყო პოლისში მომხდარიყო დემოგრაფიული ცვლილებები, რომ საჭირო გახდებოდა მიწის ხელახალი გადანაწილება. გარდა ამისა, პოლისს მართავდნენ, არსებითად, ის სტრუქტურები, რომელთაც არისტოკრატიული წარმომავლობის ოჯახები განაგებდნენ. რასაკვირველია, განსხვავებული იყო პოლისის მოქალაქეთა შრომის ნაყოფიერებაც, შესაბამისად, ძალზე მალე იჩინა თავი ქონებრივმა უთანასწორობამ. რა შესაძლებლობა ჰქონდა პოლისს, რომ გადაეწყვიტა ეს პრობლემები? მას უნდა გაეფართოებინა თავისი საზღვრები, მაგრამ ამის

# ბერძნული კოლონიზაცია (ძვ. წ. VIII-V სს.)



გაკეთებას მხოლოდ და მხოლოდ იმ მეზობელ პოლისებთან ომის საშუალებით მოახერხებდა, რომლებიც ისევ და ისევ ბერძნული ტომებით იყო დასახლებული. ამ შემთხვევაში, გამარჯვებულ მხარეს უნდა მოეხდინა დამარცხებულის დამონება და მისთვის ქონების ჩამორთმევა ან მეზობელი პოლისის მოსახლეობის საერთოდ ამოჟლეტა. არსებობდა სხვა გზაც: გაღატაკებული მოქალაქე თმობდა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას და მას სხვას გადასცემდა დროებით ან სამუდამოდ, თუკი ვერ მოახერხებდა საკუთარი მიწის გამოსყიდვას. არცთუ იშვიათად, მოქალაქეს უხდებოდა თავის გადასარჩენად დათანხმებოდა მონად ქცევას და სხვა პოლისსა თუ ქვეყანაში გაყიდვას.

ამ ვითარებაში ბერძნული პოლისების სინამდვილეში გამოიკვეთა მდგომარეობიდან გამოსავლის მონახვის საინტერესო და მნიშვნელოვანი გზა. პოლისის ინიციატივიანი მოქალაქეების ერთი ჯგუფი მიემართებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთის არაელინურ რომელსამე რეგიონში, არჩევდა ადგილს კოლონიის (ἀποικία) დასაარსებლად, გადაჰყავდა თავისი თანამოქალაქეების ერთი ნაწილი იქ და მეტროპოლიისგან ერთობ შორს აგრძელებდა ცხოვრებას უკვე ახლად დაარსებულ პოლისში. ის ადგილი, სადაც ბერძნული აპოიკია ფუძნდებოდა, შესაძლოა, სულ სხვადასხვა მდგომარეობაში ყოფილიყო. თუკი ბერძნები აპოიკიას აარსებდნენ განვითარებულ ქვეყანაში, მაშინ მათ ანგარიში უნდა გაეწიათ მისი ინტერესებისათვის. ამ შემთხვევაში აპოიკია, ძირითადად, სავაჭრო ფუნქციას ასრულებდა, აკავშირებდა იმ ქვეყანას ერთ-ერთ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოსთან. ამით დაინტერესებული იყო თავად ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იყო დაფუძნებული ბერძნული ახალშენი, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ ერეოდა მის ეკონომიკურ ცხოვრებაში. სხვა შემთხვევაში ბერძნებს შეიძლება აპოიკიები დაეარსებინათ ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიებზე ან განვითარების დაბალ დონეზე მყოფ ტომებში. მაშინ ისინი პოლიტიკური თვალსაზრისითაც დომინანტური ხდებოდნენ აღნიშნულ რეგიონებში და თავიანთი ძალის ჩვენება ომებისა თუ ბრძოლების საშუალებით უკვე აღარ სჭირდებოდათ. ეს საკოლონიზაციო მოძრაობა ეფექტური აღმოჩნდა და საკმაოდ მოკლე ხანში (ძვ. წ. VII-VI სს.) მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი და შავიზღვისპირეთი ბერძნული კოლონიებით დაიფარა. მეტროპოლიები ანუ ის ქალაქები, საიდანაც დაიწყო გადასახლება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ახორციელებდნენ კონტროლს ამ კოლონიებზე ან არ წყვეტდნენ მათთან კავშირს, თუმცა დროთა განმავლობაში მრავალმა ასეთმა კოლონიამ საკმაო ძალა და სიმდიდრე მოიპოვა იმისათვის, რომ დამოუკიდებლად ეწარმოებინა თავისი პოლიტიკა და ზოგჯერ თავად მეტროპოლიასაც კი დაპირისპირებოდა. არცთუ იშვიათად, კოლონია უფრო მნიშვნელოვანი და დიდი ქალაქის სახით ყალიბდებოდა, ვიდრე თვით მეტროპოლია იყო. ა. მ., შეიძლებოდა დაგვესახელებინა სიცილიის ქალაქები (განსაკუთრებით სირაკუზა), რომლებიც ცნობილნი იყვნენ თავიანთი ბრწყინვალებით.

რაც შეეხება პოლისების პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციას, იგი საკმაოდ დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ზოგან მმართველობის ოლიგარქიული პრინციპი ჭარბობდა, ზოგან — ერთმმართველობა. ზოგან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გვაროვნულსა და ოჯახურ ტრადიციებს, ქონებრივ ცენზს, ზოგან კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა ამ ფაქტორებს. ბერძნულ სამყაროში თანდათანობით დაიწყეს გამოკვეთა იმ პოლისებმა, რომელნიც, თავის მხრივ, ახდენდნენ სხვადასხვა ქალაქ-სახელმწიფოთა ორგანიზაციას და აყალიბებდნენ გარკვეულ სამხედრო, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ კავშირებს. ეს ვითარება თავად ელინურ სამყაროში ქმნიდა ანტაგონიზმის საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს. ამ პროცესში განსაკუთრებით გამოიკვეთა ორი მიმართულება, ორი პოლისი, რომელთაც პოლისური საბერძნეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. ეს იყო სპარტა და ათენი. განსხვავებული იყო ამ პოლისების ფორმირების ისტორია და, შესაბამისად, მათი ორიენტაციაც გარკვეულ პოლიტიკურ სისტემებზე.

დორიული წარმოშობის სპარტელები პელოპონესოსში პოსტმიკენური ეპოქიდან ჩნდებიან. სპარტა უკვე ჰომეროსთან მოიხსენიება; აქედან იყო აგამემნონის ძმა მენელაოსი, თუმცა იგი, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება ისტორიული ეპოქის სპარტელთა წინაპრად. როდესაც სპარტელები შედიან აღნიშნულ რეგიონში, მათ თვითდამკვიდრებისათვის უხდებათ ბრძოლა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ბერძნული წარმომავლობის მესენიელებთან. მესენიური ომები გადაიქცა სპარტის, როგორც სპეციფიკური ხასიათის პოლისის ფორმირების საფუძვლად. მრავალი ხნის განმავლობაში სპარტელები მესენიელთა სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ და, ბოლოს და ბოლოს, მეორე მესენიურ ომში სპარტის საბოლოო გამარჯვების შედეგად შეიქმნა მოსახლეობის ორი ოპოზიციური ფენა: თავად სპარტელები, რომლებიც შეგვიძლია მივიჩნიოთ პოლისის სრულუფლებიან ანუ ხმის უფლების მქონე მოქალაქეებად და მესენიელები, რომლებიც მათ მიერ დამორჩილებულ ნაწილად იქცნენ. მათ ეწოდებოდათ ჰელოტები. შესაბამისად, თავად სპარტელები წარმოგვიდგებოდნენ ე. წ. გაბატონებულ ფენად, რომელთა ფუნქცია განისაზღვრებოდა ორი ძირითადი სფეროთი: 1. სახელმწიფოს მართვა და 2. სამხედრო საქმე. რაც შეეხება ჰელოტებს, მათ უნდა შეექმნათ მატერიალური ბაზა ამ სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის ანუ პროდუქცია, რომლის ნაწილი მათ სრულიად უსასყიდლოდ უნდა მიეცათ სპარტელებისათვის. ერთი პოლისის ფარგლებში მუდმივმა ოპოზიციამ საკმაოდ მკაცრი სახელმწიფო სტრუქტურა ჩამოაყალიბა, რომლის მთელი ყურადღება საკუთარი სამხედრო ძლიერების შენარჩუნებისა და, ფაქტობრივად, ყველა სრულუფლებიანი მოქალაქის ამ მიზნისაკენ ორიენტაციისაკენ იყო მიმართული. საკმაოდ პარადოქსულად გამოიყურება, მაგრამ გაბატონებული ფენა ნებაყოფლობით ამბობდა უარს მატერიალურ კეთილდღეობაზე. იგი კმაყოფილდებოდა იმ მინიმუმით, რაც საჭირო იყო არსებობისათვის. დამონებული ფენა კი, პირიქით, არ იყო შეზღუდული, ეწარმოებინა იმდენი პროდუქცია, რამდენიც მას შედარებით მეტ ფუფუნებას მოუტანდა. და მაინც, სპარტელებისათვის აუცილებლობად იქცა, თავიანთი სადამსჯელო ექსპედიციებით ჰელოტებისათვის სისტემატურად შეეხსენებინათ, რომ სპარტელთა მორჩილება მათი საბოლოო ხვედრი იყო. სპარტის სახელმწიფო, ამდენად, საკმაოდ კონსერვატიული იყო. მის მოქალაქეთა შორის ჭეშმარიტად იყო მიღწეული თანასწორუფლებიანობა. შესაბამისად, ოპოზიციამ: სპარტელები — ჰელოტები გამოკვეთა ოლიგარქიული მმართველობის ის ფორმა, სადაც მოსახლეობის ერთი ფენა მეორე ფენაზე გაბატონების წყალობით იყო სრულუფლებიანი და ამასთანავე თანასწორუფლებიანიც. მეორე ფენა კი — პოლიტიკური თვალსაზრისით სავსებით უუფლებო და მთლიანად დამორჩილებული. სპარტის ლტოლვა ამ მდგომარეობის შენარჩუნებისაკენ გარკვეული კონსტიტუციური საფუძვლებითაც იყო მოტივირებული. კერძოდ, არსებული გადმოცემების თანახმად, სპარტის ლეგენდარულმა მეფემ ლიკურგოსმა, ძვ. წ. VIII საუკუნეში, თავად აპოლონის სამისნოში, დელფოში, მიიღო ე. წ. კანონთა კორპუსი „რეტრები", რომლის საფუძველზეც უნდა წარმართულიყო სპარტის სახელმწიფოს ფუნქციონირება. ეს თავისთავად გულისხმობდა ღმერთამდე ამავალი კანონის უსიტყვო მორჩილებას. სახელმწიფო ძირითად ყურადღებას აქცევდა იმას, რომ არავის არ დაერღვია ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი სპარტის კონსტიტუცია. რასაკვირველია, გამორიცხული იყო კანონებში ყოველგვარი ცვლილებების შეტანა და რეფორმები.

სხვა გზით მოხდა სახელმწიფოს ჩამოყალიბება ათენში. მას შემდეგ, რაც პოლისებისათვის ნათელი გახდა, რომ მათი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი იყო კანონების შექმნა, საბერძნეთის მრავალ ქალაქ-სახელმწიფოში იქმნება ის კონსტიტუციები, რომელთა შესაბამისადაც ხდებოდა საზოგადოების ფუნქციონირება. ამგვარი კანონების შექმნა პირველად ათენში დრაკონს დაევალა. ეს კანონები იმ ტრადიციების წერილობით დაფიქსირებას გვთავაზობდნენ, რომლებიც პოლისში საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგული-

რებდნენ. ხშირ შემთხვევაში ეს კანონი გაუმართლებლად მკაცრი იყო, ამიტომაც შემდგომ გამოთქმამ „დრაკონის კანონები" იდიომის მნიშვნელობა მიიღო. სავსებით აშკარა იყო, რომ ადამიანის მიერ შექმნილი კანონი ვერ იქნებოდა სრულყოფილი. პირველი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკანონმდებლო რეფორმა ანტიკურობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურის, სოლონის სახელს უკავშირდება. ძვ. წ. 595/3 წლებში არქონად (ანუ მმართველად) არჩეული სოლონი ქმნის იმ კანონებს, რომლებმაც არა მარტო ათენის, არამედ საერთოდ ევროპული კანონმდებლობის განვითარებას შეუქმნა სოლიდური ბაზა. სოლონს საკმაოდ რთული ამოცანის გადაწყვეტა უხდებოდა. მის დროს საზოგადოება მკვეთრად იყო გამიჯნული შეძლებულ და პრივილეგირებულ უმცირესობად და საკმაოდ შეზღუდული უფლებების მქონე უმრავლესობად. პირველს წარმოადგენდა არისტოკრატია ანუ წარჩინებულები, ხოლო მეორეს – დემოსი. ეს დაპირისპირება იმდენად საგრძნობი იყო, რომ პოლისისათვის იგი კატასტროფული შეიძლებოდა აღმოჩენილიყო. სოლონი შეეცადა თავისი კანონებით მოეხსნა ეს დაპირისპირება. მან შექმნა კონსტიტუცია, რომელმაც ათენის საზოგადოებას გამთლიანების გზა უჩვენა. სოლონის კანონებმა ათენში სტიმული მისცა დემოკრატიულ აზროვნებას და სპარტისაგან განსხვავებით, მოკვდავ პოლიტიკოსთა საკანონმდებლო ინიციატივები ჩვეულებრივ და ბუნებრივ მოვლენად აქცია. იმის გამო, რომ სოლონის კანონები არც წარჩინებულთათვის და არც დემოსისათვის არ აღმოჩნდა ბოლომდე დამაკმაყოფილებელი, რადგან ისინი ცდილობდნენ გარკვეული ანგარიში გაეწიათ ორივე მხარისათვის, ძვ. წ. 561 წლიდან ათენში დამყარდა დემოსის მიერ არჩეული ერთმმართველობა, პისისტრატოსის ტირანია, რომელიც 527 წლამდე გაგრძელდა. პისისტრატოსის მმართველობის ხანგრძლივობა ორი ფაქტორით იყო განპირობებული: 1. ეს რენეგატი არისტოკრატი ერთმმართველად თავად დემოსმა მოიყვანა ანუ იგი ეყრდნობოდა უმეტესობის მხარდაჭერას; 2. პისისტრატოსი იყო კარგი მმართველი. მის სახელთან არის დაკავშირებული ათენის დიდი კულტურული აღმავლობა. მაგრამ პისისტრატოსისადმი კარგი დამოკიდებულება სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ათენელებს დადებითი აზრი ჰქონდათ საერთოდ ტირანიის შესახებ. ეს საკმაოდ ნათლად გამოჩნდა მას შემდეგ, რაც ძვ. წ. 527/10 წლებში პისისტრატოსის ვაჟების, ჰიპიასისა და ჰიპარქოსის მმართველობის პერიოდი კატასტროფულად დამთავრდა. ძვ. წ. 514 წელს ათენელებმა ჰარმოდიოსმა და არისტოგიტონმა მოკლეს ჰიპარქოსი და ამით სამუდამოდ გაითქვეს სახელი, როგორც ტირანის მკვლელებმა, ხოლო ძვ. წ. 512 წლიდან მმართველობის სადავეები დაკარგა ჰიპიასმაც. ძვ. წ. 509/7 წლებში ათენში კლისთენესმა სოლონის კანონების ძალზე მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა, რის შედეგადაც ათენმა ჭეშმარიტად დემოკრატიული კონსტიტუცია მიიღო, რომელიც, ფაქტობრივად, მცირე გამონაკლისების გარდა, აღარც შეცვლილა მანამდე, ვიდრე საბერძნეთი არ მოექცა ელინისტური სამყაროს ფარგლებში.

ვიდრე ანტიკური საბერძნეთის ისტორიის შემდგომ უმნიშვნელოვანეს მომენტებს მივაქცევდეთ ყურადღებას, მოკლედ შევეხებით ელადაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემების საკითხს. როგორც ცნობილია, ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა სამ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს ეფუძნება: 1. ვინ მართავს ანუ მმართველი; 2. ვისი საშუალებით ხორციელდება მართვა ანუ ხელისუფლების შტოები; 3. ვინ იმართება ანუ მთელი საზოგადოება. იმისდა მიხედვით, თუ ამ სამი კომპონენტიდან რომელია წამყვანი ძალა სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში, შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური სისტემები. ისტორიულად, თუკი მიკენურ სამყაროსაც გავითვალისწინებთ, საბერძნეთისათვის ცნობილი იყო რამდენიმე პოლიტიკური სისტემა:

1. *მონარქია* – ერთმმართველობა. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მეფის ანუ ერთი პიროვნების მმართველობას, რომელიც არ ეფუძნება არჩევის პრინციპს, იგი დინასტიურია. ა. მ., მიკენში, მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით, მმართველი იყო ატრევსი, შემდეგ

მისი ძე აგამემნონი და ა. შ. ასეთივე დინასტიური პრინციპი ჩანს ტროელების მეფეთა ნუსხაშიც, მაგრამ იმ პერიოდის საბერძნეთში, რომელზედაც ჩვენ ამჟამად გვაქვს მსჯელობა, დინასტიური მეფეების ინსტიტუტი, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა. შესაბამისად, დინასტიური მონარქია, როგორც პოლიტიკური სისტემა, შეიძლება ითქვას, ძვ. წ. I ათასწლეულის საბერძნეთისათვის არ არის დამახასიათებელი მოვლენა. რასაკვირველია, მონარქიის პირობებში არსებობს აპარატი, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს მეფე თავის ძალაუფლებას. არსებობს სახალხო კრება, რომელშიც წარმოდგენილია დემოსი, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მონარქს ეკუთვნის, თუმცა, იგი მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს როგორც მისი აპარატის, ასევე დემოსის აზრსაც.

2. *ოლიგარქია* — მცირეთა მმართველობა. ეს ფორმა საბერძნეთში საკმაოდ გავრცელებული იყო და გულისხმობდა, რომ რეალურ მმართველობას განახორციელებდა საზოგადოების ელიტარული ანუ მცირე ნაწილი. მისი გამოყოფა ხდებოდა ან არისტოკრატიული პრინციპით ანუ მმართველობას ასრულებდნენ დიდგვაროვანნი, ან ტიმოკრატიული პრინციპით, როდესაც მმართველობას ახორციელებდნენ ის პირები, რომლებიც თავიანთი რეალური მდგომარეობით (ქონებით) იყვნენ გამორჩეულნი საზოგადოებაში. ეს პოლიტიკური სისტემა საბერძნეთის არაერთ პოლისში მოქმედებდა.

3. *დემოკრატია* — ხალხის მმართველობა. აქ ძირითად მმართველ ძალად ხალხი იგულისხმება. საბერძნეთში, თუკი ათენს გავითვალისწინებთ, დემოკრატიული მმართველობა ხორციელდებოდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან პოლისში არ იყო რთული დემოსის (იგულისხმება ხმის უფლების მქონე მოქალაქეები) უმეტესობის შეკრება სახალხო კრებაზე და ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. ასევე ხალხი ირჩევდა ყველა დონის მოხელეს და ეს არჩევნები ყოველწლიურად ტარდებოდა. რასაკვირველია, თანამედროვე დემოკრატია განსხვავდება ათენის დემოკრატიისაგან იმით, რომ პირველი უფრო წარმომადგენლობითი დემოკრატიის სახეს ატარებს. აქ შეუძლებელია სახელმწიფოს მთელმა მოსახლეობამ სისტემატურად მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოსათვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. მოქალაქეები ირჩევენ თავიანთ მმართველ ორგანოებს, შემდეგ ხდება ხელისუფლების შტოების დაკომპლექტება. თავისი უფლებების დელეგირებას ხალხი ახდენს სწორედ მათზე, რომელნიც მის მიერ არიან არჩეულნი, იგულისხმებიან დეპუტატები, პრეზიდენტი და ა. შ. ხალხის აზრის ტოტალური გათვალისწინება ხდება იშვიათ შემთხვევაში, არჩევნების გარდა, რეფერენდუმებისა და პლებისციტების ფორმით. ამისგან განსხვავებით, როგორც ვთქვით, ათენში დემოკრატია ხორციელდებოდა იმასთან ბევრად უფრო მიახლოებული ფორმით, რასაც ეს ცნება გულისხმობს.

4. *ტირანია*. მმართველობის ეს ფორმა გარკვეულ მიმართებას გვიჩვენებს მონარქიასთან, მაგრამ მას ერთი განმასხვავებელი ნიშანი აქვს. ერთმმართველი ტირანი არის უკვე არსებული პოლიტიკური სისტემის დისკრედიტაციისა და დეფორმაციის პირმშო, ხალხის პროტესტის გამოვლინების შედეგი არსებული პოლიტიკური სისტემის მიმართ და ერთი ძლიერი პიროვნების ხელში მთელი ძალაუფლების მოქცევის სურვილი. მას გადაეცემა შეუზღუდავი უფლებები, შესაბამისად, ტირანი ფლობს გაცილებით უფრო დიდ ერთპიროვნული მართვის შესაძლებლობებს, ვიდრე ჩვეულებრივი დინასტიური მონარქი, რადგან იგი არჩეულია თავად ხალხის მიერ და პირველ რიგში ეყრდნობა ხალხის მხარდაჭერას. ბერძნული სიტყვა τύραννος ნასესხები ჩანს ძველაღმოსავლური ან ეტრუსკული ენიდან და თავდაპირველად იგი აღნიშნავდა მხოლოდ და მხოლოდ მმართველს. მან დროთა განმავლობაში შეიძინა ნეგატიური ფუნქცია. საბერძნეთის ისტორიის შესწავლისას ჩვენს ყურადღებას უთუოდ მიიქცევს პოლისებში ტირანთა სიმრავლე. მრავალ მათგანს ხალხი პატივს მიაგებდა, როგორც ბრძენ და ღირსეულ მმართველს, მაგრამ ერთსულოვანი იყო

დემოსის აზრი ტირანიის, როგორც მმართველობის ფორმის მიმართ: საბერძნეთში პირველად მოხდა იმის გააზრება, რომ გარკვეულ ვითარებაში ტირანმა შეიძლება შეასრულოს პოზიტიური როლი, თუკი იგი ბრძენი კაცია, მაგრამ, როგორც პოლიტიკური სისტემა, ტირანია არ შეიძლება იყოს პოზიტიური მოვლენა, რადგან იგი, არსებითად, ერთი პიროვნების განუსაზღვრელ ძალაუფლებას წარმოადგენს.

ის, თუ რამდენად ეფექტური აღმოჩნდა ათენის მიერ გატარებული კონსტიტუციური ცვლილებები, ნათლად გამოიხატა მის სწრაფ დაწინაურებაში ელინურ პოლისთა შორის. ათენი ჭეშმარიტად ბერძნული კულტურული ცხოვრების ცენტრად იქცა და იგი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოლიტიკური თვალსაზრისითაც. პოლისური საბერძნეთის განვითარებაში ძვ. წ. 500 წელს დასრულდა ერთი დიდი პერიოდი, რომელსაც ჩვენ არქაიკას ვუწოდებთ და რომლის თავისებურებებზეც კულტურული და სულიერი ცხოვრების სფეროებში უკვე გვქონდა საუბარი და ქვემოთაც გვექნება მსჯელობა.

500 წლიდან საბერძნეთის ისტორიაში იწყება პერიოდი, რომელსაც, ჩვეულებრივ, აღნიშნავენ ცნებით *კლასიკური*. იგი მოიცავს დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს (ძვ. წ. 500 წ. – ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი). ამ ეპოქის საკმაოდ რთული ისტორიული განვითარების გზა შეიძლებოდა რამდენიმე მონაკვეთად დაგვეყო: ა) ბერძენ-სპარსელთა ომები (ძვ. წ. 500-479); ბ) დიადი ორმოცდაათწლეული (ძვ. წ. 478-431); გ) პელოპონესის ომი (ძვ. წ. 431-404); დ) პოლისური სამყაროს დაქვეითება (ძვ. წ. 404-360); ე) მაკედონური ჰეგემონობის დამკვიდრება (ძვ. წ. 359-336).

*ა) ბერძენ-სპარსელთა ომები.* კლასიკური პერიოდის აღმავლობას ბიძგი მისცა იმ დიდმა მოვლენამ, რომელსაც ბერძენ-სპარსელთა ომებს ვუწოდებთ. ამ მოვლენის მნიშვნელობა უფრო ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძვ. წ. VI საუკუნიდან სპარსეთმა, რომელიც საკმაოდ სწრაფად იწყებს თავის პოლიტიკურ აღმავლობას აღმოსავლეთში, ძველ სამყაროში ერთ-ერთი უდიდესი იმპერია შექმნა. სპარსეთმა დაიმორჩილა მთელი მცირე აზია, მათ შორის, ბერძნებით დასახლებული იონია და ეოლია, ეგვიპტის ნაწილები და დაიწყო ფიქრი იმპერიის საზღვრების გაფართოებაზე უფრო დასავლეთით და ჩრდილოეთით. საკმაოდ მნიშვნელოვანი მოტივი აღმოჩნდა იონიური აჯანყება, რომელიც ათენის მხარდაჭერით მოხდა ძვ. წ. 500-493 წლებში. ამან სპარსეთის მეფეს, დარიოსს საშუალება მისცა, უფრო აქტიურად დაეწყო ფიქრი დასავლეთისაკენ, კერძოდ, საბერძნეთისაკენ ლაშქრობაზე. დარიოსს იონიელთა აჯანყებამ დაანახა, რომ ელინთა სახით მას საკმაოდ უხერხული და „თავხედი" პარტნიორი ჰყავდა ისტორიულ ასპარეზზე, რომელმაც მოინდომა იმპერიის ავტორიტეტის შელახვა. ამის გამოსასწორებლად ძვ. წ. 493 წელს, იონიელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ, სპარსეთი გადადის დასავლეთში, იპყრობს თრაკიას და მაკედონიას. საბერძნეთი, პირველ რიგში ათენი, გრძნობს მოახლოებულ საფრთხეს და ასპარეზზე გამოჰყავს ანტისპარსული ორიენტაციის ლიდერები – თემისტოკლესი და მილტიადესი. დარიოსმა თავისი ლაშქრობა საბერძნეთზე ძვ. წ. 490 წელს დაიწყო და საკმაოდ ადვილად მიაღწია მარათონს, რომელიც ათენიდან 42 კილომეტრით იყო დაშორებული. მარათონთან უთანასწორო ბრძოლაში ძვ. წ. 490 წელს ბერძნებმა პირველი თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვეს. ამიერიდან თემისტოკლესი ერთ-ერთ პოპულარულ ლიდერად და ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსად იქცა. დარიოს I, რომელიც საკმაოდ ბრძენი მმართველი იყო, არ ჩქარობდა საბერძნეთთან ახალ დაპირისპირებას, მაგრამ ძვ. წ. 486 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი ვაჟი ქსერქსესი აქტიურად შეუდგა საბერძნეთში ლაშქრობისათვის მზადებას.

საბერძნეთმა აშკარად იგრძნო, რა საშინელი საფრთხე დაემუქრა მას. თემისტოკლესის წინადადებით ძვ. წ. 481 წელს ბერძნულ პოლისთა დიდმა ნაწილმა მიიღო გადაწყვეტილება, შე-

ექმნა ელინთა საბრძოლო კავშირი და დროებით დაევიწყებინა ერთმანეთს შორის არსებული დაპირისპირება. ძვ. წ. 480 წლის ივნისის დასაწყისში სპარსეთის ჯარმა ხიდად შეკრული ხომალდების საშუალებით ჰელესპონტოსი გადალახა და საბერძნეთში გადავიდა. თუკი ბერძნული წყაროების მონაცემებს დავუჯერებთ, სპარსეთის არმია დაახლოებით 5 მილიონზე მეტი მებრძოლისაგან შედგებოდა, ხოლო ფლოტი – 1200-ზე მეტი ხომალდისაგან. თანამედროვე მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს მონაცემები ერთობ გაზვიადებულია და სპარსეთის სამხედრო ძალებში 200000-მდე მებრძოლი უნდა ყოფილიყო, ხოლო ფლოტში – 600-მდე ხომალდი. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იყო მართლაც უდიდესი ძალა, რომლის დამარცხება გაცილებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბერძნებისათვის ბევრს სავსებით შეუძლებლად ეჩვენებოდა. ათენმა თემისტოკლესის რჩევით განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მცირე ზომის ხომალდების აგებას. სპარსელთა დიდ სამხედრო ძალებს თერმოპილესთან ბერძენთა 7000-მდე ჯარისკაცი დახვდა. მათ შორის იმყოფებოდა 300 სპარტელი, რომელთაც სპარტის მეფე ლეონიდასი ხელმძღვანელობდა. სპარსელებმა ვერაფრით ვერ შეძლეს თერმოპილესთან ამ ძალის წინააღმდეგობის დაძლევა, ხოლო როდესაც ისევ და ისევ ელინმა ეფიალტესმა სპარსელები მთის ბილიკებით ღალატით გადაიყვანა და მათ ზურგიდან შეტევის საშუალება მიეცათ, ლეონიდასმა ყველა სხვა მებრძოლი გაუშვა, რათა ჯარი გადაერჩინა, ხოლო თვითონ თავის მცირერიცხოვან სპარტელებთან ერთად დარჩა და შეეგება მტერს. სპარტელები თავიანთი მეფის, ლეონიდასის წინამძღოლობით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ და დაეცნენ ბრძოლის ველზე. მართალია, თერმოპილესთან სპარსელებმა მოიპოვეს ფიზიკური გამარჯვება, მაგრამ თანამებრძოლთა ანუ სამასი სპარტელის ასეთი ვაჟკაცობა მთელი ელადისათვის შემდგომი ბრძოლის წარმატებით გაგრძელების მძლავრი სტიმული აღმოჩნდა.

გადამწყვეტი ბრძოლა ბერძნებმა მოიპოვეს ზღვაზე, როდესაც მათმა ფლოტმა, თემისტოკლესის გამჭრიახობის შედეგად, სასტიკი დამარცხება აგემა მტერს სალამისთან ძვ. წ. 480 წელს. თავზარდამცემი იყო სპარსელებისათვის ეს კატასტროფა. მართალია, ამით არ დამთავრებულა ბერძენ-სპარსელთა ომი, მაგრამ საბოლოო გარდატეხა მის მსვლელობაში მაინც მოხდა. ძვ. წ. 479 წელს პლატეასთან სპარსელებზე გამარჯვების შემდეგ ბერძნებმა დაიწყეს წარმატებული შეტევა და სულ მალე გაათავისუფლეს როგორც კონტინენტური საბერძნეთი, ასევე მცირე აზიის ბერძნული ნაწილები.

დასრულდა ომი, რომლის მნიშვნელობაც ბევრად მეტი იყო, ვიდრე უბრალო დაპირისპირება ორ ქვეყანას, ორ ძალას შორის. ბერძენ-სპარსელთა ომებში ერთმანეთს შეეტაკა ორი კულტურა, ორი პოლიტიკური სისტემა, სახელმწიფოს ორგანიზაციის ორი კონცეფცია. რომ არა ელინთა გამარჯვება ამ ომში, შესაძლოა, ევროპისა და მსოფლიოს განვითარება შემდგომ სულ სხვა გზით წარმართულიყო. ეს ომი დიდი აღმაფრენის მიმცემი აღმოჩნდა ბერძენთათვის, რადგან მათი რწმენით უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვება ელინებს მხოლოდ ღმერთების მხარდაჭერამ მოაპოვებინა. სინამდვილეში, ეს იყო თავისუფალი სამყაროს (ამ სიტყვის ანტიკური რეალობების გათვალისწინებით) თავისუფალი პიროვნებების გამარჯვება იმპერიაზე, დინასტიური ერთმმართველობის მექანიზმით შეკრულ ვეებერთელა სამხედრო ძალაზე. ბუნებრივია, ომის შედეგებმა მძლავრი ბიძგი მისცა კულტურის აღმავლობას საბერძნეთში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებითად შეიცვალა ბერძენთა ფსიქოლოგია. მათ გაუჩნდათ რწმენა, რომ გარეშე მტერი ერთ მუშტად შეკრული საბერძნეთისათვის არ იყო სახიფათო.

*ბ) დიადი ორმოცდაათწლეული.* მართლაც, მომდევნო რამდენიმე ათწლეული, ძვ. წ. 478-431 წლები, საბერძნეთის ისტორიაში ცნობილია როგორც დიადი ორმოცდაათწლეული („პენტეკონტაეტია"). სპარსეთთან ბრძოლისათვის მუდმივი მზადების გარდა, ბერძენთათვის უმთავრეს საზრუნავად იქცა ის, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ბერძნულ პოლისებს

შორის ერთმანეთთან ურთიერთობა. მართალია, პოლისების ურთიერთდამოკიდებულება ყოველთვის არ იყო კორექტული, იყო წინააღმდეგობებიც, მაგრამ, ძირითადად, ეს ორმოცდაათწლეული ელადის მიწაზე მშვიდობისა და აღმავლობის ხანად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ პერიოდში მრავალი საინტერესო პოლიტიკური მოღვაწე გამოვიდა ასპარეზზე სხვადასხვა ბერძნულ პოლისში, რომელთა შორის განსაკუთრებული სახელით სარგებლობდა პერიკლესი, რომელსაც ათენის დემოკრატიის მამად თვლიან. ელადაში, კერძოდ, ათენში შექმნილმა ატმოსფერომ დაუყოვნებლივ პოვა ასახვა კულტურაში, რაც გასაოცარი მიღწევებით გამოიხატა ელინთა შემოქმედების თითქმის ყველა სფეროში.

*გ) პელოპონესის ომი.* მას შემდეგ, რაც სპარსეთისათვის ნათელი გახდა, რომ შეუძლებელი იყო საბერძნეთის დამარცხება გარედან, მან დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ მიეღწია დაპირისპირებისათვის თავად ბერძენთა შორის. ამას ხელს უწყობდა საბერძნეთში ობიექტურად შექმნილი სიტუაცია. გამოიკვეთა ორი ძალა: ერთი — სპარტის გარშემო გაერთიანებული პოლისები, რომელნიც პელოპონესოსის კავშირს ქმნიდნენ, მეორე — ათენის საზღვაო კავშირში გაერთიანებული პოლისები. ამ ორ ძალას შორის თანდათანობით მწიფდებოდა კონფლიქტი. პერიკლესმა, როგორც ჩანს, ამგვარი დაპირისპირების შესაძლებლობა თავიდანვე განჭვრიტა და ათენისა და პირეოსის (ათენის საზღვაო ჭიშკრის) მოქცევა შეძლო ე. წ. დიდ კედელში. ეს საშუალებას იძლეოდა, რომ ათენში, საჭიროების შემთხვევაში, თავი დაცულად ეგრძნო ატიკის მთელ მოსახლეობას, ხოლო ქალაქის ფუნქციონირება ძლიერი ფლოტის სხვა რეგიონებში ინტენსიური მიმოსვლის წყალობით მომხდარიყო, რითაც, არსებითად, წყდებოდა ათენის სურსათითა და საჭირო ნივთებით მომარაგების საკითხი. ეს ფლოტი იმდენად ძლიერი იყო, რომ მას, ფაქტობრივად, მეტოქე არ ჰყავდა ზღვაზე. ძვ. წ. V საუკუნის 30-იანი წლებიდან დაპირისპირება სპარტულ და ათენურ კოალიციებს შორის თანდათანობით სულ უფრო და უფრო მძაფრი ხდება და ბოლოს და ბოლოს იგი გადაიზრდება ელადის ისტორიაში ყველაზე საშინელ და სამარცხვინო ომში, რომელიც პელოპონესის ომის სახელით არის ცნობილი. იგი გარკვეული პაუზებით თითქმის 30 წელიწადს გაგრძელდა (ძვ. წ. 431-404) და პოლისური ელადის საბოლოო დაქვეითების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახდა. ომის პირველ ფაზაში ათენს ორი დიდი უბედურება დაატყდა. ეს იყო ჭირი, რომელმაც მოიცვა ათენი და მრავალი სიცოცხლე შეინირა და მეორე — როგორც ჩანს, ეპიდემიის შედეგად ძვ. წ. 429 წელს ათენის გამოცდილი მეთაურის, პერიკლესის სიკვდილი, რითაც, ფაქტობრივად, დასრულდა ათენის დიდების ერა. ომმა საბერძნეთში ასპარეზზე გამოიყვანა მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად ომის თავგამოდებული მომხრეებიც. იგივე ხდებოდა სპარტაშიც. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ათენელი კლეონი, რომელიც თავისი დემაგოგობისა და სიმამაცის წყალობით დიდი პოპულარობით სარგებლობდა ატიკაში. ასევე ომის ჟინით იყო ანთებული სპარტაში ბრასიდასი. ძვ. წ. 422 წელს ბედმა ეს ორი მხედართმთავარი ქალაქ ამფიპოლისთან გამართულ სასტიკ შერკინებაში ბრძოლის ველზე დასცა. ამის შემდეგ თითქოს დროებით სამშვიდობო ინიციატივებმა იჩინეს თავი, რისი მომხრეც იყო ათენელი ნიკიასი და ვისი ძალისხმევითაც დადებულმა ე. წ. „ნიკიასის ზავმა" დროებით ჩააცხრო საომარი ვნებები. ეპოქის წინააღმდეგობრივ სულს საკმაოდ კარგად ასახავდა ისეთი პოლიტიკური ფიგურა, როგორიც იყო ალკიბიადესი. მასთან მიმართებაში აშკარად გამოვლინდა დემოკრატიული ათენის სისუსტეები. იგი არაერთგზის შეაჩვენა და გასაწირად გაიმეტა ათენმა, მაგრამ ავანტიურისტული სულის მქონე ალკიბიადესი ახერხებდა არა მარტო იმას, რომ თავიდან აეცილებინა თანამოქალაქეთა რისხვა, არამედ იმასაც, რომ არაერთგზის ტრიუმფით დაბრუნებულიყო საკუთარ ქალაქში.

*დ) პოლისური სამყაროს დაქვეითება.* პოლისური სამყაროს დაქვეითების პერიოდი უშუალოდ პელოპონესის ომის შემდეგ დაიწყო და გაგრძელდა მაკედონური ექსპანსიის

დაწყებამდე. სიცილიაში ათენელთა ექსპედიციის კრახით დასრულებისა და პელოპონესის ომის განახლების შემდეგ თანდათანობით ნათელი ხდებოდა, რომ დემოკრატიული ათენის გამარჯვების შანსები ამ ომში სულ უფრო და უფრო კლებულობდა. ძვ. წ. 404 წელს ყველაფერი დასრულდა ათენის სასტიკი დამარცხებით. გარკვეული დროის განმავლობაში სპარტა თითქოს მეტოქის გარეშე დარჩენილი ლიდერი იყო ელინურ სამყაროში, მაგრამ სპარსეთის პოლიტიკამ, მუდმივ დაძაბულობასა და დაპირისპირებაში ჰყოლოდა ბერძნული პოლისები, თავისი ნაყოფი გამოიღო. დაიწყო პოლისური საბერძნეთის დაქვეითების გადამწყვეტი ეტაპი, რომელიც გამოირჩეოდა ხან ერთი, ხან მეორე პოლისის აღმავლობითა და შემდეგ დაქვეითებით. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესო იყო თებეს გაძლიერება, რომელმაც ერთხანს იმის ილუზიაც კი შექმნა, რომ საბერძნეთში ახალი წამყვანი ძალა გამოჩნდა, თუმცა ელადის ბედი უკვე გადაწყვიტა ისტორიის მსვლელობამ.

*ე) მაკედონური ჰეგემონობის დამკვიდრება.* საბერძნეთის ჩრდილოეთით გაძლიერდა მაკედონია, რომელმაც დაქუცმაცებულ ბერძნულ პოლისთა სამყაროს დაუპირისპირა ძლიერი მონარქის გარშემო გაერთიანებული ძალა. განსაკუთრებით გამოიკვეთა მაკედონური საფრთხე ფილიპე II-ის დროს. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ მაკედონია ძლიერი, ერთიანი ბერძნულ-მაკედონური სახელმწიფოს შექმნისაკენ მიისწრაფოდა, რომელშიც ბერძნული ენა და კულტურა უნდა ყოფილიყო დომინანტური, გასაგები გახდება, თუ რატომ ჰყავდა საბერძნეთშიც მაკედონიას მრავალი მომხრე, რატომ გაიყო ელადა პრო- და ანტიმაკედონურ ძალებად. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ძვ. წ. 338 წელს ფილიპე II-მ, არსებითად, დაასრულა საბერძნეთის მაკედონური ძალაუფლებისადმი დაქვემდებარების პროცესი. მართალია, ძვ. წ. 336 წელს ფილიპე II-ის მოკვლამ ბერძნების ანტიმაკედონურ ნაწილში გარკვეული იმედები წარმოქმნა, მაგრამ ისინი ფუჭი აღმოჩნდა, რადგან ძველ სამყაროს მოევლინა ისეთი ფიგურა, როგორიც იყო ფილიპე II-ის ვაჟი ალექსანდრე.

**ელინისტური სამყარო.** მამის სიკვდილის შემდეგ ძვ. წ. 336 წელს ალექსანდრე, რომელსაც ისტორიაში ალექსანდრე III დიდს ანუ მაკედონელს უწოდებენ, ხელში იღებს ძალაუფლებას. თუკი გავითვალისწინებთ, რომ იგი ძვ. წ. 356 წელს დაიბადა და ესოდენ დიდი პასუხისმგებლობა მან 19-20 წლის ასაკში იკისრა, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ სკეპტიციზმით უყურებდნენ როგორც მაკედონელები, ასევე გარეშენი მის შესაძლებლობებს პოლიტიკურ ასპარეზზე. ფილიპე II-ისა და ოლიმპიასის ვაჟმა თავისი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, წრთობის საკმაოდ სერიოზული გზა განვლო: ძვ. წ. 342 წლიდან მამამ აღსაზრდელად არისტოტელეს მიაბარა, ძვ. წ. 340 წლიდან კი — თავისი ლაშქრობების მონაწილე გახადა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ფილიპეს ვაჟი ძალაუფლებას საკმაოდ მომზადებული იღებს ხელში. რაც მთავარია, მას ჰქონდა ჩამოყალიბებული კონცეფცია იმის თაობაზე, თუ საით უნდა მიემართა თავისი ძალისხმევა. ალექსანდრე მაკედონელმა მიზნად დაისახა მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა, რომელშიც უნდა გაერთიანებულიყო მთელი მაშინდელი ცივილიზებული სამყარო და ამ სახელმწიფოს ერთიანობას საფუძვლად უნდა დასდებოდა სამი პრინციპი: 1. ენობრივი ერთიანობა, რაც, ფაქტობრივად, ალექსანდრე მაკედონელის მომავალ მსოფლიო სახელმწიფოში ბერძნული ენის ოფიციალურ ენად აღიარებას ნიშნავდა; 2. კულტურული ერთიანობა, რაც ბერძნული კულტურული მემკვიდრეობის ფართოდ გავრცელებას და მასთან სხვადასხვა რეგიონების ტრადიციების შეზავებას გულისხმობდა; 3. პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთიანობა, რაც ერთიანი სახელმწიფოსათვის მმართველობის ჩამოყალიბებული სისტემის შექმნას ითვალისწინებდა. ამ მხრივ ალექსანდრე უფრო მეტად იყო ორიენტირებული სპარსეთის, საკუთრივ მაკედონიისა და ძველი აღმოსავლური სახელმწიფოების მმართველობის ფორმაზე, ვიდრე ბერძნულ პოლისურ სისტემაზე. უპირველესი ამოცანა მისთვის, რასაკვირველია,

სპარსეთის იმპერიის დამხობა იყო, რაც ალექსანდრე მაკედონელმა ოთხ ეტაპად განახორციელა. პირველ ეტაპზე (ძვ. წ. 334-331) თითქმის მთლიანად გაათავისუფლა სპარსელთა ბატონობისაგან აღმოსავლეთ საბერძნეთი ანუ მცირე აზიის ბერძნული ნაწილი. სწორედ ამ ეტაპზე მიეწერება ალექსანდრე მაკედონელს „გორდიასის კვანძის" გახსნის წარმატებული ცდა, როდესაც მან პრობლემა ხმლის ერთი დაკვრით გადაწყვიტა. ამავე ეტაპზე იგი იღებს კაპადოკიას, კილიკიას და მოიპოვებს გამარჯვებას დარიოსის არმიაზე, რაც მას გზას უხსნის სირიისა და ფინიკიის დასაკავებლად. შემდეგ იგი ინაცვლებს ეგვიპტეში, აღწევს ამონის ტაძარს სივას ოაზისში. ალექსანდრე მაკედონელი თავის კითხვაზე: არის იგი ჩვეულებრივი მოკვდავის თუ ღმერთის ვაჟი, ქურუმებისაგან დაახლოებით ამგვარ პასუხს იღებს: „რაკი სურს ალექსანდრეს იყოს ღმერთი, დე, იყოს იგი ღმერთი". ამით მთავრდება მისი ლაშქრობების პირველი ეტაპი. მეორე ეტაპი მოიცავს მხოლოდ ძვ. წ. 331 წლის მეორე ნახევარს და ძვ. წ. 330 წლის პირველ ნახევარს, რომელიც გადამწყვეტი იყო სპარსეთის იმპერიის დამხობის მიმართულებით. ეგვიპტიდან იგი კვლავ აზიაში ინაცვლებს და ძვ. წ. 331 წლის ოქტომბერში ტიგრისთან მდებარე გავგამელაში გადამწყვეტ გამარჯვებას მოიპოვებს დარიოსის გრანდიოზულ არმიაზე თავისი შედარებით მცირერიცხოვანი ჯარით. ალექსანდრე მაკედონელმა ადვილად შეძლო მესოპოტამიისა და ბაბილონის დაპყრობა და ამავე წელს იგი აღწევს სპარსეთის მეფის რეზიდენციას სუსაში, შემდეგ იპყრობს პერსეპოლისს, ძვ. წ. 330 წლის გაზაფხულზე კი — პასარგადას, ეკბატანას, მთელ მიდიას. ზაფხულში სასოწარკვეთილებამდე მისული სპარსელები თავიანთ მეფეს, დარიოსს კლავენ, რაც დასასმა განახორციელა. მესამე ეტაპი (ძვ. წ. 330-327) შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა: ალექსანდრე მაკედონელი იპყრობს აღმოსავლეთ ირანის რეგიონებს, ჯერ პართიას, არეიას, დრანგიანეს, ხოლო ბოლოს — ბაქტრიასა და სოგდიანეს. ბაქტრიის ლაშქრობის დასასრული ძვ. წ. 327 წელს წარჩინებული ოჯახის ასულ როქსანაზე მისი ქორწინებით დაგვირგვინდა. ალექსანდრეს ლაშქრობების მეოთხე და ბოლო ეტაპი (ძვ. წ. 327-325) ინდოეთში ექსპედიცია იყო, რის შედეგადაც მან ჰიფასისს მიაღწია. მაგრამ მისი ჯარი ხანგრძლივმა ლაშქრობებმა და დაუსრულებელმა ომებმა გამოფიტა და ალექსანდრე იძულებული გახდა მდინარე ინდუსიდან უკან, სპარსეთის დედაქალაქ სუსაში დაბრუნებულიყო. ალექსანდრეს ლაშქრობებში ბევრი ღირსეული თანამებრძოლი ჰყავდა. ცნობილია მაკედონელი მხედართმთავარი კრატეროსი, რომელმაც არაერთი სამხედრო ოპერაცია ჩაატარა დამოუკიდებლად. განსაკუთრებით გამოიჩინა მან თავი ლაშქრის ერთი ნაწილის მშვიდობით დაბრუნებაში ინდუსიდან სუსაში საკმაოდ რთული მარშრუტით. ალექსანდრეს ყრმობის მეგობარმა, ნეარქოსმა კი ფლოტის ხელმძღვანელობა იკისრა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლაშქრის ხომალდებით დაბრუნებაში ინდუსის შესართავიდან სპარსეთის ყურემდე. ძვ. წ. 324 წელს სუსაში ალექსანდრემ გრანდიოზული ქორწინებით აღნიშნა თავისი ლაშქრობის დასასრული, როდესაც თავისი ჯარისკაცები დააქორწინა სპარსელ ქალებზე. ამ ქორწინებას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, რადგან ამით, მაკედონელის აზრით, ოპოზიცია: ევროპა — აზია საბოლოოდ უნდა განეიტრალებულიყო. ძვ. წ. 323 წელს ალექსანდრე გადადის ბაბილონში, რათა მოამზადოს ახალი ექსპედიცია უკვე არაბეთში, თუმცა ძვ. წ. 323 წლის 10 ივნისს 32 წლის ასაკში იგი მოულოდნელად, როგორც ფიქრობენ, მალარიისაგან გარდაიცვალა.

# ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფო და დიადოქოსების სახელმწიფოები


PONTOS EUXEINOS
(შავი ზღვა)
ბალკანეთი
ბიზანტიონი
ბითვინია
ტრაპეზუნტი
ფრიგია
ფრიგია ეპიკტეტი
ფრიგია ეუმენესი
ფრიგია ანტიგონეს
ფრიგია ანტიოქეს
ფრიგია ანტიპატრეს
ფრიგია ანტიგონეს
ფრიგია ეუმენეს
ფრიგია ეპიკტეტი

შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე მაკედონელი იყო, არსებითად, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი, რომელმაც სულ ახალგაზრდამ განახორციელა ყველა თავისი ჩანაფიქრი და, რომ არა მოულოდნელი სიკვდილი, იგი შეძლებდა, ალბათ, ჭეშმარიტად მსოფლიო სახელმწიფოს შექმნას. ალექსანდრე მაკედონელი არ იყო ჩვეულებრივი დამპყრობელი. იგი მიზნად არ ისახავდა იმპერიის შექმნას, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. მას არ უცდია მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიებისათვის დედაქალაქად მაკედონიის ან საბერძნეთის რომელიმე ქალაქის გამოცხადება, როგორც მოხდა შემდგომ რომის შემთხვევაში. მან მთავარ ქალაქად აირჩია ბაბილონი, რადგან მას მართლაც ცენტრალური ადგილი ეჭირა ამ გრანდიოზული ლაშქრობების შედეგად წარმოქმნილ უკიდეგანო გაერთიანების ფარგლებში. ალექსანდრესათვის, როგორც ჩანს, მთავარი იყო ხალხებსა და რეგიონებს შორის ანტაგონიზმის მოხსნა და მსოფლიოს გაერთიანება ისეთ სახელმწიფოში, სადაც ხალხები არ დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, სადაც იქნებოდა კულტურულ-ენობრივი ერთიანობა. ამ მიზნის მისაღწევად მას თავის ჯართან ერთად თან ახლდა არქიტექტორების, სწავლულების, „კულტურის მოღვაწეების" მთელი არმია და იგი გზადაგზა აარსებდა უამრავ ქალაქს. თითოეული მათგანი ბერძნული ქალაქთმშენებლობის პრინციპთა დემონსტრირებას წარმოადგენდა და, ამასთანავე, ითვალისწინებდა ადგილობრივი ქალაქთმშენებლობის კონცეფციებსაც. ამის შედეგად ეს ქალაქები ხდებოდნენ სანიმუშონი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და სწორედ ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ მისმა ცდამ, მიეღწია ენობრივი და კულტურული ერთიანობისათვის იმპერიაში, მართლაც წარმატებული შედეგი გამოიღო. ალექსანდრე ჭეშმარიტი კოსმოპოლიტი იყო და არ არის შემთხვევითი, რომ ეს ცნება სწორედ ელინისტური ეპოქის ადამიანთა მსოფლაღქმიდან იღებს დასაბამს, რომლებიც თავიანთ თავს, მართლაც, მსოფლიოს მოქალაქეებად თვლიდნენ. ამ ეპოქაში უამრავი ქალაქი ალექსანდრია დაარსდა. მათგან ყველაზე სახელოვანი იყო ეგვიპტის ალექსანდრია, რომელმაც შემდეგ ძველი სამყაროს კულტურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. დღესაც გაოცებას იწვევს ის, თუ როგორ შეძლო ალექსანდრემ არცთუ მრავალრიცხოვანი ლაშქრით პრაქტიკულად დაუმარცხებლად ესოდენ ვრცელ ტერიტორიაზე გაევრცელებინა თავისი ძალაუფლება. დღესაც გამოცანად ითვლება ის, თუ როგორ მოიპოვა მან ცალკეულ ომებში წარმატება მაშინ, როდესაც, ყველანაირი შეფასებით, მას გამარჯვების არავითარი შანსი არ უნდა ჰქონოდა.

ალექსანდრე მაკედონელის მოულოდნელმა სიკვდილმა, ბუნებრივია, ხელი შეუშალა დიდი მხედართმთავრის ჩანაფიქრის განხორციელებას. მის მიმდევრებს, ე. წ. დიადოქოსებს შორის საკმაოდ მალე დაირღვა თანხმობა და ძალაუფლების განაწილების გამო წარმოქმნილ საკმაოდ მწვავე დაპირისპირებაში შეუძლებელი აღმოჩნდა კონსენსუსის მიღწევა. ბოლოს და ბოლოს, ანტიპატროსმა დაიმკვიდრა ძალაუფლება მაკედონიასა და საბერძნეთში, ლისიმაქოსმა — თრაკიასა და პონტოში, ანტიგონოსმა — ფრიგიაში, ლიკიასა და პამფილიაში, სელევკოსმა კი — ბაბილონიასა და სირიაში. დიადოქოსებს შორის წარმოებულმა ბრძოლებმა ალექსანდრე მაკედონელის ელინისტური სახელმწიფო საბოლოოდ დაყო მრავალ ნაწილად, რომელთაგან უმთავრესი იყო: სელევკიდების სახელმწიფო ნინა აზიაში, პტოლემაიოსების სახელმწიფო — ეგვიპტეში, ატალიდების — პერგამონში და ანტიგონიდების — მაკედონიასა და საბერძნეთში.

ელინისტურ სამყაროში დიადოქოსებს შორის ერთმანეთთან გაუთავებელმა დაპირისპირებებმა უკვე ძვ. წ. III საუკუნიდან თანდათანობით ხელი შეუწყო რომის ძალაუფლების გაძლიერებას. ამ უკანასკნელმა მას შემდეგ, რაც 146 წელს დაიპყრო საბერძნეთი, რესპუბლიკის ხანის დასასრულამდე მთელი ელინისტური სამყარო დაუქვემდებარა თავის ძალაუფლებას.

ელინისტური სამყაროს რომთან დაპირისპირების ბოლო ფაზა იყო ე. წ. პტოლემეურ-რომაული ბრძოლა. ეს არის ეპოქა, რომელიც ცნობილია ანტონიუსისა და ელინისტური ეგვიპტის უკანასკნელი მმართველის, კლეოპატრა VII-ის დრამატული სიყვარულის ისტორიით. ძვ. წ. 30 წლის 12 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც კლეოპატრამ თავი მოიკლა, რომის პროვინცია გახდა უკანასკნელი ელინისტური სახელმწიფო – ეგვიპტეც. ამიერიდან, საბერძნეთის პოლიტიკური ისტორია, არსებითად, რომის პოლიტიკური ისტორიის ფარგლებში ექცევა, რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

ამგვარად, თუკი ანტიკური საბერძნეთის ისტორიის განვითარების კანონზომიერებას გადავავლებთ თვალს, შეიძლება შემდეგი ითქვას. ბერძნები მიკენურ ეპოქაში ისტორიულ ასპარეზზე გამოდიან მაშინ, როდესაც ეგეოსის ზღვის აუზში წამყვან პოლიტიკურ ძალას მინოსური კრეტა წარმოადგენს და ელინები ძვ. წ. XVI-XV საუკუნეებში კრეტის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ამ უკანასკნელის დაქვეითების შემდეგ ეგეიდაში ბერძნები ქმნიან საკმაოდ ძლიერ გაერთიანებას, რომელსაც, პირობითად, მიკენური კონფედერაციული სახელმწიფო შეიძლება ვუწოდოთ. იგი იყო პირველი და უკანასკნელი მეტნაკლებად ერთიანი ბერძნული სახელმწიფო მთელი ანტიკურობისა და შუა საუკუნეების განმავლობაში.

ელინური ისტორიის შემდგომი პერიოდი მოიცავს პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მრავალ საუკუნეს, რომელთა განმავლობაში ელადა უამრავი პოლისის – დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ერთგვარ „ჯამს" წარმოადგენდა. ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან მოყოლებული საბერძნეთის ისტორია, გარკვეულწილად, გრძელდება, თუმცა დიდი ელინისტური სახელმწიფოს ფარგლებში, რადგან ელინისტურ სამყაროში აშკარად დომინანტურია ბერძნული კულტურა, ბერძნული ენა და ის, რასაც ელინურობა შეიძლება ვუწოდოთ. ამიტომ, თუმცა საბერძნეთის მხოლოდ ერთი ნაწილი მოექცა ელინისტური სამყაროს ფარგლებში, ელინიზმის ეპოქა, გარკვეულწილად, საბერძნეთის პოლიტიკური ისტორიის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ.

რაც შეეხება რომაული ბატონობის ეპოქას, ამ შემთხვევაში საბერძნეთი უკვე მთლიანად კარგავს თავის დამოუკიდებელ პოლიტიკურ სტატუსს და მას ანტიკურობის განმავლობაში უკვე ეელარასოდეს აღიდგენს.

## რომი

ძველი სამყაროს ისტორიაში რომს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან მან არა მარტო პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ანტიკური სამყარო, არამედ რომშივე მომზადდა და განხორციელდა ანტიკურობის დაქვეითების პროცესიც. რომის ისტორიაში რამდენიმე ძირითადი პერიოდი გამოიყოფა.

**მეფეთა ხანა (ძვ. წ. 510 წლამდე).** იტალიის ტერიტორია უხსოვარი დროიდან, ყოველი შემთხვევისათვის, ნეოლითიდან მაინც სხვადასხვა კულტურების (თანამედროვე კლასიფიკაციით: Molfetta, Stentinello, Remedello, Terramare, Extraterramariculi) მონაცვლეობის ასპარეზს წარმოადგენდა. დაახლოებით 1000 წლიდან ანუ რკინის ეპოქის დასაწყისიდან რომში დიდი გადასახლებების შედეგად შედიან იტალიკური ტომები, რაც მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, თავის ასახვას ე. წ. ვილანოვას კულტურაში ჰპოვებს. რომში ინდოევროპულ ტომთა ამ ნაკადის შესვლა რამდენიმე ჯგუფის სახით განხორციელდა: 1. ლათინურ-ფალისკური; 2. უმბრულ-საბელური ან ოსკურ-უმბრული; 3. ილირიული. თავად სახელწოდება იტალია, რომელიც წარმოდგება სიტყვიდან – Vituli (ღმერთი ხარის ვაჟები), თავდაპირველად აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილს აღნიშნავდა და მხოლოდ

მოგვიანებით გავრცელდა როგორც მთელი ნახევარკუნძულის სახელწოდება ჩრდილოეთით მდებარე ალპებამდეც კი. ამ პერიოდიდან მოყოლებული, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იტალიაში ისტორიულ ასპარეზზე ჩნდებიან სხვადასხვა ხალხები, რომელთა შორის საკუთრივ იმ ტომებს, რომელთაც შემდგომ რომის ვეებერთელა იმპერია შექმნეს, ერთობ მოკრძალებული ადგილი ეჭირათ. იტალიის ცენტრალურ ნაწილში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დომინირებდნენ, შესაძლოა, აღმოსავლეთიდან გადმოსახლებული ეტრუსკები, რომელთა ძირითადი სამკვიდრებელი მდინარეებს – ტიბრსა და არნოს – შორის ვრცელდებოდა. საკმაოდ ადრე უნდა დაწყებულიყო აქ ბერძნული კოლონიზაციაც, რის შედეგადაც იტალიის სამხრეთ ნაწილსა და სიცილიაში ბერძნული დასახლებების მჭიდრო ქსელი შეიქმნა. იტალიაში დომინანტური პოზიციის მოპოვებისათვის ეტრუსკებისა და ბერძნების დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო და, არსებითად, ხელი შეუწყო თავად ლათინების მომძლავრებას. ეტრუსკები მმართველობის საინტერესო სისტემას ქმნიან. ეს არის სახელმწიფოს მართვის ღია ფორმა, რომელიც ქალაქებს შორის კავშირით შემოიფარგლება, ქალაქებისა, რომელთაც, თავის მხრივ, მეფეები და წარჩინებულები მართავენ. ეტრუსკული კულტურა ანტიკური სამყაროს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია და მან დიდი გავლენა მოახდინა რომაული ცივილიზაციის ფორმირებაზე.






კიდევ ერთ ძალას, რომელიც ამ დროს ხმელთაშუაზღვის დასავლეთით უთუოდ ანგარიშგასაწევი იყო, ფინიკიელები წარმოადგენდნენ, რომელთაც ეკავათ დასავლეთ სიცილია და ჩრდილოეთ აფრიკა. მათ ასირიელთა მიერ ტიროსის დაპყრობის შემდეგ თავიანთი ძალაუფლების საყრდენად კართაგენი გადააქციეს.

ჩამოთვლილ ძალებს შორის მიმდინარე დაპირისპირებისა თუ ძალაუფლების გადანაწილების პროცესის პარალელურად თანდათან აღმავლობას იწყებს ლათინური ელემენტი იტალიაში. დაახლოებით ძვ. წ. 750 წლისათვის ეტრუსკული გავლენით ლათინები, რომელთაც პალატინუმზე ჰქონდათ დაფუძნებული ქალაქის პირველი ცენტრი ე. წ. Roma

quadrata (კვადრატული რომი), საბინებთან გაერთიანებით ქმნიან ქალაქის თემს. რასაკვირველია, რომის ისტორიის ეს უძველესი პერიოდი მითების სამოსელშია გახვეული. რომაელი ავტორები მოგვიანებით გვთავაზობენ ლეგენდებს რომის დაარსების შესახებ. მათი ნაწილი რომაელთა ეპონიმად ცნობილ გმირს, ანქისესის შვილს, ენეასს ასახელებს, ნაწილი კი – ძუ მგლის მიერ გადარჩენილ რომულუსსა და რემუსს, ხოლო რომის დაარსების ოფიციალურ თარიღად ძვ. წ. 753 წლის 21 აპრილს მოიხსენიებენ. აქედან იწყებენ რომაელები თავიანთ წელთაღრიცხვას, რაც განისაზღვრა კიდეც გამოთქმით ab Urbe condita („ქალაქის დაარსებიდან").

ძვ. წ. 750-510 წლები რომის ისტორიაში მიჩნეულია ე. წ. შვიდი მეფის მმართველობის ეპოქად. თუკი მივიჩნევთ, რომ ერთი თაობა დაახლოებით 30-40 წლით განისაზღვრებოდა, შვიდი მეფის მოღვაწეობა მართლაც რეალური ჩანს 240 წლიანი პერიოდისათვის. ეს მე-

ფეები უნდა ყოფილიყვნენ: რომულუსი, ნუმა პომპილიუსი, ტულიუს ჰოსტილიუსი, ანკუს მარკიუსი, ტარკვინიუს პრისკუსი, სერვიუს ტულიუსი, ტარკვინიუს სუპერბუსი.

**რესპუბლიკის ეპოქა (ძვ. წ. 510-31).** მას შემდეგ, რაც ძვ. წ. 510 წლისათვის ტარკვინიუს სუპერბუსი, ეტრუსკთა უკანასკნელი მეფე და მისი დინასტია დამხობილ იქნა, მეფეთა მმართველობა დასრულდა და რომში რესპუბლიკური წყობა დამყარდა. ძვ. წ. 510-366 წლები, ფაქტობრივად, იყო ადრერესპუბლიკური „კონსტიტუციის" ფორმირებისა და განვითარების პერიოდი. ძვ. წ. 450 წლისათვის იქმნება ე. წ. თორმეტი დაფის კანონები (leges duodecim tabularum), რომელიც რომის კანონმდებლობაში აშკარად წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩავთვალოთ. ამ კანონზე მუშაობა მიმდინარეობდა ბერძნული (განსაკუთრებით, სოლონის) კანონმდებლობის გათვალისწინებით. თავდაპირველად შეიქმნა ე. წ. კანონების ათი დაფა, რომელსაც შემდეგ კიდევ ორი დაემატა. არსებითად, ამ კანონებში გამოიკვეთა კერძო, სისხლისა და საკულტო სამართალი.

მმართველობის რა სისტემა იყო რომში მეფეთა და რესპუბლიკურ ეპოქაში? მეფეთა ხანაში ძირითადი ფიგურა იყო მეფე (rex), რომელიც, ტრადიციის თანახმად, თავად ღმერთის ნებით იღებდა ხელში ძალაუფლებას და ერთდროულად ითვლებოდა უზენაეს მთავარსარდლად, ქურუმად და მსაჯულად. მეფობის საფუძველი იყო imperium („უმაღლესი მბრძანებლობის უფლება, ძალა") და auspicium („ღმერთის ნების შეცნობა"). მეფისათვის სათათბირო ორგანო იყო უხუცესთა საბჭო ანუ სენატი senatus (senex „უხუცესი, მოხუცი"). სენატი შედგებოდა ტომების მეთაურების, „ტომთა მამებისაგან" (patres gentium). სახალხო კრების საფუძველს ქმნიდა 30 კურია (curia = coviria — „კაცთა გაერთიანება"). მოქალაქეები სამ ტომად (tribus) იყვნენ განაწილებულნი: ტიტიების, რამნებისა და ლუკერების. თითოეული შეიცავდა ათ კურიას. თითოეული ტრიბუსი წარმოადგენდა ას რჩეულს — მხედრებს (celeres) და ათ ასეულ ფეხოსანს ანუ ერთ ათასეულს.

მას შემდეგ, რაც მეფეთა მმართველობა დასრულდა, მოხდა ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოების რაოდენობების შეცვლის მხრივ, ასევე მმართველობის ფორმის თვალსაზრისითაც. თავდაპირველად ქვეყნის სათავეში მოექცა ყოველწლიურად არჩეული უმაღლესი მოხელე (praetor maximus), რომელიც ფლობდა ძალაუფლებას.

რომის რესპუბლიკის ხელისუფლების სამ ძირითად შტოს წარმოადგენდა:

სახალხო ანუ ლაშქრის კრება — მისი ამოცანა იყო ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება: კანონმდებლობა და ყველა დონის მოხელეთა არჩევნები.

მაგისტრატი — magistratus („მოხელე"), ფაქტობრივად, აღმასრულებელი ხელისუფლება, რომლის მოქმედების პრინციპი იყო მოხელეების მოღვაწეობის დროის შემოსაზღვრა ერთი წლით და ორი მოხელის ძალაუფლებრივი გათანაბრება (anuitas, collegialitas) იმ მიზნით, რათა თავიდან აეცილებინათ ერთმმართველობა (despotia).

სენატი — იგი 300 წევრისაგან შედგებოდა და კომპლექტდებოდა ტომთა მამებისაგან და ასევე ყოფილი კონსულატის (consulares) მოხელეებისაგან. მოგვიანებით იგი შეივსო პლებეებით (conscripti). სენატის ძირითად ამოცანას კანონების მომზადება და მათ აღსრულებაზე ზედამხედველობა, უპირველეს ყოვლისა კი, მაგისტრატის კონსულტაცია (senatus consultum) წარმოადგენდა, რამაც მოგვიანებით ხალხის გადაწყვეტილებების შესაბამისი ბრძანებებისა და თანხმობის (auctoritas patrum) ფორმა მიიღო.

რამდენიმე სიტყვა იმ თანამდებობების შესახებ, რომელნიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ რომში:

ა) კონსულების – consules („მრჩევლები") ამოცანა იყო: ომის წარმოება, ფინანსების განკარგვა, სამართლის სფერო. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, ომის დროს, კონსულებიდან ირჩეოდა დიქტატორი, არა უმეტეს, ექვსი თვისა. ძველად მას ერქვა magister populi, რომელსაც განუსაზღვრელი ძალაუფლება ენიჭებოდა.

ბ) პრეტორები – praetores ძირითადად აწარმოებდნენ სამართალს და თავიდან წარმოგვიდგებოდნენ როგორც „ქალაქის პრეტორი" (praetor urbanus) ანუ კონსულის „უმცროსი კოლეგა" (collega minor), მაგრამ ძვ. წ. 336 წლიდან ისინი კურატორობას უწევდნენ სასამართლო დავებს რომის მოქალაქეებს შორის. ძვ. წ. 247 წლიდან მათ აგრეთვე დაეკისრათ საქმის გარჩევა როგორც რომის მოქალაქეებსა და უცხოელებს, ასევე მხოლოდ უცხოელებს შორისაც.

გ) ცენზორები – მათ ევალებოდათ ადათებისა და ქონებრივი ცენზისათვის თვალყურის დევნება.

დ) კვესტორები – ძვ. წ. 447 წლიდან თვალს ადევნებდნენ სახელმწიფო ხაზინას.

დიქტატორებს, კონსულებს და პრეტორებს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდათ თავიანთ სფეროებში (magistratus cum imperio), სხვა მოხელეებს კი – შეზღუდული (magistratus cum potestate). რესპუბლიკის ხანაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა დაყოფამ ამგვარი სახე მიიღო: გამოიყო 4 საქალაქო და 17 ან 31 სასოფლო მმართველობის თემი, რომელნიც ქმნიდნენ საფუძველს გადასახადების ამოღებისას. ამით, არსებითად, მოიშალა ე. წ. ნოდებრივი პრინციპი. ტრიბუსების დაყოფას შედეგად მოჰყვა ცენტურიატის კომიტიების (comitia centuriata) წარმოქმნა, რომელმაც შექმნა საფუძველი ჯარის ფორმირებისათვის.

პატრიციებისა და პლებეებისაგან დაკომპლექტებული სამხედრო ჯგუფები, 5 ქონებრივი კლასის (classis) გათვალისწინებით, 193 ასეულად (ცენტურიად) დაიყო. აქედან: 18 მხედართა, 80 მძიმედ შეიარაღებულთა ანუ ჰოპლიტების, 90 მსუბუქად შეიარაღებულთა, 4 ტექნიკური პერსონალის და მუსიკოსების ცენტურიები, 1 ქონების არმქონეთა ცენტურია (capite censi). ცენტურიების ნახევარი შედგებოდა 46 წლამდე მოქალაქეებისაგან, ხოლო დანარჩენი – 60 წლამდე ასაკის მამაკაცებისაგან. პირველთ ეწოდებოდათ juniores, დანარჩენებს – seniores. ამ უკანასკნელთ ეკისრებოდათ ქალაქის დაცვა.

როგორც ვხედავთ, მეფეთა მმართველობის პერიოდის შემდეგ რესპუბლიკურ რომში მმართველობის საკმაოდ ჩამოყალიბებული მექანიზმი შეიქმნა, თუმცა, რასაკვირველია, იგი არ იყო დაზღვეული მნიშვნელოვანი ხარვეზებისაგან, რაც გამუდმებით იწვევდა პატრიციებსა და პლებეებს შორის დაპირისპირებებს. ამას კი, თავის მხრივ, მოჰყვებოდა ხოლმე აუცილებლობით გამოწვეული გარკვეული ცვლილებები.

რესპუბლიკური რომის ისტორიას, ჩვეულებრივ, ორ დიდ პერიოდად ყოფენ: ადრეული და გვიანდელი რესპუბლიკის პერიოდები. ადრერესპუბლიკურ პერიოდში რომმა ეტრუსკებთან და, გარკვეულწილად, ბერძნებთან დიდი ბრძოლების, ასევე გალების შემოსევების მოგერიების შედეგად მიაღწია იმას, რომ, არსებითად, დაამყარა თავისი ძალაუფლება იტალიაში. გვიანდელი რესპუბლიკის ხანა აღინიშნება უკვე რომის ექსპანსიით ხმელთაშუაზღვისპირეთში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რომის ბრძოლა მის ერთ-ერთ უმთავრეს მეტოქესთან, კართაგენთან. ცნობილია სამი პუნიკური ომი, რომელთა ქრონოლოგია ასე გამოიყურება: პირველი პუნიკური (ძვ. წ. 264-241), მეორე პუნიკური (ძვ. წ. 218-201), მესამე პუნიკური (ძვ. წ. 149-146). ამ ომების წყალობით, რომმა, ფაქტობრივად, გაიმყარა თავისი ძალაუფლება დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, თუმცა მისი მდგომარეობა კართაგენელი მმართველის, ჰანიბალის წყალობით, მეორე პუნიკურ ომში საკმაოდ კრიტიკულიც კი იყო. უკვე ძვ. წ. III საუკუნის მიწურულიდან რომი იწყებს მოქმედებას თავისი ძალაუფლების აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გასავრცელებლად. ამისათვის ის აწარმოებს ორ ე. წ. ილირიულ ომს (პირველს – ძვ. წ. 229-228 წლებში, ხოლო მეორეს – ძვ. წ. 219 წელს) და ხელში იგდებს ადრიატიკის სანაპი-

როს. სამი მაკედონური ომის შემდეგ იმორჩილებს ბალკანეთს. ძვ. წ. 200-190 წლებში ე. წ. კელტებთან ომის შემდგომ რომი ამთავრებს ჩრდილოეთ იტალიის დაპყრობას. ძვ. წ. 190 წელს ამარცხებს მაკედონიის ერთ-ერთ უმძლავრეს მოკავშირეს, სელევკიდების მეფეს, ანტიოქოს II-ს და, შესაბამისად, ხელში იგდებს მცირე აზიის საკმაოდ დიდ ნაწილებს. ძვ. წ. 182-181 წლებში იპყრობს ლიგურებს. ძვ. წ. 146 წლის გამარჯვებების შემდეგ იგი, ფაქტობრივად, ასრულებს საბერძნეთის დაქვემდებარებას. ესპანეთისათვის ოცი წლის განმავლობაში (ძვ. წ. 154-133) წარმოებული ბრძოლები აღინიშნა ჯერ ლუზიტანიელების დამორჩილებით (ძვ. წ. 138-136) (ლუზიტანია თანამედროვე პორტუგალიის ანტიკური სახელწოდებაა). კელტიბერების (ცენტრალური ესპანეთის მრავალი ტომის ერთობლიობის აღმნიშვნელი ანტიკური სახელწოდება) დამარცხების შემდეგ ძვ. წ. 133 წელს იგი კონტროლს აწესებს ესპანეთზეც. ძვ. წ. 133 წელს რომი მცირე აზიის დასავლეთით, ატალოს III-სგან იღებს პერგამონის ძლიერ ელინისტურ სამეფოს და საბოლოოდ ძვ. წ. 129 წელს ამბოხებების ჩახშობის შემდეგ ანატოლიის ამ რეგიონში ქმნის პროვინციას, რომლის სახელწოდებაა აზია. ამ ექსპანსიონისტური ომების შედეგად რომი გადაიქცა უძლიერეს ძალად მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში. ამ დაპყრობებმა, ბუნებრივია, გარკვეული ცვლილებები გამოიწვია რომის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ესოდენ დიდი ტერიტორიების ხელში ჩაგდებამ ხელი შეუწყო მასობრივ მონობას, ე. წ. პროლეტართა ფენების სწრაფ გაფართოებას. ელინისტურ სახელმწიფოებთან კონტაქტებმა უდიდესი გავლენა მოახდინა რომის კულტურულ ცხოვრებაზე. შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული ცივილიზაცია, თუკი პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციის სფეროს გამოვრიცხავთ, რომისათვის, არსებითად, პარადიგმატული გახდა, რამაც თავი იჩინა რომის ხელოვნებაში, ლიტერატურასა და მეცნიერებაში, ზოგადად კულტურაში, ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო გაგებით.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ესოდენ ფართო მასშტაბებმა, ბუნებრივია, განვითარების პროცესების პარალელურად ხელი შეუწყო გვიან რესპუბლიკაში კრიზისული ტენდენციების მომძლავრებასაც. ამან თავისი გამოხატულება პოვა მონათა მძლავრ აჯანყებაში, რამაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში სიცილიაზე ე. წ. მონათა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდეც კი მიგვიყვანა (ძვ. წ. 135 წ.), მაგრამ რომმა ეს წინააღმდეგობა დაძლია და მონების შფოთიანობას ბოლო მოუღო ძვ. წ. 101 წლისათვის. მართალია, ამ ამბოხებებს, არსებითად, არ მოჰყოლია პროგრესი სოციალურ ცხოვრებაში, მაგრამ მათ მოამწიფეს გარდაქმნების აუცილებლობის იდეა. ნობილიტეტის დომინირებამ და ომების წყალობით მისმა მნიშვნელოვანმა გამდიდრებამ თავისუფალი მოსახლეობის გაღარიბება გამოიწვია, რამაც ძვ. წ. III საუკუნის შუა პერიოდიდან სენატის მიმართ მძლავრი ოპოზიცია წარმოშვა, რომელიც ყველაზე რადიკალური ფორმით გრაკხუსების დემოკრატიულ აგრარულ-რეფორმატორულ მოძრაობაში გამოვლინდა (ძვ. წ. 134-121). მართალია, უკანასკნელ მომენტში ეს მოძრაობა ოპტიმატების დაპირისპირებამ გარკვეულად დათრგუნა, მაგრამ ბრძოლამ ოპტიმატებსა (ლათ. „საუკეთესოები" ანუ სენატის არისტოკრატია) და პოპულარებს (ლათ. „ხალხის კაცები" ანუ ხალხის ფართო მონაწილეობის მომხრენი სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაში, პირველ რიგში, სახალხო ტრიბუნები) შორის შემდგომ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით — მარიუსისა და სულას ეპოქაში. იმავდროულად რომი თავისი უკიდეგანო საზღვრების თითქმის ყველა რეგიონში აგრძელებდა დამპყრობლურ ომებს ჯერ კიდევ თავისუფალი მოსაზღვრე ხალხების წინააღმდეგ. ძვ. წ. 121 წელს დაპყრობილ იქნენ სამხრეთ გალიის კელტები და შეიქმნა პროვინცია გალია. ძვ. წ. 113 წელს იწყება გერმანული ტომების, კიმბრებისა და ტევტონების წინააღმდეგ ომი, რომელიც, არსებითად, ამ გერმანული ტომების მთლიანი განადგურებით მთავრდება. ძვ. წ. 105 წელს რომი ამარცხებს ცნობილ იუგურთას ნუმიდიიდან. მნიშვნელოვანი იყო, რომ ორივე ეს ბოლო ომი პოპულარების მიერ ძვ. წ. 107 წელს კონსულად არჩეული მარიუსის სახელს უკავშირდებოდა. ეს კი, გარკვეულწილად, მის მიერ ჯარში

ჩატარებული რეფორმების შედეგი იყო, რომელიც ჯარისკაცებში მატერიალური ინტერესის ზრდის ფაქტორს ითვალისწინებდა. დაახლოებით ძვ. წ. 100 წლისათვის რესპუბლიკურ რომში პოლიტიკური კრიზისი იწყება. ძვ. წ. 99 წელს ძალაუფლებას ხელში იგდებენ ოპტიმატები, რომლებიც რადიკალურ რეაქციულ პოლიტიკას ატარებენ. შედეგმაც არ დააყოვნა და უფლებების შეზღუდვით გამოწვეულმა მღელვარებამ დიდი ომი გამოიწვია, რომელიც ე. წ. მოკავშირეებს შორის ომის სახელით არის ცნობილი. რომაელებმა ძვ. წ. 88 წელს ამ ამბოხებების ჩახშობა მოახერხეს. საკმაოდ გაართულა მდგომარეობა მცირე აზიაში პონტოსის მეფის, მითრიდატეს VI ევპატორის წინააღმდეგობამ და რომს მოუხდა სამი ომი მის წინააღმდეგ (ძვ. წ. 89-84, 83-82, 74-64), რათა თავისი ძალაუფლება მის სამფლობელოზეც განევრცო. მაგრამ ძვ. წ. 88 წელს რომის ისტორიაში საკმაოდ მძიმე გარდატეხა ხდება. ამ წელს მცირე აზიაში მითრიდატესთან გამართულ პირველ ომში რომაული არმია სასტიკ დარტყმას განიცდის, რომელსაც შედეგად 80000 რომაელის დახოცვა მოჰყვა, რაც ისტორიაში შევიდა „ეფესოსის საღამოს" (vesper Ephesi) სახელით. ასეთი ვითარება რომში სამოქალაქო ომის საფუძველს წარმოქმნის. სულა, რომელსაც ბრალდებოდა ეს წარუმატებლობა, გადააყენეს და მისი ძალაუფლება მარიუსს გადასცეს. სულამ, ფაქტობრივად, ააჯანყა ჯარი და პირველად რომის ისტორიაში მოხდა ის, რომ რომაულმა ჯარმა დაიპყრო რომი. რის შედეგადაც სულამ აღადგინა სენატის ძალაუფლება და გაეგზავნა აზიისაკენ იქ ომების წარმატებით დასამთავრებლად. მაგრამ ამით ისარგებლეს მარიუსმა და მისმა მომხრეებმა და ისინი კვლავ დაბრუნდნენ რომში. სულამ საბერძნეთსა და აზიაში ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ სამოქალაქო ომი თავის მომხრეებს, ოპტიმატებსა და მარიუსის მხარდამჭერ პოპულარებს შორის თავის სასარგებლოდ დაასრულა და ე. წ. სულას დიქტატურა დაამყარა (ძვ. წ. 82-79), რაც ერთმმართველობის საკმაოდ მკაცრი ფორმებით გამოვლინდა. პირველ რიგში დაიწყო მარიუსის მომხრეთა რეპრესიები. გამოქვეყნდა ე. წ. პროსკრიფციები ანუ, კანონგარეშედ გამოცხადებულ მოქალაქეთა სიები, მათი მოკვლისათვის მატერიალური სტიმულირების ფორმებიც კი იქნა შემოღებული. სხვადასხვა მონაცემებით, მოკლულ იქნა 40 ან 90-მდე სენატორი და 1600 ან 2600-მდე მხედარი. მაგრამ ამ კრიზისმა, რასაკვირველია, ვეებერთელა ტერიტორიების რომის კონტროლიდან გამოსვლის რეალური საფრთხე წარმოქმნა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ დიქტატურის მოწინააღმდეგენი, განსაკუთრებით მარიუსის მომხრეები, პოზიციებს იძლიერებდნენ რომის დაქვემდებარებიდან გამოსულ რეგიონებში. ძვ. წ. 79 წლიდან სულამ თავისი ნებით მოიხსნა დიქტატორის უფლებები და ერთ წელიწადში გარდაიცვალა კიდეც. რომს ძალზე ბევრი მოსაგვარებელი პრობლემა დარჩა, რომელიც სამხედრო ძალის დიდ მობილიზებას მოითხოვდა. მათგან ერთ-ერთი უმთავრესი იყო ესპანეთში გაძლიერებული მარიუსის მომხრეთა დამარცხება, რომელთაც ე. წ. მარიანელი ემიგრანტებისაგან შექმნეს რომის საპირისპირო ხელისუფლება თავისი სენატით და დედაქალაქით ოსკაში (უესკა) პირენეს ნახევარკუნძულზე. ესპანეთის პრობლემის გადაჭრას 7 წელი დასჭირდა (ძვ. წ. 77-71), რაც წარმატებით განახორციელა პომპეიუსმა. საკმაოდ რთული აღმოჩნდა მესამე ომი მითრიდატესთან, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, რომაული ჯარის მრავალი წლის სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ გამარჯვებით დასრულდა ძვ. წ. 64 წელს.

ძვ. წ. 73-71 წლებში რომი შეძრა სპარტაკის წინამძღოლობით ორგანიზებულმა მონათა აჯანყებამ, რომლის საბოლოო ჩახშობა კრასუსმა და ისევ და ისევ პომპეიუსმა შეძლეს.

ძვ. წ. 70 წლიდან ხდება სულას მიერ შემოღებული კანონების გაუქმება და პომპეიუსისა და კრასუსის კონსულობის პერიოდი იწყება. პომპეიუსი ძვ. წ. 67 წელს საგანგებო სამხედრო ძალაუფლებით აღიჭურვა და ბრწყინვალე საბრძოლო ოპერაციები ჩაატარა კილიკიელი მეკობრეების წინააღმდეგ, ხოლო ძვ. წ. 66-64 წლებში იგი მითრიდატეს

ძალების წინააღმდეგ ილაშქრებს, რის შედეგადაც აღმოსავლეთში ყალიბდება რომის პროვინციების ანუ ვასალური სახელმწიფოების მთელი სისტემა: პონტო, სირია, კილიკია. რომის გავლენის სფეროში შევიდა აგრეთვე: არმენია, კაპადოკია, გალატია, კოლხიდა და იუდეა. ვითარება შეეძლო გაემძაფრებინა კატილინას შეთქმულებას, მაგრამ იგი გამოააშკარავა და ამხილა ე. წ. „ახალმა კაცმა" (homo novus) — ციცერონმა, რომელიც კონსულად აირჩიეს და რომელმაც მოიპოვა უფლება მისთვის სამშობლოს მამა (Pater Patriae) ეწოდებინათ. შემზარავი იყო ძვ. წ. 62 წელს კატილინას და მისი 3000 მომხრის განადგურება პისტორისთან. ამავე წელს საოცრად საზეიმო ხასიათი მიიღო გამარჯვებული პომპეიუსის ჯარის რომში დაბრუნებამ და ტრიუმფმა. ძვ. წ. 60 წელს იქმნება პირველი ტრიუმვირატი (პომპეიუსი, კრასუსი, კეისარი), რაც ეფუძნებოდა, უპირველეს ყოვლისა, პირად შეთანხმებას. ფაქტობრივად, ეს გულისხმობდა თანადგომასთან ერთად გავლენისა და ძალაუფლების სფეროების ერთგვარ გაყოფასაც.

ჯერ კეისრის კონსულობის, ხოლო შემდეგ პომპეიუსისა და კრასუსის პერიოდიდან ტრიუმვირატის წევრებს შორის გავლენის სფეროები ამგვარად განაწილდა: კეისარს წილად ხვდა გალია, პომპეიუსს — ესპანეთი, კრასუსს — სირია. თუმცა კრასუსი მალევე ტრაგიკულად დაიღუპა ძვ. წ. 53 წელს პართებთან ბრძოლაში. განსაკუთრებით ცნობილი იყო ძვ. წ. 58-51 წლებში იულიუს კეისრის მიერ წარმოებული ომი, რის შედეგადაც სრულიად გალია მოექცა რომაელთა ძალაუფლების ქვეშ. ეს ისტორიაში გალებთან წარმოებული ომის სახელით შევიდა. კეისარსა და პომპეიუსს შორის თანხმობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ძვ. წ. 52 წელს რომში ანარქია წარმოიქმნა სხვადასხვა ბანდებს შორის ერთმანეთში წარმოებული ომის გამო, სენატმა პომპეიუსი დაამტკიცა კონსულად კოლეგის გარეშე (consull sine collega), რათა მას კვლავ აღედგინა წესრიგი რომში. სენატმა ასევე მოუწოდა კეისარს, დაეშალა ლაშქარი და მოეხსნა თავისი უფლებამოსილება. ხოლო ძვ. წ. 49 წელს სენატმა დაადგინა, რომ პომპეიუსს უნდა დაეცვა რომი ურჩი კეისრისაგან. ძვ. წ. 49-46 წლები რომისათვის ერთობ დრამატული პერიოდი იყო, როდესაც სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. ძირითადი დაპირისპირება იულიუს კეისარსა და პომპეიუსს შორის წარმოიქმნა. ძვ. წ. 49 წელს კეისარმა გადალახა რუბიკონი ფრაზით: „წილი ნაყარია" (alea iacta est) და დაიპყრო რომი და იტალია. პომპეიუსი და სენატის ერთი ნაწილი საბერძნეთში გაიქცა. კეისარმა დაიმორჩილა ესპანეთი და საბერძნეთისაკენ გაემართა. ძვ. წ. 48 წელს მან ფარსალუსთან დაამარცხა პომპეიუსის 20000-იანი სამხედრო ძალა, ხოლო თავად პომპეიუსმა თავს ეგვიპტეში ლტოლვით უშველა, სადაც იგი მოკლეს. ძვ. წ. 48-47 წლებში კეისარი გადავიდა ეგვიპტეში, კერძოდ, ალექსანდრიაში და იქ დედოფლად კლეოპატრა დასვა. ამის შემდეგ მისი ძლევამოსილი სვლა აღმოსავლეთით გაგრძელდა, სადაც მან დაამარცხა ფარნაკეს პონტოელი. მისი გამარჯვებები შთამბეჭდავი და ელვისებური იყო, რასაც საკმაოდ ტევადად გამოხატავს კეისრის ცნობილი სენტენცია „მივედი, ვნახე, გავიმარჯვე" (veni, vidi, vici). კეისარი იტალიაში დაბრუნდა, მაგრამ ცოტა ხნით, რადგან აფრიკაში ჰქონდა მდგომარეობა დასარეგულირებელი. ძვ. წ. 46 წელს იგი გაუსწორდა პომპეიუსის უკანასკნელ მომხრეებს თაფსუსთან, როგორც ტრიუმფატორი დაბრუნდა რომში და ათი წლით დასახელდა დიქტატორად და ზნე-ჩვეულებებისა და მორალის ცენზორად (praefectus moribus). ამით, ერთი შეხედვით, შენარჩუნდა რესპუბლიკური ინსტიტუტები, მაგრამ, ფაქტობრივად, გამყარდა ერთმმართველობის ფორმა, რამაც პრაქტიკულად რესპუბლიკის სრული უსუსურობა გამოიწვია.

კეისარი სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებს ძლევამოსილ გამარჯვებებს და ძვ. წ. 45 წელს იგი ესპანეთში, მუნდასთან, პომპეიუსის შვილებს ამარცხებს. ამის შემდეგ მან მოითხოვა და მიიღო კიდეც სრული ძალაუფლება. მას აცხადებენ სიცოცხლის ბოლომდე დიქტატორად (Dictator perpetuus), იმპერატორად, კონსულად ათი წლის განმავლობაში,

ჯარის უზენაეს მთავარსარდლად, უმაღლეს ქურუმად (pontifex maximus), ტრიბუნთა ძალაუფლების მატარებლად. არსებითად, იულიუს კეისარმა უარი თქვა იმაზე, რომ ძალაუფლების განხორციელებაში ვინმე მოცილე ჰყოლოდა. მას მიაჩნდა, რომ რაც მეტი იქნებოდა ძალაუფლების რეალურად განმახორციელებელი ინსტიტუტი და პიროვნება, მით უფრო გაუჭირდებოდა მას სწორი და ქვეყნისათვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება. და აი, საქმე იქამდეც მიდის, რომ ანტონიუსი მას სთავაზობს, თავზე დაიდგას მეფის დიადემა. თუმცა კეისარი ამას უარყოფს, მაგრამ ეს მისგან მხოლოდ ფორმალური ჟესტი იყო. რასაკვირველია, ერთმმართველობის ესოდენ აშკარა და დაუფარავი ზრდა სენატორებში უკურეაქციას იწვევდა. ძვ. წ. 44 წლის 15 მარტს მათი შეთქმულება წარმატებით დასრულდა, როდესაც კასიუსმა და ბრუტუსმა კეისარი მოკლეს. ისტორიაში ეს ეპიზოდი, თავისი დრამატულობის გარდა, დარჩა გაკვირვებული კეისრის მიერ წარმოთქმული სიტყვებითაც, რომელიც სენტენციად იქცა: „და შენც, ბრუტუს?" (Et tu quoque, Brute?).

იულიუს კეისრის სიკვდილი მნიშვნელოვანი გარდატეხების სტიმულატორი აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ხელში აიღო სენატმა, მან გააუქმა კეისრის ბრძანებულებები და ამნისტია გამოუცხადა კეისრის მკვლელებს. მართალია, თავად იულიუს კეისარმა თავის დროზე საკუთარ მემკვიდრედ განსაზღვრა მისი შვილად აყვანილი ნათესავი, ოქტავიუსის ძე, მაგრამ მემკვიდრეობა საკუთარ თავზე ანტონიუსმა აიღო. კეისრის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხანგრძლივი რიტუალების ჩატარებისა და მისი ანდერძის საჯაროდ წაკითხვის შემდეგ კეისრის მკვლელებს რომი უნდა დაეტოვებინათ, თუმცა ამით დიქტატურას, მხოლოდ დროებით მოეღო ბოლო. პოლიტიკური სიტუაციის დასარეგულირებლად სამი ყველაზე უფრო გავლენიანი ფიგურა – ანტონიუსი, ლეპიდუსი და ოქტავიანუსი – ქმნიან მეორე ტრიუმვირატს, რომლის ფუნქცია იყო ხუთი წლის განმავლობაში მოეგვარებინა სახელმწიფოს ახალი მოწყობის საკითხი. ამ შემთხვევაშიც ტრიუმვირატის წევრებს შორის რომის ვრცელ პროვინციებში კონტროლის სფეროების განაწილება მოხდა. პოლიტიკური ოპონენტების მოსაცილებლად მათ გამოიყენეს უკვე ნაცადი პროსკრიფციების პრინციპი, რომელსაც 200-ზე მეტი სენატორი და 2000 მხედარი შეეწირა. სწორედ მათი წყალობით იქნა მოკლული სამშობლოს მამად გამოცხადებული ციცერონიც.

ტრიუმვირატმა თავდაპირველად მიზნად დაისახა რომის ძალაუფლების გამტკიცება მთელს დაპყრობილ ტერიტორიაზე. ძვ. წ. 42 წელს ანტონიუსმა დაამარცხა კასიუსისა და ბრუტუსის ძალები, შემდეგ გაემართა აღმოსავლეთით და დაიმორჩილა აზია, სირია, ეგვიპტე. თავის მხრივ, ოქტავიანუსმა ასევე მიიღო ზომები სხვადასხვა ამბოხებების ჩასახშობად. ამ მოვლენების შემდეგ ტრიუმვირატის გავლენის სფეროები შემდეგნაირად განაწილდა: ანტონიუსი აკონტროლებდა აღმოსავლეთს, ოქტავიანუსი – დასავლეთს, ლეპიდუსი – აფრიკას, ხოლო იტალია, არსებითად, ნეიტრალური იყო ანუ მასზე უფლების პრეტენზია შეიძლებოდა ტრიუმვირატის სამსავე წევრს ჰქონოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ძვ. წ. 38 წელს 5 წლით კიდევ გაუგრძელეს ვადა, ტრიუმვირატის წევრებს შორის აშკარად იგრძნობოდა დაძაბულობა. ოპოზიცია, ფაქტობრივად, ოქტავიანუსსა და ანტონიუსს შორის გამოიკვეთა. ანტონიუსმა ძვ. წ. 36 წელს ცოლად შეირთო ეგვიპტის დედოფალი, კლეოპატრა VII და ამით დაარღვია კანონი, რადგან იგი ჯერ არ გაშორებოდა თავის კანონიერ ცოლს, ოქტავიას. მან ნაკლები ყურადღება მიაქცია ოქტავიანუსთან შეთანხმებულ მოქმედებას, რადგან აღმოსავლეთში ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ საკუთარი თავის რწმენა განუმტკიცდა და რომის ძალაუფლების არეალში პირველი კაცის ამბიციები გაუჩნდა. საკმაოდ გამომწვევი იყო ის, რომ ანტონიუსი ოქტავიასთან განქორწინების მიზნით რომში მხოლოდ განქორწინების მაუწყებელი წერილის გადაგზავნით შემოიფარგლა. ოქტავიანუსს შეექმნა საფუძველი გადამწყვეტ ბრძოლაზე გადასულიყო პოლიტიკური ლიდერობის ხელში ჩასაგდებად. მან რომაელებს აუწყა, თუ რა პერსპექტივა ემუ-

ქრებოდა რომს კლეოპატრა VII-ისა და მისი ქმრის, ანტონიუსის გაძლიერებით (რომი, არსებითად, ამით უცხო მმართველობის ქვეშ მოექცეოდა) და, მიუხედავად იმისა, რომ ლეპიდუსი ძალზე ცდილობდა, როგორღაც შეერიგებინა ეს ორი ურთიერთდაპირისპირებული მხარე, ძველ კოლეგებს, ოქტავიანუსსა და ანტონიუსს შორის დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო დრამატული ომი რომის ისტორიაში, რომელიც ცნობილია პტოლემეური ომის სახელით. მისი შედეგი იყო ოქტავიანუსის მიერ ძვ. წ. 30 წელს ალექსანდრიის აღება, სასტიკად დამარცხებული ანტონიუსისა და რამდენიმე დღის შემდეგ თავად კლეოპატრას თვითმკვლელობაც, რომლითაც წერტილი დაესვა დიდ დაპირისპირებას რომაული მმართველობის მთელს არეალში. ალექსანდრიის აღების შემდეგ შედგა ოქტავიანუსის ტრიუმფი რომში. მართალია, ოფიციალურად რესპუბლიკა აღდგენილად გამოცხადდა, მაგრამ ოქტავიანუსს მიენიჭა საპატიო სახელი „ავგუსტუსი" და „განსაკუთრებული უფლებები" (potestas omnium rerum).

**კეისრების ეპოქა (ძვ. წ. 31 – ახ. წ. V ს.).** ავგუსტუსი მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი უჭკვიანესი პოლიტიკოსი იყო. მას უნდა მოეფიქრებინა მმართველობის ისეთი ფორმა, რომელიც რესპუბლიკური და მონარქიული ტრადიციების შერწყმას მოახერხებდა. ამისათვის იგი საკმაოდ საინტერესო სისტემას სთავაზობს თავის თანამემამულეებს. მმართველობის სისტემაში მას შემოაქვს პრინცეპსის სტატუსი.[3] ამით საფუძველს უდებს მთელს ეპოქას რომის ისტორიაში, რომელიც ცნობილი იყო პრინციპატის სახელით. ეს არის მმართველობის სპეციფიკური რომაული ფორმა, სადაც ერთმანეთთან არის შეზავებული უმაღლესი სამხედრო მმართველობა (imperium), კანონმდებლობითი მმართველობა (constitutio) და უმაღლესი ხელისუფლება (auctoritas). ამით, ფაქტობრივად, სულ სხვადასხვა ინტერესების ურთიერთშეთანხმება ხდებოდა როგორც არისტოკრატიის, ასევე არმიის, ხალხის და ე. წ. დაპყრობილი ხალხებისაც. მმართველობის ამ ფორმაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა თანაცხოვრების ტრადიციული ფორმების პატივისცემას და დაცვას (mores majorum). ძვ. წ. 27 წელს სენატის გადაწყვეტილებით ავგუსტუსი დასახელებულ იქნა პრინცეპსად და ოფიციალურად დაიწყო პრინციპატის ეპოქა. ავგუსტუსი, არსებითად, აგვარებს ყველა პრობლემას, რომელიც, შესაძლოა, დაკავშირებული ყოფილიყო გარე თუ შინა წინააღმდეგობებთან და სთავაზობს მსოფლიოს მის მიერ საბოლოოდ ჩამოყალიბებულ რომის იმპერიაში თანაცხოვრების უმთავრეს პრინციპს, რომელიც გამოიხატებოდა საკმაოდ ტევადი ცნებით *„ავგუსტუსის მშვიდობა"* (Pax Augusta), რომელიც შემდეგ ცნობილი ხდება „რომაული მშვიდობის" (Pax Romana) სახელით. ამ პრინციპის არსი შემდეგში მდგომარეობს: რომი იმპერიის ფარგლებში მოქცეულ ხალხებს თანაცხოვრების მის მიერ შეთავაზებული წესების დაცვის შესაძლებლობას ანიჭებს. ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ამ ხალხების რელიგიური და ეთნიკური ღირსებების შელახვას. სამაგიეროდ, თუკი ისინი დაექვემდებარებიან ამ წესებს, რომი მათ სთავაზობს მთავარს – მშვიდობას. იმპერიის გარეთ დარჩენილი ძალებისაგან მათი დაცვის გარანტი იქნება რომი. შეიძლება ითქვას, რომ Pax Romana-ს იდეოლოგია საკმაოდ მიმზიდველი აღმოჩნდა და მან ერთობ ეფექტურად იმუშავა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. ავგუსტუსმა რომის იმპერია ყველა პარამეტრით (პოლიტიკური ძლიერება, კულტურა, ეკონომიკა და ა. შ.) აიყვანა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე. ამ ეპოქასთან არის დაკავშირებული რომაული მხატვრული კულტურის, განსაკუთრებით მწერლობის უმაღლესი განვითარება, რომელსაც მეცნიერებაში შესაფერისი ფორმულირება მოუნახეს: რომის კულტურის *„ოქროს ხანა"*.

---

[3] ავგუსტუსი ძველად არსებული პირველი სენატორის აღმნიშვნელ ტერმინს – პრინცეპსს („პირველი თანასწორთა შორის") – იყენებს ფაქტობრივი ერთმმართველობის შესანიღბად.

ავგუსტუსი, რომელსაც არ ჰყავდა ვაჟიშვილი, ბუნებრივია, ფიქრობდა იმის თაობაზეც, თუ როგორ უნდა გაგრძელებულიყო მის შემდეგ პრინციპატის არსებობა. იგი ყველაზე სწორ ფორმად თვლიდა ძალაუფლების დინასტიურად გადაცემის მექანიზმის შექმნას, რომელიც პირველი კაცის დონეზე ძალაუფლებისათვის ბრძოლას სიმძაფრეს დაუკარგავდა და იმ კალაპოტში მოაქცევდა, რომელიც კანონის საფუძველზე დაარეგულირებდა ერთი მმართველიდან მეორის ხელში ძალაუფლების გადაცემას. ავგუსტუსმა თავისი ჯერ კიდევ 14 წლის ასული, იულია ნათესავს, მ. კლავდიუს მარკელუსს მიათხოვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა, არსებითად, გამოიკვეთა ავგუსტუსის მმართველობის შემდგომი გაგრძელების პერსპექტივა უკვე იულიურ-კლავდიანური დინასტიის სახით. ანუ შეიქმნა დინასტიასთან (პრინცეპსთან) დაკავშირებული პირების ხელში მმართველობის სადავეების აღმოჩენის წანამძღვრები. ავგუსტუსმა ასევე საკმაოდ საინტერესოდ მოაგვარა ძალაუფლების სხვადასხვა შტოებისათვის გადანაწილების საკითხი. იგი კარგად ხვდებოდა, რომ ამის გარეშე იმპერიაში მუდმივი დაძაბულობა იქნებოდა. ძალაუფლების სფეროები ამგვარად განაწილდა: სენატი მართავდა რომაული მშვიდობის არეალში მოქცეულ პროვინციებს. პრინცეპსი განაგებდა სახელმწიფო ხაზინას, ამასთანავე ფინანსურ პოლიტიკას (fiscus). ავგუსტუსს მიანიჭეს აგრეთვე სამშობლოს მამის ტიტული. ის აკონტროლებდა კონსულატის ძალაუფლებას, გამოცხადებული იყო უმაღლეს ქურუმადაც, რელიგიურ-საკულტო ცხოვრების მეთაურად. მხედართა კლასს კეისრის მიერ შექმნილი სამხედრო მექანიზმის ხელმძღვანელობა ჰქონდა მინდობილი, ამ ელიტარულ მოხელეებს ასევე ირჩევდნენ პრეფექტებად და სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირებად. გარდა ამისა, გამოიყო კეისრის მეგობრების საინტერესო ჯგუფი (amici Caesari), რომლებიც, ფაქტობრივად, კეისრის მრჩეველთა კრებულს წარმოადგენდნენ. ახ. წ. 14 წელს გარდაიცვალა ავგუსტუსი. მან, შეიძლება ითქვას, როგორც პოლიტიკოსმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისი როლი ისტორიის სცენაზე. არ არის შემთხვევითი, რომ ახლობლებისადმი მიმართული მისი ბოლო სიტყვების აზრი დაახლოებით ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს: „თუკი თქვენ მოგეწონათ ის, თუ როგორ შევასრულე მე ჩემთვის განკუთვნილი როლი ისტორიის სცენაზე, დაუკარით ტაში".

იულიურ-კლავდიანური და ფლავიანური დინასტიების კეისრები:

| | |
|---|---|
| 14-37 — ტიბერიუსი | 69 — ოთო (ოთონი) |
| 37-41 — კალიგულა | 69 — ვიტელიუსი |
| 41-54 — კლავდიუსი | 69-79 — ვესპასიანუსი |
| 54-68 — ნერონი | 79-81 — ტიტუსი |
| 68-69 — გალბა | 81-96 — დომიციანუსი |

როგორც ავგუსტუსის მიერ იყო დაგეგმილი, მის შემდეგ იწყება ე. წ. იულიურ-კლავდიანური დინასტიის მმართველობის ხანა, რომელიც არცთუ ისე ხანგრძლივი აღმოჩნდა. იგი ახ. წ. 69 წლამდე გაგრძელდა. ამ პერიოდმა ნათელყო, რომ, შემოთავაზებული მოდელის გარკვეული უპირატესობის მიუხედავად, იგი ერთ ძალზე დიდ საფრთხეს შეიცავდა. კეისრის სტატუსის მქონე პირის ინდივიდუალური თვისებების შედეგად მოსალოდნელი იყო, რომ იმპერიაში ანომალიები წარმოქმნილიყო. ამ დინასტიის ხუთმა წარმომადგენელმა: ტიბერიუსმა, კალიგულამ, კლავდიუსმა, ნერონმა და გალბამ მთელი სიცხადით წარმოაჩინეს დინასტიური მმართველობის ამ მოდელის ნაკლოვანებები. საკმარისია აღინიშნოს კალიგულას უცნაურობები, რომელმაც მოინდომა ავგუსტუსის პრინციპატი ელინისტურ-აღმოსავლური გაღმერთებული მეფის მმართველობის ასპარეზად ექცია. მართალია, კლავდიუსის შემდეგ დაუბრუნდა პრინციპატი კალაპოტს, მაგრამ ნერონმა თავისი ხასიათის თვისებებითა და მანიაკალური ფსიქიკური გამოვლინებებით ამ

დინასტიის სრული დისკრედიტაცია მოახდინა. გალბამ ისღა შეძლო, რომ ხელი შეუწყო ნერონის აღვირახსნილი მმართველობის დასასრულს და 68-69 წლებში რომში ე. წ. ოთხი კეისრის მმართველობის ერთწლიანი პერიოდი დამყარდა. გაერთიანებაში შედიოდნენ: გალბა, ვიტელიუსი, ოთო, ვესპასიანუსი. კლავდიური დინასტიის კეისრებიდან კალიგულა მოკლეს, ასევე შეთქმულების შედეგად გაუსწორდნენ კლავდიუსს, ნერონმა თავი მოიკლა, ხოლო გალბა ნერონის წინააღმდეგ ბრძოლაში მისივე მომხრე ამბოხებულმა ძალებმა გამოასალმეს სიცოცხლეს.

ერთწლიანი მშფოთვარე მმართველობის შემდეგ ტიტუს ფლავიუს ვესპასიანუსი სათავეს უდებს ახალ ე. წ. ფლავიანურ დინასტიას, რომლის ხანგრძლივობა კიდევ უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა (69-96 წწ.) ამ დინასტიას წარმოადგენდნენ თვით ფლავიუსი, მისი ვაჟები: ტიტუსი და დომიციანუსი. ამ უკანასკნელი კეისრის მოკვლით დამთავრდა მათი დინასტიაც.

ნაშვილები კეისრები და სევერუსები:

96-98 — ნერვა
98-117 — ტრაიანუსი
117-138 — ჰადრიანუსი
138-161 — ანტონინუს პიუსი
161-169 — ლ. ვერუსი
161-180 — მარკუს ავრელიუსი
180-192 — კომოდუსი

რამდენადაც ნათელი გახდა, რომ დინასტიური პრინციპის თანმიმდევრული გატარება მმართველობაში არ გულისხმობდა ვეებერთელა იმპერიის სათავეში ჭეშმარიტად რჩეული პოლიტიკოსის მოსვლას, რომის იმპერიაში იწყება ხანა, რომელიც პრინციპატის ეპოქას ახალი მიმართულებით აგრძელებს და რომელიც ისტორიაში ცნობილია ე. წ. ნაშვილები კეისრების პერიოდის სახელწოდებით. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კეისრად გახდომა უკვე აღარ იყო დამოკიდებული სისხლით ნათესაობაზე. ამდენად, კეისრად არჩევა იმ გავლენიან პირთა შორის ხდებოდა, რომელნიც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოირჩეოდნენ. საუკეთესო პიროვნებას კეისრობას ანიჭებდნენ მისი უზენაესი მმართველის შვილობილად აყვანის გზით. ამ პრინციპმა, როგორც ჩანს, უფრო მეტად გაამართლა და ეს პერიოდი შედარებით ხანგრძლივი აღმოჩნდა (96-192). ამ პერიოდში მართავდნენ შემდეგი კეისრები: ნერვა, ტრაიანუსი, ჰადრიანუსი, ანტონინუს პიუსი, ლ. ვერუსი, მარკუს ავრელიუსი და კომოდუსი, მარკუს ავრელიუსის ვაჟი. კომოდუსმა, არსებითად, დაარღვია ამ პერიოდის პრინციპი და მამის სიკვდილის შემდეგ 180 წელს ხელში აიღო ძალაუფლება. ამან მაშინვე საკმაოდ ნეგატიურად იჩინა თავი, რადგან კომოდუსის უცნაურობებმა ლოგიკურად გამოიწვია მის წინააღმდეგ ე. წ. სასახლის ამბოხება, რაც მისი მოკვლით დასრულდა.

სევერუსები და ჯარისკაცი კეისრები:

192-193 — პერტინაქსი
193 — დიდიუს იულიანუსი
193-211 — სეპტიმიუს სევერუსი
211-217 — კარაკალა
217-218 — მაკრინუსი
218-222 — ელაგაბალი
222-235 — სევერუს ალექსანდერი
235-238 — მაქსიმინუს თრაქსი
238-244 — გორდიანუს III
244-249 — ფილიპუს არაბსი
249-251 — დეკიუსი
251-253 — ტრებონიანუს გალუსი
253-260 — ვალერიანუსი
253-268 — გალიენუსი
268-270 — კლავდიუს II გოთიკუსი
270-275 — ავრელიანუსი
275-276 — ტაციტუსი
276-282 — პრობუსი
282-283 — კარუსი
283-284 — ნუმერიანუსი
283-285 — კარინუსი

რომის იმპერიაში კვლავ მეორდება რამდენიმე, ამჯერად ხუთი კეისრის მმართველობის ერთი წელიწადი: პერტინაქსი, დიდიუს იულიანუსი, სეპტიმიუს სევერუსი, ასევე პესკენიუს

ნიგერი და კლოდიუს ალბინუსი. სეპტიმიუს სევერუსმა იმის დამტკიცებით, რომ იგი ღვთაებრივი მარკუს ავრელიუსის შვილობილი იყო (მიუხედავად იმისა, რომ ეს ფიქცია იყო), მოახერხა თავისი პარტნიორი კეისრების დამარცხებით ხელში ჩაეგდო ძალაუფლება. ამით მან საფუძველი ჩაუყარა სევერუსთა მმართველობის საკმაოდ ხანმოკლე პერიოდს (193-235). ამ ხაზს, არსებითად, მხოლოდ რამდენიმე გამორჩეული კეისარი წარმოადგენდა, რომელთაც ხელი შეუწყვეს რომის იმპერიის საზღვრების გამყარებას და გავლენის გაძლიერებას. ესენი იყვნენ: თავად სეპტიმიუს სევერუსი, კარაკალა, მაკრინუსი, ელაგაბალი, სევერუს ალექსანდერი, რომელიც ამთავრებს ამ დინასტიურ ხანას იმით, რომ ჯარის ამბოხების მსხვერპლი ხდება 235 წელს.

ამის შემდეგ რომის ისტორიაში იწყება პერიოდი, როდესაც აშკარა ხდება, რომ იმპერია გარედან არც ისე საიმედოდ ყოფილა დაცული. სულ სხვადასხვა რეგიონში უფრო და უფრო მეტად იგრძნობა, რომ შესუსტდა ესოდენ ვრცელ ტერიტორიაზე გაფანტული რომაული ლეგიონების შესაძლებლობები, დაეცვათ „რომაული მშვიდობის" საზღვრებში გაერთიანებული ხალხები. ამან, ბუნებრივია, გამოიწვია სახელმწიფოს სათავეში ისეთ პირთა მოყვანა, რომელნიც განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ჯარებში. 235 წლიდან 285 წლამდე რომის იმპერიის ისტორიაში დგება პერიოდი, რომელიც ცნობილია ე. წ. ჯარისკაცი კეისრების სახელწოდებით. ყველაზე უფრო გავლენიანი გენერლები, მხედართმთავრები ხდებოდნენ კეისრები, მაგრამ მმართველობის ასეთ პრინციპს ორი ერთობ ნეგატიური თავისებურება ახასიათებდა. ყველა ისინი საკმაოდ ხანმოკლე დროის განმავლობაში რჩებოდნენ კეისრებად და მათი უმეტესობის მმართველობა მთავრდებოდა არა ბუნებრივი, არამედ შეთქმულების ან ამბოხების შედეგად გამოწვეული სიკვდილით. ნიშანდობლივია, რომ კეისრების ამ კრებულის უკანასკნელი ორი წარმომადგენელი – ნუმერიანუსი და კარინუსი – ასევე მოკლულები იყვნენ.

გვიანანტიკურობის ავგუსტუსები და კეისრები:

284-305 – დიოკლეტიანუსი
285/286-305 – მაქსიმიანუსი
293/305-311 – გალერიუსი
293/305-306 – კონსტანციუს I ქლორუსი
305/310-313 – მაქსიმინუს დაია
305-307 – სევერუსი (კეისარი)
306-337 – კონსტანტინე დიდი I
306-312 – მაკსენტიუსი
308-324 – ლიკინიუსი
317/337-340 – კონსტანტინე II
324/337 – 361 – კონსტანციუს II
335/337-350 – კონსტანსი
351-354 – გალუსი (კეისარი)
355/360-363 – იულიანუსი
363-364 – იოვიანუსი
364-375 – ვალენტინიანუს I
364-378 – ვალენსი
367-383 – გრატიანუსი
375-392 – ვალენტინიანუს II
379-395 – თეოდოსიუს I
383-408 – არკადიუსი (აღმ.)[4]
393-423 – ჰონორიუსი (დას.)
408-450 – თეოდოსიუს II (აღმ.)
421 – კონსტანტიუს III (დას.)
423-425 – იოანესი (დას.)
424/425-455 – ვალენტინიანუს III (დას.)
450-457 – მარკიანუსი (აღმ.)
455 – პეტრონიუს მაქსიმუსი (დას.)
455-456 – ავიტუსი (დას.)
457-461 – მაიორიანუსი (დას.)
457-474 – ლეო I (აღმ.)
461-465 – ლიბიუს სევერუსი (დას.)
467-472 – ანთემიუსი (დას.)
473-474 – გლიკერიუსი (დას.)
474-491 – ზენონი (აღმ.)
474-480 – იულიუს ნეპოსი (დას.)

[4] შემოკლება აღმ. აღნიშნავს იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო დას. – დასავლეთ ნაწილში მმართველობას.

475-476 — რომულუს ავგუსტულუსი (დას.) 518-527 — იუსტინუსი (აღმ.)
491-518 — ანასტასიუსი (აღმ.) 527-565 — იუსტინიანუსი

ახ. წ. III საუკუნეში განვითარებულმა მოვლენებმა ნათელი გახადა, რომ რომის იმპერიაში საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა კრიზისული მოვლენები, რომელთაც შეჩერება ესაჭიროებოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში იმპერიის კატასტროფა გარდაუვალი იქნებოდა. რა განაპირობებდა ამ კრიზისულ მოვლენებს? პოლიტიკურ დონეზე ეს იყო იმპერიის საზღვრების უკიდეგანობა და პოლიტიკური სისტემის გაუმართაობა, რომელსაც აღარ შეეძლო ამხელა იმპერიის მართვა და განვითარება. ნათელი იყო, რომ ესოდენ დიდი ძალაუფლების ხელში ჩაგდება, როგორიცაა კეისრობა, საკმაოდ მიმზიდველი იყო ბევრი იმ მოღვაწისათვის, რომელსაც კეისრობის ამბიციები აწუხებდა, მაგრამ ძალაუფლების რეალურად და ეფექტურად განხორციელება ერთობ ძნელი აღმოჩნდა მრავალი წინააღმდეგობისა და დაბრკოლების გამო. პოლიტიკურ პრობლემებს, ბუნებრივია, თან ერთოდა სოციალურიც, რადგან არც ისე ადვილი იყო იმპერიის ფარგლებში ამ თვალსაზრისით თანაბრობის მიღწევა. ნათელი ხდებოდა, რომ ერთი ცენტრი — რომი, რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ვეღარ აუდიოდა ყველა პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემის რეგულირებას. იმპერიისათვის ძვ. წ. I საუკუნიდან ახ. წ. I საუკუნეზე გადასვლა ძველი სამყაროს ისტორიაში ძალზე მნიშვნელოვანი ერთი ასპექტის გაჩენით აღინიშნა. ეს იყო იდეოლოგიური ასპექტი. ქრისტიანობა, რომელიც პრინციპატის ეპოქის დასაწყისში თითქმის შეუმჩნეველი იყო, თანდათანობით იდგამდა ფესვებს მთელს იმპერიაში. ახ. წ. III საუკუნისათვის ოპოზიციამ: წარმართობა — ქრისტიანობა იდეოლოგიურ დონეზე საკმაოდ გამოკვეთილი ხასიათი მიიღო. ქრისტიანობა დაუპირისპირდა წარმართულ ცივილიზაციას თითქმის ყველა დონეზე და, არსებითად, ეჭვქვეშ დააყენა ანტიკური ფასეულობები. თუკი პრინციპატის ეპოქაში ქრისტიანების წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებებით იფარგლებოდნენ და მის მომძლავრებას არცთუ დიდ ყურადღებას აქცევდნენ, III საუკუნის მეორე ნახევრიდან ქრისტიანობა აშკარად ანგარიშგასაწევი ფაქტორი ხდება. ყოველივე ეს რომის იმპერიაში ძალზე მნიშვნელოვანი რეფორმების აუცილებლობას ამწიფებს. ხოლო ანტიკური სამყაროს ისტორიაში იწყება ახალი ეტაპი, რომელსაც თანამედროვე მეცნიერებაში გვიანანტიკურობას უწოდებენ და რომლის რამდენიმე საუკუნე (III საუკუნის მიწურულიდან VI საუკუნემდე) ერთდროულად შეიცავს როგორც ანტიკურობის დაქვეითების, ასევე ქრისტიანული შუა საუკუნეების კულტურის აღმოცენებისა და ფორმირების პერიოდებს. სწორედ ამიტომ ანტიკური სამყაროს სპეციალისტები გვიანანტიკურობას მიიჩნევენ ძველი ბერძნულ-რომაული კულტურის დასასრულის ხანად, ხოლო ბიზანტინისტები — ქრისტიანული ბიზანტიის აღმავლობის დაწყების ეპოქად.

სწორედ პრინციპატიდან გვიანანტიკურობაზე გადასვლის ეპოქაში რომის იმპერიის ისტორიის ასპარეზზე ჩნდება პიროვნება, კეისარი დიოკლეტიანუსი, რომელიც საფუძველს უდებს ძირეულ რეფორმებს, რის შედეგადაც პრინციპატი იცვლება დომინატით. დომინატის ეპოქის არსი იყო მმართველობის ორი პრინციპის საკმაოდ საინტერესო გაერთიანება. ერთი მხრივ, განუსაზღვრელი ძალაუფლებისა, აბსოლუტური მონარქიისა, რომელიც ამ ეპოქის აღმნიშვნელ ტერმინშიც იჩენს თავს (dominus „ბატონი, უფალი" — ერთდროულად ღმერთისა და კეისრის ძალაუფლებით აღჭურვილი), ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეული დეცენტრალიზაციისა, რომელიც აშკარად უწევდა ანგარიშს იმას, რომ რომის იმპერიის უკიდურესობამდე მიყვანილი ცენტრალიზებული მართვა შეუძლებელია. დიოკლეტიანუსის დროს ხდება, უპირველეს ყოვლისა, ჯარის რეფორმა და ე. წ. მობილური რაზმების შექმნა, რომელთაც იმპერიის საზღვრები უფრო საიმედოდ უნდა დაეცვათ. თავად იმპერიაში დაკანონდა მმართველობის ე. წ. ტეტრარქიული სისტემა, რაც გულისხმობდა, რომ თავად დიოკლეტიანუსს ჰყავდა თანაბარი უფლებების მქონე სამი თანაკეი-

სარი. მან ჩაატარა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ხასიათის ცვლილებები, რაც რომის იმპერიის აღმოსავლეთ და დასავლეთ სამართავ ნაწილებად და რეზიდენციებად დაყოფაში გამოიხატა. იმპერია ოთხ ამგვარ რეგიონად დაიყო: დიოკლეტიანუსი ფლობდა აღმოსავლეთს (რეზიდენცია ნიკომედიაში), მაქსიმიანუსი — იტალიასა და აფრიკას (რეზიდენცია მილანში), კონსტანტიუსი — ესპანეთს, გალიასა და ბრიტანიას (რეზიდენცია ტრიერსა და იორკში), გალერიუსი — ილირიკუმს, მაკედონიასა და საბერძნეთს (რეზიდენცია სირმიუმში). იმპერია 12 დიოცეზად ანუ სამართავ ოლქად, ცალკეული დიოცეზი კი საშუალოდ დაახლოებით ათ პროვინციად (ანუ 101 პროვინციად) დაიყო. ერთმანეთისაგან გაიმიჯნა საერო და სამხედრო ძალაუფლება და მოხდა კარის ცხოვრების უფრო მასშტაბური და ეფექტური ორგანიზაცია. წარმოიქმნა ე. წ. არისტოკრატი მოხელეების საკმაოდ მოზრდილი ფენა და კარის ცერემონიებმა აშკარად დიდი ადგილი დაიჭირა. ფინანსურ რეფორმას მოჰყვა ახალი ფულის (მონეტების) მოჭრა და ფასებისა და გადასახადების დარეგულირება მთელი იმპერიის ფარგლებში.

დომინატის ეპოქა საკმაოდ საინტერესოდ ახამებდა ერთმანეთთან კრიზისულ მოვლენებს, რაც როგორც პოლიტიკური, ასევე იდეოლოგიური (წარმართობისა და ქრისტიანობის დაპირისპირება) ფაქტორებით იყო გამოწვეული. მმართველთაგან სტიმულირებული იყო კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მნიშვნელოვანი განვითარება და აღმავლობა, რაც, ძირითადად, საკარო ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული.

დიოკლეტიანუსის ეპოქას კონსტანტინე დიდის ეპოქა მოჰყვა, რითაც აბსოლუტურმა სამხედრო დიქტატურამ თავის კულმინაციას მიაღწია. კონსტანტინე დიდმა იმპერიის უკეთ სამართავად, მისი სატახტო ქალაქის ევროპული ტომებისგან უკეთ დასაცავად, დედაქალაქი რომიდან ახლად დაარსებულ (330 წ.) კონსტანტინოპოლისში ანუ კონსტანტინეს ქალაქში გადაიტანა და ამით, არსებითად, საფუძველი დაუდო ანტიკური მარადიული რომის დიდების ჩასვენებას. მილანის ედიქტით (313 წ.) მან ქრისტიანობა გამოაცხადა სრულუფლებიან რელიგიად და ამით მოახდინა ქრისტიანული ეკლესიის ლეგალიზაცია სახელმწიფოში. კონსტანტინე შეეცადა ახალი კანონებით გაეუმჯობესებინა სოფლის მეურნეობა, წარმოება იმპერიის ქალაქებში, მაგრამ კონსტანტინეს შემდეგ ვითარება აირია და დაიწყო ხანგრძლივი სამოქალაქო ომების, უზურპაციის, სხვადასხვა რეგიონში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, ამბოხებების და გარეშე მტრებთან ომების ეპოქა. ყოველივე ეს იყო რომის იმპერიის სერიოზული კრიზისის ნიშანი და ასევე იმის მაუწყებელი, რომ დიოკლეტიანუსის რეფორმებმა მხოლოდ ცოტა ხნით გადაარჩინა იმპერია ნგრევას. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა ლეგალიზებული იყო, ბრძოლა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის არამცთუ არ დამცხრალა, არამედ ახალი ძალით გაჩაღდა. ამან თავისი გამოხატულება პოვა კეისარ იულიანე (იულიანუს) განდგომილის მოღვაწეობაში, რომელმაც მოინდომა წარმართობის აღდგენა სრულ უფლებებში და ქრისტიანობის ჩახშობა. მას საკმაოდ ბევრი მომხრე ყავდა თავისი ეპოქის ინტელექტუალებშიც, რომელნიც ვერ ილებდნენ ქრისტიანული მოძღვრების ძირითად პრინციპებს. მაგრამ ისტორიის მსვლელობა აშკარად არ მიემართებოდა წარმართობის რესტავრაციის სასარგებლოდ. მალე ნათელი გახდა, რომ წარმართობა, როგორც იდეოლოგიური სისტემა, აშკარად ვეღარ გაუწევდა კონკურენციას ქრისტიანობას, რომელიც ჭეშმარიტად მსოფლიო რელიგიად იქცა და აღარ ითვლებოდა უკვე რომელიღაც ერთ სახელმწიფოსთან დაკავშირებულ სარწმუნოებრივ სისტემად. ამდენად, სავსებით ბუნებრივი ჩანდა, რომ მაშინ, როცა თეოდოსიუსმა ქრისტიანობა გამოაცხადა ერთადერთ სახელმწიფო რელიგიად, მან უკვე წარმართობასთან სასტიკი ბრძოლა გააჩაღა ყველა დონეზე: მსხვერპლშეწირვის, კულტის, აზროვნების, რწმენის, სპორტის, კულტურის და ა. შ. ყველა დაუმორჩილებელი შეიძლებოდა სიკვდილით დასჯილიყო. სულ რაღაც მოკლე ხანში ვითარება რადიკალურად შეიცვალა და რომის იმპერიამ გვიანანტიკურობის ეპოქაში ანტიკურობიდან თანდათანობით იწყო გადასვლა შუა

საუკუნეებზე ანუ ღირებულებათა ერთი სისტემიდან მეორეზე. სიკვდილის შემდეგ თეოდოსიუსმა ძალაუფლება მის ვაჟებს, ჰონორიუსსა და არკადიუსს დაუტოვა. იმპერია კვლავ გაიყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად. ოღონდ დიოკლეტიანუსისგან განსხვავებით, ეს დაყოფა უკვე საბედისწერო იყო. თუკი დიოკლეტიანუსის დროს იგი არ გულისხმობდა იმპერიის პოლიტიკურ დანაწევრებას, რის გამოც კონსტანტინე დიდმა მეტნაკლებად შეძლო იმპერიის ერთიანობის შენარჩუნება, ამ შემთხვევაში უკვე იმპერიის ამ ორი ნაწილის პოლიტიკური გამიჯვნა მოხდა და თითოეული მათგანი განვითარების საკუთარი გზით წავიდა.

ძალზე დრამატული იყო იმპერიის, განსაკუთრებით, მისი დასავლეთ ნაწილის არსებობის ბოლო საუკუნე. ბრძოლამ სოციალურ, პოლიტიკურ და ა. შ. დონეზე დამანგრეველი ხასიათი მიიღო. სტილიხოსის (408) მოკვლის შემდეგ დასავლეთ გოთები ალარიხის მეთაურობით შეიჭრნენ იტალიაში, დაიპყრეს და დასცეს რომი 410 წელს. დაახლოებით ამავე დროს ვანდალებმა დაიკავეს ესპანეთი და 429 წელს — ჩრდილოეთ აფრიკა. V საუკუნის შუა პერიოდში ატილას მეთაურობით ჰუნების შემოსევამ კიდევ ერთხელ საფუძვლიანად შეაზანზარა დასავლეთ რომი, თუმცა რის ვაივაგლახით ისინი მოიგერიეს 455 წელს. მოხდა რომის განმეორებითი აღება და მისი გავერანება ვანდალების მიერ. გერმანელი ოდოაკერის მიერ 476 წელს ორესტესის და მისი ვაჟის, რომულუს ავგუსტულუსის მოკვლის შემდეგ რომი და მასთან ერთად დასავლეთ რომის იმპერია საბოლოოდ დაეცა. სიმბოლურია, რომ რომმა თავისი არსებობა ლეგენდარული რომულუსიდან დაიწყო და იმპერიის უკანასკნელი მმართველიც ასევე რომულუსი იყო, რომელმაც დაასრულა ანტიკური რომის ხანგრძლივი, უდიდესი აღმავლობებითა და დაცემით აღსავსე ისტორია.

დასავლეთისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ რომის იმპერია გადაურჩა დანგრევას. პირიქით, მან თავისი არსებობა განაგრძო და კიდევ 1000 წელს იარსება ახალი ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე დაფუძნებული ბიზანტიის იმპერიის სახით, რომლის დედაქალაქი იყო კონსტანტინოპოლისში.

## ლიტერატურა


- რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, თბილისი, ტ. I, 1988; ტ. II, 1997.
- ლ. გორდეზიანი, B-ხაზოვანი ტექსტების DO-E-RO ძველი სამყაროს სოციალური ისტორიის კონტექსტში, თბილისი 1999.
- ლ. სანიკიძე, ანტიკური ქვეყნების ისტორია, თბილისი 1963.
- E. Meyer, Geschichte des Altertums, 5 Bde., Berlin 1884-1902 (უცვლ. გამოც. Darmstadt 1953-1956).
- Propyläen Weltgeschichte. Eine Universalgeschichte, hg. v. G. Mann und A. Heuß, Bd. 3: Griechenland. Die hellenistische Welt; Bd. 4: Rom. Die römische Welt, Berlin, Frankfurt am Main, Wien 1962, 1963.
- Kulturgeschichte der Antike. Von einem Autorenkollektiv unter Leitung von R. Müller, Bd. 1: Griechenlad, Berlin 1980[3]; Bd. 2: Rom, Berlin 1982[2].
- The Cambridge Ancient History, J. B. Bury, S. A. Book (ed.), 12 Vol., Cambridge 1923-1939 (დეტალურად იხილე გვ. 317).
- Ἱστορία τοῦ ἑλληνικοῦ ἔθνους. Ἐκδοτικὴ Ἀθηνῶν 1970-1978 (საბერძნეთის მთელი ისტორია უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე, გამოცემულია 16 ტომი).
- ანტიკური კავკასია, ტ. I, ავტორთა კოლექტივი, ლოგოსი, 2010.

საბერძნეთის ისტორია

- ალ. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, თბილისი 1963.

- История Древней Греции, Под ред. В. И. Кузищина, Москва 1986.
- В. С. Сергеев, История Древней Греции, Москва 1948.
- H. Bengtson, Griechische Geschichte, München 1977[5].
- D. Lotze, Griechische Geschichte, München 1999[3].
- I. Weiler, Griechische Geschichte. Einführung, Quellenkunde, Bibliographie, Darmstadt 1988[2].
- M. Rostovtzeff, Gesellschafts- und Wirtschaftsgeschichte der hellenistischen Welt, 3 Bde., Darmstadt 1955 (უცვლ. გამოც. 1956).
- U. Wilcken, Griechische Geschichte im Rahmen der Altertumsgeschichte, Berlin 1962[9].
- G. Ostrogorsky, Geschichte des byzantinischen Staates, München 1963[3].
- A. Demandt, Die Spätantike, München 1989.
- F. Gschnitzer, Griechische Sozialgeschichte, Wiesbaden 1981.

რომის ისტორია

- ალ. ნერეთელი, ძველი რომი, თბილისი 1961.
- История Древнего Рима, Под ред. В. И. Кузищина, Москва 1981.
- Н. А. Машкин, История Древнего Рима, Москва 1947.
- В. С. Сергеев, Очерки истории Древнего Рима, Москва 1938.
- М. Е. Сергеенко, Жизнь Древнего Рима, Очерки быта, Москва, Ленинград 1964.
- Е. В. Федорова, Императорский Рим в лицах, Москва 1979.
- Th. Mommsen, Römische Geschichte, Bd. I-III und V, Berlin 1854-1856, 1912[11]-1933 (შემოკლ. გამოც. Frankfurt a. M., 1956).
- H. Bengtson, Grundriß der römischen Geschichte, München 1982[3].
- K. Christ, Römische Geschichte. Einführung, Quellenkunde, Bibliographie, Darmstadt 1990[4].
- K. Bringmann, Römische Geschichte, 1998[4].
- M. Rostovtzeff, The Social and Economic History of the Roman Empire, Oxford 1963[2].
- Aufstieg und Niedergang der Römischen Welt, hg. v. H. Temporini, W. Haase, Berlin, New York 1972 წლიდან (დეტალურად იხილე გვ. 318).
- G. Alföldy, Römische Sozialgeschichte, Wiesbaden 1975.
- A. J. Pfiffig, Einführung in die Etruskologie, Darmstadt 1972.

ქრონოლოგია, ატლასები

- E. J. Bickerman, Chronology of the Ancient World, London 1980[2].
- S. Lauffer, Daten der griechischen und römischen Geschichte, (dtv 3275) München 1987.
- M. Deißmann, Daten zur antiken Chronologie und Geschichte, Stuttgart 1990.
- Westermann Großer Atlas zur Weltgeschichte, hg. v. H.-E. Stier, E. Kirsten, Braunschweig 1956 (ახალი გამოც. 1997).
- Großer historischer Weltatlas, hg. v. Bayerischen Schulbuch-Verlag. I: Vorgeschichte und Altertum, bearb. v. H. Bengtson und V. Milojcic, München 1972[5] (= 1978[6]).
- R. J. A. Talbert (ed.), Atlas of the Classical History, Beckenham, Sydney 1985.
- R. J. A. Talbert (ed.), Barrington Atlas of the Greek and Roman World, Princeton N. J. 2000.

ანტიკური ხელოვნების სპეციალისტები დღეს კლასიფიკაციისას ორ ძირითად პრინციპს მიმართავენ: ქრონოლოგიურსა და ეთნიკურ-რეგიონალურს. ამ თვალსაზრისით შეიძლება დროში ანტიკური ხელოვნება რამდენიმე პერიოდად დავყოთ: ეგეოსური, ელინური, ელინისტური, რომაული ბატონობის ეპოქის და გვიანანტიკური ხელოვნება. თუკი მეორე პრინციპს გავითვალისწინებთ, აქ შეიძლებოდა გამოგვეყო: მინოსური, მიკენური, ბერძნული, ეტრუსკული და რომაული ხელოვნება.

ეგეოსურ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი არის მინოსური ხელოვნება. შეიძლება ითქვას, რომ არა დიდი გეოლოგიური კატასტროფები ეგეიდაში, მხატვრული კულტურის სფეროში მისი მიღწევები, ალბათ, კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. მართალია, ეგეიდაში მინოსურ კულტურას წინ უძღოდა საკმაოდ საინტერესო კიკლადური კულტურა (ძვ. წ. III ათასწლეული), მაგრამ ამ ეპოქის ხელოვნებამ მხოლოდ ერთობ საინტერესო აბსტრაქტული ქანდაკებებისა და, გარკვეულწილად, კერამიკის სახით მოაღწია ჩვენამდე. უკანასკნელ ხანებში ამ კულტურამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, რადგან იგი საკმაოდ საინტერესო პარალელებს გვიჩვენებს მხატვრული ხედვის იმ პრინციპებთან, რომლებმაც XX საუკუნის ხელოვნების ზოგიერთ მიმართულებაში იჩინა თავი. ათენში კიკლადური კულტურის სპეციალური მუზეუმიც კი ფუნქციონირებს. და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ ანტიკურ ხელოვნებაზე მსჯელობა ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან, კერძოდ, მინოსური კულტურიდან უნდა დაიწყოს.

კიკლადები. არფაზე დამკვრელის სტატუა კეროსიდან (ძვ. წ. 2400-2200 წ.)

## ეგეოსური სამყარო

**მინოსური ხელოვნება.** მინოსურ კრეტაზე ამ პერიოდიდან იწყება ყველა სფეროში და მათ შორის ხელოვნებაში უდიდესი აღმავლობის პერიოდი, რომელმაც თავისი გამოხატულება საკმაოდ მრავალმხრივად და შთამბეჭდავად პოვა. ამ ხელოვნებაში აშკარად იგრძნობა სრულიად გაცნობიერებული ცვლილებების ტენდენცია, რომელმაც ერთობ საინტერესო შედეგები მოგვცა. მინოსური კრეტის ხელოვნებაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სფერო:

*არქიტექტურა.* ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მინოსურ კრეტაზე საკმაოდ მაღალი იყო ურბანული ცენტრების მშენებლობის კულტურა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, კნოსოსის მოსახლეობის რაოდენობა, შესაძლოა, 80000 ყოფილიყო. ამ დასახლებების უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ ნაგებობას უთუოდ ე. წ. მინოსური სასახლე წარმოადგენდა.

დღეს ამგვარი ნაგებობები მრავალ პუნქტში არის აღმოჩენილი, თუმცა ყველაზე შთამბეჭდავად უნდა ჩავთვალოთ კნოსოსის, ფესტოსის და მალიის სასახლეები. ამგვარი სასახლე წარმოადგენდა თავისი დროისათვის გრანდიოზულ ნაგებობათა კომპლექსს, რო-

მელიც კონცენტრირებული იყო მართკუთხედის ფორმის შიდა ეზოზე. თუკი კნოსოსის სასახლის რეკონსტრუქციის ვარიანტებს გავითვალისწინებთ, ნათელი ხდება, რომ ორ- და სამსართულიან საკმაოდ რთული არქიტექტონიკის მქონე ნაგებობათა კომპლექსი უწყვეტად ეკვროდა ამ შიდა ეზოს. სწორედ ამან გაუჩინა ბევრ მეცნიერს აზრი, რომ ანტიკურ სამყაროში არსებული ტრადიცია მინოსის ეპოქაში აშენებული ლაბირინთის შესახებ ამგვარი სასახლეების საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო. ეს თვალსაზრისი გარკვეულწილად უარყო იმ ახალმა აღმოჩენებმა, რომლებიც ადასტურებენ, რომ სასახლეების პარალელურად კრეტაზე ნამდვილად არსებობდა ნაგებობები, რომელთაც სწორედ ლაბირინთის ფორმა ჰქონდათ. რაც შეეხება სასახლეებს, ნაგებობათა ამ კომპლექსში ყველაფერი გვხვდება იმისათვის, რომ სასახლეთა მკვიდრთ საკმაოდ კომფორტულად ეგრძნოთ თავი. აქ მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი ცივი და თბილი წყლით მომარაგება, სულ სხვადასხვა დანიშნულების ოთახები, მათ შორის ე. წ. ინდივიდუალური სააბაზანოებიც, ე. წ. სატახტო დარბაზები, საკულტო დანიშნულების სხვადასხვა სათავსოები, საწყობები პროდუქტებისათვის და, რაც ძალზე საინტერესოა, ე. წ. თეატრები ანუ ის ადგილები, სადაც სასახლის მკვიდრნი, როგორც ჩანს, გარკვეულ სანახაობას ადევნებდნენ თვალს. აქ არის ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ამფითეატრს ანუ საფეხურებად განლაგებულ დასაჯდომებს და სცენა ანუ არენა, სადაც იმართებოდა სანახაობა.



კნოსოსის სასახლის რეკონსტრუქცია
კ. ელიაკისის მიხედვით

ფესტოსის სასახლის ე. წ. თეატრი

*ფერწერა.* სასახლეები ყურადღებას იპყრობს თავისი ფრესკებით. მათ შორის ე. წ. რელიეფური ფრესკებითაც. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ თუკი კლასიკური ეპოქის საბერძნეთის ფრესკული ფერწერიდან თითქმის არაფერი შემოგვრჩა, ამ მხრივ, ერთობ დიდი ინფორმაცია მოგვეპოვება მინოსური ფრესკების შესახებ. მინოსური ფერწერა სტილთა მრავალფეროვნებით გვხიბლავს. აქ წარმოდგენილია საკმაოდ სტილიზებულად დახატულ ადამიანთა, ფლორისა და ფაუნის სამყარო. რაც მთავარია, მონახულია გზა სპირალური ელემენტების გამოყენების საშუალებით დაიძლიოს ფიგურების სტატიკურობა. ფიგურები დინამიურნი არიან და საკმაოდ კარგად გადმოცემენ მოძრაობას. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მინოსური ფერწერის იმპრესიონისტული ხასიათი. აკვარელით შესრულებულ ფრესკებზე, ძირითადად, გად-

კნოსოსი. ფრესკა. ე. წ. „პარიზელი ქალი" (ძვ. წ. 1500 წ.). ჰერაკლიონის მუზეუმი

მოცემული არის ერთი შთაბეჭდილებით მიღებული სურათი. არ იგრძნობა სწრაფვა მონუმენტალიზმისაკენ. თუკი სამყაროს ასახვისას სტილიზებული რეალისტური ფორმები სჭარბობს, აბსტრაქტული პრინციპი დომინანტური ხდება ორნამენტული დეტალების გამოყენებისას. ფრესკა შეიძლება გამოსახავდეს აბსტრაქტულ გეომეტრიულ ფიგურებს ან აბსტრაჰირებულობამდე მიყვანილ საგანთა გამოსახულებებს. ა. მ., ყურადღებას იპყრობს ე. წ. კრეტული ცულების აბსტრაქტული ფიგურებით შემკული დერეფნის ფრესკა, ე. წ. სატახტო დარბაზის ფრესკები. კნოსოსის ფრესკებიდან ასევე ცნობილია ე. წ. „პარიზელი ქალი", ე. წ. ცისფერი ქალები, პრინცი შროშანის გვირგვინით და სხვ.

ხარზე მხტომელი აკრობატი (ძვ. წ. XV ს.). ჰერაკლიონის მუზეუმი

*პლასტიკა.* მინოსური ხელოვნება საკმაოდ დიდ მრავალფეროვნებას ამჟღავნებს პლასტიკის სფეროში. აქ, ერთი მხრივ, გვხვდება გაშეშებული საკულტო სკულპტურები, მეორე მხრივ, ცხოველებისა და ფრინველების ოსტატურად სტილიზებული პლასტიკური გამოსახულებები. პრაქტიკული დანიშნულების საგნებში ნატურალისტური სტილი სჭარბობს, რისი კარგი მაგალითიც შეიძლება იყოს რიტონი (სითხის ჭურჭელი) – ხარის თავი. კრეტული პლასტიკის ჭეშმარიტ მიღწევად უნდა ჩავთვალოთ ხარზე მხტომელი კაცის ქანდაკება, რომელიც, როგორც ჩანს, წარმოადგენს ადრე არსებული კომპოზიციის ჩვენამდე შემორჩენილ მხოლოდ ერთ დეტალს. იგი გამოსახავდა, ალბათ, კრეტაზე საკმაოდ პოპულარულ სანახაობას, ხარზე ხტომის ანუ აკრობატიკის სცენას. ეს სტატუეტი ყურადღებას იპყრობს იმით, რომ აქ არსებითად გადაჭრილია პრობლემა, რომელიც კლასიკური ეპოქის ხელოვნებამ დაძლია შემდგომ. კერძოდ, აღმოჩენილია პლასტიკაში მოძრაობის საიდუმლო, ის, თუ როგორ შეიძლება ქმნიდეს სკულპტურა მოძრაობის სრულ ილუზიას.

*ვაზური ფერწერა.* განცვიფრებას იწვევს კრეტული მეთუნეობისა და ვაზური ფერწერის არაორდინარულობა და ძალზე მაღალი მხატვრული კულტურა. გარდა იმისა, რომ აქ არის ფორმების დიდი მრავალფეროვნება, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ სტილთა საინტერესო მონაცვლეობაზე. თუკი მინოსური კულტურის განვითარების პირველ ფაზაში ვაზური ფერწერის სფეროში დომინანტური იყო ე. წ. კამარესის სტილი, რაც გულისხმობს საკმაოდ რთული, წმინდა ორნამენტული ფუნქციის მქონე გამოსახულებებით ჭურჭლის დაფარვას, ძვ. წ. XVII-XVI საუკუნიდან მას ცვლის აბსოლუტურად განსხვავებული სტილი, რომელიც ხასიათდება იმით, რომ საკმაოდ ნატურალისტურად გადააქვს კერამიკაზე ასასახი ობიექტი. ჭურჭელი მეტწილად სხვადასხვა საგნების, ზღვის სამყაროს მკვიდრთა, ცხოველთა, ფრინველთა თუ მცენარეების გამოსახულებებით არის დაფარული. შეიძლება ითქვას, რომ კრეტული ვაზური მხატვრობა ფერწერულია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. კერძოდ, ჭურჭელზე სურათი არ არის ჩასმული ჩარჩოში, იგი მთლიანად ფარავს მას და იმის შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ეს სურათი ბუნების ნაწილს წარმოადგენს. ა. მ., ყურადღებას იპყრობს მთლიანად მცენარეული გამოსახულებებით დაფარული კერამიკული ნაწარმი. ცნობილია ჭურ-

ზღვის სტილით შესრულებული ჭურჭელი რვაფეხის გამოსახულებით (ძვ. წ. XVI ს-ის მიწურული). ჰერაკლიონის მუზეუმი

ჭელი რვაფეხათი, რომლის ნატურალისტური გამოსახულება გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ იგი ჩვენს თვალწინ იკუმშება და იბერება და ა. შ.

მინოსურმა კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა საკმაოდ ვრცელ არეალზე. უკანასკნელ ხანებში აღმოჩნდა რეგიონები, რომლებიც მინოსურის ფილიალურ კულტურებად არიან აღიარებულნი. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ის საკმაოდ მაღალი დონის ხელოვნება, რომელიც აღმოჩნდა კუნძულ თერაზე სანტორინის კატასტროფას გადარჩენილი დასახლების, დღევანდელი აკროტირის ნანგრევებში. თერაზე ფრესკული ფერწერის ძალზე საინტერესო ნიმუშები დასტურდება, რომელთაგან ზოგიერთი თავისი სტილისტიკით საკმაოდ დიდ სიახლოვეს გვიჩვენებს XX საუკუნის ესთეტიკასთან. შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ფრესკები: ანტილოპები, მოკრივე ბიჭები, კაცი თევზებით, შროშანები, ცისფერი მაიმუნები და სხვ.

თერა. ფრესკა. კაცი თევზებით (ძვ. წ. XVII-XVI სს.). ათენის ნაციონალური მუზეუმი

მინოსურმა კულტურამ მანამდე, ვიდრე სანტორინის კატასტროფის შემდეგ მისი დაქვეითება დაიწყებოდა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინა კონტინენტური საბერძნეთის, განსაკუთრებით, მიკენურ კულტურაზე მისი განვითარების პირველ ფაზაში.

**მიკენური ხელოვნება.** მიუხედავად იმისა, რომ მიკენური ხელოვნება მინოსურის საკმაოდ მძლავრ გავლენას განიცდიდა, უკვე თავისი განვითარების იმ ფაზაში, როდესაც ეგეიდაში აშკარად მინოსური კულტურა დომინირებდა, იგი მრავალ თავისებურებას ამჟღავნებს. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატა მინოსურისგან განსხვავებით ოქროს საგნების წარმოებისაკენ გამოკვეთილ ლტოლვაში. ყურადღებას იპყრობს წმინდად მიკენური ოქროს ნიღბების დამზადების ტრადიცია, რომელთაც მიცვალებულებს აფარებდნენ სახეზე. ეს ნიღბები, შესაძლოა, თავად კრეტიდან მოწვეული ოსტატების მიერ ყოფილიყო შექმნილი, მაგრამ შემკვეთი აშკარად მიკენური სამყაროს მმართველები იყვნენ. თავისი მაღალმხატვრულობით ყურადღებას იპყრობს ოქროს ორი ფიალა ვაფიოდან (ძვ. წ. XV ს.), რომელთაგან ერთზე გამოსახულია ხარების მოთვინიერების, ხოლო მეორეზე – უკვე მოთვინიერებული ხარების მშვიდობიანი შრომის სცენები. მიკენურ სამყაროშიც ძალზე გავრცელებული იყო ხარის თავის ნატურალისტური ფორმის მქონე რიტონების დამზადება. მინოსური სტილისტიკისა და თავისებურებების სინთეზს წარმოადგენს ე. წ. ინკრუსტირებული მიკენური ხანჯლების პირები (ძვ. წ. XV ს.), რომლებზედაც მაღალ მხატვრულ დონეზეა გამოსახული ნადირობის სცენები.

ე. წ. აგამემნონის ნიღაბი (დაახლ. ძვ. წ. XVI ს.)

მინოსური კულტურის დაქვეითების შემდგომ მიკენური სამყარო სულ უფრო მეტად ავლენს ახალი ფორმებისა და კულტურული ღირებულებებისაკენ სწრაფვას. იცვლება არქიტექტურული ფორმებიც. ა. მ., თუკი მიკენური კულტურის განვითარების ე. წ. მინოსური გავლენის ფაზაში მაღაროვანი სამარხები იყო გავრცელებული, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილი არის A-წრის სამარხები, შემდგომ ძირეულად იცვლება სამარხების ტიპი და მიკენურ სამყაროში ე. წ. თოლოსის ანუ გუმბათოვანი სამარხები ვრცელდება. ისინი საინჟინრო თვალსაზრისით საინტერესო ნაგებობებს წარმოადგენენ და დღესაც გვაოცებენ საკმაოდ რთული არქიტექტურული პრობლემატიკის გადაწყვეტით. კერძოდ,

ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთ ასეთ ე. წ. ატრევსის სამარხში 160 ტონის სიმძიმის ერთიანი ქვით შესასვლელი კარების გადახურვა. მინოსური კულტურისაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა მიკენური სამყაროს დასახლებების მშენებლობის პრინციპი. თუკი მინოსურ კრეტაზე სასიმაგრო ნაგებობები, ფაქტობრივად, იგნორირებული იყო, მიკენური არქიტექტურა საკმაოდ მასშტაბური სასიმაგრო კედლებით ხასიათდება. ა. მ., უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მიკენის და ტირინსის კედლები, რომელთაც გრანდიოზულობის გამო



მიკენი. ლომთა კარიბჭე (ძვ. წ. XIII ს.)

ციკლოპურ ნაგებობებს უწოდებდნენ. მათი სიგანე საკმარისი იყო იმისათვის, რომ გალავნის თავზე თავისუფლად გაევლო ეტლს, ხოლო სიმაღლე უზრუნველყოფდა დასახლების ცენტრალური ნაწილის ანუ აკროპოლისის მყარ დაცვას.

ძვ. წ. XIV საუკუნიდან, მართალია, მიკენურ ფრესკულ და ვაზურ ფერწერაში კვლავ იგრძნობა მინოსურის გავლენა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ გამოსახულებები სულ უფრო და უფრო სტატიკური ხდება და ვაზური ფერწერის ისეთი ნიმუშები ჩნდება, რომლებიც სქემატიზმისა და გეომეტრიზმისაკენ აშკარა გადახრის მომასწავებელნი არიან.

ეგეოსური სამყაროს დაქვეითების შემდგომ მიკენური ხელოვნების ფორმები და პრინციპები საკმაოდ ტრანსფორმირებული სახით კვლავ აგრძელებენ არსებობას დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ძვ. წ. XI საუკუნიდან ბერძნულ ხელოვნებაში აშკარად ახალი ფაზა იწყება.

**გეომეტრიული პერიოდი.** ბერძნულ ხელოვნებაზე მსჯელობას მრავალი მკვლევარი ძვ. წ. XI საუკუნიდან იწყებს ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც ხელოვნების ისტორიაში შეიძლება გეომეტრიული ეპოქის დადგომაზე ვილაპარაკოთ. ბერძნული ხელოვნების მიკენურისაგან ამგვარ გამიჯვნას იმით ამართლებენ, რომ პირველი მათგანი გეომეტრიულ ეპოქაში მთლიანად თავისუფლდება მინოსურ-მიკენური გავლენისაგან და იგი აშკარად განვითარების საკუთარი გზით მიდის. გეომეტრიული პერიოდის რამდენიმე საუკუნე ბერძნული ხელოვნებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო სწორედ იმით, რომ იგი აშკარად გადავიდა მხატვრული ხედვის სავსებით განსხვავებულ, ახალ პრინციპებზე. საწყის ეტაპზე ამ ეპოქის ხელოვნების თავისებურება გამოიხატა, როგორც ეს დაქვეითების ანუ ბნელი წლების ეპოქისათვის იყო საერთოდ დამახასიათებელი, საოცარ გაპრიმიტიულებაში. ვაზური ფერწერის მთავარი ელემენტი ხდება გეომეტრიული ორნამენტი. თავდაპირველად ეს, ელემენტარული პრინციპების შესაბამისად, ორნამენტების სტიქიურად განაწილებით სრულდებოდა ჭურჭელზე, მაგრამ თანდათანობით გეომეტრიული ხელოვნება იხვეწება და ხედვის ერთგვარ სისტემად ყალიბდება. ძვ. წ. X-VIII საუკუნეები შეიძლება მივიჩნიოთ გეომეტრიული ხელოვნების უდიდესი აღმავლობის პერიოდად, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად *გეომეტრიული რენესანსის* ეპოქასაც უნოდებენ. ამ პერიოდის ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მონუმენტური ჭურჭლების დამზადება, რომლებზეც გეომეტრიული სარტყელებია გამოსახული, ხოლო მათზე განლაგებული ორნამენტები სუბორდინაციისა და კოორდინაციის მკაცრი ლოგიკური კანონების შესაბამისად ნაწილდებიან. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა დიპილონის მონუმენტური კრატერები, ამფორები და ა. შ., რომლებიც გეომეტრიული ხელოვნების შედევრებს წარმოადგენენ.

დიპილონის ამფორა (ძვ. წ. VIII ს.). ათენის ნაციონალური მუზეუმი

ყურადღებას იპყრობს გეომეტრიული პლასტიკაც. ამ ეპოქის სტატუეტებში, რომლებიც გამოსახავენ ადამიანებს, ცხოველებს, ერთი თავისებურება იჩენს თავს: სხეულის ნაწილები თითქოს მთელისაგან დამოუკიდებელ გეომეტრიულ ფიგურებს წარმოადგენენ, რომელთა ჯამიც ქმნის მთლიანობას. გეომეტრიულ ეპოქაში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული მთელისა და ნაწილების ჰარმონიული ურთიერთობის ის დონე, რომელიც შემდგომი პერიოდის ხელოვნებისათვის გახდა ესოდენ ნიშანდობლივი.

გეომეტრიულ ეპოქაში ჩამოყალიბებას იწყებს ბერძნული ტაძრების არქიტექტონიკაც. მართალია, როგორც ჩვენამდე მოღწეული გეომეტრიული მოდელები გვიჩვენებს, ეს ტაძრები თავდაპირველად წარმოადგენდნენ მცირე ნაგებობებს (მათ ფასადის მხარეს მეტწილად ორი სვეტი ჰქონდათ და მთლიანად გეომეტრიული ორნამენტით იყვნენ დაფარულნი), მაგრამ ისინი უკვე შეიცავენ იმ არქიტექტონულ ელემენტებს, რომლებიც შემდგომ ესოდენ დამახასიათებელი ხდება ბერძნული სატაძრო არქიტექტურისათვის. სავსებით ბუნებრივად ხდებოდა გეომეტრიული ხელოვნების არქაიკაში გადაზრდა, რაც გეომეტრიული ორნამენტის წილის შემცირებასა და ე. წ. სურათოვანი ელემენტის ხვედრითი წონის გაძლიერებაში გამოიხატა.

**არქაული ეპოქა.** არქაული ეპოქა (ძვ. წ. VII-VI სს.) ბერძნული ხელოვნების განვითარებაში უკვე საკუთარი ეტაპის დაწყებას მოასწავებს. ხელოვნების სფეროში მრავალ სხვა მიღწევას შორის ყურადღება შეიძლება შევაჩეროთ სამ უმნიშვნელოვანეს მომენტზე:

*არქიტექტურა.* არქიტექტურაში უმთავრესი იყო ორდერული სატაძრო ნაგებობების მოდელთა ჩამოყალიბება. არქაიკის პერიოდში ამ ფორმამ განვითარების ყველა ფაზა გაიარა და თავისი საბოლოო სახე მიიღო ორი ძირითადი ორდერით: დორიულითა და იონიურით, რომელთაც შემდგომ დაემატა კორინთულიც. ამავე პერიოდში იწყება დასახლებებისა და საკულტო ცენტრების კომპლექსური განაშენიანების პრინციპთა ჩამოყალიბება და საკმაოდ საინტერესო არქიტექტურული პროექტების განხორციელება. ამან თავი იჩინა იონიის, შემდეგ კი კონტინენტური საბერძნეთის ქალაქების დაგეგმარებაში, უპირველეს ყოვლისა, ათენში, სადაც ქალაქის აკროპოლისის გარშემო მრავალი ღირსშესანიშნავი ნაგებობა და სხვადასხვა ფუნქციის მქონე კვარტლები იყო განთავსებული.




ბერძნული ტაძრის ძირითადი ტიპების განვითარება არქაიკაში: a. ანტებიანი ტაძარი, b. ორმაგი ანტებიანი ტაძარი, c. პროსტილოსი, d. ამფიპროსტილოსი, e. პერიპტეროსი, f. დიპტეროსი, g. ფსევდოდიპტეროსი

არქაიკის ეპოქის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო კომპლექსურობა ანუ ჩვენ მიერ ხელოვნების დასახელებული ფორმების სინთეზის ტენდენცია. ა. მ., სატაძრო არქიტექტურა თავის თავში აერთიანებდა არა მარტო ისეთ წმინდად არქიტექტურულ ფორმებს, როგორიც არის სვეტები, კედლები და ა. შ., არამედ პლასტიკურ ინფორმაციასაც, რადგან ჩვეულებრივი მოვლენა იყო ტაძრის მეტოპებისა და ფრიზების რელიეფური პლასტიკური გამოსახულებებით შემკობა, ხოლო ფრონტონებზე გარკვეული პერიოდიდან ე. წ. მრგვალი სკულპტურების მოთავსება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტა-

ძარი მთლიანად, ისევე როგორც სკულპტურები, იფარებოდა შესაბამისი ფერებით ანუ აქ გამოყენებული იყო ფერწერის მიღწევებიც. მიუხედავად იმისა, რომ დღეს კლასიკური ეპოქის სკულპტურები, ძირითადად, თეთრი მარმარილოს ფიგურებად წარმოგვიდგებიან, უნდა აღინიშნოს, რომ არქაიკასა და კლასიკის ეპოქაში იღებებოდა სხვადასხვა ფერით ანუ პლასტიკურის გარდა იგი ფერწერულ ეფექტსაც ახდენდა. არქაიკაში ბერძნული ტაძრის რამდენიმე ტიპი განვითარდა: ანტებიანი ტაძარი, ორმაგი ანტებიანი ტაძარი, პროსტილოსი, ამფიპროსტილოსი, პერიპტეროსი, დიპტეროსი, ფსევდოდიპტეროსი.

იმის მიხედვით, თუ როგორი იყო სვეტისა და სვეტისთავის არქიტექტონიკა, განისაზღვრებოდა ტაძრის საერთო არქიტექტურული წყობა. მაგალითისათვის მოკლედ დავახასიათოთ დორიული ორდერის მქონე ტაძრის არქიტექტურული ელემენტები: ტაძრის საფუძველს ქმნის კრეპიდომა ანუ სტერეობატი, რომელიც წარმოგვიდგება ტაძრის საფეხურებიან ფუნდამენტად. უკანასკნელ საფეხურს, რომელსაც ეყრდნობა სვეტი, ეწოდება სტილობატი. მასზე უშუალოდ აღიმართება კოლონა, რომლის ტანსაც აქვს ღარები (კანელურები). სვეტს აბოლოებს კაპიტელი (სვეტის თავი), რომელიც შედგება აბაკუსისაგან (სწორკუთხა საყრდენი ფილისაგან) და ექინოსისაგან (აბაკუსსა და სვეტის ტანს შორის მოთავსებული მრგვალი ბალიშისებური გლუვი ფილა). სვეტი იჭერს ტაძრის მთელ ზედა, მასზე დაყრდნობილ ნაწილს — ანტაბლემენტს, რომელიც შედგება: არქიტრავისაგან, ფრიზისაგან და ფრონტონს შემოვლებული კარნიზისაგან. თავის მხრივ, ფრიზი წარმოგვიდგება ტრიგლიფების (სამღარიანი ფილების) საშუალებით ერთმანეთისაგან გაყოფილ მეტოპებად (ოთხკუთხა ფირფიტებად), რომლებიც შეიძლება იყოს მოხატული ან რელიეფით შემკული. მის ზემოთ არის გეისონი ანუ გამყოლი კარნიზი, რომელიც ფრონტონს ავარაყებს; სიმა ანუ კარნიზის საღვარე სახურავის მხრიდან, რომლის შვერილები, როგორც წესი, აკროტერიონით ანუ ორნამენტული წყალსაქცევით ბოლოვდებოდა. სამკუთხედის ფორმის მქონე ფრონტონი ხშირად სკულპტურული კომპოზიციებით იმკობოდა.




ბერძნული ტაძრის ძირითადი ორდერები: 1 – დორიული, 2 – იონიური, 3 – კორინთული

არქიტექტურული ელემენტები: 1. კრეპიდომა ანუ სტერეობატი, 1ᵃ. სტილობატი, 2. ატიკური ბაზისი, 3. სვეტი კანელურებით, 4. კაპიტელი, 4ᵃ. აბაკუსი, 4ᵇ. ექინოსი, 4ᵇ. იონიური ვოლუტები, 4ᵍ. კორინთული ვოლუტები, 5. არქიტრავი, 6. ტრიგლიფი, 7. მეტოპა, 8. ფრიზი, 9. გეისიპოდები (ანუ კბილანები), 10. გეისონი, 11. სიმა, 11ᵃ. აკროტერიონი

კორე ბრონეულით (ძვ. წ. VI ს-ის დასაწყისი). ბერლინი. პერგამონ-მუზეუმი

*პლასტიკა.* პლასტიკის დონეზე ამ ეპოქის უმთავრეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს სკულპტურის ორი ტიპის ჩამოყალიბება: შიშველი ყმაწვილის – კუროსის და შემოსილი ქალიშვილის – კორეს. გეომეტრიული ეპოქისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში იწყება ზრუნვა იმაზე, რომ ნატურალური ზომის ქანდაკებები, რაც შეიძლება სრულყოფილად გადმოსცემდნენ ადამიანის მშვენიერებას. არქაიკის ეპოქაში, მიუხედავად საკმაოდ საინტერესო მიღწევებისა, სკულპტურა ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა სტატიკურობისაგან, რამდენადაც ამ ეპოქის ხელოვნებმა ჯერ კიდევ ვერ აღმოაჩინეს პლასტიკაში მოძრაობის საიდუმლო. შესაძლოა, ამის ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენდა ის არქაული ღიმილი, რომელიც ამ ეპოქის სკულპტურებს დასთამაშებთ სახეზე.



კუროსი (ძვ. წ. VI ს-ის შუა პერიოდი). ათენის ნაციონალური მუზეუმი

*ვაზური ფერწერა.* რამდენადაც ჩვენ არქაიკის ეპოქიდან, არსებითად, ფერწერის სხვა ნიმუშები არ შემოგვრჩენია, შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ ვაზურ ფერწერაზე. გეომეტრიული ეპოქის შემდგომ გარკვეული გარდამავალი ფაზის გავლის შედეგად ბერძნული ვაზური ფერწერის ორი ძირითადი ტიპი

აქილევსი და აიასი კამათელს თამაშობენ. სცენა ვულჩის შავფიგურული ამფორიდან (ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევარი). რომი. ვატიკანის მუზეუმი

ჩამოყალიბდა: 1. შავფიგურული კერამიკა, რომელიც კერამიკის ბუნებრივ მოწითალო ზედაპირზე ფიგურების შავი ლაქით გამოსახვას გულისხმობდა და 2. წითელფიგურული კერამიკა, რომელიც ახდენდა ვაზის ზედაპირის მთლიანად შავი ლაქით დაფარვას, ხოლო ფიგურების გამოსაყვანად გამომწვარი თიხის ბუნებრივ წითელ ფერს იყენებდა. შეიძლება ითქვას, რომ კერამიკული ფერწერის ეს ორი ტიპი დომინანტური გახდა ბერძნულ ხელოვნებაში არქაიკისა და კლასიკის ეპოქაში. თუმცა თანდათანობით ვარირების არაერთი მიმართულება გამოიკვეთა. შეიქმნა სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლები:

**კლასიკის ეპოქა.** განსაკუთრებულ სიმაღლეს ბერძნულმა ხელოვნებამ კლასიკის ეპოქაში მიაღწია. ყოველივე ის, რაც არქაიკაში იწყებს განვითარებას, კლასიკის პერიოდში ანუ ძვ. წ. V-IV საუკუნეებში თავის უმაღლეს სრულყოფილებას აღწევს. იმდენად თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია ამ ეპოქის ხელოვნების მიღწევები, რომ მათი უბრალოდ ჩამოთვლაც კი საკმაოდ დიდ ადგილს დაიჭერდა. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული პოლისებისა და კოლონიების განფენის შედეგად მთელს ვეებერთელა ტერიტორიაზე უამრავი კულტურული ღირებულება იქმნებოდა, შეიძლება ითქვას, რომ კულტურის სფეროში რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცენტრი გამოიკვეთა, რომელთაგან, რასაკვირველია, ძირითადი იყო ათენი. ბერძენ-სპარსელთა ომების დროს დანგრეული ძველი აკროპოლისის ადგილას დაიწყო ახლის შენება, რომელიც ბერძნული მხატვრული გენიის უკვდავ ძეგლად იქცა. ეს არის კომპლექსი, რომლის თითოეული ნაგებობა, თითოეული დეტალი კლასიკური ეპოქის ხელოვნების სიდიადეს წარმოაჩენს. მის ძირში და გარშემო განლაგებული არაერთი ნაგებობა და ადგილი ასევე მნიშვნელოვანი იყო თავისი ფუნქციითაც და მხატვრული ღირებულებითაც. აკროპოლისში შესვლა პროპილეების გავლით ხდებოდა, რომელიც მონუმენტური შესასვლელი ნაგებობების მთელ სისტემას წარმოადგენდა. პროპილეებისკენ მიმავალ გზაზე მარჯვნივ სპეციალურად ამოყვანილ ბასტიონზე მდებარეობდა ათენა ნიკეს პატარა ტაძარი, ხოლო მარცხნივ კი — შენობა, რომელიც, შესაძლოა, პინაკოთეკა ანუ სურათების გალერეა ყოფილიყო. აკროპოლისის შიდა ტერიტორიაზე აღმართული იყო ათენა პრომაქოსის („წინმებრძოლის") ქანდაკება. შესასვლელიდან მიმავალი გზის მარჯვნივ მდებარეობდა აკროპოლისის ძირითადი ნაგებობა — პართენონი.




აკროპოლისი
1. ბასტიონი, 2. ათენა ნიკეს ტაძარი,
3. პინაკოთეკა, 4. პროპილეები,
5. ათენა პრომაქოსის სტატუა,
6. ერექთეიონი, 7. პართენონი

ქვემოთ ჩვენ ათენის ძეგლებსა და ღირსშესანიშნაობებს არაერთგზის მივუბრუნდებით. თუკი მოკლედ მოვინდომებთ იმის ჩამოყალიბებას, თუ რა მოხდა კლასიკური ეპოქის ხელოვნების ძირითად სფეროებში, შეიძლება ითქვას შემდეგი:

*არქიტექტურა.* ორდერული სატაძრო არქიტექტურის განვითარებამ ამ ეპოქაში თავის კულმინაციას მიაღწია. ჩამოყალიბდა პროპორციების სავსებით გარკვეული პრინციპები, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა ტაძრების აგება. თუკი არქაიკის ეპოქის ტაძრებში ეს თანაფარდობები ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილად ჩამოყალიბებული, კლასიკური ეპოქის არქიტექტორებმა ისინი უმაღლეს დონემდე აიყვანეს. ეს კი გულისხმობდა იმ კრიტერიუმების ზუსტად განსაზღვრას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თანაფარდობები ტაძრის სხვადასხვა არქიტექტონულ ელემენტს შორის (მაგალითად, სვეტების რაოდენობა სიგანესა და სიგრძეზე, სვეტებს შორის დაშორება და ა. შ.). ასევე გასათვალისწინებელი იყო, თუ როგორ უნდა მიეღწიათ, ერთი მხრივ, ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ ფორმათა მკაცრად დაცვისა და, მეორე მხრივ, თითოეული ნაგებობისათვის გამოკვეთილი ინდივიდუალობის მინიჭებისათვის. ყოველივე ამან კლასიკური ეპოქის სატაძრო არქიტექტურაში მართლაც გასაოცარ მიღწევებამდე მიგვიყვანა. მაგრამ არქიტექტურის სფერო არ განისაზღვრებოდა მხოლოდ ტაძრებით. აქ იყო სხვა ტიპის ნაგებობებიც: საჯარო ნაგებობები ქალაქის ცენტრებში ე. წ. აგორებზე, ასევე ე. წ. სტოები ანუ პორტიკუსები, რომლებიც ე. წ. სვეტებიან გალერეებს წარმოადგენდნენ, საკონცერტო დარბაზები — ოდეონები, სპორტული ნაგებობები, უპირველეს ყოვლისა, სტადიონები და, რასაკვირველია, ბერძნული არქიტექტურის მშვენება და საოცრება – თეატრი. დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბერძნული თეატრის არქიტექტურამ განვითარების საინტერესო გზა განვლო და, ბოლოს

და ბოლოს, ჩამოყალიბდა ისეთ ნაგებობად, რომელშიც გამოკვეთილი იყო არქიტექტონული ნაწილები. თეატრი სამი ამგვარი ნაწილისაგან შედგებოდა: მაყურებელთა დარბაზისაგან ანუ თეატრონისაგან, ორქესტრასაგან (საიდანაც წარმოდგა თანამედროვე ტერმინი *ორკესტრი*) და სკენესაგან (თანამედროვე სცენა). დიდ თეატრალურ ნაგებობებს ორი ან სამი სექცია (იარუსი) ჰქონდა. ისინი ერთმანეთისაგან იყოფოდა ჰორიზონტალური გასასვლელი სარტყელებით — დიაძომებით. თავად რიგები კი სექტორებად, ანუ ბლოკებად იყოფოდა ორქესტრას მიმართ ვერტიკალურად განლაგებული გასასვლელებით. წინა რიგში (ან რიგებში) ჩადგმული იყო სპეციალური ქვის სავარძლები ჟურუმების, არქონებისა და საპატიო პირებისათვის. წრიული ფორმის ორქესტრას შუაში აღმართული იყო დიონისეს საკურთხეველი. თეატრონის მოპირდაპირედ ორქესტრას წრეს ებჯინებოდა სკენე. იგი, თავის მხრივ, შედგებოდა ორქესტრას დონიდან დაახლოებით ერთი მეტრით ამაღლებული პროსკენიონისაგან. მას სამი კარი თუ კარიბჭე ჰქონდა. სკენესა და ამფითეატრს შორის მარჯვნივ და მარცხნივ ე. წ. პაროდოსები, ანუ შემოსასვლელ-გასასვლელები იყო, რომელთა მეშვეობით გუნდი ხვდებოდა ორქესტრაში, ან იქიდან გამოდიოდა. აქედან ხდებოდა თეატრონის მაყურებლით ავსება თუ დაცლა. სპექტაკლის მსვლელობის დროს აქედანვე შემოდიოდნენ მოქმედი პირებიც. იმ მრავალი თეატრიდან, რომლის ნარჩენებიც დღემდე შემორჩა, ერთ-ერთი მშვენიერი არის ლიკურგოსის დროს, კლასიკის ეპოქის მიწურულში აგებული ეპიდავროსის თეატრი, რომელმაც გარკვეული რეკონსტრუქციებით საკმაოდ კარგად შემონახული სახით მოაღწია ჩვენამდე. იგი გვიჩვენებს იმას, თუ როგორ ოსტატურად შეეძლოთ არქიტექტორებს გამოეყენებინათ თავად „ოქროს კვეთის" პრინციპი (იგი გულისხმობს იმას, რომ მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მთელს).



დიონისეს თეატრის სქემა


ეპიდავროსის თეატრის ხედი




ეპიდავროსის თეატრის სქემა

ათენა პართენოსი (ძვ. ნ. V ს.). ონტარიო. სახელმწიფო მუზეუმი

*პლასტიკა.* ძალზე მნიშვნელოვანი იყო მიღწევები პლასტიკის სფეროში. კლასიკური ეპოქის დაწყება სწორედ იმით აღინიშნა, რომ ბერძენმა ხელოვნებმა აღმოაჩინეს სკულპტურაში პონდერაციისა და კონტრაპოსტის კანონზომიერებანი. პირველი გულისხმობს სხეულის ნაწილთა თანაფარდობას, ჰარმონიულ გაწონასწორებულობას, ხოლო მეორე კი — ადამიანის სხეულის ზედა ნაწილის კონტრასტულ შემოტრიალებას ქვედა ნაწილთან მიმართებაში. ამ კანონზომიერების აღმოჩენამ რევოლუციური გადატრიალება გამოიწვია პლასტიკის სფეროში, რადგან სტატიკური და გაშეშებული არქაული სკულპტურა შეცვალა ქანდაკებამ, რომელშიც ადამიანის სხეულის გამოკვეთა და მისი სულის გადმოცემა უკვე უსულო ქვაში სიცოცხლის შთაბერვას მოასწავებდა. ე. წ. ანონიმი მოქანდაკის უამრავ ქმნილებებთან ერთად ჩვენამდე მოაღწია კლასიკური ეპოქის მრავალი გენიოსი სკულპტორის ნამუშევრებმა, ძირითადად, გვიანდელი ასლების საშუალებით. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ისეთი სახელები, როგორიცაა: მირონი — მას მიეწერებოდა უდიდესი მიღწევები სხეულის არა მხოლოდ მოძრაობის ნიუანსების გადმოცემისას, არამედ მისი მიმდინარეობის პლასტიკურად ასახვის საიდუმლოს აღმოჩენა. ცნობილია მისი ძვ. ნ. V საუკუნის შუა ხანებში შექმნილი სკულპტურები: „დისკობოლოსი", „ათენა და მარსიასი". პოლიკლეტესი გამოირჩევა იმით, რომ პირველმა შექმნა ადამიანის სხეულის სკულპტურული განხორციელების იდეალური პროპორციების კანონი და, შესაბამისად, მის სკულპტურას „დორიფოროსს", რომელიც მისი თეორიული პრინციპების მატერიალიზაციას წარმოადგენდა, ხშირად მოიხსენიებენ სახელით „კანონი". მას ერთხმად მიიჩნევენ კონტრაპოსტის სრულყო-

დისკობოლოსი (ძვ. ნ. V ს-ის II ნახ.). რომაული ასლი. რომი. მუზეუმ ტერმე



დორიფოროსი (ძვ. ნ. V საუკუნის მეორე ნახევარი). რომაული ასლი. მუზეუმ ტერმე

ფილებამდე მიყვანის ოსტატად. ძვ. წ. V საუკუნის სამეულს აგვირგვინებს ფიდიასი, რომელსაც მრავალი ბრწყინვალე ჩანაფიქრის განხორციელება მიეწერება. განსაკუთრებით ცნობილი იყო მისი ორი სკულპტურა: ქალწული ათენა (პართენონის ტაძარში) და ოლიმპიელი ზევსი (ოლიმპიის ზევსის ტაძარში). ფიდიასს კვლავ მივუბრუნდებით, როდესაც პართენონზე გვექნება მსჯელობა.

მომდევნო სამეულს — სკოპასს, პრაქსიტელესს და ლისიპოსს მაღალი კლასიკიდან გვიან კლასიკაში გადავყავართ. სკოპასმა სკულპტურაში შემოიტანა სისხარტისა და ექსტაზის მომენტი. ცნობილია მისი სკულპტურა „ბაკქი ქალი". პრაქსიტელესათვის უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა სხეულის გრაციოზულობის, ადამიანის მთრთოლვარე კანის სინაზისა და სითბოს წარმოჩენას მარმარილოში. ცნობილია მისი „ჰერმესი ჩვილი დიონისეთი" და სხვა მრავალი. ლისიპოსს მიეწერება სკულპტურაში „მომენტის დაჭერა". მასთან თანდათან ქრება კლასიკური სიმშვიდე, ჰარმონიულობა და ადგილს იკავებს ამა თუ იმ ცხოვრებისეულ მომენტთან დაკავშირებული ვნებების გადმოცემა. ცნობილია მისი „აპოქსიომენოსი", ათლეტი, რომელიც ტანიდან იფხეკს ზეთშერეულ ქვიშას და ა. შ. ამ სკულპტორთა გვერდით, როგორც აღინიშნა, უამრავი გენიოსი ხელოვანი მოღვაწეობდა, რომელთა სახელებსაც ჩვენამდე არ

ბაკქი ქალი (ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი). დრეზდენი. ალბერტინუმი

ჰერმესი ჩვილი დიონისეთი (ძვ. წ. 340 წ.). ოლიმპია. არქეოლოგიური მუზეუმი



აპოქსიომენოსი (ძვ. წ. IV ს.). რომი. ვატიკანი

პეონიოსის ნიკე (ძვ. წ. 420 წ). ოლიმპია. არქეოლოგიური მუზეუმი

დელფოსელი მეეტლე (ძვ. წ. 478 ან 474 წ.). დელფო. არქეოლოგიური მუზეუმი

მოულწევიათ. მათი შემოქმედების შესახებ მრავალრიცხოვანი პლასტიკური პროდუქცია გვიქმნის წარმოდგენას, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა: „დელფოსელი მეეტლე", ოლიმპიაში ზევსის ტაძრის ფრონტონის სკულპტურები, რომლებიც, სპეციალისტთა ერთხმად

აღიარებით, პლასტიკური ხელოვნების ერთ-ერთ მწვერვალს წარმოადგენდა. უნდა დავასახელოთ ზევსის (ან პოსეიდონის) შესანიშნავი ქანდაკება (ძვ. წ. 460-50), აფროდიტეს დაბადების სცენით ცნობილი რელიეფური ტრიპტიქი (ძვ. წ. 460), მომაკვდავი ნიობიდა (ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარი), პეონიოსის ნიკე (ძვ. წ. 420), სანდლის შემკვრელი ნიკე (ძვ. წ. V საუკუნის მიწურული) და მრავალი სხვ.

ის, თუ რამდენად ტევადია პლასტიკური ფერწერული ინფორმაცია, რომელსაც ერთი ცალკე აღებული ძეგლი შეიძლება გვთავაზობდეს, მშვენივრად ჩანს კლასიკური ათენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლში, აკროპოლისზე მდებარე პართენონში. მის აგებაში მონაწილეობდნენ პერიკლესის ეპოქის ცნობილი არქიტექტორები, მხატვრები, სკულპტორები, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად აკროპოლისის პროექტის და, უპირველეს ყოვლისა, პართენონის აგების ხელმძღვანელი იყო ანტიკურობის ერთ-ერთი უდიდესი ხელოვანი ფიდიასი.

ბერძნული ტაძარი, რომელიც ღმერთის სახლად მოიაზრებოდა, არ იყო განკუთვნილი იმისათვის, რომ თავად შენობაში აღსრულებულიყო ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული რიტუალები. ტაძარში, ჩვეულებრივ, იდგა ხოლმე ღმერთის ქანდაკება. პართენონში, როგორც აღვნიშნეთ, მდგარა ერთ-ერთი უბრწყინვალესი ქანდაკებათაგანი, სპილოს ძვლისა და ოქროსაგან (ქრისელეფანტური) შექმნილი ათენას მონუმენტური სკულპტურა. ქანდაკების წინ იატაკის მთელი სივრცე კარებამდე წყლის აუზს ეჭირა. მას ორმაგი ფუნქცია ჰქონდა: სკულპტურამდე უშუალოდ მისვლის მსურველისათვის დაბრკოლების შექმნისა და ათენას დიდებული სკულპტურის არეკვლისა წყლის ზედაპირზე, რაც მნახველზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა (ასევე ქრისელეფანტური წესით იყო შესრულებული ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში). პართენონის ფრიზი პანათენეების დღესასწაულს გამოსახავდა, სადაც ფიდიასმა გენერალურად გადაჭრა პრობლემა პროცესიის ერთიანი დინებისა და მისი სხვადასხვა ნაწილების მოძრაობის ტემპის გადმოცემისა. ეს იყო 162 მეტრის სიგრძეზე გადაჭიმული ფრიზი, რომელიც მართლაც კოლოსალურ და ამასთანავე გენიალურ პლასტიკურ ინფორმაციას შეიცავდა. ჩვენამდე ძალზე ცუდად მოაღწია, მაგრამ მათი საშუალებითაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მთელი დიდებულება იმ მრგვალი ქანდაკებებისა, რომლებიც პართენონის ფრონტონებზე იდგა. აქ ვირტუოზულობამდე არის მიყვანილი მარმარილოში მუშაობის ტექნიკა და გვექმნება შთაბეჭდილება, რომ სამოსით დაფარული სხეულის ფორმების და გრაციოზულობის ქვაში გადმოცემა სკულპტორებისათვის არავითარ სიძნელეს არ ქმნიდა. სამწუხაროდ, პართენონს, ისევე როგორც მრა-

პართენონი

ვალ სხვა ბერძნულ ტაძარს ჩვენამდე აღარ მოუღწევია თავისი სრული სახით. პართენონის შემთხვევაში ეს იმდენად დროის ფაქტორით არ იყო გამოწვეული, რამდენადაც ადამიანთა ვანდალიზმით.

სრულიად უცილობლად შეიძლება ითქვას, რომ კლასიკის ხელოვნება და, უპირველეს ყოვლისა, პლასტიკა პარადიგმატულად იქცა მთელი ანტიკური სამყაროსათვის. ამან გამოიწვია ის, რომ ელინისტურ და შემდეგ რომაული ბატონობის ეპოქაში ბერძნული პოლისებიდან ინტენსიურად გაპქონდათ კლასიკური ეპოქის სკულპტურები და მათ მრავალრიცხოვან ასლებს ამზადებდნენ ანუ ხდებოდა მათი ტირაჟირება. სწორედ ამით არის გამოწვეული ის, რომ, მცირე გამონაკლისის გარდა, კლასიკური სკულპტურის შესახებ მსჯელობა დღეს გვიხდება გვიანდელი რომაული ასლების გათვალისწინებით.

*ფერწერა.* კლასიკური ეპოქის მონუმენტურმა ფრესკულმა ფერწერამ ჩვენამდე ერთობ მწირად მოაღწია და, თუკი პესტუმში (იტალია) აღმოჩენილ ე. წ. მყვინთავის სამარხის ფრესკებს (ძვ. წ. 480) არ ჩავთვლით, ფაქტობრივად, თანამედროვეობამდე კლასიკური ფერწერიდან არაფერს არ მოუღწევია. ძირითადად, ამ ეპოქის ფერწერაზე წარმოდგენას გვიქმნის კერამიკა, რომელიც არქაიკაში ჩამოყალიბებული წითელი და შავფიგურული ვაზური ფერწერის ტრადიციებს აგრძელებს. ამასთანავე, კერამიკის გარკვეულ ტიპში (განსაკუთრებით ლეკითოსებში) ჩნდება თეთრი ფონი და, მართალია ძალზე შეზღუდულად, მაგრამ ფიგურების გამოყვანისას ფერთა შედარებით მეტი გამა გამოიყენება. როგორც ჩანს, მონუმენტური და დაზგური ფერწერის განვითარება ადგილს უთმობს მონოქრომულ კერამიკას (ჭურჭელი მთლიანად იფარება შავი ფერით, მასზე დატანებული არის ოქროსფერი ან სხვა ფერის ხაზები), თუმცა, რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კერამიკული ფერწერის ტრადიციები საერთოდ აღმოიფხვრა. ცალკეულ რეგიონში, განსაკუთრებით სამხრეთ იტალიაში, ისინი საკმაოდ საინტერესო ფორმით წარმოგვიდგებოდნენ მთელი ძვ. წ. IV საუკუნის განმავლობაში. კლასიკური ეპოქის ვაზური ფერწერის საუკეთესო ნიმუშებია ე. წ. ბრიგოსის მხატვრის „ქეიფის ბოლო" (ძვ. წ. 490), დურისის „მზადება ბანაობისათვის" (ძვ. წ. 470-460), თეთრფონიანი ლეკითოსი „აფროდიტე გედით" (ძვ. წ. 490), „აპოლონი და მუზა" (ძვ. წ. 460) და მრავალი სხვ.

**ელინისტური ეპოქა.** ელინისტური ეპოქის ხელოვნება, ისევე როგორც მხატვრული ლიტერატურა, ორ გამოკვეთილ ტენდენციას გვიჩვენებს: 1. კლასიკური ბერძნული ტრადიციების შენარჩუნებისაკენ ლტოლვას; 2. სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების კულტურული ტრადიციების გათვალისწინების შედეგად ახალი ელემენტების შემოტანას ხელოვნებაში. ის ფაქტი, რომ ელინისტური სამყარო ვეებერთელა სივრცეზე იყო გადაჭიმული, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, იწვევდა არქიტექტურის, ფერწერისა თუ პლასტიკის სფეროში სავსებით ახალი, გრანდიოზული პროექტების განხორციელებას. ელინისტური ეპოქის ქალაქები კეთილმოწყობილ დასახლებებს წარმოადგენდნენ, რომლებშიც უამრავი სხვადასხვა დანიშნულების საჯარო თუ კერძო ნაგებობა არსებობდა. ამას ბევრად განსაზღვრავდა ის, რომ ქალაქის ფუნქციონირებისათვის არქიტექტურულ პრაქტიკაში უკვე ჩამოყალიბებული იყო ინფრასტრუქტურის ის მოდელი, რაც ჭეშმარიტი ქალაქისათვის იყო სრულიად აუცილებელი, დაწყებული საკულტო ნაგებობით, თეატრებით, დამთავრებული სასტუმროებითა და სხვადასხვა გასართობი დაწესებულებებით. ესოდენ ვრცელ ტერიტორიებზე გადაჭიმული და საოცრად მრავალრიცხოვანი კულტურული გავლენებით გაჯერებული ელინისტური არეალის ფარგლებში ხელოვნების სფეროში ერთიანობის შეგრძნებას ქმნიდა, უპირველეს ყოვლისა, კლასიკური ბერძნული ტრადიციის შემოქმედებითად ათვისების დომინანტურობა. სწორედ ე. წ. ელინურობა იძლეოდა საშუალებას განგვესაზღვრა ამ ეპოქის ხელოვნების ყველაზე არსებითი მომენტები.

უკანასკნელ ხანებში ახალმა გათხრებმა მრავალი საინტერესო აღმოჩენა შემოგვთავაზეს ელინისტური კულტურის სფეროში. კერძოდ, უნდა აღინიშნოს გათხრები ვირგინაში (ჩრდილოეთ საბერძნეთი), სადაც აღმოჩენილია სამარხების მთელი კომპლექსი ძალზე საინტერესო ფერწერული ნიმუშებით. ელინისტური ეპოქის ხელოვნება მრავალი თვალსაზრისით პარადიგმატულად იქცა შემდგომ თვით რომაული სამყაროს ხელოვნებისათვის და დღეს ხშირად ელინისტური და რომაული კულტურისადმი მიძღვნილ წიგნებში ერთსა და იმავე ძეგლებსა თუ ხელოვნების ნიმუშებს ვხვდებით. ეს სავსებით გასაგებია, რადგან გარკვეული პერიოდიდან ელინისტური და რომაული სამყარო იმდენად შეერწყა კულტურის თვალსაზრისით ერთმანეთს, რომ აქ ერთობ ძნელია მკვეთრი ზღვარის გავლება. და მაინც, თუკი მოვინდომებთ ზოგადად დავახასიათოთ ელინისტური ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი ტენდენციები, შეიძლებოდა შემდეგი აღგვენიშნა: ხელოვნების უფრო მეტად გარეალისტურება, არქიტექტურაში მეტი მრავალფეროვნების შეტანა, მონუმენტური ფერწერისათვის ფართო გასაქანის მიცემა და სხვადასხვა სტილების ინტენსიური მონაცვლეობა.



პერგამონის აკროპოლისის მაკეტი

თუკი მოვინდომებთ იმ ძირითადი ცვლილებების არსის გადმოცემას, რაც ელინისტური ეპოქის სკულპტურაში მოხდა, შეიძლება ითქვას, რომ აქ თავი იჩინა ფუნქციათა პრიორიტეტულობის შეცვლამ. თუკი კლასიკურ ეპოქაში ადამიანის ფიგურის შექმნისას, უპირველეს ყოვლისა, მთავარი იყო მისი ზოგადადამიანური თუ ღვთაებრივი არსის წარმოდგენა, ელინისტურ ეპოქაში უფრო საგრძნობი ხდება ინდივიდუალობის, კონკრეტულობის გამოკვეთისკენ სწრაფვა. ა. მ., ძვ. წ. V საუკუნეში შესრულებული პერიკლესის სკულპტურულ პორტრეტში, რომელმაც ჩვენამდე გვიანდელი ასლის სახით მოაღწია, დომინანტური არის იმის ხაზგასმა, რომ პერიკლესი სტრატეგოსია, ანუ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს არის პრიორიტეტული, ხოლო მეორე პლანზე ინაცვლებს პერიკლესის სახის ინდივიდუალური შტრიხების გადმოცემა. მას თუ შევადარებთ ელინისტური ეპოქის მმართველთა პორტრეტებს, შევნიშნავთ, რომ აქ, პირიქით, წინა პლანზე არის წამოწეული სახის ინდივიდუალური შტრიხები, ხოლო ე. წ. ზოგადადამიანურს თუ ზოგადად პროფესიულს ნაკლები ყურადღება ეთმობა.

ელინისტური ეპოქის სული მშვენივრად გამოისახა მრავალრიცხოვან ნაგებობაში, რომელთაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ პერგამონის საკურთხეველი, რომელიც ჭეშმარიტად მსოფლიო ხელოვნების შედევრია (გადატანილია გერმანიაში და

დაცულია ბერლინის პერგამონ-მუზეუმში). ასევე საკმაოდ შთამბეჭდავია პერგამონის აკროპოლისის რეკონსტრუქციის შედეგად ჩამოყალიბებული სურათი, რომელიც კარგად გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდ ოსტატობას იჩენდნენ ელინისტური ეპოქის არქიტექტორები კომპლექსურ განაშენიანებაში. საკმაოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე ოპტიმალურად იყო ურთიერთშეთანხმებული სხვადასხვა ხასიათის ნაგებობები — თეატრით დაწყებული თავად პერგამონის საკურთხევლით დასრულებული. მნიშვნელოვანია გათხრები მაკედონიის დედაქალაქ პელაში, სადაც აღმოჩენილია მშვენიერი მოზაიკები. უაღრესად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მილეტოსის ელინისტური ეპოქის ე. წ. სამხრეთ აგორის აღდგენილი მოდელი. ამ ეპოქაში, როგორც ჩანს, სერიოზული ცვლილებები მოხდა თავად ათენშიც, სადაც არაერთი თვალსაჩინო ნაგებობა აიგო. ასევე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ათენის აგორამ.



პერგამონის ზევსის საკურთხეველი

ელინისტური ეპოქის პლასტიკის მწვერვალს აშკარად წარმოადგენს პერგამონის საკურთხევლის სკულპტურული შემკულობა. იგულისხმება ტაძრის ქვედა ნაწილში გადმოტანილი ფრიზი, რომელზეც გამოსახული გიგანტომაქიის სკულპტურული სცენები გარკვეულწილად ალეგორიულ ხასიათს ატარებენ, რადგან ისინი წარმოაჩენენ ცივილიზებული ძალის ველურზე გამარჯვების იდეას. ელინისტური ეპოქის პლასტიკის ცნობილი ნიმუშებია: აფროდიტე მილოსელი (დღემდე კამათია მეცნიერებაში იმის თაობაზე, არის იგი ამ ეპოქაში შექმნილი ქანდაკება, თუ კლასიკურ ეპოქაში დამზადებული სკულპტურის ბრწყინვალე ასლი), „მძინარე სატირი", „ნიკე სამოთრაკიელი" (განთავსებულია პარიზის ლუვრში). ელინისტურ ეპოქაში ძალზე პოპულარული ხდება კონტრასტული ფიგურების ერთ კომპოზიციაში მოქცევის ტენდენცია. ა. მ., დიდ ცხენზე დასმული პატარა ჟოკეი. ამ ეპოქაში იქმნება ეროტიკული შინაარსის მრავალრიცხოვანი სკულპტურა, მათ შორის, რასაკვირველია, აფროდიტე ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს.

საკმაოდ დიდია სკულპტურულ პორტრეტთა რაოდენობა, რომლებიც ამ ეპოქის მმართველთა სახეებს გადმოგვცემენ. როგორც ჩანს, ეს ტენდენცია უკვე ალექსანდრე მაკედონელიდან დაიწყო (რომლის პორტრეტიც ლისიპოსმა შექმნა) და გრძელდებოდა მთელი ელინისტური ეპოქის განმავლობაში.

ელინისტურ ფერწერაზე საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იტალიაში, ჰერკულანეუმსა და პომპეიში აღმოჩენილი ფრესკები. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი დიდი ნაწილი ელინისტური მონუმენტური ფერწერის ტრადიციებს ასახავს, რაზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვიმსჯელებთ.

ნიკე სამოთრაკიელი (ძვ. წ. II ს.). პარიზი. ლუვრი

აფროდიტე მილოსელი (ძვ. წ. II ს.). პარიზი. ლუვრი

## რომაული ხელოვნება

ძვ. წ. I საუკუნიდან მთელი ანტიკური სამყარო, ფაქტობრივად, რომის იმპერიის ფარგლებში ექცევა. ამ პერიოდიდან უკვე საკმაოდ ძნელია მკაცრი მიჯნის დადგენა რომაულ, ბერძნულსა თუ ელინისტურ ხელოვნებას შორის. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ვეებერთელა კულტურული სივრცე, სადაც ხდება მხატვრულ კულტურაში იდეების, ფორმების საკმაოდ სწრაფი გავრცელება. ბერძნული ხელოვნებისაგან განსხვავებით, რომაულ ხელოვნებას ვერ ჩავთვლით ესოდენ თვითმყოფადად. მის ფორმირებაში რამდენიმე უმთავრესმა წყარომ შეასრულა გადამწყვეტი როლი: ე. წ. იტალიკურმა, ეტრუსკულმა და ბერძნულმა ხელოვნებამ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბერძნული ხელოვნების გავლენა.

ანტიკური კულტურის ერთ-ერთ საინტერესო მონაკვეთს წარმოადგენს ეტრუსკული ხელოვნება. მასში საკმაოდ საინტერესოდ არის შეზავებული ეგეოსური და საკუთრივ ბერძნული ტრადიციები, თუმცა ეტრუსკებისაგან რომაელებმა მემკვიდრეობად მიიღეს მათი კულტურისათვის დამახასიათებელი და ბერძნულისაგან განმასხვავებელი რამდენიმე ნიშანი. ეტრუსკული ხელოვნება ვითარდებოდა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრიდან და მან თავისი არსებობა დაამთავრა ეტრუსკთა ისტორიული ასპარეზიდან გასვლის შემდეგ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენამდე საკმაოდ მნიშვნელოვანმა ინფორმაციამ მოაღწია ეტრუსკული ხელოვნების ქმნილებათა სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან თავისი კვალი დატოვა რომაულ კულტურაში, უპირველეს ყოვლისა, რომაულ არქიტექტურასა და პლასტიკაში. ეტრუსკული ქანდაკება და ფერწერა გარკვეულ მსგავსებას გვიჩვენებს ბერძნულთან, მაგრამ, ამასთანავე, მისგან გამოირჩევა გამოკვეთილი ექსპრესიულობით. დიდი ხნის განმავლობაში ეტრუსკული ხელოვნება ბერძნულთან შედარებით უფრო დაბალი დონის ხელოვნებად მიაჩნდათ, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. დღეს ხელოვნებათმცოდნეობაში აღიარებენ, რომ ეტრუსკულ ხელოვნებაში სავსებით შეგნებულად არის დარღვეული ფორმის რეალიზმისა და ნაწილთა ჰარმონიულობის პრინციპი, რითაც უფრო უკეთესად გადმოიცემა განწყობილება, დინამიკა.

ჩვენამდე მოღწეული მასალის მიხედვით ეტრუსკული კულტურის რამდენიმე ასპექტზე შეიძლება გავამახვილოთ ყურადღება: არქიტექტურის სფეროში განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ეტრუსკული სამარხები. გამოირჩევა სამარხთა ორი ტიპი: ე. წ. გუმბა-

თოვანი სამარხები, ანუ თოლოსები და სამარხი-გამოქვაბულები, ანუ ტომბები. ისინი მშენებლობის საკმაოდ მაღალ კულტურას გვიჩვენებენ და ძალზე საინტერესო პარალელებს პოულობენ ამავე ეპოქის წინა აზიის არქიტექტურასთან. ეტრურიაში, როგორც ჩანს, მიცვალებულთა კულტს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც მრავალრიცხოვანი ნეკროპოლისი გვიდასტურებს. ზოგიერთი მათგანი აშკარად გამოქვაბულთა თუ თოლოსთა სისტემას წარმოადგენდა. ისინი შეიძლება გავიაზროთ როგორც მიცვალებულთა მთელი ქალაქები. სნორედ სამარხებმა შემოგვინახეს ეტრუსკული პლასტიკისა და ფერწერის საინტერესო ნიმუშები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არქაული და კლასიკური ბერძნული ფერწერის შესახებ ჩვენი წარმოდგენა, ძირითადად, კერამიკით შემოიფარგლება, შეიძლება ითქვას, რომ სამარხების ფრესკული ფერწერა ეტრურიაში თავისი მნიშვნელობით მართლაც უნიკალურია. ეს ფრესკები წარმოგვიდგენდნენ იმ ქეიფისა და დროსტარების საოცრად ხალისიან სურათებს, რასაც, ეტრუსკთა წარმოდგენით, გარდაცვლილთა სულები აგრძელებენ საიქიო ცხოვრებაში. ყურადღებას იპყრობს სალამურზე დამკვრელთა თითების საოცრად დიდი ზომა ან მროკავთა სხეულის ნაწილების აშკარად არაჰარმონიული ურთიერთშეხამება, რაც მშვენივრად გადმოსცემს მოქმედების ექსპრესიულობას. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით ეტრუსკული ხელოვნება საკმაოდ საინტერესო პარალელებს გვიჩვენებს XX საუკუნეში აღმოცენებული ხელოვნების თანამედროვე მიმართულებასთან, რომელიც ექსპრესიონიზმის სახელით არის ცნობილი და რომელიც ბუნებრივი ფორმის შეგნებული დარღვევის შედეგად აღწევს მაქსიმალურ გამომხატველობასა და დინამიკას. ეტრუსკული ხელოვნების განვითარების ბოლოს აშკარად იგრძნობა ბერძნული გავლენის გაძლიერება და იგი თანდათანობით კარგავს თავის თვითმყოფადობას. რომაულმა კულტურამ ენის დონეზეც საკმაოდ ბევრი ლექსიკური ფორმატივი შეითვისა ეტრუსკულისაგან. საკმარისია აღინიშნოს, რომ ლათინურ ენაში მშენებლობასთან, არქიტექტურასთან დაკავშირებული არაერთი ტერმინი ეტრუსკული წარმოშობისაა.



ეტრუსკული სარკოფაგი კერედან ტახტზე წამოწოლილი წყვილის გამოსახულებით (ძვ. წ. VI ს.). რომი. ვილა ჯულია

რომაულ ხელოვნებაზე უთუოდ დიდი გავლენა მოახდინა ბერძნულმა ხელოვნებამ. თავისთავად ის ფაქტი, რომ მთელი ბერძნულენოვანი სამყარო გარკვეული პერიოდიდან რომის იმპერიის ფარგლებში მოექცა, აშკარას ხდის იმას, რომ რომაული ხელოვნების განვითარების კანონზომიერებანი, არსებითად, საერთოდ ანტიკური ხელოვნების განვითარების ძირითად მიმართულებებს გამოხატავს. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომაულ ხელოვნებას არ ახასიათებს ის თავისებურებანი, რომელნიც მას ბერძნულისაგან გამოარჩევენ. თუკი საკითხს ქრონოლოგიური თვალსაზრისით მივუდგებით და რომაულ ხელოვნებას ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ აქ აშკარად იკვეთება ორი ფაზა: 1. როდესაც რომაული ხელოვნება მეფეთა ეპოქის დასასრულამდე, ძლიერი ეტრუსკული გავლენის მიუხედავად, თვითმყოფადობის შედარებით მეტ ნიშნებს ამჟღავნებდა, რასაც ნათელყოფენ არქეოლოგიური აღმოჩენები; 2. როდესაც იგი სულ უფრო და უფრო მეტად ექცევა ბერძნული ხელოვნების გავლენის ქვეშ, მაგრამ, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ახალი რეალობებიდან გამომდინარე, ხელოვნების ყველა სფეროში იმ ტენდენციებს ქმნის, რომელთაც ჭეშმარიტად რომაული შეგვიძლია ვუწოდოთ.

## რომის მაკეტი



1. კესტიუსის ხიდი, 2. ტიბერინუსის კუნძული, 3. ფაბრიციუსის ხიდი, 4. ემილიუსის ხიდი, 5. ბოარიუსის ფორუმი, 6. გამარჯვებული ჰერკულესის ტაძარი, 7. იანუსი, 8. მარკელუსის თეატრი, 9. ოლიტორიუსის ფორუმი, 10. კაპიტოლიური იუპიტერის ტაძარი, 11. იულიას ტაძარი, 12. სეპტიმიუს სევერუსის თაღი, 13. კურია, 14. ემილიუსის ტაძარი, 15. ანტონინუსის ტაძარი, 16. რომულუსის ტაძარი-როტონდა, 17. მშვიდობის ტაძარი, 18. მაკსენტიუსის ტაძარი, 19. ვენუსისა და რომის ტაძარი, 20. ელიოგაბალის ტაძარი, 21. კიბელიუსის ტაძარი, 22. აპოლონის ტაძარი პალატინუმის ბორცვზე, 23. ჰადრიანუსის სახლი, 24. ავგუსტუსის სახლი, 25. დომიციანუსის იპოდრომი, 26. სეპტიმიუს სევერუსის თერმები, 27. სეპტიმიუს სევერუსის სასახლე, 28. სეპტიზოდიუმი, 29. მაქსიმუსის არენა, 30. კლავდიუსის აკვა, 31. კონსტანტინეს თაღი, 32. ნერონის კოლოსეუმი, 33. კოლოსეუმი, 34. ტიტუსის თერმები, 35. ტრაიანუსის თერმები, 36. კლავდიუს დიდის ტაძარი.

რომაული ხელოვნების ისტორიაში, ჩვეულებრივ, რამდენიმე პერიოდს გამოყოფენ: 1. საწყისების ხანა (ძვ. წ. X-VII საუკუნეები), როდესაც აშკარად იგრძნობა წინაიტალიკური თუ იტალიკური კულტურების გავლენა; 2. ე. წ. მეფეთა ხანა (ძვ. წ. VI ს.). ამ დროს რომი, როგორც არქეოლოგიური მონაცემები გვიდასტურებენ, აშკარად ეტრუსკული იერის მქონე დასახლების ფორმას იღებს; 3. ადრეული რესპუბლიკა (ძვ. წ. V ს.). როგორც ჩანს, ამ პერიოდში ეყრება საფუძველი რომაული არქიტექტურისა და ხელოვნების აღმავლობას. იკვეთება ის ტენდენციები, რომლებიც აშკარად უკვე ბერძნული კულტურის გავლენის შემდგომ გაძლიერებაზე მიგვანიშნებს. ეს ტენდენციები ე. წ. შუარესპუბლიკის პერიოდში (ძვ. წ. IV-III სს.) კიდევ უფრო ძლიერდება. ამ დროს ჩნდება უკვე არაერთი ცნობილი ნაგებობა რომშიც და სხვა დასახლებებშიც, რომლებიც რესპუბლიკური რომის გამგებლობაში შედიოდნენ. გვიანრესპუბლიკის ხანიდან კი უკვე იწყება სერიოზული ზრუნვა ურბანისტიკისა და არქიტექტურის განვითარებაზე. ელინისტური სამყაროს სტილი საკმაოდ მძლავრ გავლენას ახდენს რომაული ხელოვნების ყველა სფეროზე. ამის საუკეთესო მაგალითი არის ახ. წ. 62/63 წლებში ვულკანური ამოფრქვევის შედეგად ლავის ქვეშ მოქცეული ორი ქალაქის, პომპეისა და ჰერკულანეუმის შესწავლა. ბუნებრივი კატასტროფით გამოწვეულმა ტრაგედიამ კაცობრიობას შემოუნახა ორი ქალაქი, რომელიც უკვე ეტრუსკულ პერიოდში საკმაოდ სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, ხოლო რესპუბლიკური ხანის მიწურულიდან კი აშკარად მთლიანად რომაულ არეალში იყო მოქცეული. ისინი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმის შესახებ, თუ რამდენად ახლოს იყო ცნობილ ელინისტურ დასახლებებთან ამ პერიოდის რომაული ურბანისტიკის პრინციპები, ფრესკული ფერწერა და არქიტექტურა. ავგუსტუსის მმართველობის პერიოდიდან უკვე პრინციპატის ხანა იწყება და, შეიძლება ითქვას, რომ იმპერიის თითოეული დინასტია თავის კვალს ამჩნევს არქიტექტურისა და ხელოვნების განვითარებას (ამ დინასტიებზე ისტორიის თავში უკვე გვქონდა მსჯელობა). ძალზე რელიეფურად აირეკლა ამ დინასტიების წვლილი რომაული ხელოვნების განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, ურბანისტიკაში, რადგან თითოეული მათგანი, თითოეული კეისარი ცდილობდა, თავისი კვალი დაეტოვებინა და მატერიალური ძეგლების საშუალებით, გარკვეულწილად, უკვდავეყო საკუთარი მმართველობის პერიოდი. ამის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ფორუმების სისტემა რომში.

შეიძლება ითქვას, რომ ავგუსტუსის ეპოქიდან მოყოლებული რომი მსოფლიოს უდიდეს ქალაქად გადაიქცა. მისი მოსახლეობა მილიონ ადამიანს მაინც მოიცავდა. ბუნებრივია, ქალაქის მშენებლობას და მის მუდმივ განვითარებას გარკვეული პერიოდიდან საკმაოდ გეგმაზომიერი ხასიათი ეძლეოდა და აქ არქიტექტორთა თუ ხელოვანთა გარკვეული კონცეფციების რეალიზაცია ხდებოდა. ისევე როგორც ბერძნულ ქალაქებში აგორა, რომში ცენტრს წარმოადგენდა ფორუმი ანუ ე. წ. ოფიციალური ნაგებობებით დაკომპლექტებული ქალაქის ნაწილი, რომლის მასშტაბებიც ქალაქის ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა (რომის ფორუმზე ლაპარაკი სპეციალურ თავში გვექნება).

რომაული არქიტექტურის აშკარად გამორჩეულ ფორმას წარმოადგენს აკვედუკი ანუ ქალაქებისათვის წყლის მიწოდების ნაგებობათა სისტემა. აკვედუკი წარმოადგენდა გრანდიოზულ ნაგებობებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იყო საკმაოდ დაშორებული ადგილებიდან ქალაქის წყლით მომარაგება.

რომმა ბერძნული სამყაროსაგან მიიღო თეატრებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობის ტრადიცია, თუმცა მასში გარკვეული კორექტივები შეიტანა.

განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა რომში, შესაძლოა, ეტრუსკული კულტურიდან შეთვისებულმა არქიტექტურულმა ფორმამ, რომელსაც ძველად არენებს უწოდებდნენ და რომლებზედაც გლადიატორთა ბრძოლები იმართებოდა. ეს სანახაობა თანდათანობით სულ უფრო და უფრო კომპლექსური ხდებოდა. ანტიკურობის უდიდესი ამფითეატრი იყო

რომის კოლოსეუმი, რომელიც რომის ფორუმის მახლობლად მდებარეობდა. რომის იმპერიაში მრავლად შენდებოდა მსგავსი არენები. მათგან ყველაზე კარგად არის შემონახული ამფითეატრი ვერონაში, სადაც დღესაც იმართება გრანდიოზული საოპერო თუ თეატრალური ფესტივალები.

მასობრივი სანახაობებისათვის კიდევ ერთი არქიტექტურული ფორმა იყო — კირკუსი Circus („წრე"), საიდანაც წარმოდგება დღევანდელი ტერმინი *ცირკი*. მათ შორის ყველაზე ცნობილი და მასშტაბური იყო რომის Circus Maximus. ცირკუსი წარმოადგენდა ბერძნული ჰიპოდრომოსის რომაულ ვარიანტს. ასეთი ნაგებობების არსებობა რომში უკვე მეფეთა ხანიდან დასტურდება. ცირკუსის ფორმა თანდათანობით ფართოვდებოდა. მან განვითარების რამდენიმე სტადია გაიარა და კირკუს მაქსიმუსი, ბოლოს და ბოლოს, ჩამოყალიბდა როგორც რომის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შთამბეჭდავი და მონუმენტური ნაგებობა, რომელიც ასპარეზის გარდა, სადაც იმართებოდა სხვადასხვა სახის შეჯიბრება, მრავალ ისეთ ტექნიკურ ნაგებობასა თუ მოწყობილობას შეიცავდა, რომელიც მისი მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა.

რომაული არქიტექტურის მნიშვნელოვან ძეგლებს წარმოადგენდნენ ის გრანდიოზული სასახლეები, რომლებსაც თითქმის ყველა კეისარი აგებდა. არანაკლებ შთამბეჭდავი იყო ე. წ. ვილები ანუ ქალაქგარეთ აგებული კომპლექსები, რომლებიც დღესაც გვაოცებენ თავიანთი მასშტაბებითა და დახვეწილობით. საკმარისია, ვიხილოთ რომის მახლობლად მდებარე ჰადრიანუსის ვილის ნანგრევები, რომ სრული შთაბეჭდილება შეგვექმნება, თუ რაოდენ რთულ, მაგრამ მოწესრიგებულ კომპლექსებს წარმოადგენდნენ ამგვარი ნაგებობები.

რომაული არქიტექტურის ერთ-ერთ საინტერესო სახეობას წარმოადგენს პანთეონი. ეს სიტყვა ბერძნული წარმომავლობისაა და ნიშნავს „ყველა ღმერთი". ყველაზე ცნობილი ამგვარი ნაგებობა არის რომის პანთეონი, რომელიც აგებულია ახ. წ. 118-128 წლებს შორის ჰადრიანუსის მმართველობის დროს (ძვ. წ. 27-25 წლებში აქ აგებული ტაძრის სანაცვლოდ, რომელიც ძვ. წ. 110 წელს გაანადგურა მეხმა). იგი შედგება ცილინდრის ფორმის კელასაგან (ცელასაგან), ცენტრალური ოთახისკენ მიმართული წაგრძელებული შესასვლელისაგან ანუ პრონაოსისაგან. ფასადის მხარეს განლაგებულია რვა სვეტი. მას აქვს გრანდიოზული გუმბათოვანი გადახურვა. პანთეონი არის ძველი რომის ჩვენამდე სრული სახით მოღწეული ერთადერთი ნაგებობა, ამგვარი გადახურვის მქონე ანტიკურობის ყველაზე მაღალი შენობა (სიმაღლე 43 მ.), რომელიც დღესაც გვაოცებს თავისი მდგრადობით და თაღოვანი გადახურვის მასშტაბურობით.

საკმაოდ მაღალი იყო ანტიკურ სამყაროში ე. წ. საზოგადოებრივი ანუ საქალაქო აბანოების კულტურა. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებულ ბრწყინვალებას მიაღწიეს რომის აბანოებმა. აბანოები იყო არა მარტო ჰიგიენური ფუნქციის მქონე ნაგებობები, არამედ აქ ხვდებოდნენ ადამიანები ერთმანეთს და თავს საუბრით იქცევდნენ. ზოგიერთი აბანოს მასშტაბები ჭეშმარიტად გრანდიოზული იყო და მისი სხვადასხვა ფუნქციის მქონე დარბაზები საუკეთესო პირობებს უქმნიდნენ მათ, ვისაც თერმებისკენ მიუწევდა გული. მრავალი ასეთი აბანო არის ცნობილი. ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი კი არის კარაკალას თერმები. უფრო დაწვრილებით მათ შესახებ სპეციალურ თავში გვექნება ლაპარაკი.

რომაულ ურბანისტიკაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა ე. წ. თაღების არქიტექტურული ფორმა. ბუნებრივია, ეს არ იყო რომის ხუროთმოძღვართა გამოგონება, სხვადასხვა ტიპის თაღები ცნობილი იყო ძველ აღმოსავლეთშიც. აღსანიშნავია განსაკუთრებით ის თაღები, რომლებიც ქალაქის ან მნიშვნელოვანი ადგილის კარიბჭეს ქმნიდნენ. ასეთი თაღებით მოფენილი იყო რომი და იმპერიის არაერთი სხვა ქალაქი.

რასაკვირველია, არქიტექტურა რომში არ ამოიწურებოდა მხოლოდ ცალკეული ნაგებობის ბრწყინვალებით. უდიდესი ყურადღება ექცეოდა ქალაქების განაშენიანებას და მათ დაგეგმარებას. ბუნებრივია, ქალაქები საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა, ემატე-

ბოდა ახალ-ახალი ნაგებობები, მაგრამ ყოველივე ეს კეთდებოდა მეტწილად საკმაოდ გააზრებულად და არქიტექტურული ჰარმონიის ყველა წესების გათვალისწინებით. თუკი ანტიკური რომის მთლიან განაშენიანებაზე დღეს მხოლოდ ამა თუ იმ სპეციალისტის მიერ შემოთავაზებული რეკონსტრუქციის საშუალებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ და წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო მსოფლიო იმპერიის უდიდესი ქალაქი, გაცილებით უფრო თამამად შეგვიძლია ვილაპარაკოთ საშუალო და მცირე ზომის რომაულ დასახლებებზე პომპეისა და ჰერკულანეუმის ფერფლში მოქცეული ნაგებობების გათვალისწინებით.



I სტილი: სალუსტიუსის სახლის ატრიუმი

II სტილი: მისტერიათა ვილა



III სტილი: შეყვარებულთა სახლის ტრიკლინიუსი



IV სტილი: ვეტიუსთა სახლის ტრიკლინიუსი

დღესაც გაოცებას იწვევს, თუ რაოდენ ოსტატურად იყო დაგეგმილი ეს დასახლებები, რომლებშიც, მიუხედავად მათი სიდიდისა, გათვალისწინებული იყო დასახლების ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ელემენტი, დაწყებული წყალგაყვანილობითა და ცალკეული დანიშნულების მქონე კერძო ნაგებობით, დამთავრებული საკულტო-საზოგადოებრივი ნაგებობებითა და სააღმზრდელო კერებით. ა. მ., ჰერკულანეუმი, რომელიც, ალბათ, თავისი მოცულობით ერთ-ერთ მოკრძალებულ ქალაქს წარმოადგენდა, გვაოცებს თავისი დახვეწილი ნაგებობებით, ოთახების ფრესკული შემკულობით და ამ ნაგებობათა საოცრად გონივრული განლაგებით მთელ ქალაქში. საგულისხმოა, რომ პომპეის, რომელიც აშკარად ვერ ჩაითვლებოდა რომის იმპერიის მნიშვნელოვან ქალაქად, ჰქონდა თავისი ამფითეატრი, თეატრი, თერმები, სასტუმროები, გასართობი ადგილები.

რომაული ხელოვნების თავისებურება საკმაოდ კარგად გამოიხატა პლასტიკაში და განსაკუთრებით პორტრეტულ ხელოვნებაში. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ბერძნული და ელინისტური ხელოვნების ძლიერი გავლენისა, რომაული პორტრეტი უფრო შორს წავიდა რეალიზმის მიმართულებით და მრავალ შემთხვევაში ობიექტის გამოსახვის სიზუსტის ხარისხით თითქმის ნატურალისტურიც კი გახდა. რამდენადაც მოღწეული მასალის სიმწირის გამო ჩვენი წარმოდგენა ბერძნული ფერწერის შესახებ ერთობ შეზღუდული იყო, რასაკვირველია, საერთოდ ანტიკურ მონუმენტურ ფერწერაზე შთაბეჭდილების შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეტრუსკულ ფრესკებთან ერთად ჰერკულანეუმსა და პომპეიში ესოდენ უხვად შემორჩენილ ფერწერულ ინფორმაციას. პომპეის ფრესკული ფერწერის ანალიზი საკმაოდ ნათლად გამოკვეთს იმას, რომ აქ სტილმა განვითარების გარკვეული ფაზები განვლო. ხელოვნების ისტორიაში ე. წ. ოთხ პომპეურ სტილს გამოყოფენ: პირველი პომპეური სტილი (ძვ. წ. 150-80), რომელსაც ინკრუსტირებულ ან სტრუქტურულ სტილს უწოდებენ, იმით ხასიათდებოდა, რომ ფერწერით ახდენდა სამშენებლო მასალის იმიტაციას, მაგალითად, მარმარილოს ფილებისას და ა. შ. მეორე სტილი (ძვ. წ. 80 – ახ. წ. 14), გარკვეულწილად, პირველი სტილის ელემენტებს შეიცავდა, რამდენადაც კედელზე კვლავ მარმარილოს მსგავსი პანელები იხატებოდა, თუმცა, პირველი სტილისაგან განსხვავებით, კედლები სამგანზომილებიანი გამოსახულებებითაც იმკობოდა. მესამე სტილს (ახ. წ. 14-62) უწოდებენ ზოგჯერ ეგვიპტიზებულ, ზოგჯერ ორნამენტულ სტილს. იგი უპირატესობას ანიჭებდა ძალზე დეტალურად და ოსტატურად გამოყვანილ ორნამენტებს. ხოლო მეოთხე სტილი (იწყება ახ. წ. 62 წლიდან) გამოირჩევა ფანტასტიკური ფორმების გამოსახვით, რომლებშიც საკმაოდ ინტენსიურად არის გამოყენებული ორნამენტული ელემენტებიც.

სწორედ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გავლენების გამო იყო რომაული ხელოვნებისათვის ესოდენ დამახასიათებელი ეკლექტიზმი. ამიტომ თავად რომშიც კი აშკარად ანტიკური სტილით აშენებული ნაგებობების გვერდით შეიძლებოდა გვეხილა ეგვიპტური პირამიდა ან უჩვეულო არქიტექტურული ფორმის მქონე შენობები. იგივე შეიძლება ითქვას ფერწერაზეც, სადაც ძალზე აქტიურად აისახა ე. წ. აღმოსავლური თემატიკა.

გვიანანტიკური ეპოქის ანტიკურ ხელოვნებაში ერთგვარი სქემატიზაცია შეინიშნება, რაც თავს იჩენს როგორც პლასტიკაში, ასევე მოზაიკურსა თუ ჩვეულებრივ ფერწერაში, ხოლო სანთლის ცვილით შესრულებული ე. წ. ფაიუმის პორტრეტები აშკარად დომინანტურს ხდიან ადამიანის სახეს, კერძოდ, მის თვალებს. ყოველივე ეს უკვე ასახავს იმ გავლენას, რასაც ქრისტიანული იდეოლოგია ახდენდა ხელოვნებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული ხელოვნების პრინციპები მრავალი საუკუნის განმავლობაში გარკვეულწილად უპირისპირდებოდა ანტიკური ხელოვნების პრინციპებს, შეიძლება ითქვას, რომ ჰუმანიზმისა და რენესანსის ეპოქიდან მოყოლებული ანტიკურობამ ხელოვნების სფეროში ჭეშმარიტი აღორძინება განიცადა და ანტიკურ ნიმუშთა გავლენამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ევროპული ხელოვნების შემდგომ განვითარებაში.

# ლიტერატურა


## ზოგადი ლიტერატურა

- H. W. Janson, History of Art. A Survey of the Maior Visual Arts from the Dawn of History to the Present Day, New York 1977[2].
- R. Humann, Geschichte der Kunst von der Vorgeschichte bis zur Spätantike, Bd. I, Berlin 1957.
- G. Zinserling, Abriss der griechischen und römischen Kunst, Leipzig 1970.
- А. П. Чубова, А. П. Иванова, Античная живопись, Москва 1966.

## ეგეოსური ხელოვნება

- Ю. Д. Колпинский, Великое наследие античной Эллады, Москва 1977.
- А. И. Вощинина, Античное искусство, Исторический очерк, Москва 1962.
- S. Hood, The Arts in Prehistoric Greece, Harmondsworth, 1978.
- A. Edey (ed.), Lost World of the Aegean, Nederland 1979.
- H.-G. Buchholz, V. Karageorghis, Altägäis und Altkypros, Leipzig 1972.
- Эгейское искусство (სერიაში: Искусство стран и народов мира), Москва 1972.
- Н. А. Сидорова, Искусство эгейского мира, Москва 1972.
- G. E. Mylonas, Mykene. Ein Führer zu seinen Ruinen und seine Geschichte, Athens 1981.
- F. Matz, La Crète et la Grèce primitive, Paris 1962.
- Ch. G. Doumas, Santorini. The Prehistoric City of Akroteri, Athens, s. a.

## ბერძნული ხელოვნება

- Th. von Scheffer, Die Kultur der Griechen, Leipzig, s. a.
- Б. Р. Виппер, Искусство древней Греции, Москва 1972.
- J. Boardman, J. Dörig, W. Fuchs, Die griechische Kunst, München 1966.
- M. Robertson, A History of Greek Art, London 1975.
- J. Boardman, Greek Art, London 1973.
- A. H. Borbein, Das alte Griechenland, München 1995.
- P. Demargne, Die Geburt der griechischen Kunst, München 1975[2].
- F. Matz, Geschichte der griechischen Kunst. I. Die geometrische und früharchaische Form, Frankfurt a. M. 1950.
- J. Charbonneaux, R. Martin, F. Vilard, Das hellenistische Griechenland, München 1988.
- Ю. Д. Колпинский, Скульптура древней Эллады, Москва 1963.
- М. Алпатов, Художественные проблемы искусства древней Греции, Москва 1987.
- Greek Sculpture, Text and Notes by R. Lullies, New York 1960.
- H. Lauter, Die Architektur des Hellenismus, Darmstadt 1986.
- E. Simon, Die griechischen Vasen, München 1981.
- R. Lullies, Griechische Plastik, München 1979[4].
- G. Gruben, Die Tempel der Griechen, Darmstadt 1986[4].

## რომაული ხელოვნება

- J. M. C. Toynbee, The Art of the Romans, London 1965.
- R. Bianchi Bandinelli, Die römische Kunst, München 1975.
- G. v. Kaschnitz-Weinberg, Römische Kunst I-IV, Reinbek bei Hamburg 1961-1963.
- N. H. Ramage, A. Ramage, Römische Kunst. von Romulus zu Konstantin, Köln 1999.
- O. J. Brendel, Prolegomena to the Study of Roman Art, New Haven, London 1979.
- M. Wheeler, Roman Art and Architecture, London 1976.

- C. V. Gasline, Рим и Ватикан, Марни-Терни, s. a.
- А. К. Капричечи, Помпеи. Путешествие в далекое прошлое, Неаполь 1997.
- G. Giubelli, Herkulaneum, Napoli, s. a.
- T. Hölscher, Römische Bildsprache als semantisches System, Heidelberg 1987.
- A. Effenberger, Frühchristliche Kunst und Kultur, München 1986.


ეტრუსკული ხელოვნება


- А. П. Чубова, Этрусское искусство. Живопись. Скульптура. Прикладное искусство, Москва 1972.
- Н. М. Лосева, Н. А. Сидорова, Искусство Этрурии и древней Италии, Москва 1988.
- Die Welt der Etrusker, Berlin 1988 (გამოფენის კატალოგი).
- Das Land der Etrusker, hg. v. S. Settis, Milano 1997.

# რელიგია და მითოლოგია

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ყველასათვის ნათელია, თუ რას მოიცავს ცნება *რელიგია*, შეიძლება ითქვას, რომ ძველი სამყაროს მიმართ ამ ტერმინის გამოყენებისას ბევრად განსხვავებული ვითარება გვაქვს, ვიდრე, მაგალითად, ქრისტიანობის შემთხვევაში. თავად სიტყვა რელიგია ჩვენთვის ცნობილი მნიშვნელობით მხოლოდ ახ. წ. XVIII საუკუნიდან იქნა შემოღებული, ხოლო ანტიკურობაში ამ ცნების გადმოცემა სხვადასხვა ტერმინებს ეკისრებოდა. თუკი რელიგიად მივიჩნევთ ადამიანების რწმენას, რომ არსებობს ღვთიური ძალები ან ღმერთები და რომ მათთან მიმართება მოითხოვს გარკვეული რიტუალების შესრულებას, შეიძლება ითქვას, რომ რელიგიის ფესვები საკმაოდ ღრმად არის გამჯდარი კაცობრიობის ისტორიაში. ჯერ კიდევ ბერძნებამდე და რომაელებამდე ამ თვალსაზრისით საკმაოდ შორს იყვნენ წასულნი ეგვიპტელები, შუმერები, აქადელები, ხეთები და ა. შ.

რაც შეეხება ანტიკურობას, რომელშიც საკმაოდ ადრე იკვეთება კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნების პრინციპები, აქ ღმერთებისადმი დამოკიდებულება ერთობ წინააღმდეგობრივ ხასიათს გვიჩვენებს. იგი მოიცავს, ერთი მხრივ, ტრადიციული ღმერთების არსებობის რწმენას, მეორე მხრივ, ლტოლვას, ეს რწმენა ფილოსოფიურად იქნეს გააზრებული და „მეცნიერულად" დასაბუთებული ან უარყოფილი.

სწორედ ამის გამო რელიგიურ ცხოვრებას ანტიკურ სამყაროში არ ჰქონია ისეთი გამოკვეთილი ხასიათი, რომ საზოგადოებაში მკვეთრად გაემიჯნათ ერთმანეთისაგან ღვთისმსახურები და საერო პირები. მართალია, ანტიკური ხანის ადამიანის ცხოვრებაში რელიგია საკმაოდ ღრმად იყო გამჯდარი, მაგრამ სასულიერო და საერო ცხოვრების ამგვარი გამიჯვნა აქ არ ატარებდა პრინციპულ ხასიათს.

**საბერძნეთი.** ბერძნულ ენაში თანამედროვე ტერმინ რელიგიასთან მიახლოებული მნიშვნელობით გამოიყენებოდა ორი ლექსიკური ფორმატივი: εὐσέβεια და θρησκεία. უკანასკნელი საკმაოდ იშვიათად გვხვდება და იგი აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია ღმერთებთან, ტაძრებთან, საკურთხევლებთან და ა. შ., ამასთანავე აღნიშნავს კულტს, როგორც რიტუალების ერთობლიობას. უფრო გავრცელებულია ტერმინი εὐσέβεια („კრძალვა, ღვთისმოშიშობა" < σέβειν).

როგორც ჩანს, ბერძნულში იყო კიდევ ერთი ტერმინი δεισιδαιμονία, რომელიც, არსებითად, გადმოსცემს „შიშს ზეადამიანური ძალების წინაშე". შემდგომ იუდაიზმსა და ქრისტიანობაში, როგორც ცნობილია, ღვთის შიში (φόβος θεοῦ / timor domini), პოზიტიურ მნიშვნელობას იძენს, ხოლო ჩვენ მიერ მოხსენიებული δεισιδαιμονία კი, არსებითად – ულმრთობისას.

ადგილები, რომლებიც მხოლოდ კულტს ემსახურებიან, არის ტაძრები და საკურთხეველები. მათ მიმართ ყველაზე ხშირად გამოიყენება ტერმინი ἱερός („წმინდა"). აქედან არის ქურუმის აღმნიშვნელი ტერმინი ἱερεύς, რომელიც, არსებითად, გულისხმობს იმ საქმის მცოდნეს, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს ადამიანი ღმერთის „ჩრდილში". მეორე ტერმინი ὅσιος აღნიშნავს იმას, რაც ღმერთებს მოსწონთ. საინტერესოა, რომ ბერძნულ ენაში ორ გამოთქმას შორის ἱερὰ χρήματα და ὅσια χρήματα არსებითი განსხვავებაა: პირველი აღნიშნავს ღმერთის კუთვნილ სახსრებს, ხოლო მეორე სახსრებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სახელმწიფომ ღვთაებრივი წესრიგის ფარგლებში. კიდევ ერთი ტერმინი არის

ἁγνός, რომელიც წარმოდგება ზმნისაგან ἅζομαι, რაც გულისხმობს „შიშს, კრძალვას ღმერთების წინაშე".

რასაკვირველია, ბერძნულ რელიგიაში ძალზე მნიშვნელოვანი იყო რიტუალი, რის აღსანიშნავადაც გამოიყენება ტერმინები: τελεταί (τέλος — „მიზანი", τελέω — „სრულქმნა"), δρώμενα, რასაც ადამიანი აკეთებს ან νομιζόμενα, რასაც ადამიანი აკეთებს ტრადიციის თანახმად. ძველი ბერძენისათვის რიტუალები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. სულერთია, იგი იმყოფებოდა სუფრასთან, სიმპოსიონებზე თუ სხვადასხვა ხასიათის შეკრებებზე, ბერძენი თავს მოვალედ თვლიდა, შეესრულებინა გარკვეული რიტუალი. თუ რამდენად შორს მიმავალია ეს ტრადიცია, საკმაოდ კარგად ჩანს ჰომეროსის ეპოსში, რომელიც ამ რიტუალების ფართო სპექტრს წარმოგვიდგენს.

ყველაზე უფრო გავრცელებული იყო რიტუალები, რომლებიც მსხვერპლშეწირვის ფორმით სრულდებოდა. ამ შემთხვევაში გვაქვს საოცარი მრავალფეროვნება დაწყებული ყველაზე უფრო სისხლიანი მსხვერპლშეწირვით, როდესაც ცხოველის ან სულაც ადამიანის სისხლის დაღვრაა აუცილებელი, დამთავრებული ყველაზე უფრო მშვიდობიანით — ხილის ან ნამცხვრის შეწირვით.

რიტუალის გავრცელებული ფორმა არის ვედრება. ეს იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა იყო ანტიკური საზოგადოებისათვის, რომ ჰომეროსიდან მოყოლებული მაინც მისთვის სპეციალური ლექსიკური ფორმატივი εὐχή (ბერძნ. ზმნიდან εὔχομαι) გამოიყენებოდა, რომელიც, ძირითადად, ღვთაებისადმი მიმართვას აღნიშნავდა. ანტიკური ვედრებები გარკვეულ სტრუქტურას შეიცავდნენ. ჩვეულებრივ ისინი სამი ნაწილისაგან შედგებოდნენ: 1. მიმართვა იმ ღმერთებისადმი, რომელთა თანადგომასაც საჭიროებდა ადამიანი. იგი გამოიხატა შემდგომ ლათინური ტერმინით (invocatio); 2. ე. წ. ნარატიული ნაწილი (pars epica), რომელშიც მავედრებელი იხსენებდა იმას, რაც მომხდარა ადრე ვედრების დროს; 3. კონკრეტული სურვილი (preces), რომლის აღსრულებასაც თხოულობს მავედრებელი. ვედრების ეს ფორმა გამოიყენებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც. ვედრების პოეტური ხორცშესხმის შესანიშნავი მაგალითია საფოს „ჰიმნი აფროდიტეს". ვედრება შეიძლება განვასხვავოთ ჰიმნისაგან ფორმალურად და შინაარსობრივადაც. ჰიმნი წარმოადგენს ვედრების მხატვრულ-საკულტო ფორმით გამოხატვის საშუალებას, ხოლო ჩვეულებრივი ადამიანის ვედრება შეიძლება შორს იყოს პოეზიისაგან.

რიტუალებს შორის მნიშვნელოვანი იყო ე. წ. განწმენდის რიტუალები, რაც, ძირითადად, რაღაც ნამოქმედარის ჩამორეცხვას, მისგან განთავისუფლებას გულისხმობდა. იგი შეიძლება განხორციელებულიყო განბანვით, გარეცხვით და სხვა საშუალებით.

მრავალი რიტუალი არის დაკავშირებული სპეციალურ წმინდა ადგილებთან: ტემენოსთან, ტაძართან, ჭალასთან, სადაც იგი აღსრულდება ხოლმე. ამგვარი ადგილები ადამიანთა რწმენით მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყო ღვთაებასთან. ტრადიციის მიხედვით, ტაძრის ადგილმდებარეობა შეიძლებოდა დაკავშირებული ყოფილიყო გადმოცემასთან, რომ ღმერთი ამ კონკრეტულ ადგილთან რაღაც მიმართებას გვიჩვენებს. თუმცა ტაძრები ასევე შეიძლება აგებული ყოფილიყო ქალაქის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილას, ცენტრალურ მოედანზეც კი. ამის კარგი მაგალითია პართენონი, ტაძრები აგორაზე და ა. შ.

წმინდა ადგილთა ერთი ნაწილი მოშორებულია ქალაქს, რაც მეტწილად გამართლებულია იმით, რომ ადამიანს იქ სურს ღმერთთან სავსებით სპეციფიკური კონტაქტი დაამყაროს, რომელსაც „დივინაციური კონტაქტი" შეიძლება ვუწოდოთ, რის შემდეგაც ადამიანი შეიტყობს მისნობას. ასეთი ფუნქციის მქონე ცნობილი ადგილები იყო დელფოში, დოდონაში და სხვ. წმინდა ადგილის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს ჭალა, რომელიც დაფარულია ხეებით, თუმცა აქ არ მოიაზრება ტაძარი. ამგვარი ჭალები შეიძლება მდებარეობდეს თავად ქალაქში ან ქალაქგარეთ. მიიჩნეოდა, რომ ამ ჭალის ყველა ხე და მცენარე ღმერთის საკუთრებას წარმოადგენდა და, ამდენად, ხელშეუხებელი იყო. თუკი

კულტის აღსრულება ტემენოსში ხდებოდა, მისი ცენტრი იყო მყარად ფიქსირებული საკულტო ადგილი. მეტწილად ეს არის საკურთხეველი, ზოგჯერ კერა ან მსხვერპლშეწირვისათვის გამოყოფილი მღვიმე.

საკულტო სურათს ბერძნულად ἕδος („სამყოფელი, საცხოვრებელი") ეწოდება ანუ ღვთაება ცხოვრობს თავისსავე სურათში. ა. მ., ჰომეროსის ღმერთები ოლიმპოსზე სუფევენ θεῶν ἕδος ἀσφαλὲς αἰεί (Hom. Od. 6, 42). კულტი, შესაბამისად, უშვებს, რომ ღვთაება ადამიანთან იმყოფება ხატის სახით. ამისგან განსხვავებით, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მითში ღმერთი მოქმედებს და იგი შეიძლება გავიდეს თავისი სურათის მიღმა. ღმერთის სურათი წარმოადგენს ინდივიდუალურ ქმნილებას, რომელსაც ქმნის მოქანდაკე ან ხელოვანი და იგი დაკავშირებულია კონკრეტულ ადგილთან, ტაძართან. მას შესაფერის პატივს მიაგებენ და მასზე სათანადოდ ზრუნავენ, იქნება ეს ყვავილების მიტანა, ზეთის პკურება თუ სხვ. თუკი ადრე ეს გამოსახულებები არ გამოირჩეოდა თავისი სიდიდით, ძვ. ნ. VIII საუკუნიდან უკვე ჩნდება ღმერთების მონუმენტური ქანდაკებების შექმნის ტრადიცია, რასაც ამ სკულპტურების საკულტო ფუნქციის ესთეტიკური ფაქტორისათვის ანგარიშის გაწევა განაპირობებს.

ტემენოსის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის ἀναθήματα („შეწირულობა"). შემწირველი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური პიროვნება, ასევე ადამიანთა ჯგუფი ან მთელი ქალაქიც კი. შეწირვა არ არის აუცილებელი ყოველთვის კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებულ მადლიერებას გადმოსცემდეს. სავსებით შესაძლებელია, იგი იყოს საერთოდ ღმერთისადმი ან მისი წმინდა ადგილისადმი უდიდესი პატივისცემისა და კრძალვის გამოხატულება. შეწირულობები შეიძლება სხვადასხვა ხასიათის იყოს: უმნიშვნელოდან დაწყებული ყველაზე ძვირფასით და მასშტაბურით დამთავრებული. ა. მ., უკვე ჰომეროსი იცნობს თმის კულულის შეწირვის ტრადიციას, ხოლო კროისოსის შესაწირი, ჰეროდოტოსის მიხედვით, 3000 ხარსა და უამრავ ძვირფასეულობას მოიცავდა (Her. I, 50 შმდ.).

კლასიკური ეპოქიდან მოყოლებული საკულტო გამოსახულებები ტაძრებში იდგა, თუმცა მანამდე ისინი შეიძლებოდა თავისუფალ ადგილზეც მდგარიყო და საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ რაღაც საფარით ყოფილიყო დაცული. ეს ორი ტრადიცია, როგორც ჩანს, ანტიკურ საბერძნეთში პარალელურად არსებობდა. ამის კარგი მაგალითია ისევ აკროპოლისი, სადაც პართენონში იდგა ფიდიასის მიერ შესრულებული ქალწულ ათენას ქანდაკება, ხოლო პართენონის წინ, ღია ცის ქვეშ, ათენა პრომაქოსის სკულპტურა.

ქალაქის დაარსების დროს, ჩვეულებრივ, მის აუცილებელ არქიტექტურულ ელემენტებად ითვალისწინებდნენ გალავანს, აგორას და ტაძარს. როგორც წესი, მხოლოდ ერთი ღვთაების, ჰერმესის გამოსახულება არ იყო სავალდებულო ტაძარში მდგარიყო, იგი იდგა გარეთ, რამდენადაც ეს ღმერთი (სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად) გზაჯვარედინებისა და საზღვრების ღმერთად ითვლებოდა. ამგვარი ჰერმებით (იგულისხმება ჰერმესის გამოსახულებები) მოფენილი იყო ელადის მრავალი რეგიონი.

ბერძნული ტაძრის არქიტექტურული ტიპი უკვე არქაულ ეპოქაში ჩამოყალიბდა. მას აქვს მართკუთხედის ფორმა, ძირითადი ოთახი თუ დარბაზი, რომელიც გარშემოვლებული არის სვეტებით. განსაკუთრებით მცირე ტაძრების შემთხვევაში სვეტები ტაძრის შესასვლელში მაინც აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა. უფრო დაწვრილებით ტაძრების არქიტექტურაზე ხელოვნებისადმი მიძღვნილ თავში გვქონდა მსჯელობა, აქ კი მის დანიშნულებაზე შევაჩეროთ ყურადღება. ტაძრის ფუნქცია, ფაქტობრივად, არის ის, რომ იგი მოიაზრება ღმერთის სახლად, სწორედ ამიტომ ამ ღმერთთან დაკავშირებული ყველა რიტუალის აღსრულება ხდება არა ტაძრების შიგნით, არამედ ტაძართა გარეთ, სადაც მდებარეობს საკურთხეველი. თუმცა არქაულსა და კლასიკურ ეპოქაშიც გვაქვს ცალკეული გამონაკლისები. ა. მ., ზოგიერთ ტაძარში აღმოჩენილი არის ოთხკუთხა ფორმის კერა ცეცხლისათვის, რაც გვაფიქრებინებს აქ გარკვეული რიტუალის აღსრულების შესაძლე-

ბლობას. აშკარად განსხვავებული ფორმა და ფუნქცია ჰქონდათ მისტერიებთან დაკავშირებულ საკულტო ნაგებობებს. ა. მ., ელევსისში (ელევსინში), სადაც დემეტრეს ცნობილი მისტერიები სრულდებოდა, ამგვარ ნაგებობას, რომელსაც ტელესტერიონი ეწოდებოდა, არ ჰქონდა ჩვეულებრივი ტაძრის ფორმა. აქ ოთხკუთხედი ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში, ე. წ. ანაქტორიუმში, მისტერიებთან დაკავშირებული გარკვეული რიტუალი აღესრულებოდა.

იგივე შეიძლება ითქვას მისტერიებთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა ნაგებობის შესახებაც. ვიდრე შევეხებოდეთ იმ საკითხს, თუ ვინ და როგორ აღასრულებდა კულტთან დაკავშირებულ ძირითად ფუნქციებს ანუ ვინ იყვნენ ე. წ. „საკულტო ფუნქციონერები", შევეცადოთ, გავერკვათ იმ საკითხში, თუ რომელ ეპოქაში იღებს დასაბამს ანტიკურ სამყაროში კულტმსახურების ჩამოყალიბებული ტრადიცია.

დღეს მეცნიერებაში დავას იწვევს ის, თუ რა ფორმით გამოიხატებოდა ადამიანთა რელიგიური აქტივობა ეგეოსურ ეპოქაში, რა ფორმა ჰქონდა მას მინოსურ კრეტასა თუ მიკენურ საბერძნეთში. რაც შეეხება წინაბერძნულ მინოსურ ცივილიზაციას, აქ a priori მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ რელიგიური ცხოვრება აშკარად მინოსური საზოგადოების ფუნქციონირების ნაწილი იყო. მაგრამ მეცნიერებაში კამათი არის იმის თაობაზე, თუ რა ფორმით ხდებოდა ადამიანთა რელიგიური მისწრაფებების რეალიზაცია. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს, რომ გამოთქმულია ორი უკიდურესი პოზიცია: ერთის მიხედვით, მინოსური ცივილიზაციის თითქმის ყველა ნაგებობა, მათ შორის დიდი სასახლეებიც, ყველა ფრესკული გამოსახულება კრეტასა თუ თერაზე დაკავშირებულია კულტის სამყაროსთან და აქტიურად არის ჩართული რელიგიური ფუნქციის აღსრულებაში. მეორე თვალსაზრისის თანახმად, მინოსური კულტურა არ იცნობდა სპეციალურ სატაძრო ნაგებობებს და ადამიანები თავიანთ რწმენას და ღვთაებრივ სფეროსთან ზიარებისაკენ ლტოლვას გამოხატავდნენ უშუალოდ ბუნებაში ე. წ. წმინდა გამოქვაბულებში, წმინდა ჭალებსა თუ წმინდა მცენარეებთან.

მანამდე, ვიდრე არ გაიშიფრება A-ხაზოვანი წარწერები, გაგვიჭირდება ზუსტად დავასახელოთ თუნდაც ერთი ღმერთის სახელწოდება, რომელიც ცნობილი იყო მინოსური კრეტის საკულტო ცხოვრებაში. განსხვავებით კრეტისაგან, შედარებით დარწმუნებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ მიკენური საბერძნეთის მკვიდრთა რელიგიაზე. B-ხაზოვანი დოკუმენტები გვიდასტურებენ არა მარტო ბერძნული წყაროებიდან შემდგომ ცნობილი მრავალი ღმერთის სახელს, არამედ ისეთ ცნებებს, როგორიც არის ქურუმი (ijereu — „ქურუმი კაცი" და ijereja — „ქურუმი ქალი"). ცნობილია, რომ ამგვარი აღნიშვნა ღვთის მსახურებისათვის გავრცელებული იყო ანტიკურობის დასასრულამდე. მიკენურ ტერმინთა შესწავლა ნათელყოფს, რომ ქურუმობის ინსტიტუტი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ამ სამყაროში. ასევე შეგვიძლია ვილაპარაკოთ არქეოლოგიურად დადასტურებული მიკენური სატაძრო ნაგებობების შესახებაც. და მაინც, ყურადღებას იპყრობს ჰეროდოტოსის ცნობა, რომლის მიხედვითაც, ჰომეროსმა და ჰესიოდემ „შეუქმნეს ელინებს ღმერთების წარმოშობის ისტორია, დაარქვეს ღმერთებს სახელები, გაუნაწილეს მათ პატივი და ხელოვნება და აღწერეს მათი გარეგნობა" (II, 53). ერთი შეხედვით, ჰეროდოტოსის ეს ცნობა ეწინააღმდეგება მიკენური სამყაროს B-ხაზოვან ტექსტებში ტრადიციული ბერძნული ღმერთების სახელწოდებების მოხსენიებას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ჰეროდოტოსი არსად არ ამბობს იმას, რომ ამ ორმა პოეტმა გამოიგონა საერთოდ ღმერთები. იგი მათ აშკარად ბერძნული პანთეონის სისტემატიზატორების ფუნქციას აკისრებს. და მართლაც, ადვილი წარმოსადგენია, გეომეტრიულ და არქაულ ეპოქამდე ამა თუ იმ რეგიონის მკვიდრთა წარმოდგენებში სხვადასხვა წარმომავლობის ღმერთებისა და ღვთაებრივი ძალების როგორი ქაოტური სიმრავლე უნდა არსებულიყო. სავსებით აშკარაა, რომ ამ ღვთაებებს შორის იყვნენ წინაბერძნული ღმერთებიც (აღსანიშნავია, რომ ბერძენ ღმერთთა სახელების საკმაოდ დიდი ნაწილი არ გვიჩვენებს ინდოევროპულ ეტიმოლოგიას და ისინი აშკარად წინა-

ბერძნული გარემოდან უნდა იყვნენ შესულნი ბერძნულ ტრადიციაში), ძველაღმოსავლური რელიგიური წარმოდგენებიდან შემოსული ღვთაებები, თავად ბერძნულ ტრადიციაში შექმნილი ღმერთები და ა. შ. როგორც ჩანს, ჰომეროსამდე და ჰესიოდემდე არავის მოუხდენია ამ სიმრავლეში გარკვევა და ღვთაებრივ ძალებს შორის ურთიერთმიმართებების რამდენადმე მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება როგორც იერარქიულ, ასევე ფუნქციონალურ დონეზე. ასევე არავის უცდია თეოგონიური სისტემის შექმნა, რომელიც გამოყოფდა ღმერთთა თაობებს და ღვთაებრივ ძალთა წარმოშობის გარკვეულ „ქრონოლოგიას" შემოგვთავაზებდა. სწორედ ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ გეომეტრიული ეპოქიდან იწყება ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა, რომლის ავანგარდშიც არიან არა ქურუმები, არამედ სახალხო მთქმელები. ყველაზე მეტი კი, ამ მხრივ, როგორც ჩანს, ჰომეროსმა და ჰესიოდემ გააკეთეს.

ამდენად, ერთი საკითხია ის, თუ როგორ აღესრულებოდა რიტუალი, რა კულტები არსებობდა, მეორე კი — როგორი იყო თეოგონიური სისტემა. თუკი პირველ შემთხვევაში შეგვიძლია საკმაოდ შორს მიმავალი ძირები ვივარაუდოთ, მეორეში – ჩამოყალიბების პროცესი არ უნდა გადავიტანოთ ჰომეროსის ეპოქაზე უფრო ადრე. უკვე ჰომეროსი გვთავაზობს ქურუმთა საქმიანობის საინტერესო სურათს. კერძოდ, ქურუმობა შეიძლებოდა არჩევითი „თანამდებობა" ყოფილიყო. ამაზე მიგვითითებს „ილიადის" ერთი პასაჟი (6, 300), სადაც ათენა პალასის ქურუმი ქალი, თეანო „დორიელებმა გახადეს ქურუმად". უნდა ვიფიქროთ, რომ ხალხის მიერ ქურუმად ქცევისა თუ არჩევის ამგვარი ტრადიცია საკმაოდ გავრცელებული იყო მთელი ანტიკურობის განმავლობაში. თუმცა არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ ქურუმი, იშვიათ შემთხვევებში, შეიძლებოდა თავად ღმერთის (რაიმე ღვთაებრივი ნიშნის შედეგად) შერჩეულიც ყოფილიყო.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა ხანგრძლივობით ხდებოდა ქურუმის „თანამდებობის" დაკავება? აქ ორი უკიდურესობა გვხვდება: დემოკრატიულად განწყობილი პოლისები ქურუმებს ხშირად ყოველწლიურად ირჩევდნენ, ისევე როგორც სახელმწიფო მოხელეებს, მაშინ, როდესაც ბერძნული სამყაროს აღმოსავლეთით განლაგებულ ქალაქებში პიროვნება სიცოცხლის ბოლომდე ინიშნებოდა ქურუმად. ჩვეულებრივ, ქურუმი შეიძლებოდა გამხდარიყო ნებისმიერი მოქალაქე, უზადო თავისი მორალითა და ფიზიკური წარმოსადეგობით, თუმცა განსაკუთრებულ შემთხვევებში ყურადღება ექცეოდა ოჯახური წარმომავლობის ფაქტორსაც. ამ დროს დემოკრატიულ სახელმწიფოშიც კი შეეძლოთ უპირატესობა მიეცათ არისტოკრატიული წარმომავლობისათვის.

რა გამოარჩევდა ქურუმს სხვა მოქალაქეებისაგან? რელიგიურ სფეროში ეს იყო განსაკუთრებული ცოდნის მიღება, ამ ინფორმაციის დამახსოვრება და გადაცემა თავისი კასტისათვის. ზოგჯერ ეს ცოდნა შეიძლებოდა დაკავშირებული ყოფილიყო ქურუმთა გარკვეულ ოჯახებთან. ქურუმს საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი ეკავა და მის მიმართ განსაკუთრებულ მოკრძალებას იჩენდნენ. მისი ამოცანა იყო ყველა წესის აღსრულებით ჩაეტარებინა სახელმწიფო თუ კერძო მსხვერპლშეწირვის რიტუალი, რომლის დროსაც ის, თუკი ცხოველის შეწირვა ხდებოდა, სამსხვერპლოს რაღაც გარკვეულ ნაწილს იღებდა. თუკი საზოგადოებაში არ არსებობდა სპეციალურად შერჩეული წინასწარმეტყველი, შეეძლო მსხვერპლშეწირვის დროს ეს ფუნქციაც ქურუმს შეესრულებინა. ქვემოთ ვნახავთ, თუ როგორი იყო ჰარუსპექსების ინსტიტუტი ეტრუსკებში. ქურუმი გარკვეულ სისტემატურ მუშაობას ატარებდა შესაბამის პერსონალთან, რომელიც მზად უნდა ყოფილიყო ნებისმიერი დონის რელიგიური ცერემონიალის აღსასრულებლად. არქაულ და კლასიკურ ეპოქაში ძალზე იშვიათი იყო შემთხვევები, როდესაც ქურუმი განსაკუთრებული მოხელის ფუნქციასაც ასრულებდა, მაგალითად, ჰიეროფანტესი ელევსისში. ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული ქურუმის ფუნქცია სულ უფრო და უფრო პომპეზურ ხასიათს იღებს. მას აქვს სპეციალური მეწამული სამოსი, ოქროს გვირგვინი, რომელსაც იგი თითქმის მუდ-

მივად ატარებს და რაც, ფაქტობრივად, მისი სტატუსის სიმბოლოს წარმოადგენს. გარკვეული ატრიბუტიკა ქურუმს უკვე ჰომეროსის ეპოქაშიც უნდა ჰქონოდა, რაზეც მეტყველებს თუნდაც „ილიადის" შესავალი, სადაც აპოლონის ქურუმი ქრისესი მიდის აქაველებთან ოქროს კვერთხით, რომელზედაც დამაგრებული იყო თავსკარი.

არ არსებობს რაღაც ერთიანი პრინციპები, რომელთა მიხედვითაც ხდებოდა ბერძნულ სამყაროში პიროვნების ქურუმად ზიარება. არც მისი ინსტიტუციონალური სტატუსის განსაზღვრისას შეიძლება მივიდეთ რაღაც საერთო დასკვნამდე. მაგრამ ფაქტი ერთია, რომ თანდათანობით, როგორც ჩანს, ძველაღმოსავლური რელიგიების გავლენით ქურუმის, როგორც ღმერთის წარმომადგენლის სტატუსი, სულ უფრო და უფრო იზრდება. არის შემთხვევები, როდესაც იგი პროცესიაში თავად ღმერთის „სამოსით" მონაწილეობს. ალბათ, კეისრების ბატონობის ეპოქიდან უფრო ძლიერდება ღვთის მსახურის საკრალიზაციის პროცესი და პიროვნება ქურუმად გახდომის შემდეგ თავის საერო სახელს თმობს და ვალდებულია, უარი თქვას სექსუალურ ცხოვრებაზე. მთლად ნათელი არ არის, რითი განირჩეოდა ამ სტატუსის მქონე კაცისა და ქალის ფუნქციები. შესაძლოა, ეს უკანასკნელნი უფრო ქალღმერთთა კულტებთან იყვნენ დაკავშირებულნი, თუმცა აქ მკაცრი წესის დადგენა შეუძლებელია.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ საბერძნეთში ოფიციალურ რელიგიასთან ერთად არსებობდა სხვადასხვა მისტერიალური რელიგიებიც, ნათელი გახდება, რომ საკმაოდ დიდი იყო ე. წ. სასულიერო მოხელეების რაოდენობა. ერთ შემთხვევაში ისინი იყვნენ ჩირაღდნის მატარებლები, მეორეში – მსხვერპლის გამნაწილებელნი. წყაროები ასახელებენ სპეციალურ ე. წ. ბავშვთა ქურუმებსაც, რომელნიც თვალს ადევნებდნენ ბიჭებისა და გოგონების ჩამოყალიბებას ვიდრე სრულწლოვანები გახდებოდნენ.

საკულტო ფუნქციონერთა ერთ ნაწილს ევალებოდა ღმერთების გამოსახულებებზე ზრუნვა, სხვებს – სატაძრო ნაგებობებზე. საკულტო ფუნქციონერთა შორის უნდა მოვაქციოთ აუცილებლად ნათელმხილველები (μάντεις), რომელთაც დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნქციები ეკისრებოდათ. უკვე ჰომეროსის ეპოსის გათვალისწინებით შეგვიძლია დავადგინოთ, თუ ასეთი ნათელმხილველების რაოდენ მრავალფეროვანი ტიპები იყო ბერძნულ საზოგადოებაში, აღარაფერი რომ ვთქვათ სპეციალურ სამისნო ცენტრებზე, რომელთაგანაც ყველაზე უფრო ცნობილი იყო დელფოს სამისნო და მისი ნათელმხილველი პითია. იყვნენ სპეციალური პირებიც, რომლებიც მონაწილეობდნენ დატირების, დაკრძალვისა და სხვა რიტუალებში.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული საზოგადოების ერთი ნაწილი მთლიანად იყო ჩართული რელიგიურ ცხოვრებაში, როგორც ფუნქციონერი. ეს კი თავისთავად იმას გულისხმობდა, რომ თავად ეს საზოგადოება საჭიროებდა რელიგიას, როგორც მისი ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთ აუცილებელ შემადგენელ ნაწილს.

**მითი და რელიგია.** ბუნებრივია, ყოველივე ამის შემდეგ ისმის კითხვა: რა მიმართება არის ანტიკურ საბერძნეთში მითსა და რელიგიას შორის? ღმერთების შესახებ ბერძნულ წარმოდგენებზე დღეს ხშირად ვმსჯელობთ არა ანტიკური სამყაროს საკულტო ცხოვრების დეტალებში ჩაღრმავების, არამედ ბერძნული მითების საფუძველზე.

იყო დრო, როდესაც რელიგიასა და მითოსს ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავდნენ. დღეს საკითხისადმი დამოკიდებულება რამდენადმე შეიცვალა. ანტიკურ ბერძნულ მითსა და რელიგიაზე მსჯელობისას ჩვენთვის აშკარაა, რომ ეს ორი ფენომენი იმდენად ურთიერთგადაჯაჭვულია, რომ ძნელია მათი უბრალოდ გამიჯვნა ერთმანეთისაგან. რასაკვირველია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ძველ საბერძნეთში მითსა და რელიგიას შორის გარკვეული განსხვავება არსებობდა. დღეს ყველაზე უფრო მიღებულია მითის შემდეგი დეფინიცია: მითი არის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტრადიციული ამბავი.

შესაბამისად, იგი არის ის, რაც თხრობას ექვემდებარება და რაც ქმნის გარკვეულ სიუჟეტს, რომლის საფუძველზეც შეიძლება შეიქმნას არაერთი მხატვრული ნაწარმოები. რაც შეეხება რელიგიას, იგი, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება ვერანაირ მოთხრობად და მასში სიუჟეტი არ ასრულებს რაიმე მნიშვნელოვან როლს. და მაინც, რასაკვირველია, ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი, ა. მ., მითი ხშირად წარმოადგენს იმის განმარტებას, თუ როგორ და რატომ წარმოიქმნა ესა თუ ის კულტი. თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი გვთავაზობს ამა თუ იმ კულტის არსებობის ნარატიულ არგუმენტაციას. მეორე მხრივ, თავად ამა თუ იმ კულტის არსებობამ შეიძლება ბიძგი მისცეს მასთან დაკავშირებული ამბის ანუ მითის წარმოქმნას. ეს გასაგებიცაა, თუკი გავითვალისწინებთ ადამიანის ფსიქოლოგიას. პიროვნება ვერ აღიქვამს საგნებსა და მოვლენებს მხოლოდ სტატიკურ პლანში, მას აქვს მისწრაფება დაინახოს ისინი დინამიკაში. ადამიანს ყოველთვის აინტერესებს, ესა თუ ის სახე ან ფიგურა რა მოვლენებთან, რა ამბებთან არის დაკავშირებული. ა. მ., ზევსის, როგორც უზენაესი ღმერთის, კულტი მთელ საბერძნეთში იყო გავრცელებული. მის მრავალრიცხოვან ფუნქციათა შორის გამოირჩეოდა კანონიერებისა და სტუმარ-მასპინძლობის წესის მფარველობა და ა. შ. მაგრამ, ბუნებრივია, ადამიანისათვის ზევსის ამ კულტის მიღების მომენტში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ღმერთის თითოეული ფუნქციის ნათელყოფა, არგუმენტაცია რაღაც კონკრეტული ფაქტების ანუ მითების მეშვეობით, რომლებიც შემონახული იყო მითებში. ხოლო ეს მითები კი ადამიანისათვის საკმარისი არგუმენტი იყო იმისათვის, რომ დარწმუნებულიყო: თუკი მოკვდავი მოინდომებს გადავიდეს უკვდავი ღმერთის ნებას, იგი დაისჯება.

როგორც კი კულტი გადაინაცვლებს ნარატიულ სფეროში, აქ მითთა თხზვის პროცესი შეიძლება უკვე მთლიანად პოეტური ფანტაზიის სამყაროში გადავიდეს და მრავალრიცხოვანი ამბავი ასაზრდოოს. სწორედ ამიტომ მითი და რელიგიური წარმოდგენები ძალზე ხშირად ურთიერთშემავსებელ ხასიათს ატარებენ და ორივე მათგანი აუცილებელია რელიგიური ადამიანისათვის.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მითი უბრალოდ რელიგიის გაგრძელებაა. როგორც აღვნიშნეთ, იგი არის ტრადიციული ამბავი, რაც შემდეგს გულისხმობს: მას არ ჰყავს ავტორი კონკრეტული პიროვნების სახით. იგი არის კოლექტიური ანუ ხალხური შემოქმედების ნაყოფი. ამ შემთხვევაში ის მიმართება, რაც ჩვეულებრივ არსებობს მხატვრული ნაწარმოების შესრულებისას გადამცემს – პოეტს და მიმღებს – აუდიტორიას შორის, დარღვეულია. ამ შემთხვევაში გადამცემი და მიმღები, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა.

ბუნებრივია, ყოველივე ეს მხოლოდ ტრადიციულ ამბავს ეხება და არა მის მხატვრულ ხორცშესხმას. ტრადიციული ამბავი შეიძლება გამოიყენოს მრავალმა ინდივიდუალურმა მწერალმა და შექმნას ნაწარმოები, რომელსაც ჰყავს თავისი სახელდებული ავტორი. ამ შემთხვევაში აუდიტორია ამ ნაწარმოებს აღიქვამს არა როგორც კოლექტიური შემოქმედების შედეგს, არამედ როგორც ინდივიდუალური პოეტის შემოქმედებასთან ზიარების შესაძლებლობას.

შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულმა ლიტერატურამ საკმაოდ მდიდარი ინფორმაცია მიიღო ტრადიციული ამბების შესახებ. რა აერთიანებს ამ მრავალრიცხოვან ამბავს ადამიანური შემოქმედების ისეთ კატეგორიაში, როგორიც არის მითოსი, ტრადიციულ ამბავსა და კოლექტივს შორის ზემოთ მოხსენიებული სპეციფიკური მიმართებების გარდა. ყოველი მითი ეფუძნება მოქმედების განვითარების რაღაც გარკვეულ პროგრამას. მეცნიერებაში შემჩნეულია, რომ ამ პროგრამების ოდენობა ერთობ შეზღუდულია. მითოლოგიური სიუჟეტის აგების ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ სტრუქტურას ამგვარი სახე აქვს: ერთმანეთს უპირისპირდება ორი არგუმენტი. თითოეული მათგანი შეიძლება იყოს კონკრეტული მითოლოგიური ფიგურა, ქალაქი, სახე და ა. შ. ერთი აღჭურვილია ნეგატიური

ფუნქციით ანუ იგი არის მოძალადე, ვერაგი, ხოლო მეორე კი — პოზიტიური ფუნქციით და, ამდენად, იგი ცდილობს უარყოფითი ფუნქციის მქონე არგუმენტის ნეიტრალიზაციას. მართლაც, იგი ახდენს მის ნეიტრალიზაციას, რაც გამოიხატება ან მოკვლაში ან ძალაუფლების ჩამორთმევაში ან, თუკი ეს არგუმენტი საერთოდ ქალაქია, მის დანგრევაში, დამარცხებაში და ა. შ. ამის შემდგომ გამარჯვებული მხარე ანუ არგუმენტი, რომელიც დადებითი ფუნქციის მატარებელი იყო, თავად აღიჭურვება უარყოფითი ფუნქციით და მას უკვე უპირისპირდება ის მხარე, რომელიც ოდინდელი უარყოფითი ფუნქციით აღჭურვილი არგუმენტის ინტერესებს იცავს.

ეს სტრუქტურა საკმაოდ კარგად აზოგადებს კაცობრიობის ისტორიისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ უმთავრეს კანონზომიერებას, რომელიც ასე შეიძლება გამოვხატოთ: ადამიანთა ცხოვრება წარმოადგენს არგუმენტებისა და ფუნქციების მუდმივ მონაცვლეობას. ამ მხრივ, მითი განსხვავდება ზღაპრისაგან (ტრადიციული ამბის მეორე სახე), რომელიც მთავრდება იმით, რომ დადებითი ფუნქციით აღჭურვილი არგუმენტი ამარცხებს უარყოფითი ფუნქციით აღჭურვილ არგუმენტს. მაგრამ მითს ზღაპართან, რომელთანაც მას აშკარად აქვს არაერთი მსგავსება (ფანტასტიკურობა, მოქმედი გმირის შესაძლებლობების ჰიპერბოლიზაცია და ა. შ.), მოეპოვება არსებითი განსხვავებებიც. იგი წარმოგვიდგენს სახელდებულ პერსონაჟებს. თუკი ზღაპარში (არ ვგულისხმობთ ლიტერატურულ ზღაპარს) გმირი და ადგილი, სადაც ხდება მოქმედება, არ არის კონკრეტიზებული სახელდებით, მითში ყველაფერს თავისი სახელი აქვს. მითი ცდილობს მომხდარი ასევე მოაქციოს გარკვეულ ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ ფარგლებში. ეს მას მეტ ისტორიულ დამაჯერებლობას სძენს და ხალხი მითს აღიქვამს არა როგორც დაუჯერებელ ამბავს ანუ ზღაპარს, არამედ როგორც მისი ან სამყაროს ისტორიის რეალურ გადმოცემას.

მითოლოგიურმა აზროვნებამ სავსებით შესაძლებელია არაერთი ისტორიული მოვლენა გარდასახა ტრადიციულ ამბად და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მოახდინა ისტორიის მითოლოგიზაცია. სწორედ ამის შედეგია ის, რომ, როდესაც დღეს ბერძნულ მითოლოგიაზე ვმსჯელობთ, აქ მითთა თხზვის გარკვეულ ჯგუფებს გამოვყოფთ: მათ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მხოლოდ ღმერთებთან და მათ, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ცალკეულ გმირებთან თუ ისტორიულ მოვლენებთან. ამის მიხედვით, შეიძლებოდა ბერძნული მითების ამგვარი კლასიფიკაცია შემოგვეთავაზებინა:

ა) მითები სამყაროსა და ღმერთების წარმოშობის შესახებ (თეოგონია).

ჯერ კიდევ ჰომეროსამდე და ჰესიოდემდე ბერძენ აედთა მთელმა თაობებმა მონახეს ერთგვარი ინფორმაციული საყრდენები, რომელთა გარშემო იწყეს დაჯგუფება ცალკეულმა ამბებმა. ამგვარი საყრდენი თეოგონიის სფეროში იყო ცენტრალური ღმერთი და მის გარშემო დაჯგუფებული უკვდავთა თაობა — მისი მრავალრიცხოვანი მემკვიდრენი.

ბ) მითები ოლიმპიელ ღმერთთა შესახებ.

როგორც ჩანს, საკმაოდ ძველი უნდა იყოს ოლიმპოსის მთაზე დამკვიდრებულ ღმერთთა, და კერძოდ, 12 ოლიმპიელი ღმერთის შესახებ არსებული წარმოდგენები. თითოეულ ამ ღმერთს დაუკავშირდა განმგებლობის სრულიად გარკვეული სფერო, რომელიც ზევსის ნებით არის მართული. ზევსს (ლათინურ ტრადიციაში — იუპიტერი) — კანონიერება, ჰერას (იუნო) — ქორწინებები და ბავშვთა გაჩენა, პოსეიდონს (ნეპტუნუსი) — ზღვის სტიქია და მიწის რყევა, დემეტრეს (კერესი) — დედამიწის ნაყოფიერება, აპოლონს (აპოლონი) — ხელოვნება და მედიცინა, მზის სინათლე, არტემისს (დიანა) — ნადირობა, ჰეფესტოსს (ვულკანუსი) — ცეცხლი და მჭედლობა, ათენა პალასს (მინერვა) — სიბრძნე, არესს (მარსი) — ომი, აფროდიტეს (ვენუსი) — სილამაზე და სიყვარული, ჰერმესს (მერკურიუსი) — ღმერთთა შიკრიკობა, მოგზაურობა, სულთა თანხლება და ა. შ., ჰესტიას (ვესტა) — ოჯახური კერა. ამათ ზოგი მეცამეტე ღმერთსაც, გარდაცვლილთა სულების სამკვიდრებლის განმგებელ ჰადესს (პლუტონი) ამატებს.

გ) მითები გმირების შესახებ.

მოკვდავთა შესახებ თქმულებებში ძირითადი საყრდენი ხდებოდა რომელიმე ცნობილი მითოლოგიური გმირის სახე. განსაკუთრებით გამოიკვეთა სამი გმირის: პერსევსის, ჰერაკლესა და თესევსის ფიგურები.

დ) მითები მოვლენების შესახებ, რომელნიც არა კონკრეტულ ერთ გმირთან, არამედ მთელ გვართან ან საზოგადოებასთან არიან დაკავშირებულნი. აქაც შეიძლება გამოიყოს სამი უმთავრესი სიუჟეტური კომპლექსი: თებეს, არგონავტებისა და ტროას ციკლები.

ე) სხვადასხვა, რომელიც აერთიანებს ცალკეულ იზოლირებულ მითებს, ეტიოლოგიური ხასიათის მითებს და ა. შ.

ბერძნულ მითოლოგიაში მრავალი იზოლირებული სიუჟეტი არსებობს, რომელნიც ასევე იპყრობენ ყურადღებას თავიანთი შინაარსით, თუმცა მათი ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანდა.

მითების წარმოშობის საკითხით უკვე ანტიკურ ეპოქაში იყვნენ დაინტერესებულნი. მრავალრიცხოვან „თეორიებს" შორის შეიძლება გამოვყოთ ორი:

1. ალეგორისტული თეორია.

ამ შემთხვევაში ანტიკური ეპოქის მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ მითში უნდა განვასხვაოთ ორი მხარე: ერთი, რასაც მითი რეალურად მოგვითხრობს და მეორე, რასაც იგი ამ მოთხრობაში გულისხმობს. შესაბამისად, გვთავაზობენ ტრადიციული ამბების სულ სხვადასხვაგვარ გააზრებას და იმის მტკიცებას, რომ სინამდვილეში ეს გულუბრყვილო ამბები შეიცავენ ცოდნას სერიოზული კოსმოგონიური ან სხვა მოვლენების შესახებ. მითი იყო საშუალება პოპულარული ენით გადმოეცა სერიოზული ინფორმაცია კოსმოგონიისა და ბუნების კანონზომიერებათა შესახებ. ალეგორიულ მეთოდში არის რაციონალური მარცვალიც, მაგრამ მის აბსოლუტიზაციას შეუძლია აშკარა სუბიექტივიზმამდე მიგვიყვანოს. მკვლევარს ამა თუ იმ ტრადიციულ ამბავში ყოველთვის შეუძლია დაინახოს რაღაც ისეთი, რასაც მისი წარმოდგენით უნდა შეესაბამებოდეს ეს ამბავი. მაგრამ რამდენადაც ასეთ დროს ინტერპრეტაცია ერთობ სუბიექტურია, ერთი და იგივე ამბავი თუ მითოლოგიური სახე სხვადასხვა ალეგორისტმა შეიძლება სხვადასხვაგვარად გაიაზროს. ამასთან, ძნელია იმის უარყოფა, რომ ტრადიციული ამბავი მეტწილად გადმოგვცემს იმას, რასაც გადმოგვცემს და მასში ალეგორიის ხვედრითი წილი ერთობ მოკრძალებულია. ა. მ., ტროას ომის თქმულება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცალკეული დეტალები შეიძლება ალეგორიული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლეოდეს, არსებითად, რაღაც ისტორიული ამბის მითოპოეტურად არეკვლის ცდას წარმოადგენს.

2. ევჰემერისტული თეორია.

ელინისტური ეპოქის მწერალს, ევჰემეროსს (ძვ. წ. III) მიეწერება თეორია, რომლის მიხედვითაც, ბერძნული მითების ღმერთები სინამდვილეში არიან გალმერთებული მეფეები და ძველი ლეგენდარული ეპოქის გამოჩენილი პიროვნებები. მათი გალმერთების პროცესი თანდათანობით მიმდინარეობდა და თეოგონიურ მითებში, ფაქტობრივად, რეალური ისტორიის მითად გარდაქმნის ცდა უნდა დავინახოთ.

მითთა თავისებური ინტერპრეტაციის ცდები შუა საუკუნეებში ჰქონდათ ქრისტიან ავტორებსაც, რაც არცთუ იშვიათად ხდებოდა მითოლოგიური ფიგურების ქრისტიანულ სიმბოლოებსა თუ რეალობებზე მორგების საფუძველი.

განსაკუთრებით მრავალფეროვანი გახდა თეორიები მითთა წარმოშობის შესახებ ახალ ევროპაში. წარმოიქმნა მრავალრიცხოვანი თეორია იმის გასარკვევად, თუ რა განაპირობებს მითის წარმოქმნას და სულ სხვადასხვა რეგიონის მითების საკმაოდ მნიშვნელოვან მსგავსებას. XX საუკუნეში რამდენიმე ძირითადი თეორია არის გავრცელებული:

ა) სიმბოლისტური თეორია, რომელიც საკმაოდ სრულყოფილად ჩამოაყალიბეს ე. კასირერმა და სხვებმა თავის ნაშრომებში. იგი მითების წარმოშობის საფუძველს ადამიანთა სიმბოლურ აზროვნებაში ხედავს.

ბ) ზ. ფროიდისა და კ. გ. იუნგის თეორია, რომელიც წინა პლანზე არაცნობიერს სწევს და მითს უკავშირებს ადამიანში არსებულ არქეტიპული აზროვნების კანონზომიერებას. ცნობილი გერმანელი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი ზიგმუნდ ფროიდი საკმაოდ კარგად ხედავდა მითში ფანტაზიის თამაშის როლს და ადამიანებს შორის არსებულ გაუცნობიერებელ შეთანხმებას იმაზე, თუ რა არის ფანტაზიის თამაში და რა არის რეალობა.

გ) სტრუქტურალისტური თეორია, რომელსაც კლოდ ლევი-სტროსმა ჩაუყარა საფუძველი და რომელიც გულისხმობს იმას, რომ მითი არის სტრუქტურა, რომელიც გარკვეული კანონზომიერებით ახდენს ასევე გარკვეული კანონზომიერების საფუძველზე აღმოცენებული ინფორმაციის ორგანიზებას.

რასაკვირველია, ამ მიმართულებების პარალელურად არსებობს მითის წარმოშობის ახსნის სხვა ცდებიც. განსაკუთრებით პოპულარულია ე. წ. რიტუალური თეორიის სხვადასხვა ვარიაცია. უახლეს მეცნიერებაში საკმაოდ წარმატებით ხდება სხვადასხვა თეორიების სინთეზირება. უცილობელი არის ერთი რამ: მითი არის მითოლოგიური აზროვნების პროდუქტი და იგი შეიძლება წარმოიქმნას ყოველთვის, როდესაც გარკვეულ ეპოქაში თუ გარკვეული ეპოქის რაღაც ერთ მომენტში ადამიანებში პრევალირებს ამგვარი აზროვნება. სწორედ ამიტომ დღეს მეცნიერებაში მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების მითებზე მსჯელობისას არცთუ იშვიათად აღნიშნავენ იმასაც, რომ მითები ძალზე ხშირად ჩვენს თვალწინაც იქმნება თანამედროვე ისტორიული პირებისა თუ მოვლენების რეალურიდან მითოლოგიურ სფეროში გადაყვანის საფუძველზე. ამის საუკეთესო მაგალითი იყო არცთუ შორეულ წარსულში საბჭოთა კავშირში ბოლშევიკ ბელადთა გაფეტიშების ტენდენცია, ფაშისტურ გერმანიაში ჰიტლერის ხანმოკლე ტრიუმფი, თანამედროვე ექსტრემისტულ-რელიგიურ დაჯგუფებებში გარკვეული ღირებულებების ფანატიკური თაყვანისცემა და ა. შ. მითოლოგიურ აზროვნებას ძალზე მჭიდრო კავშირი ჰქონდა და აქვს რიტუალთან.

რელიგიური ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტი, რასაკვირველია, არის ე. წ. კალენდარული დღესასწაულები. დღესასწაული წარმოადგენს სახელმწიფო რელიგიის გამოვლენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას. აქ, არსებითად, ერთიანდება მითი და რიტუალი. თუმცა დღესასწაულებს მრავალმხრივი ფუნქციები აქვთ. ერთ შემთხვევაში დღესასწაული არის საკუთარი თავის იდენტიფიკაციის საშუალება. მას კი შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა იერარქიული დონეები დაწყებული ოჯახით, დამთავრებული სახელმწიფოთი ან სახელმწიფოთა ერთიანობით ან, საერთოდ, დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, მთელი მსოფლიოთი. რასაკვირველია, როდესაც ანტიკურ საბერძნეთზე ვმსჯელობთ, ძირითადად გვაინტერესებს ორი დონე: პოლისური და საერთო ელინური. ა. მ., ათენელები საკუთარი თავის წარმოჩენას ახდენდნენ დღესასწაულ პანათენეების საშუალებით, ხოლო ზოგადად ელინები – ოლიმპიური თამაშობების საშუალებით. ამის მიხედვით, დღესასწაულები შეიძლება გახდეს თავად დროის კონსტრუირების საშუალებაც. ესა თუ ის დღესასწაული და მისი სტაბილური პოზიცია კალენდარში ადამიანებს შეიძლება დაეხმაროს წლების, თვეების, კვირების და ა. შ. განსაზღვრაში.

გარდა ამისა, დღესასწაული ღვთაების სახის გამოკვეთას ემსახურება. ამ დროს ხდება სპეციალური მითების გადმოცემის, საგანგებო რიტუალების შესრულების ინტენსიფიკაცია, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ამა თუ იმ ღმერთთან. რასაკვირველია, ზოგჯერ დღესასწაულს შეიძლება არ ჰქონდეს პირდაპირი მიმართება ღმერთთან და იგი ამა თუ იმ მოვლენასთან იყოს დაკავშირებული, მაგალითად, გამარჯვებასთან ან რაიმე ტრაგედიასთან ამა თუ იმ პოლისის ცხოვრებაში. ის, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ დღესასწაულები, გვიჩვენებს მათი დიდი რაოდენობა თითოეული ქალაქის ცხოვრებაში. არ იყო არც ერთი ისეთი თვე, რომ არ ჩატარებულიყო 3-4 ზეიმი. უბრალოდ მათი ჩამოთვლაც კი შთაბეჭდილებას მოახდენს ადამიანზე. ჰეკატომბეონის (ივლისის მეორე ნახევარი და აგვისტოს პირველი ნახევარი) თვეში ტარდებოდა შემდეგი დღესასწაულები: კრონია, სინოიკია,

პანათენეები; მეტაგეიტნიონის (აგვისტოს მეორე ნახევარი და სექტემბრის დასაწყისი) თვეში: მეტაგეიტნიის დღესასწაული, ჰერაკლეია; ბოედრომიონში (სექტემბერი და ოქტომბრის დასაწყისი): გენესია, არტემის აგროტერას დღესასწაული, ბოედრომია; პიანეფსიონში (ოქტომბრის მეორე ნახევარი და ნოემბრის პირველი ნახევარი): პროეროსია, პიანეფსია, ოსქოფორია, თესეია, სტენია, თესმოფორიები, აპატურია; მაიმაკტერიონის (ალბათ, ნოემბრის ბოლო და დეკემბერი) თვეში: პომპია; პოსეიდეონის (სავარაუდოდ, დეკემბრის ბოლო და იანვარი) თვეში: პოსეიდეა, სოფლის დიონისიები; გამელეონის (იანვრის მეორე ნახევარი და თებერვლის დასაწყისი) თვეში: გამელია, ლენეები; ანთესტერიონის (თებერვალი და მარტის დასაწყისი) თვეში: ანთესტერია, დიასია; ელაფებოლიონის (მარტის მეორე ნახევარი და აპრილის დასაწყისი) თვეში: ელაფებოლია და პანდია, დიდი ანუ ქალაქური დიონისიები; მუნიქიონის (აპრილის დიდი ნაწილი და, ალბათ, მაისის დასაწყისი) თვეში: ეროსისადმი მიძღვნილი დღესასწაული, მუნიქია, ოლიმპიეია; თარგელიონის (მაისი და ივნისი) თვეში: თარგელია, ბენდიდია, პლინტერია, კალინტერია; სკიროფორიონის (ივნისი და, ალბათ, ივლისის პირველი ნახევარი) თვეში: სკიროფორია, დიპოლიეია, დიისოტერია.

ბუნებრივია, სადღესასწაულო კალენდარი დაკავშირებულია ქრონოლოგიის სისტემის შექმნასთან. ბერძნებთან და რომაელებთან ძირითადი იყო ე. წ. მზის წელიწადი. წლების აღრიცხვა ხდებოდა ეპონიმ-მოხელის მიხედვით. მზის წლის შემადგენელი ნაწილი იყო მთვარესთან დაკავშირებული თვე. რომაული და ჩვენი კალენდრისაგან განსხვავებით, იგი იწყება მთვარის ავსების დღით და მთავრდება ახალმთვარეობით. დღეთა აღრიცხვა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარად ხდებოდა. ზოგან გამოიყოფოდა სამი დეკადა, ზოგან კი დღეები უბრალოდ ერთმანეთს მიჰყვებოდა. მთვარის თვე შეიცავს მონაცვლეობით 29/30 დღეს. ანუ საშუალოდ წლის განმავლობაში თითოეული თვე შეიცავს 29,6 დღეს. განსხვავება 12 დღე – მთვარის წელს 354 დღე და მზის წელს 365 დღე ივსებოდა ე. წ. ჩამატებული თვით, რაც, ფაქტობრივად, გულისხმობდა, რომ ამგვარი ჩამატება ხდებოდა ყოველ მეოთხე წელიწადს. თვეების ძირითადი სახელწოდებები ეფუძნებოდა ამ თვის უმთავრეს დღესასწაულს. ა. მ., იონიური თვე ანთესტერიონი – დღესასწაულს ანთესტერიას, დორიული და ეოლიური აგრიანიოსი – დღესასწაულ აგრიონიას და ა. შ. შესაბამისად, სხვადასხვა ქალაქებს თვეების სხვადასხვა სახელწოდებები ჰქონდათ, თუმცა ე. წ. მონათესავე ქალაქები ცდილობდნენ ამ მხრივ გარკვეული ერთიანობისათვის მიეღწიათ.

ქრონოლოგიის საკმაოდ გავრცელებული და მთელი საბერძნეთისათვის მეტ-ნაკლებად მიღებული სისტემა იყო წელთაღრიცხვის ოლიმპიური სისტემა, რაც გულისხმობდა დროის აღრიცხვას ოლიმპიადების ანუ ოთხწლეულების მიხედვით. ამოსავლად მიღებული იყო ოლიმპიური თამაშების დაარსების წელი (ძვ. წ. 776 წ.). შესაბამისად, თუკი ვინმე გულისხმობდა პირველი ოლიმპიადის მეორე წელს, ეს იქნებოდა 775 წელი. ბერძნული დღესასწაულები, მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, გარკვეულ კლასიფიკაციას ექვემდებარება. ძირითადად, უნდა გამოიყოს პანპოლისური დღესასწაულები და ლოკალური დღესასწაულები ანუ პოლისის ქვედანაყოფებთან (ფრატრიები, გვარები, გეოგრაფიული პუნქტები და ა. შ.) დაკავშირებული დღესასწაულები. თუკი ეს უკანასკნელნი ლოკალური ხასიათის იყვნენ და მხოლოდ გარკვეულ საზღვრებში აღინიშნებოდნენ, სრულიად პოლისური დღესასწაული ყველასათვის საერთო იყო. სწორედ მას ჰქონდა თვისათვის სახელდების სტატუსი.

როგორც აღინიშნა, ამის პარალელურად ბევრად მოკრძალებული იყო იმ დღესასწაულთა რაოდენობა, რომელთაც საერთო ელინური შეიძლება ვუნოდოთ. ამგვარ დღესასწაულებად ჩაითვლება პირველ რიგში: ოლიმპიური (ძვ. წ. 776 წ.), პითიური (ძვ. წ. 582 წლიდან), ისთმოსური (ძვ. წ. 58 წლიდან) და ნემეური (ძვ. წ. 573 წ.) დღესასწაულები.

ფუნქციების მიხედვით, დღესასწაულები შეიძლება დაახლოებით ამგვარად დავაჯგუფოთ: მსხვერპლშეწირვის პოლისური დღესასწაულები.

განმუხტვის დღესასწაულები, რაც ხშირად ექსტაზის სახით გამოიხატებოდა, მაგალითისთვის შეიძლებოდა დაგვესახელებინა დიონისიები.

განწმენდის დღესასწაულები, რომლებიც მეტწილად ტანსაცმლის შეცვლასა და ახლის ჩაცმაში გამოიხატებოდა.

განახლების დღესასწაულები, რომლებიც წესრიგის განახლების ინსცენირებას ახდენდნენ და, ჩვეულებრივ, ე. წ. ახალ ცეცხლთან ანუ ჩირაღდანთან იყვნენ დაკავშირებულნი.

წმინდა ქალთა დღესასწაულები, რომლებშიც მამაკაცთა მონაწილეობას ტაბუ ჰქონდა დადებული. ერთ-ერთი ასეთი დღესასწაული საკმაოდ კარგად აქვს აღწერილი არისტოფანეს თავის კომედიაში „თესმოფორიაძუსები“.

ინიციაციის დღესასწაულები, რომლებიც ერთი ასაკობრივი კატეგორიიდან მეორეში გადასვლის თუ რაღაც მისტერიალურ ცოდნასთან ზიარების მომენტებს შეიცავდნენ და ა. შ.

რელიგიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა პოლისთან, თუმცა მას შეიძლება ჰქონოდა ზეპოლისური ხასიათიც. განსაკუთრებით ეს ეხება სამ ფორმას: 1. *დივინაცია*. იგი გულისხმობს ნათელხედვას, წინასწარმეტყველებას და ამ მხრივ ბერძნებს ჰქონდათ თავიანთი ალიარებული, შეიძლება ითქვას, საერთო ელინური სამისნოები, მაგალითად, დელფო, დოდონა და ა. შ.; 2. *განკურნება*. ამ შემთხვევაშიც შეიძლება ვილაპარაკოთ საერთო ელინურ ცენტრებზე, როგორიც იყო ასკლეპიოსთან დაკავშირებული ცენტრები მთელს საბერძნეთში; 3. *მისტერიები*. ოფიციალური ოლიმპიური რელიგიის პარალელურად ბერძენთა ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ეჭირათ მისტერიალურ რელიგიებს, რაც, პირველ რიგში, მათი სპეციფიკით არის განპირობებული. თუკი ოფიციალური სახელმწიფო რელიგია ძირითად რწმენასა და რიტუალების კეთილსინდისიერად აღსრულებას ეფუძნება, მისტერიალური რელიგია ღვთაებასთან ზიარების საიდუმლო ცოდნის წყალობით ადამიანს საშუალებას აძლევდა ემპირიულად დარწმუნებულიყო იმაში, რომ ღვთაებრივი ძალა არსებობს ანუ ინდივიდუალურად შესულიყო კონტაქტში ამ ძალასთან. განსაკუთრებით ცნობილი იყო დემეტრესადმი მიძღვნილი ელევსისის მისტერიები, რომელთა მონაწილე, ფაქტობრივად, ყველა ზრდასრული ათენელი ხდებოდა. მისთვის დამახასიათებელი იყო ის, რომ ამ მისტერიების ჩატარება კონკრეტულ ადგილთან და შენობასთან იყო დაკავშირებული. ასევე ერთ კონკრეტულ წმინდა ადგილს უკავშირდებოდა კაბირების და დიდი ღმერთების მისტერიები: პირველი – ლემნოსს, ხოლო მეორე — სამოთრაკეს. ამისგან განსხვავებით, ჩატარების ადგილით არ ყოფილა შეზღუდული დიონისური და ორფიკული მისტერიები.

რასაკვირველია, რელიგიურ ცხოვრებაში უმთავრესია ღმერთი და მისი რწმენა. ძნელი სათქმელია, თუ როგორ ჰყავდათ წარმოდგენილი ბერძნებს ღმერთები მიკენურ ეპოქაში. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, ძველი აღმოსავლური ტრადიციის მსგავსად, ღმერთები აქაც ცხოველების სახით იყვნენ წარმოდგენილნი. ბერძნული ეპიკური პოეზიის წყალობით ანტიკურ საბერძნეთში დამკვიდრდა ღმერთის ანთროპომორფული ანუ ადამიანის სახით წარმოდგენა. მართალია, არც ჰომეროსი, არც ჰესიოდე და არც მათი მიმდევრები არ გვიმტკიცებენ, რომ ღმერთებს სწორედ ადამიანების სახეები ჰქონდათ, პირიქით, ჰომეროსის მიხედვით, ადამიანებმა არ იციან ღმერთთა ნამდვილი სახე, მაგრამ როდესაც მხატვრულ კულტურაში სურდათ ღმერთის წარმოდგენა, იგი უმრავლეს შემთხვევაში ადამიანის სახით იყო წარმოჩენილი.

აქედან გამომდინარე, ღმერთები მითოლოგიურ ტრადიციაში ყველა იმ თვისებით ფიგურირებენ, რომელიც ადამიანისათვის არის დამახასიათებელი. მათ მოკვდავთაგან განასხვავებს ის, რომ არიან უკვდავები და შეუძლიათ გაცილებით მეტი, ვიდრე ადამიანებს.

ის, რომ ღმერთების ანთროპომორფულად წარმოდგენა არ არის გამართლებული, საკმაოდ კარგად ესმოდათ პირველ ბერძენ ფილოსოფოს-თეოლოგებს. ა. მ., ქსენოფანესი აღნიშნავდა, რომ „ხარებს, ცხენებს და ლომებს რომ ჰქონდეთ ხელები და ხატვა შეეძლოთ ან ადამიანთა მსგავსად ხელოვნების ნიმუშთა შექმნა, მაშინ ცხენები ღმერთებს ცხენების

მსგავსად გამოსახავდნენ, ხარები — ხარების მსგავსად და მათ ისეთ ტანს შეუქმნიდნენ, როგორიც თვითონ აქვთ“ (ფრ. 15).

ბერძნული რელიგია თავისი ხასიათით პოლითეისტურია ანუ იგი ღმერთთა სიმრავლეს გაიაზრებს როგორც უკვდავთა დიდ ოჯახს. ამ ოჯახს სათავეში უდგას წყვილი ზევსისა და ჰერას სახით და მათი უახლოესი ნათესავები, და-ძმები: პოსეიდონი, ჰადესი, დემეტრე, ჰესტია; ზევსის შვილები: ათენა, აპოლონი, არტემისი, ჰერმესი, აფროდიტე და მისი შვილი ეროსი, დიონისე, პერსეფონე, არესი და, შესაძლოა, ჰეფესტოსი, რომელიც, ერთი ვერსიით, მხოლოდ ჰერას შვილი იყო. ღვთიური სამეუფოს გარეთ აღმოჩნდნენ მმართველ ღმერთთა დინასტიების წინაპრები: მათი მშობლები – კრონოსი და რეა და უფრო ძველი თაობა — გეა და ურანოსი. ცალკეულ ღმერთებს ეკუთვნის გამგებლობის ცალკეული სფეროები, თუმცა მათ ჰყავთ უზენაესი მმართველი – ზევსი. შესაბამისად, პოლითეიზმი არ გამორიცხავს ერთი მთავარი ღმერთის იდეას, რომელიც თანდათანობით სულ უფრო და უფრო აქტიურად წარმოგვიდგება ბერძნულ ტრადიციაში.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბერძნული ტრადიცია ღვთაებრივ ძალთა დიდ სიმრავლეს ადასტურებს, ბუნებრივია, ბერძნული რელიგიური სისტემისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ამ სიმრავლის გარკვეული კოორდინაცია, მრავალრიცხოვან ღვთაებრივ ძალთა ფუნქციების დაზუსტება, მით უმეტეს, რომ მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში გაფანტული ელინური დასახლებების ფარგლებში საერთო ბერძნულ ღმერთებთან ერთად თაყვანს სცემდნენ ამა თუ იმ ლოკალურ ღვთაებებსაც. თუკი მაინც მოვინდომებთ ღმერთთა კატეგორიებად დაჯგუფებას, თავიანთი მნიშვნელობის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ შემდეგი კატეგორიები: ყველაზე მნიშვნელოვანნი არიან ოლიმპიელი ღმერთები, რომელნიც ცნობილნი არიან 12 ოლიმპიელის სახელით. მათ თავიანთი მნიშვნელობით ჩამორჩებიან, მაგრამ ასევე ძალზე არსებითნი არიან ზღვის სტიქიისა და მიწისქვეშეთის ღმერთები. ეს უკანასკნელნი ციური ღმერთების ერთგვარ ოპოზიციას წარმოადგენენ. ციური ღმერთები მეუფებენ მოკვდავებზე მანამდე, ვიდრე ისინი ცოცხალნი არიან, ხოლო მას შემდეგ, რაც მოკვდავნი გარდაიცვლებიან, ისინი გადადიან ჰადესის ანუ მიწისქვეშეთის სამყაროში. თავიანთი მნიშვნელობით ამ ორ კატეგორიას ბევრად ჩამოუვარდებიან ე. წ. მცირე ღვთაებები, რომელნიც წარმოგვიდგებიან ბუნების ღმერთების სახით, მაგალითად, პანი, მდინარეები. ღმერთთა გაერთიანებები: სამი მოირა, ნიმფები და ა. შ. ამას ემატება ე. წ. ღვთაებრივი აბსტრაქციები, რომელნიც, არსებითად, წარმოგვიდგენენ რაღაც მოვლენის განზოგადებულ სახეს: ა. მ., გაია (გეა) – დედამიწა, ეროსი — სიყვარული, ჰესტია — კერა, ნიკე — გამარჯვება, თემისი — სამართალი. ამგვარ აბსტრაქტულ ღმერთთა რაოდენობა საკმაოდ ბევრია ჰესიოდესთან.

ბერძნულ ღვთაებათა შორის არიან ასევე ე. წ. უცხო ღმერთები და ღვთაებრივი ძალები, როგორებიც იყვნენ ჰეკატე, კიბელე, ადონისი. ალბათ, ამ ღვთაებრივ არსებათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ კირკეც და მრავალი სხვა.

როგორც ვხედავთ, საბერძნეთში საკმაოდ განვითარებული იყო რელიგიური ცხოვრება, მაგრამ ამას არ მოჰყოლია რელიგიის, როგორც სისტემის შექმნა და შესაბამისი თეოლოგიური ლიტერატურის წარმოქმნა. ამას მრავალი მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კი იყო ის, რომ საბერძნეთში საკმაოდ ადრე წარმოიშვა ფილოსოფიური აზროვნება, რომელმაც ტრადიციულ რელიგიას დაუპირისპირა ფილოსოფიური რელიგია, რითაც რწმენის საკითხებზე მსჯელობა მეცნიერული აზროვნების სფეროში გადაიტანა.

**რომი.** ერთიანი რელიგიური სისტემა რომში არ არსებულა იმპერიის ოფიციალურ რელიგიად ქრისტიანობის დამკვიდრებამდე. თუ რომაელთა ისტორიას გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რატომ იყო აქ საოცარი სიჭრელე რელიგიური ცხოვრების სფეროში.

იტალიის ტერიტორიაზე ლათინების ასპარეზზე გამოსვლის მომენტისათვის სულ სხვადასხვა კულტურების თანაარსებობა დასტურდება და გარკვეულ პერიოდებში ცალკეული კულტურები დომინანტურ პოზიციას იკავებენ. ამიტომ საკუთარი კულტებისა და რელიგიური წარმოდგენების გარდა, ლათინები თავდაპირველად ეტრუსკების, ხოლო შემდეგ ბერძენთა ძალზე დიდ გავლენას განიცდიდნენ. მოგვიანებით, რომი ფართოდ ულებს კარს აღმოსავლეთიდან შემოსულ სხვადასხვა რელიგიურ წარმოდგენებს, ხოლო, როგორც ცნობილია, ახ. წ. I საუკუნიდან აღმავლობას იწყებს ქრისტიანული რელიგია, რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ იმპერიის ოფიციალური რელიგია ხდება. და მაინც, თუ მოვინდომებთ ამ საკმაოდ ეკლექტიკური წარმოდგენების ერთგვარ სისტემატიზაციას და რომაული რელიგიური ცხოვრების ისტორიისათვის თვალის გადავლებას, მოკლედ შეიძლება შემდეგი ითქვას: რომაული საზოგადოება თავდაპირველად წარმოადგენდა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ, განვითარების შედარებით პრიმიტიულ საფეხურზე მდგარ საზოგადოებას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საწყის ეტაპზე რელიგიურ ცხოვრებაში დომინანტურ როლს თამაშობდა სწორედ ე. წ. სოფლური კულტები და დღესასწაულები. ა. მ., მწყემსთა დღესასწაულები, პარალიები (21 აპრილი), ლუპერკალიები (15 თებერვალი), რობიგალიები (25 აპრილი), რომელიც მინდვრისა და მოსავლის დაცვის დღესასწაულად შეიძლება წარმოვიდგინოთ, Augurium Canarium-ი აპრილში და ა. შ. თანდათანობით ჩამოყალიბდა ქურუმთა და ე. წ. სასულიერო პირთა ინსტიტუტები. ქურუმებს შორის ყურადღებას იქცევს ე. წ. ვესტალების ანუ ვესტას ქურუმი ქალების ინსტიტუტი. ხოლო დაახლ. ძვ. წ. 300 წლიდან იქმნება ქურუმთა ანუ პონტიფექსების კოლეგია, რომელსაც სახელმწიფო რელიგიის მთავარი პირი, პონტიფექს მაქსიმუსი ედგა სათავეში. თუ რამდენად საპატიო იყო ამ მისიის შესრულება, ამას გვიჩვენებს ის, რომ გარკვეული პერიოდიდან ამ ფუნქციის აღსრულება დაევალათ თავად კეისრებს, რითაც სახელმწიფოს უზენაესი პირი არა მარტო პოლიტიკური, არამედ რელიგიური ცხოვრების მთავარი ფიგურა ხდებოდა.

რელიგიურ ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალზე შორს იყო ერთიანობისაგან, საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ ჰქონდა გადგმული ფესვები. ადამიანი საჭიროდ თვლიდა განსაზღვრული რიტუალით (ვედრება, მსხვერპლშეწირვა და ა. შ.) გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ღმერთებისადმი და რწმენა, რომ მხოლოდ ღმერთს ძალუძს მას აღმოუჩინოს ყველაზე მყარი და საიმედო თანადგომა. ადამიანის დამოკიდებულება ღმერთებისადმი საკმაოდ ტევადად ჩამოყალიბდა ფორმულაში do ut des, რომელიც ამგვარად შეიძლება გაიშიფროს: მე – ადამიანი გაძლევ, რათა შენ, ღვთაებამ – მომცე.

განსაკუთრებით შეიძლება გამოიყოს ე. წ. პოლიტიკური მაგია, წმინდა სამართალი, წინასწარმეტყველება და წარსულის წვდომა. ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობდნენ სპეციალური ქურუმები, რომელთაგან ერთნი კვერთხის (augurium), სხვანი ფრინველთა მოძრაობის (auspicium), ხოლო ზოგიერთნი ცხოველის შიგნეულზე დაკვირვების საშუალებით (haruspicium) ეხმარებოდნენ ადამიანებს მიეღოთ მინიშნება იმაზე, რაც ღვთაებრივი სფეროდან მოდის და რაც ღვთაებრივ დეტერმინირებულობასთან არის დაკავშირებული. და მაინც, რასაკვირველია, ეს ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ჩამოყალიბებულიყო რომაელთა ნაციონალური კულტი, რაც ძლიერებისა და იმპერიის შექმნის გზაზე მდგარი რომისათვის თანდათანობით აუცილებელი ხდებოდა. რომში დროთა განმავლობაში გამოიკვეთა კაპიტოლიუმი, როგორც სახელმწიფოებრივ-რელიგიური ერთიანობის ცენტრი. Forum Romanum-იც საკმაოდ მჭიდროდ დაუკავშირდა რელიგიურ ცხოვრებას. ჩამოყალიბდა ე. წ. კაპიტოლიური უზენაესი ღმერთების შესახებ წარმოდგენები. ესენი იყვნენ იუპიტერ ოპტიმუს მაქსიმუსი (შეიძლება შეგვხვდეს ამ ეპითეტითაც: იუპიტერ ლატიარისი), მარსი, იანუსი, სატურნუსი, ლიბერი, ფავნუსი, ვულკანუსი, ნეპტუნუსი. ქალღმერთები: იუნო, მინერვა, ვენუსი, დიანა, ვესტა, კერესი, ფლორა (მცენარეების

ქალღმერთი), პომონა (ხილის ქალღმერთი), ტელუსი (მიწის ქალღმერთი). ადამიანის პიროვნულ მფარველ დემონად აღიქმებოდა გენიუსი. ეს ღმერთები თავიანთი წარმომავლობით საკმაოდ განსხვავებულნი იყვნენ, მაგრამ გარკვეული პერიოდიდან ისინი, როგორც ჩანს, გაერთიანდნენ ე. წ. ღვთაებათა სიებში (indigitamenta). მათ გვერდით გვხვდება პერსონიფიცირებული აბსტრაქციები: Pax (მშვიდობა), Victoria (გამარჯვება), Concordia (თანხმობა), Providentia (წინასწარხედვა), Fortuna (ბედისწერა), Felicitas Imperii (იმპერიის წარმატება) და ისეთი აბსტრაქციაც კი, როგორიც არის Febris (სიცხე). გვხვდება ცნობები Tutela-ს შესახებ, რომელიც სახლის დაცვასთან არის დაკავშირებული. არსებობდა ასევე ანონიმურ ღმერთთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლექტივი, როგორებიც არიან ლარები, პენატები და სხვ. როგორც ჩანს, თავდაპირველად ეს ღმერთები, რომელთა ერთი ნაწილი შეიძლებოდა ლათინთა საერთოინდოევროპულ წარმოდგენებთან კავშირზე მიგვანიშნებდეს, მეორე კი ეტრუსკული რელიგიის ტრადიციებზე, ბერძნული ღმერთების ფუნქციებთან მეტ-ნაკლებ მსგავსებას ამჟღავნებდნენ, თუმცა გვიჩვენებდნენ მათგან არსებით განსხვავებასაც. თანდათანობით ბერძნულ კულტურასთან კონტაქტების გაინტენსიურების კვალდაკვალ და კულტურისა თუ რელიგიურ სფეროში ბერძნული გავლენის გაძლიერებასთან ერთად მოხდა ბერძნული და რომაული რელიგიური წარმოდგენების იმდენად დაახლოება, რომ, ბოლოს და ბოლოს, ლათინური ღმერთების სახელწოდებები, არსებითად, ბერძნული ღმერთების სახელთა ლათინურ სინონიმებად იქცა. ერთადერთმა ბერძნულმა ღვთაებამ, აპოლონმა დაიტოვა თავისი სახელი ლათინურ ტრადიციაში. ბუნებრივია, ყოველივე ამან გამოიწვია ბერძნული და რომაული რელიგიური წარმოდგენების საკმაოდ საინტერესო სინთეზი. ღმერთები დაუკავშირდნენ იმ ტრადიციულ ამბებს, რომლებიც ხმელთაშუაზღვისპირეთის საკმაოდ დიდი არეალის მითოლოგიურ სიუჟეტებს აერთიანებდნენ. ამის საუკეთესო მაგალითი არის მითები ენეასის ტროადან გადმოსახლების შესახებ.

საკმაოდ მნიშვნელოვანია რომაულ რელიგიაში აღმოსავლური გავლენის კვალი. ძალზე ცნობილი იყო ე. წ. Oracula Sibyllina („სიბილინური წინასწარმეტყველებანი"), რომელიც წარმოადგენდა ბერძნულ ენაზე 4230 ჰექსამეტრული სტრიქონისაგან შედგენილ წინასწარმეტყველებათა კრებულს. ის უნდა აღმოცენებულიყო იუდეურ არეალში ძვ. წ. I საუკუნეში და შემდეგ ქრისტიანთა მიერ უნდა ყოფილიყო შევსებული. ეს კრებული თავისი აპოკალიფსური და ესქატოლოგიური შეხედულებების ძლიერი სინკრეტიზმით გამოირჩევა, თუმცა ტრადიციით მისი სახელწოდება დაკავშირებული არის ბერძენ ქურუმ ქალთან, სიბილასთან, რომელიც საკმაოდ აქტიურად ფიგურირებს რომაულ ლიტერატურაში და ვერგილიუსის „ენეიდაში" (იგი თავად ენეასს უწევს თანამგზავრობას ჰადესში).

ძალზე მნიშვნელოვანი იყო რომში მცირე აზიიდან ე. წ. დიდი დედა კიბელეს კულტის შემოტანა და პალატინუმზე ამ ქალღმერთის სახელობის ტაძრის აღმართვა. კულტებისა და ღვთაებების სიმრავლემ რომაულ რელიგიაში, ბუნებრივია, წარმოქმნა საკმაოდ დიდი სიჭრელე და სერიოზული რეფორმის აუცილებლობა. ამ თვალსაზრისით საინტერესო იყო ძვ. წ. I საუკუნეში ავგუსტუსის მიერ ძველი და ახალი, საკუთრივ რომისა და რომის იმპერიასთან დაკავშირებული კულტების რესტავრაციისა და კონსოლიდირების ცდები. ავგუსტუსის ე. წ. პიროვნული რელიგია საკმაოდ მჭიდროდ დაუკავშირდა აპოლონ-ომზის სახელს და ძალზე ინტენსიურად წამოსწია წინ რელიგიურ წარმოდგენებში მმართველის ფიგურა. ეს ტენდენცია უკვე იულიუს კეისრიდან იწყება, ხოლო აღმოსავლეთში თვით ელინისტურ ეპოქაშიც კი ძალზე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა გაღმერთებული მეფის კულტი. ამდენად, ავგუსტუსს ჰქონდა საფუძველი, როდესაც დაადგინა, რომ გარდაცვლილი კეისარი სენატის სპეციალური დეკრეტით ღმერთამდე აღემაღლებინათ, ხოლო ცოცხალი კეისრის გენიუსი კი თითქმის ღვთაებრივთან გაეთანაბრებინათ. ეს ტენდენცია თანდათანობით ძლიერდება და კეისრის გაღმერთების პრაქტიკა ჩვეულებრივ მოვლენად

იქცა. მათ სწირავდნენ მსხვერპლს, უგებდნენ ტაძრებს, მმართველ კაცებს და მმართველ ქალებს აიგივებდნენ სხვადასხვა ოლიმპიურ ღვთაებებთან და მათ მიმართ გამოიყენებდნენ ისეთ ეპითეტებს, როგორიც არის divus („ღვთაებრივი") და soter („მხსნელი"). ავრელიანუსი (მმართვ. 270-275) იქამდეც კი მივიდა, რომ ნება დართო მისთვის dominus et deus („მმართველი და ღმერთი") ეწოდებინათ. იგი აღმოსავლური მზის ღმერთების განსაკუთრებული პატივისმცემელი იყო, ისევე როგორც მოგვიანებით სხვა კეისრებიც თავზე იდგამდნენ სხივისებურ გვირგვინს, რომელიც მზის ღვთაებასთან მათ მიმართებას უსვამდა ხაზს. ამდენად, როგორც ვხედავთ, ავგუსტუსის მიერ დაწყებული გზა კეისრის ღვთიურ სფეროსთან დაკავშირებისა, ბოლოს და ბოლოს, დამთავრდა კეისართა ინსტიტუტის მითოპოეტურ სფეროში გადატანით და რიტუალიზებით.

ერთი მხრივ, პოლითეისტური და პიროვნების გაღმერთების ტენდენციების გამოვლენა, ხოლო, მეორე მხრივ, ქრისტიანული რელიგიის თანდათანობით მომძლავრება ძალზე გამოკვეთილ ოპოზიციას აყალიბებდა წარმართულსა და ქრისტიანულ წარმოდგენებს შორის. სწორედ ანტიკური რელიგიის ესოდენი სიჭრელე და მოკვდავ კეისართა ღმერთის რანგში აყვანის ცდა მაუწყებელი იყო წარმართული რელიგიის კრიზისისა და მომასწავებელი აღმავლობის გზაზე მდგარი დიდი რელიგიური სისტემის, ქრისტიანობის წარმატებისა.

როდესაც ანტიკური რელიგიის განვითარების ბოლო ფაზაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ე. წ. აღმოსავლური ელინისტური რელიგიების სინკრეტიზმს, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, თავად რომაული რელიგიისათვისაც იქცა განმსაზღვრელად. ამ სინკრეტიზმისათვის დამახასიათებელი იყო ანტიკურ საზოგადოებაში იმ მისტერიალური კულტების დამკვიდრება, რომლებიც ძალზე ინტენსიურად ვლინდებოდნენ ფრიგიულსა და სირიულ, ეგვიპტურ, სპარსულ, ბერძნულ მისტერიებში. ამის გვერდით თავის როლს თამაშობდა ე. წ. ელინისტური, გვიანანტიკური ფილოსოფიური რელიგიები: სტოა, ნეოპითაგორეიზმი, ნეოპლატონიზმი, ჰერმენევტული ფილოსოფია, გნოსტიკური სისტემები. მათ ფილოსოფიისადმი მიძღვნილ თავში შევეხებით.

არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ რომაული იმპერიის არსებობის დროს ინტეგრაციის პროცესებთან ერთად საკმაოდ თვალსაჩინო ხდებოდა დეზინტეგრაციის პროცესებიც, რაც რელიგიაში ე. წ. პროვინციული კულტების სიცოცხლისუნარიანობაში გამოიხატა.

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ანტიკური რელიგია თანამედროვე ადამიანისათვის დღეს, ძირითადად, ისტორიული თვალსაზრისით არის საინტერესო და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ მისგან შევიდა ამჟამად მოქმედ დიდი რელიგიების სისტემაში, მათი კვალი თანამედროვე ადამიანის რელიგიურ ცხოვრებაში სავსებით უმნიშვნელოა. ამას ვერ ვიტყვით ანტიკური მითოლოგიის შესახებ. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულმა და, გარკვეულწილად, რომაულმა მითოლოგიამ, რომელიც, არსებითად, ბერძნულის ერთგვარ ვარიაციას წარმოადგენდა (ზოგიერთი მკვლევარი მას ფსევდო-მითოლოგიასაც კი უწოდებს), ძალზე დიდი გავლენა მოახდინა და ახდენს კაცობრიობის მხატვრულ კულტურაზე. ანტიკური მითოლოგიური სახეები, ის ანტიკური ნაწარმოებები, რომლებიც მითოლოგიური ინფორმაციის საფუძველზეა აგებული, დღესაც მრავალი შემოქმედის ინსპირაციის წყაროს წარმოადგენს.

ანტიკური მითოლოგიური სიმბოლოები იმდენად პოპულარულია თანამედროვე საზოგადოებაშიც, რომ მათი ცოდნა XXI საუკუნის ადამიანის განათლებულობის ერთ-ერთ კრიტერიუმადაც კი მიიჩნევა. არ არის შემთხვევითი, რომ მრავალ თანამედროვე შოუში, რომელიც ადამიანთა განათლებულობის გამოსავლენად და წასახალისებლად იმართება დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ერთობ დიდია იმ კითხვების ხვედრითი წონა, რომლებიც ანტიკურ მითოლოგიასთან არიან დაკავშირებულნი.

## ლიტერატურა


- ნ. გაფრინდაშვილი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი 1972.
- ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი 1983.
- მითოლოგიური ენციკლოპედია ყმანვილთათვის, შემდგენლები: ნ. ტონია, ზ. კიკნაძე, I ტ. 2003 ნ., II ტ. თბილისი 2004.
- Мифологический словарь, гл. ред. Е. М. Мелетинский, Москва 1990.
- W. H. Roscher, Ausführliches Lexikon der griechischen und römischen Mythologie, Leipzig 1884-1937.
- Ελληνική Μυθολογία, 5 τ.: 1. Εισαγωγή στο μύθο. 2. Οι θεοί. 3. Οι ήρωες. 4. Ηρακλής – πανελλήνιες εκστρατείες. 5. Τρωικός πόλεμος, Γενική εποπτεία: Ι. Θ. Κακρίδης. Αθήνα 1986.
- H. Hunger, Lexikon der griechischen und römischen Mythologie, Wien 1969[6].
- J. E. Zimmerman, Dictionary of Classical Mythology, New York 1964.
- E. M. Moorman, W. Uitterhoeve, Lexikon der antiken Gestalten. Mit ihrem Fortleben in Kunst, Dichtung und Musik, Stuttgart 1995.
- Lexikon Iconographicum Mythologiae Classicae (LIMC), München, Zürich 1981 შმდ. (მრავალტომეული გამოცემა, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. მასში მოცემულია ანტიკური მითოლოგიის სახეებისა და თემების პლასტიკური თუ ფერწერული გამოსახვის სრულყოფილი საილუსტრაციო მასალა).
- ბერძნული მითების სამყარო ათ წიგნად, გამომც. ლოგოსი.
  - ქაოსიდან კოსმოსამდე (ურანოსი, კრონოსი, ზევსი), 1997 (თხრობა და კომენტარები: რ. გორდეზიანი).
  - დიდი ზეციური ღმერთები, 1998, 2000[2] (თხრობა და კომენტარები: ნ. ტონია).
  - ზღვა და მიწისქვეშეთი. მცირე ღვთაებანი, 1998 (თხრობა და კომენტარები: ვ. ჯუღელი).
  - პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები, 1998 (თხრობა და კომენტარები: რ. ცანავა).
  - ასპარეზზე გამოდიან გმირები, 2000, 2003[2] (თხრობა და კომენტარები: ნ. ტონია, მ. ღარიბაშვილი).
  - არგონავტები, 1999 (თხრობა და კომენტარები: რ. გორდეზიანი).
  - შვიდბჭიანი თებე, 2002 (თხრობა და კომენტარები: გ. ხომერიკი).
  - ტროას ომი, 2002, 2004[2] (თხრობა და კომენტარები: ლ. ბერაია).
  - ტროას ომის შემდეგ, 2005 (თხრობა და კომენტარები: მ. ფხაკაძე).
  - რ. გორდეზიანი, მითების სიბრძნე, 2005.
- А. Ф. Лосев, Античная мифология, Москва 1957.
- А. Ф. Лосев, Философия, мифология, культура, Москва 1991.
- А. А. Тахо-Годи, А. Ф. Лосев, Греческая культура в мифах, символах и терминах, Санкт-Петербург 1999.
- С. И. Радциг, Античная мифология, Москва, Ленинград 1939.
- К. Леви-Строс, Структурная антропология. Перевод с французского под редакцией и с примечаниями Вяч. Вс. Иванова, Москва 1985.
- К. Леви-Строс, Мифологики, т. 1. Сырое и приготовленное; т. 2. От меда к пеплу; т. 3. Происхождение застольных обычаев, Москва, Санкт-Петербург 2000.
- L. Radermacher, Mythos und Sage bei den Griechen, Darmstadt 1968.
- R. Graves, The Greek Myths, V. 1, 2, Penguin Books 1960.
- H. J. Rose, A Handbook of Greek Mythology, London 1964.
- G. S. Kirk, Myth. Its Meaning and Functions in Ancient and Other Cultures, Cambridge 1970.
- L. Preller, C. Robert, Griechische Mythologie, 2 Bde., Zürich 1967[5].
- K. Kerényi, Mythologie der Griechen, 2 Bde., Zürich 1951/1958, München 1966.
- G. Schwab, Die schönsten Sagen des Klassischen Altertums, 2 Bde., Leipzig 1965[3].

- F. Graf, Griechische Mythologie, München, Zürich 1997[4].
- H.-K. und S. Lücke, Antike Mythologie, Der Mythos und seine Überlieferung in Literatur und bildender Kunst, Hamburg 1999.
- W. Burkert, Structure and History in Greek Mythology and Ritual, London 1979.
- W. Burkert, Ancient Mystery Cults, Cambridge, London 1987.
- W. Burkert, Homo necans, Berlin 1972.
- W. K. C. Guthrie, The Greeks and Their Gods, Boston 1955.
- M. P. Nilsson, Geschichte der griechischen Religion, Erster Band: Die Religion Griechenlands bis auf die griechische Weltschaft, München 1955; Zweiter Band: Die hellenistische und römische Zeit, München 1974.
- W. Burkert, Griechische Religion der archaischen und klassischen Epoche, Stuttgart 1977.
- W. F. Otto, Die Götter Griechenland, Bonn 1929, Darmstadt 1960[3], 1970[6].
- A. Lang, Myth, Ritual and Religion, Vol. I, II, London, New York 1913.
- E. Cassirer, Philosophie der symbolischen Formen. 2: Das mythische Denken, Berlin 1925.
- D. Gruppe, Griechische Mythologie und Religionsgeschichte, München 1906.
- U. von Wilamowitz-Moellendorff, Der Glaube der Hellenen, I-II, Berlin 1931, 1932.
- M. Grant, Myths of the Greeks and Romans, New York 1962.
- Römische Sagen. Den Quellen nacherzählt von R. Carstensen, (dtv), 1978.
- L. Preller, H. Jordan, Römische Mythologie, 2 Bde., Berlin 1881-1883[3], Zürich 1978[4].
- K. Latte, Römische Religionsgeschichte, München 1960.
- Fr. Altheim, Römische Religionsgeschichte, 3 Bde., München 1951-1954.
- G. Wissowa, Religion und Kultus der Römer, München 1912[2].
- G. Radke, Zur Entwicklung der Gottesvorstellung und der Gottesverehrung in Rom, Darmstadt 1987.

# ფილოსოფია და მეცნიერება

**ბერძნული ფილოსოფია.** ანტიკური კულტურის უმნიშვნელოვანესი სფერო არის ფილოსოფია. შეიძლება ითქვას, რომ ტერმინით დაწყებული თავად არსით დამთავრებული, იგი ბერძნული კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნების პირმშოს წარმოადგენს. მართალია, თავად ცნება *ფილოსოფია* (φιλοσοφία) ბერძნულად ნიშნავს მხოლოდ „სიბრძნის სიყვარულს" (φίλος, σοφός / σοφία), მაგრამ სინამდვილეში იგი ბევრად მეტს გულისხმობს, ვიდრე უბრალოდ სიბრძნის მიმართ ინტერესია. და მართლაც, რომელიმე მოაზროვნე პიროვნება შეიძლება ჩაეთვალათ ბრძენად და იგი ე. წ. შვიდი ბრძენის ნუსხაშიც კი შეეტანათ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი მისი ფილოსოფოსად ჩათვლისათვის, რამდენადაც ფილოსოფიურ აზროვნებას და ბრძენის აზროვნებას ერთი არსებითი ნიშანი განასხვავებს. ბრძენი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე გადმოგვცემს იმას, რაც ადამიანებმა უნდა გაითვალისწინონ და რაც გულისხმობს შესაძლებლობას, რომ რაღაც შეიძლება მოხდეს და მისი თავიდან აცილება ბრძენის მიერ ჩამოყალიბებული შეგონების მხედველობაში მიღებით არის შესაძლებელი. შესაბამისად, ბრძენის აზროვნების ფორმა არის გნომური ანუ სენტენციური: რაც უფრო მეტად არის შესაძლებელი, რომ რაღაც გამონაკლისი მოხდეს, მით უფრო იზრდება ბრძენის შეგონების დამაჯერებლობა. ა. მ., სოლონის ცნობილი სიბრძნე – „ყველაფერს ბოლო გამოაჩენს" – ეს არის ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბებული გნომი. იგი გულისხმობს, რომ ადამიანებს არ უნდა ჰქონდეთ ილუზია, რომ ისინი ბედნიერები არიან მანამდე, ვიდრე ისინი ცხოვრებას დაასრულებენ და ვიდრე ჭეშმარიტად გაირკვევა, რამდენად მყარი იყო მათი ბედნიერება. არაფერს ვამბობთ მითოლოგიური, ეპიკური, ლირიკული აზროვნების ფორმებზე, რომლებშიც, მართალია, შეიძლება იყოს კრიტიკულ-ანალიტიკური ელემენტები, მაგრამ იგი არასოდეს არ გადადის ჭეშმარიტების სერიოზულ ფილოსოფიურ ძიებაში.

ფილოსოფიური აზროვნება კი უკვე გულისხმობს იმას, რომ ადამიანი, როგორც „მე", სამყაროსთან, როგორც ობიექტურ „იგი"-სთან, სპეციფიკურ მიმართებას ამყარებს. სამყარო არის „მე"-ს დაკვირვების ობიექტი. ეს იმას გულისხმობს, რომ ყოველივე, რაც სამყაროში ხდება, ადამიანისათვის არ არის თავისთავად ცხადი. ეს კი უკვე განაპირობებს გონებით ისეთი სინამდვილისაკენ ლტოლვას, რომელიც რეალობის მიღმა ძევს. ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ფილოსოფიური აზროვნება დაიწყო კითხვით: რა არის ყოველივეს საწყისი? თუკი ამის თაობაზე მითოპოეტურ აზროვნებას ჰქონდა ტრადიციული და თავისთავად ცხადი პასუხი, ფილოსოფიური აზროვნება გულისხმობდა შესაბამის პასუხამდე მსჯელობის და განსჯის საშუალებით მისვლას. ივარაუდებოდა ამასთან, რომ სხვადასხვა ადამიანი განსჯით შეიძლება სხვადასხვა პასუხამდე მისულიყო. და მაინც, ფილოსოფოსის, მოაზროვნის პასუხი ბრძენის გნომისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ამ პასუხს აბსოლუტური ხასიათი ჰქონდა და იგი გამონაკლისს არ უშვებდა.

ძველი ბერძენი ფილოსოფიის ისტორიკოსები საერთოდ ფილოსოფიური აზროვნების საწყისად მიიჩნევენ არქაიკის პერიოდს და პირველ ფილოსოფოსად ასახელებენ თალესს, თუმცა არ გამორიცხავენ ფილოსოფიური აზროვნების ელემენტების არსებობას უკვე ჰომეროსსა და ჰესიოდესთან. დღეს ბერძნული ფილოსოფიის ისტორია შემდეგ პერიოდებად იყოფა: ა) სოკრატემდელი ფილოსოფია (ძვ. წ. VII საუკუნის მიწურული – ძვ. წ. V

საუკუნის პირველი ნახევრის დასაწყისი ანუ ე. წ. განმანათლებლობამდე პერიოდი); ბ) ე. წ. ატიკური ფილოსოფია, რომლის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები იყვნენ: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე (ძვ. წ. V-IV საუკუნეები); გ) არისტოტელეს შემდგომი ფილოსოფია, რომელიც მოიცავს ელინიზმის ეპოქას (სტოიციზმი, ეპიკურეიზმი, სკეპტიციზმი); დ) რომაული ბატონობის ეპოქის ფილოსოფია (ე. წ. საშუალო და ახალი პლატონიზმი ანუ ნეოპლატონიზმი).

*ა) სოკრატემდელი ფილოსოფია.* სოკრატემდელ ფილოსოფიაზე მსჯელობისას, ძირითადად, ატიკური და შემდგომი ეპოქის ფილოსოფოსთა თხზულებებს ვეყრდნობით და, შესაბამისად, ყოველთვის არ ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ მათ თავიანთ წინამორბედთა ნააზრევის სწორი ინტერპრეტაცია მოგვცეს. და მაინც, თუკი ამ წყაროებს დავეყრდნობით, პირველი ფილოსოფოსი იყო თალესი (ძვ. წ. 624-545), რომელიც ერთდროულად ითვლებოდა შვიდი ბრძენის ნუსხის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სტაბილურ წევრად. არისტოტელეს მიხედვით, მას ორი დებულება მიეწერება: ა) დედამიწა ძევს წყალზე და იგი ტივტივებს, როგორც ხის ნაჭერი ან რაღაც მისი მსგავსი; ბ) წყალი არის ყოველივეს საწყისი *არქე* (ἀρχή, როგორც ჩანს, არის უკვე თავად არისტოტელეს მიერ შემოთავაზებული ტერმინი). თალესი, მითოპოეტური აზროვნებისაგან განსხვავებით, ცდილობდა თავისი ამ ორი დებულების არგუმენტაციას. როგორც ვხედავთ, თალესისაგან იღებს დასაბამს ფილოსოფიური აზროვნება, როგორც ემპირიული აზროვნების ტიპი, რომლის არსი ამგვარად შეიძლება გადმოვცეთ: აზროვნება აზროვნებისათვის. და მართლაც, იმის კვლევაში, თუ რა არის ყოველივეს საწყისი, ადრეულ ეტაპზე მაინც არავითარი უტილიტარული აზრი არ იყო ჩადებული. პირველი ფილოსოფოსები არ უშვებდნენ, რომ მათი ნააზრევის გამოყენება რაღაცნაირად პრაქტიკულ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. პირველი ფილოსოფოსები არ ილტვოდნენ იმისკენ, რომ თავიანთი მოღვაწეობით მხატვრული კულტურის მსგავსად ადამიანისათვის სიამოვნება მიენიჭებინათ, ან ბრძენის გნომის მსგავსად სასარგებლო რჩევა მიეცათ. თალესი იონიიდან იყო და არც არის გასაკვირი, რომ პირველ ეტაპზე ფილოსოფიამ აღმავლობა სწორედ ამ რეგიონში განიცადა.

ანაქსიმანდროსი (ძვ. წ. 610-545) არქედ უკვე აპეირონს ანუ „განუსაზღვრელს" აღიარებს, ხოლო ანაქსიმენესი (ძვ. წ. 585-525) კი — ჰაერს ან, შესაძლოა, რაღაც აირისებურ ნივთიერებას.

ქსენოფანესიდან (დაახლ. ძვ. წ. 570-469) იწყება ბერძნულ ფილოსოფიაში ახალი მიმართულება, რომელსაც შეიძლება ანტიკური ფილოსოფიური თეოლოგია ვუწოდოთ. ტრადიციული მითოპოეტური წარმოდგენების კრიტიკის გზით იგი მივიდა თავის ერთ უზენაეს ღმერთამდე „ერთი (არს) ღმერთი, ღმერთთა და ადამიანთა შორის უდიდესი, არც აღნაგობით და არც აზრით არ ჰგავს იგი მოკვდავებს" (ფრ. 23). ამასთანავე, ქსენოფანესი კრიტიკულია მისი თანამედროვე პითაგორასა და პითაგორელთა დებულებების მიმართაც.

პითაგორას (ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარი) ანტიკურ ფილოსოფიურ აზროვნებაში გამორჩეული ადგილი უკავია, რადგან ის და მისი მომხრეები საფუძველს უდებენ ე. წ. მისტიკურ ნაკადს ფილოსოფიაში, რომელიც ერთგვარ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს მისტიკასა და რაციონალურ აზროვნებას შორის და რომელიც ყველაფრის საფუძვლად რიცხვებსა და რიცხვებს შორის მიმართებებს აღიარებს.

სოკრატემდელ ფილოსოფიაში აშკარად გამორჩეულია ჰერაკლიტე (VI საუკუნის მეორე ნახევარი), რომლის ჩვენამდე მოღწეული დებულებები მეცნიერებაში დიდ კამათს იწვევს. ჰერაკლიტეს მიეწერება დიალექტიკური პრინციპის შემოტანა ფილოსოფიაში და ამასთანავე ცნება *ლოგოსის*, როგორც პრინციპის დამკვიდრება ფილოსოფიაში და ე. წ. მარადიული ცეცხლის კონცეფციის წამოყენება. სამყაროს არსებობის უწყვეტობის პროცესს იგი იაზრებს როგორც ამ ცეცხლის პერიოდულ ქრობა-ანთებას.

ფილოსოფიური აზროვნება იონიიდან თანდათანობით მთელ ბერძნულ სამყაროში ინაცვლებს. ამის ნათელი მაგალითია პარმენიდესი (დაახლ. ძვ. წ. 500 წლის ფარგლებში), რომელიც იტალიის ელეაში მოღვაწეობდა და ე. წ. ელეატური სკოლის ფუძემდებლად ითვლება ფილოსოფიაში. პარმენიდესი მთელი ანტიკური სამყაროსათვის მიიჩნეოდა ლოგიკური აზროვნების სიმბოლოდ. მისი ლოგიკა ეფუძნებოდა შემდეგ დებულებას: თუკი ჭეშმარიტია მტკიცება, რომ არსი არის, შეუძლებელია ასევე ჭეშმარიტი იყოს მტკიცება: არსი არ არის.

პარმენიდესის შემდეგ ფილოსოფიის განვითარებაში შეინიშნება ახალი ე. წ. ბუნებისმეტყველური მიმართულების გაძლიერება, რომელიც ემპედოკლესის (ძვ. წ. V ს.), ანაქსაგორასის (დაახლ. ძვ. წ. 500–428) გავლით მიგვიყვანს დემოკრიტოსის (ძვ. წ. V საუკუნის შუა პერიოდი) ატომისტური მოძღვრების ჩამოყალიბებამდე.

*ბ) ე. წ. ატიკური ფილოსოფია.* თუკი სოკრატემდელი ფილოსოფიის განვითარებისათვის დამახასიათებელი იყო პირველსაწყისის ანუ არქეს ძიება ადამიანის მიღმა ბუნებასა თუ კოსმოსში, ძვ. წ. V საუკუნიდან იწყება შემობრუნება ადამიანისაკენ. უპირველეს ყოვლისა, ეს სოფისტების დამსახურებაა. ისინი თავდაპირველად აღიქმებოდნენ, როგორც სიბრძნის მასწავლებლები. თანდათანობით მათი ფუნქცია გამოიხატა იმაში, რომ ადამიანებისათვის ესწავლებინათ, თუ როგორ შეიძლება მსჯელობით ნებისმიერი აზრის ჭეშმარიტების დამტკიცება. სოფისტების: გორგიასის (დაახლ. ძვ. წ. 483–376), ანტიფონის (ძვ. წ. V ს.) და განსაკუთრებით პროტაგორასის (ძვ. წ. V ს.) მოძღვრების არსი შემდგომში მდგომარეობდა: ყველა საგნის საზომი არის ადამიანი, არსებულისა, რომ ისინი არიან და არარსებულისა, რომ ისინი არ არიან. შესაბამისად, სოფისტების მოძღვრების თანახმად, ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებობს და, აქედან გამომდინარე, ადამიანს შეუძლია დაამტკიცოს ნებისმიერი აზრის ჭეშმარიტება. ამ მოძრაობის პოპულარობა სავსებით გასაგები გახდება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ დემოკრატიულ ათენში ადამიანს განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა. მის ინიციატივაზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო გადაწყვეტილების, კანონების მიღება. ადამიანი მართლაც სამყაროს ცენტრად იქცა და, ბუნებრივია, რომ ფილოსოფია მთლიანად მისკენ შემობრუნდა, უფრო მეტიც, სოფისტებმა თავად ადამიანი ცნეს ჭეშმარიტების კრიტერიუმად. ბუნებრივია, ამ სოფისტურ მოძრაობას აღიარებულ ღირებულებათა ნიველირება და ლოგიკური კონსტრუქციებით მანიპულირებისაკენ ლტოლვა მოჰყვა, რაც საშუალებას იძლეოდა სახალხო კრებებზე, სასამართლოებზე ადამიანს მრუდე საქმე წარმოედგინა ჭეშმარიტებად და, პირიქით, მართალი საქმე მრუდედ ჩაეთვალა.

სოფისტურმა მოძრაობამ და აზროვნების საოცარმა ემანსიპაციამ სავსებით ბუნებრივად განაპირობა ასპარეზზე ისეთი ფიგურის გამოსვლა, როგორიც იყო სოკრატე (ძვ. წ. 469–399). მართალია, მას არ დაუტოვებია არავითარი წერილობით ჩამოყალიბებული მოძღვრება, მაგრამ მისმა მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა, განსაკუთრებით კი პლატონმა, ყველაფერი გააკეთეს სოკრატეს უკვდავსაყოფად. სოკრატეს ერთ-ერთი დიდი დამსახურება იყო, ეჩვენებინა სოფისტური მოძღვრების სისუსტეები. მთავარი დარტყმა მან მიაყენა სოფისტების ძირითად დებულებას: ადამიანი არის ჭეშმარიტების საზომი. სოკრატემ აჩვენა, რომ სოფისტების დებულება საკუთარ თავში შეიცავდა წინააღმდეგობას, რადგან მისი გათვალისწინების შემთხვევაში თანაბრად სწორი იქნებოდა ორი ერთმანეთის საპირისპირო დებულება: ადამიანი არის ჭეშმარიტების საზომი // ადამიანი არ არის ჭეშმარიტების საზომი, ობიექტური ჭეშმარიტება არსებობს // ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებობს. და მაინც, სოკრატეს ყველაზე დიდი დამსახურებაა საკუთარი სკოლის შექმნა და ისეთი ფილოსოფოსის აღზრდა, როგორიც იყო პლატონი, რომელსაც მსოფლიო აზროვნების ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენლად აღიარებენ.

ანტიკური ფილოსოფიური აზროვნების მწვერვალს აშკარად პლატონი (ძვ. წ. 427-347) წარმოადგენს. მან ათენთან ლეგენდარული გმირის, აკადემოსის ჭალაში დააარსა თავისი სკოლა, სადაც მრავალი ცნობილი ფილოსოფოსი აღიზარდა. პლატონი იყო სოკრატეს მოწაფე და თავისი მასწავლებლის დიდი თაყვანისმცემელი. საკუთარი მოძღვრების გადმოსაცემად მან დიალოგის ფორმას მიმართა. ამ დიალოგებში უმრავლეს შემთხვევაში ძირითად ფიგურას სოკრატე წარმოადგენს. შესაბამისად, პლატონის მთელი მოძღვრება გახმოვანებულია სოკრატეს პირით. ამიტომაც მეცნიერებისათვის არცთუ ისე ადვილი საქმეა ყოველთვის ზუსტად განასხვაონ, სად მთავრდება საკუთრივ სოკრატეს მოძღვრება და სად იწყება პლატონის. და მაინც, დღეს შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ პლატონის დიალოგებში, არსებითად, გადმოცემულია საკუთრივ პლატონის ნააზრევი. ამას გვიჩვენებს მისი დიალოგების შედარებითი შესწავლა და იმის ანალიზი, თუ როგორ ვითარდებოდა და, გარკვეულ შემთხვევაში, იცვლებოდა პლატონის შეხედულებები ადრეულიდან გვიანდელ დიალოგებამდე. პლატონის თხზულებების ძირითადი პათოსი მდგომარეობს იმაში, რომ მათი მთავარი მოქმედი პირი – სოკრატე – ეძიებს ზოგადს და დეფინიციებს. შესაბამისად, დიალოგი ეფუძნება შემდეგ კონსტრუქციას: თავიდან ისმის კითხვა: რა არის x და ამის შემდეგ დისკუსიის საშუალებით მიმდინარეობს მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ობიექტური პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. ბუნებრივია, თითქმის ყველგან წამყვანი პარტია მიჰყავს სოკრატეს. ძალზე მრავალფეროვანია პლატონის დიალოგების თემატიკა და მასში დასმული საკითხების შინაარსი. სრულიად უცილობელია ის, რომ პლატონმა ფილოსოფიური მსჯელობისათვის მონახა ოპტიმალური ფორმა – დიალოგი, რაც მის ფილოსოფიურ-მეცნიერული დებულებებით დატვირთულ ნაწარმოებებს საოცარ მხატვრულობას ანიჭებს. მათ დღეს ვკითხულობთ ისე, როგორც პირველხარისხოვანი მწერლის მიერ შექმნილ ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებებს.

პლატონის VII წერილზე დაყრდნობით (ეს ერთ-ერთი იმ წერილთაგანია, რომლის ავთენტურობაში დარწმუნებულია მეცნიერთა უმეტესობა), თანამედროვე მეცნიერები ფიქრობენ, რომ პლატონის მოძღვრება ორ დონეზე რეალიზდებოდა: 1. ეს იყო წერილობით შექმნილი თხზულებები, რომლებშიც გადმოცემული იყო ის, რაც ნაკლებად მომზადებული მკითხველისთვისაც შეიძლებოდა გასაგები ყოფილიყო; 2. ე. წ. ეზოთერული მოძღვრება, ანუ ის, რასაც პლატონი მხოლოდ ზეპირად გადასცემდა თავის მოწაფეებს ანუ მომზადებულ აუდიტორიას. პლატონის „სოკრატეს აპოლოგიიდან" ცნობილია, რომ მისი მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი დებულება იყო შემდეგი: „ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი". ეს, ფაქტობრივად, იმის აღიარებას ნიშნავდა, რომ ჩვეულებრივი, ემპირიული ადამიანური ცოდნა არ არის ჭეშმარიტი ცოდნა, რომ სოკრატემ ეს შეიმეცნა და იგი დგას საზღვარზე ამ ფაქტობრივ არცოდნასა და იმას შორის, რაც უნდა იყოს ჭეშმარიტი ცოდნა და რაც საკვლევია, რასაც წვდომა სჭირდება. მაგრამ ეს უკანასკნელი პრაგმატული და ემპირიული ცოდნით დამძიმებული ადამიანებისათვის ძნელი წარმოსაჩენია, რადგან შეუძლებელია ჩვეულებრივი ენით გადმოსცე ის, რაც ემპირიული ცოდნის მიღმა ძევს. პლატონის სავარაუდო ეზოთერული სწავლების შესახებ ჩვენ ძალზე ცოტა შეგვიძლია ვთქვათ, ამიტომ ძირითადი ყურადღება იმას უნდა მივაქციოთ, რაც მის დიალოგებშია მოცემული. პლატონის დიალოგებში ვხვდებით მსჯელობას ისეთ განყენებულ საკითხებზე, როგორიც არის სიყვარული, სიქველე, პასუხისმგებლობა კანონების წინაშე, მშვენიერება და ა. შ. მაგრამ, რასაკვირველია, ფილოსოფიის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა მისი მოსაზრებები კარდინალური ფილოსოფიური პრობლემების შესახებ. მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას შემდეგი საკითხები იპყრობს: 1. სულის უკვდავება. პლატონის მოძღვრების თანახმად, სული უკვდავია და ამის დამტკიცებას იგი ცდილობს ლოგიკური გზით. ამ თემისადმი მიძღვნილი მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები არის „ფედონი"; 2. „ცოდნა გახსენებაა". ამ დებულებას წარმოაჩენს მისი დიალოგი „მენონი"; 3. პლატონის

ფილოსოფიის ერთ-ერთი საკვანძო მომენტია მისი „იდეების თეორია", რომელიც არაერთ თხზულებაში აქვს განვითარებული და რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მის ცენტრალურ ნაწარმოებში „სახელმწიფო". მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ხილული მატერიალური სამყარო წარმოადგენს აბსტრაქტული იდეების მატერიალიზაციის შედეგს. მართალია, ამ დებულების გაგება მრავალ კითხვას წარმოქმნის, მაგრამ თანამედროვე ინფორმატიკის ეპოქაში პლატონის თეორიას არაერთი მხარდამჭერი აღმოუჩნდა. მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, თუ რა მიმართება არსებობს აბსტრაქტულ მათემატიკურ მოდელსა და მის მატერიალიზაციას შორის; 4. პლატონი არის პირველი მოაზროვნე, რომელიც თეორიულად სვამს იდეალური სახელმწიფოს საკითხს. მართალია, სხვადასხვა ხალხთა რელიგიურ წარმოდგენებში, ლიტერატურაში, განსაკუთრებით, ჰომეროსთან იყო უტოპიური, იდეალური ქვეყნების წარმოდგენის ცდა, მაგრამ მათ, რასაკვირველია, ვერ მივიჩნევთ სერიოზული თეორიული აზროვნების პროდუქტად ან რომელიმე რეალურად არსებული სახელმწიფო გაერთიანების ასახვად. პლატონი თავისი თანამედროვე პოლიტიკური სისტემებისა და სახელმწიფო წყობილებების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ცდილობს წარმოგვიდგინოს იდეალური სახელმწიფოს მოდელი, რომელიც ეფუძნება სახელმწიფოს დაყოფას სამ კლასად, რომელთა შორის საკმაოდ საინტერესოდ ხდება მატერიალური ქონების გადანაწილება. პირველი არის მმართველების ანუ ფილოსოფოსების კლასი, რომელსაც არავითარი კერძო საკუთრება არ გააჩნია და რომელიც მართავს სახელმწიფოს; მეორე არის მებრძოლთა კლასი, რომელსაც ასევე არ გააჩნია კერძო საკუთრება, მაგრამ რომლის ფუნქცია არის სახელმწიფოს დაცვა; მესამეს განეკუთვნება ყველა დანარჩენი: გლეხები, ხელოსნები, საქმოსნები, რომელთაც აქვთ ქონება და რომლებიც ქმნიან მატერიალურ დოვლათს.

როგორც ვხედავთ, პლატონმა შემოიტანა ამგვარი პრინციპი: რაც უფრო მაღალ საფეხურზე არის კლასი სახელმწიფოს მართვის იერარქიულ სისტემაში, მით უფრო ღარიბი არის იგი ჩვენი გაგებით და პირიქით. პლატონის სახელმწიფოში ყველაფერი ცენტრალიზებულია და რეგულირებადი. აქ, დაწყებული ოჯახით დამთავრებული ბავშვებით, არაფერი არ შეიძლება განვიხილოთ მყარ საკუთრებად; მშობლებს შვილები ჩამოერთმევათ გარკვეული ასაკიდან, მათ ზრდის სახელმწიფო, რათა შემდეგ გამოვლინდეს, თუ რა მიდრეკილებებს გვიჩვენებენ ისინი და რომელ კლასში უნდა განაწილდნენ. პლატონის ამ თეორიული მოდელის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება იყო უკვე ანტიკურ სამყაროში, ხოლო თანამედროვე საზოგადოებაში მას, ბუნებრივია, ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. თუმცა მეცნიერები ერთხმად აღიარებენ: მართალია, თანამედროვე ფსიქოლოგიის მქონე ადამიანთა საზოგადოებაში ამ მოდელის განხორციელება შეუძლებელია, მაგრამ, როგორც თეორიულ კონსტრუქციას, ძნელია მას ლოგიკური წუნი მოუნახო. როგორც ჩანს, ამ მოდელის განხორციელების შეუძლებლობა თავად პლატონმაც დაინახა და მოგვიანებით იგი ქმნის ახალ თხზულებას „კანონები", რომელშიც სახელმწიფოს რამდენადმე განსხვავებულ „უფრო მიწიერ" მოდელს გვთავაზობს.

პლატონის მოსწავლეთა შორის უდიდესი აშკარად არისტოტელე (ძვ. წ. 384-322) იყო, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ პირველ ენციკლოპედისტ ფილოსოფოსად მსოფლიო აზროვნების ისტორიაში. არისტოტელემ არ გაიზიარა თავისი მასწავლებლის ბევრი დებულება, უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანის მიმართ საკმაოდ კრიტიკულიც აღმოჩნდა, რაც ცნობილი სენტენციის საფუძველი გახდა: „პლატონი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია". არისტოტელე ითვლება მრავალ სფეროში მეცნიერული აზროვნების ჭეშმარიტ ფუძემდებლად. ა. მ., შეიძლება ითქვას, რომ მისი თხზულებები ლოგიკის საკითხებზე საერთოდ ამ მეცნიერების ფუნდამენტს წარმოადგენდა. დღემდე ლიტერატურათმცოდნეობაში უმნიშვნელოვანეს ტრაქტატად ითვლება მისი „პოეტიკა" იქ წამოყენებული დებულებებითა და ცნებებით. არისტოტელეს თხზულებებიდან მხოლოდ ერთმა

ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. არსებითად, მისი მოწაფეებისა და მიმდევრების წყალობით, ფილოსოფოსის მემკვიდრეობიდან, ძირითადად, სასწავლო თხზულებების ანუ კონსპექტურად ჩამოყალიბებული ლექციების ის ოდენობა შემოგვრჩა, რაც ამ მოაზროვნეზე მსჯელობის შესაძლებლობას გვაძლევს. ლოგიკური თხზულებებიდან ცნობილია კრებული „ორგანონი", რომელიც რამდენიმე ნაწარმოებს შეიცავს და, არსებითად, ლოგიკური აზროვნების კანონზომიერებასა და წესებს გვთავაზობს. ამასთანავე, საბოლოოდ „ასამარებს" სოფისტური ლოგიკის ხერხებს. მისი ფილოსოფიური პრინციპებისა და დებულებების შემცველი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „მეტაფიზიკა", ე. წ. „პირველი ფილოსოფია". მასში σοφία („სიბრძნე") უმაღლესი საწყისებისა და საფუძვლების შესახებ მეცნიერებად არის წარმოდგენილი. არისტოტელე აქ აკრიტიკებს ყველა ადრე არსებულ თეორიას თალესიდან დაწყებული პლატონამდე. იგი აყალიბებს იმ *აპორიებს* („საჩიხო" პრობლემებს), რომელთა ამოხსნა არის ჭეშმარიტი მეცნიერების ამოცანა. იგი განსაზღვრავს მეტაფიზიკას, როგორც მეცნიერებას არსებულის, როგორც არსებულის შესახებ, არსებობის ბუნების შესახებ. მისი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა არის წარმოაჩინოს თავისი კვლევა, როგორც მეცნიერება პირველი პრინციპების (არქაᲘ) და მიზეზების (აᲘტიაᲘ) და განმარტოს ყველა არსებულის ოთხი მიზეზი: ფორმა ანუ არსი, მატერია ანუ სუბსტრატი, მოძრაობის მიზეზი, მიზანი. არისტოტელე განიხილავს ცნებების: „მატერია" (ὕλη) და „ფორმა" (εἶδος), „შესაძლებლობა" (δύναμις) და „რეალობა" ანუ „სინამდვილე" (ἐνέργεια) ურთიერთმიმართების საკითხს და აყალიბებს მეტაფიზიკის არსს, რომელიც უძრავის მოძრავად გადასვლის კანონზომიერების ნათელყოფაში მდგომარეობს. მოძრავი, სხეულებრივად არსებული ბუნების კვლევა არის „ფიზიკის" ე. წ. „მეორე ფილოსოფიის" კვლევის საგანი ანუ არისტოტელე აქ, ფაქტობრივად, ბუნების ფილოსოფიას წარმოგვიდგენს. ძალზე მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები ეთიკისა და პოლიტიკის შესახებ. პირველთა რიგს განეკუთვნება „ნიკომაქეური ეთიკა", „ევდემური ეთიკა" და „დიდი ეთიკა", ხოლო სახელმწიფოს ეხება მისი „პოლიტიკა", რომელშიც არისტოტელე საკმაოდ დეტალურად განიხილავს პოლიტიკური სისტემების ყველა ფორმას და გვთავაზობს თავის მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფოს მოწყობისა და ორგანიზების ოპტიმალური ფორმის მონახვა. მის თვალსაწიერში მოექცა რიტორიკის პრობლემატიკაც, რომელიც გადმოცემულია მის ცნობილ წიგნში „რიტორიკა". ამის გარდა, არისტოტელეს დარჩა არაერთი სხვა თხზულება, რომელიც ამ მოაზროვნის უნივერსალურობაზე მიგვანიშნებს. მან თავისი მასწავლებლის მსგავსად შექმნა საკუთარი ფილოსოფიური სკოლა – პერიპატოსი, რომლის მიხედვითაც მის მოსწავლეებს პერიპატეტიკოსები ეწოდათ.

პერიპატეტიკოსთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა თეოფრასტოსი ლესბოსიდან (დაახლ. ძვ. წ. 370-287), რომელსაც შეუქმნია ნაშრომები მეცნიერების თითქმის ყველა სფეროში: ლოგიკა, ფიზიკა, მეტაფიზიკა, ფიზიოლოგია, თეოლოგია, რიტორიკა, მუსიკა, ბიოლოგია. მისი სახელით ჩვენამდე მოღწეულია თხზულება „ხასიათები". ეს კრებული წარმოგვიდგენს ადამიანთა 30 შესაძლებელი ტიპის დახასიათებას იმ ძირითადი შტრიხების ჩამოთვლით, რომლებიც შესაბამისი ტიპის მოკვდავებისათვის არის ნიშანდობლივი. ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს, თუ რამდენად შორს იყო წასული ამ დროს დაკვირვება ადამიანებზე, მათი ხასიათების მსგავსებებსა თუ განსხვავებებზე.

*გ) არისტოტელეს შემდგომი ფილოსოფია.* ბერძნული ფილოსოფია განვითარების საკმაოდ საინტერესო ხაზს გვიჩვენებს ელინისტურ ეპოქაში. განსაკუთრებით გამოირჩევა რამდენიმე მიმართულება. *ეპიკურეიზმი* ეპიკურე სამოსელის (ძვ. წ. 341-270) სახელთან არის დაკავშირებული. ამ მიმართულების ფუძემდებელი ერთობ პროდუქტიული ყოფილა და მას ურიცხვი ნაშრომი შეუქმნია. მისი ფილოსოფიის ძირითადი არსი იყო ადამიანების განთავისუფლება შიშისაგან და მათი მიმართვა შინაგანი სიმშვიდის, უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობისაკენ. იმისათვის, რომ ადამიანმა ბედნიერად იცხოვროს, მან უნდა

დაძლიოს მასში ჩანერგილი რამდენიმე მცდარი ტენდენცია: 1. შიში ღმერთების წინაშე. იგი ამტკიცებს, რომ იმ ღმერთებს შორის, რომლებიც, შესაძლოა, არსებობდნენ და ადამიანთა სამყაროს შორის არავითარი კავშირი არ არის. რადგან ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა, მათ შორის, თავად ადამიანიც, სამყაროს თანდათანობითი განვითარების შედეგია, ხოლო ყოველივე კი უმცირესი ნაწილაკებიდან, ატომებიდან იღებს დასაბამს; 2. შიში სიკვდილის წინაშე. ცნობილია მისი აზრი ამ შიშის უსაფუძვლობის შესახებ: „სანამ ჩვენ ვარსებობთ, ჩვენთან არ არის სიკვდილი, როდესაც მოდის სიკვდილი, ჩვენ უკვე აღარ ვარსებობთ. ამდენად, არ შეიძლება ჩვენ მისი გვეშინოდეს"; 3. ყოველივეს, რაც ხდება, დეტერმინიზმი. ეპიკურეს აზრით, დეტერმინირებული არ არის არაფერი, ბედნიერებისათვის მთავარია თავისუფლება; 4. შემთხვევითობის განუსაზღვრელი ძალის რწმენა. ამ ფილოსოფოსის მიხედვით, შემთხვევა კი არა, არამედ სწორი არჩევანი განაპირობებს წარმატებას. აქედან გამომდინარე, ეპიკურეიზმი მიჩნეული იქნა, როგორც მოძღვრება ადამიანის ამქვეყნიური არსებობის აზრის, ცხოვრებისაგან სიამოვნების მიღების შესახებ.

მეორე ცნობილი მიმართულება იყო *სტოა*. სტოელთა ანუ სტოიკურმა ფილოსოფიამ განვითარების საკმაოდ ვრცელი გზა განვლო. მასში გამოყოფენ ძველ, საშუალო და ახალ ანუ გვიანდელ ფაზებს. მის ფუძემდებლად მიიჩნევენ ძენონს (ძვ. წ. 335-262), ხოლო მოძრაობის სახელს უკავშირებენ ბერძნულ ტერმინს ἡ ποικίλη στοά („ჭრელად მოხატული სვეტებიანი დერეფანი, სტოა"). სტოიკოსების აზრით, უმაღლესი მიზანი არის აფექტებისაგან დაცლა. ბრძენი არის მხოლოდ ის, რომელიც საკუთარ თავს მთლიანად ითავისუფლებს ე. წ. გარეგნული „სიკეთეებისაგან", რომელნიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიყვანენ მას ბედნიერებამდე. რამდენადაც ცხოვრებისადმი ამგვარი რადიკალური დამოკიდებულება შეიძლება მოკვდავისათვის ძნელი მისაღწევი იყოს, სტოიკური მოძღვრების სხვადასხვა განშტოებებში მონახული იყო გარკვეული კომპრომისული გზებიც. ისტორიაში ცნობილია სტოიკური მოძღვრების პრაქტიკულ ცხოვრებაში რეალიზების არაერთი მაგალითი. ა. მ., ის, თუ როგორ მშვიდად შეხვდა ვენებგადახსნილი სენეკა აბაზანაში სიკვდილს. სტოიკური აზროვნების მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს მარკუს ავრელიუსის თხზულება „ფიქრები".

ელინისტურ ეპოქაში ფილოსოფიური აზროვნების კიდევ ერთი ცნობილი მიმართულება იყო *სკეპტიციზმი*, რომელიც დააფუძნა პირონმა (ძვ. წ. 365-275). სკეპტიკოსები, არსებითად, აგრძელებდნენ სოკრატეს ტრადიციას, თუმცა მათ უკიდურესობამდე განავითარეს მეთოდი, რომელიც გულისხმობდა არგუმენტების საშუალებით ამა თუ იმ მოვლენის ან დოგმის, ამა თუ იმ ფილოსოფიური სკოლის შეხედულებების ეჭვქვეშ დაყენებას. ამ მოძრაობამ ხელახალი აღმავლობა განიცადა ახ. წ. I საუკუნეში, როდესაც ენესიდემოს კნოსელმა განავითარა მოძღვრება იმის თაობაზე, რომ ყველანაირი წარმოდგენა და ცოდნა ფარდობითია და, შესაბამისად, გზა მისცა სკეპტიკურ დამოკიდებულებას ნებისმიერი ღირებულებისა თუ ჭეშმარიტების მიმართ. სკეპტიციზმის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი იყო სექსტუს ემპირიკუსი (ახ. წ. II საუკუნის დასასრული).

*დ) რომაული ბატონობის ეპოქის ფილოსოფია.* ანტიკური წარმართული ფილოსოფიის განვითარების უკანასკნელ მნიშვნელოვან ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ ნეოპლატონიზმი. მის ფუძემდებლად ითვლება პლოტინოსი (205-270) ან, შესაძლოა, მისი მასწავლებელი ამონიოსი (175-242). ნეოპლატონიკოსების ძირითადი ამოცანა იყო პლატონის მოძღვრების განვითარება და განმარტება. პლოტინოსმა და მისმა მიმდევრებმა: პორფირიოსმა (III საუკუნის მეორე ნახევარი), იამბლიქოსმა (250-325), და შემდეგ პროკლოსმა (410-485), ამონიოს ჰერმეიუმ (V-VI სს.), იოანე ფილოპონოსმა (VI ს.) და სხვებმა ჩამოაყალიბეს ნეოპლატონიზმი როგორც ფილოსოფიური მოძღვრების სისტემა. მისი მიხედვით, პრინციპთა იერარქიის სათავეში დგას სიკეთე – ზეარსი – „ერთი", რომლის წვდომა შეიძლება მხოლოდ ზეაზრობრივი, გონების (ratio) მაღლა მდგარი ექსტაზით. იგი შეიძლება დახა-

სიათდეს მხოლოდ უარყოფის თეოლოგიის საშუალებით (ა. მ., „ერთი" არ არსებობს როგორც რაიმე საგანი, „ერთი" არ არის სიდიდე, „ერთი" არ არის უსასრულობა). ამ იერარქიაში ემანაციის შესაბამისად („ერთისგან" საფეხურეობრივად საგანთა სიმრავლის, თავად თვალხილული სამყაროს წარმოქმნის ანუ დაცემის პროცესი), „ერთს" მოსდევს არსი – „გონება" (νοῦς), მასში არსებული იდეებით, შემდეგ „სული" (ψυχή), მიმართული როგორც გონებისაკენ, ისე გრძნობადი კოსმოსისაკენ, რომელიც თავის დროით არსებობაში მარადიულია. ნეოპლატონიზმი შეეცადა, შეერიგებინა პლატონიზმი და არისტოტელიზმი და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ნეოპლატონიკოსებმა მოახდინეს როგორც პლატონის, ასევე არისტოტელეს თხზულებების კომენტირება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პლატონის „ტიმეოსს" და მინიშნებას „სამ მეფეზე" „მეორე წერილში", რომლის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას იძლეოდნენ ნეოპლატონიკოსები. თავად პლოტინოსის აზრით, მასში უნდა იგულისხმებოდეს ერთი, გონება და სული. ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ რატომ მოახდინა ნეოპლატონიზმმა ძალზე დიდი გავლენა ქრისტიანული თეოლოგიის ჩამოყალიბებაზე და რატომ ითვლებოდა იგი ერთ-ერთ პოპულარულ ფილოსოფიურ სისტემად მაშინაც კი, როდესაც ქრისტიანულმა იდეოლოგიამ სრული გამარჯვება მოიპოვა და წარმართული ანტიკური აზროვნება ქრისტიანულმა შუა საუკუნეების აზროვნებამ შეცვალა.

**რომაული ფილოსოფია.** რომაული ფილოსოფია არ შეიძლება მოვწყვიტოთ ბერძნულ ფილოსოფიას. იგი აშკარად წარმოადგენს ბერძნული ფილოსოფიის ლათინურენოვან სამყაროში გადმოტანის ძალზე წარმატებულ ცდას. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს იმ სამუშაოს მასშტაბები, რაც რომაელმა ფილოსოფოსებმა და მწერლებმა ჩაატარეს რომაული ფილოსოფიის ჩამოყალიბების პროცესში ბერძნული ფილოსოფიური ტერმინოლოგიისათვის ლათინური ეკვივალენტების მონახვის მიმართულებით. ამან მათ შესაძლებლობა მისცა, შეექმნათ ბერძნული ფილოსოფიის მიმდინარეობების ლათინურენოვან სამყაროში დამკვიდრების საფუძველი. ეპიკურეიზმის გავრცელების ერთ-ერთ ყველაზე უფრო წარმატებულ ცდად შეიძლება მივიჩნიოთ ლუკრეციუსის (დაახლ. ძვ. წ. 94-55) პოემა „საგანთა ბუნებისათვის", რომელშიც ეპიკური ენის მთელი ბრწყინვალებით არის გადმოცემული ეპიკურეს მოძღვრება, როგორც სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ, სხვადასხვა ბერძნულ ფილოსოფიურ სისტემებთან მიმართების გამო, საკმაოდ ეკლექტიკურად გამოიყურება, ალბათ, ერთ-ერთ უდიდეს რომაელ ფილოსოფოსად უნდა ჩავთვალოთ ციცერონი (ძვ. წ. 106-43), რომელიც თავის თავს ფილოსოფიის თაყვანისმცემლად მიიჩნევდა.

გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული, რომში განსაკუთრებით პოპულარული იყო სტოიკური ფილოსოფია, რომლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წარმომადგენლად ითვლება სენეკა (ახ. წ. 4-65). მისი ფილოსოფიური თხზულებები ძალზე მნიშვნელოვანია სტოიციზმის, როგორც სისტემის მთლიანი გააზრებისათვის.

ფილოსოფიური აზროვნების ამ მიმართულებას არ დაუკარგავს პოპულარობა თვით ნაშვილები კეისრების ეპოქამდე, რის საკმაოდ კარგ მაგალითს წარმოადგენენ ეპიკტეტოსი (50-135) და მარკუს ავრელიუსი (121-180).

ბუნებრივია, რომში თავისი ადგილი დაიმკვიდრა ნეოპლატონიზმმაც. უკვე აპულეიუსთან (ახ. წ. II ს.) შესაძლებელია ე. წ. შუაპლატონიზმის იდეების გამოძახილი ვპოვოთ. ხოლო გარკვეული პერიოდიდან ნეოპლატონიზმი დომინანტური ხდება რომაულ ფილოსოფიაში, რომლისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პლოტინოსის მოწაფის, პორფირიოსის თხზულებებს.

პლატონის ფილოსოფია აშკარად აირეკლა ისეთი რომაელი ქრისტიანი ავტორების თხზულებებში, როგორებიც არიან მარიუს ვიქტორინუსი (ახ. წ. IV საუკუნის შუა პერიოდი), ბოეთიუსი (480-524). ამ უკანასკნელის თხზულებებმა ძალზე დიდი როლი შეას-

რულეს, როგორც ანტიკურობაში აღნიშნავდნენ, ბერძნული „თეორიის“ რომაულ მოძღვრებად ქცევის საქმეში. აღსანიშნავია აგრეთვე „წარმართი“ მაკრობიუსის (ახ. წ. 400) „სატურნალია“. ლათინურენოვან ფილოსოფიაში განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა ლათინური პატრისტიკის უდიდესმა წარმომადგენელმა ავრელიუს ავგუსტინუსმა (ნეტარმა ავგუსტინემ (354-430), რომლის თხზულებებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ლათინურენოვანი პატრისტიკის ფორმირებაში.

## მეცნიერება

რასაკვირველია, ყოველივე ის, რასაც ანტიკური ფილოსოფია მოიცავდა, წარმოადგენს მეცნიერებას. საკმაოდ ძნელია ანტიკურ ცივილიზაციაში მკვეთრად გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ფილოსოფია და მეცნიერება, როდესაც საქმე წმინდად თეორიულ აზროვნებას ეხება, მაგრამ, საკმარისია, გადავიდეთ ამ აზროვნების გამოყენებით ფუნქციაზე, რომ აქ აშკარად შეგვიძლია ვიმსჯელოთ მეცნიერების გარკვეული დარგების წარმატებაზე ანტიკურ სამყაროში. საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ პირველი ფილოსოფოსი, თალესი საარსებო სახსარს მოიპოვებდა არა თავისი ფილოსოფიური აზროვნების წყალობით, არამედ იმ საინჟინრო პროექტებით, რომლებსაც მას ტრადიცია მიანერს.

შეიძლება ითქვას, რომ მთელ სოკრატემდელ ფილოსოფიაში, ისევე როგორც ატომისტთა მოძღვრებაში და პითაგორეელებთან ძალზე ბევრი რამ იყო ისეთი, რასაც შემდეგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ე. წ. დარგობრივი მეცნიერების განვითარებისათვის. ამ მხრივ გამოირჩევიან ფილოსოფოსთა შორის პლატონი და არისტოტელე, რომელთა თხზულებებშიც უამრავი ისეთი მომენტი შეიძლება დავინახოთ, რასაც მიმართება აქვს სწორედ ე. წ. დარგობრივ მეცნიერებასთან. ეს უკანასკნელი ანტიკურ სამყაროში შემოქმედების იმგვარივე თეორიული სფერო გახდა, როგორიც იყო ფილოსოფია, რიტორიკა, ისტორიოგრაფია. ამასთანავე განვითარდა მეცნიერების ის დარგებიც, რომელთაც მეტი კავშირი ჰქონდათ ე. წ. პრაქტიკულ-გამოყენებით სფეროსთან.

მათემატიკა უკვე საკმაოდ ადრე იქცა მეცნიერული აზროვნების დამოუკიდებელ სფეროდ და მან განსაკუთრებულ სიმაღლეს მიაღწია გეომეტრიაში. არითმეტიკაში თვლის მიზანშეწონილი სისტემის არარსებობის გამო მან არსებითი წარმატებები ვერ მოიპოვა. დიდი წვლილი მიუძღვით ადრეული მათემატიკის განვითარებაში პითაგორელებს თავიანთი მოძღვრებით პროპორციებისა და ირაციონალური რიცხვების შესახებ. პლატონი, რომელიც მათემატიკას მიიჩნევდა განათლების ერთ-ერთ სავალდებულო ფუნდამენტურ დისციპლინად, საკმაოდ საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს, განსაკუთრებით თავის დიალოგში „მენონი“ კვადრატთან და კუბთან დაკავშირებულ რიცხვით მიმართებათა შესახებ. მაგრამ, რასაკვირველია, თავის უმაღლეს განვითარებას ამ დარგმა ძვ. წ. 300 წელს მიაღწია ალექსანდრიაში აღმოცენებული ევკლიდეს „ელემენტების“ (τὰ στοιχεῖα) სახით, რომელიც პრაქტიკულად წარმოადგენდა ფუნდამენტურ სახელმძღვანელოს მათემატიკაში. მთელ ანტიკურობაში განთქმული იყო არქიმედე სირაკუზელის (ძვ. წ. 287-212) სახელი, რომელსაც განსაკუთრებული წარმატებები ჰქონია მექანიკის სფეროში და რომლის ბევრი გამოგონება უაღრესად დიდი სარგებლობის მომტანი აღმოჩნდა კაცობრიობისათვის. არქიმედესთან დაკავშირებით ყურადღება შეიძლება გაგვემახვილებინა ანტიკური მეცნიერების განვითარების ერთ სპეციფიკურ მომენტზე. მეცნიერი გარკვეული თვალსაზრისით, ისევ და ისევ მეცნიერული ეთიკის პრინციპებიდან გამომდინარე, ყოველთვის ცდილობდა საკუთარი თავის გარკვეულ რეგლამენტაციას, რათა მაქსიმალურად აერიდებინა თავი იმისათვის, რომ მეცნიერული აზროვნების შედეგები ადამიანებს არ გამოეყენებინათ ანტიჰუმანური მიზნებით, რაზეც ქვემოთ უფრო დანვრილებით გვექნება მსჯელობა. დიდ მათემატიკოსთა რიგს მიეკუთვნება აგრეთვე აპოლონიოსი (ძვ. წ. 200).

ასტრონომია ხმელთაშუაზღვისპირეთში, ეგვიპტეში, მესოპოტამიასა და ბაბილონში, ძველი სამყაროს შესაძლებლობების გათვალისწინებით, საკმაოდ განვითარებული ჩანს, თუმცა მასში მისტიკური ნაკადის არსებობის გამო ასტროლოგიური მომენტი უფრო დომინანტურია. საკმაოდ განვითარებულია ასტრონომია ანტიკურ სამყაროშიც. შეიძლება ითქვას, რომ ბერძნებმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ჩვენს ორბიტაზე არსებული პლანეტების მოძრაობაზე დაკვირვებაში. მათთვის ნათელი იყო, რომ მზისა და მთვარის გარდა 5 პლანეტაც გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებდა თავის მოძრაობაში. როგორ ხდება ეს მოძრაობა და რა გზას გადიან პლანეტები – ამის თაობაზე წამოყენებული იყო ეპიციკლური და ექსცენტრული თეორია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის, რომ უკვე ანტიკურობაში არისტარქოს სამოსელმა აღმოაჩინა, რომ ჩვენი სისტემა არის ჰელიოცენტრული და მის შუაში არის მზე, რომლის გარშემოც ბრუნავენ პლანეტები, რა დასკვნამდეც საუკუნეების შემდეგ მივიდა კოპერნიკი. მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული ანტიკურობაში ორბიტაზე განლაგებულ ვარსკვლავთა შესახებ: რას წარმოადგენენ ისინი, უძრავ სხეულებს, თუ ისინიც მოძრაობენ. ბუნებრივია, ასტროლოგები პლანეტების განლაგებაში სხვადასხვა მოვლენათა წინასწარმეტყველებისა და ადამიანთა ბედის განსაზღვრის საფუძველს ნახულობდნენ.

გეოგრაფია ანტიკური მეცნიერული აზროვნების განვითარების ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო იყო. ინტენსიური საზღვაო მოგზაურობები ბერძნებს შესაძლებლობას აძლევდა, შეედგინათ ამ მოგზაურობების აღწერები: ე. წ. პერიპლუსები და პერიეგესისები. უკვე ჰეკატეოს მილეტელი, დაახლოებით ძვ. წ. 500 წელს, როგორც ჩანს, ძალზე საინტერესო გეოგრაფიულ ინფორმაციას გვთავაზობს მისთვის ცნობილი დასახლებული სამყაროს შესახებ. ალბათ, მასვე ეკუთვნის ამ სამყაროს წარმოსახვითი სქემატური რუკის შედგენა. უდიდეს მიღწევად უნდა მივიჩნიოთ, როგორც ჩანს, პითაგორელების წრეში აღმოცენებული დაკვირვება იმის თაობაზე, რომ დედამიწა სფეროსებურია.

ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული, როდესაც ადამიანთა თვალსაწიერი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, ასპარეზზე გამოდიან გეოგრაფოსები, რომელთაც ამ დარგის განვითარებაში მათემატიკური, ასტრონომიული მეთოდების მოხმობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ერატოსთენეს კირენელი (ძვ. წ. III ს.), რომელსაც შეუქმნია ფუნდამენტური ნაშრომი „გეოგრაფიკა" და, როგორც ჩანს, პირველი ე. წ. მსოფლიო რუკა. უდიდეს მიღწევად უნდა ჩავთვალოთ პტოლემაიოსის (ახ. წ. II საუკუნის შუა პერიოდი) „შესავალი გეოგრაფიაში", რომელიც საკმაოდ საინტერესო პრინციპებს გვთავაზობს გეოგრაფიული ინფორმაციის ორგანიზაციის სფეროში. შემდგომ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ პოლიბიოსის (ძვ. წ. 200-120) „ისტორია", სადაც ბევრი გეოგრაფიული ხასიათის ინფორმაციაა მოცემული.

რასაკვირველია, ამ დარგის მწვერვალი არის სტრაბონის (ძვ. წ. 64 – ახ. წ. 20) 17 წიგნის შემცველი „გეოგრაფია", რომელშიც წარმოდგენილია, არსებითად, მის თვალსაწიერში მოქცეული მთელი სამყაროს გეოგრაფია, მრავალრიცხოვანი ტოპოგრაფიული, ეთნოგრაფიული, მითოლოგიური, ხელოვნებათმცოდნეობითი თუ სხვა ხასიათის კომენტარებით. ფასდაუდებელია სტრაბონის ცნობები კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ. რომში, ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანი იყო პლინიუს უფროსის (ახ. წ. 23-79) მოღვაწეობა.

ბიოლოგიის სფეროში უკვე არისტოტელემ შეიტანა გარკვეული წვლილი თავისი დაკვირვებებითა და სპეციალური თხზულებებით, რომელნიც ჯერ კიდევ არ ისახავდნენ მიზნად ცხოველთა სამყაროს სისტემატურ ასახვას. ამის შემდგომ ანტიკური ეპოქის მეცნიერთა დაკვირვებისა და შესწავლის ობიექტად იქცა ზოოლოგია, ბოტანიკა, მინერალოგია და ბიოლოგიის ზოგიერთი სხვა დარგი.

ანტიკურ სამყაროში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მედიცინამ. თუმცა უკვე ჰომეროსის ეპოსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ექიმებს როგორც დემიურგებს, მედიცინის, როგორც მეცნიერების დარგის, აღმოცენება აშკარად ჰიპოკრატეს (ძვ. წ. 460-370) სახელთან არის დაკავშირებული. მისი თხზულებები, შეიძლება ითქვას, ანტიკური სამედიცინო აზროვნების საფუძველს წარმოადგენენ. მედიცინისათვის ფუნდამენტურად ითვლება ჰიპოკრატეს მოძღვრების არაერთი დებულება, ხოლო ე. წ. ჰიპოკრატეს ფიცი დღესაც მედიკოსად ზიარების უმთავრეს დოკუმენტს წარმოადგენს.

ჰიპოკრატეს შემდგომ, მედიცინამ საკმაოდ წინ წაიწია ანატომიის, ქირურგიის სფეროში. ამ მხრივ, ძალზე საინტერესოა არა მარტო ის თხზულებები და ის სახელები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს: ერასისტრატოსი (ძვ. წ. IV ს.), ჰეროფილოსი (ძვ. წ. III საუკუნის პირველი ნახევარი), ასკლეპიადესი (ძვ. წ. I ს.), კელსუსი (ახ. წ. I ს.), დიოსკურიდესი (ახ. წ. I ს.), რუფუსი (ახ. წ. I ს.), სორანოსი (ახ. წ. II საუკუნის დასაწყისი), გალენოსი (ახ. წ. 130-200) და სხვა. მრავალი, არამედ ყურადღებას იპყრობს ის ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებიც ანტიკურ სამყაროში მედიცინის დარგების საკმაოდ მაღალ დონეზე რომ მიგვითითებენ. ამ მხრივ, აღსანიშნავია დიდი სამკურნალო ცენტრების არსებობა, სადაც გამოიყენებდნენ არა მარტო ე. წ. მეცნიერული მედიცინის მიღწევებს, არამედ სულიერი აშლილობის შემთხვევაში არატრადიციული მეთოდებით, მეტწილად *არტ თერაპიით*, ხელოვნების საშუალებით მკურნალობის გზასაც. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამგვარი ცენტრი იყო ეპიდავროსში, რომელიც დღეს ჩვენთვის ცნობილია კარგად შემორჩენილი ბერძნული თეატრის წყალობით.

ფიზიკა და ტექნიკა ანტიკური ეპოქის მეცნიერებს ასევე არ დარჩენიათ ყურადღების მიღმა და აქ დაგროვებულ მიღწევებს საკმაოდ წარმატებით იყენებდნენ მექანიკაში, ოპტიკაში, არქიტექტურაში.

და მაინც, უნდა ითქვას, რომ ისევ და ისევ ანტიკური ცივილიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, მონური შრომის, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერული ეთიკის შესაბამისი რეგლამენტაციის წყალობით, ტექნიკის განვითარება ბევრად ჩამორჩებოდა თეორიული მეცნიერული აზროვნების განვითარებას. ამ თვალსაზრისით, საინტერესო არის ის, რომ ორთქლის მანქანის პრინციპები, რომლის აღმოჩენამაც რევოლუცია მოახდინა ახალი ევროპის ისტორიაში, ჯერ კიდევ ელინისტურ ეპოქაში გამოიყენა ფილონმა, თუმცა — მხოლოდ და მხოლოდ მარიონეტების თეატრში. ორთქლის მანქანის შესაძლებლობები მთლიანად იყო რეალიზებული ამ თეატრის მარიონეტების ასათამაშებლად.

ქიმიას, რომელსაც, ალბათ, უფრო ალქიმიის სახე ჰქონდა ანტიკურ სამყაროში, ასევე არაერთი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს გვიან ელინისტურ და რომაულ ეპოქაში აღმოცენებული Corpus Alchemicticum-ი, რომელიც ორი განსხვავებული კომპონენტისაგან შედგება: 1. საბუნებისმეტყველო სპეკულაციები მისტიკურ-მაგიური ჩანართებით, რომლებშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოძღვრებას ე. წ. ტრანსმუტაციის შესახებ. აქ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა შედარებით ნაკლები ღირებულების მქონე ელემენტებისაგან ოქროს შექმნის შესაძლებლობებს; 2. ემპირიულად მიღწეული პრაქტიკული რეცეპტები მეტალურგიის, ფერთა შეზავების, მინის წარმოების და ა. შ. სფეროებში.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ, თუკი ანტიკური ეპოქის ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარების მასშტაბებს გავითვალისწინებთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთგვარი შეუსაბამობა თეორიულ აზროვნებაში ფილოსოფიის განვითარების სფეროში მოპოვებულ საუცხოო მიღწევებსა და პროგრესის თვალსაზრისით აშკარა ჩამორჩენას შორის ე. წ. გამოყენებითი ან დარგობრივი მეცნიერების სფეროში. თუმცა, რასაკვირველია, აქაც შეგვიძლია ვილაპარაკოთ ცალკეულ გამონაკლისებზე, მაგალითად, მედიცინაში, მათემატიკაში და ა. შ.

სწორედ ამიტომ, თუკი ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსთა, განსაკუთრებით, პლატონის, არისტოტელეს თხზულებები დღესაც აქტუალურია, ანტიკური ეპოქის ე. წ. დარგობრივი მეცნიერების წარმომადგენლების მიმართ, მცირე გამონაკლისების გარდა, მხოლოდ ისტორიული ინტერესილა შემორჩა.

## ლიტერატურა


ფილოსოფია

- ს. წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თბილისი 1968.
- ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, თბილისი 1983.
- თ. კუკავა, ბერძნული ფილოსოფიის ისტორია, თბილისი 1988.
- მ. ჭელიძე, ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერების სათავეებთან (პლატონი, არისტოტელე), თბილისი 1982.
- მ. ჭელიძე, ელინიზმის ფილოსოფია ადრინდელი ქრისტიანობის ეპოქაში, თბილისი 1998.
- M. Мамардашвили, Лекции по античной философии, Москва 2002.
- В. Ф. Асмус, Античная философия, Москва 1976[2].
- Философский энциклопедический словарь, Москва 1983.
- W. Totok, Handbuch der Geschichte der Philosophie, I: Altertum, Frankfurt 1964.
- F. Überweg, K. Praechter, Grundriß der Geschichte der Philosophie, 4 Bde., Teil I: Altertum, München 1926.
- W. Röd, Die Philosophie der Antike:
  - I: W. Röd, Von Thales bis Demokrit, München 1976.
  - II: A. Graeser, Sophistik, Sokratik, Platon und Aristoteles, München 1983.
  - III: M. Hossenfelder, Stoa, Epikureismus und Skepsis, München 1986.
- K. Vorländer, Philosophie des Altertums, Reinbeck 1963.
- F. Ricken, Die Philosophie der Antike, Stuttgart 1988.
- C. F. Geyer, Einführung in die Philosophie der Antike, Darmstadt 1978.
- W. Kranz, Die griechische Philosophie, München 1971.
- W. K. C. Guthrie, A History of Greek Philosophy, 6 Vol., Cambridge 1962-1981.
- E. Zeller, Die Philosophie der Griechen in ihrer geschichtlichen Entwicklung, 6 Bde., Leipzig 1923[7].
- M. Erler, A. Graeser (Hrsg.), Philosophen des Altertums. Von der Frühzeit bis zur Klassik, Darmstadt 2000; II: Vom Hellenismus bis zur Spätantike, Darmstadt 2000.
- W. Capelle, Die griechische Philosophie, I-II, Berlin 1971[3].
- G. Maurach, Geschichte der römischen Philosophie, Eine Einführung, Darmstadt 1989.

მეცნიერება

- G. Sarton, A History of Science, London 1952.
- K. von Fritz, Grundprobleme der Geschichte der antiken Wissenschaft, Berlin 1971.
- F. Krafft, Geschichte der Naturwissenschaft, I: Die Begründung einer Wissenschaft von der Natur durch die Griechen, Freiburg 1971.
- A. Stückelberger, Einführung in die antiken Naturwissenschaften, Darmstadt 1988.
- J. L. Heiberg, Geschichte der Mathematik und Naturwissenschaften im Altertum, München 1925.
- O. Becker, Das mathematische Denken der Antike, Göttingen 1966[2].
- B. L. von der Waerden, Die Astronomie der Griechen. Eine Einführung, Darmstadt 1988.
- J. G. Landels, Die Technik in der antiken Welt, München 1988[3].

# კანონმდებლობა და სამართალი

სახელმწიფო გაერთიანებისა და ცივილიზაციის არსებობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ერთმანეთთან, სახელმწიფოსთან, გარე სამყაროსთან ურთიერთობების წესებს, რომელნიც არეგულირებენ საზოგადოებას და ადამიანებს იცავენ ქაოსისაგან. ჯერ კიდევ ჰესიოდე აღნიშნავდა, რომ ადამიანები და ცხოველები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ზევსმა ადამიანებს სჯული დაუდგინა, რომ სწორედ ადამიანებში შეიძლება ლაპარაკი სამართლიანობასა და უსამართლობაზე, ღმერთი თანადგომას უცხადებს სამართლიან სახელმწიფოს და სჯის უსამართლოს. თავად ის ფაქტი, რომ ანტიკური რელიგიის უზენაესი ღმერთი ზევსი (ლათინურ ტრადიციაში იუპიტერი) კანონიერების ღმერთად იყო აღიარებული, იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ანტიკურ სამყაროში კანონის უზენაესობას.

სამართლის განხორციელება შეუძლებელია ადამიანთა შორის როგორც ზოგად, ასევე კერძო საკითხებზე იმ შეთანხმებების არსებობის გარეშე, რომელთაც კანონები შეგვიძლია ვუწოდოთ. კანონები კი, ფაქტობრივად, წარმოადგენენ იურიდიულ ფორმულებს, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა ვითარებაში როგორი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად და როგორი – უსამართლოდ. ამდენად, ერთი მხრივ, ეს კანონები წარმოგვიდგენენ ადამიანთა შეზღუდვისა და, საჭიროების შემთხვევაში, დასჯის ინსტრუმენტს, ხოლო, მეორე მხრივ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ისინი უზრუნველყოფენ მის თავისუფლებას, რადგან კანონების ფარგლებში ადამიანს შეუძლია იყოს თავისუფალი, დარწმუნებული იმაში, რომ, თუკი იგი კანონს არ დაარღვევს, მას არაფერი არ ემუქრება.

ძველ სამყაროში კანონების შექმნის ტრადიციას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა მათი კოდიფიკაცია ანუ ჩაწერა შედარებით გვიანი მოვლენაა. ა. მ., სავსებით ნათელია, რომ უკვე მატრიარქატის პირობებში არსებობდა გარკვეული ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ ოჯახის წევრთა უფლებებს. თუკი დაბალი განვითარების საფეხურზე მდგარ სახელმწიფო გაერთიანებაში შეიძლება არსებობდეს ზეპირი სამართალი ანუ გადაწყვეტილებას ადამიანები იღებდნენ ტრადიციულად დამკვიდრებული ნორმების შესაბამისად, განვითარებულ სახელმწიფო გაერთიანებებში აუცილებელი ხდება კანონთა კოდიფიკაცია, რადგან თავად ცხოვრება წარმოქმნის იმდენად მრავალგვარ ურთიერთმიმართებებს, რომ მათი გათვალისწინება არაკოდიფიცირებულ ანუ ზეპირ სამართალში ყოვლად შეუძლებელია.

ძველ სამყაროში ცნობილი იყო ეგვიპტური, დემოტური, ხეთური, იუდეური და მესოპოტამიური წრის ე. წ. ლურსმული დამწერლობით კოდიფიცირებული სამართალი. ბევრი მათგანი საკმაოდ მდიდარია იურიდიული ფორმულებით და ითვალისწინებს ადამიანთა ურთიერთობების მთელ მრავალფეროვნებას. საკმარისია, თვალი გადავავლოთ ჰამურაბის კანონებს, რომ გაგვაოცებს ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში იურიდიული ნიუანსების გათვალისწინების საკმაოდ მაღალი ხარისხი. მაგრამ ამ კანონმდებლობას ანტიკურისაგან ერთი არსებითი ნიშანი განასხვავებს. თუკი ძველაღმოსავლური ანუ მითოპოეტური აზროვნების წიაღში აღმოცენებულ კანონებში დომინანტური არის უკვდავთა და მოკვდავთა ურთიერთმიმართების ასპექტები, ანტიკური სამართალი, მცირე გამონაკლისების გარდა, შეიძლება მივიჩნიოთ მთლიანად „მიწაზე დაშვებულ" საკანონმდებლო აქტებად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ

ამ უკანასკნელში არ არის გათვალისწინებული ის ნორმები, რომლებიც რელიგიურ ცხოვრებას უკავშირდება. აქ უბრალოდ დომინანტური არის სამოქალაქო ცხოვრების ასპექტები და a priori მიჩნეულია, რომ ამ კანონების შემქმნელები თავად ადამიანები არიან.

უნდა აღინიშნოს, რომ, თუკი ანტიკური, უპირველეს ყოვლისა, რომაული სამართალი საფუძვლად დაედო ევროპულ იურისპრუდენციას და იგი დღემდე მის ერთ-ერთ საყრდენთაგანს წარმოადგენს, მითოპოეტურ აზროვნებასთან ანუ ე. წ. გამოცხადების სამართალთან დაკავშირებული სისტემები საფუძვლად დაედო ისლამურ სამართალს, რომელიც ბევრ თანამედროვე ქვეყანაში შარიათის კანონების უზენაესობას აღიარებს.

რაც შეეხება ანტიკურ სამართალს, იგი, როგორც ჩანს, დასაბამს იღებს ეგეოსურ სამყაროში. უნდა ვიფიქროთ, რომ საკმაოდ კარგად ორგანიზებული მინოსური ცივილიზაცია, ხოლო შემდეგ კი მიკენური სამყარო გარკვეული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით ფუნქციონირებდნენ. ამჟამად ძნელია იმის თქმა, რამდენად შორს იყო წასული ეგეოსურ სამყაროში კოდიფიკაციის პროცესი.

შეიძლება სრულიად დარწმუნებით ითქვას, რომ პოსტმიკენურ სამყაროში გარკვეული წლების განმავლობაში ე. წ. ტრადიციული სამართალი დომინირებდა, რომელშიც გადამწყვეტ როლს სამედიატორო სამართალი ასრულებდა. ეს სავსებით გასაგებიც არის, თუკი გავითვალისწინებთ, რომ პოლისებად დაქუცმაცებულ საბერძნეთში ქალაქ-სახელმწიფოების განვითარების ყველაზე ადრეულ ეტაპზე ადამიანებს კერძო ურთიერთობების გარკვევა ძირითადად სამედიატორო სასამართლოს საშუალებით უხდებოდათ, რაზეც საკმაოდ ნათლად მიგვანიშნებს ჰომეროსის ეპოსის XVIII სიმღერაში აქილევსის ფარის აღწერის ერთ-ერთი პასაჟი.

მაგრამ თავად პოლისების ცხოვრებაში საკმაოდ ადრე იკვეთება კოდიფიცირებული სამართლის ფორმირების აუცილებლობა. ჩვენთვის ამჟამად ცნობილი არის მრავალი ბერძენი კანონმდებლის, იქნება ეს ტირანი, თუ სხვა პოლიტიკური სისტემის წარმომადგენელი, ამა თუ იმ პოლისისათვის დადგენილი კანონები, რომელნიც, როგორც ჩანს, ჩაწერილი იყო და ეპიგრაფიკული ფორმით ქალაქის თვალსაჩინო ადგილას მოთავსებული. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გორტინის კანონები. სამწუხაროდ, პოლისთა მრავალფეროვნების და ასევე იმის გამო, რომ არქაული და კლასიკური საბერძნეთი საკმაოდ დეცენტრალიზებული იყო, ძნელია ვიმსჯელოთ ცალკეული პოლისის კანონმდებლობის პრინციპზე, ანუ იმაზე, თუ რა პრინციპი ედო საფუძვლად ამა თუ იმ პოლისის სამართალს. შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ერთი, რომ ბერძნულ პოლისებში საკმაოდ თვალშისაცემ გამონაკლისს წარმოადგენდა ისეთი კანონმდებლობა, რომელსაც საფუძვლად მითოპოეტური ტრადიცია ედო. ამ თვალსაზრისით შეიძლება დავასახელოთ სპარტის კონსტიტუცია, ე. წ. რეტრები, რომლებიც თითქოს სპარტის ლეგენდარულ მეფეს, ლიკურგოსს ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII საუკუნეში დელფოს სამისნოდან მოუტანია, როგორც თავად აპოლონიდან მომდინარე სავალდებულო კანონთა კრებული.

რაც შეეხება ათენს, აქ შედარებით ნათელია, თუ როგორ ვითარდებოდა საკანონმდებლო მოღვაწეობა. კოდიფიცირების აუცილებლობამ თავდაპირველად განაპირობა ტრადიციული კანონების მოწესრიგება და მათი ჩაწერა, რაც აღასრულა დრაკონმა (ძვ. წ. VII საუკუნის მიწურული). ისინი შორს იყო სრულყოფილებისაგან და საკმაოდ დისკრიმინაციულიც იყო, უპირველეს ყოვლისა, დემოსის მიმართ. ამასთან, გამოირჩეოდა სავსებით გაუმართლებელი სიმკაცრით.

საკანონმდებლო რევოლუცია დაკავშირებულია სოლონის სახელთან, რომელმაც შექმნა პირველი ღრმად გააზრებული კანონები ანუ, ფაქტობრივად, ათენის კონსტიტუცია და საფუძველი ჩაუყარა იმ სამართალს, რომელიც შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ასაზრდოებდა ათენის დემოკრატიას.

მიუხედავად იმისა, რომ კლისთენესმა (ძვ. წ. VI საუკუნის მიწურული) ამ კანონების საკმაოდ საგულისხმო რეფორმა მოახდინა, არსებითად, სოლონმა შექმნა ათენის სახელმწიფოს ფუნქციონირების ძირითადი სამართლებრივი საფუძველი.

საკმაოდ კარგად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ხორციელდებოდა სამართალი დემოკრატიულ ათენში. ამაში, უპირველეს ყოვლისა, ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევს როგორც სასამართლო პროცესებთან დაკავშირებული მჭევრმეტყველთა სიტყვები, ასევე არაერთი მხატვრული ნაწარმოები. ვინაიდან დემოკრატიულ ათენში გადაწყვეტილება გამოჰქონდა ხალხის მიერ არჩეულ მრავალრიცხოვან სასამართლოს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ სიტყვებს, რომელთაც სასამართლოზე ზემოქმედების მიზნით წარმოთქვამდა როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარე. რამდენადაც სასამართლოში ბრალმდებელიც და ბრალდებულიც თავად უნდა გამოსულიყო სიტყვით, საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ ისინი მჭევრმეტყველ-იურისტთა დახმარებას, რომლებიც ქმნიდნენ სპეციალურ სიტყვებს. მოდავე მხარეები მათ იზეპირებდნენ და წარმოთქვამდნენ სასამართლო პროცესზე. ეს ვითარება, ბუნებრივია, საკმაოდ ზრდიდა მოქალაქეთა სამართლებრივი თვითშეგნების ხარისხს; მაგრამ კანონები არეგულირებდნენ არა მარტო მოქალაქეთა შორის, არამედ მოქალაქეებს და არამოქალაქეებს, მოქალაქეებსა და სახელმწიფოს, სხვადასხვა პოლისებს შორის ურთიერთობებს და ა. შ.

ამ კანონმდებლობაში საკმაოდ ხშირად იყო გათვალისწინებული ეთიკური ურთიერთობების, ტრადიციის ნორმებიც. საკმარისია, თვალი გადავავლოთ ბერძნულ დრამას, რომ აშკარად დავინახავთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აქ მავედრებელთა დაცვის პრობლემას, ცხედრის დაკრძალვის საკითხს და ა. შ.

საკმაოდ რთული და, როგორც ჩანს, რამდენადმე განსხვავებული იყო ამა თუ იმ პოლისში მოქალაქეობის უფლების მიღების საკითხი. ა. მ., ცნობილია, რომ ათენის დემოკრატიის უმაღლესი აღმავლობის პერიოდში, ანუ პერიკლესის ეპოქაში, ათენის სრულუფლებიან მოქალაქედ გახდომის საკმაოდ რთული მექანიზმი არსებობდა.

მხოლოდ ფრაგმენტულად და გარკვეული ეპიგრაფიკული თუ წერილობითი წყაროების გათვალისწინებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორი სახე ჰქონდა სამართალს ელინისტურ სამყაროში. უცილობელი ჭეშმარიტებაა ის, რომ, პოლისური საბერძნეთისგან სავსებით განსხვავებული პოლიტიკური სისტემის პირობებში, ელინისტურ სამყაროში სამართალმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული სამყარო, რომელიც საკმაოდ კარგად იცნობდა სამართლიანობის, კანონის ცნებებსა და ფუნქციას, ბოლომდე ვერ ამაღლდა სამართლის, როგორც მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებული ფორმის შექმნამდე.

ამგვარი ნაბიჯი რომის იმპერიაში გადაიდგა. ეს სავსებით გასაგებიცაა, რადგან იმპერია წარმოადგენს რთულსა და ერთობ მასშტაბურ სახელმწიფო ორგანიზმს, რომლის ფუნქციონირება შეუძლებელია მკაცრად ჩამოყალიბებული სამართლებრივი ნორმების გარეშე. მათი ფუნქცია იყო სავსებით სხვადასხვა დონის ურთიერთმიმართებების დარეგულირება, უამრავი ქვეყნის, რეგიონის, ხალხის მოქცევა Pax Romana-ს იდეით გაერთიანებული იმპერიის ფარგლებში.

ჯერ კიდევ საკმაოდ ადრე შექმნილი თორმეტი დაფის კანონებიდან მოყოლებული აშკარად გამოვლინდა რომაელთა განსაკუთრებული ინტერესი სამართლისადმი. jus („სამართალი") ასევე ლათინურ სიტყვასთან prudentia („ცოდნა") შეერთებით გვაძლევს ცნებას *იურისპრუდენცია*, რომელიც უკვე სამართლის, როგორც ჩამოყალიბებული სისტემისაკენ ლტოლვას მოასწავებს რომაულ იმპერიაში. შეიძლება ითქვას, რომ რომში შეიქმნა, არსებითად, სამართლებრივი აზროვნების საფუძველი, რომელიც დღემდე ევროპული სამართლის ფუნდამენტად ითვლება და რომელმაც მრავალ საუკუნეს გაუძლო.

როგორც ცნობილია, გარკვეული მიზეზების გამო რომის იმპერია ორ ნაწილად გაიყო და მისი აღმოსავლეთი ნაწილი ახალ, უკვე ქრისტიანულ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ იმპერიად, ბიზანტიად იქცა. მან ზუსტად ერთი ათასწლეული იარსება, ვიდრე კონსტანტინოპოლისი დაეცემოდა. რომაელმა კეისარმა იუსტინიანუსმა, რომელიც, ერთი მხრივ, აგრძელებდა რომის იმპერიის ტრადიციებს, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი ბიზანტიის იმპერიის აღმავლობის სათავეებთან იდგა, თავის მხრივ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად დაისახა მდიდარი რომაული საკანონმდებლო ტრადიციის წესრიგში მოყვანა და რომაული სამართლის სავსებით უნიკალური კორპუსის გამოცემა. ამ შრომის შედეგს მოგვიანებით ეწოდა „სამოქალაქო სამართლის კორპუსი" (Corpus juris civilis). ამ გრანდიოზული ნაშრომის შედგენაში მრავალმა იურისტმა მიიღო მონაწილეობა. 533-534 წლებში შრომა სამ ნაწილად ჩამოყალიბდა: I. Institutiones (შესავლები, შესავალი სახელმძღვანელო); II. Digesta (ჩამოყალიბებულად გადმოცემული ანუ pandectae ყველაფრის მომცველი დებულებები და კანონები); III. Codex Iustinianus (იუსტინიანუსის კანონების კოდექსი); მოგვიანებით (534-565 წლებში) მას დაემატა IV ნაწილი — Novellae (ახალი კანონები). ამით, ფაქტობრივად, შეიქმნა ფუნდამენტური ნაშრომი სამართლის სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ მან განსაზღვრა სამართლის განვითარება ბიზანტიაში, ევროპაში და დღესაც ყველა იურისტისათვის სამაგიდო ნაშრომად ითვლება.

რომაული სამართალი შეიცავს კლასიფიკაციის საკმაოდ სრულ მოდელს, რომელიც, არსებითად, მოიცავს სამართლებრივი ფორმების ძირითად ნაწილს. მართალია, საუკუნეების განმავლობაში ცივილიზაციის განვითარებასთან და სხვადასხვა ცვლილებებთან ერთად ხდებოდა სამართლის ფორმების გამრავალფეროვნება, მაგრამ, არსებითად, რომაულმა კლასიფიკაციამ დღემდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა.

თავისთავად სიტყვა jus, რომლის ეტიმოლოგია მთლად ნათელი არ არის, სამართლის ძირითად ცნებას წარმოადგენს და იგი, როგორც უკვე ითქვა, ქართულად შეიძლება გადმოვიტანოთ სიტყვით — სამართალი.

რომში სამართლის უმნიშვნელოვანესი სფეროები გამოიყო:

*jus civile* — სამოქალაქო სამართალი, რომელიც საკმაოდ ფართო არეალს მოიცავს და, არსებითად, დღევანდელი სამოქალაქო სამართლის გაგებას უთანაბრდება.

*jus honorarium* — იგი გამომდინარეობს რომის იმპერიის სპეციფიკიდან და იგულისხმება, რომ შესაბამისი თანამდებობის პირი, რომელიც ინიშნება იმპერიის ამა თუ იმ რეგიონში სახელმწიფო ძალაუფლების განმხორციელებლად, უფლებამოსილია, რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოსცეს დამატებითი კანონები. ეს კანონები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ სამოქალაქო კანონმდებლობას, არ უნდა ისახავდნენ მიზნად მის ტრანსფორმაციას, მათ შეუძლიათ მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარე დაამატონ ამა თუ იმ რეგიონისათვის აუცილებელი ნორმა.

*jus gentium* — ხალხთა სამართალი გულისხმობს, არსებითად, იმას, რასაც იმპერიის ფარგლებში საერთაშორისო სამართალი შეიძლება ვუწოდოთ. მისი სფეროა დავები არარომაელ მოქალაქეებს ანუ სხვა ხალხების წარმომადგენლებს შორის ან დავა რომის მოქალაქესა და უცხოელებს შორის. მას ზოგჯერ პერეგრინულ სამართალსაც უწოდებდნენ.

*jus publicum* — საჯარო სამართალი, რომელიც თავდაპირველად დადგენილია სახელმწიფოს მიერ და ამიტომ არის ყველასათვის სავალდებულო. თანდათანობით იგი იცვლიდა შინაარსს, ზოგადდებოდა და საბოლოოდ მოიცავდა ყველანაირ სამართალს, რომელიც დაკავშირებული იყო სახელმწიფოსთან.

*jus privatum* — კერძო სამართალი თავდაპირველად არეგულირებდა ცალკეულ პირთა ურთიერთობებს. შემდეგ მან მოიცვა ყველანაირი სამართალი დაკავშირებული პირად, ოჯახობრივ, ქონებრივ, მემკვიდრეობით ურთიერთობებთან.

საინტერესო საკითხია, თუ როგორ იწარმოებოდა სასამართლო პროცესი ანტიკურ სახელმწიფოებში. სხვადასხვა რეგიონსა და ეპოქაში მათ განსხვავებული სახე ჰქონდათ. თავდაპირველად სასამართლო პროცესები და, შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოტანის უფლება მეფეების ხელში იყო. შემდეგ იგი გადადის წარჩინებულთა გამგებლობაში, ა. მ., ათენში – არეოპაგთან, რომში – პრეტორებთან და სენატორებთან. იმის მიხედვით, თუ რომელი პოლიტიკური სისტემა იყო ანტიკური სამყაროს ამა თუ იმ რეგიონში, შეიძლებოდა სასამართლოს სხვადასხვა ფორმა ჰქონოდა. ა. მ., დემოკრატიულ ათენში სახალხო კრებას, რომელიც, ფაქტობრივად, ხმის უფლების მქონე ყველა მოქალაქეს მოიცავდა, გამოეყო სახალხო სასამართლო ჰელიაია (აერთიანებდა 6000 მოქალაქეს). იგი განიხილავდა ყველა საქმეს და საკითხს წყვეტდა ხმების უმრავლესობით, ხოლო, რაც შეეხება საქმეს, რომელიც დაკავშირებული იყო მკვლელობასთან და რელიგიურ დანაშაულობასთან, ეს სფერო არეოპაგის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. ამაზე საკმაოდ კარგ წარმოდგენას გვიქმნის ესქილეს ტრაგედია „ევმენიდები". სწორედ არეოპაგმა გამოუტანა ღვთაებრივ დონეზე ორესტესს გამამართლებელი განაჩენი. ათენის სასამართლო, ისევე როგორც ყველა ორგანო დემოკრატიულ ათენში, არჩევითი იყო და მასში შეეძლო მონაწილეობა მიეღო ნებისმიერ მოქალაქეს. რასაკვირველია, ამ ყველაზე უფრო დემოკრატიულ სასამართლოსაც ჰქონდა თავისი ნაკლოვანებები, რაც წარმოაჩინა არისტოფანემ თავის კომედიაში „კრაზანები".

რომის პროცესუალურ სამართალში პროცესებს სპეციალური მოხელეები ატარებდნენ, ა. მ., რომში ძვ. წ. IV საუკუნიდან პრეტორი, ხოლო პროვინციებში – მმართველის ნაცვალი. ისინი, ბუნებრივია, წარმოდგენილ მასალას შეისწავლიდნენ და წარმოადგენდნენ სათანადო რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ ვის და როგორ უნდა ეწარმოებინა სასამართლო პროცესი. მოდავე მხარეების თანხმობის შემთხვევაში ისინი თავად ნიშნავდნენ ერთ ან რამდენიმე მოსამართლეს, ეს, ჩვეულებრივ, იყო კერძო პირი, თუმცა, თუკი ამას აუცილებლობა მოითხოვდა და ვითარება საგანგებო იყო, პროცესი შეიძლება სახელმწიფო სასამართლო კოლეგიასაც წარემართა. მისი წარმოებისათვის აუცილებელი იყო სათანადო მტკიცებულებების, დოკუმენტაციის და ექსპერტიზის მასალის წარმოდგენა. სავალდებულო მომენტი იყო ფიცის დადებაც. მოსამართლეთა გადაწყვეტილებების შესრულება სათანადო მოხელეების მიერ მტკიცდებოდა. ცალკე გამოყოფილი სისხლის სამართლის პროცესები თავდაპირველად არ არსებობდა. მხოლოდ უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაულები, მაგალითად, სახელმწიფოს ღალატი შეიძლებოდა განხილულიყო საგანგებო ფორმით. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც თავდაპირველად შედარებით იშვიათად იკრიბებოდა, მაგრამ გაიუს გრაკხუსის (ძვ. წ. II ს.) რეფორმის შემდეგ სტაბილურ ინსტიტუტად იქცა. მისი კომპეტენცია საკმაოდ ფართო იყო და იგი, ჩვეულებრივ, განიხილავდა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებს, როგორიც იყო: სახელმწიფოს ღალატი, მაგისტრატების დაუმორჩილებლობა, გადასახადებისათვის თავის არიდება, ხმის მიცემის დროს მოსყიდვა, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მკვლელობები, ანდერძების და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების ფალსიფიკაცია და ა. შ.

იმპერიის აღმავლობის ეპოქაში განსაკუთრებული ფუნქციით აღიჭურვნენ ის მოხელეები, რომელთაც იმპერატორმა სასამართლო პროცესებში მეთვალყურის ფუნქცია დაკისრა. ამან, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად შეზღუდა იმ პირთა და ინსტიტუტთა უფლებები, რომლებსაც ადრე სასამართლო პროცესების წარმოება ეკისრებოდათ.

რასაკვირველია, იმპერიაში გათვალისწინებული იყო პროცესის წარმოებასა და განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებული მრავალი დეტალი, აპელაციის მექანიზმი, ის, თუ საგანგებო შემთხვევაში ვისგან უნდა შემდგარიყო სპეციალური კოლეგიები და ა. შ.

სწორედ ამიტომ, საკვლევით გასაგებია, რომ თანამედროვე ევროპული საერთაშორისო იურიდიული ტერმინოლოგია, ძირითადად, რომაული სამართლის მიერ გამომუშავებული ფორმულებითა და ცნებებით საზრდოობს, რომ დღესაც რომაული სამართლის საფუძვლების ღრმა ცოდნის გარეშე შეუძლებლად მიიჩნევა მაღალი დონის პროფესიონალი იურისტის ჩამოყალიბება.

## ლიტერატურა


- M. N. Andreev, J. Irmscher (Hrsg.), Gesellschaft und Recht im griechisch-römischen Altertum, Berlin 1968.
- E. Berneker (Hrsg.), Zur griechischen Rechtsgeschichte, Darmstadt 1968.
- E. Wolff, Griechisches Rechtsdenken, I-II, III 1-2, Frankfurt a. M., 1950-1956.
- A. Steinwenter, Das Recht der koptischen Urkunden, (HDA) 1955.
- H. J. Wolff. Das Recht der griechischen Papyri Ägyptens in der Zeit der Ptolemäer und des Prinzipats. Organisation und Kontrolle des privaten Rechtsverkehrs, 2 Bde., München 1978.
- G. Busolt, H. Swoboda, Griechische Staatskunde, 1-2, München 1920-1926[3] (HDA IV 1, 1).
- V. Ehrenberg, Der Staat der Griechen, 1-2, Leipzig 1957-1958.
- M. Бартошек, Римское право. Понятия. Термины. Определения, Москва 1989.
- F. Wieacker, Römische Rechtsgeschichte, I. Abschnitt: Einleitung, Quellenkunde, Frühzeit und Republik, München 1989.
- M. Kaser, Das römische Privatrecht, I. Abschnitt: Das altrömische, das vorklassische und klassische Recht, 1971[2]; II. Abschnitt: Die nachklassischen Entwicklungen, München 1975[2].
- M. Kaser, Das römische Zivilprozeßrecht, München 1966.
- Th. Mommsen, Römisches Strafrecht (უცვლ. გამოც. Darmstadt 1961).
- W. Kunkel, Entwicklung des römischen Kriminalverfahrens in vorsullanischer Zeit, München 1962.
- W. Kunkel, Römische Rechtsgeschichte. Eine Einführung, Köln, Graz 1972[6].
- D. Liebs, Römisches Recht. Ein Studienbuch, Göttingen 1975.
- A. Söllner, Einführung in die römische Rechtsgeschichte, München 1980[2].

# ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი

ანტიკური კულტურა, როგორც უკვე აღინიშნა, დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს და მრავალ რეგიონს მოიცავს და, ბუნებრივია, როდესაც ყოველდღიური ცხოვრების დეტალებს ვეცნობით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი დროთა განმავლობაში იცვლებოდნენ. მაგალითად, განსხვავება იყო, ერთი მხრივ, მინოსური ეპოქის და კლასიკური საბერძნეთის ცხოვრების წესს, მეორე მხრივ კი, კლასიკური საბერძნეთისა და ელინისტური თუ რომაული ეპოქის ანტიკური სამყაროს ცხოვრების წესებს შორის. დღეს ჩვენთვის ძნელია მთელი სისრულით წარმოვადგინოთ, თუ როგორი იყო ანტიკური სამყაროს მკვიდრის ყოველდღიური ცხოვრება, თუმცა წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით მაინც შეგვიძლია შევიქმნათ გარკვეული წარმოდგენა ანტიკური ეპოქის ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების უმთავრესი მომენტების შესახებ.

## ლიტერატურა


- Г. Вейс, История цивилизации. Классическая древность до IV в., I т., Москва 2000.
- C. E. Robinson, Everyday Life in Ancient Greece, Oxford 1972.
- J. Sarkady, Reise in das alte Athen, Prisma-Verlag, 1974.
- Kulturgeschichte der Antike, R. Müller (Hrsg.), 1. Griechenland, Berlin 1976; 2. Rom, Berlin 1978.


## მოქალაქეობა

ანტიკურ საზოგადოებაში სახელმწიფოს ორგანიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კონსტიტუციას ანუ სახელმწიფოს ფუნქციონირების ძირითად კანონს, რომელიც მკაცრად განსაზღვრავდა მოქალაქეების უფლება-მოვალეობებს. პოლისურ საბერძნეთსა და ჯერ რესპუბლიკის, ხოლო შემდეგ კი იმპერიალურ ანუ კეისრების რომში, ამ მხრივ, რამდენადმე განსხვავებული სიტუაცია იყო. საბერძნეთში მოქალაქეობის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით პოლისებს ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული პრინციპები ჰქონდათ. თუკი გავითვალისწინებთ, რომ აქ მოქალაქეობა პოლიტიკურ უფლებებთან ერთად მიწაზე საკუთრების, ქონების განკარგვისა და სხვა უფლებებსაც მოიცავდა, მაშინ აშკარა გახდება, რომ თავისი კეთილდღეობითა და ცხოვრების მაღალი დონით გამორჩეული პოლისი ყოველთვის შეეცდებოდა, თავი დაეცვა მოქალაქეთა რაოდენობის მექანიკურად გაზრდის საფრთხისაგან, რასაც მისთვის დიდი პრობლემები შეეძლო შეექმნა. ამ მხრივ, განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას პერიკლესის მიერ ძვ. წ. 451 წ. გამოცემული კანონი, რომელიც ათენის მოქალაქეობის უფლებას აძლევდა მხოლოდ მას, ვისაც ორივე მშობელი ათენის მოქალაქე ჰყავდა. სპარტაში მოქალაქეობის უფლება ჰქონდა მას, ვინც ფლობდა κλῆρος („მემკვიდრეობა, მფლობელობა"), მონაწილეობდა სახ-

ელმწიფო აღზრდაში ἀγωγή („აღზრდა") და საერთო სუფრებში συσσίτιον („საერთო სუფრა"). მოქალაქეობის უფლება სულაც არ „ფარავდა" ცხოვრებისა და საქმიანობის უფლებას. მაგალითად, ადამიანი შეიძლებოდა არ ყოფილიყო ათენის მოქალაქე, მაგრამ მას აქ ცხოვრების უფლება ჰქონოდა. რამდენადაც ათენის ვითარება ჩვენთვის, წყაროების წყალობით, დღეს ყველაზე კარგად არის ცნობილი, შეგვიძლია მათი ანალიზის საფუძველზე ამ ქალაქის მოსახლეობა, თავისი უფლებების მიხედვით, ოთხ კატეგორიად დავყოთ: 1. თავისუფალი, მოქალაქეობის უფლებების მქონე. ამ კატეგორიაში ერთიანდებოდა ყველა მამაკაცი, რომლის ორივე მშობელი ათენის მკვიდრი მოქალაქე იყო და რომელმაც თავადაც მიაღწია 30 წლის ასაკს; 2. თავისუფალი, მაგრამ მოქალაქეობის უფლების არასრულად მქონე. ასეთად ითვლებოდა ათენის მკვიდრი ყველა მამაკაცი 30 წლამდე და ქალები; 3. თავისუფალი, მაგრამ მოქალაქეობის უფლების არმქონე. ამ კატეგორიას ქმნიდნენ ათენში გადმოსახლებული პირები, რომლებიც სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდნენ; 4. როგორც თავისუფლების, ისე მოქალაქეობის უფლების არმქონე. ამ კატეგორიას შეადგენდნენ მონები.

ბერძნულენოვან სამყაროში რამდენადმე შეიცვალა ვითარება ელინიზმის ეპოქაში, როდესაც პოლისებმა დაკარგეს თავიანთი ოდინდელი ფუნქცია. ელინისტურ სამყაროში, იმის გათვალისწინებით, რომ ერთ ადამიანს ერთი სახელმწიფო გაერთიანების ფარგლებში ხშირად უწევდა ერთი ქალაქიდან მეორეში გადაადგილება, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ორმაგი მოქალაქეობა.

ამ მხრივ კიდევ უფრო განსხვავებული ვითარება შეიქმნა რომში. რომის მოქალაქის (civitas Romana) სტატუსს იმპერიის ფორმირებამდე იღებდა ის, ვისაც დედაც და მამაც რომის მოქალაქეები ჰყავდა. სამოქალაქო ომების შემდეგ (ძვ. წ. 90-88) თანდათანობით მოქალაქეობის სტატუსი ენიჭება იტალიის მთელ მოსახლეობას. პროვინციებში ცალკეულ პიროვნებებს ან მთელ თემს მმართველის ნაცვალი აძლევდა მოქალაქეობას, ხოლო კარაკალას დროიდან მოყოლებული Constitutio Antoniana-ს (ახ. წ. 212) საფუძველზე რომის მოქალაქეობას იღებდა იმპერიის ყველა მაცხოვრებელი. ამის პირობა და ნიშანი იყო სახელის დარქმევა რომაულ ყაიდაზე, ჯარში სამსახურის ვალდებულება, გადასახადი, ხმის უფლების ქონა სახალხო კრებაზე, პასიური არჩევის (მაგისტრატში არჩევის უფლება) შესაძლებლობა, ფულადი ჯარიმის დროს აპელაციის უფლება, ხელშეკრულებების დადება, ქორწინება. იყვნენ ე. წ. პერეგრინები ანუ არამოქალაქეები, რომელნიც ამ უფლებათაგან მხოლოდ ზოგიერთს ფლობდნენ. მოქალაქეობას ადამიანი კარგავდა მონობაში, გადასახლებებსა თუ სახალხო კრების მიერ მისთვის ამ უფლების ჩამორთმევისას. მოქალაქეობის უკანონოდ მითვისება ისჯებოდა.

## ლიტერატურა


- DNP 2, 821, Bürgerrecht.
- DNP 2, 822-824, Bürgschaft.
- DNP 13, 556-560, Bürger.
- G. D. Rocchi, Bürgerrecht, in: Mensch und Landschaft in der Antike, H. Sonnabend (Hrsg.), Weimar 1999, 82-84.
- P. Gauthier, La citoyenneté en Grèce et en Rome, in: Ktema 6, 1981, 167-179.
- A. N. Sherwin-White, The Roman Citizenship, Oxford 1973².
- W. Eder, Who Rules? Power and Partipication in Athens and Rom, in: A. Molho, K. Raaflaub, J. Emlen (ed.), City States in Classical Antiqity, 1999, 169-196.

ანტიკურ სამყაროში სახელდების თანამედროვეობისაგან რამდენადმე განსხვავებული პრინციპი გვხვდება. ბავშვს საბერძნეთში დაბადებიდან ათი დღის განმავლობაში არქმევდნენ სახელს. აქ სახელთა დიდი მრავალფეროვნება და არჩევანი იყო. საკუთარი სახელი მეტწილად კომპოზიტების სახით იყო წარმოდგენილი. ორფუძიან სახელებში ყველაზე გავრცელებული მაწარმოებლები იყო შემდეგი არსებითი სახელები: τὸ γένος („წარმომავლობა"), τὸ κλέος („დიდება"). მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ: Διογένης, Περικλῆς და ა. შ. საკმაოდ ხშირი იყო, რასაკვირველია, ერთფუძიანი სახელებიც. სახელს ხშირად ემატებოდა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მამის სახელი, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ესა თუ ის ადამიანი იყო ამა თუ იმ პიროვნების ძე. ასევე შესაძლებელი იყო მამის სახელს დამატებოდა სპეციალური სუფიქსი -ιδης, რომელსაც ძის მნიშვნელობა ჰქონდა და ამ შემთხვევაში პიროვნების სახელის სინონიმად შეიძლებოდა მხოლოდ მამის სახელი ყოფილიყო გამოყენებული. ეს მოვლენა განსაკუთრებით ხშირია ჰომეროსის ეპოსში. ა. მ., აგამემნონი შეიძლება წარმოგვიდგეს მხოლოდ თავისი სახელით Ἀγαμέμνων, თავისი სახელითა და დამატებით მამის სახელით Ἀγαμέμνων Ἀτρείδης და მხოლოდ მამის სახელით Ἀτρείδης. ამავე ფუნქციით შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო -ιος და -ευς სუფიქსები. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც შვილიშვილს ბაბუის სახელს არქმევდნენ. პიროვნების უკეთ იდენტიფიკაციის მიზნით ზოგჯერ მის სახელს ამატებდნენ წარმომავლობის აღმნიშვნელ ლექსიკურ ფორმატივს, მაგალითად, აპოლონიოს როდოსელი, სიმონიდეს კეოსელი და ა. შ.

ქალების სახელდებაც ზუსტად ამ პრინციპით ხდებოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სახელის საწარმოებლად გამოყენებული იყო მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი დაბოლოება, ა. მ., Κλυταιμνήστρα, Πηνελόπη.

სახელდების განსხვავებული ტრადიცია არსებობდა რომში. მართალია, უძველეს წარწერებში რომაელები, ინდოევროპული ტრადიციის თანახმად, მხოლოდ ერთი სახელით მოიხსენიებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეტრუსკების გავლენით, სახელდების სისტემა თანდათანობით გართულდა. საინტერესოა, რომ ეტრუსკებს ჰქონდათ ტრადიცია პიროვნების სახელში აღენიშნათ მშობლის სახელიც (როგორც მამის, ასევე დედის, ხოლო ზოგჯერ კი მხოლოდ დედის სახელი). თითოეულ რომაელს თავიდან ორი, შემდეგ კი სამი სახელი ჰქონდა. მას კიდევ შეიძლებოდა დამატებოდა ერთი ან მეტი ელემენტი, თუმცა ეს ერთობ იშვიათად ხდებოდა. ტიპური სამკომპონენტიანი სახელი შედგებოდა: საკუთრივ სახელისაგან (praenomen), წარმომავლობის ანუ გვარის (საგვარეულო) სახელისაგან (nomen gentile) და ძვ. წ. 300 წლიდან მეტსახელისაგან (cognomen). იგი არცთუ იშვიათად აღნიშნავდა მისი პირველი მატარებლის ფიზიკურ თუ სულიერ თავისებურებას ან წარმომავლობას. შემდეგ შესაბამისი ოჯახი ამ სახელს მემკვიდრეობით იღებდა, ა. მ., Flaccus „დაკიდებულყურებიანი", Afer „აფრიკელი". ზოგიერთ პირს შეიძლებოდა სახელი კოგნომენის გარეშე ჰქონოდა. სახელები რომში სულ 19 იყო და ისინი თავიანთი გავრცელებულობის გამო ხშირად შემოკლებით იწერებოდა:

1. Aulus – A.
2. Appius – App.
3. Gaius – G.
4. Gnaeus – Gn.
5. Decimus – D.
6. Flavius – F.
7. Kaeso – K.
8. Lucius – L.
9. Marcus – M.
10. Manius – M'.
11. Mamercus – Mam.
12. Numerius – N.
13. Publius – P.
14. Quintus – Q.
15. Sextus – Sex.
16. Servius – Ser.
17. Spurios – Sp.
18. Titus – T.
19. Tiberius – Ti(b).

როგორც ვთქვით, სამ რომაულ სახელს ზოგჯერ კიდევ შეიძლებოდა მიმატებოდა ელემენტები, ინდივიდუალური სახელი, მაგალითად, Barbatus. დამატებითი სახელი შეიძლებოდა ნაშვილობის ან შვილად აყვანის ამსახველიც ყოფილიყო. სამსახურეობრივ წერილებში სახელს უნდა დამატებოდა კიდევ მამის სახელი დასმული ნათესაობითში და მის წინ ასო F. (Filius – ძე). ზოგჯერ სახელი არეკლავდა ტრიბუსსაც ანუ იმ ადმინისტრაციულ დანაყოფს, რომელსაც მიეწერებოდა ესა თუ ის პირი. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი სახელი თავისი შემადგენელი კომპონენტებით შეიძლებოდა ერთობ გადატვირთული ყოფილიყო. რაც შეეხება ქალიშვილებს, ისინი ატარებდნენ წარმომავლობის ანუ გვარის სახელს Tullia, რომელიც შეიძლებოდა დაზუსტებულიყო ასაკის აღმნიშვნელი ფორმატივებით: major („უფროსი"), minor („უმცროსი"), tertia („მესამე") და ა. შ. ქალთა შემთხვევაში ზოგჯერ შეიძლებოდა მამაკაცების მსგავსად გამოყენებული ყოფილიყო სახელი. კეისრების ეპოქაში ქალებს არქმევდნენ წარმომავლობისა და მამის კოგნომენის შემცველ სახელებს. ამ ეპოქაში განსაკუთრებით შეძლებულ ოჯახებში გამოიყენებოდა ძალზე ბევრი სახელი. რადგან მათი რაოდენობა ერთობ დიდი იყო, იძულებულნი გახდნენ დამატებით შემოეღოთ Super nomina, ანუ Signa, რომლითაც პიროვნებას მიმართავდნენ. მონობიდან გათავისუფლებული პირები იღებდნენ მათი განმათავისუფლებლის წარმომავლობის სახელს და დამატებით იტოვებდნენ იმას, რომელიც მათ მონობისას ერქვათ.

თანამედროვე საცნობარო და სპეციალურ ლიტერატურაში ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირებული პირები, როგორც საცნობარო ერთეული, საკუთრივ მათი სახელით არიან შეტანილნი. დღეს, როდესაც ვახსენებთ ანტიკური ეპოქის რომაელს ერთი სახელით, მოვიხსენიებთ მეტწილად კოგნომენის, შედარებით იშვიათად — წარმომავლობის სახელით. ხშირია შემთხვევები, როდესაც საცნობარო ლიტერატურაში ესა თუ ის მოღვაწე ერთ წიგნსა ან ლექსიკონში კოგნომენით, ხოლო მეორეში – წარმომავლობის სახელით არის შეტანილი. ა. მ., ცნობილი რომაელი ფილოსოფოსისა და დრამატურგის, ლუციუს ანეუს სენეკას შემთხვევაში მის განმსაზღვრელ მაიდენტიფიცირებელ კოგნომენად სენეკას მიიჩნევენ, ხოლო ვერგილიუსის შემთხვევაში — წარმომავლობის სახელს.

### ლიტერატურა


- RE XVI, 2, 1611-1670, Namenwesen.
- DNP 8, 1211-1214, Onomastik.


## ოჯახი

ოჯახის შექმნის ტრადიცია საუკუნეების სიღრმეში იკარგება. ცნობილია, რომ ოჯახის ფორმირების სხვადასხვა ტრადიცია არსებობდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში: ეგვიპტეში, მესოპოტამიაში, ირანში. რაც შეეხება ანტიკურ სამყაროს, აქ ოჯახის თანამედროვეობისაგან რამდენადმე განსხვავებული გაგება არსებობდა. ჯერ შევეხოთ ტერმინთა საკითხს. ბერძნულ ენაში ცნებების *ოჯახი* და *სახლი* აღსანიშნად ერთსა და იმავე ლექსიკურ ფორმატივს გამოიყენებდნენ: οἰκός, οἰκία, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ოჯახი მოიცავდა ყველას, ვინც კი სახლში ცხოვრობდა. ლათინურ ენაში ამ ცნების გადმოსაცემად გამოიყენებოდა ლექსემა domus, თუმცა უფრო პოპულარული არის familia, რომელიც შემდეგ მრავალ ენაში შევიდა როგორც ოჯახის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინი.

საბერძნეთში ოჯახის თავს κύριος-ი ეწოდებოდა. რამდენადაც ოჯახი ერთგვარ სოციალურ ერთიანობას წარმოადგენდა, მის ფარგლებში განმსაზღვრელი იყო ოჯახის თავის უფლებები. თანამედროვეობისაგან და შუა საუკუნეებისაგან განსხვავებით, ოჯახის წევრად ითვლებოდა ყველა, ვინც ბატონს დაქვემდებარებული სახლის ფარგლებში ცხოვრობდა: თავად ბატონი, მისი ცოლ-შვილი და მონები, ან მსახურები. ოჯახის ფუნქციონირება რეგულირდებოდა გარკვეული ადათით თუ კანონებით. საბერძნეთში ოჯახის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი იყო ის, რომ ოჯახი იგებოდა მონოგამიის პრინციპზე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით ელინისტურ სამყაროში ეს პრინციპი შეიძლებოდა დარღვეულიყო. საკმაოდ იყო ჩამოყალიბებული წარმოდგენები ე. წ. ინცესტის ანუ აკრძალულ ქორწინებათა შესახებ. მართალია, სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა რეგიონში ეს წარმოდგენები რამდენადმე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, საერთო იყო ის, რომ ე. წ. პირველი საფეხურის ინცესტს ყველა აღიარებდა, რის თანახმადაც, აკრძალული იყო ქორწინება მშობლებსა და შვილებს, დებსა და ძმებს შორის. ზოგიერთ პოლისში ინცესტი ნათესაობის მეტ საფეხურს მოიცავდა, ზოგში — ნაკლებს. რაც შეეხება ქორწინებასა და ქორწილს, ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

რომში ოჯახის თავს pater familias („ოჯახის მამა") ერქვა. მისი უფლებები ოჯახის ფარგლებში ჭეშმარიტად გადამწყვეტი იყო და მას ექვემდებარებოდა ყველა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ოჯახის წევრს ქვეყნის მართვის იერარქიულ სისტემაში საკმაოდ მაღალი საფეხური ეკავა. ამ უფლებების აღსანიშნად რომში გამოიყენებოდა ფორმულა patria potestas („სახლისა და მამისეული ძალაუფლება"). ეს გარემოება აძლევდა უფლებას ოჯახის თავს, გაევრცელებინა თავისი ძალაუფლება ყველა წევრზე, რათა, განურჩევლად ასაკისა და მდგომარეობისა, ყველა ყოფილიყო მის დაქვემდებარებაში. მას შეეძლო თავად გადაეწყვიტა ოჯახში დამატებითი წევრის მიღებისა თუ ულირსი წევრის „გარიცხვის" საკითხები. როდესაც იბადებოდა ახალშობილი, საჭირო იყო მისი აღიარება. ოჯახის მამას ყოველთვის შეეძლო შვილები ე. წ. emancipatio-ს ანუ თავისი „მეუფების სფეროდან" დათხოვნის მეშვეობით, ხოლო ცოლი გაშორების საშუალებით მოეშორებინა თავიდან, ხოლო უცხო, შვილად აყვანის (adoptatio-ს) საშუალებით მიეღო ოჯახში. მას შეეძლო აგრეთვე ე. წ. საოჯახო სასამართლოს (განისაზღვრებოდა ოჯახის ნათესავებითა და მეგობრებით) მეშვეობით დაჯარიმების სანქციების შემოღებაც. არსებითად, მხოლოდ და მხოლოდ ის წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს ოჯახში. patria potestas-ის პრინციპი შვილებსა და ცოლს, ფაქტობრივად, საოჯახო საკუთრებაზე უფლებას უკარგავდა. საინტერესოა, რომ patria potestas-ის შემთხვევაში შვილებს, მაშინაც კი, როდესაც მათ თავიანთი დამოუკიდებელი ოჯახები ჰქონდათ შექმნილი, მთელი ცხოვრების განმავლობაში მამის მორჩილება მართებდათ. ბუნებრივია, pater familias განსაზღვრავდა, ძირითადად, ოჯახის მიმართებას საზოგადოებასთან და სახელმწიფოსთან. იგი იღებდა თავის თავზე პასუხისმგებლობას იმაზე, რომ მისი ოჯახი კანონმორჩილი და სახელმწიფოს წინაშე პირნათელი ყოფილიყო.

ოჯახისა და მისი მნიშვნელობის მიმართ ძალზე სერიოზულ დამოკიდებულებას ასახავს არა მხოლოდ ანტიკური კანონმდებლობა, არამედ ასევე ანტიკური მხატვრული კულტურაც. სახვით ხელოვნებასა და ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ე. წ. ოჯახურ თემატიკას.

## ლიტერატურა


- DNP 4, 405-422, Familie.

აღზრდა და განათლება – ამ ცნებებს შორის ორგანული კავშირია, თუმცა აღზრდა უფრო მრავლის მომცველია და იგი გულისხმობს თავისთავად განათლებასაც, თუკი ამ უკანასკნელს წერა-კითხვასა და მისი საშუალებით ცოდნის მიღებასთან დავაკავშირებთ. აღზრდა წარმოადგენს ნებისმიერი საზოგადოებისათვის აუცილებლობას, თუ მას განვითარების სურვილი აქვს. ამ შემთხვევაში იგულისხმება ჩვეულების, ეთიკური და ყოფითი ნორმების, ფიზიკური მომზადების და ა. შ. მთელი კომპლექსი. მათი შეთვისება დღიდან შობისა ადამიანს თანდათანობით აყალიბებს საზოგადოების წევრად. მაგრამ აღზრდის პროცესი დროში განსაზღვრულია და იგი მთავრდება მაშინ, როცა პიროვნება საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ხდება.

რაც შეეხება სწავლას, განათლებას, იგი არ არის დროში განსაზღვრული და ადამიანი სიცოცხლის ბოლომდე სწავლობს ანუ თავისი ინტელექტუალური განვითარებისათვის იღებს ახალ საზრდოს. საინტერესოა, რომ ასაკს მიტანებული თავად ბრძენი სოლონი ამბობდა: „ვბერდები, მაინც მუდამ ბევრს ვსწავლობ". ჩვენ ხშირად ვიმეორებთ სენტენციას: „სწავლა სიბერემდე" და ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ რაღაც დამატებითი ცოდნის მიღებისაკენ ადამიანის ლტოლვას. ანტიკური სამყარო, შეიძლება ითქვას, თავიდანვე ორიენტირებული იყო აღზრდის მაქსიმალურად სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბებაზე და, ამ მხრივ, საკმაოდ ბევრს მიაღწია.

უკვე ჰომეროსის ეპოსში ესმის ხაზი აღზრდის მნიშვნელობას. მითოლოგიიდან ცნობილი კენტავრი ქირონი ვაჟკაცთა აღიარებულ აღმზრდელად იყო მიჩნეული, რომელმაც არაერთი გმირი გამოიყვანა ასპარეზზე. ჰომეროსი იცნობს თვითნასწავლ მომღერლებსა და მათაც, რომლებიც ნამდვილი პროფესიონალები არიან. მასთან მრავალი პერსონაჟი გამოირჩევა განსაკუთრებული ცოდნით რაღაც სფეროში (ა. მ., მკურნალობა), რაც, გარდა ბუნებრივი ნიჭისა, საგანგებო მომზადებასაც მოითხოვს. აღარაფერს ვამბობთ საბრძოლო ხელოვნების ცოდნაზე, რომელსაც, იგულისხმება, რომ ჰომეროსის გმირებმა ხანგრძლივი წვრთნის შედეგად მიაღწიეს.

მას შემდეგ, რაც დამწერლობამ ფართო გავრცელება პოვა საბერძნეთში, წერა-კითხვის შესწავლა და სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა კითხვა აღზრდის ერთ-ერთ კომპონენტად იქცა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, თუკი აღზრდის გარეშე არ რჩება ანტიკურ საზოგადოებაში პრაქტიკულად არც ერთი წევრი, რაც შეეხება განათლებას, მისი მასშტაბები შედარებით შეზღუდული იყო. ა. მ., ფიქრობენ, რომ ანტიკურ საზოგადოებაში, მისი განვითარების უმაღლეს დონეზეც კი, წერა-კითხვა იცოდა მოზრდილ მამაკაცთა ანუ სრულუფლებიან მოქალაქეთა არა უმეტეს 30-მა პროცენტმა, ხოლო მთელი მოსახლეობის არა უმეტეს 10-მა პროცენტმა. რასაკვირველია, სხვადასხვა პოლისში თუ დასახლებულ პუნქტში ეს მაჩვენებელი განსხვავებული იქნებოდა. ა. მ., კლასიკური ათენი, ალბათ, წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობით მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბევრ სხვა პოლისს. შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა: ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, მაგალითად, კლასიკურ საბერძნეთში მოწყვეტილი იყო შესაძლებლობას ზიარებოდა სიტყვიერი შემოქმედების სფეროში შექმნილ ნაწარმოებებს. რასაკვირველია, არა. ანტიკურ საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ყოველგვარი ინფორმაციის ზეპირად გადაცემა, მათ შორის, მხატვრული ინფორმაციისა. პოეტები თავიანთ ნაწარმოებებს ასრულებდნენ შეჯიბრებებზე მრავალრიცხოვანი აუდიტორიის თანდასწრებით, დრამატული ფესტივალები ათასობით მაყურებლისათვის იყო განკუთვნილი. ჰომეროსის პოემების სრულად შესრულება პანათენეებზე დეკლამაციის გზით რაფსოდების მიერ ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნიდან დამკვიდრდა. ინტელექტუალთა შორის აქტუალურ საკითხებზე კამათი ხშირად

მოქალაქეთა თვალწინ მიმდინარეობდა, ხოლო საჯარო შეკრებებსა თუ სასამართლო პროცესებზე საუკეთესო მჭევრმეტყველების მიერ დაწერილ სიტყვებს ისმენდნენ.

აღზრდის კონცეფცია პოლისების ეპოქის საბერძნეთში გულისხმობდა ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი ადამიანის აღზრდას, რაც საფოდან მოყოლებული ცნობილი კომპოზიტით καλοκαγαθία (მშვენიერი და კარგი) გამოიხატებოდა. მის ერთ-ერთ ფრაგმენტში ეს პრინციპი ამგვარად არის ჩამოყალიბებული:

„ვინც ლამაზია, გარეგანი თავისი იერით გვხიბლავს მხოლოდ,
ვინც კეთილია სულით, უმალ მშვენიერიც მოგვეჩვენება“[5] (50 ლპ)

საფოს, როგორც ჩანს, კუნძულ ლესბოსზე თავად ჰქონდა შექმნილი ერთ-ერთი ცნობილი სააღმზრდელო ცენტრი ქალწულებისათვის, სადაც იგი ფაქიზი სულის, მშვენიერებასთან ზიარებით სიხარულის მიღებისათვის მზადყოფი მომავალი პატარძლების აღზრდას ემსახურებოდა. არქაიკის ეპოქაში ამგვარი სააღმზრდელო კერების არსებობა არ უნდა ყოფილიყო იშვიათი მოვლენა.

ჭეშმარიტი რევოლუცია აღზრდა-განათლების სფეროში კლასიკურ ათენში ასპარეზზე სოფისტების გამოსვლასთან ერთად იწყება. სოფისტებმა რადიკალურად შეცვალეს ფილოსოფიური აზრის მიმართულება და, ე. წ. ნატურფილოსოფოსებისგან განსხვავებით, ბუნების ნაცვლად ყურადღების ცენტრში თავად ადამიანი მოაქციეს. ცნობილი სოფისტის, პროტაგორასის გამოთქმის თანახმად, „ადამიანი არის საზომი ყველა საგანთა, არსებულთა, რომ ისინი არიან და არარსებულთა, რომ ისინი არ არიან“. შესაბამისად, სოფისტებისათვის ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებობს და ადამიანს ძალუძს დაამტკიცოს ყველა იმ დებულების ჭეშმარიტება, რომელთა დამტკიცებასაც მოისურვებს. ადვილი გასაგებია, რა პოპულარობა მოიპოვა სოფისტთა მოძღვრებამ საზოგადოებაში, რომელიც ისეთი ცოდნისაკენ მიისწრაფოდა, მას პრაქტიკულ ცხოვრებაში რომ გამოადგებოდა. ტრადიციულ დაპირისპირებაში – ბუნება და ადამიანის მიერ დადგენილი კანონი ანუ ნორმა (ფუსის / ნომოს) – აშკარად უპირატესობა უკანასკნელს მიეცა. ამით სოფისტებმა აღიარეს, რომ აღზრდის მათ მეთოდს შეუძლია ნებისმიერი მიმართულებით წარმართოს მოკვდავის ფორმირება. სოფისტები ანუ სიბრძნის მასწავლებლები თავიანთ საქმიანობაში გასამრჯელოს იღებდნენ და მსურველებს არა მარტო სოფისტური ლოგიკის ხერხებს აზიარებდნენ, არამედ აძლევდნენ გარკვეულ ცოდნას ადამიანური შემოქმედების სხვადასხვა სფეროს შესახებ, ასწავლიდნენ დამოუკიდებელ აზროვნებას. მართალია, ჯერ სოკრატემ და პლატონმა, შემდეგ კი არისტოტელემ წარმოაჩინეს სოფისტური მოძღვრების უმთავრესი სისუსტეები და ნაკლოვანებები, მაგრამ სწავლების სოფისტურმა მეთოდებმა ღრმა კვალი დატოვეს სააღმზრდელო პრაქტიკაში. გარკვეულწილად, მას ეფუძნება ცნობილი ორატორის ისოკრატესის მიერ სწორედ სოფისტთა შეხედულებების შედეგად ჩამოყალიბებული ἐγκύκλιος παιδεία („წრიული“ ანუ „ზოგადი აღზრდა“) კონცეფცია, რომელიც რიტორიკული განათლების პრინციპებს ეყრდნობოდა. აღნიშნულ სიტყვათშეთანხმებიდან წარმოიქმნა ტერმინი *ენციკლოპედია* და, შესაბამისად, ზოგადი განათლებისათვის აუცილებელი ვრცელი წიგნებისა თუ საცნობარო ლიტერატურის შექმნის პრაქტიკა.

ელინისტური სამყარო პოლისური საბერძნეთისაგან მრავალ სხვა მომენტთან ერთად განსხვავდებოდა იმით, რომ აქ პოლისმა დაკარგა თავისი საზოგადოებრივი ფუნქცია და იგი შეერწყა გაცილებით უფრო დიდ სახელმწიფო ორგანიზმებს. ელინისტური სამყაროს მთლიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი იყო კულტურულ-ენობრივი ერთიანობა. იმისათვის, რომ ელინისტურ სამყაროში კაცი ელინად მიეჩნიათ, ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო ბერძნული აღზრდის მიღება, რომელსაც მოზარდი საზოგადოებაში ფუნქციონირების უნარის მქონე პიროვნებად უნდა ჩამოეყალიბებინა. ამ

[5] თარგმანი ნ. ტონიასი.

ეპოქაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ხდებოდა ბერძენ ავტორთა ე. წ. სასკოლო გამოცემების ტირაჟირება და, როგორც ჩანს, აღზრდის ის მხარე, რომელიც განათლების მიღებას ითვალისწინებდა, განსაკუთრებით იყო ორიენტირებული ლიტერატურაზე.

სად ხდებოდა ძველ საბერძნეთში მოზარდთა აღზრდა, ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო გაგებით, ანუ განათლებისათვის საჭირო დისციპლინების გათვალისწინებით, ვინ და რამდენ ეტაპად ახორციელებდა მას?

საბერძნეთში აღზრდის მთელი ციკლი, არსებითად, კერძოდ ხორციელდებოდა და მასში ჩართული იყვნენ როგორც მშობლები და სპეციალურად დაქირავებული აღმზრდელები, ასევე პედაგოგები ბერძნ. παιδαγωγός („ბავშვის წამყვანი"). ამ უკანასკნელთ თავდაპირველად ეკისრებოდათ ბავშვის სასწავლებელში ტარების ფუნქცია. სახელმწიფო სააღმზრდელო-სასწავლო დაწესებულებები, ძირითადად, მხოლოდ სპარტასა და კრეტაზე იყო, რაც განაპირობა იქ არსებულმა აღზრდის ტრადიციებმა, რომელთა მიზანი იყო აღეზარდათ მოქალაქე-მებრძოლი. აქ სახელმწიფოს კონტროლი აღზრდაზე ბავშვის დაბადებიდანვე იწყებოდა. ახალშობილების სპეციალური გასინჯვის შემდეგ ჯანმრთელ ბავშვებს მამებს უბრუნებდნენ. რაც შეეხება ავადმყოფ ან ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებს, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მათ სიცოცხლეს ასალმებდნენ, ყოველი შემთხვევისათვის, შეიძლება ითქვას, რომ მათ აშკარად აშორებდნენ ამ რეგიონებში არსებულ ჩაკეტილ სპარტულ საზოგადოებას. შვიდ წლამდე ბავშვები იზრდებოდნენ ოჯახებში და სპეციალურად მომზადებული ძიძები პირველი დღეებიდანვე ზრუნავდნენ მათ სწორ ფიზიკურ აღზრდაზე. შვიდი წლის შესრულების შემდეგ ბავშვებს ართმევდნენ მშობლებს და მათ განათავსებდნენ სპეციალურ საერთო საცხოვრებლებში. ამიერიდან მათი აღზრდა მთლიანად სახელმწიფოს ხელში გადადიოდა. სახელმწიფო აღზრდა მოიცავდა პერიოდს 7 წლიდან 30 წლამდე (ანუ, სპარტელთა კანონების მიხედვით, სრულასაკოვნებამდე) და, თავის მხრივ, დროის სამ მონაკვეთად იყოფოდა: 7-დან 15 წლამდე, 15-დან 20-მდე, 20-დან 30-მდე. აღზრდის მთელი სისტემა აგებული იყო ბრძოლისუნარიანი, საოცრად ამტანი სპარტელის ან კრეტელის მოსამზადებლად საზოგადოებისათვის. თუ რაოდენ მკაცრ პირობებში ზრდიდნენ სპარტელ ახალგაზრდებს, ამაზე პლატონი შემდეგს გვაუწყებს: „ე. წ. კრიპტია (სპარტელი ჭაბუკების უფლება ყოველწლიურად მონაწილეობა მიეღოთ ჰელოტების დარბევაში და მათგან ყველა საეჭვო პირი მოეკლათ) მშვენივრად უმუშავებს ... ამტანობას. აქ იგულისხმება ზამთარში ფეხშიშველი სიარული, ძილი საწოლის გარეშე, საკუთარი თავის მომსახურება მოსამსახურეთა გარეშე, ღამით და დღისით ხეტიალი მთელ ქვეყანაში" („კანონები", I, 7, 633). აღზრდის მთელი პერიოდის განმავლობაში ახალგაზრდებს უხდებოდათ არაერთი გამოსაცდელი ეტაპის გავლა და იმის დამტკიცება, რომ ისინი კარგად ითვისებენ, რასაც აღმზრდელები ასწავლიან. გარდა მებრძოლისათვის საჭირო ჩვევებისა, დიდი ყურადღება ექცეოდა მოკლედ და დახვეწილად ლაპარაკის ხელოვნებას, რამაც სპარტელებს ანუ ლაკონიელებს მოკლედ და საქმიანად – ლაკონურად მოსაუბრეების სახელი დაუმკვიდრა. ყურადღება ექცეოდა ზოგიერთი სხვა დისციპლინის სწავლებასაც, ოღონდ ყველაფერი მორგებული იყო მებრძოლი სპარტელის აღზრდაზე.

ათენში სახელმწიფო ნაკლებად იყო ჩართული აღზრდის ყველა საფეხურის განხორციელების საქმეში. თუმცა ეტაპობრივი აღზრდის კონცეფცია აქ აშკარად არსებობდა. 1-7 წლამდე ბავშვები, ძირითადად, დედის, ძიძის და აღმზრდელის მეთვალყურეობით სახლში იღებდნენ პირველად აღზრდას. 8-16 წლის ასაკში ვაჟები დადიოდნენ ე. წ. მუსიურ სკოლებში, სადაც მათ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ლიტერატურას, მუსიკას, ალბათ, მათემატიკასაც. რამდენადაც კალოკაგათიის კონცეფცია გულისხმობდა არა მარტო ინტელექტუალურ, არამედ ფიზიკურ მომზადებასაც, ანუ სულიერთან ერთად ფიზიკური კულტურის დაუფლებასაც, ფუნქციონირებდა გიმნასტიკური სკოლებიც. მათი ამოცანა იყო სპეციალურ ნაგებობებში, პალესტრებში, ახალგაზრდებს გამოეწრთოთ სხეული. გიმ-

ნასტიკური სკოლის აღზრდის პროგრამას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ტერმინ პენტათლონის შინაარსი. იგი გულისხმობდა ხუთი გიმნასტიკური სახეობის გაერთიანებას: სირბილი, ჭიდაობა, ხტომა, დისკოსა და შუბის ტყორცნა. ფიქრობენ, რომ ახალგაზრდებს აქვე ცეკვასაც ასწავლიდნენ. რამდენადაც გიმნასტიკურ სკოლებში ბავშვები მხოლოდ 12 წლის ასაკიდან მიდიოდნენ, აღზრდის სისტემა ითვალისწინებდა 12 წლიდან 14 წლამდე მოსწავლეების პარალელურ აღზრდას როგორც გიმნასტიკურ, ასევე მუსიურ სასწავლებლებში. 14 წლიდან კი ე. წ. მუსიური მეცადინეობები გარკვეულ უპირატესობას გიმნასტიკურს უთმობდნენ. შესაბამისად, პაიდოტრიბესი ანუ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი უფრო აქტიურად ერთვებოდა აღსაზრდელის კუნთებისა და ფიზიკური რეაქციების განვითარების პროცესში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გოგონები სახლში რჩებოდნენ და მათი აღზრდა კვლავ შინაურების წრეში მიმდინარეობდა. თუმცა ზოგიერთ რეგიონში იყო სპეციალური სააღმზრდელო დაწესებულებები ქალწულთა აღსაზრდელად, როგორიც, მაგალითად, საფოს მიერ მიტილენეში ორგანიზებული სკოლა.

მუსიური სკოლების დამთავრების შემდეგ განათლების სისტემაში მომდევნო ეტაპი იყო სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები — ე. წ. გიმნასიონები. ათენში ამ ტიპის სამი სასწავლებელი არსებობდა: 1. ლიკეიონი, რომელიც ქალაქის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ათენის გარეთ მდებარეობდა აპოლონ ლიკეიოსის ტაძრის კუთვნილ ტერიტორიაზე (აქედან მისი სახელიც); 2. აკადემია, მითიური გმირის აკადემოსის ჭალაში მდებარე სასწავლებელი, სადაც პლატონი კრებდა თავის მოსწავლეებს; 3. კინოსარგოსი, რომელიც კეფისიის გზაზე მდებარეობდა და იმით გამოირჩეოდა, რომ სხვა გიმნასიონებისაგან განსხვავებით, აქ სწავლა შეეძლოთ მათაც, რომელნიც არ იყვნენ წმინდა სისხლის ატიკელები. გიმნასიონები ფინანსდებოდა ე. წ. სააღმზრდელო ლიტურგიებით (საზოგადო მოვალეობა), რომელთაც გიმნასიარქოსები ანუ მზრუნველები დეფიციტის შემთხვევაში თავიანთი თანხებით ავსებდნენ. გიმნასიარქოსი იყო სრულუფლებიანი შეძლებული ათენელი მოქალაქე, რომელიც ლიტურგიების გაღების სანაცვლოდ საკმაოდ დიდ პატივს იღებდა. მისი ქანდაკება იდგმებოდა გიმნასიონში და მისი სახელი მის დაქვემდებარებაში მყოფი სასწავლებლის საოჯახო დღესასწაულებზეც კი იხსენიებოდა. გარდაცვალების შემდეგ მას სკოლის კედლებში კრძალავდნენ და ყოველწლიურად აწყობდნენ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. რა ფუნქცია ეკისრებოდა გიმნასიონებს აღზრდის სისტემაში? γυμνός („შიშველი") ფუძის შემცველი ეს ტერმინი, ისევე როგორც გიმნასტიკა, დაკავშირებული იყო ვარჯიშთან. იგულისხმება, რომ ჭაბუკები ვარჯიშისას შიშვლები იყვნენ, რაც ვაზური ფერწერის ნიმუშებშიც დასტურდება. გიმნასიონში მიმდინარეობდა ახალგაზრდების სრულყოფა გიმნასტიკაში, მაგრამ ამასთანავე არ იყო უყურადღებოდ დატოვებული ინტელექტუალური აღზრდის ასპექტებიც. მოსწავლეების წინაშე გამოდიოდნენ ცნობილი ინტელექტუალები, ა. მ., მათთან ხშირად მიდიოდა თავად სოკრატე. გიმნასიონი იქცა ერთგვარ სპორტულ-კულტურულ ცენტრადაც, სადაც მოსწავლეების გარდა შეეძლოთ მისვლა ეფებოსებსაც და საერთოდ თავისუფალი დროის მქონე ადამიანებსაც. აქ შეიძლებოდა ახალი ამბების შეტყობა, საუბარი აქტუალურ საკითხებზე, ვარჯიშების ყურება ან პოპულარული ადამიანების საუბრის მოსმენა.

სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაციის ფორმა, ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. IV საუკუნის მინურულიდან მაინც იყო ეფებია, რომელიც ათენის სრულუფლებიანი მოქალაქის აღზრდა-განათლების პროცესს ასრულებდა და, არსებითად, 18-დან 20 წლამდე ახალგაზრდების მიერ სავალდებულო სამხედრო მომზადების გავლას გულისხმობდა. ეფებიაში ირიცხებოდნენ გიმნასიონდამთავრებული მოზარდები, მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან წარმომდგარი ახალგაზრდები. ყოველწლიურად ათენში საშუალოდ 1000 ჭაბუკი შეჰყავდათ ეფებოსთა სიაში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ეფებიის დამთავრების შემდეგ ისინი კიდევ 40 წლის განმავლობაში ე. ი. 60 წლამდე სამხედრო ვალდებულები იყვნენ

და, თუკი ომი დაიწყებოდა, სახელმწიფოს მათი ჯარში გაწვევა შეეძლო. ეფებოსად ჩარიცხვა მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ხდებოდა. სრულწლოვანად აღიარების პროცედურა საკმაოდ რთული იყო და არასწორი ინფორმაციის მიცემის შემთხვევაში იგი მკაცრად ისჯებოდა დემოტებისაგან ანუ დემის წევრებისაგან. თითქმის „პროკურორის" ფუნქციის მქონე არჩეულ ხუთ კაცს შეეძლო სრულწლოვანების „კანდიდატები" ტყუილში ემხილათ, რაც მათი მონად გაყიდვითაც კი შეიძლებოდა დამთავრებულიყო. ამ გამოცდის ანუ დოკიმასიის შემდეგ, თუკი ყველაფერი რიგზე იყო და ჭაბუკი დემოტებს სრულწლოვანთა სიაში შეჰყავდათ, ჭაბუკთა მამები თავიანთ ფილებში იკრიბებოდნენ და ირჩევდნენ სამ-სამ 40 წელს გადაბიჯებულ კაცს, რომლებიც, მათი აზრით, საუკეთესო მზრუნველები იქნებოდნენ ეფებოსებისათვის. ამ მზრუნველთაგან თითო ფილიდან ხალხი ირჩევდა თითო სოფრონისტს (აღმზრდელს), ხოლო ხელმძღვანელობას მთლიანად ათენელთაგან არჩეულ ერთ კოსმეტესს (ხელმძღვანელს) ანდობდა. ამას მოჰყვებოდა დადგენილი წესის შესაბამისად ჭაბუკის ჩართვა ეფებოსურ ცხოვრებაში, ანუ გარნიზონულ სამსახურში. ხალხი ირჩევდა მათთვის ორ პაიდოტრიბესს (ვარჯიშის მასწავლებელს), აგრეთვე მათაც, რომლებსაც ეფებოსებისათვის უნდა ესწავლებინათ ფარიკაობა, მშვილდოსნობა, შუბის ტყორცნა, კატაპალტის მოგერიება.

ეფებიაში ჩარიცხვის აუცილებელი რიტუალი იყო ფიცის დადება. ეს ფიცი ამგვარად ულერდა: „ვფიცავ, არასოდეს არ შევარცხვინო წმინდა იარაღი და არ დავტოვო ჩემი ადგილი ბრძოლისას. ვფიცავ, ვიბრძოლო ჩემი ღმერთებისათვის და ჩემი კერისათვის მარტომ და სხვებთან ერთად. ვფიცავ, ჩემი სიკვდილის შემდეგ სამშობლო დაკნინებული კი არ დავტოვო, არამედ უფრო მძლავრი და ძლიერი. ვფიცავ, შევასრულო ბრძანებები, მომდინარე ქვეყნის ბრძენი ხელმძღვანელებისაგან. ვფიცავ, დავიცვა სახელმწიფოს, როგორც ამჟამად მოქმედი, ისე მომავალში მიღებული კანონები. ვფიცავ, არ დავუშვა ამ მამისეული კანონების დარღვევა და შერყევა და ჩემი ფიცის მოწმეებად ვიხმობ ..." (ჩამოთვლილია ღმერთები).

პირველი წელი ეფებიაში, ძირითადად, სამხედრო და გიმნასტიკურ ვარჯიშებს, სამხედრო საქმის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლას ეთმობოდა. მეორე წელს, თეატრში, საკუთარი მზადყოფნის სახალხო კრებისათვის ჩვენების შემდეგ, ეფებოსები სახელმწიფოსაგან იღებდნენ ფარსა და შუბს და იწყებდნენ ნამდვილ სამხედრო სამსახურს ჯერ საზღვრებზე, შემდეგ კი — გარნიზონებში. თავიანთი ქონებრივი მდგომარეობის შესაბამისად ეფებოსები ხვდებოდნენ მხედრების ან მძიმედშეიარაღებულ ქვეითთა კატეგორიაში. პირველი მათგანი აშკარად პრივილეგირებული იყო და სწორედ იგი წარმოადგენდა ეფებოსებს ყველა აღლუმსა თუ მნიშვნელოვან ე. წ. საჩვენებელ ღონისძიებებზე. მხედრები, როგორც ჩანს, საკმაოდ აქტიურ ძალას წარმოადგენდნენ საზოგადოებაში და ისინი პროგრესული ტენდენციების მხარდამჭერებად მოიაზრებოდნენ, რასაც არაერთი ბერძნული ლიტერატურული წყარო ადასტურებს.

აღზრდა-განათლების აღნიშნული ფორმების გარდა საბერძნეთში თავისი ადგილი ეჭირა ე. წ. სპეციალურ და პროფესიულ განათლებას. სავსებით ბუნებრივია, რომ უამრავი ხელოვანი, რომელთა სკულპტურული და ფერწერული ნამუშევრები ანტიკური კულტურის დიდებას ქმნიდა, სათანადოდ ემზადებოდა წლების განმავლობაში სპეციალურ სასწავლებლებში თუ ინდივიდუალურ პედაგოგებთან. საგანგებო ყურადღება ექცეოდა მედიკოსთა, ხუროთმოძღვართა და ა. შ. მომზადებას. განათლების დასაგვირგვინებლად განსაკუთრებით მონდომებული ახალგაზრდები გადიოდნენ სპეციალურ მომზადებას ცნობილ ფილოსოფიურ თუ რიტორიკულ სკოლებში, რაც მათ ჭეშმარიტად გამორჩეული განათლების მქონე მოქალაქედ აქცევდა. ამდენად, განათლების ზემოთ განხილულ სისტემაში, ფაქტობრივად, სამი საფეხური გამოიყოფოდა: 1. ელემენტარული ანუ საბაზისო, რომელიც აძლევდა სანყის ცოდნას წერა-კითხვის, არითმეტიკის, ფიზკულტურისა და მუსიკის

სფეროში; 2. ე. წ. ზოგადსაგანმანათლებლო, რომელიც ელინისტური პერიოდიდან მოყოლებული ე. წ. გიმნასიონებში ხორციელდებოდა. აქ, ძირითადად, ისწავლებოდა ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის დისციპლინები: გრამატიკა, რიტორიკა, მათემატიკა, მოგვიანებით – სპორტი და მუსიკა; 3. უმაღლესი საფეხური, არსებითად, აჯამებდა უკვე მიღებულ განათლებას უმაღლესი ფილოსოფიური განზოგადების დონეზე. მთელი ამ ციკლის გავლა, რასაკვირველია, ახალგაზრდებისათვის სავალდებულო არ იყო. სავსებით ბუნებრივია, რომ შედარებით მეტი მოსწავლე იღებდა განათლებას პირველ საფეხურზე. ნაკლები, მაგრამ მაინც საგრძნობი რაოდენობა უნდა ყოფილიყო მეორე საფეხურის სასწავლებლებში, ხოლო მესამე საფეხურის შესაბამის განათლებას ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილი ეწაფებოდა.

საინტერესოა აღზრდა-განათლების მრავალი კონცეფცია, რომელიც ანტიკურ საბერძნეთში შეიქმნა. მხოლოდ სოფისტების, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ისოკრატესის განათლების კონცეფციების შესწავლაც კი ნათელს ხდის, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროს ანტიკურ საბერძნეთში.

მართალია, რომში აღზრდა-განათლების სისტემის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საბერძნეთმა, მაგრამ იქ პედაგოგიურ თეორიასა და პრაქტიკას მაინც თავისი დამახასიათებელი, გამორჩეული ნიშნები აქვს. რომის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში აღზრდა-განათლების კონცეფციები არაერთგზის იცვლებოდა. ძირითადად, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ეტაპი: ა) ძველი რომაული, რომელიც მოიცავდა პერიოდს ძვ. წ. III-II საუკუნეებამდე და ეფუძნებოდა რომაული საზოგადოების იდეალს, აღეზარდა ღირსეული pater familias, რომელიც დაიცავდა „წინაპართა ადათს" (mos majorum). ეს კი გულისხმობდა აღზრდა-განათლების პროცესში ე. წ. მუსიური ასპექტებისათვის შედარებით ნაკლები ყურადღების დათმობას და წერა-კითხვითა და ელემენტარული არითმეტიკით შემოფარგვლას. ბერძნული ჰარმონიული აღზრდის პრინციპს აქ ჩაენაცვლა „კარგი კაცის" (vir bonus) ფორმირებისაკენ სწრაფვა. ამ უკანასკნელისათვის კი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო სოფლის მეურნეობასა და სახელმწიფო საქმეებში ჩართული ადამიანებისათვის აუცილებელი მრავალი ნიშანი; ბ) ბერძნული აღზრდა დომინანტური ხდება მას შემდეგ, რაც ძვ. წ. III-II საუკუნეებიდან საოცრად იზრდება ბერძნული კულტურის გავლენა რომზე. ეს საფუძვლიანად ცვლის რომაული აღზრდის სისტემის არსს და მასში ინტელექტუალურ ასპექტს მყარად უმკვიდრებს ადგილს. თავდაპირველად რომში ამ პროცესს წინააღმდეგობა შეხვდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ განათლების სისტემის ელინიზაცია რომაულს თვითმყოფადობას დაუკარგავდა. თანდათან ყველასათვის ცხადი ხდებოდა, რომ განვითარების მაღალ დონეზე მყოფ ელინურ კულტურასთან ზიარება რომაელებს გაცილებით მეტს სძენდა, ვიდრე აკარგვინებდა. ბერძნულ აღზრდაზე ორიენტაციის შედეგებმა არ დაახანა და რომაულმა კულტურამ სწრაფად მიაღწია ელინურ სიმაღლეებს. ხოლო ავგუსტუსის ეპოქიდან მოყოლებული შეიძლება მსჯელობა უკვე ელინური და რომაული ანუ ანტიკური კულტურის ერთიან სივრცეზე, სადაც სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდება ლათინურენოვან მოღვაწეთა წარმატებები.

რაში მდგომარეობდა ბერძნული აღზრდის სისტემის რომში ფუნქციონირების არსი, როგორი იყო აქ სკოლების ფორმები და განათლების საფეხურები? 7-დან 11 წლამდე ბიჭები და გოგოები სწავლობდნენ ე. წ. ელემენტარულ სკოლებში ludus-ებში, რომელთაც საკმაოდ პრიმიტიული მიზნები და, შესაბამისად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდათ. ეს სკოლები განთავსებული იყო ფარდულებში, მინაშენებში, კარვებში. სასწავლო წელი მარტში იწყებოდა. სავარაუდოდ, ივლისიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე არდადეგები ცხადდებოდა. ისწავლებოდა ლათინური წერა-კითხვა, ზოგან, შესაძლოა, ბერძნულიც და ელემენტარული არითმეტიკა. ამგვარი სკოლებით მოფენილი იყო მთელი ქვეყანა და ისინი მცირე დასახლებულ პუნქტებშიც კი ფუნქციონირებდნენ. 11/12 წლიდან 16/17 წლამდე მო-

ზარდები სწავლას აგრძელებდნენ შემდეგ საფეხურზე ე. წ. გრამატიკოსთა სკოლებში. აქ ჩასარიცხად არ იყო სავალდებულო ელემენტარული სკოლის დამთავრება. მოზარდები მეტწილად სახლში, კერძო მასწავლებლებთან მიღებული ცოდნით მიდიოდნენ გრამატიკოსებთან. აქ სწავლა ორ – ბერძნულ და ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა და მასწავლებლებად მეტწილად ბერძნულენოვანი ემიგრანტები ან ტყვეები მუშაობდნენ. გრამატიკისა და ლექსთწყობის საფუძვლების შესწავლის შემდეგ იწყებოდა ავტორთა შტუდირება. ამ შემთხვევაში, თუკი ბერძენ ავტორთა და ნაწარმოებთა ნუსხა მეტნაკლებად დადგენილი იყო, რადგან სასკოლო პროგრამებში მეტწილად კლასიკური და ელინისტური ეპოქის ცნობილი მწერლები იყვნენ ჩართულნი, რომაელი ავტორების ნუსხის პერიოდულად განახლება ხდებოდა ლათინურენოვანი ლიტერატურის თანდათანობით განვითარებასთან ერთად. გარკვეული მომენტიდან რომაული ლიტერატურა უკვე იმდენად მდიდარი აღმოჩნდა ავტორებითა და ნაწარმოებებით, რომელთაც ბერძენი მწერლებისთვის კონკურენციის გაწევა შეეძლოთ, რომ მომრავლდა გრამატიკოსთა სკოლები, სადაც სწავლება მხოლოდ ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა. სწავლების მეთოდი ამ საფეხურზე ეყრდნობოდა ტექსტის სწორ კითხვასა და ამოწერას, არცთუ იშვიათად ზეპირად დასწავლას, დაწვრილებით პასუხს ტექსტთან და ავტორთან დაკავშირებულ სხვადასხვა გრამატიკულ, სტილურ, მეტრულ, ანტიკვარულ, მითოლოგიურ, ისტორიულ, გეოგრაფიულ და ა. შ. კითხვაზე (თუმცა ესთეტიკური ანალიზის საკითხები, ფაქტობრივად, მხედველობიდან იყო გამოტოვებული).

თანდათანობით ლათინურენოვან ავტორთა შერჩევის პროცესში ტექსტის თუ ავტორის ათვისების ოთხი ეტაპი გამოიკვეთა: 1. lectio – ტექსტის უზადო კითხვა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რთული მეტრული სისტემით გამართული ტექსტების შემთხვევაში; 2. enarratio – განმარტება, რაც გულისხმობდა მთელი ნაწარმოების და მისი ცალკეული ნაწილების ინტერპრეტაციას, ავტორის ბიოგრაფიის, მასთან მოხსენიებული ისტორიული, გეოგრაფიული, მითოლოგიური მასალის ანალიზს; 3. emendatio – კრიტიკული ანალიზი, რომლის მიზანი იყო ტექსტის ღირსებებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა, სადაც საჭიროდ მიიჩნევდნენ, შესაძლებელი იყო მისი ჩასწორებაც კი; 4. judicium – კრიტიკული შეჯამება და დასკვნების წარმოდგენა. რომში გარკვეული დროიდან ამ ტიპის ოცზე მეტი სკოლა ფუნქციონირებდა. მათ არსებობას წყაროები პროვინციებშიც გვიდასტურებენ.

რიტორთა სკოლები, როგორც განათლების შემდეგი საფეხური, განკუთვნილი იყო რჩეული ახალგაზრდებისათვის, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ გრამატიკოსთა სკოლები ან შესაბამისი მომზადება კერძოდ ჰქონდათ მიღებული. აქ სწავლა, ჩვეულებრივ, სამ-ოთხ წელიწადს გრძელდებოდა. ახალგაზრდები ეუფლებოდნენ მჭევრმეტყველების ხელოვნებას. სასწავლო პროგრამა მოიცავდა ისტორიკოსების ნაწარმოებთა და ორატორთა სიტყვების, ასევე მჭევრმეტყველების თეორიის შესწავლას. სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ლიტერატურის გაღრმავებულ შესწავლას, ასევე პრაქტიკულ ვარჯიშს ორატორობაში. ახალგაზრდა სწავლობდა, თუ როგორ უნდა გამოეყენებინა სიტყვაში სენტენციები, რაიმე ამბავი, მითოლოგიური ინფორმაცია.

ვარჯიშის პირველ, საპასუხისმგებლო საფეხურს წარმოადგენდა ე. წ. ინსცენირებული დასაცავი ან საბრალდებო სიტყვა, რომელსაც მოსწავლე წარმოთქვამდა. გარდა ცოცხალი ცხოვრებისეული სიტყვებისა, აქ თანდათანობით სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს იჭერდა უკიდურესად ხელოვნური „კაზუსები". ა. მ., ერთი მათგანი ასე გამოიყურებოდა: დედა კარგავს საყვარელ ვაჟიშვილს. იგი მას ყოველ ღამით ეცხადება სიზმარში. ამის თაობაზე ქალი უამბობს თავის მეუღლეს. ქმარი მიმართავს შემლოცველს, რომელიც იმას მიაღწევს, რომ შვილი აღარ ევლინება დედას, რის გამოც ეს უკანასკნელი უჩივის ქმარს სასამართლოში. კიდევ ერთი ამგვარი „კაზუსი": ვიღაც შეაღწევს სასახლეში, რათა მოკლას ტირანი. აქ იგი მხოლოდ ტირანის ძეს აღმოაჩენს და გამოასალმებს მას სიცოცხლეს. ამის

შემტყობი ტირანი თავს იკლავს. მკვლელი თხოულობს ჯილდოს ტირანის მკვლელობისათვის. რამდენად გამართლებულია მისი მოთხოვნა.

მეორე საფეხური გულისხმობდა საჯარო მოკლე და შთამბეჭდავი სიტყვების წარმოთქმის ჩვევების გამომუშავებას. ამგვარი სიტყვებისათვის სულ სხვადასხვა თემებს არჩევდნენ.

მესამე საფეხურზე ხდებოდა რეალურ სასამართლოსთან მიახლოება. მაგალითები აქ რეალური ცხოვრებიდან შეირჩეოდა ხოლმე.

მეოთხე საფეხური მოიცავდა ვრცელი საზეიმო სიტყვების ფართო აუდიტორიის წინაშე წარმოთქმისათვის საჭირო სქემებისა და ხერხების შესწავლას. მისი მიზანი იყო მოსწავლეებში პოლიტიკური აზროვნების კულტურის გამომუშავება.

თითოეულ ზემოთ მოხსენებულ საფეხურზე უფრო წარმატებულად მიიჩნეოდა ის სიტყვები, რომლებიც მაქსიმალურად იყო გაჯერებული ძველი ავტორების ციტატებით, პათეტიკური შეძახილებით და ა. შ.

ამგვარი სკოლები რომის გარდა გახსნილი იყო მომცრო ქალაქებშიც. რაც შეეხება ფილოსოფიურ სკოლებს, რომაელები აქ არ ცდილობდნენ ბერძნებთან გატოლებას და ფილოსოფიური მომზადების მისაღებად რჩეული მოაზროვნეები ათენში მიემგზავრებოდნენ. სწორედ ამიტომ დომინირებდა ფილოსოფიის სფეროში მთელი ანტიკურობის განმავლობაში ბერძნული ენა.

ანტიკურ სამყაროში, განსაკუთრებით რომში, ისევე როგორც დღეს ჩვენში, საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება იყო სასწავლებლების, მასწავლებლების, სასწავლო პროგრამებისა და დიდაქტიკური მეთოდების მიმართ. იმის გამო, რომ ახალგაზრდის აღზრდაზე ძირითადი პასუხისმგებლობა ოჯახს ეკისრებოდა, სკოლებზე სახელმწიფოს თუ საზოგადოების ზრუნვა საკმაო ხნის განმავლობაში ერთობ მოკრძალებული იყო. სკოლები კერძო დაწესებულებად აღიქმებოდა და მასწავლებლებს სკოლის ფუნქციონირების ყველა ძირითადი ასპექტი ჰქონდათ მინდობილი. მხოლოდ ე. წ. კეისრების ეპოქიდან მოყოლებული, ელინისტური ეპოქის კომუნების მსგავსად, ცალკეულმა თემებმა რომის იმპერიაში იკისრეს სკოლებზე პასუხისმგებლობა. ეს გამოიხატა შეძლებული მოქალაქეების შენირულობებსა და მათ მიერ დაარსებულ სპეციალურ ფონდებში, რაც კომუნების მხრიდან სრულ მხარდაჭერასა და წახალისებას პოვებდა. ბუნებრივია, მასწავლებელთა შორის დიდი იყო განსხვავება კვალიფიკაციისა და ხარისხის თვალსაზრისით. ცალკეული კომუნის თუ დასახლების წარმომადგენლები ცდილობდნენ მოეწვიათ რაც შეიძლება ცნობილი და გამორჩეული მასწავლებლები. გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული ყურადღება მიექცა განათლების სისტემაში დაგეგმვის საკითხებს, კატეგორიების მიხედვით ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტს განესაზღვრა ამა თუ იმ საფეხურის სწავლებისათვის მასწავლებელთა მაქსიმალური რაოდენობა. ახ. წ. 301 წელს დიოკლეტიანუსის სპეციალური ედიქტით განისაზღვრა ხელფასთა ოდენობა მასწავლებელთათვის. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ელემენტარული სკოლის მასწავლებლები. მათ თითოეულ მოსწავლეზე 50 დენარიუსი ეძლეოდათ, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი თავს მოუყრიდნენ 30-მდე მოსწავლეს. გრამატიკოსებს თითოეულ მოსწავლეზე ყოველთვიურად 200, ხოლო რიტორთა სკოლის მასწავლებლებს 250 დენარიუსი ეძლეოდათ. თუკი გავითვალისწინებთ, რომ დენარიუსი დაახლოებით ერთნახევარი, ორი ლარის ეკვივალენტური იყო და რომ რომში 50 დენარიუსი ბევრად უფრო მცირე იყო, ვიდრე სახელმწიფო სამსახურში დაკავებული ნებისმიერი მოხელის ხელფასი, მაშინ ნათელი გახდება ელემენტარული სკოლის მასწავლებელთა ადგილი რომაულ საზოგადოებაში.

როგორც აღვნიშნეთ, ანტიკურ წყაროებში არსებულ საგანმანათლებლო სისტემისა და მასწავლებელთა მიმართ მძაფრად კრიტიკული დამოკიდებულება დასტურდება. განსაკუთრებით ელემენტარულ სკოლებში მასწავლებელს თავისი არაკომპეტენტურობის კომ-

პენსაცია ერთობ ხშირად მოსწავლეთა მიმართ გაროზგვის „მეთოდის“ გამოყენებით უხდებოდა, რამაც არაერთგზის პოვა ასახვა ანტიკურ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. როგორც ჩანს, მასწავლებლებს მძაფრი კონკურენციის პირობებში უხდებოდათ მუშაობა და მათ მოსწავლეთა შესაგროვებლად დიდი ძალისხმევა სჭირდებოდათ. მასწავლებლების თემა ხშირად ხდებოდა დაცინვის საგანი. ა. მ., მარციალისი თავის ერთ-ერთ ეპიგრამაში მასწავლებლის, ვინმე მუნას შესახებ გვაუწყებს: „თუმც კეისარს სამი მოსწავლე გამოსთხოვა, მუნა მიჩვეული იყო მხოლოდ ორის სწავლებას“. ხოლო ათენეოსი ამგვარ ანეკდოტს გადმოგვცემს: „როდესაც ერთ-ერთ მასწავლებელს ეკითხებოდნენ, რამდენი მოსწავლე ჰყავდა მას, იგი პასუხობდა: ღმერთთან ერთად თორმეტი“. ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა, რომ სკოლაში იდგა აპოლონის და მისი ამალის — ცხრა მუზის სკულპტურული გამოსახულებები და რომ სინამდვილეში მას მხოლოდ ორი მოსწავლე ჰყავდა. მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტიკურ საზოგადოებაში განათლებული ადამიანების რაოდენობა დიდი იყო, რაშიც სკოლას აშკარად თავისი წვლილი შეჰქონდა. სკოლებისათვის იწერებოდა სახელმძღვანელოები, მზადდებოდა ავტორთა სპეციალური სასწავლო გამოცემები. იქმნებოდა, განსაკუთრებით რომში, ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომები. ანტიკური განათლების სისტემა მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო მიჩნეული განათლების უმთავრეს მოდელად პოსტანტიკურ სამყაროში. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს „შვიდი თავისუფალი ხელოვნება“ (septem artes liberales), ანუ იმ დისციპლინების კანონი, რომელთა ათვისება აუცილებელი იყო განათლების მიღების მსურველი ადამიანისათვის ანტიკურ სამყაროში. ანტიკურობის მიწურულს რამდენიმე გვიანანტიკურმა ავტორმა (მარციანუს კაპელამ, კასიოდორუსმა, ისიდოროსმა) თავიანთ ენციკლოპედიებში „შვიდი თავისუფალი ხელოვნების“, როგორც ანტიკური განათლების სისტემის მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაცია გადასცეს შუა საუკუნეებს. ამ ტიპის განათლებას ბერძნები ἐγκύκλιος παιδεία-ს, რომაელები კი artes liberales-ს უწოდებდნენ. თავის მხრივ, „თავისუფალი ხელოვნებანი“ დისციპლინების ორ ჯგუფს მოიცავდა: გრამატიკას, რიტორიკასა და დიალექტიკას, რომელსაც trivium-ს („სამი გზა“ ანუ „სამი დარგი“) უწოდებდნენ და არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას, მუსიკას, რომელსაც ტერმინით quadrivium („ოთხი გზა“ ანუ „ოთხი დარგი“) აღნიშნავდნენ. ეს სისტემა შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დისციპლინების ახალ-ახალი კანონების ჩამოყალიბების საფუძვლად იქცა.

## ლიტერატურა


- DNP 2, 663-673, Bildung.
- DNP 4, 110-120, Erziehung.
- Г. Е. Жураковский, Очерки по истории античной педагогики, Москва 1963.
- M. L. Clarke, Higher Education in the Ancient World, London 1971.
- F. Kühnert, Allgemeinbildung und Fachbildung in der Antike, Berlin 1961.
- H.-I. Marrou, Geschichte der Erziehung im klassischen Altertum, R. Harder (Hrsg.), aus franz. übersetz. v. Ch. Beumann, Freiburg-München 1957.
- J. Christes, Gesellschaft, Staat und Schule in der griechisch-römischen Antike, in: H. Kloft (Hrsg.), Sozialmaßnahmen und Fürsorge, GB Suppl. 3, 1988, 55-74.
- J. Christes, Bildung und Gesellschaft, Darmstadt 1975.
- M. Lechner, Erziehung und Bildung in der griechisch-römischen Antike, München 1933.
- J. Latacz, Das Menschenbild Homers, in: Gymnasium 91, 1984, 15-39.
- W. Reichert, Erziehung-konzeptionen der griechischen Antike, 1993[2].
- H. Fuchs, Enkyklios Paideia, RAC 5, 365-398.

- M. P. Nilsson, Die hellenistische Schule, München 1955.
- S. F. Bonner, Education in Ancient Rome, London 1977.
- A. Gwynn, Roman Education from Cicero to Quintilian, Oxford 1926.
- H.-Th. Johann (Hrsg.), Erziehung und Bildung in der heidnischen und christlichen Antike, Darmstadt 1976.


## ქორწინება და ქორწილი

ქორწინება ძველ სამყაროში იყო შესაძლებლობა, ქალსა და კაცს თავიანთი ცოლ-ქმრული ურთიერთობისათვის მიეცათ ლეგიტიმური ხასიათი აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით. ძველ აღმოსავლეთში, სადაც პოტენციურად პოლიგამია, ხოლო პრაქტიკულად მონოგამია დომინირებდა, ქორწინება ოთხი ძირითადი გზით ხორციელდებოდა: 1. ერთი მხრივ, სიძისა და, მეორე მხრივ, საპატარძლოს მშობლებს შორის ხელშეკრულების დადებით; 2. ე. წ. საპატარძლო შესატანით (იგულისხმება ფული ან ქონება, რომელიც საპატარძლოს თავიდანვე აძლევდა ცოლის სტატუსს); 3. სიძის მიერ საპატარძლოს მოტაცებით; 4. შეთანხმებისამებრ: ან რიტუალის სრულად აღსრულებით, verba solemnia-თი ანუ საზეიმო ფრაზა-ფორმულით ან უშუალოდ სიძის მიერ საპატარძლოს სახლში მიყვანით. თუკი ქორწინება ხელშეკრულების საფუძველზე არ იყო განხორციელებული, საკმაოდ მარტივი იყო განქორწინების პროცედურა. ამისათვის საკმარისი იყო ქმრის ან ცოლის მიერ ფრაზა-ფორმულის წარმოთქმა: „შენ არ ხარ ჩემი ცოლი (ქმარი)". თუკი შეთანხმება ხელშეკრულებით იყო დადებული, მისი დარღვევის შემთხვევაში ქმარს ჯარიმის გადახდა უწევდა, ხოლო ცოლს მონად ქცევა ან სიკვდილიც კი ემუქრებოდა.

ანტიკურ სამყაროში ასევე მრავალფეროვანი იყო დაქორწინების შესაძლებლობები. უკვე ჰომეროსთან საკმაოდ ჩამოყალიბებულია ცნება „კანონიერი ცოლი". ა. მ., აგამემნონი ამბობს, რომ ქრისეისი არ ჩამოუვარდება მის კანონიერ მეუღლეს (κουριδίης ἀλόχου) კლიტემნესტრას არც სხეულის აგებულებით, არც გარეგნობითა და გონებით (ილ., 1, 115). ამასთან ერთად ჰომეროსი ერთგან აქილევსის, ხოლო სხვაგან ოდისევსის პირით აძლევს საინტერესო შეფასებას იდეალური ცოლ-ქმრული ცხოვრების მნიშვნელობას. ა. მ., ქრისეისის წართმევის გამო განაწყენებული აქილევსი ამბობს:

„ქველი ვაჟკაცი და გონიერი ყველა
თავის ცოლს უფრთხილდება და თავს ევლება" (ილ., 9, 341-2)

ხოლო ოდისევსი ნავსიკაას უსურვებს:

„კარგ ქმარს და სახლ-კარს და ცხოვრებას სიამტკბილობით.
მის უკეთესი არ იქნება ბედნიერება.
ცოლი და ქმარი რომ ცხოვრობენ ერთსულოვნად
მოყვრის საამოდ და მტრებისთვის გულგასახეთქად" (ოდ., 6, 182-5)

საინტერესოა ჰექტორის დამოკიდებულება ანდრომაქეს მიმართ. გამოსამშვიდობებელ სიტყვაში უმამაცესი ტროელი გმირი მეუღლეს ეუბნება:

„მაგრამ გულს მიკლავს ხვედრი უფრო არა ტროისა,
მშობელ პრიამეს, მხცოვან დედის, ჰეკაბეს ბედი,
საყვარელ ძმათა და მოყმეთა უმამაცესთა ...
არამედ შენი, მეუღლეო, მყოფადი შენი" (ილ., 6, 450-454)

ოდისევსმა კი უკვდავ ქალღმერთ კალიფსოს თავისი მოკვდავი ცოლი ამჯობინა:

„შენც კარგად იცი, პენელოპე არ დამისახავს
შენს უმჯობესად არცა სახით, არც ტანადობით.
ის მოკვდავია, შენ კი უკვდავი, უბერებელი,
მაგრამ ყოველდღე იმას ვნატრობ, მასზე ვოცნებობ“ (ოდ., 5, 216-219)

ჰომეროსი არაერთ მაგალითს გვთავაზობს როგორც საოცარი სიყვარულის, ასევე ავის მომტანი ცოლ-ქმრული ურთიერთობისა. სულთა სამეფოში ჩასული ოდისევსი ამბობს:

„ვნახე კლიმენე, მაიარა და ერიფილე,
ძვირფასი ქმარი რომ გაჰყიდა ოქროს გულისთვის“ (ოდ., 11, 326-327)

ჰადესში აგამემნონის სული ოდისევსს უყვება, თუ როგორ მოკლეს იგი საკუთარ სახლში მზაკვრულად ეგისთოსმა და კლიტემნესტრამ (ოდ., 11, 409-412).

საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ცოლის მოყვანის თემას ჰესიოდე. იგი აღიარებს, რომ კარგ ცოლზე უკეთესი არაფერია, და ასევე არაფერია ცუდ მეუღლეზე უარესი. მამაკაცს იგი ურჩევს ოცდაათი წლის ასაკამდე არ მოიყვანოს ცოლი.

საბერძნეთსა და ანტიკურ სამყაროში საერთოდ დომინირებდა მონოგამია, თუმცა უკვე ჰომეროსის პოეტურ სამყაროში ვხვდებით პოლიგამიის დაშვების შესაძლებლობასაც. მაგალითად გამოდგება პრიამოსის სიტყვა, სადაც იგი აღნიშნავს, თუ რამდენი შვილი ჰყავდა მას სხვადასხვა ცოლისაგან (ილ., 24, 495 შმდ.). თუკი საბერძნეთში გარკვეულ პერიოდამდე ექსოგამიური პრაქტიკა იყო გავრცელებული, ათენში პერიკლესის შემდეგ ეს გზა არსებითად დაიხშო, რადგან შემოვიდა ათენის მოქალაქეობის მიღების საკმაოდ მკაცრი კანონები. ისინი გულისხმობდნენ, რომ თუკი ქალი და კაცი არ იყვნენ ათენის მოქალაქეები, მაშინ ათენის სახელმწიფო არ ცნობდა კანონიერად მათ ცოლ-ქმრობას. ქორწინების ასაკი არ იყო მკაცრად განსაზღვრული. შეიძლებოდა ქალი თორმეტი ან თოთხმეტი წლიდან გათხოვილიყო, ხოლო კაცს უკვე ოცი წლის ასაკში ან უფრო ადრეც მოეყვანა ცოლი. მაგრამ ტრადიციის მიხედვით, ქალი, ჩვეულებრივ, ოცი წლის ასაკიდან თხოვდებოდა, ხოლო კაცს ოცდაათი წლის ასაკიდან მოჰყავდა ცოლი.

როგორც აღინიშნა, ძველ საბერძნეთში, ძირითადად, ქორწინება მონოგამიის პრინციპებს ეფუძნებოდა, თუმცა ზოგიერთი პიროვნება თავის თავს პოლიგამიის უფლებასაც აძლევდა. ქორწინების ფორმები სხვადასხვაგვარი შეიძლებოდა ყოფილიყო, რაზეც ბევრად იყო დამოკიდებული ის, თუ რამდენად ორგანულად ხდებოდა ქალის ინტეგრაცია ქმრის ოჯახში. საკმაოდ გავრცელებული იყო ე. წ. საქორწინო ხელშეკრულების ფორმა, რომელშიც, ჩვეულებრივ, ქორწინების ყველა დეტალი იყო განსაზღვრული, დაწყებული ქალის უფლებებითა და მემკვიდრეობის საკითხით, დამთავრებული აკრძალვებით, ა. მ., კაცს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სხვა ქალთან არ შეეძლო საქმის დაჭერა. საკმაოდ მწვავედ იდგა საბერძნეთში ინცესტის საკითხი, თუმცა სხვადასხვა პოლისში შეიძლებოდა რამდენადმე განსხვავებული შეფასება არსებულიყო იმისა, თუ რა ხასიათის სიახლოვე ჩაითვლებოდა ინცესტად.

ქორწინების სფეროში საკმაოდ არსებითი ცვლილებები მოხდა ელინისტურ ეპოქაში. უკვე თავად ის ფაქტი, რომ ალექსანდრე მაკედონელმა განიზრახა ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა, სრულიად ბუნებრივს ხდიდა ექსოგამიური პრინციპის მოქმედებას. ცნობილია, მაგალითად, რომ ალექსანდრე მაკედონელმა მოაწყო დიდი ქორწილი მაკედონელი კაცებისა სპარსელ ქალებთან, რათა მოეხსნა ექსოგამიური ქორწინებების აკრძალვა.

რამდენადაც რომში ქორწინება ადგილობრივ ტრადიციებთან იყო დაკავშირებული, იგი ბერძნულისაგან რამდენადმე განსხვავებული სახით წარმოგვიდგება. უკვე რომის ადრეულ საკანონმდებლო კრებულებში – დიგესტებში – შეტანილია სპეციალური თავი ქორწინების შესახებ. აქ მოცემულია მისი ამგვარი დეფინიცია: „ქორწინება არის შეკავშირება კაცისა და ქალისა, ერთობა (კონსორციუმი) მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცხოვრების ყველა

სფეროში და იგი მდგომარეობს ადამიანურსა და ღვთიურ სამართალში ერთობლივ მონაწილეობაში".

დროთა განმავლობაში, პრეტორებისა და პრინცეპსების მიერ გამოცემული ჩვეულებითი სამართლის კანონებისა და ედიქტების წყალობით, ქორწინება, როგორც ადამიანთა თანაცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა, სამართლებრივად იხვეწებოდა, განსაკუთრებით ქონების განკარგვისა და მემკვიდრეობის სფეროში. ავგუსტუსის ეპოქაში სპეციალური კანონებით მოხდა ქორწინების პროცედურებში გარკვეული რეგლამენტაცია. ა. მ., სრულუფლებიანად არ ცნობდნენ ქორწინებას, ერთი მხრივ, სენატორსა და მისი მემკვიდრის, ხოლო, მეორე მხრივ, მონობისაგან გათავისუფლებულ პირებს, მსახიობებს, მსახიობების შვილებს, ასევე დაბადებით თავისუფალ მოქალაქეებსა და როსკიპებს, მაჭანკლებს, საქორწინო ფიცის გამტეხებს ან საჯაროდ ჯარიმით დასჯილ ქალებს შორის. სეპტიმიუს სევერუსის პერიოდში მოქმედებდა კანონი, რომლის თანახმადაც, სამსახურის გარკვეულ საფეხურამდე ჯარისკაცებს არ შეეძლოთ დაქორწინებულიყვნენ ოფიციალურად ანუ მათი ქორწინება აღიარებული ყოფილიყო. კანონი არეგულირებდა იმასაც, თუ ნათესაობის რა ხარისხის შემთხვევაში არ შეიძლებოდა კაცისა და ქალის ქორწინება. ა. მ., ავგუსტუსის დროს განისაზღვრა ის, რომ ქორწინება ქალსა და კაცს შორის ნათესაობის მეექვსე ხარისხის ჩათვლით იყო აკრძალული. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ეს შეზღუდვა ორი ხარისხით შემცირდა და ოთხამდე დავიდა. ქორწინება ქალებისათვის თორმეტი წლიდან იყო დასაშვები, თუმცა მეტწილად ქალები ოცი წლის ასაკში თხოვდებოდნენ, ხოლო კაცები ოცდაათი წლის ასაკში ირთავდნენ ცოლს.

ქორწინების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და იურიდიულად მყარი ფორმა ძვ. წ. I საუკუნემდე იყო ის, რომელიც manus-ის („ხელი") რიტუალს ეფუძნებოდა. ეს, ფაქტობრივად, გულისხმობდა ქალის მთლიანად ვაჟის ოჯახის გამგებლობაში გადაცემას. ამ შემთხვევაში ცოლი ხდებოდა ქმრის ოჯახის წევრი და სხვებთან ერთად ექვემდებარებოდა ოჯახის მამას. მას წილი ჰქონდა ოჯახის ქონებაში და მას განიხილავდნენ ოჯახის უფროსები როგორც თავისი შვილის სისხლით ნათესავს. ამ შემთხვევაში ქალს იგივე უფლებები ჰქონდა ოჯახის მემკვიდრეობასთან მიმართებაში, რაც pater familias-ის ქალიშვილს. თუკი ქალი manus-ით არ იყო შეკავშირებული ქმართან, იგი რჩებოდა თავისი ოჯახის სამართლებრივ ველში. რაც შეეხება ქმრის ოჯახთან კავშირის უფლებრივ და ქონებრივ ასპექტებს, ისინი განიხილებოდნენ მხოლოდ შესაბამისი ანდერძის არსებობის შემთხვევაში.

არასრულუფლებიან, მაგრამ ნაწილობრივ აღიარებულ ქორწინებად მიიჩნეოდა სამართლებრივად არასრულყოფილი ქორწინება. ა. მ., თუკი სხვადასხვა სამართლებრივი სტატუსის მქონე ქალსა და კაცს სტაბილური სექსუალური ურთიერთობა აკავშირებდა ან, თუკი პარტნიორთაგან ერთი ან ორივე მონები იყვნენ, ამ შემთხვევაში მათ შორის ქორწინება დაშვებული იყო, მაგრამ მათი შვილები არალეგიტიმურად მიიჩნეოდნენ.

გაშორება და ახალი ცოლის შერთვა რომში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, მით უმეტეს, რომ დროთა განმავლობაში ქორწინების manus-ის ფორმა „დათრგუნა" თავისუფალმა, არა იძულებით ქორწინებამ. განქორწინებას როგორც საბერძნეთში, ასევე რომში არეგულირებდა კანონმდებლობა. თუკი ქალის მხრიდან ეჭნებოდა ღალატს ადგილი, მაშინ განაჩენი საკმაოდ მკაცრი შეიძლებოდა ყოფილიყო. საბერძნეთის ზოგიერთ პოლისში ასეთ შემთხვევაში ქალს სიკვდილითაც კი სჯიდნენ. სხვისი ცოლის შემცდენელი კაცის მიმართაც ჯარიმის სხვადასხვა ფორმები არსებობდა. ა. მ., არისტოფანეს თუ დავუჯერებთ, ერთ-ერთ ამგვარ სასჯელს გავაზე ბოლოკის დარჭობა წარმოადგენდა. რამდენადმე განსხვავებული ვითარება იყო სპარტაში, სადაც ქალს გარკვეულ პირობებში, ქმართან შეთანხმებით, შეეძლო სხვა კაცთან ჰქონოდა სექსუალური ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთში ღალატის ფაქტები არ რჩებოდა რეაგირების გარეშე და ამისათვის ადამიანი შეიძლებოდა საკმაოდ მკაცრად დასჯილიყო, როგორც ჩანს, ეს საფრთხე მაინცდამაინც

დიდ დაბრკოლებას არ უქმნიდა არც კაცებს და არც ქალებს. ის, თუ რამდენად თავაშვებული ყოფაქცევის შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ატიკელი ქალები, წარმოდგენილია არისტოფანეს კომედიებში. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ „თესმოფორიაძუსები", სადაც ევრიპიდე ქალებს სწორედ მათი შეცოდებების გამხელით აშინებს. და მაინც ქალს, თუ არ ჩავთვლით ჰეტერებს, უფლებრივად აშკარად დაქვემდებარებული მდგომარეობა ჰქონდა. ამ მხრივ საინტერესოა ევრიპიდეს „მედეა", სადაც მთავარი გმირი ყველა ქალის სახით გამოხატავს ამის გამო პროტესტს.

ქორწინება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქორწილის რიტუალთან. საბერძნეთშიც და რომშიც ქორწილისათვის ტრადიციულად წლის ყველაზე უფრო ხელსაყრელ დროს ირჩევდნენ. საბერძნეთში ეს იყო გამელეონის თვე. ქორწილი განიხილებოდა როგორც რელიგიური დღესასწაული. სწორედ ამიტომ იგი გარკვეულ რიტუალთან იყო დაკავშირებული, რომელიც საბერძნეთში რამდენსამე დღეს გრძელდებოდა. ქორწინების წინა საღამოს ტარდებოდა მოსამზადებელი რიტუალები, რომლებიც განწმენდის ფუნქციას ატარებდნენ. საპატარძლოს სახლში აღევლინებოდა ვედრება და ქორწინების მფარველ ღმერთებს, განსაკუთრებით ზევსს, ჰერას, არტემისს, აპოლონს, პეითოს მსხვერპლს სწირავდნენ. ქალი თავის სათამაშოებს, პირად ნივთებსა და თმის კულულებს სწირავდა არტემისს, ზოგან — აფროდიტეს, ნიმფებს, ადგილობრივ გმირ ქალებს. ეს იყო სწრაფვა ქალწულობის მფარველი არტემისის რისხვის აცილებისაკენ. ქალი და ვაჟი განიბანებოდნენ საკულტო აბაზანაში. ქორწილის დღეს ქალის მამის სახლში იმართებოდა მსხვერპლშეწირვა და საზეიმო ნადიმის რიტუალი. ქალს სახეზე პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული, ხოლო თავზე გვირგვინი ედგა. სათანადოდ ჩაცმული პატარა ბიჭი, რომელსაც ორივე მშობელი ცოცხალი უნდა ჰყოლოდა, პურს ურიგებდა სტუმრებს კალათიდან და ამასთან წარმოთქვამდა ფრაზა-ფორმულას: „გავექეცი ავს, ვიპოვე უკეთესი". ნადიმის ბოლოს ქალს პირბადეს ხსნიდნენ და იგი სიძისაგან იღებდა საჩუქრებს. საღამოს ქალი კაცის სახლში მიჰყავდათ. პატარძალი ურემსა თუ ეტლზე სპეციალურად მისთვის გამოყოფილ ადგილას ჯდებოდა, თუმცა ზოგი ქალი ფეხითაც კი შეიძლებოდა წასულიყო. ქალის დედას მიჰქონდა წინ ჩირაღდანი და ამ დროს გაისმოდა ომახიანი ჰიმენაიოსი — საქორწინო სიმღერა. სოლონის კანონების შემდეგ დადგინდა, რომ ქალს ქმრის სახლში შესვლისას თან უნდა მიეტანა საოჯახო ნივთები. აქ ქალს ესალმებოდნენ და ბედნიერ მისვლას უსურვებდნენ კაცის მშობლები. სიძე კი ქალს სპეციალურ ნამცხვარს მიუტანდა, რომელსაც თვითონვე ანაწილებდა შემდეგ. აქვე სიძე პატარძალს გადაცემდა კომშს ან ფინიკს — ნაყოფიერების სიმბოლოს. ქალი გარს უვლიდა ახალ კერიას, რასაც ჰქონდა როგორც განწმენდის, ასევე მაგიური ფუნქცია. ამგვარად იგი უკვე მიღებული იყო ქმრის ოჯახში. შემდგომ ქალს აყრიდნენ კაკალსა და ლეღვის ჩირს; რასაკვირველია, რიტუალის მუდმივი კომპონენტი იყო ყვავილები და მის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენდა ქოთნის გატეხვა. ამას მოჰყვებოდა წყვილის შესვლა ოთახში, სადაც საქორწინო სარეცელი იყო განთავსებული და რომელსაც მთელი პირველი ღამის განმავლობაში იცავდნენ, რათა ავი თვალი არ სცემოდა პატარძალს. ადვილი წარმოსადგენია, ამ ღამის განმავლობაში რამდენი უწმაწური ხუმრობა თუ სიმღერა გაისმოდა მექორწინეთა „გასამხნევებლად". დილით ახალი მსხვერპლშეწირვა და საქორწინო ნადიმი იმართებოდა. წყვილი იღებდა საჩუქრებს ნათესავებისა და მეგობრებისაგან. ქორწილი სრულდებოდა ფრატრიის ნუსხაში ქორწინების თაობაზე ჩანაწერის შეტანით. რასაკვირველია, ეს რიტუალი სხვადასხვა დამატებითი თავისებურებით ხასიათდებოდა. ა. მ., სპარტაში პატარძალს თავს პარსავდნენ, კაცის ტანსაცმელს აცმევდნენ და უშვებდნენ სიძესთან, რომელიც მას სიბნელეში უცდიდა სარეცელზე. როგორც აღინიშნა, ქორწინება რელიგიური აქტი იყო და, შესაბამისად, მასთან დაკავშირებულ რიტუალის ყველა დეტალს თავისი დატვირთვა ჰქონდა.

რამდენადმე განსხვავებული იყო ქორწინების რიტუალი რომში. მას, როგორც წესი, წინ უძღოდა ნიშნობის პერიოდი. სიძე აძლევდა პატარძალს „ჯიბის ფულს“ ან ბეჭედს, რომელსაც ქალი მარცხენა ხელის არათითზე იკეთებდა. საკმაოდ ფრთხილად არჩევდნენ ქორწილის დღეს, რადგან ტრადიციის მიხედვით, ესა თუ ის დღე შეიძლებოდა ხელსაყრელი არ ყოფილიყო ქორწინებისათვის. ქორწილი არ უნდა დამთხვეოდა სადღესასწაულო დღეებს. ქორწილის წინა დღეს პატარძალი იხდიდა ტანსაცმელს და სათამაშოებთან ერთად მსხვერპლად სწირავდა ღმერთებს. თავად იმოსებოდა გრძელი თეთრი ტუნიკით, რომელიც მას მთელი ღამისა და ქორწილის განმავლობაში ეცვა. ტუნიკა შეკრული იყო ქამრით, რომლის განასკვაც „ქამრის შემკვრელი იუნოს“ ფუნქცია იყო. ამ შემთხვევაში პატარძლის მფარველ ქალღმერთს, იუნოს ქალის დედა წარმოადგენდა ხოლმე. იმ მახვილით, რომლითაც მტერი იქნა განგმირული, კულულებად ნაწილდებოდა პატარძლის თმა და მატყლის ხვეულებთან ინახებოდა. საკუთრივ საქორწინო დღესასწაული ნათესავებისა და მეგობრების თანდასწრებით იწყებოდა ქორწილის დღეს დილით პატარძლის სახლში წინასწარმეტყველებით ან შიგნეულზე მკითხაობით.

ხელსაყრელი წინასწარმეტყველების შემთხვევაში ხდებოდა მსხვერპლის შეწირვა. ვედრებას აღავლენდნენ იუნოს, ტელუსის, კერესის და, ალბათ, პილუმნუსისა და პიკუმნუსის — შეკავშირებისა და შეერთების ღმერთების მიმართ. კიდევ რამდენიმე რიტუალური ელემენტის შესრულებისა და კეთილი სურვილების მოსმენის შემდეგ იწყებოდა ლხინი. ღამის დადგომასთან ერთად პატარძალს აშორებდნენ დედას და იგი სიძის სახლისაკენ მიჰყავდათ. ჩირაღდნებით ანათებდნენ მთელ გზას. პატარძლის ერთი სახლიდან მეორეში გადაყვანის შემდეგ ქორწილის სტუმრები ცდილობდნენ „გაეტაცებინათ“ ჩირაღდნები. სრულდებოდა ავის თავიდან აცილების რიტუალი. სიძეს წინ უძღოდა სამი ბიჭი, რომელთაც ორივე მშობელი ცოცხალი უნდა ჰყოლოდათ. ისმოდა ტრადიციის მიერ შემონახული შეძახილი „თალასე“ ან „თალასიო“, რომლის მნიშვნელობაც გაურკვეველი იყო თავად რომაელებისთვისაც. სიძის სახლთან პატარძალი აპრიალებდა წირთხლს და მას მატყლს ახვევდა. სიძე სახლში პატარძალს წყლითა და ცეცხლით იღებდა ანუ უფლებამოსილს ხდიდა, სახლის კულტში მიეღო მონაწილეობა. ქალს თან სამი მონეტა ჰქონდა. ერთს სიძეს აძლევდა, მეორეს კერიაში დებდა, ხოლო მესამეს იქ ყველაზე ახლოს მდებარე გზაჯვარედინთან ტოვებდა ლარებისათვის ანუ სახლის, გზაჯვარედინებისა და ყანების მფარველი ღმერთებისათვის. შემდეგ პატარძალს სვამდნენ ხისგან დამზადებულ fascinum-ზე („ფალოსის მოდელი“), ხოლო შემდეგ კი მიჰყავდათ ატრიუმში განთავსებულ საქორწინო სარეკელთან. მეორე დღეს წყვილს ნათესავები და მეგობრები ეწვეოდნენ ხოლმე და საჩუქრებს უძღვნიდნენ. რიტუალი სრულდებოდა ახალი მსხვერპლშეწირვითა და სალხინო სუფრით.

## ლიტერატურა


- RE VIII, 2, 2129-2133, Hochzeit.
- DNP 3, 893-899, Ehe.
- DNP 3, 901-902, Ehrenverträge.
- DNP 5, 649-556, Hochzeitsbräuche und Hochzeitsritual.
- T. Gergen, Die Ehe in der Antike, 1995.
- W. Burkert, Homo necans, Berlin 1972.
- I. H. Oukley, R. H. Sinos, The Wedding in Ancient Athens, Madison 1993.

ადამიანებს, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებებისა, ერთი საერთო თვისება აქვთ: სიცოცხლის დასრულება სიკვდილით. რა არის სიკვდილი და როგორ უნდა მოექცე ადამიანის სხეულს გარდაცვალების შემდეგ? სხვადასხვა ეპოქებსა და ცივილიზაციებში მიცვალებულისა და სიკვდილის მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულება ჰქონდათ.

ანტიკურ სამყაროში ტრადიციული, მისტერიალური და ფილოსოფიური რელიგიების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად ითვლებოდა, ადამიანები გაეთავისუფლებინათ სიკვდილის წინაშე შიშისაგან. ეს ერთ შემთხვევაში ხდებოდა რწმენის ჩანერგვით, რომ მოკვდავი მხოლოდ სხეულია, ხოლო მისგან გათავისუფლებული სული აგრძელებს არსებობას. სხვანი ცდილობდნენ მისტერიალური რიტუალების საშუალებით ადამიანებისათვის ეჩვენებინათ, რომ არსებობს ღვთაებრივი ძალა და ამქვეყნიური არსებობის დასრულება არ ნიშნავს ყველაფრის დამთავრებას, სული უერთდება მარადიულობას და შემდეგ შეიძლება კვლავ ჩასახლდეს ახალი ცოცხალი არსების სხეულში.

არ იყო აზრთა ერთიანობა იმის თაობაზე, თუ რა ხდება სიკვდილის შემდეგ. ჰომეროსი, რომელიც, ამ მხრივ, აშკარად პესიმისტურად არის განწყობილი, აქილევსის სულს ათქმევინებს, რომ მას ურჩევნია სააქაოში ღარიბი კაცის მოჯამაგირე იყოს, ვიდრე საიქიოში ყველა სულზე იმეფოს. საკმაოდ პესიმისტურად არის განწყობილი ადამიანის ბედის მიმართ არქაიკის ეპოქის ზოგიერთი პოეტი, რომელიც ადამიანის გაჩენასა და ხანმოკლე, უბედურებებით აღსავსე სიცოცხლეში ვერაფერ საიმედოს ვერ ხედავს. საინტერესოა, რომ თავად სოკრატეც კი, რომელიც, პლატონის დიალოგების მიხედვით, სულის უკვდავებისა და გადასახლების იდეის მომხრე იყო, სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, სიკვდილის წინ პირისპირ დარჩენილი, ვერ ახერხებს იმის გადაჭრით თქმას, სიკვდილი სხვა სულებთან შეერთებაა, თუ მსგავსია უსიზმრო ძილისა, როდესაც ადამიანი ვერაფერს ვეღარ გრძნობს. მისი ბოლო სიტყვები პლატონისეულ „სოკრატეს აპოლოგიაში" სასამართლოზე დამსწრეთა მიმართ ამ ორჭოფობის გამომხატველია: „ახლა კი წასვლის დროა, ჩემთვის სასიკვდილოდ, თქვენთვის კი სიცოცხლის გასაგრძელებლად. მაგრამ ჩვენ შორის ვინ ეწევა უკეთეს საქმეს, ეს უცნობია ყველასათვის გარდა ღმერთისა". ამგვარი განწყობა არის გადმოცემული ევრიპიდეს ერთ-ერთ ფრაგმენტშიც: „ვინ იცის, არის თუ არა სიცოცხლე სიკვდილი, ხოლო სიკვდილი — სიცოცხლე". როგორც ფილოსოფიისადმი მიძღვნილ თავში აღვნიშნეთ, ალბათ, პრობლემის ერთ-ერთი საუკეთესო ფილოსოფიური გადაწყვეტა ეპიკურემ შემოგვთავაზა: „სიკვდილი – უბედურებათაგან ყველაზე საშინელი – ჩვენ არაფრით არ გვეხება, რადგან, როდესაც ჩვენ ვარსებობთ, სიკვდილი არ არის ჩვენთან, მაგრამ როდესაც სიკვდილი არის ჩვენთან, მაშინ ჩვენ აღარ ვარსებობთ".

მიკენური ეპოქიდან მოყოლებული ანტიკურ სამყაროში დაკრძალვის რიტუალი არაერთგზის შეიცვალა. მიკენურ ეპოქაში, ჰომეროსის მიერ აღწერილი დაკრძალვის რიტუალებისაგან განსხვავებით, ცხედარს არ წვავდნენ, არამედ მას მიწას აბარებდნენ. იმის მიხედვით, თუ ვინ იყო მიცვალებული ან მისი ჭირისუფალი, ცხედარი შეიძლებოდა უშუალოდ მიწისათვის მიებარებინათ ან სპეციალურად აგებულ სამარხში დაეკრძალათ. მიკენურ საბერძნეთში ამგვარ სამარხთა, სულ ცოტა, ორი ტიპი იყო: უფრო ადრეული მაღაროვანი სამარხები, რომლებიც, როგორც ჩანს, ძვ. წ. XV საუკუნემდე არსებობდა და გუმბათოვანი სამარხები, რომელთა აგება, ყველაზე გვიან, ძვ. წ. XIV საუკუნიდან იწყება. პირველი ტიპის ყველაზე ცნობილი სამარხია ე. წ. A-წრე მიკენის აკროპოლისის გალავნის შიგნით. მან სახელი გაითქვა იქ აღმოჩენილი ბრწყინვალე ოქროს ნივთებით. ხოლო მეორე ტიპის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია ე. წ. ატრევსის გუმბათოვანი სამარხი მიკენის აკროპოლისის გალავნის გარეთ, რომელიც დღესაც გვაოცებს ნაგებობის საინჟინრო გადაწყვეტის ოსტატობით. დიდი ხნის განმავლობაში დარწმუნებულები ვიყავით, რომ ამ ეპოქაში

ცხედრის დაწვა გამორიცხული იყო, თუმცა უახლესმა გათხრებმა ეგეიდაში, განსაკუთრებით ტროადაში, მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ გმირთა ეპოქის ეგეიდისათვის კრემაცია არ უნდა ყოფილიყო უცხო მოვლენა.

ჰომეროსი იმდენად სრულად აგვიწერს დაკრძალვის სცენებს, რომ საკვლევით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმ რიტუალის ტიპური ელემენტები, რომლებმაც მის პოემებში პოვა ასახვა: 1. გვამის მრავალდღიანი მომზადება დასაკრძალავად, რასაც თან ახლავს დატირება, მათ შორის „პროფესიონალი" დამტირებლების მხრიდან; 2. პროცესიის თანხლებით გვამის საკაცეთი გადატანა სპეციალურად აღმართულ ტაგრუცთან, სადაც დატირება გრძელდება და მოჭრილი თმის ბლუჯის შეწირვა ხდება; 3. გვამის დაწვა, რასაც თან ახლავს ცხოველთა, თაფლისა და ზეთის, ასევე პიროვნების ნივთების (მებრძოლთა შემთხვევაში ცხენების და იარაღის) შეწირვა. დაკრძალვას ზოგჯერ თან ახლდა სპორტული აგონები და ქელეხი. დაწვის შემდეგ გვამის ფერფლი და ნარჩენები სპეციალურ ჭურჭელში გროვდებოდა, მასზე ან უბრალოდ დამწვარი გვამის ნარჩენებზე აღიმართებოდა საფლავის ბორცვი.

მიცვალებულის დაკრძალვა აუცილებელი იყო, რადგან ამ რიტუალის გარეშე გარდაცვლილის სული ვერ აღწევდა ჰადესს. „ილიადაში" აღწერილია, თუ როგორ სთხოვს პატროკლოსის სული აქილევსს დაკრძალვას, ხოლო „ოდისეაში" ელპენორისა — ლაერტესის ძეს.

დროთა განმავლობაში ბერძნულენოვან სამყაროში დაკრძალვის რიტუალი უფრო ლაკონური და ნაკლებ პომპეზური გახდა. ა. მ., კლასიკურ ათენში სამგლოვიარო სახლში გვამის მომზადება და გლოვა სულ ერთ დღეს გრძელდებოდა. სამგლოვიარო პროცესიაში მხოლოდ ნათესავები და მიცვალებულის მეგობარი მამაკაცები მონაწილეობდნენ. ქალებს, თუკი ისინი ახლობლები არ იყვნენ, მხოლოდ გარკვეული ასაკის შემდეგ (60 წელს გადაცილებულთ) ჰქონდათ პროცესიაში მონაწილეობის უფლება. საფლავთან შესანირად მიჰქონდათ საჭმელი და სასმელი, საცხებლები სპეციალური ფორმის, ძირითადად, მიცვალებულთა კულტთან დაკავშირებული ჭურჭლით — ლეკითოსებით ან სხვა კერამიკული ნაწარმით.

განსაკუთრებული იყო ბრძოლაში დაცემულთა დაკრძალვის რიტუალი. მეტწილად მათ ბრძოლის ადგილას კრძალავდნენ. სპარტელებს მხოლოდ მეფეთა შემთხვევაში, რომელნიც თავიანთი პოლისის ფარგლებს გარეთ იღუპებოდნენ, წესად ჰქონდათ ცხედრის მშობლიურ ქალაქში გადმოსვენება. ძვ. ნ. V საუკუნის მეორე მეოთხედიდან მოყოლებული ათენში შემოიღეს მებრძოლთა დაცემის ადგილას კრემაციის შემდეგ მათი დაკრძალვა ე. წ. საერთო საფლავში (δημόσιον σῆμα), რომელიც დიპილონის კარიბჭის წინ იყო განთავსებული. საჯარო დაკრძალვის პრაქტიკა დამკვიდრდა განსაკუთრებით ღვაწლმოსილი ადამიანების შემთხვევაშიც.

გარდა გლოვისა და დატირებისა, რომელიც ლიტერატურულ-პოეტურ ფორმაში — თრენებში გადაიზარდა, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ეპიტაფიები, „სიტყვა საფლავთან", რომელიც შეიძლებოდა რეალიზებული ყოფილიყო ეპიგრამის, საფლავზე წარწერისა და საფლავთან წარმოთქმული სიტყვის სახით. ამ ორივე ფორმის ნიმუშებს გვთავაზობს ბრნყინვალე ეპიგრამატული პოეზია და გარდაცვლილთა სადიდებლად წარმოთქმული მჭევრმეტყველთა თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა სიტყვები, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს.

იტალიაში ძველთაგანვე გვხვდებოდა დაკრძალვის ორივე ფორმა: მიწაში დამარხვა და კრემაცია. ეტრუსკებში განსაკუთრებით ძლიერი იყო რწმენა გარდაცვალების შემდეგ არსებობის გაგრძელებისა. ამიტომაც ასე უხვად არის გამოსახული ეტრუსკული სამარხების კედლებზე ლხინისა და ცეკვა-თამაშის სცენები. რასაკვირველია, რომში დაკრძალვის რიტუალს ბევრად განსაზღვრავდა ის, თუ ვინ იყო გარდაცვლილი. ულარიბესთათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო უსახელო დაკრძალვა საერთო სასაფლაოებში. კეისრებისა და უმაღლესი მოხელეების დაკრძალვას გამორჩეულად პომპეზური ხასიათი ჰქონდა. ავგუს-

ტუსის ეპოქიდან მოყოლებული პრინცეპსებისა და მათი ოჯახების წევრების გარდაცვალება სახელმწიფო გლოვის გამოცხადებით აღინიშნებოდა. დაკრძალვის სრულყოფილი რიტუალი სამ ეტაპს შეიცავდა: ა) პიროვნების გარდაცვალებისთანავე ახლობლები უბედურებას მისი სახელის მრავალგზის წამოძახებით გამოხატავდნენ. შემდეგ გვამს განბანდნენ და ნელსაცხებლებს წაუსვამდნენ, შესაბამისად შემოსავდნენ და მიცვალებულის სარეცელზე დაასვენებდნენ ისე, რომ ცხედარს ფეხები კარებისაკენ ჰქონოდა. სარეცელს რთავდნენ ყვავილებით, ჩირაღდნებით. ახლობლების დატირებას ცალკეულ შემთხვევაში „მოწვეულ" მოტირალ ქალთა გუნდი და ფლეიტაზე დამკვრელებიც უერთდებოდნენ; ბ) გამორჩეული ადამიანის დაკრძალვა პროცესიის თანხლებით ხდებოდა, რომელშიც იყვნენ მუსიკოსები, ჩირაღდნების მატარებელნი, დამტირებელი ქალები, ცხედრის მტარებელნი და ახლობლები. მაღალი მოხელეების შემთხვევაში ცხედარს ფორუმთან დაასვენებდნენ და აქ წარმოითქმოდა გამოსათხოვარი სიტყვები. კეისრების შემთხვევაში რიტუალის ეს ნაწილი განსაკუთრებული ბრწყინვალებით გამოირჩეოდა; გ) ცხედარს წვავდნენ ქალაქის ფარგლებს გარეთ. ცეცხლის ანთებას თან ახლდა სამგლოვიარო შეძახილები. შემდეგ ფერფლი გროვდებოდა და სპეციალური ურნით საოჯახო საფლავში ან შესაბამის ადგილას განთავსდებოდა ხოლმე. ამას თან ახლდა ქელეხი და ზოგჯერ მიცვალებულის პატივსაცემად გამართული თამაშებიც (ჩვეულებრივ, მეცხრე დღეს).

ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ დაკრძალვის რიტუალში რამდენიმე ცვლილება შევიდა: დატირება შეცვალა ფსალმუნთა გალობამ, შესაწირი განისაზღვრა მხოლოდ ზეთით და ა. შ.

ანტიკურ სამყაროში მმართველთა ან გმირთა კულტის დაწესებას ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა. ძველი აღმოსავლეთის გავლენით, ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული, მმართველთა გაღმერთება ანუ აპოთეოზი ჯერ გარდაცვალების შემდეგ, ხოლო მოგვიანებით უკვე სიცოცხლეშივე საკმაოდ გავრცელებულ მოვლენად იქცა. ამ ტენდენციამ, ბუნებრივია, ასახვა პოვა მმართველთა დიდებული სამარხების აგებაშიც. განსაკუთრებით ცნობილია მცირე აზიის დასავლეთით, კარიის ქალაქ ჰალიკარნასოსში სპარსეთის სატრაპის, მავსოლოსის (ძვ. წ. 377-353) ცნობილი სამარხი, რომელიც იმდენად გრანდიოზული და არქიტექტურულად სრულქმნილი ყოფილა, რომ უკვე ანტიკურობაში იგი მსოფლიოს შვიდი საოცრების ნუსხაში შეიტანეს. ტერმინი *მავსოლეუმი* მონუმენტური განსასვენებელი ნაგებობების ზოგად აღმნიშვნელად იქცა. რომაულ ეპოქაში გამოირჩეოდა ავგუსტუსის განსასვენებელი, განსაკუთრებით კი — ჰადრიანუსის ახ. წ. 135-139 წლებს შორის აგებული მავსოლეუმი, რომელმაც დღემდე მოაღწია სანტ'ანჯელო-ს („წმინდა ანგელოზის") სახელწოდებით.

## ლიტერატურა


- RE III, 1, 331-359, Bestattung.
- DNP 2, 587-592, Bestattung.
- E. Reiner, Die rituelle Totenklage der Griechen, Stuttgart, Berlin 1938.
- M. Alexiou, The Ritual Lament in Greek Tradition, Cambridge 1974.
- I. Morris, Death-Ritual and Social Structure in Classical Antiquity, Cambridge 1992.
- J. M. C. Toynbee, Death and Burial in the Roman World, Cambridge 1971.

ანტიკური სამყაროსათვის ომები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. როგორც უკვე აღინიშნა, აღზრდის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას მებრძოლის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში იხვეწებოდა ბრძოლის ტაქტიკა, საომარი ტექნიკა. ჩვენს საუკუნეში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება მეცნიერული აზრის სამხედრო ამოცანების სამსახურში ჩაყენება. ტექნიკა ძალზე სწრაფად ვითარდება და ომების ბედს წყვეტს არა იმდენად მებრძოლთა სიმამაცე, რამდენადაც უპირატესობა ტექნიკაში. რაოდენ მასშტაბური და მძლავრი არ უნდა ყოფილიყო მეორე მსოფლიო ომში გამოყენებული საბრძოლო მანქანები, იარაღი, ყველასათვის ნათელია, რომ დღევანდელ იარაღსა და თანამედროვე არმიებს მათთან დიდი უპირატესობა აქვთ. ვერ ვიტყვით, რომ ძველ სამყაროში საომარი ხელოვნებისა და საშუალებების განვითარება ასეთივე ტემპებით მიმდინარეობდა. საუკუნეების განმავლობაში, თუკი ცალკეულ ცვლილებას არ გავითვალისწინებთ, ბრძოლის ტაქტიკასა და საომარი ტექნიკის სრულყოფის საქმეში პროგრესი არ იყო განსაკუთრებით საგრძნობი. უფრო მეტიც, ზოგიერთი მეცნიერი არ გამორიცხავს, რომ მინოსურ ცივილიზაციას სამხედრო ტექნიკაში ზოგიერთი ისეთი საშუალება გააჩნდა, რაც შემდეგ ანტიკურმა სამყარომ მხოლოდ მითებსა და ლეგენდებში არეკლა. ყურადღებას იპყრობს ის, რომ მინოსურ კრეტაზე სასიმაგრო ნაგებობები არ დასტურდება და არც ანტაგონიზმისა და ბრძოლების შედეგად ნგრევის კვალი არ ჩანს აქ. არ გამორიცხავენ, რომ ეს შეიძლება კუნძულზე თავდაცვის ჩვენთვის უცნობი საშუალებების გამოყენებაზე მიუთითებდეს. გარდა ძლიერი და მოქნილი ფლოტისა, შესაძლოა, მინოსელები იყენებდნენ სისტემებს, რომლებმაც თავიანთი კვალი დედალოსის საინჟინრო მიღწევების, საფრენი საშუალებებისა და კუნძულის რკინის დამცველის, ტალოსის შესახებ ბერძნულ მითოლოგიურ ცნობებში დატოვეს. დღესაც გაოცებას იწვევს ასევე მიკენური ეპოქის სასიმაგრო ნაგებობების მასიურობა და სიმყარე კონტინენტურ საბერძნეთში, რაც საკმაოდ კარგად ჩანს მიკენში. ტროაში ჩატარებული გათხრები იმას გვიდასტურებს, რომ იმ ეპოქის ქალაქებს შეეძლოთ მტრის მრავალწლიანი ალყისათვის გაეძლოთ. მათი აღება მხოლოდ საბრძოლო ხერხის, თუ ეშმაკობის (მაგალითად, ტროას ცხენი), საკვები წყაროს მოსპობის, ეპიდემიის ან ღალატის შედეგად ხდებოდა შესაძლებელი. გმირთა ეპოქაში ომების წარმოებისას საკმაოდ დიდი იყო საბრძოლო ეტლების ხვედრითი წონა, რასაც გვიდასტურებს ჰომეროსის ეპოსი, ეგეოსური ხელოვნება და უახლესი გათხრების დროს ტროასთან აღმოჩენილი ეტლების შემაკავებელი იმ თხრილების სიუხვე, რომელთა შესახებაც გვაუწყებდა ჰომეროსი. ანტიკურ სამყაროში, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, დადგა მყარად გამაგრებული ქალაქების აღებისათვის საჭირო ტექნიკის შემუშავების საკითხი. და მართლაც, სულ უფრო და უფრო ხშირად დაიწყეს ციხე-სიმაგრეების თუ გალავნების შტურმისას სპეციალურად აგებული მოძრავი ხის კოშკების თუ ხიდების, სატყორცნი აპარატების — კატაპულტების გამოყენება.

ელინისტური ეპოქიდან ანუ მეცნიერ-ტექნიკოსების სამხედრო ინდუსტრიაში აქტიურად ჩართვის შემდეგ ამ მხრივ მუშაობა უფრო ინტენსიური ხდება. და მაინც, საუკუნეების განმავლობაში მებრძოლის აღჭურვილობის აუცილებელ კომპონენტად რჩებოდა: ტყავის ან ლითონის ჩაფხუტი, სადა ან რაიმე დეტალით შემკული აბჯარი, რომელიც ასევე ტყავის, მეტალის, ან სხვა მეტ-ნაკლებად მყარი მასალისაგან მზადდებოდა. იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის იყო და რა საბრძოლო დავალებას ასრულებდა ჯარისკაცი, მას ჰქონდა შუბი, მრგვალი ან ოვალური ფარი, ხმალი. შეიარაღება ითვალისწინებდა მშვილდ-ისრებს, ხანჯლებს, საბრძოლო ცულებს და ა. შ.



მძიმედშეირაღებული ჯარისკაცი

მეომრების საბრძოლო აღჭურვილობას, ნაწილობრივ, სახელმწიფო უზრუნველყოფდა, თუმცა, ჩვეულებრივ, საბერძნეთში იარაღის შეძენა პირადი სახსრებით ხდებოდა. სწორედ ამიტომ აქ შეიარაღების ხარისხი და მეომრის ფუნქცია მისი სოციალური მდგომარეობის შესაბამისი იყო. მიწაზე საკუთრების უფლების არმქონეთ და არათავისუფალთ საერთოდ ეკრძალებოდათ იარაღის ტარება. რომში მარიუსის (ძვ. წ. I ს.) სამხედრო რეფორმის შემდეგ მიწაზე უფლების არმქონეთ სახელმწიფო აიარაღებდა.

რასაკვირველია, ომის წარმოების დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მებრძოლთა მომზადებას, შეიარაღებას, საბრძოლო ტაქტიკასა და სტრატეგიას. რაოდენ გაზვიადებულიც არ უნდა მოგვეჩვენოს ჰომეროსისა და ანტიკური ეპოქის სხვა ავტორთა ცნობები იმის თაობაზე, რომ ლეგენდარულ ტროას ომში სულ ცოტა 100000 აქაველი მებრძოლი მონაწილეობდა, არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ ბერძნებს ტროასთან (თუკი ომი მართლაც მოხდა) მნიშვნელოვანი ძალები უნდა გადაესხათ. ჯარის ორგანიზაცია არქაულსა და კლასიკური პერიოდის საბერძნეთში შესაბამისი იყო მშვიდობიანობის დროს მოსახლეობის ფილებად დაყოფისა. მდიდარი მოქალაქეები ცხენოსანთა კატეგორიას, ხოლო სხვები მძიმედ ან მსუბუქად შეიარაღებულ ქვეითებს ქმნიდნენ. ბერძენთა საბრძოლო დანაყოფი იყო ფალანქსი, რომელიც მძიმედ შეიარაღებული ჰოპლიტებისაგან შედგებოდა. იგი იქმნებოდა ფართოდ გაშლილი რიგებისაგან, რომელთა შორის მანძილი შეიძლებოდა ყოფილიყო ორი, ერთი ან ნახევარი მეტრი, იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა დანაყოფი (მარშით მიდიოდა, უტევდა თუ იერიშს იგერიებდა). იმის გამო, რომ ამგვარი წყობა არცთუ მოსახერხებელი იყო მაშინ, როდესაც ჯარი გაშლილ ველზე კი არ იბრძოდა, არამედ უსწორმასწორო ადგილას, ბერძენ მხედართმთავრებს სხვადასხვა ხასიათის მოდიფიკაცია უხდებოდათ. მართალია, სპარტის ფალანქსს ათენურისაგან რამდენადმე განსხვავებული სახე ჰქონდა, მაგრამ მათ შორის პრინციპული განსხვავება არ ყოფილა. სპარტის არმიაში, ძირითადად, ძმადნაფიცობისა თუ საერთო სუფრის პრინციპით ხდებოდა დანაყოფის ფორმირება.

ათენური ფალანქსი

საინტერესოა, რომ როგორც კი თებელმა ეპამეინონდასმა შეცვალა ფალანქსებით ბრძოლის ტრადიციული მეთოდი, სიმძიმის ცენტრი მარჯვენა ფლანგიდან მარცხენაზე გადმოიტანა და ამით მოულოდნელი ასიმეტრია შექმნა, მან ამ ე. წ. ლოქსე ფალანქსის („მრუდე საბრძოლო მწყობრის") ტაქტიკით სასტიკად დაამარცხა უფრო მრავალრიცხოვანი სპარტელთა ჯარი.

ფილიპე II-მ და ალექსანდრე მაკედონელმა ფალანქსის რაოდენობა დაახლოებით 8000 მებრძოლიდან 16000-18000 მებრძოლამდე გაზარდეს, რაც დიადოქოსების ეპოქაშიც იქნა შენარჩუნებული.

რომაულმა ჯარმა გარკვეულწილად გადმოიღო ბერძნული სისტემა, თუმცა მისი მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია მოახდინა. კეისრების ეპოქაში რომის ჯარი ოთხი ძირითადი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ნაწილისაგან შედგებოდა: 1) კეისრის ლაიბგვარდია და ქალაქ რომის უშიშროების რაზმები, 2) ლეგიონები, 3) დამხმარე რაზმები, 4) ფლოტი.

მართალია, ფლოტი უკვე საბერძნეთში, განსაკუთრებით ათენში, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, მაგრამ რომის იმპერიამ იგი თავისი ძალაუფლების ვეებერთელა სივრცეზე გავრცელების ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტად აქცია და მას მანამდე არნახული მასშტაბები მისცა.

რამდენადაც ლეგიონები რომის არმიის ხერხემალს ქმნიდნენ, მოკლედ შევეხოთ მათ სტრუქტურას. ლათინური ტერმინი legio მოდის ზმნიდან legere, რაც „ამორჩევას, შერჩევას" ნიშნავს. ლეგიონი, რომელიც თავდაპირველად მთელ რომაულ ჯარს წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში რომაული არმიის უმნიშვნელოვანეს გაერთიანებად იქცა. ავგუსტუსის მმართველობის ბოლო პერიოდისათვის რომაული არმია 25 ლეგიონს აერთიანებდა და მათ იმპერიის ვეებერთელა ტერიტორიაზე „რომაული მშვიდობის" დაცვა ევალებოდათ. რომაული გარნიზონებით, რომელთაც თავიანთი ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურა ჰქონდათ, მოფენილი იყო ტერიტორია ბრიტანეთიდან არაბეთის ნახევარკუნძულამდე. თეორიულად, რომაული ლეგიონი 6000-მდე მებრძოლისაგან უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული, თუმცა სინამდვილეში მებრძოლთა რაოდენობა, ჩვეულებრივ, უფრო ნაკლები იყო. ლეგიონი ათი ექვსასკაციანი კოჰორტისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი სამი ორასმებრძოლიანი მანიპულუსისაგან შედგებოდა. იგი შეიცავდა ორ ასეულს ანუ ცენტურიონს. თითოეულ ლეგიონს განეკუთვნებოდა საველე „არტილერია" და ბანაკის გასაშლელად საჭირო აღჭურვილობა.

ბერძნული და რომაული არმიები გამოირჩეოდნენ თავიანთი ორგანიზებულობით და მათ ანტიკურობის განმავლობაში არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს. რამდენად მრავალრიცხოვანი იყო ბერძენთა და რომაელთა არმიები? ამ მხრივ, ელინები რომაელებს აშკარად ჩამოუვარდებოდნენ; ა. მ., პლატეასთან სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში დაახლოებით 8000 მებრძოლი მონაწილეობდა, ხოლო პელოპონესის ომის დასაწყისისათვის ფლოტის გარდა ათენს 13000-მდე მებრძოლი იცავდა. საერთოდ, როგორც ფიქრობენ, ამ დროისათვის ათენს ბრძოლისუნარიანი 30000 მოქალაქე და 10000 თავისუფალი უცხოელი ანუ მეტოიკოსი ჰყავდა. რაც შეეხება ფლოტს, ბერძენ-სპარსელთა გადამწყვეტ ბრძოლაში სალამისთან ელინები 300, ხოლო სპარსელები 1200-ზე მეტ ხომალდს ფლობდნენ. მაკედონიის მეფეს, ფილიპე II-ს 30000 ფეხოსანი და 3000 მხედარი ჰყავდა, რითაც, ფაქტობრივად, დაიპყრო საბერძნეთი. ალექსანდრე მაკედონელმა დაახლოებით ამავე მოცულობის არმიით დაამარცხა სპარსეთის ძლიერი იმპერია და შექმნა მსოფლიო სახელმწიფო. ამ უკანასკნელის მიმდევართა, ელინისტური სახელმწიფოების მმართველთა არმიები 20000-30000 ქვეითსა და 2000-5000 მხედარს შეიცავდა. სამხედრო ძალების სერიოზული ზრდა ხდება რომის იმპერიაში. უკვე ძვ. წ. 216 წელს რესპუბლიკურმა რომმა ჰანიბალს 80000 ფეხოსანი და 6000 მხედარი დაუპირისპირა. ძვ. წ. III საუკუნის მიწურულისათვის შეიარაღებულ რომაელ მოქალაქეთა რაოდენობა უკვე 214000-ს აღწევდა. ავგუსტუსის დროს იმპერიალური რომის შეიარაღებული ძალები 300000-350000-მდე მებრძოლს ითვლიდა, ხოლო დიოკლეტიანუსის დროს უკვე – 500000 მებრძოლს.

როგორც აღვნიშნეთ, ომის წარმოებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იარაღს, სამხედრო ტექნიკის სრულყოფას. ომის მიმდინარეობა ხშირად იყო დაკავშირებული მნიშვნელოვანი სამხედრო პროექტების განხორციელებასთან. ა. მ., სპარსეთის მეფე ქსერქსესმა ბერძნებთან ომში წარმატების სურვილით ათონის ნახევარკუნძული არხით გაკვეთა, ხოლო ჰელესპონტოსი მის მიერ აგებული ხიდით გადაკეტა. საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა მაკედონელების მიერ ტრადიციულ შუბებთან შედარებით უფრო გრძელი, მსუბუქი შუბების – სარისას შემოტანა. ძვ. წ. IV საუკუნიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამხედრო საქმეში ტექნიკოსი მეცნიერების ჩართვას. პოლიტიკოსებისათვის ძირითად საზრუნავად კვლავ რჩებოდა მყარი სასიმაგრო ნაგებობების მქონე ქალაქების აღების პრობლემა. წარმოიქმნა მთელი მიმართულება – პოლიორკეტიკა („ალყის ტექნიკა"). ცნო-

ბილია, მაგალითად, რომ არქიტექტორმა ეპიმაქოსმა როდოსის ალყის დროს ააგო დაახლოებით 40 მ. სიმაღლის მქონე მოძრავი კოშკი, რომლის მიყვანაც ქალაქის გალავნამდე შესაძლებელი იყო 800 კაცის ძალისხმევით. მის 9 სართულზე კატაპულტები იყო განლაგებული. მაგრამ უდარდელად არც როდოსელი ტექნიკოსები ისხდნენ. დიოგნეტოსმა შეიმუშავა ზომები, რომლებმაც კოშკის გალავნამდე მიგორებას შეუქმნეს დაბრკოლება.

რაოდენ მრავალადაც არ უნდა დავასახელოთ სამხედრო ტექნიკის მიღწევები, სრულიად აშკარაა, რომ თეორიული მეცნიერების აზროვნების დონე ანტიკურ სამყაროში ბევრად უსწრებდა მის რეალიზაციას პრაქტიკულ-გამოყენებით დონეზე. ის მოაზროვნენი, რომელთაც მართლაც გასაოცარ წარმატებებს მიაღწიეს თეორიაში, საკმაოდ თავშეკავებულნი იყვნენ თავიანთი შესაძლებლობების პრაქტიკულსა თუ გამოყენებით დონეზე განხორციელებისას. ჭეშმარიტი მეცნიერისათვის უკადრის საქმედ ითვლებოდა თავისი ნააზრევის მილიტარისტული ან ყოველდღიური ცხოვრების საჭიროებიდან გამომდინარე მიზნებით რეალიზაცია, მაგრამ, რასაკვირველია, თუკი იგი მოინდომებდა, შეეძლო მართლაც სასწაული მოეხდინა, თუნდაც სამხედრო საქმეში. ამის შესანიშნავი მაგალითია არქიმედე. მარკელუსის დროს (დაახლ. ძვ. წ. 270-208), მაშინ, როცა რომი აქტიურად ცდილობდა თავისი ძალაუფლების გავრცელებას კართაგენსა და სიცილიაზე, რომაელებმა მძლავრი ფლოტით კუნძულის ქალაქ სირაკუზას აღება გადაწყვიტეს. იქ მაშინ ცხოვრობდა ცნობილი მათემატიკოსი, ფიზიკოსი, მექანიკის განთქმული მამამთავართაგანი არქიმედე: „არქიმედე მანქანების აგებას თვლიდა ისეთ საქმედ, რომელიც არც გარჯასა და არც ყურადღებას არ იმსახურებდა, მათი უმეტესობა შეიქმნა თითქმის სხვათა შორის გეომეტრიის გართობათა სახით" (პლუტარქოსი, „მარკელუსი", XIV). მართალია, ზოგიერთი გეომეტრი შეეცადა ხილული მაგალითების საშუალებით გეომეტრია უფრო მიმზიდველი გაეხადა და შეექმნა სხვადასხვა დანიშნულების, მათ შორის, სამხედრო მანქანები, მაგრამ ამისათვის მათ ჭეშმარიტი ფილოსოფოსები კიცხავდნენ. პლატონი მათზე ბრაზობდა, რადგან „ისინი ღუპავენ გეომეტრიის ღირსებას, რომელიც უსხეულო და გონებით მისაწვდომისაგან ეშვება გრძნობადამდე და კვლავ უკავშირდება სხეულებს, რაც დასამზადებლად ხელოსნის ხანგრძლივსა და მძიმე შრომას მოითხოვს" (პლუტარქოსი, „მარკელუსი", XIV). სწორედ ამიტომ გამოეყო მექანიკა გეომეტრიას და იგი მთლიანად ფილოსოფოსების ყურადღების მიღმა დარჩა. არქიმედეს სირაკუზის მმართველ ჰიერონთან ახლობლობა აკავშირებდა. ერთხელ სწორედ მას მისწერა მეცნიერმა, რომ საკმარისია მოენახა შესაბამისი ადგილი და იგი მოახერხებდა თავად დედამიწის დაძვრას. ჰიერონი განაცვიფრა ამგვარმა განცხადებამ და არქიმედეს სთხოვა, პრაქტიკით დაემტკიცებინა თავისი იდეის სისწორე და დიდი ძალისხმევის გარეშე გადაეადგილებინა სიმძიმე. არქიმედემ მოუწოდა ცოტა ხნის წინ ნაპირზე ხალხის მიერ გამოთრეული ვეებერთელა სატვირთო ხომალდი აევსოთ ტვირთით და მასზე დაესხათ მეზღვაურების მრავალრიცხოვანი ეკიპაჟი. თავად კი დაჯდა იქვე მახლობლად და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, სათანადოდ დამონტაჟებული ბაგირით, ისე თანაბრად და ნელა მოსწია თავისკენ ხომალდი, თითქოს იგი ზღვაში მიცურავდა. ჰიერონი გააოგნა ნანახმა და მან დაარწმუნა არქიმედე, აეგო მანქანები ქალაქის მტრისაგან დასაცავად. როდესაც რომაელებმა ქალაქს ორი მხრიდან შეუტიეს, სირაკუზელები შიშმა მოიცვა და აი, არქიმედემ აამოქმედა თავისი მანქანები. მოწინააღმდეგეს თავს აუწერელი უბედურება დაატყდა. ვეებერთელა ზომის ლოდები და ისრები საშინელი სისწრაფითა და სიხშირით, შიშის აღმძვრელი ხმაურით უწყვეტ ნაკადად აცვიოდა ჯარებს და უმოწყალოდ ანადგურებდა მათ. სპეციალურად დაგებული ბაგირებით ხომალდები ერთმანეთს ან კლდეებს ეხეთქებოდნენ. რაღაც მექანიზმები ხომალდებს ზღვიდან მაღლა წევდნენ, ანჯღრევდნენ და იქიდან ყრიდნენ მეზღვაურებს. რომაელებმა ვერც ის შეძლეს, რომ გამოეყენებინათ ქალაქის კედლის დასაშლელად სპეციალურად ხომალდებზე დამონტაჟებული მოწყობილობები, ვერც შეუმჩნევლად მიახლოებოდნენ

სირაკუზას; არქიმედეს ყოველივე გათვალისწინებული ჰქონდა. რომაელებს ყველგან საშინელი უბედურება და უსახელო დაღუპვა ელოდათ. ბოლოს და ბოლოს, გადარჩენილმა მარკელუსმა განაცხადა: „განა საკმარისი არ არის ვეომოთ ამ გეომეტრიის ბრიარეოსს (მითიურ ასხელა გოლიათთაგან ერთ-ერთი. ავტ. შენ.), რომელიც ამოხაპავს ხოლმე ჩვენს ხომალდებს ზღვიდან და შემდეგ სამარცხვინოდ მუსრავს მათ. მან აჯობა ზღაპრულ ასხელა გოლიათებსაც კი – იმდენი ჭურვი გვტყორცნა" (პლუტარქოსი, „მარკელუსი", XVII).

არქიმედეს თავდაცვის სისტემის საიდუმლოებაში მხოლოდ მისი შემქმნელი ერკვეოდა. დანარჩენი სირაკუზელები, ფაქტობრივად, მის მიერ შექმნილი მანქანის მექანიკურ ნაწილებს შეადგენდნენ. რომის ძლევამოსილი არმია და ფლოტი, არსებითად, ერთმა კაცმა, არქიმედემ უკუაგდო. მაგრამ მას არასოდეს მოჰქონდა თავი ამ სასწაულმოქმედი სამხედრო ტექნიკის შექმნის გამო. როგორც პლუტარქოსი აღნიშნავს: „არქიმედე იყო იმდენად ამაღლებული აზრთაწყობის, იმდენად ღრმა სულისა და მრავალმხრივი ცოდნის მქონე კაცი, რომ საგნებზე, რომელთაც მას მოუტანეს არა როგორც მოკვდავის გონების, არამედ ღვთაებრივის დიდება, არ მოისურვა რამე დაეწერა. თვლიდა რა მანქანების აგებას და საერთოდ ყოველგვარ ხელოვნებას, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების მოთხოვნილებებთან იყო დაკავშირებული, მდაბალ და უხეშ საქმედ, მან მთელი თავისი ძალა იმგვარი კვლევისკენ მიმართა, რომელშიც მშვენიერება და სრულყოფილება არ არის ცხოვრებისეულ მოთხოვნილებასთან შერეული" (პლუტარქოსი, „მარკელუსი", XVII).

არქიმედეს მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ ანტიკურობის არაერთ მეცნიერს შეეძლო მთელი თავისი ნიჭისა და ცოდნის სამხედრო ტექნიკის სრულყოფისაკენ მიმართვით მართლაც საოცრება მოეხდინა. მაგრამ ამას მათ უკრძალავდა ე. წ. მეცნიერული ეთიკა. სწორედ ამით უნდა ავხსნათ ის, თუ ასე რატომ ჩამორჩა ტექნიკური პროგრესი უდიდეს მიღწევებს თეორიულ აზროვნებაში. ნიშანდობლივია, რომ გარკვეული დროის შემდეგ, როცა მარკელუსმა ღალატის საშუალებით აიღო სირაკუზა, არქიმედე უკვე აღარ მონაწილეობდა ქალაქის დაცვაში. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, როცა რომაელები ქალაქში შეიჭრნენ, არქიმედე იმდენად იყო თავის ნახაზზე მუშაობაში ჩართული, რომ ვერაფერი იგრძნო. მის წინ რომაელი მებრძოლი აღიმართა და უთხრა, რომ მარკელუსი უხმობდა. არქიმედემ კი უპასუხა: ვერსად ვერ წამოგყვები მანამდე, ვიდრე ამოცანას ბოლომდე არ მივიყვან და არ ვიპოვი მისი დამტკიცების გზასო. განრისხებულ მეომარს იგი ადგილზევე განუგმირავს. ასე წაიღო თან არქიმედემ სამხედრო სფეროში ძველი სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი და საოცარი ტექნიკური მიღწევის საიდუმლოება.

## ლიტერატურა


- RE XI, 2, 1827-1858, Kriegskunst.
- RE III, 1, 375-378, Bewaffnung.
- DNP 2, 609-614, Bewaffnung.
- DNP 8, 187-191, Militärtechnik.
- M. C. Bishop, I. C. N. Coulston, Roman Military Equipment from the Punic Wars to the Fall of Rome, London 1993.
- E. W. Marsden, Greek and Roman Artillery Historical Development, Oxford 1969.
- E. L. Wheeler, Armee, in: Mensch und Landschaft in der Antike, H. Sonnabend (Hrsg.), Weimar 1999, 35-42, Krieg: 272-280.
- V. Rosenberg, Bella et expeditions. Die antike Terminologie der Kriege Roms, Stuttgart 1992.
- S. Andreski, Military Organization and Society, Berkley 1968[2].

ყველაზე გვიან ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდან ლითონს, სპილენძს, ვერცხლს, მოგვიანებით კალასა და ოქროს გამოიყენებდნენ ფულის ფუნქციით. მათი საშუალებით ხდებოდა საქონლის შეძენა, გადაცვლა, საგანძურის შევსება და ა. შ. მაგრამ ფულის ის სისტემა, რომელიც მონეტების შემოღებასთან არის დაკავშირებული და რომელმაც ძველი სამყაროს ფინანსური მხარე გარკვეულწილად მოაწესრიგა, შედარებით გვიან, ალბათ, ძვ. წ. VII საუკუნეში დასავლეთ მცირე აზიის ბერძნულ პოლისებში უნდა წარმოქმნილიყო. მართალია, ზოგიერთი წყარო ფულის შემოღებას ამ რეგიონში მდებარე ლიდიის სახელგანთქმულ მეფეს, კროისოსს (დაახლ. ძვ. წ. 561-547) მიაწერს, მაგრამ დღეს დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეფესოსში მდებარე არტემისის ტაძრის ბაზისში აღმოჩენილია უძველესი მონეტები, რომლებიც დასავლეთ ანატოლიაში დაახლოებით ძვ. წ. 600 წლისათვის უნდა დაემზადებინათ. აქედან მოყოლებული ფული აქტიურად დამკვიდრდა ძველ სამყაროში და მონეტების მოჭრა ანტიკურობის ეკონომიკური ცხოვრების ორგანულ ნაწილად იქცა. რამდენადაც ლითონის მონეტა (ანტიკური სამყაროსათვის უცხო იყო ე. წ. „ქაღალდის ფული") ბერძნულ სამყაროში, ძირითადად, მეტალის წონის შესაბამის ღირებულებას შეიცავდა, სხვადასხვა პოლისების მიერ მოჭრილ ფულს, მცირე გამონაკლისის გარდა, მთელს ელინურ სამყაროში ჰქონდა გასავალი. საბერძნეთში ცნობილი ფულადი ერთეულების ამგვარი სისტემა ჩამოყალიბდა:

| |
|---|
| 1 ტალანტონი = 60 მინა = 3000 დიდრაქმონი = 6000 დრაქმა = 36000 ობოლოსი |

ფულის რომაული სისტემა, ძირითადად, ბერძნულის გავლენით იწყებს ჩამოყალიბებას, რომელიც მუდმივად იცვლებოდა და იმპერიის ეპოქაში, ვეებერთელა სახელმწიფო ორგანიზაციის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ძალზე განვითარებული და მასშტაბური იყო. ფულად ერთეულებს შორის სტაბილური მიმართების დამყარება ავგუსტუსის საფინანსო პოლიტიკის დამსახურებაა და მეტ-ნაკლები წარმატებით იგი შენარჩუნებულია მთელი პრინციპატის ეპოქის განმავლობაში. ახ. წ. III საუკუნის ფინანსური კრიზისის შემდეგ, კონსტანტინედან მოყოლებული, ფულადი ერთეულების ახალი სისტემა ჩამოყალიბდა, რომელიც ანასტასიუსამდე ფუნქციონირებდა. უმთავრესი ნომინალები იყო: solidus (სოლიდუსი), semissis (სემისისი), tremissis (ტრემისისი) და სხვ.

ფულის ნომინალები პრინციპატის ეპოქაში

| ოქრო | ვერცხლი | თითბერი | | სპილენძი | |
|---|---|---|---|---|---|
| aureus (აურეუსი) | denarii (დენარიუსი) | sestertii (სესტერციუსი) | dupondii (დუპონდიუსი) | asses (ასი) | quadrantes (კვადრანსი) |
| 1 | 25 | 100 | 200 | 400 | 1600 |
| | 1 დენარიუსი | 4 | 8 | 16 | 64 |
| | | 1 სესტერციუსი | 2 | 4 | 16 |

მართალია, ანტიკურ სამყაროში გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ არსებობდა ჩამოყალიბებული ფინანსური დაგეგმვის პრაქტიკა, რომელიც ფინანსურ პოლიტიკას განსაზღვრავდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ამ სფეროში არ გააჩნდა თავისი პოლიტიკა. მას შემდეგ, რაც საბერძნეთში პოლისმა თავის თავზე აიღო არმიისა და ფლოტის შენახვა, გრანდიოზული სამშენებლო პროგრამების განხორციელება, მასობრივი დღესასწაულებისა თუ ფესტივალების ჩატარება, სახელმწიფო ხაზინის შევსება პოლიტიკოსთა ზრუნვის სერიოზული საგანი გახდა. ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი წყაროები იყო არენდის შემოსავალი, საბაჟო გადასახადები, ბეგარა და სხვადასხვა ხასიათის მოსაკრებლები.

სპეციფიკური ხასიათი ჰქონდა ათენის ხელმძღვანელობით საზღვაო კავშირის შექმნას, რომლის ბიუჯეტს კავშირის შემადგენელი პოლისების შესატანები ქმნიდა. თავდაპირველად

საერთო ხაზინა კუნძულ დელოსზე მდებარეობდა, მაგრამ შემდეგ იგი ათენში გადმოიტანეს და ფინანსების ძირითადი გამგებელი, მეტ-ნაკლებად საკუთარი ინტერესებისათვის, თავად ათენი იყო. აქ ხაზინას უმაღლეს ფინანსურ მოხელეებად არჩეული ტამიასები განაგებდნენ. ბუნებრივია, ისინი ემორჩილებოდნენ სახალხო კრებასა და ბულეს გადაწყვეტილებებს. სახელმწიფო სტრუქტურების შეცვლის კვალდაკვალ, ფინანსური საქმის ორგანიზაცია გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის ელინისტურ სახელმწიფოებში, შემდეგ კი – რომში.

1

2

3

4

6

5

7

1. ვერცხლის სტატერი კავლონიიდან აპოლონ კათარსიოსის გამოსახულებით (ძვ. წ. VI ს.), 2. ვერცხლის ტეტრადრაქმონი აიონოსიდან პერმესის თავის გამოსახულებით (ძვ. წ. V ს-ის შუა პერიოდი), 3. კიმონის ვერცხლის დეკადრაქმონი წყლის ნიმფა არეთუსას თავის გამოსახულებით (სირაკუზა. დაახლ. ძვ. წ. 410 წ.), 4. თითბრის სესტერციუსი კეისარ კლავდიუსის პორტრეტით (ახ. წ. 42-54), 5. თითბრის სესტერციუსი პლოტინას პორტრეტით (ახ. წ. II ს-ის დასაწყისი), 6. ოქროს მედალიონი აბუკურიდან ალექსანდრე დიდის გამოსახულებით (ახ. წ. III ს.), 7. სოლიდუსი კეისარ კონსტანტინე I-ის პორტრეტით (ახ. წ. 306-337)

რესპუბლიკის ეპოქის დასაწყისამდე რომში მთავარ სახელმწიფო სალაროს ანუ საგანძურს წარმოადგენდა ერარიუმი. იგი განთავსებული იყო სატურნუსის ტაძარში რომის ფორუმზე. სახელი მას ეწოდა ლათინური სიტყვიდან aes, aeris („ბრინჯაო"), რადგან სალაროში თავდაპირველად მხოლოდ ბრინჯაოს მონეტები იყო. მას განკარგავდა სენატი, ხოლო აღსრულების პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ კვესტორებს. მოგვიანებით, ჯერ კიდევ რესპუბლიკურ რომში დაიწყო კერძო სალაროების, ე. წ. fiscus-ების გახსნა, რომლებიც ლოკალურ საფინანსო საქმიანობას ახორციელებდნენ. ავგუსტუსის ეპოქიდან მოყოლებული Aerarium populi Romani („რომაელი ხალხის ერარიუმი") თანდათანობით კარგავს თავის

მნიშვნელობას, უშუალოდ კეისრის დაქვემდებარებაში მყოფი ფისკუსის გაძლიერებით. ეს კი ფინანსების განკარგვის ფუნქციას, ძირითადად, კეისარს ანიჭებდა. ანტიკური სამყაროს ფინანსურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბანკები. უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან იწყება მათი დაფუძნება ელინურ სამყაროში და სულ მალე როგორც საკულტო (ტაძრებში განლაგებული), ასევე კერძო ბანკების საკმაოდ ფართო ქსელი წარმოიქმნება. მათი მეშვეობით ახორციელებდნენ მოქალაქეები სხვადასხვა ფინანსურ ოპერაციებს. ბანკები გასცემდნენ კრედიტებსაც, მაგრამ განსაკუთრებით მაღალი რისკის ღონისძიების დაფინანსებისას საკმაოდ დიდ საპროცენტო განაკვეთებს ითხოვდნენ.

დიდ ყურადღებას აქცევდნენ ანტიკურ სამყაროში ფულის მოჭრას და მონეტის „მხატვრულ გაფორმებას". ხშირად ფულზე წარმოდგენილი იყო ესა თუ ის მმართველი, ღვთაება ან ცნობილი სიმბოლო. არცთუ იშვიათად მონეტები საკმაოდ საინტერესოდ არეკლავდნენ პოლიტიკურ მოვლენებს. ამისი კლასიკური მაგალითია იულიუს კეისრის მონეტა, რომელზედაც გამოსახული მისი პორტრეტი აშკარად მონარქის სიმბოლოდ აღიქმება. კეისრის მკვლელმა ბრუტუსმა კი თავისი მონეტის ერთ მხარეზე ორი ხანჯალი გამოსახა, რომლითაც კეისარი მოკლეს, ხოლო მეორეზე კი – საკუთარი პორტრეტი, როგორც მონარქის დამხობის სიმბოლო.

## ლიტერატურა


- RE VII, 1, 970-984, Geld.
- DNP 4, 873-888, Geldwirtschaft.
- DNP 2, 431-435, Banken.
- თ. დუნდუა, გ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი, ა. ერისთავი, ფული საქართველოში, თბილისი 2003.
- P. Grierson, Dark Age Numismatics, Selected Studies, London 1979.
- W. Orth, Münzen, in: Mensch und Landschaft in der Antike, H. Sonnabend (Hrsg.), Weimar 1999, 354-359.
- K. Christ, Antike Geschichte und antike Numismatik, in: K. Christ (Hrsg.), Von Caesar zu Konstantin, München 1996, 275-286, 300.
- M. J. Price, B. L. Trell, Coins and Their Cities, Architecture on the Ancient Coins of Greece, Rome and Palestine, London 1977.


## მონობა

ანტიკურ საზოგადოებაში უფლებრივი თვალსაზრისით ადამიანების დაყოფა ორ ძირითად ჯგუფად შეიძლებოდა: თავისუფლებად (მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სრულფასოვანი იყო მათი პოლიტიკური თუ მიწაზე საკუთრების უფლებები) და თავისუფლების არმქონეებად. ამ უკანასკნელთ ეწოდებოდათ მონები. მიუხედავად იმისა, რომ მონად ადამიანი სულ სხვადასხვა მიზეზით შეიძლებოდა ქცეულიყო (თავისუფლების არმქონედ დაბადებულიყო ან გარკვეულ გარემოებათა შედეგად დაეკარგა თავისუფლება), მძიმე შრომით ყოფილიყო დაკავებული ან შედარებით მსუბუქი „პროფესიული" საქმიანობით, ანტიკურობა მონებს დიფერენცირებულად არ განიხილავდა.

მონა სამართლებრივად შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ერთი ან რამდენიმე ადამიანის, ისე გარკვეული იურიდიული სუბიექტის საკუთრება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი ეკუთვნოდა სახელმწიფოს, რაიმე გაერთიანებას, ტაძარს და ა. შ. ეს საკუთრება, ფაქტობრივად, არ განსხვავდებოდა უძრავი თუ მოძრავი ქონებისაგან. მისი მოპოვება შეიძლე-

ბოდა ყიდვის, ჩუქების, მემკვიდრეობით მიღების საშუალებით. მონებს შეიძლებოდა ოჯახი შეექმნათ, მაგრამ ამით არ იცვლებოდა არც მათი და არც მათი შვილების სტატუსი.

ჩვეულებრივ, მონად ქცევა ომს მოჰყვებოდა შედეგად, როდესაც ხდებოდა დაპყრობილთა მასობრივად გაყიდვა ან გამარჯვებულთა პოლისში მათი მსახურებად გადასახლება. შეიძლებოდა დაპყრობის შემდეგ მთელი ქვეყნის მოსახლეობა ექციათ მონებად, მაგრამ ისინი დაეტოვებინათ საკუთარ ტერიტორიაზე და გამარჯვებულთა სამსახურში ჩაეყენებინათ. მეკობრეობა, ვალების სანაცვლოდ პიროვნების მიერ თავისუფლების დაკარგვა ასევე ხელს უწყობდა მონობის წარმოქმნას. მონებით ვაჭრობა და ამისათვის სპეციალური ბაზრების არსებობა ანტიკური სამყაროსათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

მართალია, მონები უფლებრივად არ განირჩეოდნენ ცხოველებისა თუ უსულო საგნებისაგან, მაგრამ, ბუნებრივია, მათ მაინც როგორც პიროვნებებს, ისე განიხილავდნენ, ამიტომ მათთან ურთიერთობას გარკვეულ სამართლებრივ სივრცეში აქცევდნენ. ისინი შეეძლოთ დაესაჯათ, მაგრამ მონების მოკვლის უფლება მაინც რაღაც წესებით რეგულირდებოდა. მის მფლობელს ევალებოდა ეზრუნა მის კვებაზე, ჩაცმაზე და ავადმყოფობის შემთხვევაში — მკურნალობაზე. მონები, როგორც აღინიშნა, ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ და, არცთუ იშვიათად, მონაწილეობას ღებულობდნენ ამა თუ იმ ღონისძიებაში. მათ ნებას რთავდნენ შეექმნათ ოჯახები, თუმცა დემოგრაფიულ პროცესებში გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად მონების გამრავლებას ერთობ ეფექტურად ზღუდავდნენ. ბერძენმა მონათმფლობელებმა საკმაოდ მალე აღმოაჩინეს, რომ მონას მათთვის გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო, თუკი იგი ოჯახში საქმიანობის ნაცვლად კერძო ბიზნესში იქნებოდა ჩართული ან ანაზღაურების მქონე სამუშაოებში დაკავებული (მადნის დამუშავება, მშენებლობა და ა. შ.)

მონათათვის თავისუფლების მინიჭების ორი ძირითადი გზა არსებობდა: ა) როდესაც სახელმწიფო თავად იყო დაინტერესებული გამოესყიდა მონად ქცეული მისი ყოფილი მოქალაქეები. საბერძნეთში ამის კარგი მაგალითი იყო ძვ. წ. 594/93 წელს სოლონის კანონმდებლობით ვალის სანაცვლოდ ათენის მოქალაქის მონად ქცევის აკრძალვა და ამ გზით თავისუფლებადაკარგულთა მასობრივად გამოხსნა მონობისაგან; ბ) როდესაც პატრონი თავად აძლევდა მონას თავისუფლებას ან საკუთარი კეთილი ნებით ან მონის მიერ „კერძო ბიზნესსა" თუ სხვადასხვა სამუშაოებზე გამომუშავებული სახსრების გამოსასყიდის სახით მიღების შემდეგ.

როგორც აღინიშნა, ანტიკურ სამყაროში მონობის სხვადასხვა ფორმები იყო. ყველაზე მასობრივი და სასტიკი (გარდა მოსახლეობის დიდი ნაწილის ამონყვეტისა) იყო მთელი რეგიონის მოსახლეობის თავისუფლებადაკარგულ გლეხებად, ყმებად ქცევა გამარჯვებულთა მიერ. ამის კლასიკური ფორმა იყო დორიული ტომების კონტინენტურ საბერძნეთში პოსტმიკენურ ეპოქაში გადმოსახლების შემდეგ მათ მიერ ადგილობრივი ბერძნების დაპყრობა. ეს მოხდა კრეტაზე, თესალიაში და, რასაკვირველია — ლაკონიაში, სადაც სპარტელებმა ჰელოტებად აქციეს მთელი ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა მიმართ მათი სასტიკი დამოკიდებულება საყოველთაოდ იყო ცნობილი.

მონობის სპეციფიკურ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ ე. წ. სატაძრო მონობა. ამ უკანასკნელთ ეკისრებოდათ სხვადასხვა ხასიათის სამუშაოს შესრულება ტაძრის მოვლით დაწყებული საკულტო ანუ საკრალური პროსტიტუციით დამთავრებული. მათი მდგომარეობა შედარებით შეღავათიანი იყო და ისინი გააზატების შესაძლებლობასთან ყველაზე ახლოს იდგნენ.

აშკარად უპირატესობას ფლობდნენ ე. წ. სახელმწიფო და კეისრის მონები. ისინი სახელმწიფო სამსახურში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდნენ და საკუთარი საოჯახო მეურნეობა ჰქონდათ. ათენში, მაგალითად, ამ კატეგორიის მონებით იყო დაკომპლექტებული პოლიცია, რომში კი — თერმების მომსახურე პერსონალის საკმაოდ დიდი ნაწილი. მათ შეეძლოთ მუშაობა პედაგოგებად, ექიმებად, ხელოსნებად.

ჩვეულებრივი მონობა გულისხმობდა ნაყიდი მონების საქმიანობას ბატონთა ოჯახებში. ზოგ ბატონს შეიძლებოდა ნაკლები, ზოგს კი მეტი მონა ჰყოლოდა. ისინი საოჯახო საქმიანობის ყველა სფეროში იღებდნენ მონაწილეობას და, ბუნებრივია, სხვადასხვა მონას მისი ქცევის, კომუნიკაბელურობის, განათლების შესაბამისად, ბატონებთან სხვადასხვა ხასიათის პიროვნული ურთიერთობები უყალიბდებოდა. არცთუ ცოტა იყო იმ მონათა რაოდენობა, რომელნიც საკმაოდ კარგად გრძნობდნენ ბატონებთან თავს.

მონები მაშინაც არ წყვეტდნენ ბატონის ოჯახში საქმიანობას, როდესაც ისინი, ისევ და ისევ ბატონის ნებით, გარკვეულ ბიზნესსა თუ სპეციალიზებულ, ოჯახს გარე მუშაობაში იყვნენ ჩართულნი. ამ შემთხვევაში მათ ორმაგი მოგება მოჰქონდათ ბატონებისათვის: ისინი მათ ოჯახებსაც უვლიდნენ და ამასთან თავიანთი შრომით მიღებულ გასამრჯელოსაც უნაწილებდნენ ბატონს.

ელინისტური ეპოქიდან მოყოლებული ეკონომიკური ცხოვრების მასშტაბებისა და ფორმების შეცვლასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა მონური შრომის ხვედრითი წილი მეურნეობაში, მონა პროდუქციის შექმნის საშუალებად იქცა. მართალია, რესპუბლიკურ რომში ასევე დიდი იყო მონათა როლი ქვეყნის სამეურნეო სფეროში, რაც ძვ. წ. II-I საუკუნეთა მიჯნაზე მონათა მძლავრ აჯანყებებშიც გამოიხატა, მაგრამ იმპერიალურ რომში, როდესაც მიწის დამუშავების ფორმებში მონური შრომის ხვედრითი წილი აშკარა კლების გზით წავიდა, თანდათანობით იმატა მიწის იჯარით ამღებთა ანუ მომცრო არენდატორების როლმა სახალხო მეურნეობაში. გვიანანტიკურ ეპოქაში მიწათმოქმედებიდან მონური შრომა მთლიანად განდევნა პიროვნულად თავისუფალ არენდატორთა შრომამ. კეისართა კანონმდებლობით, ისინი მყარად დაუკავშირდნენ მიწის ნაკვეთებსა და სამეურნეო საქმიანობას. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად თანდათანობით მონობამ, თუმცა გვიანანტიკურობაში ფორმალურად იგი არ აუკრძალავთ, ასპარეზი დაუთმო ახალ საზოგადოებრივ ფორმაციას.

როგორი იყო ანტიკურობაში ცნობილ მოაზროვნეთა დამოკიდებულება მონობის მიმართ? ჰომეროსიდან მოყოლებული მონობა ადამიანის უდიდეს უბედურებად ითვლებოდა. ტროელთა მხედართმთავარი ჰექტორი იმისათვის იღვწის, რომ ააცილოს თავისიანებს „მონობის დღე". საოცარი ძალით გამოიხატა თავისუფალი ადამიანის დამოკიდებულება მონობის მიმართ ბერძნულ ტრაგედიაში. ევრიპიდეს „ჰეკაბეში" სასიკვდილოდ განწირული პოლიქსენე ერთგან ამბობს:

„ახლა მონა ვარ. და თავად ამ სახელმა უკვე
სიკვდილის სიყვარული გამიღვივა" (357-358)

ხოლო მეორეგან კი იგი აქაველებს ეუბნება:

„ღვთის გულისათვის. ხსნილი მომკალით, რადგან მკვდრებში
შემრცხვებოდა, რომ მეფის ასულს მონას მეძახდნენ" (551-552)

არ იყო აზრთა ერთიანობა მონობის შესახებ ფილოსოფოსებშიც. იმის შესაბამისად, თუ რა პრინციპს ანიჭებდა ესა თუ ის მოაზროვნე უპირატესობას — ზოგადადამიანურს თუ ვიწრო ელინურს ან რომაულს, მათი მიმართება მონობისადმი ურთიერთგანსხვავებული შეიძლებოდა ყოფილიყო. ერთნი მონას განიხილავდნენ ადამიანად და თვლიდნენ, რომ ყველა ადამიანი თანასწორი უნდა იყოს, მეორენი კი მას მხოლოდ „გასულიერებულ ინსტრუმენტად" მიიჩნევდნენ. არისტოტელე იმასაც კი აცხადებდა, რომ ელინები მმართველებად, ხოლო ბარბაროსები მონებად არიან დაბადებულნი. კამათი ისტორიის განვითარებამ გადაწყვიტა, რომელმაც მონობას მკაცრი შეფასება მისცა და საბოლოოდ უარი თქვა მასზე.

## ლიტერატურა

- RE V, 2, 1785-1790, Δοῦλοι.
- DNP 11, 621-633, Sklaverei.
- L. Schumacher, Sklaverei in dem antiken Alltag und Schicksal der Unfreien, München 2001.
- A. Watson, Roman Slave Law, Baltimore 1987.
- F. Gschnitzer, Sklaverei, in: Mensch und Landschaft in der Antike, H. Sonnabend (Hrsg.), Weimar 1999, 478-481.
- N. R. E. Fischer, Sclavery in Classical Greece, London 1993.
- W. L. Westmann, The Slave Systems of Greek and Roman Antiquity, Philadelphia 1955.


## სანახაობები, აგონები

ანტიკურ საზოგადოებაში სამუშაოსაგან თავისუფალი დროის გატარებას დიდი ყურადღება ექცეოდა. „მოცალეობის" აღმნიშვნელი ტერმინებია: σχολή (ბერძნ.) და otium (ლათ.). თავისუფალი დროის გატარების საკითხს სერიოზულად განიხილავდნენ ანტიკური ხანის მოაზროვნეები.

ბუნებრივია, სხვადასხვა დონის განათლების, სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ადამიანისათვის, ქალაქებისა თუ სოფლების მაცხოვრებლებისათვის განსხვავებული იყო თავისუფალი დროის გატარების ფორმები და შესაძლებლობები. და მაინც, რასაკვირველია, ბერძნულ პოლისებში, ელინისტურ თუ რომაულ ქალაქებში იყო ისეთი ადგილები და ღონისძიებები, რომლებიც ყველას იზიდავდა, ყველას აძლევდა შესაძლებლობას, გამოთიშულიყო ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალისაგან.

უპირველეს ყოვლისა, ეს იყო მასობრივი სანახაობები. მეტწილად ამ სანახაობებს აგონისტური ანუ შეჯიბრების სული ასაზრდოებდა. განსაკუთრებით მეუფებდა აგონისტური სული ძველ საბერძნეთში, სადაც უმთავრესი შეჯიბრებები იმართებოდა მუსიურ (პოეტური აგონები, თეატრალური ფესტივალები), სპორტულ და სპორტულ-მხედრულ სახეობებში. იმისთვის, რომ მოსახლეობას რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა ჰქონოდა სანახაობებითა და აგონებით მიეღო სიამოვნება, ბერძნულ-რომაულ კალენდრებში საკმაოდ უხვად იყო საზეიმო უქმე დღეები. ა. მ., კლასიკურ ათენში ძვ. წ. V-IV საუკუნეებში წელიწადში დაახლოებით 80 ამგვარი დღე იყო, რესპუბლიკურ რომში – 109, ხოლო კეისრების ეპოქაში, პრინცეპსების ხსოვნისა თუ პატივის მიგების დაკანონების ხარჯზე მათმა რაოდენობამ 200-ს მიაღწია. უქმე ან საზეიმო დღეები სამი ტიპის იყო: ა) მყარი, რომელთაც სტაბილური ადგილი ეჭირათ კალენდარში და რომლებიც განსაზღვრულ ერთსა და იმავე დღეს ან დღეებში აღინიშნებოდა; ბ) მოძრავი, რომელნიც სხვადასხვა გარემოებათა გათვალისწინებით, სხვადასხვა დღეს ან დღეებში შეიძლებოდა ეზეიმათ; 3) განსაკუთრებული ღონისძიებები, რომელთაც, გარკვეულ მოვლენასთან დაკავშირებით, უმაღლესი მოხელის ბრძანების საფუძველზე აწყობდნენ.

საბერძნეთში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მუსიური და სპორტული ფესტივალები. უკვე ჰომეროსის ეპოქიდან იყო ცნობილი პოეტური შეჯიბრებები, რომლებიც ეპიკოსთა შორის იმართებოდა. ანტიკურმა წყაროებმა ჰომეროსსა და ჰესიოდეს შორის ევბეაზე გამართული აგონის შესახებაც კი შემოგვინახეს ინფორმაცია. ყველაზე მასშტაბური მუსიური ფესტივალები საბერძნეთში ძვ. წ. VI საუკუნეში თეატრის დაბადების დროიდან მოყოლებული იმართებოდა. განსაკუთრებით ცნობილი იყო დიდი დიონისიები ათენში. ყოველწლიურად ელაფებოლიონის (მარტი / აპრილი) თითქმის ერთი კვირა

ეთმობოდა ამ ფესტივალს, რომლის კულმინაციასაც წარმოადგენდა 5 დღე (10/14 ელაფებოლიონი). პირველ დღეს თეატრში დითირამბების შესასრულებლად 20 გუნდი გამოდიოდა. მეორე დღეს 5 დრამატურგი 5 საკონკურსოდ შერჩეულ კომედიას წარმოადგენდა. მომდევნო სამი დღის განმავლობაში სამი ტრაგიკოსი ასევე საკონკურსოდ შერჩეულ პიესებს წარმოადგენდა — თითოეული 3 ტრაგედიას და ერთ სატირულ დრამას. ამდენად, მაყურებელი თეატრალური ფესტივალის განმავლობაში სპექტაკლებზე დასასწრებად, ფაქტობრივად, მთელი დღით მიდიოდა, რადგან ყოველდღიურად სპექტაკლების წარმოდგენის დრო თავისი პაუზებით რვა საათზე ნაკლებს არ მოიცავდა.

თეატრალური ფესტივალი არ იყო სპექტაკლების ოდენ საჩვენებლად წარმოდგენა. მას ჰქონდა სერიოზული აგონის ანუ შეჯიბრების ხასიათი. მისი ორგანიზაცია ათენის უმაღლეს მოხელეს — არქონ-ეპონიმს — ევალებოდა, რაც სახელმწიფოსათვის ამ ღონისძიების მნიშვნელობას უსვამდა ხაზს. ის, თუ როგორ განაწილდა ადგილები საკონკურსოდ შერჩეულ პიესებს შორის, დიდასკალიებში აღინიშნებოდა. ისინი წარმოადგენდნენ ფესტივალებში მონაწილე დრამებისა და საგუნდო გამოსვლების ნუსხებს, შეიცავდნენ მოკლე ინფორმაციას თეატრალური აგონების შედეგთა შესახებ და ინახებოდა სახელმწიფოს არქივში.

ათენიდან თეატრალური ფესტივალების ჩატარების ტრადიცია მთელს ბერძნულენოვან სამყაროში გავრცელდა, ხოლო ძვ. წ. III-II საუკუნიდან თეატრმა მყარად მოიკიდა ფეხი რომშიც.

იმას, თუ რამდენად პოპულარული იყო თეატრი ანტიკურ სამყაროში, ნათლად აჩვენებს 760 თეატრისა და ოდეონის (საკონცერტო დარბაზი) ნანგრევები და წერილობითი ინფორმაცია იმ 160 თეატრის შესახებ, რომელთაც ვერ მოაღწიეს ჩვენამდე თუნდაც უმნიშვნელო ნანგრევის სახით.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ თითოეული თეატრი რამდენიმე ათას, მეტწილად 10000 ან მეტ მაყურებელზე იყო გათვლილი, მაშინ ცხადი გახდება, რომ ანტიკური სამყაროს თეატრების საერთო ტევადობა რამდენიმე მილიონ მაყურებელზე იყო გათვალისწინებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მოქალაქეს ჰქონდა თეატრალურ ფესტივალებზე დასწრების შესაძლებლობა, რამდენადაც დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ძველი საბერძნეთისა და რომის მოსახლეობის რაოდენობა ბევრად არ აღემატებოდა თეატრებში დასაჯდომი ადგილების რაოდენობას. შეიძლება დავუშვათ, რომ გარკვეული თეატრალური სანახაობის ტრადიციები კრეტამდე ადიოდა. დიდებულ მინოსურ ნანგრევებში აღმოჩენილია ნაგებობები, რომლებიც თავიანთი არქიტექტონიკით ყველაზე მეტად თეატრს შეესაბამება.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბერძნეთში აგონები. სპორტული შეჯიბრების ტრადიცია მინოსურ და მიკენურ პერიოდამდე ადის. კრეტულმა ფრესკულმა ხელოვნებამ შემოგვინახა ხარზე მხტომელთა გამოსახულებები, კუნძულ თერის, ასევე მინოსური ეპოქის ფრესკებზე გამოსახულია მოკრივე ბიჭები, ხოლო მიკენურ ამფორაზე — ეტლებით სრბოლის სცენა. ანტიკური წყაროების მიხედვით, თავდაპირველად ოლიმპიური თამაშები ჰერაკლეს დაუფუძნებია, ხოლო ძვ. წ. 776 წელს მათი ოდენ განახლება მომხდარა. სპორტული აგონების შორს მიმავალ ძირებზე მიუთითებს ჰომეროსის ეპოსიც; როგორც ტექსტის შესწავლამ გამოავლინა, „ილიადისა“ და „ოდისეას“ ჰექსამეტრულ სტრიქონთა არანაკლებ 5 პროცენტისა სპორტული შერკინებების აღწერას ეთმობა.

რამდენად ორგანული იყო ბერძნული სამყაროსათვის სპორტი, ამას ნათლად წარმოაჩენს აგონების დიდი ოდენობა. მათი უმეტესობა ლოკალური ხასიათის იყო, მაგრამ ოთხი მათგანი (ოლიმპიური, ნემეური, ისთმოსური, პითიური) იმდენად პოპულარული გახდა, რომ საერთო ელინური შეჯიბრების მნიშვნელობა მოიპოვა.

ოლიმპიური თამაშების დაფუძნების თუ განახლების თარიღად, როგორც აღინიშნა, ძვ. წ. 776 წელი მიიჩნეოდა. ოლიმპიაში, სადაც ზევსის ყველაზე ცნობილი საკულტო კომპლექსი იყო განლაგებული, ყოველ ოთხ წელიწადში ელინთა უმაღლესი ღმერთის პატივსაცემად საერთო ელინური თამაშები იმართებოდა. მათი განსაკუთრებულობა მშვენივრად აქვს გადმოცემული პინდაროსს თავის პირველ ოლიმპიურ ოდაში:

„საუკეთესო არის წყალი, ოქრო კი, ვით მანათობელი ცეცხლი
ღამით გამოირჩევა ამაყი სიმდიდრისგან.
ხოლო, თუკი გსურს შეჯიბრებას
უმღერო, ჩემო გულო,
ნუ აკვირდები მზის გვერდით დღისით
სხვა უფრო მცხუნვარე და ელვარე ვარსკვლავს უსიერ ეთერში,
ნუ მოინდომებ ოლიმპიაზე უმჯობესი შერკინების თქვა სიმღერა“
(ოლიმპიური I, 1-7)

აგონზე უამრავი ხალხი იკრიბებოდა მთელი საბერძნეთიდან. რამდენადაც მათი ჩატარების დრო (აგვისტო / სექტემბერი) ერთობ დიდ სიცხეებს ემთხვეოდა, იქ ჩასულ დაახლოებით 40000-45000 სტუმარს როგორც შეჯიბრებებისათვის თვალის დევნება, ასევე ღამის თევა საკმაოდ დიდ პრობლემებს უქმნიდა. თავდაპირველად თამაშების პროგრამა სპორტის ერთ სახეობას, სირბილს (δρόμος) შეიცავდა. თანდათანობით მას დაემატა სხვა სახეები და ბოლოს და ბოლოს შეჯიბრების დისციპლინების ნუსხამ ამგვარი სახე მიიღო: სირბილი, ჭიდაობა, კრივი, პანკრატიონი (ჭიდაობისა და კრივის სინთეზი), პენტათლონი ანუ ხუთჭიდი. ამას ძვ. წ. VII საუკუნის დასაწყისიდან დაემატა ეტლებით სრბოლა, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან თამაშების ფარგლებში 18 წლამდე ბიჭების და, როგორც ჩანს, გოგონების აგონები. ოლიმპიაში სტადიონზე, განსხვავებით ბერძნული თეატრისაგან, მაყურებელს მხოლოდ ფეხზე მდგარს ან ფერდობზე ჩამომჯდარს შეეძლო ეყურებინა სპორტული შეჯიბრებისათვის. გამონაკლისს წარმოადგენდა 160-მდე საპატიო სტუმარი, რომელთა დასაჯდომი ადგილების მოსამზადებლად ფესტივალის ორგანიზატორები ზრუნავდნენ. ოლიმპიაში გამარჯვებულები ადგილზე მხოლოდ დაფნის გვირგვინს ანუ მორალურ წახალისებას, ჯილდოს იღებდნენ. სამაგიეროდ მშობლიურ ქალაქში მათ დიდი ზარ-ზეიმით ხვდებოდნენ. გუნდი ასრულებდა მათი გამარჯვების აღსანიშნავად შექმნილ სიმღერას და მას დიდი ხნის განმავლობაში უდიდესი პატივით მოიხსენიებდნენ როგორც ოლიმპიაში გამარჯვებულს.

მასშტაბური სპორტული აგონებით ელინებმა მოახდინეს ოპოზიციის: გამარჯვებული – დამარცხებული, ბრძოლის ველთან დაკავშირებული ტრადიციული გაგების ნეიტრალიზაცია. ბრძოლაში გამარჯვებული, ჩვეულებრივ, ცოცხლად დარჩენილთან, ხოლო დამარცხებული – დაღუპულ მეომართან იყო ასოცირებული. სპორტულ აგონებში ამგვარი დაპირისპირება იმით ნეიტრალიზდებოდა, რომ გამარჯვება დამარცხებულის განადგურებასთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ – მხოლოდ საუკეთესოს გამოვლენასთან. აგონისტური სულის მეუფებამ საბერძნეთში ხელი შეუწყო მოქალაქეთა სწრაფვას, მიეღწიათ საუკეთესო სტატუსისათვის იმ საქმეში, რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ. ელინური სამყაროს ეს თვისება მშვენივრად შენიშნა და განაზოგადა უკვე ჰომეროსმა, რომელმაც თავის ეპოსში მთელი სიდიადით წარმოაჩინა გამარჯვების მოპოვებით გამოწვეული სიხარულის მნიშვნელობა ადამიანებისათვის.

ძვ. წ. VI საუკუნიდან სპორტული აგონები (ნემეას ველზე – ნემეური თამაშობები, კორინთოსთან მდებარე ისთმოსის კომპლექსში – ისთმოსური და დელფოსთან – პითიური) გარკვეული პერიოდულობით იმართებოდა. იმდენად დიდ ყურადღებას იჩენდნენ საზოგადოებაში სპორტული აგონებისა და ათლეტთა მიმართ, რომ მათ მხატვრული კულტურის არაერთი შესანიშნავი ნიმუში მიუძღვნეს (რასაც მოწმობს ვაზური ფერწერა,

პლასტიკა, საგუნდო ლირიკა). გარდა სტადიონებისა ჯირითში შეჯიბრება ეწყობოდა სპეციალურ ჰიპოდრომოსებზე („ცხენის ჯირითი"), რაც ასევე პოპულარობით სარგებლობდა ხალხში.

დიდი ყურადღება ეთმობოდა სანახაობებს რომში. იმპერიაში ხალხის გართობა სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზრუნავად იქცა. რომაელებმა ხალხის გართობის სფეროში ბერძნულისაგან შეთვისებულ ფორმებს ზოგიერთი ახალი, შესაძლოა, ნაწილობრივ ეტრუსკებისაგან მემკვიდრეობით მიღებული სახეობები დაუმატეს. და მართლაც, სპორტს, შეჯიბრებებს იტალიის უძველესი მკვიდრნი – ეტრუსკები – დიდ ყურადღებას აქცევდნენ და რომში, ამ მხრივ, მათგან ძალზე ბევრი გადმოიღეს მემკვიდრეობით. საბერძნეთისაგან განსხვავებით, რომში დიდი პოპულარობა მოიპოვა ე. წ. სისხლიანმა სანახაობებმა. ამ მხრივ გამოირჩევა გლადიატორთა შერკინებები. უკვე ეტრურიაში იყო ცნობილი მსგავსი ბრძოლები, რომლებიც თავდაპირველად ცნობილ პირთა დაკრძალვის რიტუალში ჩართული თამაშების დროს იმართებოდა. მათ რომში თანდათანობით დაკარგეს თავიანთი საკრალური ფუნქცია და მხოლოდ მასის გართობის დანიშნულება დაიტოვეს. გლადიატორთა „კორპუსი", ძირითადად, მონებისაგან კომპლექტდებოდა. მათ საგანგებოდ ამზადებდნენ სპეციალურ სკოლებში. განსაკუთრებით იყო ცნობილი გლადიატორთა სკოლა კაპუაში, საიდანაც ძვ. წ. 74 წელს დაიწყო სპარტაკის აჯანყება. თავად ტერმინი *გლადიატორი* ნიშნავს „ხმლით მებრძოლს" და, მართლაც, გლადიატორთა ტრადიციული შეიარაღება იყო ფარი და ხმალი. ამას ემატებოდა ბადე და



კოლოსეუმი

სამკბილა. დროთა განმავლობაში გლადიატორთა ბრძოლების საყურებლად ვეებერთელა არენები აიგო. რომში განსაკუთრებით გაითქვა სახელი კოლოსეუმმა, რომელსაც ანტიკურობაში Amphitheatrum Flavium-ს უწოდებდნენ, ხოლო მისი სახელი *კოლოსეუმი* ახ. წ. VIII საუკუნეში ჩნდება. როგორც ჩანს, ეს სახელი მის მახლობლად მდგარი კეისარ ნერონის კოლოსალური ქანდაკებისაგან წარმოდგება. ამფითეატრის მშენებლობა ნერონის დროს დაიწყო და ახ. წ. 80 წელს დასრულდა. გრანდიოზული ნაგებობა საინჟინრო აზრის ჭეშმარიტ შედევრს წარმოადგენდა. ელიფსის ფორმის ნაგებობა 424 მეტრზე იყო გადაჭიმული, სიგრძეში იგი 188, ხოლო სიგანეში 155 მეტრს შეადგენდა, სიმაღლე კი 50 მეტრს აღემატებოდა. იგი გათვლილი იყო 50000 მაყურებელზე. კოლოსეუმში იმართებოდა გლადიატორთა ყველაზე ცნობილი ორთაბრძოლები, რომლებსაც სისტემატურად ესწრებოდა ქვეყნის უზენაესი მმართველი – კეისარი. სწორედ მას მიესალმებოდნენ გლადია-

ტორები ცნობილი გამოთქმით: Ave, Caesar, morituri te salutant – „გაგიმარჯოს, კეისარ, სასიკვდილოდ განწირულნი მოგესალმებიან". გლადიატორთა ბრძოლები საოცარი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. აქ მაყურებელს შეეძლო ეხილა ორთაბრძოლები, ჯგუფური შეტაკებები, გლადიატორთა შერკინება გარეულ ცხოველებთან (ლომებთან, დათვებთან და ა. შ.) და საზღვაო ბრძოლა. სწორედ ამიტომ კოლოსეუმის ასპარეზისათვის განკუთვნილი სივრცე სწრაფად განიცდიდა ტრანსფორმაციას. იგი შეიძლებოდა დამსგავსებოდა აფრიკის ლანდშაფტს ან მთლიანად წყლით შევსებულიყო და ა. შ. კოლოსეუმში გათვალისწინებული იყო მაყურებლის დაცვა მზის მცხუნვარებისა და წვიმისაგან. ამისათვის გამოიყენებოდა სპეციალური საფარები, რომლებიც კოლოსეუმში სახურავივით გადაიჭიმებოდა ხოლმე.

რომის ყველაზე მრავალმაყურებლიანი ნაგებობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო Circus Maximus. საერთოდ კირკუსები თავდაპირველად მრგვალი, შემდეგ კი წაგრძელებული ნაგებობები იყო, რომლებშიც იმართებოდა ეტლებით და ცხენებით ჯირითი, სხვადასხვა პროცესიები, ან ტრიუმფალური მსვლელობები. კირკუს მაქსიმუსი კოლოსეუმთან ერთად რომის ყველაზე პოპულარული გასართობი ადგილი იყო. ავგუსტუსის ეპოქაში იგი 60000 მაყურებელს იტევდა, ხოლო შემდგომში, გაფართოების წყალობით, აქ ერთდროულად 200000 მაყურებელს შეეძლო დასწრება. მისი სიგრძე 600, ხოლო სიგანე 150 მ. იყო. გარდა აგონებისა, აქ რომაელთა თვალწინ კეისრები სჯიდნენ მონოთეისტ ქრისტიანებს, რომლებიც არ ცნობდნენ წარმართული რომის რწმენასა და კანონებს.



კირკუს მაქსიმუსი

რომის იმპერიაში, როგორც ჩანს, ხალხის გართობას ისევე მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ, როგორც მის გამოკვებას. ეს პრინციპი მშვენივრად განაზოგადა I–II საუკუნეების რომაელმა პოეტმა იუვენალისმა გამონათქვამით: panem et circenses – „პური და საცირკო თამაშობები" (X, 81), რაც, უნდა ვიფიქროთ, მისი თანამედროვე რომაელების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. არ იყო შემთხვევითი, რომ კეისრები ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევდნენ ხალხის მომადლიერებას შეწირულობებით, დიდებული წარმოდგენებითა თუ თეატრალური სანახაობებით.

- RE V A, 2, 1384-1422, Theatron.
- RE I, 1, 836-867, Agones.
- RE III A, 2. 1762-1174, Spiele.
- DNP 12/1, 254-274, Theater.
- DNP 11, 838-846, Sport.
- DNP 8, 1105-1105, Odeon.
- DNP 2, 1210-1220, Circus.
- W. Dörpfeld, E. Reisch, Das griechische Theater, Athen 1896.
- M. Galli, D. Dinelly, Neue Zeugnisse zum Theater des Herodes Atticus in Athen, in: Antike Welt 29, 1998, 519-532.
- W. Decker, Sport in der griechischen Antike, C. H. Beck, 1995.
- S. Laser, Sport und Spiel, Göttingen 1988.
- M. Bieber, History of Greek and Roman Theatre, Princeton 1961$^2$.
- H. D. Blume, Einführung in das antike Theaterwesen, Darmstadt 1991$^2$.
- A. v. Gerkan, W. Müller-Wiener, Das Theater von Epidauros, Stuttgart 1961.
- F. Kolb, Agora und Theater. Volks- und Festversammlung, Berlin 1981.
- H. W. Parke, Festivals of the Athenians, London 1986.
- H. Sonnabend, Theater, in: Mensch und Landschaft in der Antike, H. Sonnabend (Hrsg.), Weimar 1999, 549-552.
- C. Heucke, Sportstätten, in: Mensch und Landschaft in der Antike, H. Sonnabend (Hrsg.), Weimar 1999, 481-485.
- I. Weiler, Der Sport bei den Völkern der Alten Welt, Darmstadt 1988$^2$.
- M. Grant, Die Gladiatoren, aus den Engl. übers. von B. Mannsperger u. E. Schmalzriedt, Stuttgart 1970.
- E. N. Gardiner, Athletics of the Ancient World, Oxford 1955.
- G. Lukas, Die Körperkultur in frühen Epochen der Menschheitsentwicklung, Berlin 1969.
- W. Rudolph, Olympischer Kampfsport in der Antike. Faustkampf, Ringkampf und Pankration in den griechischen Nationalfestspielen, Berlin 1975.
- W. Rudolph, Olympische Spiele in der Antike, Leipzig, Jena, Berlin 1975.
- L. Deubner, Attische Feste, Berlin 1966$^2$.
- A. Pickard-Cambridge, The Dramatic Festivals of Athens, Oxford 1953.
- Д. П. Каллистов, Античный театр, Ленинград 1970.


## გართობა, მოგზაურობა

თერმების, თეატრების, სტადიონების, არენებისა და კირკუსების (ცირკების) გარდა, მასობრივი გართობის ადგილებად ითვლებოდა ქალაქების ცენტრალური მოედნები, რომელთაც საბერძნეთში აგორას, რომში კი — ფორუმს უწოდებდნენ. ეს იყო ქალაქების ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურული და, გარკვეულწილად, რელიგიური ცხოვრების ცენტრი. აქ იკრიბებოდა ქალაქების მოსახლეობის დიდი ნაწილი. ყველა ნახულობდა გართობის შესაძლებლობას: ზოგი ნაცნობებს ხვდებოდა, ზოგი პოლიტიკოსების გამოსვლას ისმენდა, ზოგი მაღაზიებს სტუმრობდა, ზოგიც ამ მოედნების გარშემო აღმართული ნაგე-

ბობებით ტკბებოდა. შესაბამისად, ამგვარი მოედნები ქალაქების მაცხოვრებელთა სეირნობისათვის ერთობ შესაფერისი ადგილი იყო. მოსახლეობის ზრდასთან ერთად ქალაქები იძულებულნი ხდებოდნენ მათ გაფართოებაზე ეზრუნათ.



ათენის აგორის მოდელი

ძველი სამყაროს მოქალაქეთა საყვარელი ადგილი შეხვედრებისა და სეირნობისათვის იყო გრძელი გალერეები, რომელთაც ერთ მხარეზე სხვადასხვა დანიშნულების ოთახებისა თუ დარბაზების რიგი გასდევდა, მეორეზე კი — სვეტები. ამგვარ ნაგებობებს ბერძნულად στοά, ხოლო ლათინურად porticus-ი ერქვა. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად მოხერხებული იყო ამ გალერეებში ისეთი ცხელი ქალაქების მკვიდრთათვის თავშეყრა, როგორიც, მაგალითად, ათენი და რომი იყო (რამდენადაც ეს ნაგებობები სამი მხრიდან ნიავდებოდა, ასევე მაღალი ჭერით იცავდნენ ადამიანებს წვიმისაგან და მზის მცხუნვარე სხივებისაგან).



ატალოსის სტოა ათენში

ჩამოყალიბდა რომის ფორუმის (Forum Romanum) არქიტექტონიკა, რომელიც საკრალური თუ საერო ხასიათის მრავალ ნაგებობას მოიცავდა. ქალაქის და კეისართა ამბიციების ზრდასთან ერთად, ახალი ნაგებობების აღმართვის და მოსახლეობის მატების შედეგად, ფორუმი დროთა განმავლობაში შეუსაბამო გახდა თავისი მასშტაბებით მზარდი ქალაქისათვის. ამიტომ რომის ფორუმის არეალს სხვადასხვა კეისრის ინიციატივით აგებული ე. წ. თანამგზავრი ფორუმები ემატებოდა. ამ პროცესის წყალობით, ვეებერთელა ქალაქის ცენტრში მრავალრიცხოვან ფორუმთა ერთიანი სისტემა ჩამოყალიბდა. ქვემოთ მოყვანილი სქემა იძლევა შესაძლებლობას შევიქმნათ წარმოდგენა ამ სისტემის დაახლოებითი სტრუქტურისა და მისი უმთავრესი ნაგებობების შესახებ.

## რომის ფორუმი — რეკონსტრუქცია




1. კურია, 2. სეპტიმიუს სევერუსის თაღი, 3. ემილიუსის ტაძარი, 4. მაკსენტიუსის ტაძარი, 5. ანტონინუსის და ფავსტინუსის ტაძარი, 6. კოლოსეუმი, 7. რომულუსის ტაძარი-როტონდა, 8. ვენუსისა და რომის ტაძარი, 9. იულიუს კეისრის ტაძარი, 10. ტიტუსის თაღი, 11. ვესტალების სახლი, 12. წმინდა მარია ანტიკა, 13. პალატინუმი, 14. ავგუტუსის ტაძარი, 15. ვესტას ტაძარი, 16. კასტორისა და პოლუქსის ტაძარი, 17. იულიას ტაძარი, 18. ფოკუსის სვეტი, 19. როსტრები, 20. ვია საკრა – წმინდა გზა, 21. სატურნუსის ტაძარი.

# რომის ფორუმი



1. სატურნუსის ტაძარი, 2. ვია საკრა – წმინდა გზა, 3. ვესპასიანუსის ტაძარი, 4. როსტრები, 5. სეპტიმიუს სევერუსის თაღი, 6. კურია, 7. ემილიუსის ტაძარი, 8. მაკსენტიუსის ტაძარი, 9. ანტონინუსის და ფავსტინუსის ტაძარი, 10. კოლოსეუმი, 11. რომულუსის ტაძარი-როტონდა, 12. ფოკუსის სვეტი, 13. იულიუს კეისრის ტაძარი, 14. ვენუსისა და რომის ტაძარი, 15. ტიტუსის თაღი, 16. ვესტას ტაძარი, 17. ვესტალების სახლი, 18. კასტორისა და პოლუქსის ტაძარი, 19. წმინდა მარია ანტიკა, 20. პალატინუმი, 21. ავგუსტუსის ტაძარი, 22. იულიას ტაძარი.

ანტიკურ საზოგადოებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მოგზაურობას. უნდა ვიფიქროთ, რომ უკვე მინოსურსა და მიკენურ ეპოქაში ზღვითა და ხმელეთით გადაადგილება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამას გვიდასტურებს მინოსურ კრეტაზე გზების საკმაოდ ფართო ქსელის არსებობა და თერის ფრესკებზე დადასტურებული ხომალდებით მოგზაურობის ამსახველი სცენა. საბერძნეთში საკმაოდ ადრე დაიწყო საკოლონიზაციო მოძრაობა, რამაც ბერძნები საოცრად „მობილურ" და მოგზაურობის მოყვარულ ხალხად აქცია. ჰომეროსმა თავისი „ოდისეათი" მოხეტიალე გმირის იმდენად პოპულარული სახე შექმნა, რომ ტერმინი *ოდისეა* ხანგრძლივი და ფათერაკებით აღსავსე მოგზაურობის სინონიმად იქცა.

ანტიკური საზოგადოება არ იცნობდა ტურიზმს იმ მასშტაბებით, როგორც ეს თანამედროვე მსოფლიოსათვის არის დამახასიათებელი, სადაც მილიონობით ტურისტი ვეებერთელა მანძილს ფარავს იმისათვის, რომ დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობა ან დაისვენოს სასურველ ადგილას. დღეს ამ ადამიანების გამგებლობაშია ვეებერთელა ტურისტული ინდუსტრია, დაწყებული ტრანსპორტით დამთავრებული კომფორტული სასტუმროებითა და რესტორნებით. მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურობაში ტურიზმის განსავითარებლად არ იყო ამდენი შესაძლებლობა, როგორც ვთქვით, მოგზაურობას ძველ ბერძენთა და რომაელთა ცხოვრებაში საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა და ისინი არცთუ იშვიათად ხალისით გადაადგილდებოდნენ ხოლმე ძველი სამყაროს ყველაზე შორეულ რეგიონებშიც კი. თუმცა ეს ხშირად ბევრ დაბრკოლებასთან იყო დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოგზაურობა სახიფათო იყო როგორც ზღვაზე, ასევე ხმელეთზე. ხომალდებით მოგზაურებს ემუქრებოდათ ღელვა, ხანძარი და, რაც მთავარია, მეკობრეები. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელთა მიმართ ჯერ პოლისები, შემდეგ ელინისტური სახელმწიფოები, ბოლოს კი რომის იმპერია საგანგებო ზომებს იღებდნენ, მეკობრეობა მაინც ვერ ამოიფხვრა. ამ დანაშაულს ხომ ზღვის ყაჩაღებისათვის საკმაოდ დიდი შემოსავალი მოჰქონდა. ნართმეული ქონების გარდა, ისინი ფულს დაყაჩაღებულ ხომალდებზე ტყვედ აყვანილ მგზავრთა მონებად გაყიდვითაც იღებდნენ. მოგზაურები არც ხმელეთზე იყვნენ დაცულნი ყაჩაღების თავდასხმისაგან. ამიტომ მოგზაურობისას ცდილობდნენ, თან რაც შეიძლება ცოტა ფული და სამკაულები ჰქონოდათ ან დიდ ჯგუფებად გაერთიანებულიყვნენ და დაცვისათვის თან მონებიც წაეყვანათ. მოგზაურობა ხორციელდებოდა ფეხით, სახედრით, ცხენით, ეტლებით ან ურმებით, ხომალდებით. რასაკვირველია, მოგზაურობის სისწრაფე და კომფორტულობა ბევრად იყო დამოკიდებული სატრანსპორტო საშუალებებზე. ანტიკურ სამყაროში ყველაზე ეფექტური და სწრაფი სატრანსპორტო საშუალება ხომალდი იყო.

როგორც ჩანს, გემთმშენებლობა უკვე მინოსურ ეპოქაში საკმაოდ მაღალ დონეს აღწევდა, რაც კრეტას შესაძლებლობას აძლევდა ზღვაზე მკაცრი კონტროლი დაეწესებინა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა რეგიონთან ეფექტური სავაჭრო ურთიერთობები ეწარმოებინა.

ძვ. წ. I ათასწლეულში ხომალდების მშენებლობის მიმართ ყურადღება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ამას ხელს უწყობდა დიდი ბერძნული საკოლონიზაციო მოძრაობა, საზღვაო ბრძოლების მასშტაბები, ელინისტური სამყაროს და შემდეგ რომის იმპერიის წარმოქმნა, სადაც ხომალდები ვეებერთელა სივრცეების დაფარვის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა. მართალია, გემთმშენებლობამ ანტიკურ სამყაროში ვერ შეძლო მენიჩბეთა და იალქნების ფუნქცია ხომალდთა გადასაადგილებელი სხვა საშუალებებით შეეცვალა, მაგრამ, თუ წყაროებს დავუჯერებთ, ზღვის ტრანსპორტის შესაძლებლობები სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ხოლო ზომები საოცრად შთამბეჭდავი ხდებოდა.

თანამედროვე მეცნიერები არ გამორიცხავენ ანტიკურობაში 3000-მდე ტონის მქონე წყალწყვის და 7000-მდე ადამიანის ტარების შესაძლებლობის მქონე ხომალდების არსებო-

ბას. მართალია, ნაკლებად სავარაუდოა იმ დროს სპეციალური ტურისტული თუ სამგზავრო ზღვის ხომალდების არსებობა, მაგრამ მგზავრების გადაყვანა სავაჭრო, საბარგო და, შესაძლოა, სამხედრო ხომალდებით ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ამ ხომალდებზე მრავლად იყო კომფორტული კაიუტები. როგორც ჩანს, მგზავრები, ძირითადად, გემბანზე იმყოფებოდნენ და თავადვე ზრუნავდნენ საკუთარ კვებასა და ღამის თევაზე. ხომალდები ხელსაყრელი ამინდის პირობებში დღეში 120 საზღვაო მილის გაცურვას ახერხებდნენ.

რაც შეეხება ხმელეთზე მოგზაურობას, აქ გადაადგილების სისწრაფე ტრანსპორტის სახეობაზე იყო დამოკიდებული. ეტლითა და ცხენით დღეში სულ ცოტა 60 ან 75 კმ. მანძილის დაფარვა შეიძლებოდა. სამგზავრო ეტლების ტევადობა სხვადასხვაგვარი იყო: ე. წ. გალიურ raeda-ში მრავალი მგზავრი თავსდებოდა და მოძრაობისას იქ კითხვა და წერაც კი შეიძლებოდა. უფრო კომფორტული და სწრაფი იყო მცირე ზომის მსუბუქი ეტლები ორი მგზავრისთვის, რომლებშიც ღამით მოგზაურობისას დაწოლა და ძილიც კი იყო შესაძლებელი.

რასაკვირველია, ტრანსპორტით ხმელეთზე გადაადგილებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გზების მშენებლობას. ამას განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდნენ ხოლმე იმპერიები. ცნობილია, რომ სპარსეთმა ხმელეთით გადასაადგილებლად ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში სატახტო ქალაქ სუსასგან დაშორებულ ქვეყნებთან დასაკავშირებლად კარგად ნაგები გზების მთელი ქსელი შექმნა. განსაკუთრებით ცნობილი იყო ე. წ. „სამეფო გზა", რომელიც ეგეოსის ზღვის სანაპიროზე მდებარე ეფესოსიდან იწყებოდა, გაივლიდა ლიდიურ სარდესს, ფრიგიულ გორდიონს, კაპადოკიურ პტერიას, გადალახავდა არმენიის მთებს, მიუყვებოდა ტიგრისის დინებას და სუსამდე ჩადიოდა. ამ საოცრად გრძელი გზის გაყოლებაზე 111 სადგური ყოფილა. აქ მგზავრებს ცხენების შეცვლა და დასვენება შეეძლოთ.

კიდევ უფრო დიდი ყურადღება ექცეოდა რომში გზების მშენებლობას, რადგან მათ გარეშე ვეებერთელა სივრცეზე გადაჭიმული იმპერიის მართვა შეუძლებელი იქნებოდა. ცნობილი იყო ისეთი გზები, როგორიცაა: Via Appia, Via Egnatia, Via Flaminia, Via Salaria და ა. შ. დღესაც კი გვაოცებს რომის იმპერიაში გზების მშენებლობის მაღალი დონე. გზების ქსელი დაახლოებით 290000 კმ-ს მოიცავდა. აქედან 90000 კმ. მოკირწყლული იყო. ეს, რასაკვირველია, ხელს უწყობდა მიმოსვლას. ა. მ., თანამედროვე მაინციდან (გერმანია) რომში ათ დღეში შეიძლებოდა ჩასვლა. სახელმწიფო ფოსტის გადამტანი ტრანსპორტი კი ამ გზებზე დღეში 200 კმ-ს ფარავდა. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე იტალიის სახელმწიფო გზების დაახლოებით 24000 კმ. ქსელიდან 12000 კმ. ანტიკური გზების ტრასას გასდევს.

ბუნებრივია, მოგზაურობისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ღამის თევის პრობლემის გადაჭრას. ამ მხრივ, უმთავრესი იყო ის შესაძლებლობები, რასაც სთავაზობდნენ ერთმანეთს სტუმართმოყვარე მასპინძლები. თითოეული მოქალაქის სახლში გათვალისწინებული იყო სულ ცოტა 2 სასტუმრო ოთახი მაინც. გარდა ამისა, სხვა ქალაქში აღმოჩენილი პირისთვის, რომელიც აქ სამართლებრივად ნაკლებად იყო დაცული, მასპინძლის მფარველობა უსაფრთხოების გარანტიას ქმნიდა. ხშირად მოგზაურებს თან საკუთარი კარვები ან სულაც საცხოვრებლად ვარგისი კაბინების მქონე ეტლები მიჰყავდათ. ნერონს მოგზაურობისას სულ ცოტა 1000 ამგვარი მოძრავი ღამის სათევი მაინც მიჰყვებოდა. სასტუმროების კულტურით ანტიკური სამყარო არ გამოირჩეოდა, თუმცა ღამის თევისათვის განკუთვნილი საკმაოდ არაკომფორტული სასტუმროების გახსნა უკვე კლასიკურ საბერძნეთში დაიწყო და მან განსაკუთრებულ ინტენსივობას ელინისტურსა და რომაული ბატონობის ეპოქებში მიაღწია. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ სასტუმროში, ჭერისა და საწოლის გარდა, სტუმრებს კომფორტული ცხოვრების სხვა საშუალებებსაც სთავაზობდნენ. როგორც რომაული დასახლების, ქსანტეს სასტუმროს გეგმა გვიჩვენებს, აქ არცთუ ცუდი პირობები ჰქონდათ შექმნილი.




ქსანტეს სასტუმროს ფუნდამენტი
1. სამზარეულო, 2. სასადილო ოთახი, 3. სასტუმრო ოთახი, 4. დუქანი, 5. აბანო: a) საპირფარეშო, b) ტანსაცმლის გამოსაცვლელი ოთახი, c) ცივი წყლის ოთახი, d) ნელთბილი გასასვლელი ოთახი, e) ცხელი წყლის ოთახი, f) საქვაბე, 6. ჭები, 7. ბაღი

რაც შეეხება მოგზაურთა კვების საკითხს, მათ, ჩვეულებრივ, პროდუქტები თან მიჰქონდათ, ხოლო ხანგრძლივ მოგზაურობებში საკვების მარაგს გზაში ივსებდნენ. წყალი და საკვები მათ შეეძლოთ შეეძინათ გზებზე განლაგებულ ე. წ. mansio-ებში ანუ შესასვენებელ სადგურებში. რაც შეეხება ქალაქებს, როგორც პომპეისა და ოსტიას გათხრები გვიჩვენებს, აქ ე. წ. საზოგადოებრივი კვების ობიექტების (დუქნების, სასადილოების, ლუდხანების და ა. შ.) საკმაოდ ფართო ქსელი არსებობდა. თუმცა მათში, ძირითადად, „პროლეტარიატი" იყრიდა ხოლმე თავს. ქალაქების მკვიდრთა და სტუმართა განკარგულებაში იყო საროსკიპოებიც, რომლებშიც კლიენტების მისაზიდად მათი მეპატრონეები ზრუნავდნენ.

მოგზაურობის მოტივი თუ დანიშნულება სხვადასხვაგვარი იყო. ყველაზე ხშირი იყო ე. წ. საქმიანი მოგზაურობები, რომელთაც ანტიკური სამყაროს „ბიზნესმენები", ძირითადად, ვაჭრობის მიზნით ახორციელებდნენ. დიდი იყო სხვადასხვა ტიპის თამაშობებზე წამსვლელთა რაოდენობაც. ჩვეულებრივი მოვლენა იყო მომლოცველთა და სამკურნალო ადგილებში წამსვლელთა მოგზაურობები. ა. მ., დელფოს სამისნოს სულ სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრობდნენ, ხოლო ეპიდავროსის სამკურნალო კომპლექსში, რომლის ცენტრალურ „სანატორიუმში" 180 ოთახი იყო, არასოდეს წყდებოდა ასკლეპიოსისა და მისი ხელდასხმული ექიმების იმედის მქონე სნეულთა ნაკადი. საკმაოდ გავრცელებული იყო მოგზაურობა გეოგრაფიული და ისტორიული ჰორიზონტის გაფართოების ანუ კვლევის მიზნით. ამგვარი მოგზაურობების შედეგად ხშირად იქმნებოდა ნაშრომები, რომლებიც გვთავაზობდნენ ამა თუ იმ ქვეყნის, რეგიონის ან საერთოდ ანტიკური სამყაროს თვალსაწიერში მოხვედრილი მსოფლიოს აღწერას. ცნობილი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები, გეოგრაფოსები, ბუნებისმეტყველები საკმაოდ ბევრს მოგზაურობდნენ იმისთვის, რომ შეექმნათ უხვი ინფორმაციის შემცველი ნაშრომები. მათ საფუძველზე წარმოიქმნა ანტიკურობაში ე. წ. სამოგზაურო-აღწერითი ლიტერატურა პერიპლუსების („გარშემოცურვა"), პერიეგესისების („გარშემოტარება"), ისტორიების, გეოგრაფიის და ა. შ. სახით. სწორედ მათი წყალობით არის შემონახული უნიკალური ინფორმაცია ძველი სამყაროს, მათ შორის ანტიკური საქართველოს შესახებ. მოგზაურობას ხშირად საფუძვლად ედო სწავლისა და ახლის გაცნობის სურვილი. ა. მ., ჩვეულებრივი მოვლენა იყო რომაელი ახალგაზრდების გამგზავრება ათენში ან სხვა ბერძნულ ცენტრებში არსებულ ფილოსოფიურ სკოლებში ცოდნის ასამაღლებლად. ტურიზმის მოტივს ხშირად წარმოადგენდა ცნობილი ძეგლებისა და ბუნების ღირსშესანიშნავი მოვლენების ხილვა. ა. მ., ეგვიპტეში მოგზაურობდნენ პირამიდების, მემნონის კოლოსის, თებეს ნანგრევების, ალექსანდრიის და ა. შ. სანახავად, ათენში — აკროპოლისის მოსახილველად, სიცილიაში — „დაუდგრომელი" ეტნის სანახავად, ხოლო ნილოსის ნაპირებზე —

დიდი მდინარის „ქცევაზე" დასაკვირველად. რასაკვირველია, მოგზაურებს იზიდავდა თავად რომი, იმპერიის დედაქალაქი. მოგზაურობის სურვილს არცთუ იშვიათად შვებულების პერიოდიც აღძრავდა ხოლმე. ამ დროს დიდი ქალაქების ორომტრიალისაგან თავის დასაღწევად ბუნებას მიაშურებდნენ ხოლმე, ზღვის სანაპიროებს ან მთებს.

მდიდარი რომაელები მიემგზავრებოდნენ დასასვენებლად ნეაპოლის ყურეში. ჩვეულებრივი მოვლენა იყო შვებულების გატარება იქ, სადაც ცნობილი კურორტები იყო სამკურნალო თერმული წყლის აბაზანებით. ახ. წ. IV საუკუნიდან ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან ერთად მოგზაურთა კიდევ ერთი – მომლოცველების კატეგორია წარმოიქმნა. პილიგრიმები მრავლად მიემართებოდნენ წმინდა ადგილთა მოსახილველად.

### ლიტერატურა


- RE, Suppl. 7, 1626-1664, Ludi circenses.
- DNP 10, 856-866, Reisen.
- K.-W. Weeber, Panem et circenses, Mainz 1994.
- H. Sonnabend, Amphitheater, in: Mensch und Landschaft in der Antike, H. Sonnabend (Hrsg.), Weimar 1999, 28-31. იქვე: Odeion 377, Reisen 423-424, Tourismus 563-564.
- A. Hönle, A. Henze, Römische Amphitheater und Stadien, Luzern 1984.
- L. Casson, Reisen in der alten Welt, München 1976.
- H. Bender, Römischer Reiseverkehr, Aalen 1978.


## სახლი, ავეჯი

ანტიკური ეპოქის ადამიანის ცხოვრების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი იყო დაკავშირებული იმ სახლთან, რომელშიც იგი ცხოვრობდა. ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა ე. წ. ოფიციალური და საკულტო ნაგებობების შესახებ, ახლა რამდენიმე სიტყვით შეეხოთ კერძო სახლებს, რომლებშიც ცხოვრობდნენ ძველი ბერძნები და რომაელები. ამ მხრივ, ანტიკური სამყარო საუკუნეების კვალდაკვალ საკმაოდ მნიშვნელოვან ცვლილებებს გვიჩვენებს. ა. მ., დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მინოსური ცივილიზაციის მკვიდრნი საკმაოდ კომფორტულ სახლებში ცხოვრობდნენ. როგორც ჩანს, ამ სახლების არქიტექტურისათვის დამახასიათებელი იყო ისეთი ელემენტის ეფექტურად გამოყენება, როგორიც არის ფანჯარა, რომელიც შეიძლებოდა მიმართული ყოფილიყო როგორც შენობის შუაგულში მდებარე ეზოსაკენ, ასევე — ქუჩისაკენ.

ეგეოსური ცივილიზაციის დაქვეითების შემდგომ ნაგებობები საკმაოდ გაპრიმიტიულდა და ისინი, თუკი წარჩინებულთა სახლებს არ გავითვალისწინებთ, ფაქტობრივად, ალბათ, მხოლოდ სადგომის ფუნქციას თუ ასრულებდნენ.

ცივილიზაცია ანტიკურ საბერძნეთში თანდათანობით კვლავ აღმავალი გზით იწყებს სვლას და ყველაზე გვიან ძვ. წ. VI-V საუკუნიდან სახლების არსებულ ტიპებს ემატება რამდენიმე ძირითადი ტიპი: მათგან გამოირჩევა ე. წ. პასტასის, პროსტასის და პერისტილოსის ტიპის სახლები.




პასტასის ტიპის სახლი (ძვ. წ. IV ს.). ოლინთოსი. ფუნდამენტი

პასტასის ტიპის სახლები ცნობილი იყო იმით, რომ ამ სახლის შიდა ეზოში შესვლა ხდებოდა ვესტიბიულის საშუალებით, რომელიც, შესაძლოა, აქეთ-იქიდან სვეტებით ყოფილიყო გარშემორტყმული. ხშირად ეზოს აგრძელებდა მთელი სახლის გასწვრივ გადაჭიმული დარბაზი-კორიდორი. ეზოსა და დარბაზის გარშემო განლაგებული იყო სხვადასხვა ფუნქციის მქონე ოთახები. უმთავრესი იყო ე. წ. οἶκος („ძირითადი ოთახი"), διατῆρία („საცხოვრებელი ოთახები"), ἀνδρών („კაცების სასადილო ოთახი") და ასევე δειπνητήριον („სამზარეულო"). გარკვეულ შემთხვევებში, იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლებული იყო სახლის პატრონი, აქ მოთავსებული იყო სააბაზანო ოთახიც. ეზოდან ადამიანი ადიოდა მეორე სართულზე, სადაც განლაგებული იყო γυναικωνῖτις („საძინებელი ოთახები ქალებისათვის") და ასევე ოთახები მსახურებისა თუ მონებისათვის.




პროსტასის ტიპის სახლი (ძვ. წ. V ს.). პირეასი. ფუნდამენტი

პროსტასის ტიპის სახლი, ფაქტობრივად, აგრძელებს იმ ტრადიციებს, რაც მიკენური ეპოქის მეგარონამდე ადის. პროსტასის ტიპის სახლებში, არსებითად, ავითარებდნენ ერთდარბაზიანი მეგარონის სახლის არქიტექტურას. ეს არის მართკუთხედის ფორმის ნაგებობა, რომელშიც განსხვავებით სახლის წინა ტიპისაგან, საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს შესასვლელ ეზოს, რის საფუძველზეც არის საკმაოდ შემცირებული ე. წ. პასტასის ტიპის სახლების კორიდორ-დარბაზის მოცულობა. ამასთანავე ეს უკანასკნელი არ გრძელდება მთელი სახლის გასწვრივ, არამედ წარმოადგენს საკმაოდ შეზღუდულ სივრცეს ეზოსა და სხვადასხვა დანიშნულების მქონე ოთახებს შორის.

ალბათ, ძვ. წ. IV საუკუნიდან განვითარება დაიწყო პერისტილოსის ტიპის სახლებმა, რომლებშიც ბევრი რამ შეიცვალა ფუნქციონალურად. უპირველეს ყოვლისა, ეს სახლები გამოირჩევიან თავიანთი მდიდრულობით და ფერწერული თუ მოზაი-




1. ტავერნა
2. ალა
3. ტაბლინუმი
4. კუბიკულუმი
5. ტრიკლინიუმი

პერისტილოსის ტიპის სახლი, „Casa dei Capitelli figurati" (ძვ. წ. II ს.). პომპეი. ფუნდამენტი

კური გაფორმებით. პერისტილოსი, არსებითად, გულისხმობს სვეტებით გარშემორტყმული სივრცის არსებობას სახლის შიგნით და ამ სივრცის გარშემო სხვადასხვა დანიშნულების ოთახების განლაგებას. ამ ტიპის არქიტექტურაში უფრო მეტად არის გათვალისწინებული ის, რომ სახლში შეიძლება გაიმართოს სხვადასხვა ხასიათის ნადიმები, შეკრებები.




ატრიუმი. სქემა. (ძვ. წ. IV ს.).
ფუნდამენტი

რომში არქიტექტურამ გადაიღო, ერთი მხრივ, იტალიკური, ეტრუსკული არქიტექტურის ფორმები, ხოლო, მეორე მხრივ, ის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც შენდებოდა სახლები ელინისტურ ეპოქაში. როგორც პომპეისა და ჰერკულანეუმის გათხრები გვიჩვენებს, პროსტასის ტიპის სახლში მოხდა საკუთრივ ბერძნული პერისტილოსის არქიტექტურული ფორმისა და ლათინური ატრიუმის ფორმის გაერთიანება. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სახლის სივრცეს, რომელსაც აქვს ოთხკუთხედი ჭრილი, ღიაობა ჭერში, რომლის ქვევითაც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო საკულტო დანიშნულების კერია, ხოლო შემდგომ კი აქ დამონტაჟდა ჩამოსული წვიმის წყლის დასაგროვებელი მილ-გაყვანილობა და რეზერვუარი.




TO. tabernae და officinae – სახლის გარეთ მდებარე სავაჭროები (დუქნები).
1. atriensis – სახლის ზედამხედველი და დარაჯი, 2. impluvium – ატრიუმის ცენტრში მდებარე აუზი, 3. compluvium – ატრიუმის სახურავზე მდებარე სწორკუთხოვანი ხვრელი, საიდანაც ჩაედინება წვიმის წყალი აუზში, 4. ზედა სართული, სადაც ასვლა ხდებოდა ატრიუმის გვერდით მდებარე კიბით, 5. cubicula – საძინებლები, 6. ala – ატრიუმის ერთ-ერთ მხარეს მდებარე საყოფაცხოვრებო ნაგებობები, 7. triclinium – სასადილო, სადაც მაგიდის ირგვლივ სამი დივანი იყო მოთავსებული, 8. andron – სახლის შიგნით მდებარე ნაგებობებს შორის გასასვლელი სივრცე, 9. viridarium – ბაღი შადრევნებითა და ქანდაკებებით, რომელიც ემიჯნება პერისტილიუმს, 10. culina – სამზარეულო, 11. balneum – აბანო, 12. gynaeceum – ქალთა სამყოფი ნაწილი, 13. ტრიკლინიუმები წელიწადის სხვადასხვა დროისათვის, 14. peristylium – მეორე პერისტილიუმი დიდი ბაღით, 15. oecus და diaetae – ბაღისაკენ მიმართული საცხოვრებელი ნაგებობები



ოსტია. გასაქირავებელი სახლის სქემა

იმ დემოკრატიული პროცესებიდან გამომდინარე, რაც რომის იმპერიაში მიმდინარეობდა, რომაული არქიტექტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ტენდენცია გახდა ე. წ. მრავალსართულიანი, იგულისხმება, ძირითადად, სამსართულიანი გასაქირავებელი ბინების შემცველი სახლების მშენებლობა.

დღეს, როდესაც უძრავი ქონების შეძენისას ერთ-ერთი პირველი კითხვა, რაც ადამიანის წინაშე ისმის, არის ამ ქონების ღირებულება, მკითხველისათვის უთუოდ საინტერესოა, მაგალითად, რა ღირდა ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლი საბერძნეთში. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში სახლის ფასს განსაზღვრავდა მისი მოცულობა და კეთილმოწყობის ხარისხი. ფიქრობენ, რომ ფასები მერყეობდა 900-დან 5300 დრაქმამდე. შესაბამისად, შეიძლება დავუშვათ, რომ ნორმალური სახლი ღირდა საშუალოდ 1000-2000 დრაქმამდე. იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ, თუ რა თანხასთან გვაქვს აქ საქმე, შეიძლება გავიხსენოთ, რომ ერთი დრაქმა წარმოადგენდა საშუალოდ იმ თანხას, რომლითაც ერთ პირს შეეძლო თავი შეენახა ერთი დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუკი ხდებოდა ე. წ. კომუნალური ბინის დაქირავება, მაშინ წლიური გადასახადი დაახლოებით 50 დრაქმას უდრიდა.

სახლი ანტიკურ სამყაროში წარმოადგენდა არა მხოლოდ საცხოვრებელს, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ ადგილს, სადაც ადამიანს შეეძლო აღესრულებინა რელიგიურ ცხოვრებასთან თუ სხვადასხვა ზეიმებთან დაკავშირებული რიტუალები. გარდა ამისა, განსაკუთრებით მდიდრულ სახლებში, არცთუ იშვიათად აწყობდნენ სიმპოსიონებს. თუ როგორი ფორმა ჰქონდა ამ შეკრებებს კლასიკურ ათენში, ამაზე საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვიქმნის პლატონის დიალოგები, რომლებშიც აღწერილია, რაოდენ საინტერესო ფილოსოფიური დისკუსიები ახლდა თან სხვადასხვა პირების საცხოვრებელ სახლებში სიმპოსიონებს.

ანტიკურ სამყაროში, რასაკვირველია, დიდი ყურადღება ექცეოდა სახლის ავეჯით მოწყობის საკითხს. ჩვეულებრივ, საბერძნეთში ავეჯის ყველაზე უფრო გავრცელებული სახეები იყო შემდეგი:



საწოლი რბილი ქვეშაგებით, გადასაფარებლებითა და ბალიშებით (1); სპეციალური ტახტი, რომელზედაც წამოწოლილები შეექცეოდნენ საჭმელს. ამ ტახტს ჰქონდა შესაბამისი ქვეშაგები და ამაღლება თავის მხარეს; სადაც ბალიშები ენყო (2); სავარძელი (3); გასაშლელი სკამი (4); ტაბურეტი თავისი ფეხის დასადებით (5); სამუშაო სკამი დიასახლისისათვის (6); გარდა ამისა, თეატრებში შეიძლებოდა ყოფილიყო სპეციალური მარმარილოს სავარძლები საპატიო სტუმრებისა და ჟურუმებისათვის, როგორც, მაგალითად, დიონისეს თეატრში (7).

ბუნებრივია, ყოველივე ამას ემატებოდა სახლის შემკულობისათვის საჭირო სხვადასხვა ნივთები. ა. მ., სახლის გასანათებლად გამოყენებული იყო სხვადასხვა სახის ლამპები, რომელთაც დროთა განმავლობაში სულ სხვადასხვა ფორმები მიიღეს და მათ საკმაოდ წარმატებით იყენებდნენ სახლების გასანათებლად.

რომმა, არსებითად, გადაიღო ელინურ ეპოქაში გავრცელებული ავეჯის ფორმები და რამდენადმე გაამრავალფეროვნა ისინი. აქ ყურადღებას იპყრობს:




სამფეხიანი მრგვალი მაგიდა, რომელიც ხშირად ბრინჯაოსგან მზადდებოდა (1); სკამი ქვეშაგებითა და ფეხის დასადებით, რომელიც, ჩვეულებრივ, სახლის შესასვლელში იდგა და მასზე დამჯდარ ადამიანს შეეძლო ფეხი დაებანა. ასეთი სკამი შეიძლებოდა მარმარილოსგანაც ყოფილიყო დამზადებული (2); დაწნული სავარძელი (3); ორიგინალური ფორმის, შესაძლოა, საკულტო ავეჯამდე ამავალი სკამი (4); ავეჯისაგან დამოუკიდებელი მაღალფეხიანი შანდლები სანთლისათვის ან ზეთის ლამპებისათვის (5-6).

## ლიტერატურა


- RE VII, 2, 2523-2546, Haus.
- DNP 5, 198-210, Haus.

- DNP 8, 318-323, Möbel.
- H. Sonnabend, Wohnhaus, in: Mensch und Landschaft in der Antike, H. Sonnabend (Hrsg.), Weimar 1999, 616-619.
- E. Brödner, Wohnen in der Antike, Darmstadt 1989.
- J. W. Graham, The Greek and Roman House, in: Phoenix 20, 1966, 3-31.
- W. Hoepfner, E.-L. Schwandtner, Haus und Stadt im klassischen Griechenland, München 1986.
- W. Hoepfner (Hrsg.), Geschichte des Wohnens, Bd. 1: 5000 v. Chr. – 500 n. Chr. Vorgeschichte, Frühgeschichte, Antike, Stuttgart 1998.
- A. G. Mckay, Römische Häuser, Villen und Paläste, Luzern 1984.
- B. C. Rider, Ancient Greek Houses, Chicago 1964.
- G. M. A. Richter, The Furniture of the Greeks, Etruscans and Romans, London 1966.


## თერმები, აბაზანები

უკვე მინოსური კრეტის სასახლეებში ვხვდებით სააბაზანო ოთახებს ინდივიდუალური გამოყენებისათვის. გვიანკლასიკური და ელინისტური ეპოქის ბერძნულენოვან სამყაროში ფეხი მოიკიდა ე. წ. საერთო აბანოებმა, რომელნიც წარმოადგენდნენ ორი ბერძნული არქიტექტურული ფორმის სტრუქტურული და ფუნქციონალური შერწყმის შედეგს: საკუთრივ განბანის მიზნით აგებული აბანოებისა და სპორტულ-აღმზრდელობითი დანიშნულების მქონე გიმნასიონებისა. განსაკუთრებული გასაქანი მიეცა საზოგადოებრივი აბანოების მშენებლობას რომის იმპერიაში. მათ აღსანიშნავად გამოყენებული იქნა ბერძნული ლექსიკური ფორმატივიდან (θερμός) ნაწარმოები ტერმინი thermae („თბილი"), რომელიც მოგვიანებით ბერძნულ ენაშიც „დაბრუნდა". რა განსხვავება იყო საკუთრივ აბანოებს, აბაზანებს (βαλανεῖον, ლათ. balneae) და თერმებს შორის? თუკი პირველთა დანიშნულება, ძირითადად, განბანით შემოიფარგლებოდა, თერმები დროთა განმავლობაში ნამდვილ ჰიგიენურ-სპორტულ-კულტურულ ცენტრებად იქცნენ და ქალაქების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება იწყეს. თერმებში ადამიანები მიდიოდნენ არა მარტო განსაბანად და სავარჯიშოდ, არამედ საკვებად რესტორნებსა და ბარებში, სპეციალურ დარბაზებში საინტერესო გამოსვლების მოსასმენად, იქვე არსებულ ბიბლიოთეკებში სამუშაოდ. საკუთრივ სააბაზანო ნაწილი ხუთ ძირითად დარბაზს შეიცავდა: caldarium (ცხელი წყლის ოთახს), tepidarium (ნელთბილ გასასვლელ ოთახს), laconicum / sudatorium (ოფლის მოსადენ ოთახს), frigidarium (ცივი წყლის ოთახს) და apodyterium (გასახდელ ოთახს). ამას ემატებოდა სპორტული დარბაზები ანუ პალესტრები, საცურაო აუზები და ა. შ. თერმები შესანიშნავად იყო მოპირკეთებული და შემკული ინკრუსტირებული მარმარილოთი, მოზაიკებით, უპირატესად, ათლეტებისა და გმირების ქანდაკებებით. ზოგიერთ შემთხვევაში თერმების კომპლექსში, თუმცა ისინი წმინდა საერო დანიშნულების ნაგებობებად მიიჩნეოდნენ, შეეძლოთ საკულტო ნაგებობაც ჩაერთოთ. დროთა განმავლობაში თერმების არქიტექტურის სამი ძირითადი ტიპი ჩამოყალიბდა: მწკრივული, რომელშიც დარბაზები ერთმანეთის მიყოლებით იყო განლაგებული ისე, რომ მობანავეს გასახდელში დასაბრუნებლად უკან უნდა გამოევლო ყველა დარბაზი; წრიული, რომელშიც დარბაზების განლაგება რკალს ქმნიდა და მობანავეს აღარ უხდებოდა წინ და უკან სიარული გადასაცმელ ოთახში მოსახვედრად; ე. წ. კეისრული ან კეისრებისა, რომელიც, ფაქტობრივად, გაორმაგებულ წრიულ ტიპს წარმოადგენდა. მასში ცენტრალური სივრცის გარშემო განლაგებული იყო სხვადასხვა დანიშნულების დარბაზები.




A apodyterium (ტანსაცმლის გამოსაცვლელი ოთახი)
B basilica thermarum (დახურული გალერეა)
C caldarium (ცხელი წყლის ოთახი)
CPi calida piscina (თბილი წყლის აუზი)
F frigidarium (ცივი წყლის ოთახი)
HT გამათბობელი რაბი
N natatio (საცურაო აუზი)
P palaestra (სპორტული დარბაზი)
S sudatorium (ოფლის მოსადენი ოთახი)
T tepidarium (ნელთბილი გასასვლელი ოთახი)
U unctorium (საცხებელთა ოთახი)
:: suspensura (გამთბარი კამაროვანი ოთახი)
აუზი

მწკრივული ტიპი







წრიული ტიპი







ე. წ. კეისრული ტიპი

კარაკალას თერმები (დაახლ. ახ. წ. 212-217). გარშემო კედელი აიგო ელაგაბალის (ახ. წ. 218-222) და სევერუს ალექსანდერის (ახ. წ. 222-235) დროს. ფუნდამენტი




A apodyterium (ტანსაცმლის გამოსაცვლელი ოთახი)
Al alveus (თბილი წყლის აბაზანა)
B basilica thermarum (დახურული გალერეა)
Bibl bibliotheca (ბიბლიოთეკა)
C caldarium (ცხელი წყლის ოთახი)
F frigidarium (ცივი წყლის ოთახი)
Lb labrum (აუზი)
N natatio (საცურაო აუზი)
Pi piscina (ცივი წყლის აუზი)
Pr praefurnium (საქვაბე)
R წყლის რეზერვუარი
S sudatorium (ოფლის მოსადენი ოთახი)
T tepidarium (ნელთბილი გასასვლელი ოთახი)
U unctorium (საცხებელთა ოთახი)
← შესასვლელი
:: suspensura (გამთბარი კამაროვანი ოთახი)

კეისართა თერმები ყველაზე უფრო კომპლექსური და მულტიფუნქციონალური ნაგებობები იყო. მათ ვეებერთელა სივრცე ეკავათ. ა. მ., დიოკლეტიანუსის მიერ რომში აგებული თერმების ნაგებობა 140600 კვ. მეტრზე იყო გადაჭიმული. თავისი მასშტაბებითა და არქიტექტურით გამოირჩეოდა კარაკალას თერმები რომში, რომელთა ჩვენამდე მოღწეული გრანდიოზული ნანგრევები წარმოდგენას გვიქმნის ამ ნაგებობების დიდებულებაზე. მთავარი ნაგებობა, რომელიც გალავნით გარშემორტყმულ ადგილას მდებარეობდა, აერთიანებდა სააბაზანო ოთახებს, პალესტრებს, საცურაო აუზებს. შესასვლელი მხარის გაყოლებაზე ჩაშენებული იყო ტავერნები ანუ სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები (მაღაზიები, დამხმარე ნაგებობები). ნაგებობის უკანა მხარეს იყო თეატრის მსგავსი კონსტრუქციის მქონე წყლის ვეებერთელა რეზერვუარი. აქვე, მის მარცხნივ და მარჯვნივ, იყო ორი ბიბლიოთეკა ბერძნული და ლათინურენოვანი წიგნებისათვის. კარაკალას თერმებში მოხვედრილთ, ფაქტობრივად, შეეძლოთ თითქმის მთელი დღე გაეტარებინათ იქ და თავიანთი მრავალფეროვანი მოთხოვნილებები სრულად დაეკმაყოფილებინათ.

თერმების ამშენებელი და მფლობელი, შესაძლოა, ერთი და იგივე პიროვნება ყოფილიყო, თუმცა ეს არ იყო აუცილებელი. თერმები, მეტწილად, საზოგადოებრივი მოხმარებისათვის იყო განკუთვნილი, მიუხედავად იმისა ეკუთვნოდა ისინი კეისარს, სახელმწიფოს თუ ქალაქს. დიდი პოპულარობის გამო თერმების აგებას არ გაურბოდნენ მდიდარი კერძო პირები, პოლიტიკოსები. თერმების საპირისპიროდ, საზოგადოებრივი აბანოები მხოლოდ კერძო პირების საკუთრებას წარმოადგენდა. ბუნებრივია, თერმების აშენება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. ა. მ., რომის გრანდიოზულ თერმებთან შედარებით სავსებით მომცრო ოსტიის ნეპტუნუსის თერმების (ეკავა 4500 კვ.მ.) აგება 2000000 სესტერციუსი ჯდებოდა, რაც დაახლოებით 300000-400000 ლარს უდრიდა. ადვილი წარმოსადგენია, რა დაჯდებოდა მასზე 20-ჯერ ან 30-ჯერ უფრო დიდი თერმების აგება.

ის, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რომი თერმების მუშაობას, კარგად ჩანს იმ ზრუნვიდან, რასაც მათი ფუნქციონირების მიმართ იჩენდნენ „სპონსორები". საჩუქრის, შემოწირულობის თუ მიზნობრივი დაფინანსების წყალობით, თერმებს მოვლა არ აკლდათ და ისინი ყოველდღიურად მზად იყვნენ ხალხის საკმაოდ დიდი მასის მისაღებად. მათ პოპულარობას ხელს უწყობდა ის, რომ თერმებში შესვლა საკმაოდ იაფი იყო. რასაკვირველია, კლიენტის დამატებითი მოთხოვნილებების შესაბამისად (გარდერობით, ტავერნებით სარგებლობა, ეროტიკა და ა. შ.), ეს თანხა იზრდებოდა. განსხვავებით კერძო აბანოებისაგან, რომლებიც მოგებაზე მუშაობდნენ, თერმების დაფინანსების წყაროები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მოგებას აქ არ ექცეოდა ყურადღება. იმ შემთხვევაში, როდესაც თერმები სახელმწიფოს ან ქალაქს ეკუთვნოდა, მის სამართავად conductor-ს ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით, მენეჯერს ნიშნავდნენ. შეიძლებოდა დაენიშნათ გიმნასიარქოსიც, რომელიც თერმების კლიენტთა ფიზიკურ კონდიციას უწევდა მეთვალყურეობას. ეს პირები თავისუფალი, ხშირად საკმაოდ მაღალი მდგომარეობის მოქალაქეები იყვნენ. ამისგან განსხვავებით, აბანოში ყოველდღიური მომსახურებისათვის საჭირო საკმაოდ მრავალრიცხოვანი პერსონალი (დამზელი, გამათბობელი, წყლის დამსხმელი, მეგარდერობე და ა. შ.), როგორც წესი, მონებისაგან ან გაზატებულთაგან იყო დაკომპლექტებული. თუკი თერმების კომპლექსში პალესტრა ფუნქციონირებდა, მაშინ აქ მწვრთნელები და ექიმებიც მუშაობდნენ. მონები თავიანთი სტატუსით გათანაბრებული იყვნენ ინვენტართან. ისინი თერმებში ცხოვრობდნენ და მათი დაწესებულების გაყიდვის შემთხვევაში, ისევე როგორც შენობა, გადადიოდნენ ახალი მფლობელის ხელში.

თერმებში სიარული რომაელთა ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. აბანოებში დადიოდნენ როგორც კაცები, ასევე ქალები. აბანოები ადრიანი დილიდან გვიან ღამემდე იყო გაღებული. ქალები და კაცები, ჩვეულებრივ, ერთმანეთისგან განცალკევებით ბანაობდნენ. ეს მიიღწეოდა იმით, რომ აბანოების აგების დროს გათვალ-

ისწინებული იყო ორი განყოფილება — კაცებისა და ქალებისათვის, ან მათთვის განსაზღვრული დრო იყო გამოყოფილი: პირველებისთვის შუადღემდე, მეორეებისთვის — ნაშუადღევს. თუმცა, როგორც ჩანს, იყო შერეული აბანოებიც, სადაც კაცებსა და ქალებს ერთად ბანაობის ნებას რთავდნენ. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც დაუპირისპირდნენ ქრისტიანულ გვიანანტიკურობაში ეკლესიის მამები ტრადიციულ აბანოებს. საზოგადოება მიჩვეული იყო თერმებსა და კერძო აბანოებში ხშირ სიარულს. კეისრების ეპოქაში ბევრი საჭიროდ თვლიდა, დღეში სულ ცოტა ერთხელ მაინც შესულიყო დასაბანად. ზოგიერთები, განსაკუთრებით კეისრები, ბანაობის სიხშირით გამოირჩეოდნენ. ა. მ., კომოდუსი დღეში 7-8-ჯერ ბანაობდა. თერმები იყო მასისათვის თავისუფალი დროის გატარების მშვენიერი შესაძლებლობა. ზოგიერთი უმუშევარი დღის მეტ ნაწილს სწორედ იქ ატარებდა.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ დასავლეთ ევროპაში თერმების ტრადიცია თითქმის სრულიად გაქრა. ზოგიერთი ჯერ კიდევ გადარჩენილი ნაგებობა ეკლესია-მონასტრების განმგებლობაში გადავიდა, ისიც მხოლოდ მლოცველებისა და სნეულებისათვის გამოსაყენებლად. სამაგიეროდ, აღმოსავლეთში იმპერიის ტრადიციები გაგრძელდა. საზოგადოებრივი აბანოები ბიზანტიასა და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში, ასევე არაბებსა და მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე განაგრძობდნენ არსებობას შუა საუკუნეების განმავლობაში.

## ლიტერატურა


- RE V A, 2, 2377-2389, Thermai.
- DNP 12/1, 414-427, Thermen.
- I. Delaine, Recent Research on Roman Baths, in: Journal of Roman Archaeology, I. 1988, 358-368.
- W. Heinz, Römische Thermen. Badewesen und Badeluxus im römischen Reich, München 1983.
- J. I. Nielsen, Thermae et balnea. The Architecture and Cultural History of Roman Public Baths, 2 Vol., Aarhus 1991.
- F. Yegül, Bath and Bathing in Classical Antiquity, New York 1992.
- H. Sonnabend, Bad, in: Mensch und Landschaft in der Antike, H. Sonnabend (Hrsg.), Weimar 1999, 50-52.
- E. Brödner, Die römischen Thermen und das antike Badewesen, Darmstadt 1992[2].


## გასტრონომია, კერძები, წვეულებები

ცივილიზაციის დონის განსაზღვრისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ამა თუ იმ საზოგადოებაში კვების კულტურის დონე. ამ თვალსაზრისით, ანტიკური სამყარო აშკარად გამოირჩეოდა თავისი თანამედროვე თუ წინამავალ ცივილიზაციებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური სამყაროს არსებობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბერძნებისა და რომაელთა ცხოვრების ე. წ. გასტრონომიული სფერო მუდმივად იცვლებოდა და იხვეწებოდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვებას, საერთო სუფრებს უკვე ჰომეროსის ეპოსში ეთმობა საკმაოდ დიდი ყურადღება. აქ ხშირად არის წარმოდგენილი სხვადასხვა დანიშნულების სუფრები, ასევე, მართალია, ჯერ კიდევ შედარებით ნაკლებად კულტივირებული, მაგრამ მაინც საკმაოდ მდიდარი ასორტიმენტი საკვებისა. დროთა განმავლობაში ჭამის კულტურა სულ უფრო და უფრო რაფინირებული ხდებოდა, როგორც

სუფრის გაწყობისა და სერვირების, ასევე კერძების გამრავალფეროვნების თვალსაზრისით. რასაკვირველია, ამ მხრივ ანტიკურობაშიც ისეთივე განსხვავება იყო შეძლებულ და ღარიბ ოჯახებს შორის, როგორიც კაცობრიობის ისტორიის მთელი პერიოდის განმავლობაში ჩვენი ეპოქის ჩათვლით.

საკვებად ანტიკურ სამყაროში გამოიყენებდნენ მცენარეთა ნაყოფს, თევზეულს, ფრინველთა და ოთხფეხა ცხოველთა ხორცს, თაფლს, ღვინოს და ა. შ. აქედან მზადდებოდა მრავალფეროვანი კერძები. ანტიკურობიდან სრულად შემოგვრჩა კულინარიის შესახებ არსებულ მრავალ სპეციალურ ნაშრომთაგან ერთადერთი სამზარეულო წიგნი, რომლის შემდგენელიც არის კელიუსი (ახ. წ. IV ს.). იგი კერძების დამზადების 478 რეცეპტს შეიცავს, თუმცა კერძების რაოდენობა რეალურად გაცილებით მეტი იყო.

ანტიკურობაში შეინიშნება განსაკუთრებული ლტოლვა ე. წ. მრავალკომპონენტიანი კერძებისაკენ, სხვადასხვა ტიპის საწებლებისაკენ, საჭმელში ტკბილის, მჟავეს, მწარეს და მარილიანის ჰარმონიის მიღწევისაკენ. ისევე, როგორც კულტურის სხვადასხვა სფეროში, აქაც საკმაოდ ფართოდ ჰქონდა გახსნილი გზა აღმოსავლურ გავლენებს. აღმოსავლეთიდან კვების სხვადასხვა, განსაკუთრებით ეგზოტიკური პროდუქტების შემოტანა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ელინისტურსა და რომაულ ეპოქებში. არქეოლოგიური მასალა და სახვითი ხელოვნების ნიმუშები, უმეტესად კი წერილობითი წყაროები იძლევა შესაძლებლობას, დავასკვნათ, რომ ე. წ. გასტრონომიულ მრავალფეროვნებას საკვებით შეესაბამებოდა სამზარეულო, სასმელი, სერვირების და დასაბანი ჭურჭლის საკმაოდ დიდი სიუხვე. მართალია, მას გამოყენებითი ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ არცთუ იშვიათად, მასში ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშები შეგვიძლია აღმოვაჩინოთ.

გასტრონომიული კულტურის მაღალ დონეზე მიუთითებს აგრეთვე კვების ორგანიზაცია დღის განმავლობაში. ბერძნულსა და რომაულ სამყაროში ყოველდღიური კვების ჯერები საკმაოდ მკაცრად იყო განსაზღვრული დროში. ჩვეულებრივ, კვება დღეში სამჯერადი იყო. ა. მ., საბერძნეთში მსუბუქი „საუზმე" დილით (ἀκράτισμα) მოკრძალებული, მაგრამ მეტწილად თბილი „სადილი" დღისით (ἄριστον) და მრავალთავიანი „ვახშამი" (δεῖπνον) ადრე საღამოს.

მსგავსი წესი ჩამოყალიბდა რომშიც, თუმცა, ტრადიციულ ჯერებს დროთა განმავლობაში დაემატა პირველი საუზმის (ientaculum ან ieientaculum) შემდეგ მეორე საუზმე შუადღემდე (prandium). თუკი ადრე სადილი (cena) კვების ძირითად ჯერად მიიჩნეოდა, მოგვიანებით მან ვახშმის ადგილი დაიკავა და ტერმინოლოგიურ დონეზეც გამოდევნა ძველი (vesperna). შესაბამისად, მრავალთავიანი კვების ფორმამ, კენამ გადაინაცვლა საღამოს. იგი იწყებოდა გვიან ნაშუადღევს და გრძელდებოდა გვიან ღამემდე. რასაკვირველია, ამგვარი განრიგი არ იყო სავალდებულო. სხვადასხვა გარემოებათა, ძირითადად, შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ზოგიერთები ანუ მდიდრები დღეში სამის ნაცვლად ოთხჯერ ან სულაც ხუთჯერ მიუსხდებოდნენ ხოლმე სუფრას, ხოლო სხვანი ანუ ღარიბები შეიძლებოდა დღეში ერთხელ კვებითაც დაკმაყოფილებულიყვნენ.

გარდა ჩვეულებრივი, ძირითადად, ოჯახით შემოფარგლული ტრაპეზებისა, ანტიკურ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა წვეულებებს, რომელთაც იმის მიხედვით, თუ ვინ მართავდა და რა ფუნქცია ჰქონდა მათ, სულ სხვადასხვა მასშტაბები შეიძლებოდა მიეღოთ. წვეულება შეეძლო გაემართა პიროვნებას, დანესებულებას, ქალაქს ან სულაც სახელმწიფოს. უნდა აღინიშნოს, რომ ერთად კვების ეს ტრადიცია ანტიკურ სამყაროს გამოარჩევდა მისი თანამედროვე ზოგიერთი სხვა კულტურისაგან, რომლისთვისაც სუფრაზე საზოგადოების შეყრა არ იყო დამახასიათებელი. ამგვარი თავყრილობების აღმნიშვნელი ბერძნული და ლათინური ტერმინები (σύνδειπνον, συμπόσιον, convivium) დაირთავდნენ σύν-, con- წინსართებს, რომელთაც თანა-ს მნიშვნელობა ჰქონდათ და ენობრივ დონეზეც ხაზს უსვამდნენ ამგვარი სუფრების საზოგადოებრივ ხასიათს.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ ანტიკურ საბერძნეთში სიმპოსიონები. ეს იყო კერძო პირების მიერ გამართული წვეულებები. მართალია, ე. წ. ლიტერატურული ანუ სხვადასხვა ავტორთან აღწერილი ამგვარი წვეულებები განსხვავდებოდა რეალურისაგან, რამდენადაც ამ უკანასკნელთ ბევრად ნაკლები ინტელექტუალური დატვირთვა ჰქონდათ, მაგრამ სწორედ ამ ავტორების წყალობით, ანტიკური სიმპოსიონის, როგორც საინტერესო ინტელექტუალური დისკუსიების ასპარეზის, მიმართ თანამედროვე ეპოქამდე შემორჩა ძლიერი ინტერესი. სიმპოსიონებს ჰქონდათ ჩატარების განსაზღვრული წესები. მათი მომწყობი სტუმრებს ან პირადად იწვევდა სიტყვიერად, ან მონას უგზავნიდა მოსაწვევად. მოწვეულებს არცთუ იშვიათად პროფესიონალი პარაზიტებიც შეერეოდნენ ხოლმე, რომლებიც ყოველთვის მზად იყვნენ მუქთად ესადილათ.

სიმპოსიონებში მონაწილეობას მხოლოდ მამაკაცები იღებდნენ, ამიტომაც საბანკეტო დარბაზს ანდრონი (ἀνδρών) ანუ მამაკაცების დარბაზი ერქვა. მამაკაცური გარემო, ისიც მხოლოდ წვეულების მიმდინარეობის გარკვეული მომენტიდან, შეეძლოთ დაერღვიათ ოდენ ჰეტერებს, ემანსიპირებულ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს. ანდრონში გარშემო სპეციალური ე. წ. სანადიმო ტახტები (κλίνη) იყო განლაგებული. კაცები იხდიდნენ ფეხსაცმელებს და მარტო ან წყვილად წამოწვებოდნენ ტახტზე. ისინი მარცხენა იდაყვს ბალიშს აყრდნობდნენ, ხოლო მარჯვენათი მიირთმევდნენ. თუკი ბანკეტებზე ამგვარ პოზაში ყოფნა ტიპური მოვლენა იყო, ყოველდღიურ ცხოვრებაში ბერძნები და რომაელები იკვებებოდნენ როგორც წამოწოლილ, ასევე დამსხდარ მდგომარეობაში. ყოველი ტახტის წინ იდგმებოდა პატარა მაგიდა, რომელზედაც იდებოდა საკვები. მას, ძირითადად, ხელით შეექცეოდნენ თანამეინახენი, რომელთაც ემსახურებოდნენ მონები. წვეულების პირველი ნაწილი ჭამას ეთმობოდა. შემდეგ ხდებოდა გამოყენებული მაგიდების ახლებით შეცვლა, ამჯერად მათზე მხოლოდ დესერტს განათავსებდნენ ხოლმე. ამით იწყებოდა მეორე ნაწილი, საკუთრივ სიმპოსიონი, რომელიც ღვინითა და ტკბილეულით თავის შექცევას ეთმობოდა. იგი გარკვეული რიტუალის შესრულებასთან იყო დაკავშირებული. ირჩევდნენ სიმპოსიარქოსს ანუ სიმპოსიონის თამადას, რომლის ფუნქცია იყო რიტუალით გათვალისწინებული პროცედურების აღსრულებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა. ამ რიტუალს ჰქონდა როგორც რელიგიური, ასევე სოციალური მხარე. პირველი მოიცავდა ღვინის ერთი ნაწილის ღმერთებისადმი შეწირვას, მეორე კი, ღვინის თანაბრად განაწილებას და სიმპოსიონის მონაწილეებში ერთსულოვნების მიღწევას. ამგვარი თავყრილობა ასპარეზს ქმნიდა საუბრებისათვის, პოეზიისა და მუსიკის მოსმენისათვის, სხვადასხვა თამაშობებით გართობისათვის. სიმპოსიონის მსვლელობის ამ მომენტში ნებადართული იყო ჰეტერების შემოშვება კაცებთან, რაც წვეულების მონაწილეთა გართობის ახალ შესაძლებლობას ქმნიდა. ეს დროსტარება გვიანობამდე, ზოგჯერ გათენებამდეც კი გრძელდებოდა.

სიმპოსიონებს, როგორც აღვნიშნეთ, რომში მოიხსენიებდნენ ლათინური ტერმინით convivium. მართალია, მათ აქ არ ჰქონდათ იმგვარი პოპულარობა, როგორც საბერძნეთში, თუმცა ლხინის გამართვა, წყაროებს თუ დავუჯერებთ, არც რომში ყოფილა იშვიათი მოვლენა. რომაული ლხინი ბევრი ასპექტით ბერძნული სიმპოსიონის სქემას იმეორებდა, თუმცა მას ჰქონდა ზოგიერთი თავისებურება. სანადიმო ტახტების შესაბამისად, ჩვეულებრივ, კონვივიუმში მონაწილეთა რაოდენობა 9-12 კაცით შემოიფარგლებოდა, თუმცა ეს რიცხვი დამატებითი ტახტების და სკამების ჩადგმით შეიძლებოდა მნიშვნელოვნად გაზრდილიყო. რასაკვირველია, მასპინძლის სურვილისამებრ, შესაძლებელი იყო წვეულება უფრო მოკრძალებული ყოფილიყო და მასში მონაწილეები სამი კაცით შემოეფარგლათ. მოწვეულს უფლება ჰქონდა თან წამოეყვანა ე. წ. დაუპატიჟებელი სტუმრები, რომელთაც საბერძნეთშიც და რომშიც ჩრდილებს უწოდებდნენ. მართალია, მეტწილად ლხინი კაცების საზოგადოებას უყრიდა თავს, მაგრამ, ბერძნებისაგან განსხვავებით, რომაელებს სტუმრად ქალებიც შეეძლოთ მიეწვიათ. დაშვებული იყო წვეულების მონაწილენი

ოჯახის წევრებიც, მასპინძლის ცოლი და შვილებიც გამხდარიყვნენ, რომელთაც დაპატიჟებულების მსგავსად, სტუმრებს უწოდებდნენ. ზოგჯერ კონვივიუმის სქემაში ჭამის წინ შეჰქონდათ ე. წ. საერთო აბაზანები. სუფრაზე ანუ კენაზე სულ ცოტა სამი თავი საჭმელი უნდა შემოეტანათ. თუმცა კერძების ოდენობას შვიდამდეც შეიძლებოდა მიეღწია. წვეულებას ზამთარში დღის ორი საათისთვის, ხოლო ზაფხულში ოთხი საათისთვის იწყებდნენ. ჭამის შემდეგ სმა და გართობა დილამდეც გრძელდებოდა ხოლმე. სტუმრებს ქეიფის დროს მომსახურეობისათვის თან მოჰყავდათ თითო მონა, რომლებიც ტახტის კიდეში იდგნენ ან ისხდნენ მთელი წვეულების განმავლობაში. მათი ამოცანა იყო პატრონისათვის ფეხსაცმლის გახდა, ფეხების დაბანა, ხელების დასაბანი წყლის მირთმევა, საჭმლის ნარჩენების თან წასაღებად მოქუჩება, მასპინძლის მიერ მოცემული საჩუქრების ტარება და ნასვამი პატრონის სახლში უსაფრთხოდ წაყვანა.

რაც შეეხება თავად კერძების მომზადებას, მათ სუფრაზე შემოტანას, საერთო ნადიმის მომსახურებას, ამას მასპინძლის მონები, მსახურები და მზარეულები აკეთებდნენ. სანადიმო ტახტების განლაგება ქმნიდა საუბრისათვის, მასპინძლის მიერ მოყვანილი მომღერლების, მოცეკვავეების, მიმიკოსების, დამკვრელების ხელოვნებით ტკბობისათვის მშვენიერ ატმოსფეროს. წვეულებას ამრავალფეროვნებდა მის პროგრამაში სხვადასხვა გასართობი თამაშის ჩართვა. ამგვარი წვეულების პოპულარობაზე ანტიკური საზოგადოების ცხოვრებაში მიუთითებს ერთობ მდიდარი ე. წ. სანადიმო ლიტერატურა – დაწყებული სკოლიონებით (სუფრული სიმღერები) დამთავრებული ფილოსოფიური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის თხზულებებით ან ანტიკური პოეზიის ნიმუშებით. ამგვარი ხასიათის ლიტერატურის ნიმუშებს გვთავაზობენ: პლატონი, ქსენოფონი, ჰორაციუსი, იუვენალისი, პეტრონიუსი, მაკრობიუსი და ა. შ.

## ლიტერატურა


- RE IV A, 1, 1266-1270, Symposion.
- RE IV A, 2, 1273-1282, Symposion-Literatur.
- RE II, 932-943, Kochbücher.
- DNP 4, 806-808, Gastronomie.
- DNP 4, 808-809, Gastronomische Dichtung.
- DNP 11, 801-803, Speisen.
- DNP 11, 1138-1141, Symposion.
- Г. Ф. Церетели, Греческие пиры (симпосии): Труды по истории античной литературы, Тбилиси 1993, 115-129.
- A. Dalby, Siren Feasts, A History of Food and Gastronomy in Greece, Routledge, 1996.
- A. Dalby, Essen und Trinken im alten Griechenland, von Homer bis zur byzantinischen Zeit, Stuttgart 1998.
- I. André, Essen und Trinken in alten Rom, Reclam, 1998.
- U. Fellmeth, Nahrungsmittel, in: Mensch und Landschaft in der Antike, H. Sonnabend (Hrsg.), Weimar 1999, 367-372.
- L. Fexhall, H. Forbes, Sitometria, The Role of Grain as Staple Food in Classical Antiquity, in: Chiron 12, 1982, 41-90.
- P. Garney, C. R. Whittaker (ed.), Trade and Famine in Classical Antiquity, Cambridge 1983.
- K. D. White, Roman Farming, London 1970.
- S. Bommer, L. Bommer, Die Ernährung der Griechen und Römer, München 1943.

თმა ძველ სამყაროში განიხილებოდა სხეულის იმ ნაწილად, სადაც ხდება სიცოცხლისა და ძალის კონცენტრაცია, ამიტომ მას საგანგებოდ უვლიდნენ ხოლმე. თმა იყო მაგიისა და ცრურწმენის ობიექტი. მის მოჭრას, მსხვერპლად შეწირვას და ა. შ. სხვადასხვა, ხშირად ერთმანეთის საპირისპირო ხასიათის რიტუალებში (მაგალითად, მიცვალებულის დატირება, ქორწილი) თავისი დატვირთვა ჰქონდა.

მინოსური ეპოქიდან მოყოლებული, როგორც კაცების, ასევე ქალების თმის ვარცხნილობა და მისი შემკულობა იცვლებოდა. მინოსურ კრეტაზე კაცები ატარებდნენ ნახევრად გრძელ, ხშირად ბღუჯებად დაყოფილ თმას. თერაზე აღმოჩენილი მინოსური ეპოქის ფრესკებზე გვხვდება თმის სავსებით არაორდინარული ვარცხნილობა — გადაპარსულ თავზე კეფის არეში დატოვებული თმის ერთი გრძელი კონა თუ ნაწნავი. გვხვდება შედარებით მოკლედ შეკრეჭილი ტალღისებური, მხრებამდე ჩამოშვებული თმის ვარცხნილობა. როგორც ჩანს, ამ ეპოქის კრეტელი ქალები დიდ ყურადღებას აქცევდნენ თმის ვარცხნილობასა და სამკაულებით შემკობას. ზოგ ფრესკაზე მათ გრძელი თმები ხშირ დალალებად აქვთ დაყოფილი, ზოგზე კი თმა ოსტატურად არის დახვეული და ა. შ. მინოსური სტილი გადაიღეს მიკენურ საბერძნეთშიც.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან თანდათანობით იწყებს ჩამოყალიბებას კლასიკური საბერძნეთისათვის დამახასიათებელი თმის ვარცხნილობის საკმაოდ მრავალფეროვანი ფორმები, რომელთა უმეტესობა თმით თავის ფორმის აქცენტირების პრინციპს ეფუძნებოდა. გრძელი თმა ძვ. წ. VI საუკუნიდან კაცებში მოკლედ შეკრეჭილი თმის ვარცხნილობით იცვლება, ხოლო ქალებში, თუ არ ჩავთვლით არქაიკის ეპოქის კორეებს, რომლებიც გათხოვებამდე წვრილად და საგულდაგულოდ დაწნულ ხშირ ნაწნავებს ატარებდნენ, უპირატესობა მიეცა გრძელი თმის, ძირითადად, თავის გარშემო სხვადასხვა ფორმით კონცენტრაციას, რისთვისაც გამოყენებული იყო სამკაულები და სამაგრები: დიადემები, გვირგვინები, ლითონის სარტყელები, სპირალები და ა. შ.




ბერძნული ვარცხნილობა:
1. ვარცხნილობა ორი ნაწნავით, 2. უკან აწეული თმა, 3. ბაფთისებური ვარცხნილობა, 4. შვეულად დახვეული თმა, 5. უკან შეკრული თმის კონა, 6. ნესვისებური ვარცხნილობა, 7. მანდილით შეკრული თმა, 8. ვარცხნილობა ჩაჩით




რომაული ვარცხნილობა:
1. მოკლედ შეკრეჭილი თმა, 2. ვარცხნილობა კისერზე ჩამოშვებული თმითა და დალალებიანი ქოჩრით, 3. დახვეული თმა, 4. ძალიან მოკლედ შეჭრილი თმა, 5. შუაზე გაყოფილი, ყურებთან სპირალურად დახვეული თმა, 6. ვარცხნილობა მაღლა აწეული ხვეული თმით, 7. ვარცხნილობა, რომლის წინა ნაწილი შუბლთან არის ამაღლებული, თმის უკანა ნაწილი კი — დაწნული და ბაფთით შეკრული, 8. შუაზე გაყოფილი, ნაწილობრივ დატალღული, ნაწილობრივ დანაკეცებული პარიკი

მიუხედავად იმისა, რომ ტანსაცმლის მრავალფეროვნების მხრივ ანტიკური სამყარო ჩამორჩებოდა თანამედროვე მსოფლიოს, შეიძლება ითქვას, რომ ჩაცმულობას ძველ საბერძნეთსა და რომში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცეოდა. უკვე მინოსურ კრეტაზე, როგორც ფრესკებზე გამოსახული ფიგურების ჩაცმულობის ანალიზი გვარწმუნებს, საკმაოდ მოხდენილად იმოსებოდნენ. კაცების ტანსაცმელი ნაკლებად ფარავდა სხეულის შიშველ ნაწილებს. ქალების კაბები კი კოჭებამდე იყო ჩაშვებული, თუმცა აშკარად გამოირჩეოდა გახსნილი მკერდით ანუ დეკოლტეთი.

საბერძნეთში ტანსაცმლის რამდენიმე ტიპი ჩამოყალიბდა, რომელთაგან თითოეული საკმაოდ მრავალფეროვან ვარიაციებს გვიჩვენებს. ყველაზე მეტად იყო გავრცელებული ქიტონი, მოკლე ან გრძელი, სახელოებით ან უსახელოებოდ, ქამარშემოვლებული, ორსავე ან მხოლოდ ერთ მხარზე დამაგრებული. ქიტონი ერთნაირად დამახასიათებელი იყო როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა გარდერობისათვის. ქალები ხშირად ატარებდნენ პეპლოსს, გრძელ სამოსს, დამაგრებულს ორსავე მხარზე. მას არცთუ იშვიათად ქიტონზე გადაიცვამდნენ ხოლმე. მოსასხამის ან ლაბადის ფუნქციას ასრულებდა ჯერ ქლაინა, ხოლო მოგვიანებით ჰიმატიონი (ლათ. pallium). მხრებზე მოსასხამად, როგორც სამოსის დანამატს, იყენებდნენ ეპიბლემას. ძვ. წ. V საუკუნიდან ქალებიცა და კაცებიც ზეიმებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებდნენ მუხლებამდე ჩაშვებულ სამოსს — ეპენდიტესს. ზეიმებისათვის გამოიყენებოდა აგრეთვე ქრისტისი. გარდა ამისა, ლიტერატურულ წყაროებში მოიხსენიება არაერთი სამოსის სახელწოდება, რომელთა ფორმის შესახებ ძნელია დღეს რაიმე ითქვას გარკვევით.

ბერძნული სამოსი



ღია პეპლოსი

ღია პეპლოსის ძირითადი ფორმები



დახურული პეპლოსი

დახურული პეპლოსის ძირითადი ფორმები

ეპენდიტესი



ქიტონი

ქიტონის ძირითადი ფორმები

ქლამიდა

რომში პოპულარულ ტანსაცმლად ტოგა ითვლებოდა. ვერგილიუსიდან მოყოლებული რომაელებს ზოგჯერ ფორმულით gens togata („ხალხი ტოგაში") მოიხსენიებდნენ ხოლმე. იგი მსგავსი იყო ბერძნული ჰიმატიონისა და იმის მიხედვით, თუ რა სტატუსის მქონე პირი იცვამდა მას, ტოგის ფერსა და თარგში გარკვეული განსხვავებები შეიძლებოდა ყოფილიყო. შიგნით ჩასაცმელად ტუნიკა გამოიყენებოდა. ქალები ზოგჯერ ზედიზედ ორ ტუნიკასაც კი იცვამდნენ. გარდა ამისა, რომაულ გარდერობში მრავალი სხვა ტანსაცმელი მოიხსენიება, რომელთაც საკმაოდ დიფერენცირებული ფუნქციები ჰქონდათ. ანტიკურ სამყაროში ფეხი ვერ მოიკიდა აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელმა შარვალმა, რომელსაც ანტიკურობის ბოლომდე ბარბაროსთა ტანსაცმლად მიიჩნევდნენ.

ტუნიკა (ქალი)

ტუნიკა (კაცი)

პალა



ტოგა

ტოგა (უკანა მხარე)



ლაკერნა

პალიუმი

ლენა

კუკულუსი

არც საბერძნეთსა და არც რომში არ იყო გავრცელებული ტანსაცმლის სპეციალურ სამკერვალოებში ან პროფესიონალ თერძებთან დამზადება. თარგის აჭრა და შეკერვა, რაც არ იყო რთული საქმე, უპირატესად სახლში, ძირითადად, მონების ან მსახურების მიერ ხორციელდებოდა. სამაგიეროდ საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა საფეიქრო მრეწველობა, რომელიც სულ სხვადასხვა სეზონისა და დანიშნულებისათვის განკუთვნილ ფართლეულს სთავაზობდა მყიდველს. იგი ფართოდ ინარმოებოდა ტილოს, შალისა და სხვა ბოჭკოვანი მასალისაგან.

რაც შეეხება ფეხსაცმელებს, მათ პროფესიონალი მეწაღეები კერავდნენ. გავრცელებული იყო ფეხსაცმელების სამი ტიპი: a) სანდალი (soleae, sandalia), b) დახურული ფეხსაცმელი (calcei), c) ჩექმა (caligae).




რასაკვირველია, ამ თავში ვერ მოხერხდებოდა ანტიკური სამყაროს ყოველდღიური ცხოვრების მთელი მრავალფეროვნებით წარმოჩენა. ვფიქრობთ, აქ მოტანილი ინფორმაცია გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ანტიკური საზოგადოების ყოფით კულტურაზე.

## ლიტერატურა


- RE VII, 2, 2109-2150, Haartracht und Haarschmuck.
- DNP 5, 39-45, Haartracht.
- DNP 6, 505-513, Kleidung.
- M. Bieber, Charakter und Unterschiede der griechisch-römischen Kleidung, in: AA 1973, 425-447.
- L. Casson, Greek and Roman Clothing, in: Glotta 61, 1983, 193-207.
- L. Bonfante, Kleidung, in: Mensch und Landschaft in der Antike, H. Sonnabend (Hrsg.), Weimar 1999, 257-260.
- M. Bieber, Griechische Kleidung, Berlin, Leipzig 1928.
- I. L. Sebesta, L. Bonfante (ed.), The World of Roman Costume, Madison 1994.
- P. I. Riis, Ancient Types of Garments. Prolegomena to the Study of Greek and Roman Clothing, Copenhagen 1993, 149-183.
- Th. Hope, Costumes of the Greeks and Romans, New York 1962.
- M. Bieber, Entwicklungsgeschichte der griechischen Tracht, Berlin 1934.

# ანტიკური ავტორები, ნაწარმოებები[6]

Accius (Acc.): **Brutus, Didascalica, Eurysaces, Medea (Med.), Philocteta, Phoenissae**

Achilleus Tatios (Achilles Tatius, Ach. Tat.): **Eisagoge (Isagoga excerpta)**

Achilleus Tatios (Achilles Tatius, Ach. Tat.): **Ta kata Leukippen kai Kleitophonta (Leucippe et Clitophon)**

Acilius Severus: **Catastrophe sive Peira**

Adamantios (Adamantius): **Peri anemon**

Aelianus (Ael.) პრენესტედან: **Peri zoon idiotetos (De natura animalium, NA), Poikile historia (Variae historiae, VH)**

Aelius Paetus: **Ius Aelianum**

Aelius Stilo ლანუვიუმიდან: **Grammatica et philologica Latina**

Aemilius Papinianus → Papinianus

Aetios (Aetius) ამიდადან: **Tetrabiblon**

Aetios (Aetius) ანტიოქიიდან: **Synagoge ton areskonton**

Africanus → Iulius Africanus

Agapetos (Agapetus) კონსტანტინოპოლისიდან: **Ekthesis kephaleion parainetikon**

Agatharchides კნიდოსიდან: **Asiatika / Europiaka, Peri tes Erythras thalasses**

Agathias მირინადან: **Daphniaka, Kyklos ton neon epigrammaton, Peri tes Iustinianu basileias**

Ailia Eudokia → Eudokia ათენიდან

Ailianos Taktikos (Aelianus Tacticus, Ael. Tact.): **Taktike theoria (Tactica, Tact.)**

Ailios Aristeides (Aelius Aristides) მისიიდან: **Logoi, Technai rhetorikai**

Ailios Dionysios (Aelius Dionysius): **Attika onomata**

Ailios Herodianos (Aelius Herodianus) → Herodianos

Ailios Theon (Aelius Theon) → Theon ალექსანდრიიდან

Aineias (Aeneas) გაზადან: **Theophrastos**

Aineias Taktikos (Aeneas Tacticus, Aen. Tact.): **Poliorketika (Poliorcetica), Ta peri ton strategikon hypomnemata**

Ainesidemos (Aenesidemus) კნოსოსიდან: **Hypotyposis eis ta Pyrrhoneia, Pyrrhoneioi logoi**

Aischines (Aeschines, Aeschin.) ათენიდან: **Kata Ktesiphontos (In Ctesiphontem, In Ctes.), Kata Timarchu (In Timarchum, In Tim.), Peri tes parapresbeias (De falsa legatione)**

Aischines (Aeschines) სფეტოსიდან: **Alkibiades, Aspasia, Telauges**

Aischylos (Aeschylus, Aesch.) ელევსისიდან: **Diktyulkoi, Hepta epi Thebas (Septem contra Thebas, Sept.), Hiketides (Supplices, Supp.), Isthmiastai, Niobe, Oresteia: Agamemnon (Ag.), Choephoroi (Choephoroe, Cho.), Eumenides (Eum.), Persai (Persae, Pers.), Prometheus desmotes (Prometheus Vinctus, PV), Prometheus lyomenos, Prometheus pyrphoros**

Aisopos (Aesopus, Aesop.): **Mython synagoge**

Akusilaos (Acusilaus) არგოსელი: **Genealogiai**

Alarich: **Breviarium Alaricianum**

Albinos (Albinus): **Didaskalikos, Eisagoge (= Prologos)**

Alexandros (Alexander) აფროდისიასიდან: **Peri heimarmenes, Peri psyches, Physikon scholion aporiai kai lyseis**

Alexandros (Alexander) ლიკოპოლისიდან: **Pros tas Manichaion doxas**

Alexandros Numeniu (Alexander): **Peri rhetorikon aphormon, Peri schematon**

Alexandros Polyhistor (Alexander Polyhistor, Alex. Polyh.) მილეტოსიდან: **Aigyptiaka, Diadochai philosophon, Peri Iudaion**

Alexandros (Alexander) ტრალეისიდან: **Therapeutika**

Alkaios (Alcaeus, Alc.) მიტილენედან: **Carmina (Carm.), Hymnoi (Hymn.)**

Alkidamas (Alcidamas, Alcid.) ელეადან: **Museion, Odysseus (Od.)** (→ Ps.-Alkidamas), **Peri ton tus graptus logus graphonton e peri sophiston**

Alkimos (Alcimus): **Pros Amyntan**

Alkinoos (Alcinous) → Albinos

Alkiphron (Alciphron): **Epistulae (Epist.)**

Alkmaion (Alcmaeon) კროტონიდან: **Peri physeos**

Ambrosius: **Epistulae, Contra Auxentium de basilicis tradendis, De fide ad Gratianum, De Nabuthe Iezraelita, De officiis ministrorum libri III, De sacramentis, De Tobia, De virginibus ad Marcellinam sororem, Explanatio symboli ad initiandos, Hexaemeron, Hymni, Orationes**

---

[6] ბერძენი ავტორების სახელები და მათი ნაწარმოებების სათაურები მოცემულია ლათინური შრიფტით. უმნიშვნელოვანეს ბერძენ ავტორებსა და ნაწარმოებებს ფრჩხილებში გვერდით უწერია შესაბამისი ბერძნული სახელებისა და სათაურების სამეცნიერო ტრადიციაში მიღებული ლათინურენოვანი ვარიანტები და შემოკლებები. მიღებულ შემოკლებებს დავურთავთ ასევე უმნიშვნელოვანეს ლათინურენოვან ავტორებსა და ნაწარმოებებს.

Ammianus Marcellinus (Amm. Marc.): **Rerum gestarum libri XXXI**
Ammonios ლექსიკოგრაფოსი (Ammonius grammaticus, Ammon.): **Peri homoion kai diaphoron lexeon (De adfinium vocabulorum differentia, Diff.)**
Ammonios (Ammonius) ალექსანდრიიდან: **Peri tes epekdotheises diorthoseos, Peri tes Rhomaion dialektu**
Ampelius: Liber memorialis
Anakreon (Anacreon, Anacr.) ტეოსიდან: **Carmina (Carm.)**
Anaxagoras კლაძომენედან: **Peri physeos**
Anaximandros (Anaximander) მილეტოსიდან: **Heroologia, Peri physios**
Anaximenes ლამფსაკოსიდან: **Hellenika, Philippika, Rhetorike pros Alexandron, Trikaranos**
Andokides (Andocides) ათენიდან: **Peri tes heautu kathodu, Peri ton mysterion**
Andron ჰალიკარნასოსიდან: **Syngeneiai**
Androtion: **Atthis**
Anthimos (Anthimus): **De observatione ciborum**

Anonymi (Anon.):
**Acta Alexandrinorum**
**Acta diurna / populi**
**Acta fratrum Arvalium**
**Acta martyrum**
**Acta martyrum Scilitanorum → Passio Sanctorum Scilitanorum**
**Acta principis**
**Acta senatus / patrum**
**Aegritudo Perdicae**
**Alcestis Barcinonensis**
**Alkmeonis**
**Annales maximi**
**Anonymus Iamblichi**
**Anthologia Latina (Anth. Lat.)**
**Anthologia Palatina (Anth. Pal.)**
**Anthologia Planudea (Anth. Plan.)**
**Antiatticista**
**Apokryphoi bibloi**
**Apollodori Bibliotheca**
**Appendix Vergiliana**
**Aristippos peri palaias tryphes**
**Auctor ad Herennium (Auct. ad Her.) → Rhetorica ad Herennium**
**Batrachomyomachia (Batr.)**
**Bellum Africum**
**Bellum Alexandrinum**
**Bellum Hispanense**
**Carmen adversus Marcionitas**
**Carmen adversos paganos**
**Carmen Arvale (Carm. Arv.)**
**Carmen de figuris**
**Carmen de ponderibus et mensuris**
**Carmina Einsidlensia**
**Carmina Marciana**
**Carmina Priapea**
**Carmina Saliorum**
**Certamen Homeri et Hesiodi**
**Chironos hypothekai**
**Chronica Gallica**
**Codex Iustinianus → Corpus iuris civilis**
**Codex Theodosianus**
**Consolatio ad Liviam**
**Consultatio veteris cuiusdam iurisconsulti**
**Corpus Hermeticum**
**Corpus Tibullianum**
**Cyrilli Glossarium**
**De altercatione Ecclesiae et Synagogae**
**De rebus bellicis**
**Dialexeis**
**Dicta Catonis**
**Didache**
**Didaskalia**
**Diegeseis**
**Edictum Theodorici**
**Eiresione**
**Epigramma Paulini**
**Epikos kyklos**
**Epinomis**
**Epistula ad Diognetum**
**Epistula Alexandri Macedonis ad Aristotelem magistrum suum de itinere suo et de situ Indiae**
**Epitaphios Bionos**
**Excerptum Valesianum I und II**
**Expositio totius mundi et gentium**
**Fescennina carmina**
**Fragmenta Vaticana**
**Fragmentum Censorini**
**Hellenica Oxyrhynchia**
**Historia Alexandri Magni → Ps.-Kallisthenes**
**Historia Apollonii regis Tyrii**
**Historia Augusta**
**Hoplon krisis**
**Hymnoi Homerikoi**
**Itinerarium Alexandri Magni**
**Itinerarium Egeriae → Peregrinatio Egeriae / Aetheriae**
**Kyranides**
**Laudatio Turiae**
**Laus Pisonis**
**Leges XII Tabularum**
**Logia Iesu**
**Logia ton Chaldaion → Iulianos**
**Margites**
**Marmor Parium**

**Martyrologium Hieronymianum**
**Medicina Plinii**
**Menandru kai Philistionos synkrisis**
**მეტიოქოსი და პართენოპე**
**Monosticha**
**Mulomedicina Chironis**
**Mythographi Vaticani**
**Notitia dignitatum**
**Oracula Sibyllina**
**Orphica**
**Passio Sanctorum Scilitanorum**
**Patrum Apostolicorum opera**
**Pauli sententiae**
**Peri hires nosu**
**Peri hypsus**
**Peri iobolon zoon kai ton en autois boethematon**
**Peri komodias**
**Peri nomon**
**Peri physios kosmu kai psychas**
**Periplus maris Erythraei**
**Peri technes**
**Pervigilium Veneris**
**Philetairos**
**Philogelos**
**Phokais**
**Physica Plinii**
**Physiologos**
**Pseudoclementina**
**Querolus**
**Regulae Ulpiani**
**Rhetorica ad Herennium**
**Romulus**
**Scholia**
**Scholia Sinaitica**
**Senatus consultum de Bacchanalibus**
**Septuaginta**
**Skolia**
**Sortes Sangallenses**
**Suda**
**Symbolum Apostolorum**
**Symbolum Athanasium**
**Techne tu politiku logu**
**Theseis**
**Vita Aristotelis Marciana**
**Vita Herodotea**

Anthemios (Anthemius) ტრალეისიდან: **Fragmentum mathematicum Bobiense, Peri paradoxon mechanematon**
Antigonos (Antigonus Carystius) კარისტოსიდან: **Bioi philosophon, Historion paradoxon synagoge**
Antimachos (Antimachus) კოლოფონიდან: **Lyde, Thebais**
Antiochos (Antiochus) ასკალონიდან: **Sosos**
Antiochos (Antiochus) ათენიდან: **Thesauroi**
Antiochos (Antiochus) სირაკუსიდან: **Peri Italias, Ton Sikelikon historia**
Antiphanes ბერგეედან: **Apista**
Antiphon (Antiph.) ათენიდან: **Aletheia, Peri homonoias**
Antiphon რამნუსიდან: **Peri tu choreutu, Peri tu Herodu phonu, Pharmakeias kata tes metryias, Tetralogiai**
Antisthenes: **Aias e Aiantos logos, Alkibiades, Archelaos e peri basileias, Herakles, Kyros / Kyros e peri basileias, Odysseus e Odysseos logos, Sathon**
Antoninus Liberalis (Ant. Lib.): **Metamorphoseon synagoge (Metamorphoses, Met.)**
Antonius Diogenes: **Ta hyper Thulen apista**
Antyllos (Antyllus): **Cheirurgumena, Peri boethematon**
Anyte ტეგეადან: **Epigrammata**
Apion ოასისიდან: **Aigyptiaka, Glossai Homerikai**
Aphthonios (Aphthonius) ანტიოქიიდან: **Progymnasmata**
Apicius → Caelius
Apollinarios (Apollinaris) ლაოდიკეადან: **He kata meros pistis, Psalmoi**
Apollodoros (Apollodorus, Apollod.) ათენიდან: **Chronika, Peri Epicharmu, Peri etymologion, Peri Sophronos, Peri theon, Peri tu ton neon katalogu**
Apollodores (Apollodorus, Apollod.) დამასკოდან: **Poliorketika**
Apollonios (Apollonius): **Historiai thaumasiai**
Apollonios (Apollonius) დამასკოდან: **Poliorketika**
Apollonios (Apollonius) პერგეედან: **Konika**
Apollonios (Apollonius) ტიანადან: **Teletai e peri thysion**
Apollonios Dyskolos (Apollonius Dyscolus): **Peri syntaxeos**
Apollonios Rhodios (Apollonius Rhodius, Apoll. Rhod.) ალექსანდრიიდან: **Argonautika (Argonautica, Arg.), Peri Archilochu**
Apollonios Sophistes (Apollonius): **Lexicon Homericum**
Appianos (Appianus, App.) ალექსანდრიიდან: **Rhomaika (Bella civilia, B Civ.)**
Appius Claudius Caecus: **Sententiae (Sent.)**
Apsines: **Techne rhetorike (Ars rhetorica, Rhet.)**
Apuleius (Apul.) მადაურადან: **Apologia (Apol.), De deo Socratis (De deo Soc.), De mundo, De Platone et eius dogmate (De dog.), Florida (Flor.), Metamorphoses (Met.)**
Aquila Romanus: **De figuris sententiarum et elocutionis**
Arator: **De actibus apostolorum**

Aratos (Aratus) სიკიონიდან: **Hypomnemata**

Aratos (Aratus, Arat.) სოლოიდან: **Phainomena (Phaenomena, Phaen.)**

Archestratos (Archestratus) გელადან: **Hedypatheia**

Archidamas ელეადან: **Messenikos / Messeniakos**

Archilochos (Archilochus, Archil.) პაროსელი: **Carminn (Carm.), Elegoi, Iamboi**

Archimedes (Archim.) სირაკუსიდან: **Peri isorropion, Peri ton mechanikon theorematon pros Eratosthenen ephodos, Peri ton ochumenon, Problema boeikon, Psammites**

Archytas ტარენტიდან: **Harmonikos**

Areios (Arius): **Thaleia**

Areios Didymos (Arius Didymus): **Ad Liviam de consolatione, Epitome**

Aretaios (Aretaeus) კაპადოკიიდან: **Peri aition kai semeion chronion pathon, Peri aition kai semeion oxeon pathon**

Aristainetos (Aristaenetus): **Epistulae**

Aristarchos (Aristarchus) სამოსიდან: **Peri megethon kai apostematon heliu kai selenes**

Aristarchos (Aristarchus) სამოთრაკედან: **Hypomnemata**

Aristeides (Aristides) → Ailios Aristeides

Aristeides (Aristides, Arist.) მილეტოსიდან: **Milesiaka**

Aristeides Quintilianus (Aristides Quintilianus, Arist. Quint.): **Peri musikes (De musica)**

Aristippos (Aristippus) კირენედან: **Apophthegmata, Chreiai, Epistula an Arete**

Aristokles (Aristocles) მესანადან: **Peri philosophias**

Aristonikos (Aristonicus) ალექსანდრიიდან: **Peri semeion**

Aristonoos (Aristonous) კორინთოსიდან: ჰიმნი ჰესტიაზე

Aristophanes (Aristoph.) ათენიდან: **Acharnes (Acharnenses, Ach.), Batrachoi (Ranae, Ran.), Eirene (Pax), Ekklesiazusai (Ecclesiazusae, Eccl.), Hippeis (Equites, Eq.), Lysistrate (Lysistrata, Lys.), Nephelai (Nubes, Nub.), Ornithes (Aves, Av.), Plutos (Plutus, Plut.), Sphekes (Vespae, Vesp.), Thesmophoriazusai (Thesmophoriazusae, Thesm.)**

Aristophanes (Aristophanes Byzantinus, Ar. Byz.) ბიზანტიონელი: **Hypotheseis, Lexeis / Glossai**

**Aristoteles (Aristoteles, Aristot.): Analytika (Analytica priora, An. pr., posteriora, An. post.), Aporemata Homerika, Athenaion politeia (Ath. Pol.), Ethika Eudemeia (Ethica Eudemia, Eth. Eud.), Ethika Nikomacheia (Ethica Nicomachea, Eth. Nic.), Eudemos e peri psyches (De anima, De an.), Gryllos e peri rhetorikes (Rhetorica, Rh.), Hai peri ton zoon historiai (Historia animalium, Hist. an.), Kategoriai (Categoriae, Cat.), Magna Moralia (Mag. Mor.), Metaphysik (Metaphysica, Metaph.) (→Ta meta ta physika), Meteorologika (Meteorologica, Mete.), Organon, Parva naturalia (Parv. nat.), Peri aistheseos kai aistheton (De sensu, Sens.) (→Parva naturalia), Peri anapnoes (de spiritu, spir.) (→Parva naturalia), Peri aretes (Ps.-Aristoteles), Peri dikaiosynes, Peri enhypnion (→Parva naturalia), Peri euches, Peri eugeneias, Peri geneseos kai phthoras, Peri hermeneias, Peri hypnu kai egregorseos (→Parva naturalia), Peri ideon, Peri makrobiotetos kai brachybiotetos (De longitudine et brevitate vitae) (→Parva naturalia), Peri mnemes kai anamneseos (De memoria et reminiscentia) (→Parva naturalia), Peri neotetos kai geros (De juventute et senectute) (→Parva naturalia), Peri philosophias, Peri poietikes (poetica, poet.), Peri poieton, Peri politiku (Politica, Pol.), Peri poreias zoon, Peri psyches (De anima, De an.), Peri tes kat' hypnu mantikes (De divinatione per somnia, Div. somn.) (→Parva naturalia), Peri ton Pythagoreion, Peri tu agathu, Peri uranu (De caelo, Cael.), Peri zoes kai thanatu (De vita et morte) (→Parva naturalia), Peri zoon geneseos (De generatione animalium, Gen. an.), Peri zoon kineseos (De motu animalium, De motu an.), Peri zoon morion, Physike akroasis, Politeiai, Politika, Protreptikos, Sophistikoi elenchoi (Sophistici elenchi, Soph. el.), Synagoge technon, Techne rhetorike, Topika (Topica, Top.)**

Aristoxenos (Aristoxenus) ტარენტიდან: **Bioi andron, Bios Pythagorikos, Bios Sokratikos, Harmonika stoicheia, Rhythmika stoicheia**

Arkadios (Arcadius) → Ps.-Arkadios

Arnobius: **Adversus gentes**

Arrianus (Arr.) ნიკომედიიდან: **Alanika, Alexandru Anabasis (Anab.), Bithyniaka, Diatribai (Epiktetos) (Epicteti dissertationes, Epict. diss.), Indike, Kynegetikos (Cynegetikos, Cyn.), Parthika (Parthica, Parth.) Periplus Euxeinu Pontu (Periplus ponti Euxini, Peripl. M. Eux.), Ta met' Alexandron, Techne taktike (Tactica, Tact.)**

Artemidoros (Artemidorus) ეფესოსიდან: **Geographumena, Oneirokritikon**

Asinius Pollio: **Historiae**

Asklepiades (Asclepiades) მირლეადან: **Bithyniaka, Peri grammatikon**

Asklepiades (Asclepiades) სამოსიდან: **Epigrammata (Epigr.)**

Asklepiades (Asclepiades) ტრაგილოსიდან: **Tragodumena**

Asklepiodotos (Asclepiodotus): **Taktika**

Astrampsychos (Astrampsychus): **Sortes Astrampsychi**

Ateius Capito: **Coniectanea, De iure pontificio, De officio senatorio**

Athanasios (Athanasius) ალექსანდრიიდან: **Epistulae, Logoi kata Areianon, Logos kata ton Hellenon, Logos peri enanthropeseos tu logu, Vita Sancti Antonii**

Athenagoras ათენიდან: **Peri anastaseos nekron, Presbeia peri christianon**

Athenaios (Athenaeus, Ath.) ნავკრატისიდან: **Deipnosophistai (Deipnosophistae)**

Athenaios მექანიკოსი: **Peri mechanematon**

Attalos (Attalus) როდოსიდან → Hippias (ნიკეადან)

Attikos (Atticus): **Pros tus dia ton Aristotelus ta Platonos hypischnumenus**

Augustinus (August.) თაგასტედან: **Acta seu disputatio contra Fortunatum Manichaeum, Ad Donatistas post conlationem, Ad inquisitiones Ianuarii, Adnotationum in Iob liber, Ad Orosium contra Priscillianistas et Origenistas, Adversus haereses, Breviculus conlationis cum Donatistis, Confessiones, Contra Academicos, Contra Adimantum Manichaei discipulum, Contra adversarium legis et prophetarum, Contra duas epistulas Pelagianorum, Contra epistulam Parmeniani, Contra Faustum Manichaeum, Contra Hilarum, Contra litteras Petiliani Donatistae, Contra Maximium haereticum Arianorum episcopum, Contra mendacium, De adulterinis coniugiis libri II, De agone Christiano, De beata vita, De bono coniugali, De bono viduitatis, De catechizandis rudibus, De civitate Dei, De consensu evangelistarum libri IV, De continentia, De cura de mortuis gerenda, De diversis quaestionibus ad Simplicianum libri II, De diversis quaestionibus octoginta tribus, De divinatione daemonum, De doctrina Christiana, De fide et operibus, De fide et symbolo, De fide rerum, quae non videntur, De fide, spe et caritate, De genesi ad litteram, De grammatica, De immortalitate animae, De libero arbitrio, De magistro, De musica, De opere monachorum, De ordine, De origine animae et de sententia Iacobi, De patientia, De pulchro et apto, De quantitate animae, De sancta virginitate, De sermone domini in monte libri II, De symbolo ad catechumenos, De trinitate, De utilitate credendi, De vera religione, De videndo Deo, Enarrationes in Psalmos, Epistulae, Epistulae ad Romanos expositio inchohata, Expositio epistulae ad Galatos, Expositio quarundam propositionum ex epistula ad Romanos, In Ioannis epistulam ad Parthos tractatus decem, In Ioannis evangelium tractatus CXXIV, Locutionum in Heptateuchum libri VII, Principia dialecticae, Principia rhetorices, Psalmus contra partem Donati, Quaestiones expositae contra paganos, Quaestionum evangeliorum libri II, Retractationes, Sermones, Soliloquia, Speculum, Tractatus adversus Iudaeos**

Augustus: **De vita mea, Monumentum Ancyranum**

Aurelius Victor (Aur. Vict.): **Caesares (Caes.)**

Ausonius (Auson.) ბურდიგალადან: **Bissula, Carmina domestica, Cento nuptialis (Cent. nupt.), Commemoratio professorum Burdigalensium (Prof. Burd.), Cupido cruciatur, De XII Caesaribus, Eclogarum liber, Ephemeris, Epigrammata de diversis rebus, Epistulae, Epitaphia heroum, qui bello Troico interfuerunt, Gratiarum actio ad Gratianum imperatorem (Grat. act.), Griphus ternarii numeri, Liber protrepticus ad nepotem, Ludus Septem Sapientium, Mosella (Mos.), Ordo urbium nobilium (Ordo nob. urb.), Parentalia, Technopaegnion (Technop.)**

Avianus: **Mythiamboi Aisopeioi**

Avienus ვოლსინიიდან: **Ora maritima, Orbis terrae, Phaenomena**

Avitus: **Epistulae, Libelli de spiritalis historiae gestis**

Avitus, Alfius: **Excellentes**

Babrios (Babrius, Babr.): **Mythiamboi Aisopeioi (Mythiambi Aesopici)**

Baebius Italicus: **Ilias Latina**

Balbus: **Expositio et ratio omnium formarum**

Basileios (Basilius, Basil.) კესარიელი: **Asketika (Asceticon magnum), Epistulae, Hexaemeron, Kat' Eunomiu (Adversus eunomium)**

Bakchylides (Bacchylides, Bacchyl.) კეოსელი: **Erotika**

Basileios (Basilius, Basil.) კესარიელი: **Pros tus neus**

Benedictus ნურსიადან: **Regula monachorum**

Berossos (Berossus) ბაბილონიდან: **Babyloniaka**

Bion სმირნადან: **Bukolika, Epitaphios Adonidos**

Bion ბორისთენესიდან: **Diatribai**

Biton: **Kataskeuai polemikon organon kai katapeltikon**

Boethius (Boeth.) რომიდან: **Consolatio Philosophiae, Contra Eutychen et Nestorium: De persona et duabus personis (→Opuscula sacra), De categoricis syllogismis, De fide catholica (→Opuscula sacra), De hebdomadibus (→Opuscula sacra), De musica, Institutio arithmetica, De trinitate (→Opuscula sacra), Opuscula sacra, Quomodo substantiae (→Opuscula sacra), Quomodo trinitas unus deus (→Opuscula sacra), Utrum Pater ... (→Opuscula sacra)**

Boio (ან Boios): **Ornithogonia**

Bolos (Bolus) მენდესიდან: **Cheirokmeta**

Caecilius კალაქტედან: **Kata Phrygon, Tini diapherei ho Attikos zelos tu Asianu, Peri hypsus, Peri tu charakteros ton deka rhetoron**

Caecilius Statius: **Pausimachus, Plocium, Synephebi**

Caelius: **Apicius: De re coquinaria**

Caelius Aurelianus: **De passionibus celeribus vel acutis, De passionibus tardis vel chronicis, Gynaecia**

Caesellius Vindex: **Antiquae lectiones**

Caesar (Caes.): **Anticato, De analogia, De astris, De bello civili (Bell. Civ.), De bello Gallico (Bell. Gall.), Epistulae, Iter**

Calpurnius Flaccus: **Declamationum excerpta**

Calpurnius Siculus (Calp.): **Eclogae (Ecl.)**

Cassianus: **Collationes, De incarnatione Christi contra Nestorium, De institutis monachorum et de octo principalium vitiorum remediis**

Cassiodorus (Cassiod.) ბრუტიუმიდან: **Chronica, De anima, De origine actibusque Getarum, De orthographia, Expositiones in Psalmos, Historia ecclesiastica tripertita, Institutiones divinarum et humanarum litterarum (Inst.), Ordo generis Cassiodororum, Variae (epistulae) (Var.)**

Cassius Dio (Cass. Dio): **Historia Rhomaike**

Cassius Felix კირტადან: **De medicina**

Cassius Longinus: **Liber iuris civilis**

Cato ტუსკულუმიდან: **Ad Marcum filium, Carmen de moribus, De agri cultura (Agr.), De sumptu suo, Oratio pro Rhodiensibus, Origines (Orig.)**

Catullus (Catull.) ვერონადან: **Carmina (Carm.)**

Celsus (Cels.): **De medicina (Med.)**

Censorinus: **De die natali (DN)**

Chairemon (Chaeremon) ალექსანდრიიდან: **Aigyptiaka, Hieroglyphika**

Chamaileon (Chamaeleon) ჰერაკლეადან: **Peri satyron**

Charax: **Peri enklinomenon morion, Peri orthographias**

Charisius: **Ars grammatica (Gramm.)**

Chariton აფროდისიასიდან: **Chaireas kai Kallirhoe (De Chaerea et Callirhoe)**

Charon ლამფსაკოსიდან: **Horoi Lampsakenon, Persika**

Chirius Fortunatianus: **Ars rhetorica**

Chorikios გაზადან: **Logoi**

Choirilos (Choerilus) სამოსიდან: **Persika, Samiaka**

Christodoros (Christodorus) კოპტოსიდან: **Ekphrasis ton agalmaton**

Chrysippos (Chrysippus) სოლოიდან: **Kata tes synetheias, Logika zetemata, Peri etymologion, Peri heimarmenes, Peri pathon, Peri pronoias, Peri psyches, Therapeutikos**

Cicero (Cic.) არპინუმიდან: **Academica (Acad.), Actio prima in C. Verrem (Verr. 1), Actio secunda in C. Verrem (Verr. 2), Ad Gaium Trebatium Topica (Top.), Aratea (Arat.), Brutus (Brut.), Catilinariae orationes IV (Cat.), Cato maior de senectute (Sen.), Consolatio, De consulatu suo, De divinatione (Div.), De domo sua ad pontifices (Dom.), De fato (Fat.), De finibus bonorum et malorum (Fin.), De gloria, De haruspicum responso in Publium Clodium (Har. resp.), De imperio Gnaei Pompei, De inventione (Inv.), De lege agraria (Leg. agr.), De legibus (Leg.), De natura deorum (Nat. D.), De officiis (Off.), De optimo genere oratorum (opt. gen.), De oratore (de orat.), De provinciis consularibus (Prov. cons.), De re publica (Rep.), De temporibus meis, Epistulae, Hortensius, In Lucium Calpurnium Pisonem (Pis.), In Publium Vatinium (Vatin.), In Quintum Caecilium oratio, quae divinatio dicitur (div. in Caec.), Laelius de amicitia (Amic.), Marius, Oratio cum populo gratias egit, Oratio cum senatui gratias egit, Orationes Philippicae (Phil.), Orator (Orat.), Paradoxa Stoicorum (Parad.), Partitiones oratoriae (Part. or.), Pro Archia poeta (Arch.), Pro Aulo Caecina (Caecin.), Pro Aulo Cluentio Habito (Clu.), Pro Gaio Rabirio perduellionis reo (Rab. perd.), Pro Gaio Rabirio Postumo (Rab. Post.), Pro Gnaeo Plancio (Planc.), Pro Lucio Cornelio Balbo (Balb.), Pro Lucio Valerio Flacco (Flac.), Pro Lucio Murena (Mur.), Pro Marco Aemilio Scauro (Scaur.), Pro Marco Caelio (Cael.), Pro Marco Fonteio (Font.), Pro Marco Marcello (Marcell.), Pro Marco Tullio (Tull.), Pro Publio Quinctio (Quinct.), Pro Publio Sestio (Sest.), Pro Publio Sulla (Sull.), Pro Quinto Ligario (Lig.), Pro Quinto Roscio comoedo (Q**

**Rosc.), Pro rege Deiotaro ad C. Caesarem oratio (Deiot.), Pro Sexto Roscio Amerino (Rosc. Am.), Pro Tito Annio Milone (Mil.), Timaeus (Tim.), Tusculanae disputationes (Tusc.)**

Cicero, Quintus Tullius: **Commentariolum petitionis consulatus (Comment. pet.)**

Cinna, Gaius Helvius: **Smyrna**

Claudianus (Claud.): **Carmina minora (carm.), De bello Getico, De bello Gildonico, De laudibus Stilichonis, De raptu Proserpinae (rapt. Pros.), Epithalamium dictum Honorio Augusto et Mariae, In Eutropium, In Rufinum, Panegyricus dictus Honorio Augusto tertium/quartum/sextum consuli, Panegyricus dictus Manlio Theodoro consuli, Panegyricus dictus Probino et Olybrio**

Claudianus Mamertus: **De statu animae**

Claudius Aelianus: **Epistolai agroikikai**

Claudius Quadrigarius: **Annales**

Clemens Alexandrinus (Clem. Al.): **Excerpta ex Theodoto, Paidagogos, Protreptikos pros tus Hellenas (Protrepticus, Protr.), Stromateis (Strom.), Tis ho sozomenos plusios**

Clemens Romanus → **Patrum Apostolicorum opera**

Coelius Antipater: **Historiae**

Columella (Colum.) გადესიდან: **De arboribus, De re rustica (Rust.)**

Commodianus: **Carmen apologeticum, Instructiones**

Corippus: **In laudem Iustini minoris, Ioannis / De bellis Libycis**

Cornelia: **Epistula an Gaius**

Cornutus ლეპტისიდან: **Artis rhetoricae epitome, Epidrome ton kata ten Helleniken theologian paradedomenon (Theol. Graec.)**

Cremutius Cordus: **Annales**

Curtius Rufus (Curt.): **Historiae Alexandri Magni regis Macedonum**

Cyprianus კართაგენიდან: **Ad Demetrianum, Ad Donatum, Ad Fortunatum de exhortatione martyrii, De bono patientiae, De dominica oratione, De ecclesiae catholicae unitate, De habitu virginum, De lapsis, De mortalitate, De opere et eleemosynis, De zelo et livore, Epistulae, Testimoniorum libri III**

Damaskios (Damascius) დამასკოდან: **Aporiai kai lyseis peri ton proton archon, Eis ton Platonos Parmeniden aporiai kai epilyseis, Paradoxa, Peri arithmu kai topu kai chronu**

Damasos (Damasus): **Epigrammata Damasiana**

Damastes სიგეიონიდან: **Peri goneon kai progonon ton eis Ilion strateusamenon, Peri poieton kai sophiston, Peri ton en Helladi genomenon**

Damianos (Damianus) ლარისადან: **Optika**

Damon: **Areopagitikos**

Deinarchos (Dinarchus) კორინთოსიდან: **Kata Demosthenus, Kata Philokleus, Kat' Aristogeitonos**

Demades: **Demadea, Logoi**

Demetrios (Demetrius): **Peri ton en te Iudaia basileon**

Demetrios (Demetrius Callatianus) კალატისიდან: **Peri Europes kai Asias**

Demetrios (Demetrius) მაგნესიიდან: **Peri homonoias, Peri homonymon poieton te kai syngrapheon, Peri homonymon poleon**

Demetrios (Demetrius Phalereus) ფალერონიდან: **Archonton anagraphe, Peri dekaetias, Peri politeias, Peri tes Athenesi nomothesias, Peri ton Athenesi politeion**

Demetrios (Demetrius Scepsius) სკეფსისიდან: **Troikos diakosmos**

Demetrios Lakon (Demetrius Lacon): **Peri meteorismu**

Demokritos (Democritus) აბდერელი: **Demokratus hypothekai, Ethika, Gnomai, Kanones, Megas diakosmos, Mikros diakosmos, Peri euthymies, Peri Homeru e orthoepeias kai glosseon, Peri nu, Peri physeos, Peri rhematon, Peri ton en Hadu, Tritogeneia**

Demophilos → Plautus (Asinaria)

Demophilos (Demophilus): **Gnomai**

